

ალექსანდრე იასალაშვილი
გგლის ბილიკი



ალექსანდრე იასალაშვილი

მგლის ბილიკი

ქართული დეტექტივი
გამომც. „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, 1960

1

შუადამე გადასულიყო. ქალაქს ეძინა. ქუჩაში სიჩუმეს დაესადგურებინა. ხანდახან თუ გაიქროლებდა ავტომანქანა დაგვიანებული მგზავრით.

არ ეძინა მხოლოდ გუშაგ მილიციელს, ის თავს დასტრიალებდა საგუშაგოს და დაბალი ხმით ღიღინებდა.

მილიციის სამმართველოს შენობა მყუდროებას მოეცვა. მხოლოდ რამდენიმე ფანჯარაში მოჩანდა ელექტრონათურების შუქი.

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ზურაბ ლომაური, შინ წასასვლელად ემზადებოდა. ნახევარი საათის წინ დაამთავრა ოპერატიული თათბირი, თანამშრომლები დაითხოვა...

წასვლამდე გულმა არ მოუთმინა. სამმართველოს მორიგეს დაურეკა ტელეფონით, შეეკითხა:

ამხანაგო კაპიტანო, ახალი ხომ არაფერია?

— ჯერჯერობით სიწყნარე გახლავთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, გარდა იმ აურზაურისა, მთვრალეებმა რომ ასტეხეს ქუჩაში და რომელზედაც უკვე მოგახსენეთ, სხვა არავითარი შემთხვევა არ გადმოუციათ, — უპასუხა მორიგემ.

— თუ იყოს რაიმე შემთხვევა, შინ დამირეკეთ. — გააფრთხილა ზურაბ ლომაურმა. პასუხს აღარ მოუცადა, ყურმილი ტელეფონის ჩანგალზე ჩამოსდო, ღია ფანჯარასთან მივიდა და შუბლი მთაწმინდიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა.

ზურაბ ლომაურს რატომღაც გაახსენდა ხალხში დარჩენილი ძველი თქმულება:

„თურმე, ერთხელ, ერეკლე მეფე თავისი ამალით სურამისაკენ მიემგზავრებოდა. უცბად თვალი მოჰკრა გლეხს, რომელიც თავში ხელს იცემდა და მაღალი ხმით მოსთქვამდა. მეფე დაინტერესდა და ბრძანა გლეხი მასთან მიეყვანათ. გლეხმა როგორც კი იცნო იგი, შებღავლა: „დიდებულო მეფევ, დავიღუპე, ცხენი მომპარესო“. გაკვირვებული მეფე შეეკითხა: „როგორ მოგპარესო?“ გლეხმა უპასუხა: „ამა და ამ სოფელში ქალიშვილი მყავს გათხოვილი, მაცნობეს შვილიშვილი შეგეძინაო, მეც გახარებული, ძღვენით დატვირთული წამოვედი ცხენით. დავიღალე, აი, იმ მუხის ძირას ჩამოვხტი ცხენიდან, ხურჯინი მოვხსენი და ცხენი საბალახოდ გავუშვი, თვალი მოვხუჭე. როდესაც გამომეღვიძა, ცხენი აღარსად იყო, მოეპარათო“. მეფემ გაიღიმა და გლეხს უთხრა: „შე კაი კაცო, რომ იძინებდი, რას ფიქრობდი? არ იცოდი, რომ ცხენს მოგპარავდნენო?“ გლეხმა თურმე მწარედ ამოიხვნეშა: „ეჰ, ჩემო ხელმწიფევ, მე მეგონა შენ არ გეძინა, თორემ მე რა ეშმაკი დამაძინებდაო?“ მეფეს ისე მოეწონა გლეხის პასუხი, რომ მარქაფიდან საუკეთესო ბედაური უბოძა და ისე გაისტუმრა იგი“.

„მართალი იყო ის გლეხი, — ფიქრობდა ლომაური, — არც ჩვენ გვაქვს ძილის უფლება, ჩვენ რომ დავიძინოთ, მაშინ მშრომელები ვეღარ დაიძინებენ“.

ტელეფონმა დარეკა.

— პოდპოლკოვნიკი ლომაური... ჰა... შენა ხარ, ნუცა? რა? უკვე სამი საათია? მერე რა... ნუ გეფიქრება, დასვენების დროც დავიდგება... კარგი, კარგი, მოვდივარ...

ყურმილი ჩანგალზე ჩამოსდო და გაიღიმა? „ო, ეს ქალები! თუმცა რა, ნუცა მართალია, ჩვენ ხომ ოჯახს არ ვეკუთვნით...“

ქუდს ხელი დაავლო და წასვლა დააპირა, მაგრამ კარის კაკუნმა შეაჩერა.

ლომაურს გაუკვირდა ასეთი მოულოდნელი ვიზიტი. თანამშრომლები შინ ჰყავდა გაშვებული, უცხო კი უსაშვებოდ

ვერ შემოვიდოდა!

— მობრძანდით!

კარი გაიღო და გამოჩნდა ოპერატიული რწმუნებული არჩილ ჩოხელი. ლომაური მოულოდნელობისაგან გაოცდა. ჩოხელი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ოპერატიული მუშაკი იყო. მის მიერ აღზრდილი. ლომაური ჩოხელს აფასებდა, როგორც მოხერხებულსა და გამბედავ ახალგაზრდას, სულ რაღაც სამიოდე წელი იყო, რაც არჩილმა დაამთავრა პოლიციის სკოლა და დაიწყო მუშაობა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში და ამ მოკლე დროში თავისი გამჭრიახობითა და ოპერატიული საზრიანობით ამხანაგების სიყვარული და უფროსების პატივისცემა დაიმსახურა.

ათიოდე დღის წინ ლომაურმა თითქმის ძალით აიძულა ჩოხელი დასასვენებლად წასულიყო და აი, ახლა მოულოდნელად გამოცხადდა ლომაურის კაბინეტში.

უფროსი გაცვირვებული შესცქეროდა არჩილს.

— გამარჯობათ, ამხანაგო პოლკოვნიკო! — მიესალმა არჩილი უფროსს. — არ მელოდით?

— გაგიმარჯოს, ასე უდროოდ საიდან? — შეეკითხა ლომაური.

— პირდაპირ სადგურიდან!

— მე ხომ გიბრძანე, კარგად დაგესვენა და ისე დაბრუნებული-
ყავი სამსახურში? — დატუქსა არჩილი ლომაურმა. — რაიმე უსია-
მოვნება ხომ არ შეგემთხვა?

— პირადად მე არა, ისე კი მეტად სერიოზული ამბავია, ისეთი,
რომ მაიძულებს დასვენებაზეც კი უარი ვთქვა.

არჩილმა ჯიბიდან სუფთა, თეთრ ქაღალდში გახვეული რაღაც
ამოიღო და უფროსს მაგიდაზე დაუდო. ეს ადამიანის თითი იყო.

ეს რა არის?! — გაიკვირვა ლომაურმა

— თითია, ჩვეულებრივი ადამიანის თითი, — წყნარად უპასუხა
არჩილმა.

— მეც ვხედავ, რომ ადამიანის თითია და არა დათვის თითი,
მაგრამ ვისია? სად ნახე?

— ჯერ არ ვიცი ვისია, ტყეში წავაწყდი ნადირობის დროს. იმე-
დი მაქვს თითის პატრონის დადგენა არ გაგვიჭირდება.

ზურაბ ლომაურმა მაგიდის უჯრიდან გამადიდებელი შუშა
ამოიღო და ინტერესით დაუწყო თითს თვალიერება.

— ნაზი თითია, უეჭველად ქალისა იქნება, — დაუდასტურა არ-
ჩილმა.

— რა ვუყოთ, რომ ნაზია. ზოგიერთ მამაკაცს იმისთანა ნაზი
თითები აქვს, რომ ქალს შეშურდება და პირიქით. მე მინახავს ქა-
ლი იმისთანა ტლანქი ხელებით, რომ სანდრო კანდელაკის ხე-
ლებს არ ჩამოუვარდებოდა. საქმე სინაზეში როდია. აი, დახედე,
მანიკური აქვს გაკეთებული... მართალია, ზოგიერთი მამაკაციც
იკეთებს მანიკურს, მაგრამ არა მგონია იმისთანა მამაკაცი გა-
მოიძებნებოდეს, რომელიც ფრჩხილებს ფერადი ლაქით იფერა-
დებდეს. აქედან დასკვნა, თითი ქალისაა, — განუმარტა ლომაურ-
მა.

— ქალებს ბრჭყალების გაშვება უყვართ, აქ კი ფრჩხილი შეჭ-
რილია, — შეესიტყვა არჩილი.

— არის ისეთი კატეგორიის სამუშაოები, სადაც ქალი ვერ გაიზრდის ფრჩხილებს. მაგალითად: ექიმი ქალები, განსაკუთრებით გინეკოლოგები; ფორტეპიანოზე დამკვრელი ქალები. ჰო, კიდევ, ფრჩხილებს ხანდახან ძირში იჭრიან საბეჭდ მანქანაზე მომუშავე ქალებიც. აბა, რომელი ფრჩხილი გაუძლებს მანქანაზე გამუდმებით კაკუნს?

— ო, ეს რაღაა? — წამოიძახა ლომაურმა, — დახედე არჩილ, ფრჩხილის ძირში თამბაქოს მტვერი, ეს ჩვენი ქერა ქალბატონი თამბაქოს ეწეოდა თურმე.

— ქერა?! — გაიკვირვა არჩილმა.

— დიახ, ქერა. ჩვეულებრივი თვალთ არ ემჩნევა, აბა გამადიდებელი შუშით დახედე, ძლივს შესამჩნევი ქერა ბუსუსებია თითზე. — ზურაბ ლომაური უფრო დაკვირვებით ათვალიერებდა თითს. — როგორც ეტყობა ბეჭედსაც ატარებდა, მაგრამ საქორწინოს კი არა თვლიან ბეჭედს, ხედავ, არჩილ, ბეჭდის თვლის გამოხატულება უფრო ბაცი ფერით გამოიხატება. თითი მოჭრილია დანით. ალბათ ვინც ეს „ოპერაცია“ ჩაატარა, ცდილა ბეჭდის თითიდან წამოძრობას და რომ ვერ მოუხერხებია, ადვილი გამოსავალი მოუნახავს, თითი მოუჭრია. აქედან დასკვნა: ქალი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძარცვის მსხვერპლი გამხდარა.

— სულ ეს არის? — შეეკითხა არჩილი.

— ჯერჯერობით ეს არის, რისი გამოკვლევაც მე და შენ შეგვიძლია. ვნახოთ ხვალ, თუმცა რაღა ხვალ, უკვე თენდება, დღეს რა დასკვნას მოგვცემს სამეცნიერო ტექნიკური ექსპერტიზა. ამრიგად, ჩემო არჩილ, მოკლულია ქერა ქალი, რომელიც თამბაქოს ეწეოდა, სპეციალობით ან ექიმი, ან ფორტეპიანოზე დამკვრელი. მარცხენა ხელის უსახელო თითზე თვლიანი ბეჭედი ჰქონია, ალბათ ძვირფასი თვლიანიც, თორემ უბრალო ბეჭდისთვის არამგონია, რომ თავი გაეცხელებინოთ, თუმცა, ვინ იცის, ყოველი ბოროტმოქმედი დიდი წუწკიც არის. ო, ამდენი მასალების მქონე

ოპერატიული მუშაკისათვის ძნელი არ უნდა იყოს კვალის მიგნება, აქედან კი ბოროტმოქმედის გამომჟღავნებამდე უკვე დიდი მანძილი აღარ არის.

ირიჟრაჟა. ეზოში ხეებზე ჟრიამული ასტეხეს ფრთოსნებმა.

— როგორ გარბის დრო! — გაიკვირვა ლომაურმა, — უკვე ხუთი საათი სრულდება. მოთმინება არ მყოფნის, მინდა დროზე შევიტყო ამ თითის პოვნის ამბავი მაგრამ შენ ნამგზავრი ხარ, დაღლილი და მეც მოვიქნაცე ცოტა. ახლა წავიდეთ. დღეს ჩემი სტუმარი იყავ.

— რას ბრძანებთ, როგორ შეგაწუხოთ? შინ წავალ!

— სრულებითაც არ შემაწუხებ. მე ჩემი თავის დარდიც მაქვს. ღამის სამ საათზე ნუციკომ დამირეკა და შევპირდი, მოვდივარმეთქი. მართლაც, შენ რომ არ მოგესწრო, მეც უკვე შინ ვიქნებოდი. ახლა კი ჯერ ერთი, დაგვიანების მოწმედ მეყოლები, მეორე, ნუციკოს შენი მოერიდება და საყვედურებისაგან თავს შეიკავებს.

— რა გაეწყობა, წამოვალ...

კაბინეტიდან გამოვიდნენ. ვიდრე ეზოში ჩამოვიდოდნენ, ლომაურს გულმა არ მოუთმინა, შეიხედა მორიგესთან და გააფრთხილა, საჭირო შემთხვევაში მისთვის ბინაზე დაერეკა.

ნამძინარევა მძღოლმა თვალების ფშვნეტით მომართა მანქანა.

— რა ვუყოთ, ჩემო ილარიონ, — თითქოს მოიბოდიშა ზურაბმა მძღოლის წინაშე, — ჩვენი სამუშაო ასეთია, ნამდვილი ღამურები ვართ.

— რას ბრძანებთ, უფროსო. მე რა, მე მანქანაში ორიოდ საათი მაინც წავთვლიმე, თქვენ კი ჯერ თვალი არ მოგიხუჭავთ, — უპასუხა ღიმილით მძღოლმა და მანქანა დაძრა.

მეგზოვები უკვე ასუფთავებდნენ ქუჩებს.

შუადღე მოტანებული იყო, როცა არჩილს გამოეღვიძა. საჩქაროდ ჩაიცვა და წინა ოთახში გამოვიდა, სადაც ლომაურის მეუღლე ნუცა დახვდა.

— უფროსს ისევ სძინავს? — შეეკითხა არჩილი.

— მალე თორმეტი საათი შესრულდება, ზურაბი კი ათზე უკვე სამსახურში იყო, — უპასუხა ღიმილით ნუცამ.

— რა ადამიანია, როგორ იტანს ამდენ უძილობას? — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, არჩილ, აბა დაიბანეთ პირი და ისაუბმეთ.

— რატომ მეც არ გამაღვიძა?

— ისე ტკბილად გეძინათ, რომ დაენანეთ... ნამგზავრია, დაღლილია, დაისვენოსო...

არჩილმა საჩქაროდ დაიბანა პირი და წასასვლელად მოემზადა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, წავედი...

— საუბმე? — განუმეორა ნუცამ, — ასე როგორ შეიძლება.

— არა, არა... დამაგვიანდა, სირცხვილით სადღა გამოვყო თავი?

არჩილი გამოემშვიდობა ქალს. ნუცამ ღიმილით გააყოლა თვალი.

როცა არჩილი კაბინეტში შემოვიდა, ზურაბი ტელეფონით ლაპარაკობდა. ისინი უსიტყვოდ მიესალმნენ ერთმანეთს. ზურაბმა არჩილს თვალებით ანიშნა დამჯდარიყო.

— კარგი, კარგი, ახლავე გამოგზავნეთ წერილობითი დასკვნა, — ლომაურმა ყურმილი დაჰკიდა.

— აბა, ძილის გუდავ, სად ხარ აქამდე? მე უკვე სამმართველოს უფროსს მოვახსენე თითის ამბავი, კომისარი დაინტერესდა, თითი უკვე სამეცნიერო ტექნიკურ განყოფილებაშია. წარმოიდგინე, ჩვენი დასკვნა სწორი გამოდგა. ექსპერტიზამ დაადასტურა ჩვენი გამოკვლევა და დაუმატა, რომ თითი სახსარშია გადაჭრილი არა

უმეტეს ორი სამი დღის წინათ.

არჩილი თავდახრილი უსმენდა უფროსს, რცხვენოდა, რომ ვიდრე ეძინა, ლომაურს ამდენი რამ გაუკეთებია.

პოდპოლკოვნიკი მიხვდა არჩილის შეშფოთების მიზეზს და დაუყვავა. შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომრები აკრიფა.

— ამხანაგო კომისარო, მოგახსენებთ პოდპოლკოვნიკი ლომაური. მილიციის ლეიტენანტი არჩილ ჩოხელი აქ გახლავთ... დიახ, დიახ... ახლავე გეახლებით.

ზურაბი და არჩილი სამმართველოს უფროსთან წავიდნენ.

— თითებზე მონადირეს გაუმარჯოს, — გაუღიმა სამმართველოს უფროსმა არჩილს და ხელი ჩამოართვა.

— ალბათ ტყეში კურდღელს დაეძებდა და თითის წააწყდა. — დაუმატა ღიმილითვე ლომაურმა, — მოახსენე ამხანაგ კომისარს, არჩილ.

ამ სიტყვებმა არჩილი დააბნია. თუმცა კარგად იცნობდა სამმართველოს უფროსს, ხშირად უნახავს იგი ოპერატიულ თათბირებზე, მაგრამ ასე პირისპირ პირველად უხდებოდა მასთან საუბარი. არჩილი ზურაბ ლომაურთან მიჩვეული იყო და ყველაფერს ჩაუბუღბუღებდა ხოლმე, ახლა კი არ იცოდა საიდან და როგორ დაეწყო მოხსენება.

— აბა, გისმენტ, — გაამხნევა იგი კომისარმა.

— სალაპარაკო ბევრი არაფერი მაქვს, ამხანაგო კომისარო.

— სალაპარაკო არც ცოტა გაქვთ, მაგრამ ეცადეთ მოკლედ სთქვათ.

სამმართველოს უფროსის ალერსიანმა მზერამ გაამხნევა არჩილი.

— მოგეხსენებათ, ამხანაგო კომისარო, ამ ათიოდე დღის წინ შვებულება ავიღე. საჩქარო საქმე მქონდა, არ მინდოდა წასვლა, მაგრამ ამხანაგმა პოდპოლკოვნიკმა აღარ გამაჩერა, გინდა თუ

არა, დაისვენო.

— მიჩივი უფროსთან? — ღიმილით შეაწყვეტინა ლომაურმა, — ამხანაგ კომისრის ბრძანება იყო შენი შვებულებაში გაშვება.

— არა, რას ბრძანებთ, ეს რა ჩივილია, — შეიმშუშნა არჩილი და განაგრძო, — სოფელ ნატბეურთან კარგი სანადირო ადგილებია. იმ სოფელში ჩემი გათხოვილი და ცხოვრობს, დიდი ხანია არ მენახა და აი, ამ რამდენიმე დღის წინ ვეწვიე მას. გუშინ, სისხამ დილაზე, ერთ კოჭლ კურდღელსაც კი ვერ დავკარ თვალი. მშვენიერი მონადირე ძაღლი მყავს, მაგრამ ვერც იმან მიაგნო ნადირის კვალს. დაღლილი მუხის ძირას დავჯექი დასასვენებლად. ჩემი „ალმასი“ აქეთ-იქით დარბოდა. მე მას ყურადღებას არ ვაქცევდი, გაჯავრებული ვიყავი, რომ იმ სამგლემ ვერცერთი ნადირის კვალი ვერ აიღო. წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ძაღლიც არ მომდევდა, ერთ ადგილს სუნავდა და იყეფებოდა. გული მომივიდა, ქვა ვესროლე, ის კი ყეფას განაგრძობდა. ისეთი რა ნახა-მეთქი, გავიფიქრე, მივედი იქ, სადაც ძაღლი ტრიალებდა და დავინახე, თითი ეგდო მიწაზე, — არჩილი გაჩუმდა.

— ის ადგილმდებარეობა ხომ გულდასმით დაათვალიერეთ, ხომ არაფერი შეამჩნიეთ საეჭვო? — შეეკითხა სამმართველოს უფროსი.

— ნახევარი დღე მოვუნდი ხეტიალს, იქაურობა გადავატრიალე, მაგრამ წარმოიდგინეთ, ვერავითარ კვალს ვერ წავაწყდი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ტყე საკმაოდ უღრანია, იმ ადგილებზე არა თუ გზა, ბილიკიც არ გადის.

კომისარი ჩაფიქრდა.

— გბატკეცილი შორს არის? — შეეკითხა იგი.

— გბატკეცილი მოშორებითაა; არა ნაკლებ ერთი კილომეტრისა. ტყის გადაღმა ორი სოფელია, ნატბეური, სადაც ჩემი და ცხოვრობს და კაკლიანი. ეს სოფლები ერთიმეორეზე ორიოდ

კილომეტრით არიან დაშორებულნი. ამ სოფლებიდან მოშორებით, ასე სამიოდე კილომეტრზე, გზატკეცილიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, მდინარის პირად, ძველი წისქვილია, კოლექტივისა, მაგრამ ახლაც მისივე ყოფილი მეპატრონე განაგებს.

— სადმე საფლავის მაგვარს ხომ არ მოჰყარი თვალი? — ჩაურთო ლომაურმა.

— მოგეხსენებათ, ტყის ნიადაგი ყამირია, ნორჩი ბალახით მოსილი. მიწის ყოველი გოჯი გულდასმით გადავათვალიერე და საეჭვო ვერაფერი ვერ აღმოვაჩინე.

— რაიონის ცენტრთან დაშორებულია ის ადგილი? — ხელახლა შეეკითხა კომისარი.

— დიახ, კარგა დიდი მანძილით არის დაშორებული, არა ნაკლებ თვრამეტი კილომეტრი იქნება. — უპასუხა არჩილმა.

— იქ, ახლო, მგონი მდებარეობს დასასვენებელი სახლი, — ჩაურთო სიტყვა ლომაურმა.

— დიახ, იმ ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მაღალმთიანი კლიმატური სანატორიუმია ლომისი, რომელიც, როგორც გამიგია სეზონურად მუშაობს.

— დავუშვათ, რომ თითის პატრონი მძარცველის მსხვერპლი შეიქმნა. თუკი მოჰკლეს, ბოროტმოქმედი არავითარ შემთხვევაში არ გაიცხელებდა თავს მის დასამარხად. დავუშვათ, რომ ეს ასეც მოხდა და გვამი ნადირებმა შესანსლეს, ძვლები და ტანისამოსის ნახევები მაინც ხომ დარჩებოდა ნიშნად. ვთქვათ, რომ ქალი გაიტყუეს და მოჰკლეს რაიმე სხვა მიზეზით. თუნდაც ეჭვიანობის, ან შურისძიების ნიადაგზე და დაასაფლავეს. საფლავის რაიმე ნიშანი ხომ დარჩებოდა? ვფიქრობ, ლეიტენანტ ჩოხელის გამოცდილ თვალს არ გამოეპარებოდა...

არჩილი სამმართველოს უფროსების ქებაზე გაწითლდა და გულმა სიამით დაუწყო ძგერა.

სამმართველოს უფროსი ჩაფიქრდა.

ზურაბ ლომაური რაღაცას გამალებით იწერდა ბლოკნოტში.

ტელეფონმა დარეკა. სამმართველოს უფროსს მინისტრი იბარებდა.

— აი რა, — უთხრა სამმართველოს უფროსმა ზურაბ ლომაურს როცა ყურმილი დადო, — მე ეხლა მინისტრთან მივდივარ. ამ თითს ამბის მოხსენება დამჭირდება აუცილებლად. რამდენ ხანს დავრჩები იქ, არ ვიცი. ჩემს მოსვლამდე შეადგინეთ ოპერატიული გეგმა, სადაც სხვათაშორის უნდა აღინიშნოს: ვის ეკუთვნის თითი. ამისათვის, პირველ რიგში, შემოწმდეს სანატორიუმში დამსვენებლები. ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ რომელიმე დამსვენებელი შეიქმნა მსხვერპლი? შემოწმდეს, ხომ არ არის შემოსული განცხადება ვინმე ქალის უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ. ხელახლა შემოწმდეს ის ადგილი, სადაც თითი იქნა აღმოჩენილი, — სამმართველოს უფროსმა არჩილს ახედა და გაუღიმა, — ძალიან გტვირთავთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მაგრამ ეს დავალებანი პირველ რიგში თქვენ უნდა დაგაკისროთ.

— დიდი სიამოვნებით, ამხანაგო კომისარო, — თვალები გაუბრწყინდა არჩილს.

კომისარი მცირე ხანს ჩაფიქრდა, ადგა, კაბინეტში გაიარა-გამოიარა, ეტყობოდა მისი აზრი გამალებით მუშაობდა.

— ერთი ეს მითხარი, ამხანაგო არჩილ, როდესაც თითი აღმოაჩინეთ და სოფელში წახვედით, დისათვის ხომ არაფერი გითქვამთ?

— რასა ბრძანებთ, ამხანაგო კომისარო, ამისთანა წინდაუხედაობას როგორ ჩავიდენდი!

სამმართველოს უფროსმა გაიღიმა, მივიდა არჩილთან და მხარზე ხელი დაადო. არჩილმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ მან არ გაუშვა.

— იჯექით, ნუ დგებით. კარგია, რომ თითის შესახებ არავინ

არაფერი იცის. დაბრუნდით დასთან, ვითომ ისევ შვებულებაში ხართ და ისვენებთ, ეცადეთ და გამოიყენოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება.

— ეს ადვილი სამსახურია, ასეც მოვიქცევი.

— კარგი, ახლა მე მეტი დრო არა მაქვს, — კედლის საათს შეხედა, — მინისტრთან არ დამაგვიანდეს... ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მიუბრუნდა ლომაურს, — კიდევ დაფიქრდით ამ საქმეზე, შეიძლება ახალი აზრები მოგივიდეთ. ოპერატიული გეგმა კი სადამოსათვის მზად იყოს, სრულ ოცდაერთ საათზე წარმომიდგინეთ დასამტკიცებლად. საჭიროდ თუ დაინახოთ, ამხანაგ ჩოხელს დაახმარეთ გამოცდილი ოპერატიული მუშაკი. გააპიროვნეთ ამ საქმეზე ქვეგანყოფილების უფროსი.

... საღამოთი სამმართველოს უფროსმა, როდესაც გეგმას ამტკიცებდა, მითითება მისცა ლომაურს:

— თუ საჭირო შეიქნა, ლეიტენანტი ჩოხელი ხარჯს ნუ მოერიდება, გარდა ამისა, ყოველ შემთხვევისთვის, კერძო წერილიც მისწერეთ რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსს, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამხანაგ ჩოხელს. დღეს რა რიცხვია? აგვისტოს შვიდი... აგვისტოს ათს მომახსენეთ საქმის მსვლელობა, როგორიც არ უნდა იყოს.

კომისარი დაფიქრდა, შემდეგ უკვე დამტკიცებული გეგმა აიღო ხელში და ხელახლა გადაათვალიერა.

— აი, რა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — მიმართა მან ლომაურს, — ჩვენ ერთი მნიშვნელოვანი წყარო გამოგვრჩა მხედველობიდან. თუკი დავუშვებთ, რომ მოკლული ქალი დამსვენებელთა რიცხვს ეკუთვნოდა, მისი პიროვნების დასადგენად შეგვიძლია გამოვიყენოთ საპარიკმახეროში მომუშავე მანიკურის გამკეთებელი ქალები, ეს კიდევ ერთი ზედმეტი დავალება არჩილ ჩოხელს. შეუთვალეთ რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსს, ასეთივე შემოწმება ჩაატაროს რაიონის ცენტრში.

2

არჩილმა ხელახლა დაწვრილებით შეამოწმა ის ადგილმდებარეობა, სადაც თითს წააწყდა და ვერავითარი საყურადღებო ვერ აღმოაჩინა.

სანატორიუმი საკავშირო მნიშვნელობისა იყო, იქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ დასასვენებლად და სამკურნალოდ. ხალხის დენადობა დიდი იყო და თითს პატრონის გამორკვევა და დადგენა უეჭველად რთულ საქმეს წარმოადგენდა.

ვერც საპარიკმახეროს მანიკურის გამკეთებელმა ქალმა მისცა არჩილს გარკვეული პასუხი. „როგორ არა, ბეჭდიანი ქერა ქალები ბევრნი მიდიან მანიკურის გასაკეთებლად, ზოგი თუთუნსაც ეწევა და ფრჩხილებსაც არ იზრდის, მაგრამ ისინი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსულები და მანიკურის გამკეთებელმა ქალმა უმეტეს შემთხვევაში მათი სახელებიც კი არ იცის“.

დასახული გეგმის ყველა პუნქტი ამოიწურა, მაგრამ დადებითი შედეგი მაინც ვერ იქნა მიღწეული.

„ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა თითი?“ — ფიქრობდა არჩილი.

რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსის განმარტებით უკვე ერთი თვეც იქნება, რაც რაიონში რაიმე სერიოზული შემთხვევაზე არავის არაფერი განუცხადებია.

ორი დღეღამის უძინარი არჩილი ხელახლა ეწვია დას სოფლად. გადაწყვიტა რამდენიმე საათი დაესვენა, აზრი დაეღაგებინა, გარდა ამისა, დისთვის ფრთხილად გამოეკითხა, ხალხში ხომ არ დადის რაიმე ხმა ვინმე ქალის მკვლელობაზე და ძარცვაზე.

დის გამოკითხვითაც უკმაყოფილო დარჩა არჩილი. დამ, არაფერი იცოდა.

არჩილმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ქალაქში.

დაბრუნდეს? ადვილი სათქმელია დაბრუნდეს, მაგრამ რა შედეგებით? რა უნდა მოახსენოს პოლკოვნიკ ლომაურს., ან სამმართველოს უფროსს? ისინი დიდ იმედებს ამყარებენ არჩილზე, მან კი ვერ გაუმართლა მათ ეს იმედები, ოდნავი ხელმოსაკიდებელი მასალაც კი ვერ ჩაიგდო ხელში.

გასამგზავრებლად გამოწყობილი არჩილი ოთახიდან გამოვიდა.

მისი და თამარი დერეფანში ახალგაზრდა ქალს ელაპარაკებოდა. თამარმა არჩილის დანახვაზე გაიღიმა.

— არჩილ, მოდი აქ ვინ გაგაცნო! — მიიხმო დამ იგი, — ნაზიკო, ეს ჩემი ძმაა, არჩილი, ეს კიდევ, არჩილ, ნაზიკოა, ჩვენი კოლეგტივის თვალი. ამ შემოდგომაზე მაგისი ქორწილი იქნება. ნაზო, არ დაჰპატიჟებ არჩილს ქორწილში?

არჩილმა ხელი გაუწოდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც ქორწილის ხსენებაზე შერცხვა და გაწითლდა. ქალმაც გაუწოდა ხელი და არჩილმა ქალს თითზე ძვირფასთვლიანი ბეჭედი შენიშნა. დააცქერდა ბეჭედს. „ერთიც ვნახოთ და... — ელვასავით გაურბინა თავში არჩილს აზრმა, მაგრამ იმავე წუთს აზრი შეეცვალა, —

განა რა, ჩვენი კოლმეურნე ქალები სათუთი გემოვნებისანი არ არიან? მერე რა თუ ძვირფასი ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი აქვს თითზე?”

არჩილი ისე წავიდა ფიქრებში, რომ ქალის ხელი თავის ხელში შეაჩერა და ბეჭედს თვალს ვერ აშორებდა.

— რა დაგემართა, ბიჭო, რას გაშტერდი? — გონს მოიყვანა თამარმა ძმა, — თუ გოგო მოგეწონა, უკვე დააგვიანე, ამას, გენაცვალე, ისეთი საქმრო ჰყავს, რომ ცხრათავიან დევსაც შეებმება და არავის არ დაუთმობს.

— არა, რას ამბობ, თამარ, მე ჯერ არ ვაპირებ ქალის შერთვას.

— რა, დრო არ არის თუ? უკვე დორა, ძმაო. ჩემი ქმარი შენს წლოვანებაში უკვე ორი შვილის მამა იყო, შენ კი იგვიანებ, ჩემო კარგო.

— რა ვქნა, ჩემო დაიკო, არავის მოვწონვარ, არავინ მომდევს და მეც იძულებული ვარ ასე უცოლოდ ვიარო.

— თქვენისთანა ახალგაზრდას ვინ ეტყვის უარს? — გაულიმა ნაზიმ არჩილს.

— საქმეც მაგაშია, რომ ვისაც მე მოვწონვარ, ის მე არ მომწონს, ვინც მე მომწონს, ის კი სიახლოვესაც არ მეკარება.

— არა მგონია ვინმემ დაგიწუნოთ. ალბათ თქვენი მოსაწონი ჯერ არ დაბადებულა. თამარ, გენაცვალე. მე წავედი და საღამოზე შემოგივლი.

— კარგი, ჩემო გოგონა, შემოიარე.

ნაზიკო წავიდა. არჩილმა თვალი გააყოლა.

— რა დაგემართა, ბიჭო, იქნებ მართლა მოგეწონა ჩვენი ნაზიკო, რომ თვალი ვერ მოაშორე? — მოესმა არჩილს დის ხმა.

— არა, ისე... რაზე იყო მოსული შენთან?

— ხვალ მე ლომისში უნდა ავიდე. იქ მაღაზიაში საყიდლები მაქვს, ნაზიკოსაც უნდა წამოვიდეს, ექიმს გაესინჯოს, ღვიძლს უჩივის და მთხოვა ერთად წავსულიყავით.

არჩილს სახე გაუბრწყინდა.

— იცი რა, თამარ, უეჭველად წადით, არავითარ შემთხვევაში არ გადასდოთ, მაგრამ ერთი პირობით, ყოველმიზეზგარეშე შედით ორივენი საპარიკმახეროში და მანიკური გაიკეთეთ.

— ეს რა ფანტაზიაა? საიდან მოგივიდა ასეთი აზრი? რა, უმანიკუროდ ველარ მოვთოხნი ბოსტანს? — გაიკვირვა თამარმა.

— თუ ჩემი სიყვარული გაქვს, თამარ, შემისრულე ეს თხოვნა, — შეეხვეწა არჩილი.

— ბატონი ბრძანდები, ადვილი სამსახურია, ჩემო არჩილ, მაგრამ რაშია საქმე, არ მეტყვი?

— არაფერში არ არის საქმე, ისე, ჩემის სურვილია და მეტი არაფერი, მხოლოდ იცოდე არავისთან კრინტი არ დაძრა, არც ნაზიკოსთან ძალიან გთხოვ, ამისრულე ეს თხოვნა, ნაზი უარს არ გეტყვის, ახალგაზრდა ქალია გაუხარდება კიდევ მანიკურის გაკეთება.

თამარმა იცოდა არჩილის ხასიათი, ის ტყუილუბრალოდ არ მისცემდა ასეთ წინადადებას, იცოდა აგრეთვე, რომ შეკითხვაც ზედმეტი იყო, არჩილისგან პასუხს მაინც ვერ მიიღებდა და ამისთვის კითხვა აღარ გაუმეორა.

3

მეორე დღეს არჩილი შეხვდა მანიკურის ქალს. ამ დღეს იგი გულისფანცქალით მოელოდა.

— დღეს, თქვენთან ორი ქალი მოვიდა მანიკურის გასაკეთებლად, ერთი ოცდახუთიოდე წლისა, საშუალო ტანისა, შავგვრემანი, მეორე კი ახალგაზრდა, ასე დაახლოებით თვრამეტი წლისა.

— დიახ, როგორ არა, მგონი სოფელ ნატბეურიდან იყვნენ, — უპასუხა ქალმა.

— მეც ასე მგონია. ახალგაზრდას მარჯვენა თითზე ბეჭედი ჰქონდა, ხომ არ მიაქციეთ ყურადღება იმ ბეჭედს?

— მოითმინეთ, — დაფიქრდა ქალი, — როგორ არა, ბეჭედი ჰქონდა, ისეთი ბეჭედი მე მინახავს... — ქალი ხელახლა დაფიქრდა და განაგრძო, არა, არ უნდა ვცდებოდე. ისეთი ბეჭედი მე მინახავს სანატორიუმის ექიმი ქალის ნატოს თითზე, — ქალმა გაკვირვებით შეხვდა არჩილს.

— ექიმი ნატო ქერა ქალი იყო?

— დიახ, ქერა.

— თამბაქოს ეწეოდა?

— დიას!

— ხომ არ სცდებით, იქნებ სხვის თითზედაც შეგიმჩნევიათ ისეთი ბეჭედი?

ქალი დაფიქრდა და მტკიცედ განაცხადა.

— არა, არ ვცდები. რა თქმა უნდა, ჩვენთან ბევრნი მოდიან ბეჭდიანი ქალები, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისეთი ბეჭედი ჩემს ცხოვრებაში ერთხელ, ექიმ ნატოს თითზე მაქვს ნანახი, ხოლო მეორედ დღეს ვნახე.

— რა გვარია ექიმი ნატო?

— რა მოგახსენოთ. გვარი არ ვიცი, ისე კი ვიცნობ, სანატორიუმის ექიმა.

— მომიტევეთ, რომ თავი მოგაბეზრეთ, — მოიბოდიშა არჩილმა, — ვეცდები მეტი აღარ შეგაწუხოთ.

— რას ბრძანებთ, მე მზად ვარ... — უპასუხა ქალმა და ეჭვის თვალით შეხედა.

— მხოლოდ აი რას გთხოვთ, არავითარ შემთხვევაში არსად და არავისთან არ წამოგცდეთ ჩვენი საუბრის შესახებ.

ქალმა იგრძნო, რომ ეს უბრალო ცნობისმოყვარეობით არ იყო გამოწვეული და მეტიც პირობა მისცა არჩილს საიდუმლოდ შეენახა მათი ნალაპარაკები.

იმავე საღამოს არჩილი სანატორიუმის დირექტორს ესტუმრა. მასთან საუბარში არჩილმა გამოარკვია, რომ ერთი წლის წინათ სანატორიუმში სამუშაოდ მოვიდა ექიმი ნატო სულიაშვილი. იგი შესანიშნავი სპეციალისტი იყო, დინჯი, გულმოდგინე, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. განსაკუთრებული მზრუნველობითა და ფაქიზი მიდგომით დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა დამსვენებელთა და ავადმყოფთა შორის. პირად ცხოვრებაში გულჩათხრობილი იყო, კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. სახლი და სამსახური, მას მეტი არაფერი აინტერესებდა.

უყვარდა წიგნები. არავისთან არ მეგობრობდა. სხვებთან შედარებით უფრო დაახლოებული იყო ფარემ ქალ კირა ზაბორასთან, რომელიც მის თანაშემწედ მუშაობდა. ეტყობა პირად ცხოვრებაში დიდი ქართველი ჰქონდა გადატანილი. თამბაქოს წევაც დარდისგან დაეწყო. ერთხელ დირექტორს შეუნიშნავს: სხვებს უკრძალავ წევას, შენ კი ღლოთი კაცივით იქცევით. ნატოს კი უპასუხნია: თამბაქოს წევა რომ არ დამეწყო, მართლა გავლოთდებოდიო.

ერთი თვის წინ სურვილი გამოსთქვა ყამირ მიწებზე წასვლისა. ჯანმრთელობის სამინისტრომ მიიღო მისი თხოვნა. ამ თვის ოთხ რიცხვში გაასწორა ანგარიში და მეორე საღამოს გაემგზავრა.

არჩილი ძალიან გახარებული იყო საქმის ასე შებრუნებით. მას ეჭვი არ ეპარებოდა რომ თითის პატრონი ნატო სულიაშვილი უნდა ყოფილიყო.

საქმის ძვრა მოხდა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი.

არჩილმა სანატორიუმის კადრებიდან საადრიცხო ფურცელზე დაკრული ნატოს სურათის ასლი გადაიღო და თავისი დის სოფელს, ნატბეურს, მიაწერა.

არჩილს ახლა დასადგენი ჰქონდა, საიდან და როგორ ჩაუყვარდა ნატოს ბეჭედი ნაზიკოს. დის საშუალებით ეს ადვილად გამოარკვია.

ბეჭედი ამ ოთხი დღის წინ ნაზიკოს მისმა საქმრომ, სანდრო ყარაშვილმა, უსახსოვრა, იგი რაიონში მუშაობს რომელიღაც დაწესებულებაში მანქანის მძღოლად.

მეორე დილას არჩილი უკვე რაიონის ცენტრში იყო. სანდრო ყარაშვილის მოძებნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, თვით რაიონის სამილიციო განყოფილების მანქანის მძღოლმავე მოუყვანა იგი არჩილს.

დაკითხვის დროს სანდრო ყარაშვილმა განაცხადა:

— ექვს აგვისტოს სანატორიუმში დამსვენებული ავიყვანე, როცა უკან ვბრუნდებოდი, ერთმა მოქალაქემ მთხოვა წამეყვანა სადგურში. ვიცი, რომ სახელად გიორგი ჰქვია, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა თავის ნაცნობს გამოემშვიდობა და მანდ გიორგი უწოდა. რა გვარი და რა ხელობის კაცია, არ ვიცი. გზაში გიორგიმ წუწუნის დაიწყო, ფული შემომაკლდა და არ ვიცი რა ვქნაო. მე იმისიც კი შემეშინდა, ვაითუ, ეს ვიღაცა არის, ვათრიო მანქანით და ფული კი არ გადამიხადოს. ცოდო აღიარებული სჯობია, მე ხომ ის მგზავრი „ხალტურაზე“ მიმყავდა. შემდეგ თქვა, ერთი ბეჭედი მაქვს და ნეტავი მყიდველს მაინც ვიშოვნოდე, გავყიდო და ამოიღო ძვირფასთვლიანი ბეჭედი. მე უიმედოდ გავაქნიე თავი, აბა იმისთანა ძვირფასი ბეჭედის საყიდი ფული ვის ექნებოდა! მან წინადადება მომცა, იაფად მოგცემ, იყიდეო და ათასი მანეთი დააფასა. ვხედავდი, რომ ბეჭედი გაცილებით მეტი ღირდა, გარდა ამისა, მინდოდა ჩემი საცოლე მესიამოვნებინა ასეთი ძვირფასი საჩუქრით. ჯიბეზე რვაასი მანეთის მეტი არ მქონდა, შევაძლიე, რას იზამ, ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, მიპასუხა მგზავრმა და დამთანხმდა. შემდეგ ვინანე, რატომ უფრო ნაკლები არ შევაძლიე, იქნებ ექვსას მანეთსაც დამჭერდებოდა, ან ბეჭდის ნამდვილი ფასი არ იცოდა, ან მართლაც, ძალიან გაჭირვებული იყო. ვინ იცის. შეიძლება მატარებლის ბილეთის ფულიც კი არ ჰქონდა. მე ის მგზავრი სადგურში ჩავიყვანე და გულმა აღარ მომითმინა, იმავე დღეს ავედი სოფელ ნატბურში... ჩემი დანაშაული ის არის, რომ ცოტა „წავიხალტურე“, თუ მაპატიებთ და არ დამსჯით, თქვენ იცით. მოგეხსენებათ ჩვენი ხელობის ხალხის ამბავი ყველანი ცოტა-ცოტას ვცოდავთ. რაც შეეხება ბეჭდის ყიდვის ამბავს, ეს მე მგონი, ცოდვად არ ჩამეთვლება, აბა ასეთ ძვირფას ნივთს და ასე იაფად რომელი სულელი არ შეიძენდა?

— საიდან გქონდათ ამდენი ფული? — შეეკითხა არჩილი.

— რვაასი მანეთი რა დიდი ფულია! — გაიკვირვა სანდრო ყარაშვილმა, — სამი დღის წინ ხელფასი მივიღე, გარდა ამისა სხვა ფულიც მქონდა, — (სანდრო, რა თქმა უნდა, „სახალტურე“ ფულს გულისხმობდა).

— მთელი თვის ხელფასს რომ ბეჭედში აძლევდით, რითი აპირებდით ცხოვრებას? — კვლავ შეეკითხა არჩილი.

— ჩვენ იმისთანა ხელობა გვაქვს, რომ არა მარტო პურის, საქეიფო ფულიც არ გვაკლია, — დაიკვება ყარაშვილმა, — ვთქვათ, რომ მამა აბრამის ბატკნები ვართ, სულ ერთია, არ დამიჯერებთ, ანკი რა დასაჯერებელია, რამდენიც არ უნდა დაგვსაჯოთ, სულ ერთია, მაინც ვერ მოვიშლით.

— საიდან წამოიყვანეთ მგზავრი?

— ლომისის სასტუმროდან.

სანდრო ყარაშვილმა დაწვრილებით აღწერა მგზავრი გიორგის გარეგნობა, ჩაცმულობა და ისიც კი დაუმატა, რომ იგი ლაპარაკის დროს ენას უკიდებდა.

არჩილმა დაკითხვა დაამთავრა და სანდრო ყარაშვილი გაუშვა.

„საქმე თითქოს რიგზე მიდის“, — ფიქრობდა არჩილი, თუმცა სანდრო ყარაშვილის ჩვენებაში რაღაც გამოსტყვიოდა, რაც უნებურად ეჭვს ბადებდა არჩილში.

არჩილი მეორე დილით დაუბრუნდა ლომისს, რომ სასტუმროში გამოერკვია, დაედგინა ვინ იყო გიორგი.

არჩილმა სასტუმროს თანამშრომლების გამოკითხვით გაიგო, რომ აგვისტოს პირველ რიცხვში ქალაქიდან ამოვიდა და სასტუმროში დაბინავდა ინჟინერი გიორგი ქურხული. ვისთან და რა საქმეზე იყო მოსული, ეს არავინ იცოდა. გიორგი ქურხული დილით გადიოდა სასტუმროდან და გვიან ღამით ბრუნდებოდა, უფრო ხშირად ნასვამი. იყო შემთხვევა, რომ მთვრალს არ გაუხ-

დია, ისე მიწოლილა საწოლზე და დაუძინია. აგვისტოს ხუთ რიცხვში ღამით სულ არ გამოცხადებულა სასტუმროში. დილით, მზის ამოსვლისას, როდესაც ჯერ კიდევ ყველას ეძინა, სასტუმროს მორიგემ ნახა, რომ მოვიდა მტვერში ამოგანგლული სახედაკაწრული. სახე და ხელები გასისხლიანებული ჰქონდა.

— პატივცემულო, ხომ არ დაეცით სადმე? — თანაგრძნობით შეეკითხა სასტუმროს მორიგე.

— დიახ, დიახ... წავიქეცი და ცხვირიდან სისხლი წამვარდა, — უგუნებოდ უპასუხა ქურხულმა, ხელ-პირი დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა და ლოგინზე წამოწვა.

„ვიცი, ვიცი როგორ წაიქეცი და ცხვირიდან სისხლი წაგსკდა, ალბათ, მთელი ღამე ვიღაცეებთან ქეიფობდი, შემდეგ ჩხუბი მოგივიდათ, ერთი მაგრა მიგბეგვეს და ის ქეიფი შხამად ამოგადინეს ცხვირიდან. ამისთანა ამბები ხდება ხოლმე. მეც გადამხდენია თავს, არა უშავს რა, შემდეგში ჭკუას ისწავლი“, — დაასკვნა სასტუმროს მორიგემ

დაახლოებით პირველი საათი იქნებოდა, მორიგემ ნახა, გიორგი ქურხული სადღაც წავიდა, ერთი საათის შემდეგ მანქანით დაბრუნდა, მანქანის მძღოლს იცნობს, სანდრო ჰქვიან, რაიონში მუშაობს, აქ ხშირად ჩამოდის ხოლმე. ანგარიში გაასწორა და გაემგზავრა აქედან. მის შემდეგ ინჟინერი გიორგი ქურხული სასტუმროს თანამშრომლებს აღარ უნახავთ.

არჩილმა იკითხა გიორგი ქურხული ხომ არავის ხვდებოდა სანატორიუმის თანამშრომელთაგან, უფრო კი ექიმ ქალს ნატო სულიაშვილსო.

ამაზე უარყოფითი პასუხი მიიღო.

— ექიმ ნატო სულიაშვილს ყველა იცნობს, ერთი წლის წინ მოვიდა და ვიდრე ბინას მიიღებდა, ათიოდე დღის განმავლობაში სასტუმროში მოუხდა ცხოვრება. ნატო სასტუმროში არ მოსულა ქურხულთან. საერთოდ, რაც ბინა მიიღო, მას სასტუმროში ფეხი

აღარ შემოუდგამს.

არჩილი გაკვირვებული იყო საქმის ასეთი შებრუნებით. ინჟინერი გიორგი ქურხული და ექიმი ნატო სულიაშვილი! განა რა ურთიერთობა უნდა ყოფილიყო შესაძლებელი მათ შორის, რომ ნატო გიორგი ქურხულის მსხვერპლი გამხდარიყო? იქნებ გიორგი ქურხული სრულებითაც არ არის ინჟინერი? ან უფრო მეტიც, იგი არც არის გიორგი ქურხული, არამედ ვინმე სისხლის სამართლის დამნაშავეა ინჟინერ გიორგი ქურხულის ნილაბქვეშ ამოფარებული?

ნატო სულიაშვილი, როგორც ეს სანატორიუმის დირექტორმა თავის ჩვენებაში დაადასტურა, აგვისტოს ხუთს ღამით გაემგზავრა ლომისიდან. ის ღამე არც გიორგი ქურხულს გაუთენებია სასტუმროში, პირიქით, აგვისტოს ექვსს დილით, მზის ამოსვლისას გამოცხადდა დამტვრიანებული, გასისხლიანებული, დაიბანა, გამოიცვალა ტანსაცმელი და იმავე დღეს გაშორდა იმ არემარეს.

სანდრო ყარაშვილიც ხომ ლაპარაკობს, რომ გიორგი ქურხულმა მას ძვირფასთვლინი ბეჭედი მოჰყიდა, ის ბეჭედი, რომელიც მანიკურის გამკეთებელმა ქალმა ამოიცნო, როგორც ნატო სულიაშვილის თითზე ნანახი ბეჭედი.

„ამ ბილიკს მალე გავლევ და გზატკეცილზე გავალ, — ფიქრობდა არჩილი, — ვნახოთ რას მოგვცემს კირა ზაბორას ჩვენება“.

მას დასაკითხავი დარჩა ფერშალი ქალი კირა ზაბორა.

— ბოდიში, — ჩაილაპარაკა არჩილმა კირა ზაბორასთან შეხვედრისას, — თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ...

— რას ბრძანებთ, — მხიარულად შეაწყვეტინა კირამ, — აქ რა არის საბოდიშო? რითაც შემეძლება, მზად ვარ გემსახუროთ.

— თუ არა ვცდები, თქვენ ექიმ ნატო სულიაშვილთან მუშაობდით, არა? — შეეკითხა არჩილი.

— დიახ, მე მისი თანაშემწე გახლდით, ვიდრე იგი ჩვენს სანა-

ტორიუმში მუშაობდა, მისი მოსვლის დღიდან ყამირ მიწებზე გამგზავრებამდე, — უპასუხა კირამ და გაუღიმა.

— პირად ცხოვრებაში თუ იყავით მასთან დაახლოებული? — ხელახლა შეეკითხა არჩილი.

— როგორ გითხრათ, ნატოს პირად ცხოვრებაში არავინ ჰყოლია. ყველას გაურბოდა. კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. უყვარდა წიგნების კითხვა და თავისუფალ დროს სულ წიგნებს უჯდა ხოლმე... ჩვენს ბიბლიოთეკაში, თუ არ ვცდები, მას არც ერთი წიგნი არ დარჩა წაუკითხავი. იცოდა ინგლისური ენაც.

— ინგლისური?! — გაიკვირვა არჩილმა.

— დიახ, პირადად მინახავს, ინგლისურ წიგნებსაც კითხულობდა. სხვებთან შედარებით, პირადად მე, თუ შეიძლება ამას დაახლოება ვიწოდოთ, უფრო დაახლოებული ვიყავი. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ როცა რომელიმე ავადმყოფს რეჟიმს დაუნიშნავდა ხოლმე, მე მავალეებდა თვალყურის დევნებას. მოგეხსენებათ, რა ახირებული ხალხია ჩვენი დამსვენებლები. ისინი ვიდრე სანატორიუმის საგზურს მიიღებენ, ალბათ ადგილობრივ ექიმებს ათასგვარ არსებულ და არარსებულ სნეულებით აბეზრებენ თავს, აქ კი ხშირ შემთხვევაში არ ემორჩილებიან სანატორიუმის რეჟიმს და არღვევენ.

არჩილი ყურადღებით უსმენდა, არ უნდოდა გამოეტოვებინა არც ერთი სიტყვა, კირას ნაამბობი დაწვრილებით შეჰქონდა დაკითხვის ოქმში.

კირა ჩაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ განაგრძო.

— შესანიშნავი ექიმი იყო ნატალია ირაკლიევნა, ის რომ დიაგნოზს დაუსვამდა ავადმყოფს, ვერცერთი პროფესორი ვერ შეედავებოდა. მე მიხაროდა მასთან მუშაობა, იმისგან ბევრი რამ შევიძინე. როგორც მოგახსენეთ, გულჩათხრობილი და მიუკარებელი იყო, მაგრამ, საკმარისი იყო რამე საქმეზე მიგემართათ მისთვის,

იგი გამოიცვლებოდა და მთელ ლექციას წაიკითხავდა. რამდენჯერმე მის ბინაშიც ვყოფილვარ.

— ხომ არ შეგიმჩნევიათ, მასთან ვინ დადიოდა ბინაზე?

— წარმოიდგინეთ, არავინ. იყო შემთხვევა სოფლებიდანაც ჩამოჰყავდათ მასთან ავადმყოფები. მისი სახელი ხომ სოფლებელსაც მოედო. ბინაზე არავის ღებულობდა, დირექტორის ნებართვით სანატორიუმში სინჯავდა ავადმყოფებს. ბევრ ექიმს შურდა მისი ასეთი წარმატება და როცა აქედან წავიდა, ბევრს გაუხარდა კიდევ.

— ვერ მეტყვით, რა იყო მიზეზი მისი ასეთი გულჩახვეულობისა და განმარტოებისა? იგი არცთუ ხნიერი იყო. რას მიეწერებოდა მისი ასეთი საქციელი? — შეეკითხა არჩილი.

— მე მგონია, მისი ქმართან დაშორება უნდა ყოფილიყო მიზეზი. როდის ან რა მიზეზით დაშორდა ქმარს, ეს მე არ ვიცი, მხოლოდ დიდად რომ განიცდიდა ამას, ეს გასაგები იყო ჩემთვის. შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ ამისთანა ინტიმური მხარე ცნობილია ჩემთვის. ერთხელ, როცა მის ბინაში მივედი რაღაც საქმეზე, ვნახე, ნატო მაგიდას უჯდა, ხელში მამაკაცის სურათი ეკავა და თვალცრემლიანი შეჰყურებდა. მე რომ დამინახა, ცრემლები მოიწმინდა, სურათი გამომიწოდა და მითხრა: „აი, ეს არის ჩემი დარდისა და ვარამის მიზეზი. მე ის მიყვარდა, ახლაც მიყვარს, მიყვარს თავდავიწყებით, მაგრამ მან იმისთანა სისაძაგლე ჩაიდინა, რომ მისი დავიწყება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მე მას დავშორდი, დავშორდი სამუდამოდ, წავედი, ის სულ დამდევდა, მევედრებოდა შერიგებას, მაგრამ არა, ის, რაც გატყდა, აღარ გამთელდება“. მე მიკვირდა მისი ასეთი აღსარება. ნატოსაგან ასეთი გრძელი და მგრძნობიარე სიტყვის გაგონება პირველი იყო ჩემთვის. ვიგრძენი, რომ რაღაც დიდ ქარიშხალს გადაეწვლო მის თავზე, საშინელ გრიგალს, რომელსაც ამ განსაკუთრებული ადამიანის ფაქიზი სულის მყუდროება დაერღვია, ცხოვრებაში

წონასწორობა დაეკარგვინებინა. აბა, მე სად მაქვს იმის უნარი, პატივცემულო, აგიწეროთ ის, რაც ვნახე. ნატოს სახის, ტანჯული გამომეტყველების აღწერა მე სად შემიძლია. მისი ლაპარაკის კილო, გულიდან ამონახეთქი ვარამის კილო ისეთი შთამაგონებელი იყო, რომ თვით უსულგულო ადამიანსაც კი აგრძნობინებდა ტანჯვას. ამ სიტყვების შემდეგ იგი შემეცოდა, არა, შემეცოდა კი არა, მე მისდამი ვიგრძენი უადრესი პატივისცემა, უფრო მეტიც, ვიგრძენი მისდამი განუსაზღვრელი სიყვარული. დიახ, იგი შემეყვარდა დედობრივი სიყვარულით, მიუხედავად იმისა, რომ ხნით თითქმის ტოლები ვიყავით. მე ქალი ვარ და ვიგრძენი ტანჯული ქალის მტკივნეული განცდები. თქვენთან ბოდიში და ამას მხოლოდ ქალი მიხვდება და შეიგრძნობს, მხოლოდ ქალი.

მცირე დუმილი ჩამოვარდა, არჩილმაც იგრძნო ნატოს მწარე ხვედრი.

— მისი ქმარი ხომ არ ჩამოსულა აქ, ხომ არ გინახავთ ან გაგიგონიათ? — დაარღვია სიჩუმე არჩილმა.

— როგორ არა, იყო და ვნახე კიდევ, — უპასუხა ქალმა.

— იყო აქ? — თავი ძლივს შეიკავა არჩილმა, რომ არ წამოეყვირა და ეს კითხვა მშვიდად დასვა, — ვინ არის, ვერ მეტყვით?

— ინჟინერი, სახელად გიორგი...

— ინჟინერი გიორგი ქურხული, — ყრუდ ჩაილაპარაკა არჩილმა.

— გვარის რა მოგახსენოთ, გვარი არ ვიცი. სასტუმროში ცხოვრობდა. ნათო რომ გაემგზავრა, მან გააცილა მანქანით, შემდეგ აღარ მინახავს.

— მომიყევით, გეთაყვა, დაწვრილებით... — სთხოვა არჩილმა ქალს. იგი აღტაცებული იყო, მას უკვე ხელში ჰქონდა გასაღები.

— ნატოს გამგზავრების ოთხი დღის წინ, მე მის ბინაში მივედი. უკვე შეღამებული იყო. ის იყო დავაპირე კარის დაკაკუნება და

შესვლა, რომ მოულოდნელად ოთახიდან მამაკაცის აღელვებული ხმა შემომესმა. გამიკვირდა, ნატოსთან მამაკაცი, ეს ხომ ყოველად წარმოუდგენელი ამბავი იყო. უნდა ვაღიარო ჩემი უწესო ქცევა, არ წავედი, კარს უკან გავჩერდი და ყური დავუგდე. მამაკაცი ლაპარაკის დროს ენას უკიდებდა.

არჩილს გაახსენდა სანდრო ყარაშვილის ნათქვამი დაკითხვის დროს: „ბეჭდის გამყიდველი ენას უკიდებდაო“.

— „ნატო, გევედრები, ნურც მე მღუპავ და ნურც თავს იღუპავ, დაივიწყე წარსული, რაც მოხდა, მოხდა, მიაფურთხე ეშმაკს და დამიბრუნდი“. — ისმოდა მამაკაცის ხმა.

— „არა, გიორგი, არის ისეთი რამ ცხოვრებაში, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება. მე სუსტი ქალი ვარ, არა მაქვს იმდენი ძალა, რომ საკუთარ გულს შევებრძოლო, გატეხილ გულს... აბა მითხარი, რაღაში გამოგადგები? მე ხომ ის ნატო აღარა ვარ, როგორიც ოდესმე ვიყავი, მე მისი აჩრდილი დავრჩი. დაგიბრუნდე? რა მიზანი აქვს ჩემ დაბრუნებას? მე ცოლობა აღარ შემიძლია, ჩემში თუკი იყო ქალური რამ, ყველაფერი მოკვდა“. — უპასუხა ნატომ.

— „არა ნატო, არა ჩემო მზეო! ხაზი გადავუსვათ წარსულს და დავივიწყოთ. თავიდან დავიწყოთ ახალი ცხოვრება, — ევედრებოდა მამაკაცი, — განა არ იცი, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, უშენოდ ჩემთვის ბნელა“.

— „ადრე უნდა გეფიქრა და არ დაგებნელებინა, ახლა გვიანლა არის“.

— „ნატო, უკანასკნელად გევედრები, ნუ მტანჯავს, მეტი აღარ შემიძლია“.

— „არა, გიორგი, არა. ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია, თავს ნუ იმცირებ, კმარა“.

— „მაშ არა?“

— „გეუბნები არა-მეთქი, არა და არა...“

— „მაშ იცოდე, ნატო, შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ“.

— „ჩემთვის სიცოცხლემ დიდი ხანია ფასი დაკარგა. მე მხოლოდ ის მასულდგმულებს, რომ კიდევ საჭირო ვარ ადამიანებისთვის, ავადმყოფებისთვის“.

— „მოგკლავ, მოგკლავ“...

— „რაღას უყურებ? მე მზადა ვარ. არ გეგონოს, წივილ-კივილი ავტეხო“...

სიტყვა ვედარ გავარჩიე, შემომესმა მამაკაცის ღმუილისმაგვარი ხმა. მე შემეშინდა მართლა არ მოეკლა ნატო, ანგარიშმიუცემლად, გაუფრთხილებლად შევალე კარი და დავინახე ბრგე, ახოვანი მამაკაცი ბებუთით ხელში, სახეარეული, თითქოს ეს არის უნდა მივარდეს ქალს და სიცოცხლეს გამოასალმოსო. ნატო მის შორიახლო წყნარად იდგა.

ჩემი შესვლისთანავე მამაკაცმა მოიხედა და რომ დამინახა ხელები ჩამოუშვა, უცებ მოწყდა ადგილიდან და გაღებულ კარში გავიდა.

მე შიშით აცახცახებული შევცქეროდი ნატოს, ის კი, თითქოს იქ არაფერიაო, წყნარად შემეკითხა:

— ხომ არ შეგეშინდა, კირა? ეგ კაცი ჩემი ყოფილი ქმარია. როცა გაბრაზდება, ანგარიშს აღარ აძლევს თავის თავს. რას იზამ, არიან ცხოვრებაში ასეთი არსებანი.

— რომ მოეკალით?

ნატოს თვალებზე ბინდმა გადაჰკრა, უხმოდ ხელი ჩაიქნია და შემეკითხა:

— ასე უდროოდ რამ მოგიყვანა, ჩემო კირა?

მესამე დღეს ნატომ ანგარიში გაასწორა, მიიღო თავისი საბუთები და წასასვლელად მოემზადა.

— იქნება დაგჭირდეთ რამეში?— ვკითხე მე.

— არა, ჩემო კირა, ჩემი ავლადიდება ორ ჩემოდანში ჩაეტია, აბა რა დიდი ბარგის პატრონი მე ვარ, — წყნარად მიპასუხა მან.

— ნება მომეცით, გაგაცილოთ მაინც.

— თუკი არ შეწუხდებით? ჰო, მართლა, წუხელი ჩემი ყოფილი ქმარი ხელახლა მესტუმრა. თითქოს ბედს შეურიგდაო. ბოდიში მომიხადა, წყნარად მელაპარაკა. მთხოვა გავეცილებინე, მეც უარი ვერ ვუთხარი, შემეცოდა. თუკი ჩემი გაცილება მას სიამოვნებას მიანიჭებს, დაე, ეს უკანასკნელი გამომშვიდობება იყოს.

— მერედა, არ გეშინიათ, გზაში რომ აგიტეხოს რამე?! — შევშფოთდი მე.

— არა, ფიქრი ნუ გაქვს, მანქანაში მარტონი ხომ არ ვიქნებით? მანქანის მძღოლთან აბა რას გაბედავს? — მიპასუხა მან.

— თავზე ხელაღებული კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, გირჩევთ, უარი უთხრათ, — შევეხვეწე მე.

ნატომ გამიღიმა, მაგრამ პასუხი არ გამცა, თავის დუმილით თითქოს მეუბნებოდა, ფიქრი ნუ გაქვს, არაფერიც არ მოხდებაო.

იმ საღამოს მივედი ნატოსთან. მოვიდა ნატოს ქმარიც. ისინი მანქანაში ჩასხდნენ, ნატოს ორი ჩემოდანი მანქანის საბარგულში ჩააწყვეს. მე ნატოს გამოვემშვიდობე და მანქანაც დაიძრა. აი, ყველა ის, რის თქმაც შემიძლია, — დაასრულა კირამ.

— მანქანაში მძღოლის გარდა სხვა ხომ არავინ ყოფილა? — შევკითხა არჩილი.

— არა, ნატო, მისი ქმარი და მძღოლი, მეტი არავინ იყო.

— მანქანის მძღოლს თუ იცნობთ? — ხელახლა დაუსვა კითხვა არჩილმა.

— არა, არ ვიცნობ და არც მიმიქცევია მისთვის ყურადღება, — შეიშმუშნა კირა.

არჩილს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთხრა.

— შეგიძლიათ ამიწეროთ როგორი იყო მანქანა, ან ნომერზე ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება?

— „პოხედა“ იყო, ფერს ვერ გეტყვით, უკვე საკმაოდ ბნელოდა და ვერ გავარჩიე, ნომრისთვის კი ყურადღება არ მიმიქცევია.

არჩილმა დაკითხვის ოქმი გააფორმა და ხელი მოაწერინა მოწმეს.

— ამხანაგო კირა, თქვენ შეიძლება კიდევ დამჭირდეთ, ასე რომ, თქვენი შეწუხება ხელახლა მომიხდება, — მოიბოდიშა არჩილმა.

— თუკი საჭირო ვიქნები, დიდი სიამოვნებით.

— თქვენ თავისუფალი ხართ, ამხანაგო კირა, ნახვამდის.

— ნახვამდის, — გაიმეორა ქალმა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა.

— გინდა მითხრათ რამე? — შეეკითხა ქალს არჩილი.

— ერთი ეს მიბრძანეთ, რაშია საქმე? ნუთუ ნატოს დაემართა რამე, ნუთუ იმ საზიზღარმა მაინც სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა? — ქალს თვალები ცრემლებით აევსო.

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო კირა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცუდი არაფერი მომხდარა, — არჩილი დაფიქრდა. კირა თავჩაღუნული იჯდა და ცრემლები ჩამოსდიოდა. არჩილს შეეცოდა ქალი.

— ჰო, აი რა, ამხანაგო კირა, გთხოვთ ჩვენი დღევანდელი საუბარი საიდუმლოდ შეინახოთ, — სთხოვა არჩილმა.

— თუკი ეს საჭიროა...

— ჯერჯერობით საჭიროა! ახლა შეგიძლიათ.

— სიტყვას გაძლევთ, — ქალმა ცრემლი მოიწმინდა და გავიდა.

არჩილი ფიქრებში წავიდა, მან თავის გონებაში ხელახლა გადასინჯა მთელი შეგროვილი მასალა, ყოველ კუთხე-კუნჭულში შეიხედა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ნატო იმდენად იყო შეურაცხყოფილი თავისი ყოფილი ქმრის გიორგი ქურხულისგან, რომ ვერ ეპატიებინა დანაშაული და მიუხედავად მისი სიყვარულისა, კატეგორიულ უარზე იყო დაბრუნებოდა მას, — ფიქრობდა არჩი-

ლი, — გიორგი ალბათ ყველგან სდევნიდა ნატოს და ნატოც იძულებული გახდა, საქართველოსაც კი გასცლოდა. შეიძლება გიორგიმ მოისყიდა მანქანის მძღოლი და მასთან ერთად ჩაიდინა მკვლელობა? მაგრამ რაღაზედ დასჭირდა მას მეორე დილით უკან დაბრუნება სასტუმროში? განა ბოროტმოქმედი იმას არ ეცდება, რომ დანაშაულის კვალი, რაც შეიძლება ოსტატურად მიჩქმალოს? დავუშვათ, რომ გიორგის წინასწარ ჰყავდა შეპირებული მძღოლი, არ აჯობებდა მანქანას სადმე გზაში დახვედროდა და ისე მოეყვანა სისრულეში ბოროტი განზრახვა? ამის მამხილებელი მოწმე ხომ აღარ ეყოლებოდა, როგორც ამ შემთხვევაში ფერშალი ქალი კირა ზაბორა იყო. გიორგი ქურხულმა გზაში მოჰკლა თავისი ყოფილი ცოლი, ნატო სულიაშვილი, თითიც შეაჭრა, რომ ბეჭედი გაეთავისუფლებინა, მაგრამ თითი როგორ აღმოჩნდა უღრან ტყეში? განა დასაშვებია, რომ სპეციალურად წასულიყო იქ თითის გადასაგდებად? რა თქმა უნდა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. განა ეჭვს არ ბადებს ბეჭდის გაყიდვის ამბავიც? რაღა მძღოლს მიჰყიდა ბეჭედი?! თუმცა... ხომ შეიძლება, რომ სანდრო ყარაშვილი იყოს ამ ბოროტმოქმედების თანამონაწილე და გიორგიმ ბეჭედი კი არ მიჰყიდა, არამედ „გასამრჯელოს“ სახით მისცა...თუკი გიორგი მაინც დაბრუნდა უკან, ალბათ მას რაღაცა სხვა საქმე ექნებოდა კიდევ. ალბათ ვისმეს უნდა შეხვედროდა და ამან აიძულა უკან დაბრუნება.

ვინ არის ის უცნობი? ეს ყოველმიზეზგარეშე უნდა იქნას დადგენილი. გიორგი ქურხული უმიზეზოდ არ დაბრუნდებოდა უკან. რა საშუალებით შეიძლება მოინახოს უცნობი? იგი ალბათ სანატორიუმში ისვენებს საგზურით. ხომ შეიძლება უცნობიც ინჟინერ-გეოლოგი იყოს და მასთან ჰქონოდა საქმე ქურხულს?

არჩილი ალღომ არ მოატყუა. დამსვენებელთა შორის აღმოჩნდა პროფესორი სამარინი, რომელთანაც გიორგი ქურხული საკონსულტაციოდ ჩამოსულა.

პროფესორ სამარინის დასკვნით ინჟინერი გიორგი ქურხული დიდად ნიჭიერი გეოლოგია. მასზედ რომ პირად ტრაგედიას არ ემოქმედა, ბევრად წინ წაიწევდა და ცნობილი გახდებოდა, მაგრამ ადამიანის ცხოვრება ხშირად ისე არ მიემართება, როგორც თვით მას სურს.

— ვიცი, მისი ტრაგედია დაიწყო ცოლთან განშორების შემდეგ. რა ნიადაგზე მოხდა მათი დაცილება არ ვიცი, გიორგის არაფერი უთქვამს ჩემთვის და არც მე მიკითხნია.

არჩილ ჩოხელმა პროფესორ სამარინისგან შეიტყო გიორგი ქურხულის მისამართი და ქალაქისკენ გაემგზავრა.

4

ქალაქში დაბრუნებისთანავე არჩილ ჩოხელმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა პოდპოლკოვნიკ ზურაბ ლომაურს.

უფროსმა შეაქო არჩილი მოხერხებულად ჩატარებულ მუშაობისთვის. იგი არ მოელოდა, თუ არჩილ ჩოხელი ასე მალე შეძლებდა ამდენი საყურადღებო მასალის შეგროვებას და რაც მთავარია, თითის პატრონის დადგენას.

ეჭვს არ ბადებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი მოკლული იყო თავისივე ყოფილი ქმრის ინჟინერ გიორგი ქურხულის მიერ. მხოლოდ ერთი რამ მაინც უსაყვედურა ზურაბმა არჩილს, რომ მან ბეჭედი არ ჩამოართვა სანდრო ყურაშვილს და როგორც ნივთიერი მტკიცება არ დაურთო საქმეს.

არჩილი გრძნობდა, რომ მეტად სერიოზული შეცდომა დაუშვა იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა გიორგი ქურხულის და სანდრო ყურაშვილის კავშირი ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, ბეჭედი ხომ მთავარი მამხილებელი საბუთი იქნებოდა!

საჭირო იყო გიორგი ქურხულის ბინის დაუყოვნებლივ გაჩხრეკა, მისი დეტალური დაკითხვა და თუკი საკმარისი მასალებიც მოგროვდებოდა, მისი დაპატიმრებაც.

ღამის ათი საათი იქნებოდა, არჩილ ჩოხელი ოპერატიულ მუშაკ ხუტა გაწერელიასთან ერთად გიორგი ქურხულის ბინაზე რომ გამოცხადდა.

ზარის დარეკვაზე კარი პირადად გიორგი ქურხულმა დააღო და როდესაც მილიციის ფორმაში გამოწყობილი არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია დაინახა, შეკრთა, არასასიამოვნო იერმა გადაურბინა სახეზე.

— ჩვენ ინჟინერი გიორგი ქურხულის ნახვა გვინდა.

— მე გახლავართ, მობრძანდით... — შეიპატიჟა ქურხულმა მილიციის თანამშრომლები

პირველი, რაც ბინაში შესვლისთანავე თვალში მოხვდა არჩილს, ეს იყო ნატო სულიაშვილის სურათი, ჩამოკიდებული საწერი მაგიდის თავზე.

ოთახში უწესრიგობა იყო. ეტყობოდა, რომ ბინას დიასახლისის მზრუნველი ხელი აკლდა.

გიორგი ქურხულმა შეამჩნია არჩილის სახეზე ირონიული ღიმილი, მიხვდა მიზეზს და თვითონაც მწარედ გაიღიმა.

— ბოდიში, რომ ასეთ არეულ ბინაში მიგიღეთ. მოგეხსენებათ მარტოდმარტო ვცხოვრობ, უდიასახლისოდ. დილით რომ სამუშაოდ მივდივარ გვიან ღამით ვბრუნდები. არის შემთხვევა, რომ ხანდახან სულ არც კი მოვდივარ ხოლმე შინ და ამის მიზეზით არის გამოწვეული ეს არეულობა.

ოთახში სუფრა იყო გაშლილი, მაგიდაზე თევზის კონსერვის თუნუქის გახსნილი კოლოფი, თუშური ყველი, თონის პური, ერთი სანახევროდ დაცლილი და ერთიკ არყით სავსე ბოთლები ელაგა. მაგიდასთან შუახნის ჯმუხი მამაკაცი იჯდა, რომელიც არჩილისა და ხუტას შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა.

— ეს ექიმ ნატო სულიაშვილის სურათი არ არის? — შეეკითხა არჩილი და სურათზე მიუთითა.

— დიას, ჩემი ყოფილი ცოლია, ექიმი ნატო სულიაშვილი. თქვენ მას იცნობდით? — დაინტერესდა ქურხული.

— არა, თვალთაც არ მინახავს.

— მაშ, აბა როგორ! — გაიკვირვა ქურხულმა.

ამაზე მერე...ახლა სხვა საქმეზე ვართ მოსული. — უპასუხა არჩილმა.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — დაბნეულად იკითხა მას-პინძელმა.

არჩილმა ქურხულს ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი გაუწოდა.

გიორგი ქურხულმა წაიკითხა ორდერი და გაფითრდა.

— ჩემი ბინის გაჩხრეკა და ჩემი დაპატიმრება? — ამოხდა ქურხულს, — რატომ. ბატონო, განა რა დავაშავე ისეთი?!

— თქვენი ჩადენილი დანაშაული თქვენ თვითონვე უნდა იცოდეთ.

— მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია!

— ამაზე მერე გვექნება ლაპარაკი. — ხუტა, მიუბრუნდა არჩილი გაწერელიას, — მონახე სახლის რწმუნებული და ერთ-ერთი მეზობელი ჩხრეკაზე დასასწრებად.

ხუტა გაწერელია ოთახიდან გავიდა.

— ბოდიში, მე ხომ ზედმეტი არა ვარ? — იკითხა გიორგი ქურხულის სტუმარმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა მას არჩილი.

— ინჟინერი მიხა თვაური გახლავართ. გეოლოგიურ-საძიებელი პარტიის უფროსი. მე და ინჟინერი გიორგი ქურხულია ერთად ვმუშაობთ.

— შეგიძლიათ დარჩეთ, — უთხრა არჩილმა და ოთახს თვალიერება დაუწყო.

ოთახში ძვირფასი საწერი მაგიდა იდგა, რამდენიმე კარადა წიგნებით სავსე, რბილი სავარძელი, სასადილო მაგიდა, პიანინო.

„ლოგინი არსად ჩანს, მაშასადამე, გიორგი ქურხულს მეორე ოთახიც აქვს“ — გაიფიქრა არჩილმა.

— მაინც არ მეტყვიტ რაშია საქმე? — იკითხა ხელახლა გიორგიმ.

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. მოითმინეთ, მაგასაც მოვასწრებთ. — უპასუხა არჩილმა.

ოთახში შემოვიდა ხუტა გაწერელია და შემოიყვანა სახლის რწმუნებული ქალი და მეზობელი მამაკაცი.

— მობრძანდით, — მიეგება მათ არჩილი, — დიდი ბოდიში, რომ ასე უდროოდ შეგაწუხეთ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, გთხოვთ დაესწროთ ბინის ჩხრეკას.

მოსულებმა გაიკვირვეს, როდესაც გაიგეს არჩილის სიტყვები ბინის გაჩხრეკის შესახებ, მაგრამ შეკითხვებისაგან თავი შეიკავეს.

— ხუტა, შევუდგეთ საქმეს, — უთხრა არჩილმა გაწერელიას.

პირველ ოთახში დეტალური გაჩხრეკით ვერაფერი იქნა აღმოჩენილი.

მეორე, საძილე ოთახში, საწოლის ქვეშ, გამტვერიანებულ ჩემოდანში სხვა ნივთებთან ერთად მამაკაცის კოსტუმი იყო, სისხლის ლაქებით.

— ვისია ეს კოსტუმი? — შეეკითხა არჩილი ქურხულს.

— რა თქმა უნდა, ჩემია — უპასუხა მან.

არჩილმა კოსტუმის ჯიბიდან სისხლიანი ცხვირსახოცი ამოიღო.

— ცხვირსახოციც თქვენია?

— უეჭველად, რაც შეეხება სისხლს, საქმე იმაშია, რომ ცხვირიდან სისხლი წამვარდა და...

— ამაზე შემდეგ, დაკითხვის დროს, — გააწყვეტინა არჩილმა. კოსტუმის უბის ჯიბიდან სისხლიანი ბებუთი ამოიღო ხუტამ. გიორგი ქურხული გაფითრდა, დაბარბაცდა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

— სისხლიანი ბებუთი? ჩემს ჯიბეში? — ამოიკვნესა ქურხულმა. — საიდან, როგორ?

— ამის პასუხს ჩვენ თქვენგან მოველით, — წყნარად, მაგრამ მკაცრად უპასუხა არჩილმა.

— არა, არა, ეს შეუძლებელია. ჩემს ჯიბეში სისხლიანი ბებუთი?!

დამსწრენი გაკვირვებით მიაჩერდნენ გიორგი ქურხულს, შემდეგ კი ხმაამოუღებელივ ერთმანეთს გადახედეს...

— თქვენ გეკუთვნით? — ირონიული ღიმილით შეეკითხა არჩილი.

— კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არა!

— ჩემოდანი ვისია?

— ჩემი გახლავთ.

— კოსტუმი?

— ისიც ჩემია.

— ცხვირსახოცი?

— ჩემია, ყველაფერი ჩემია, ყველაფერი, გარდა ბებუთისა. მე ჩემს სიცოცხლეში არ მქონია ამის მსგავსი რამ.

გიორგი ქურხულია აკანკალდა, ხმა წაერთვა და ისედაც ენა-მოჩლექილმა კაცმა, რაღაც გაურკვეველად დაიწყო ლუღლუღი.

— დაწყნარდით, ნუ ღელავთ, ყველაფერს გამოვარკვევთ, — უთხრა მას არჩილმა, — ახლა კი იძულებული ვარ, დაგაპატიმროთ.

ბინის ჩხრეკას მორჩნენ. არჩილმა შეადგინა აქტი და ხელი მოაწერინა დამსწრეებს

გიორგი ქურხულმა აქტზე ხელი არ მოაწერა.

— ჩასწერეთ, ჩასწერეთ, რომ სისხლიანი ბებუთი ჩემი არ არის,
— კანკალებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიძახოდა იგი.

— ჩვენ მხოლოდ იმას ვწერთ, რომ ბებუთი თქვენს ბინაში აღ-
მოვაჩინეთ.

— ალბათ მტერი მყავს, იქნებ ვინმე შემოიპარა ჩემს ბინაში,
განგებ მომიწყო ეს ამბავი! — დაბნეულად გაიძახოდა იგი.

— ვისზე გაქვთ ეჭვი? — შეეკითხა არჩილი. — ეჭვი? ეჭვი... ვის-
ზედ უნდა მქონდეს. არავისზე, მხოლოდ... საიდან, როგორ?..

— ამას ძიება გამოარკვევს.

არჩილმა ბინა დალუქა და სახლის რწმუნებულსა და მეზო-
ბელს ჩააბარა.

დაპატიმრებული გიორგი ქურხული წაიყვანეს.

5

მეორე დილით, სრულ ცხრა საათზე, გიორგი ქურხული საკანადან ამოიყვანეს და ზურაბ ლომაურს წარუდგინეს.

— მხოლოდ ერთმა ღამემ განვლო, რაც გიორგი ქურხული და-აპატიმრეს და მოკლე ხნის განმავლობაში ეს ბრგე ვაჟკაცი დაჩიავდა, მოიკუნტა თვალები შეშლილსავით გაუხდა.

მისი პირველი დაკითხვა პირადად ზურაბ ლომაურმა ჩაატარა. დაკითხვას არჩილ ჩოხელიც დაესწრო, რომელიც ჩვენების ჩასაწერად მოემზადა.

— აბა, მოგვიყევით ყველაფერი, — ზურაბმა მზერა მიაპყრო ქურხულს.

ქურხულმა პასუხი არ გასცა. იგი სდუმდა.

— მაშ არ გინდათ ილაპარაკოთ? — ხელახლა შეეკითხა ლომაური.

— მე არ ვიცი, თქვენ რა გაინტერესებთ! — ხმის კანკალით თქვა ქურხულმა, — გამაგებინეთ მაინც, რაშია საქმე? რაში მდებთ ბრალს? ნუთუ ვიღაც თავგებულადღებული ავაზაკი გგონივართ?

— მე ჯერ არ მითქვამს ჩემი აზრი თქვენზე და რატომ გამო-
გაქვთ ნაადრევი დასკვნა? ჩვენ გვაინტერესებს თქვენი პიროვნე-
ბა.

— ჩემი პიროვნება გაინტერესებთ? განა არ იცით ვინცა ვარ?
შეეკითხეთ გეოლოგიურ სამმართველოს, იქ გეტყვიან ვინცა
ვარ. შეეკითხეთ ჩემს ამხანაგებს, ისინი გეტყვიან. მე არა ვარ ბო-
როტმოქმედი. მე პატიოსანი საბჭოთა მშრომელი ადამიანი ვარ.
ვიცი თქვენ რაც გაინტერესებთ. ჩემს ჩემოდანში აღმოჩენილი
სისხლიანი ბებუთი...

— ამაზე შემდეგ, მოქალაქე ქურხულო. მოგვიყევით თქვენი
თავგადასავალი, სად დაიბადეთ, სად იზრდებოდით.

— ამას დიდი დრო დასჭირდება!

— არაფერია, ყურადღებით მოგისმენთ!

გიორგი ქურხული ჩაფიქრდა და დაიწყო.

იგი დაიბადა უბრალო მუშის ოჯახში. მამამისი რკინიგზის მე-
მანქანე იყო, ხოლო დედა — მკერავი ქალი, ფაბრიკის მუშა.

ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო, მშობლების შემოსავალი
ძლივს ჰყოფნიდა და ხელმოკლეობას განიცდიდა.

გიორგი ექვსი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. ოჯახის მზრუნ-
ველობა დედას დააწვა კისერზე, მაგრამ იგი არ შეუდრკა არავი-
თარ გაჭირვებას, შვილები დაზარდა, ადამიანებად აქცია.

გიორგის უფროსი ძმა ამჟამად რაიონში ერთ-ერთ მსხვილ სა-
წარმოს ხელმძღვანელობს, ორი მომდევნო და კი პედაგოგია.
ისინიც რაიონში მუშაობენ.

სამთო ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო გი-
ორგი, როცა ომი დაიწყო გერმანელ ფაშისტებთან. რამდენჯერ
დააპირა არ მოეცაძნა ინსტიტუტის დამთავრებისათვის და წასუ-
ლიყო ფრონტზე, მაგრამ უარს ეუბნებოდნენ, სანამ ინსტიტუტს
არ დაამთავრებდა, ჯარში არ მიჰყავდათ.

ინსტიტუტი წარმატებით დაამთავრა და სულ მოკლე ხანში არ-
მიაში წავიდა საარტილერიო პოლკის ოცეულის მეთაურად.

მისი ჯარში წასვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ფაშის-
ტური მხედრობა სტალინგრადის გმირული ეპოპეის შემდეგ უკან
იხევდა და თანდათან სტოვებდა მიტაცებულ მიწაწყალს.

უკრაინაში, ერთ-ერთი გამძაფრებული ბრძოლების დროს გი-
ორგი მძიმედ დაჭრილა. როგორ გამოიტანეს ბრძოლის ველი-
დან და როგორ მიიყვანეს საველე ჰოსპიტალში, არ გაუგია. გონს
რომ მოსულა, ყველაფერი მოჰგონებია. გაახსენდა მისმა ბატა-
რეამ მტრის ორი „ვეფხვი“ და ერთი „ფერდინანდი“ როგორ გა-
ანადგურა.

ერთ თვეს წოლილა ჰოსპიტალში. ნერვიულობდა, უნდოდა
ჩქარა წასულიყო იქიდან და ხელახლა ჩამდგარიყო მეგრძოლთა
რიგებში.

ცოტათი რომ მომჯობინდა და სიარულის უფლება მისცეს ექი-
მებმა, თავი უკვე ჯანმრთელად წარმოიდგინა და ჰოსპიტალიდან
გაპარვაც კი დააპირა, მაგრამ თავი რომ გამოსცადა სიარულში,
მიხვდა, რომ ჯერ კიდევ ადრე იყო წასვლა ბრძოლის ველზე, გუ-
ლი კი არ უთმენდა.

— საველე ჰოსპიტალი სამედიცინო პერსონალის მწვავე ნაკ-
ლებობას განიცდიდა, — განაგრძობდა ქურხული, — განსაკუთრე-
ბით მაშინ, როდესაც დიდი ბრძოლები ხდებოდა და ჰოსპიტალში
აუარებელი დაჭრილები მოჰყავდათ...

გიორგი ქურხული დადუმდა, ამოიოხრა და ჩაფიქრდა.

ბურაბ ლომაური და არჩილ ჩოხელი მოთმინებით მოელოდ-
ნენ, როდის განაგრძობდა სიტყვას იგი, გრძნობდნენ, რომ ყველა
ამ ამბავს არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გიორგისა და
ნატოს ურთიერთობასთან. ისინი გრძნობდნენ, რომ გიორგი თა-
ვის ნაამბობში გულწრფელი იყო და არაფერს მონაგონს არ ამ-

ბობდა. უკვირდათ, ნუთუ მგრძნობიარე ადამიანს შეეძლო მოეკლა არსება, რომელიც, როგორც მათ წარმოდგენილი ჰქონდათ კირა ზაბორას დაკითხვიდან, გაგიჟებით უყვარდა.

გიორგი ქურხულმა ამოიოხრა, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და განაგრძო:

— ჰოსპიტალში ექიმთა შევსება მოვიდა. მათ შორის ნატო სულიაშვილიც იყო. მიუხედავად თავისი სიახალგაზრდავისა, იგი ნამდვილ დედად და დად მოეწვლინა მებრძოლეებს. მძიმედ დაჭრილებს ღამეებს უტევდა.

ერთხელ ნატო შემოვიდა ჩემთან, ყველა ჩვენგანს ისე შეგვიყვარდა ის ქალი, რომ მისი დანახვაც კი მზის გამობრწყინება იყო ჩვენთვის. მისი მხიარული სახე, სიცილი, სილაღე, სიცოცხლე, ჩვენ მხნეობას გვმატებდა.

ღიას შემოვიდა, ხელში ბეწარში გახვეული რაღაც ეჭირა.

— აბა, ძმებო, გამოიცანით, რა არის შეხვეული ამ ბეწარში? — ეშმაკურად გაგვიღიმა ნატომ.

— რა უნდა იყოს? — ვიფიქრეთ ჩვენ და ვერც ერთმა ვერ გამოიცნო.

— ოი, თქვენ კი რა გითხრათ, — გადაიკისკისა მან და აკორდეონი გამოიღო. — აბა, მითხარით რა გიმღეროთ?

— სულიკო, სულიკო? — წამოიძახა ახალგაზრდა უკრაინელმა, რომელიც განსაკუთრებული მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით იყო დაჯილდოებული სამშობლოს მიერ, — მე ძალიან მიყვარს ეს სიმღერა.

ნატომ დაიწყო დაკვრა აკორდეონზე და სულიკოს დამღერება, თანდათან ყველა აყვევით. უკრაინელები უკრაინულად მღეროდნენ, რუსები რუსულად... ჩვენი სიმღერის გუგუნზე სხვა ოთახებიდანაც მოიყარეს თავი და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ჰოსპიტალის უფროსიც კი მოვიდა.

ნატომ ჩვენი თხოვნით იმღერა რამდენიმე რუსული სიმღერა

და ჩვენც აგვამღერა.

ამის შემდეგ დაიწყო ასეთი კონცერტები. თუკი ახალი დაჭრილები და ავადმყოფები არ მოჰყავდათ და ნატო თავისუფალ დროს იშოვიდა, სულ ჩვენთან იყო და არამართო დაკვრით და სიმღერით გვართობდა, შესანიშნავი კვიმატი ნაკვესების თქმაც იცოდა და ამით გვახარებდა გვართობდა.

დადგა გამომშვიდობების დღეც.

ნატო გადაგვეხვია ჰოსპიტალიდან გაწერილ მებრძოლებს, თან და-ძმური კოცნა და გამარჯვების სურვილი გავგატანა.

მას შემდეგ შეიჭრა ნატო ჩემს გულში, ჩემს აზრში, ჩემს ფიქრებში.

ბრძოლებით გავიარე უკრაინა, მოლდავეთი. სულ ომის ცდაში ვიყავი, ისეთი რამ ჩამედინა, რომ ჩემი სიმამაცის ამბავი ფრონტის გაზეთში ჩაწერილიყო და ნატოს წაეკითხა. ჩვენ ხომ ერთ ფრონტს, მესამე უკრაინის ფრონტს ვეკუთვნოდით. დივიზიის გაზეთში რამდენჯერმე მოვხვდი, მაგრამ ვინ იცის, ჩვენი დივიზიის გაზეთი მიდიოდა თუ არა იმ ჰოსპიტალში, სადაც ნატო მუშაობდა.

დიახ, ვიბრძოდი სამშობლოსათვის, ვიბრძოდი ხალხისათვის და... ვიბრძოდი ნატოსთვის. ნატოს სახე ოდნავადაც არ მცილდებოდა გონებიდან. რამდენჯერმე დავაპირე წერილის მიწერა, მაგრამ თავი შევიკავე, ვერ გავბედე.

ათას ცხრაას ორმოცდაოთხი წლის სექტემბერში გავტეხეთ მტრის წინააღმდეგობა და დუნაის იქით გადავისროლეთ. შევედით რუმინეთში, იქიდან ბულგარეთსაც ვეწვიეთ, შემდეგ იუგოსლავიას და ბოლოს უნგრეთს. შევედით ბუდაპეშტში, უნგრეთის დედაქალაქში. პეშტი დავიკავეთ, ხოლო ბუდა მოწინააღმდეგის ხელში იყო. იქ მივიღე მეორე სერიოზული ჭრილობა. იმ დროს მე უკვე საარტილერიო დივიზიონის მეთაური ვიყავი და კაპიტნის წოდება მქონდა.

არ ვიცი, ბედი იყო თუ რა, ხელახლა მოვხვდი საველე ჰოსპიტალში, სადაც ნათო სულიაშვილი მუშაობდა.

მისვლისთანავე ნათომ მიცნო, უდიდესი მზრუნველობით მომეკიდა და, თუ სიკვდილს გადავურჩი, და არ გადამიტანეს ჭრილობებმა, ამაში მხოლოდ ნათოს უნდა ვუმაღლოდე.

ნათოს ყოველი შემოსვლა ჩვენთან მზის ამოსვლასა ჰგავდა. მის დანახვაზე ჩემი თვალები სიხარულის წყაროდ იქცეოდა ხოლმე, მისი ყოველი გამოხედვა მაგრძნობინებდა, რომ მასაც თუ არ ვუყვარდი, ყოველ შემთხვევაში, მოვწონდი მაინც. მართალია, ნათო არავისთვის არ იშურებდა ღიმილს, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ მისი ღიმილი მხოლოდ მე მეკუთვნოდა, მე და სხვა არავის.

ერთი აზრი მაწუხებდა მხოლოდ, ნათოს გული იყო თუ არა თავისუფალი, ხომ არ იყო ნათო გათხოვილი და აი, ერთხელ, როდესაც უკვე ფეხზე ავდექი და ჰაერზე გამოვედი, ნათოს შეხვედრისთანავე, ვერ მოვითმინე და შევეკითხე. ამის შესახებ მან მიპასუხა:

— ეჰ, ჩემო გოგი, როგორ გგონია, განა ჩემი გული აქამდე თავისუფალი დარჩებოდა? მისი გმირი შენსავით ბრძოლის ველზეა და მტერს ანადგურებს.

გული მეტკინა, მაგრამ რა ღონე მქონდა, თავი შევიკავე და ჩემს თავს პირობა მივეცი, ნათოს შემდეგ ქალს არ შევეყროდი ცხოვრებაში.

გიორგი ხელახლა დადუმდა. ზურაბი და არჩილი ისე გაიტაცა გიორგის ნაამბობმა, როგორც მხატვრულად დაწერილმა ლამაზმა მოთხრობამ.

— ბოდიში, ერთი ჭიქა წყალი თუ შეიძლება.

არჩილმა სავსე ჭიქა გაუწოდა, გიორგიმ სულმოუთქმელად დალია.

— პაპიროსს ხომ ეწევით? — შეეკითხა ზურაბი და სათუთუნე გაუწოდა.

გიორგიმ გამოართვა პაპიროსი და მოუკიდა, ღრმად მოქაჩა.

— შეიძლება ჩემი ეს თავგადასავალი არ იყოს თქვენთვის საინტერესო, მაგრამ...

— არა, ჩვენ გულისყურით გისმენთ, განაგრძეთ, — უპასუხა ზურაბმა.

გიორგიმ განაგრძო:

— დადგა საინტერესო წუთიც. დაემხო ფაშიზმი. ჩვენ გავიმარჯვეთ. მე მაშინ ისევ ჰოსპიტალში ვიყავი, თითქმის მთლად განკურნებული. ჰოსპიტალიდან მალე გავეწერე, გამოვემშვიდობე ნატოსაც. წავედი, მაგრამ გული კი იქ დავტოვე, ჰოსპიტალში. ნატოსთვის რა უნდა მეტქვა გამომშვიდობებისას? მან ხომ მითხრა, რომ მისი გულის სწორი ბრძოლის ველზეა და ისიც სხვებთან ერთად იბრძვის.

ჰოსპიტალიდან წამოსვლის დღიდან ამეკვიატა ნატოს სახე და აჩრდილივით თან დამდევდა. იქამდე მიმიყვანა, რომ ნატოსთან წერილი მიმაწერინა.

ერთ კვირაში პასუხი მივიღე, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. წერილი მეტად გულთბილი იყო. ასეთი წერილის მოწერას ალბათ ქალი თუ შესძლებდა, მხოლოდ და მხოლოდ ქალი.

დაიწყო ჩვენს შორის მიმოწერა. გავიდა თვეები. შორეულ აღმოსავლეთშიც განადგურდა მტერი. დაიწყო ჯარების დემობილიზაცია. ერთ მშვენიერ დღეს უკვე თბილისში ამოვეყავი თავი და ოფიცრის მაზარა გავიხადე.

მალე ნატოც დაბრუნდა. ჩვენი შეხვედრა სრულიად მოულოდნელად მოხდა თეატრში.

თეატრიდან იგი შინ გავაცილე, მარტო არ იყო, მეგობარი ქალი ახლდა თან. ფეხით წავედით, გზაში ბევრი ვისაუბრეთ.

— ნატო, გენაცვალე, როგორ დაბრუნდა ის?.. ხომ ცოცხალია,

ჯანმრთელი? — ვერ მოვითმინე და შევეკითხე.

— ვინ ის? ვისზე მეკითხებით გოგი? — გაიკვირვა მან.

— თქვენ ქმარზე! — ვუპასუხე მე და უფრო გაკვირვებულმა, რომ ასეთ უბრალო შეკითხვას ვერ მიმიხვდა.

— ქმარი მე არ მყავს და არც მყოლია, — გადაიკისკისა მან.

— კი მაგრამ...

— შეიძლება მყოლოდა, ომს რომ არ შეეშალა ხელი, აბა ასეთ კოხტა გოგოს ვინ ეტყოდა უარს! — თავი შეიქო, რა თქმა უნდა, ხუმრობით, — ინსტიტუტის დამთავრებამდე მე ვერავინ გამიბედავდა გათხოვებაზე ლაპარაკს, „ჯერ შრომა და მერე ხტომაო“, ხომ გაგიგონიათ. ინსტიტუტი დავამთავრე და მაშინვე ფრონტზე წავედი, იქ გათხოვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, ომი დამთავრდა და ეს არის ახლახან დავებრუნდი, ვნახოთ, ვინ გამოჩნდება თავგებულადებული, რომელიც ჩემისთანა მახინჯს წაიყვანს.

მახინჯსაო, მისი ბადალი დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა და ის კი... ხუმრობს, რა თქმა უნდა ხუმრობს.

— კარგი, მაგრამ გახსოვთ, იქ რომ მითხარით ჰოსპიტალში როდესაც ვიწექი.

— ჰო, მომაგონდა. ის პასუხი მართლ თქვენ კი არა, ათასი კაცისათვის მიმიცია. ბევრმა გადამიშალა გული, მე კი ერთი გული მქონდა და შიგ ყველას ვერ ჩავიტევდი. იძულებული ვიყავი ასეთი პასუხით ჩამომეცილებინა „საქმროები“ და მათ შორის თქვენც.

გავჩუმდი. სახლამდე ხმა აღარ ამომიღია.

მას შემდეგ ნატოს ხშირად ვხვდებოდი, იგი გრძნობდა, რომ თავდავიწყებით მიყვარდა და აი ერთხელ, როდესაც თეატრში ვიჯექით და სპექტაკლს ვუყურებდით, მე მისი მარცხენა ხელი ავწიე და უსახელო თითზე ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი გავუკეთე.

ნატო შეიშმუშნა, იმისი შიშით, რომ ბეჭედი არ გამოეძრო, ჩემს მარჯვენაში მისი მარცხენა მაგრად ჩავბლუჯე.

ნატო აილენა, თითქოს ეწყინაო, მაგრამ ხმა არ ამოიღო.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ გავაცილე, ნატომ მონდომა ბეჭდის დაბრუნება, მაგრამ მე შორს დავიჭირე.

— ნატო, ეს ხომ საქორწინო ბეჭედი არ არის, უბრალო ბეჭედი. დედისაგან დამრჩა სამახსოვროდ. ამ ბეჭდით მამაჩემმა დედაჩემი დანიშნა პირველად.

— ამავე ბეჭდით გინდა მეც შენი დანიშნული გავხდე?

— ეს ხომ ჩემთვის უბედნიერესი წამი იქნებოდა, მაგრამ თუ არ გინდა, რომ ეს ასე იყოს, გქონდეს ჩემს სამახსოვროდ.

ნატომ პასუხი არ მომცა და აღარც ბეჭდის დაბრუნებას ეცადა.

ორი თვის შემდეგ ჩვენ ვიქორწინეთ. მე ნატო, როგორც მოგახსენეთ, თავდავიწყებით მიყვარდა, მაგრამ თურმე მასაც ვუყვარდი და არ მამჩნევინებდა.

ჩვენი ქორწინების დღიდან უკვე რამდენიმე წელმა განვლო, მაგრამ ჩვენი სიყვარულის ცეცხლი არ ნელდება, უფრო ძლიერდება.

ნატო ჯერ პოლიკლინიკაში მუშაობდა, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამამულო ომმა დიდი გამოცდილება შესძინა და საუკეთესო ექიმად ითვლებოდა. უყვარდა ყველას, მის კოლეგებს, ხელმძღვანელობას, ავადმყოფებზე ხომ ნულარ იტყვით, თვალისჩინს ერჩივნათ.

ასე, ბედნიერების მწვერვალზე ვიმყოფებოდით მე და ჩემი ნატო, ერთადერთი, რაც შავი ღრუბელივით წამოგვიქროლებდა ხოლმე, ის იყო, რომ შვილი არ გვიჩნდებოდა, თუმცა კი ძალიან გვინდოდა, განსაკუთრებით ნატო განიცდიდა ამას.

ნეტავი ერთი შვილი მაინც გვყოლოდა, ალბათ ასე არ დატრიალდებოდა ჩემი ცხოვრება. ალბათ ნატო შვილის სიყვარულით მაინც მაპატიებდა შეცდომას და შემირიგდებოდა, — ქურხულმა ღრმად ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. შემდეგ თა-

ვი ასწია, თვალზე მომდგარი ცრემლი მუშტით მოიწმინდა და განაგრძო, — დაუსრულებელი არ გამოდგა ჩვენი ბედნიერება. თურმე, დიდ ბედნიერებას დიდი უბედურება მოსდევს, ერთ წინდაუხედავად გადადგმულ ნაბიჯს შეუძლია მთლად დაშალოს ყველაფერი.

შარშანწინ, შემოდგომაზე, მოსკოვს გამგზავნეს მივლინებაში. ახალი საძიებელი პროექტები წავიდე დასამტკიცებლად. ნატოს ვთხოვე როგორმე მოეხერხებინა და წამოსულიყო ჩემთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა. მარტო მომიხდა წასვლა.

როსტოვში რომ გავჩერდით, იმ კუპეში, სადაც მე ვიჯექი, ერთი ქალი შემოვიდა. ახალგაზრდა, მხიარული ქალი იყო, მიმზიდველი სახე ჰქონდა, სპეციალობით პედაგოგი. თურმე ისიც მოსკოვში მიდიოდა თავის პირად საქმეზე.

გავიცანით ერთმანეთი, ვისაუბრეთ, მე მას დავუმაღე, რომ ცოლიანი ვიყავი და არშიყობაც დავუწყე.

გზაში ისე დაუუახლოვდით ერთმანეთს, რომ როდესაც მოსკოვში ჩავედით, სასტუმროში არ გამიშვა, თავისი ახლო მეგობრის ბინაზე მიმიყვანა. რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, რომ ასე ღრმად შევტოპე. მე ისე, ოდნავ გათამაშებას ვაპირებდი და არ ვიცოდი, თუ მდინარეში, ჩემდა უნებურად, მორევით დამხვდებოდა.

ლიბამ, ეს სახელი ერქვა ჩემს ნაცნობ ქალს, ადრე მოათავა საქმე, მაგრამ ჩემს წამოსვლას დაუცადა. ერთი კვირის შემდეგ მეც მოვათავე ჩემი საქმე და ისევ ერთად გამოვემგზავრეთ. გზაში ბევრს მეხვეწა, ჩამოვსულიყავ მატარებლიდან და რამდენიმე დღე დამეცადა როსტოვში, მაგრამ მე საჩქარო საქმეები მოვიმიზეზე და თავი ვიხსენი ამ უსიამოვნო წვეულებისგან, მხოლოდ დავპირდი, აუცილებლივ მივწერდი წერილს და ვეწვეოდი როსტოვში. ჩემი მისამართი არ მივეცი და მის დაჟინებულ თხოვნაზე

დავთანხმდი მოეწერა ჩემთვის წერილი მთავარ ფოსტაში „მოკითხვამდე“.

ლიზა არ ჩამოვიდა როსტოვის სადგურში, მე გული გამისკდა, შემეშინდა თბილისში არ გამომცოლოდა, მან სოჭამდე გამომაცილა, დიდის ამბით გამომემშვიდობა და უკან გაბრუნდა სხვა მატარებლით.

ის რომ წავიდა, თავისუფლად ამოვისუნთქე. გული მეთანადრებოდა, ვერ მეპატიებინა ჩემი თავისათვის ამისთანა წინდაუხედაობა და სულ იმის შიშში ვიყავი, რაიმე საბედისწერო შედეგი არ მოჰყოლოდა ამ ამბავს.

თბილისში დაბრუნებისას ჩემი ნატო ისევ მხიარულად დამხვდა, როგორც ყოველთვის. ნატო შესანიშნავად მღეროდა და უკრავდა და ახლაც ჩემი ჩამოსვლის შემდეგ მისი კისკისი, დაკვრა და სიმღერა ისმოდა მთელ ეზოში.

— სად იყავ გოგი, ამდენ ხანს? რომ გცოდნოდა ნატო უშენოდ რა ცხვირჩამოშვებული დადიოდა, რა დაძმარებული სახე ჰქონდა, ალბათ ფრთებს გამოისხამდი და ისე გადმოფრინდებოდი მოსკოვიდან, — მეუბნებოდა ერთი მეზობელი.

— შენ გიშველა ღმერთმა, ჩამოხვედი და სიმხიარულე შემოიტანე, თორემ ასე გვეგონა, ჩვენი ცელქი ნატო ცოცხლებში აღარ ურევიაო, — კვერს უკრავდა მეორე.

მე და ნატო ისე შევტრფოდით ერთმანეთს, როგორც ქორწინების პირველ დღეებში.

გავიდა ერთი თვე, სრულიად შემთხვევით გამახსენდა ჩემი უგნურობით ჩადენილი საქციელი ლიზასთან და შევიარე ფოსტაში, იქ ოთხი წერილი დამხვდა, წერილები სასიყვარულო სიტყვებით იყო სავსე. ორი უკანასკნელი წერილი კი საყვედურებით გატენილი. ხიდზე რომ გავიარე, წერილები დავხიე და წყალში გადავყარე.

არც ერთ წერილზე პასუხი არ მიმიწერია. ან კი რა უნდა მიმეწერა? მე აქ მის დავიწყებას ვლამობდი. ის კი წერილს წერილზე მიგზავნიდა.

იმ დღის შემდეგ, ჩემდა უნებურად, ხშირად დავიწყე ფოსტაში სიარული, თითქმის ყოველდღე ახალ ახალი წერილი მხვდებოდა, უფრო მეტად სასაყვედურო, ცრემლებით სავსე.

— რა ვქნა, ეს რას გადავეკიდე, რა წყალს მივცე თავი? — ვფიქრობდი მე მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობდი. რამდენჯერმე დავაპირე გამოვტეხოდი ნატოს, ყველაფერი მეამბნა, აღსარება მეთქვა მისთვის, მაგრამ მეშინოდა, ნატო ამას ვერ აიტანდა და ჩვენს შორის უსიამოვნება ჩამოვარდებოდა.

ერთადერთი იმის იმედი მქონდა, რომ ღიზას მოსწყინდებოდა წერა და თავს დაანებებდა და მართლაც, როცა ხელახლა ვეწვიე ფოსტამტს და იქ წერილი აღარ დამხვდა, ძალიან გამეხარა.

ორი კვირის განმავლობაში აღარც ერთი წერილი აღარ მიმიღია. ცემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მანამდე სახემოღუშული რომ დავდიოდი, რა თქმა უნდა, ნატოს არ დარჩა შეუმჩნეველი. მაგრამ იგი მიჯერებდა და ყველას ამას დაღლილობას აწერდა. ჩემი ჭმუნვა ნატომედაც მოქმედებდა და სიმკვირცხლეს უკარგავდა და ახლა, როცა დავმშვიდდი და გული საგულეს ჩამიდგა, როცა შუბლიდან ჭმუნვის ღრუბელი გადამეყარა, ნატოც გამხიარულდა.

მაგრამ... ვაი იმ საათს!..

ერთ საღამოს, შინ რომ მივედი, ნატო არ გამომეგება, გამიკვირდა. ოთახში ბინდი იყო... შუქი ავანთე და რა დავინახე: ნატო და ღიზა, ის გზაში გაცნობილი ღიზა, სავარძელში ისხდნენ და წყნარად საუბრობდნენ.

თვალებს არ დავუჯერე, მოვიფშვნიტე, ხელახლა შევხედე, დიახ...

ნატო და ლიზა სავარძელში ისხდნენ, როგორც ძველი ნაცნობები.

— რას გაიკვირვე, პატივცემულო გიორგი? დიახ, ჩვენ გახლავართ, ნატო და ლიზა, მობრძანდით.

მე ცივად გამოვტრიალდი და ქუჩაში გამოვვარდი. გონება დამებნა, აზროვნების უნარი დავკარგე. არ მახსოვს, როგორ გავჩნდი კიროვის პარკში. მტკვრიდან ნიავი უბერავდა, ცივი ღამე იყო, მოწყვეტით დავეშვი მერხზე. რამდენმა ხანმა განვლო არ ვიცი, ოდნავ გონს მოვედი, სიცივე ვიგრძენი, შიმშილიც. გამოვედი პარკიდან და რესტორანში შევედი, დავჯექი მაგიდასთან, თვალი გადავაავლე იქაურობას, ხალხი ბევრი იყო, ნაცნობი კი არც ერთი. რესტორანში ჟრიამული იდგა. მიმტანს ვთხოვე საჭმელი და ერთი ბოთლი კონიაკი. მალე ის ბოთლი ჩაის ჭიქებით გამოვცალე, საჭმელი კი ოდნავ მოვკიკნე. მინდოდა დავმთვრალიყავი, მაგრამ დახეთ ჩემს უბედურებას, ვერ გასჭრა ამ ოხერმა, ოდნავ შევზარხოშდი მხოლოდ. დამატებით მოვითხოვე ნახევარი ბოთლი კონიაკი და ისიც გამოვწვეთე, თითქოს ცოტა მომეკიდა.

უკვე შუალამე იყო, რესტორნის დაკეტვის დრო რომ მოვიდა. გარეთ გამოვედი. კიდევ ერთხანს უთავბოლოდ ვიხეტიალე ქუჩებში და ბოლოს, რაც მოხდება, მოხდება-მეთქი, შინ დაბრუნება გადავწყვიტე.

ფიქრობდი: ქალებს უკვე ეძინებათ, მე სავარძელზე გაუხდელი წამოვეგდებოდი და დილამდე გავაძაღლებდი ღამეს, მერე კი...

სახლის კარი რომ გავაღე, ჩამიჩუმი არ ისმოდა, წამოვწექი სავარძელზე, როგორც იყო, დავიძინე. დილის რვა საათზე გამომელვიძა, შინ არავინ იყო ჩემს მეტი, გამიკვირდა, ავდექი, საწერ მაგიდასთან რომ მივედი, იქ ორი წერილი დამხვდა, ერთი ნატოსი, სულ ორიოდე სიტყვა: „გენდობოდი, როგორც არავის, მჯეროდა შენი, თურმე ვცდებოდი, ნულარ მელი, ყველაფერ წერტილი

დაესვა.“ წერილი ხელმოწერელი იყო, მაგრამ ნატოს ხელს ათასში ვიცნობდი. მეორე წერილი ლიზასი აღმოჩნდა: „მე თქვენ ადამიანი მეგონეთ... მეტს აღარ შეგაწუხებთ. ლიზა.“

ეს სულ რამდენიმე სიტყვა ერთსა და მეორე წერილშიც გულგამგმირავი იყო. ნეტავ დაეწერათ ვრცლად, ველანძღე, ვეგინე-ბინე, ვეთათხე, მიწასთან გავესწორებინე, ლაფში ამოვესვარე, ალბათ გულს მომიოხებდა. ამ რამდენიმე სიტყვამ კი უარესად გამანადგურა.

ნატო წასული იყო ისე, რომ თავისი ტანსაცმელისა და თეთრეულის მეტი არაფერი წაეღო. მშვენივრად მოწყობილ ოჯახში ყოველი ნივთი, ყოველი საგანი, ყოველი ავეჯი ხომ მასთან ერთად იყო შეძენილი, რად დამიტოვა, რა თავში ვიხლიდი? ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, სავარძელზე მოწყვეტით დავეცი და ავქვი-თინდი.

გიორგი ქურხული მოიქანცა.

ტელეფონმა დარეკა.

— პოლკოვნიკი ლომაური... მესმის, ამხანაგო კომისარო. დიახ, დიახ, გეახლებით, — ლომაურმა ყურმილი დადო და გიორგი ქურხულს მიუბრუნდა, — დღეისთვის ვიკმართ, თქვენც დაისვენეთ და ხვალ განვაგრძოთ.

ელექტრობარი დარეკა, მილიციელი შემოვიდა.

— მესამე საკანში! — უთხრა მილიციელს ლომაურმა და ქურხულზე ანიშნა.

გიორგი ქურხული ბარბაცით გავიდა კაბინეტიდან.

6

მეორე დილით ზურაბ ლომაურის კაბინეტში შემოიყვანეს გიორგი ქურხული. იგი შედარებით უფრო დამშვიდებულიყო. ალბათ იმ გარემოებამ, მოწოლილი ვარამი რომ ამოანთხია და გული გადაუშალა, ერთგვარი შვება აგრძნობინა და ნაწილობრივ დაამშვიდა.

ზურაბ ლომაური კარგად გრძნობდა გიორგი ქურხულის განცდებს, ამიტომ იყო, რომ არც ერთხელ არ შეაწყვეტინა სიტყვა.

გიორგი პაპიროსს სწევდა, სწევდა კი არა ჭამდა, პაპიროსს, ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა. ზურაბი არ აჩქარებდა მას. იგი გრძნობდა, რომ გიორგი უბრალოდ არ სდუმდა, ის დაფანტულ აზრებს უყრიდა თავს.

გიორგი ქურხულმა პაპიროსის წევა მოათავა, თავი ასწია და ზურაბ ლომაურს შეხედა.

— განვაგრძოთ...

— განვაგრძოთ, — ჩაილაპარაკა გიორგიმ, — უწინ მორწმუნენი, როცა მოძღვარს აღსარებას ეტყოდნენ ხოლმე, შვებას

გრძნობდნენ და აღსარების შემდეგ ერთგვარ სულიერ სიხალვა-
თეს განიცდიდნენ. ასე ვარ მეც, დღეს ჩემი მოძღვარი თქვენ
ხართ და მიიღეთ ჩემგან ნამდვილი და ჭეშმარიტი აღსარება. ჰო-
და, ასე... ნატოს წასვლის შემდეგ ჩემს სულში დაბნელდა. რა მექ-
ნა? თავიდან ბოლომდე ხომ მე ვიყავი დამნაშავე, მხოლოდ და
მხოლოდ მე.

ხომ გახსოვთ შექსპირის ოტელოს სიტყვები:

„გაქურდულ კაცსა გაქურდული არ ეთქმის,
თუკი ვერას გაიგებს და დანაკარგს არ მოიკითხავს“..

და აი, ვიდრე ნატომ არაფერი იცოდა ჩემი ღალატისა, ის მო-
სიყვარულე ცოლი იყო, შეუდარებელი დიასახლისი ჩემი პატარა,
ტკბილი ოჯახისა, მაგრამ როცა გაიგო, ცხადია, ვერ მაპატიო, გა-
მეცალა, გამშორდა.

ჰოდა, დავკარგე სულიერი წონასწორობა. სად დავდიოდი,
რას ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცოდი. სამსახურში უკვირდათ
ჩემი ასეთი გამოცვლა. როცა მიზეზი გაიგეს, ზოგმა თუ თანაგ-
რძნობის თვალთ გადმომხედა, ზოგმა დაცინვის ღიმილითაც
დამსახუქრა. ყველამ ხომ არი იცის, რა არის ნამდვილი სიყვა-
რული. თუმცა რა, მე ხომ აღარ მქონდა უფლება მელაპარაკა
ასეთ სიყვარულზე იმის შემდეგ, რაც ჩავიდინე, რაც გავაკეთე, ვუ-
ღალატე ნატოს და მერე როგორ საძაგლად, როგორ უადამი-
ანოდ, და განა მართო ნატოს? მე ხომ მეორე გულიც დავჩაგრე.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად განვიცდიდი, შევეჩვიე
რესტორნებს, სმას, გავლოთდი.

გავიდა თვეები, რამდენჯერმე დავაპირე მისვლიყავ ნატოს-
თან, მუხლებზე დაჩოქილს მეთხოვნა შენდობა. მაგრამ ვიცოდი
ნატოს ჯიუტი ხასიათი, ის არავითარ შემთხვევაში არ მომიტევებ-

და. ერთხელ მაინც გავბედე და მივწერე ბარათი, პასუხი არ მიმიღია. მივაკითხე საავადმყოფოში და ბათუმში გადასულიყო. ვცადე ბედი, წავედი ბათუმში, ვინახულე, ვევედრე, კატეგორიული ური განმიცხადა შერიგებაზე. მეორედ ვეწვიე ბათუმს, ნატო აღარ დამხვდა, ვეძებე, სვანეთში — მესტიაში მივაგენი, იქიდანაც გამექცა. ამ ძებნა-აღმოჩენაში გავიდა თითქმის ორი წელი და ბოლოს ნატოს კვალი დავკარგე.

გასული თვის ბოლო რიცხვებში, ლომისის მაღალმთიან სანატორიუმში მომიხდა ასვლა. იქ პროფესორი სამარინი ისვენებდა და მასთან მქონდა საქმე. იქ სრულიად მოულოდნელად ნატოს წავაწყდი და ჩემში ხელახლა იელვა იმედის ნაპერწკალმა. დავუწყე ხვეწნა, ვედრება, მაგრამ არაფერმა გასჭრა. იქვე შევიტყვე, რომ ნატოს, განცხადება შეეტანა, ყამირ მიწებზე გამგზავრების სურვილი გამოეთქვა, სამინისტროს ნება დაერთო და სათანადო საბუთებიც გამოეგზავნა, ისე რომ ნატო უკვე ემზადებოდა გასამგზავრებლად. ერთადერთი, რის უფლებაც ნატომ დამართო, ის იყო, რომ გამეცილებინა მანქანით.

კარგად დაბინდდა, როდესაც მანქანა მოვიდა ნატოს წასაყვანად. ნატო სანატორიუმშივე გამოემშვიდობა თანამშრომლებს, ისე რომ მანქანასთან მხოლოდ მისი თანაშემწე ფერშალი ქალი მოვიდა გასაცილებლად.

რამდენიმე კილომეტრი გვქონდა გავლილი, რომ გზაში დავხვდა ვიღაც უცნობი მამაკაცი, შავი სათვალეები ჰქონდა გაკეთებული, ყბა ახვეული ჰქონდა, საწვიმარი ეცვა. მან მანქანა გაგვაჩერებინა, ძლივს გააგებინა მძღოლს, რომ კბილის ტკივილი აწუხებდა, სთხოვა: ხარჯს არ მოვერიდები, რაიონის ცენტრამდე წამიყვანეო. მოგეხსენებათ, რა წუწკები არიან მანქანის მძღოლები, ჩვენმა მძღოლმა ერთი შემოგვხედა, თითქოს ნებართვას თხოულობ, გამორჩენის მოლოდინში უცნობი გვერდით მოისვა და მანქანა დაძრა. კვლავ გავიარეთ რამდენიმე კილომეტრი.

მანქანა გაჩერდა, მძღოლი გადმოვიდა და ძრავის შემოწმება დაიწყო. უცნობი მთელ გზაზე კვნესოდა, მანქანის გაჩერებისას თქვა, იქნებ ამ ოხერმა ცოტა მაინც გამიყუჩოს ტკივილიო, ჯიბიდან არყის ბოთლი ამოიღო, საცობი მოხადა და პირდაპირ მოიყუდა, დალია, შემდეგ მე შემომხედა, ჯიბიდან პატარა ჭიქა ამოიღო, დაასხა და უსიტყვოდ გამომიწოდა. მე მაშინალურად გამოვართვი ჭიქა და სულმოუთქმელად გადავკარი. შემდეგ... შემდეგ აღარაფერი მახსოვს. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, გონს რომ მოვედი, გზის პირას, თხრილში ვეგდე მტვერში და ტალახში მოსვრილი, ამოგანგლული, გასისხლიანებული. საკვირველია, ცხვირიდან სისხლი არასოდეს არ მდენია და რამ გამოიწვია, ეს ვერაფრით ვერ ამეხსნა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სასმელს ადვილად ვიტან, რაც უნდა მთვრალი ვიყო, მეორე დღეს ყველაფერი მახსოვს, აქ კი ამისთანა უცნაური, გაუგებარი ამბავი დამემართა. თუ იმ უცნობმა განგებ მოწამლული არაყი დამალევინა, თვითონ ხომ ჩემზე უწინ დალია?! მართალია, მან არაყი ბოთლიდან მოსვა, მე კი ჭიქაში ჩამისხა... ვთქვათ, ჭიქა იყო მოწამლული, რაშ სჭირდებოდა ჩემი მოწამვლა ვიღაც უცნობს, რომელიც ის იყო და ის, არც მანამდე და არც მის შემდეგ თვალით არ მინახავს. თუ ჩემი გაძარცვა უნდოდა, მე თან ფასეულობა არ მქონდა, საფულე თავის ადგილზე იყო, არ წაეღოთ... ვფიქრობდი, თავს ვიტეხდი, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობდი.

თხრილიდან ამოვედი. სანატორიუმისაკენ წავედი, ბილიკ-ბილიკ დავიწყე სიარული და მზე უკვე ამოდიოდა, როცა სანატორიუმს მოვალწიე. მრცხვენოდა ხალხის, აბა ვის დავენახვებოდი! კიდევ კარგი, რომ სასტუმროს მორიგის მეტი ძე ხორციელი არ შემხვედრია. მისვლისთანავე გამოვიცვალე ტანსაცმელი, თან მეორე კოსტუმი მქონდა ჩემოდანში, ის მოვიმზადე ჩასაცმელად.

გაჭუჭყიანებული კოსტუმი კი ისევე დატმუჭნული ჩავაგდე ჩემოდანში, დავიბანე ხელ-პირი და საწოლზე წამოვწექი, მაგრამ ძილი არ მოეკარა ჩემს თვალებს. სულ იმ ჩემს უცნაურ თავგადასავალზე ვფიქრობდი. ბოლოს ასეთ დასკვნას დავადექი, ალბათ ეს ამბავი ნატომ წამოიწყო, რომ თავიდან მოვეშორებინე, ხომ შეიძლება, რომ ის უცნობი წინასწარ ჰყოლოდა ნატოს შეპირებული?

ათი საათი იქნებოდა, ავდექი, ჩავიცვი, უკანასკნელად ვინახულე პროფესორი სამარინი და წამოსვლა დავაპირე. ბედზე სასტუმროს წინ მანქანა იდგა. სასტუმროში ანგარიში გავასწორე და წამოვედი ქალაქში.

გიორგი ქურხული გაჩუმდა, ხელახლა მოუკიდა პაპიროსს და გამალებული წევა დაიწყო.

— ხომ არ იცნობთ სახით მანქანის მძღოლს, რომელმაც თქვენ და ნატო წაგიყვანათ სასტუმროდან? — შეეკითხა ლომაური.

— მანქანის მძღოლი რომ ვნახო, უეჭველად ვიცნობ. საშუალოზე მაღალი ტანისა

იყო, წვერულვამ გაპარსული. დაწვრილებითი აღწერა გამიჭირდება, — უპასუხა ქურხულმა.

— მანქანა რა მარკისა იყო?

— „პობედა“, რუხი ფერის. ნომერზე არ მიმიქცევია ყურადღება.

— თუ იცნობთ მძღოლს, რომელმაც თქვენ მეორე დღეს წამოგიყვანათ მანქანით? — ხელახლა შეეკითხა ლომაური.

— მისი გვარი და სახელი არ ვიცი, სახით კი ათას კაცში რომ ვნახო, მაინც ვიცნობ.

— იმას თუ იცნობთ, არაყი რომ დაგალევინათ?

— ვერა, ვერ ვიცნობ. როგორც მოგახსენეთ შავი სათვალე ჰქონდა გაკეთებული, საწვიმარი ეცვა. ყბა ისე ჰქონდა ახვეული, რომ სახის ნახევარი არ უჩანდა.

— როდესაც თქვენ მეორე დღეს წამოხვედით, მანქანის

მძლოლთან რაიმე საუბარი ხომ არ გქონიათ?

— არავითარი. სად მქონდა მუსაიფისა და მასლაათის თავი, მე ჩემი დარდი მაწუხებდა, მივუსწრებდი ნატოს თბილისში, თუ გამასწრებდა ყამირ მიწებზე. ასეც მოხდა, ჩამოსვლისთანავე ჯანმრთელობის სამინისტროში მივედი, იქ მითხრეს, რომ ყველა საჭირო საბუთები ფოსტით გაეგზავნათ ყამირ მიწებზე. გადაყვანის საბუთები აგრეთვე ფოსტით მიეღო ექიმ სულიაშვილს, ისე, რომ მის გამოცხადებას სამინისტროში შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ფორმალური ხასიათი და არ იყო სავალდებულო. ჩემს შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად სად დაინიშნა ნატო სულიაშვილი, სამინისტროში მიპასუხეს, რომ ამისი ცნობა არა აქვთ, სად და რომელ უბანში დაინიშნავენ. ყამირი მიწები ხომ უზარმაზარია, ასობით ახალი სოფლები და დაბები აშენდა. სად გაამწესებენ ნატოს, შეიძლება აცნობონ სამინისტროს და მაშინ მიიღებთ პასუხსო.

— თქვენ მძლოლისათვის არაფერი არ მიგიყიდიათ?

ქურხულმა გაკვირვებით შეხედა ზურაბს:

— მე? მიმიყიდია? რა უნდა მიმეყიდა?

— აი, თუნდაც ბეჭედი, ძვირფასთვლიანი ბრილიანტის ბეჭედი.

— მე არავითარი ბეჭედი არ მქონდა, ან რომ მქონოდა კიდევ, რატომ უნდა გამეყიდა? რა გასაჭირი მადგა ისეთი?

— ხომ შეიძლება ფული შემოგკლებოდათ?

— არა, მე ყოველთვის საკმარისი მაქვს ფული და ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ისე გამჭირვებოდეს, რომ რაიმე ნივთი გამეყიდოს.

— საიდან გაჩნდა თქვენს ჩანთაში სისხლიანი ბებუთი?

— წარმოდგენა არა მაქვს, რაც სანატორიუმიდან დავბრუნდი და ის ჩემოდანი საწოლქვეშ შევაგდე, შემდეგ ხელი აღარ მიხლია, არ დავინტერესებულვარ გამეხსნა იგი.

— თქვენ ბინაზე დადიან ნაცნობები ან მეგობრები?

— ვიდრე ოჯახი მქონდა, ხშირი იყო ჩემთან სტუმრიანობა, ოჯახი რომ დამენგრა, მას შემდეგ იშვიათად თუ ვინმეს შემოუხედავს ჩემთან. მეზობლებიდან მხოლოდ კარის მეზობლები ვალენტინ პანჩენკო მოდის ხოლმე, როდესაც გაიგებს რომ მე შინ ვარ.

— სად მუშაობს პანჩენკო?

— ის ცნობილი ხარატია, სახელგანთქმული ოსტატი. მას მთელი თბილისი იცნობს. იშვიათი გულისხმიერი და უანგარო ადამიანია.

— რა განწყობილებაში ხართ მასთან?

— ახლობელს, სისხლით ნათესავს მირჩევნია. ასეა ისიც.

— ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ თქვენი სახლში არყოფნის დროს...

— არა, არა... არავითარ შემთხვევაში... ვინ, ჩემი ვალო? ის ისეთი ადამიანია, რომ მოსისხლე მტერს არ უბამს ამას, არა თუ კეთილ მეზობელს. პირიქით, როდესაც მე შინ არა ვარ, ფხიზელ დარაჯად უდგა ჩემს ბინას.

რამდენიმე დღის განმავლობაში სწარმოებდა გიორგი ქურხულის დაკითხვა. ზურაბ ლომაურმა გამოიყენა მთელი თავისი მდიდარი გამოცდილება, ადამიანებისადმი მიდგომის თავისებურებანი, მაგრამ გიორგი ქურხული განაგრძობდა კატეგორიულ უარს და აცხადებდა, რომ არავითარი ბეჭედი არ მიუყიდია არავისთვის და არც ბებუთი ჭეონია თავის დღეში, რომ მას წარმოდგენა არა აქვს, საიდან გაჩნდა იგი მის ჩემოდანში.

— ეს მაინც მითხარით, რაში მედება ბრალი? ნუთუ ადამიანის დაჭრაში, ან უფრო უარესი — მკვლელობაში?

— დიახ, ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ თქვენ მოჰკალით...

— მე მოვკალი? ვინ?

— ექიმი ნატო სულიაშვილი.

— ექიმი ნატო სულიაშვილი? ჩემი ნატო, ის მოჰკლეს?! — გიორგი ქურხული უცებ წამოვარდა სკამიდან მაგრამ თავი ვეღარ

შეიკავა, დაეცა ისევ და ხმამაღლა ქვითინი დაიწყო.

ზურაბმა ანიშნა არჩილს, ხელი არ შეეშალა გიორგისთვის.

კარგა ხანს ქვითინებდა გიორგი ქურხული.

— არა, არა... შეუძლებელია. ნუთუ ნატო აღარ არის? მაშინ აღარც მე მაქვს სასიცოცხლო პირი, სულერთია თავს არ ვიცოცხლებ, ნატოს გარეშე ჩემთვის ბნელა, ის ჩემთვის მანათობელი ვარსკვლავი იყო! — უცებ შეჩერდა, თავი ასწია, ზურაბ ლომაურს მზერა გაუსწორა, შემდეგ კი არჩილ ჩოხელს გადახედა.

— მითხარით, მითხარით, გეთაყვა, რომ მეხუმრებით, რომ ნატო ცოცხალია, თორემ გავგიჟდები, ჭკუაზე შევიშლები.

— დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით, ჩვენ ასეთი მოსაზრება გვაქვს, მაგრამ ვამოწმებთ, ნატო შეიძლება ცოცხალიც იყოს.

გიორგი ქურხული ბორგავდა. მართლა შეშლილს დაემსგავსა. ზურაბი იძულებული იყო დაკითხვა შეეწყვიტა.

გიორგი ქურხული ძლივსძლივობით მიათრევდა ფეხებს, როდესაც საკნისაკენ მიყავდათ. საკანში შეყვანისთანავე საწოლზე დაეცა და კარგა ხანს გმინავდა.

ზურაბ ლომაურმა და არჩილ ჩოხელმა დაჰკითხეს გიორგი ქურხულის მეზობლები, რა ურთიერთგანწყობილებაში იყვნენ ნატო და გიორგი, ხომ არ მოსდიოდათ უკმაყოფილება, მაგრამ ყველამ, თითქმის ერთხმად დაადასტურა, რომ ასეთი ტკბილი და უშფოთველი ოჯახი იშვიათი იყო.

მეზობლები ახასიათებდნენ მათ, როგორც ზედმიწევნით პატოსანსა და სპეტაკ ადამიანებს. უკვირდათ მათი განშორება და როცა მიზეზი შეიტყვეს, გაუკვირდათ, ვერ წარმოედგინათ, თუ გიორგი ამისთანა წინდაუხედავ ნაბიჯს გადასდგამდა, რომელსაც შეეძლო მათი შეუდარებელი ოჯახის მყუდროება დაერღვია. განსაკუთრებით გულთბილად ახასიათებდა მათ კარის მეზობელი ვალენტინ პანჩენკო, რომელიც ისე იყო დაახლოვებული ქურხუ-

ლისა და სულიაშვილის ოჯახთან, როგორც ახლო ნათესავი. როდესაც მას დაუსვეს კითხვა, გიორგი ცოლთან დაშორების შემდეგ ხომ არ წარმოსთქვამდა მუქარას ნატოს მიმართ, უპასუხა: „გიორგის ხშირად უთქვამს, თუ ნატო არ დამიბრუნდება, თავს მოვიკლავ, რადგან უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, მაგრამ ნატოს მიმართ არავითარი მუქარა არ ყოფილა“. მანვე აღიარა, რომ გიორგისა და ნატოს დაშორების შემდეგ ქურხულის ბინაზე იშვიათად თუ ვინმე დადიოდა. უკანასკნელი ხნის განმავლობაში, რამდენჯერმე იყო მხოლოდ გიორგის ახლო მეგობარი ინჟინერი თვაური.

დაკითხულ იქნენ ნატოს დედა და ძმა. ისინი ნატოს ამტყუნებდნენ, რა ვუყოთ თუ გიორგიმ განზე წაიხუმრა ვიღაცა ქალთან. მართალია, ეს არ არის სასურველი და ლამაზი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში არ უნდა გაქცეულიყო ასეთი კარგი ოჯახის დანგრევის მიზეზადო. ნატოს ვუსაყვედურეთ რამდენჯერმე და მუდამ ვარიგებდით აღედგინა ოჯახი, მაგრამ ნატო ისე იყო გაჯავრებული ამ ამბის გამო, რომ ჩვენც გაგვრიცხო.

ჩანდა ნატოს დედამ და ძმამ არ იცოდნენ რა ლომისის გზაზე დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

გიორგი ქურხულის კატეგორიული უარის გამო, როგორც ბეჭდის გაყიდვაზე, ისე ბებუთის ქონებაზე, საჭირო შეიქნა სანდრო ყარაშვილისა და კირა ზაბორას გამოძახება, დასაპირისპირებლად.

კირა ზაბორას შესახებ დაუყოვნებლივ მისწერეს რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსს, ხოლო სანდრო ყარაშვილს მეორე დღეს არჩილ ჩოხელი შემთხვევით შეხვდა თბილისში და სამმართველოში წარმოადგინა.

რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბეჭედს, როგორც ნივთიერ მტკიცებას, რომელიც არჩილ ჩოხელმა თავის დროზე

არ ჩამოართვა კოლმეურნე ნაზიკოს და არ დაურთო ძიების მასალებს. არჩილ ჩოხელი იმით იმართლებდა თავს, რომ არ უნდოდა ეს საკითხი გადაექცია მთელი სოფლის საჭორაო საგნად, ვინაიდან ბეჭდის ჩამორთმევა უეჭველად მითქმა-მოთქმას ასტეხდა სოფელში, რასაც შეეძლო ახალგაზრდა ქალის სახელისათვის ჩრდილი მიეყენებინა. მაგრამ წარსულს რაღა ეშველებოდა. ერთადერთი ისღა დარჩა, რომ მალე გაგზავნიდნენ ოპერატიულ მუშაკს ბეჭდის ჩამოსატანად.

გიორგი ქურხულმა და სანდრო ყარაშვილმა პირველსავე შეხვედრისას იცნეს ერთმანეთი, რაც დაპირისპირების ოქმში აღინიშნა. სანდრო ყარაშვილმა გიორგი ქურხულის თანდასწრებით გაიმეორე თავისი პირვანდელი ჩვენება.

გიორგი ქურხული გაშტერებული უსმენდა სანდრო ყარაშვილს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და სკამიდან წამოვარდა.

— სიცრუეა, მტკნარი სიცრუე... ეს მოსყიდულია ვიღაცა, არავითარი ბეჭედი მე არ მიმიყიდია მისთვის.

— წყნარად მოქალაქე ქურხულო, ნუ ღელავთ, დაწყნარებით მოისმინეთ და წყნარადვე გაეცით პასუხი. — დაუწყო დამშვიდება ზურაბ ლომაურმა.

— დაწყნარდე? როგორ აიტანოს პატიოსანმა ადამიანმა ამისთანა საზიზღრობა? მას პირში ეუბნებოდნენ იმას, რაც არ ყოფილა და არც იქნებოდა არასოდეს! — ვერ ისვენებდა გიორგი ქურხული.

დაპირისპირების ოქმი გაფორმდა. სანდრო ყარაშვილმა პირზე დადგომით განაცხადა, რომ ბეჭედი მან ნამდვილად გიორგი ქურხულისაგან შეიძინა, თუმცა ქურხულმა უარჰყო ეს.

რამდენიმე დღის შემდეგ რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსისაგან მოვიდა ცნობა, რომ კირა ზაბორას სოხუმიდან მოუვიდა დეპეშა დედის გარდაცვალების შესახებ, სანატორიუმში სამსახურს თავი დაანება და გაემგზავრა.

ეს მოულოდნელი დაბრკოლება იყო ძიებისათვის, კირა ზაბორას დაპირისპირება აუცილებელი იყო გიორგისთან იმის დასადასტურებლად, მართლა თუ ეჭირა ბებუთი გიორგი ქურხულს, როდესაც იგი შევიდა ნატოს ბინაში.

— დაუყოვნებლივ დაუკავშირდით სოხუმს, კირა ზაბორას წარმოდგენის შესახებ, — მისცა განკარგულება არჩილ ჩოხელს ზურაბ ლომაურმა.

სამეცნიერო ტექნიკური განყოფილების დასკვნით ცხვირსახოცზე და ბებუთზე აღნიშნული სისხლის ჯგუფი დაემთხვა გიორგი ქურხულის სისხლის ჯგუფს, მაგრამ ტიპიურობის მიხედვით იგი განსხვავდებოდა. სამაგიეროდ იგი სავსებით მიუდგა ტყეში ნაპოვნ თითის ტიპს.

ამრიგად დადასტურდა, რომ გიორგი ქურხულისა და ნატო სულიაშვილის სისხლი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთი ჯგუფისანი, ნამდვილად კი სისხლის ლაქები ეკუთვნის არა გიორგი ქურხულს, არამედ თითის პატრონს — ნატო სულიაშვილს.

„ნუთუ თავიდან ბოლომდე სტყუოდა გიორგი ქურხული? ნუთუ მთელი ის ამბავი, რასაც ჰყვებოდა, წინასწარ გააზრებული სიცრუეა და არა სინამდვილე?!“ — ფიქრობდა ზურაბ ლომაური.

სოხუმიდან მოვიდა ცნობა: კირა ზაბორას არასოდეს უცხოვრია სოხუმში და არც არავითარი დეპეშა არ ყოფილა გამოგზავნილი მის სახელზე დედის სიკვდილის შესახებ. იგი არც ამჟამად არის დადგენილი ქალაქ სოხუმში ჩამოსულად.

„რაში დასჭირდა კირა ზაბორას სანატორიუმში სამსახურის თავის დანებება და უგზოუკვლოდ გადაკარგვა? იქნებ იგი არის გარეული ამ ბოროტმოქმედებაში და პასუხისმგებლობის შიშით ჩაიდინა ეს საქმე? იქნებ იგი დაკავშირებულია გიორგი ქურხულთან?.. მაგრამ არა, მათ შორის რამე კავშირი რომ ყოფილიყო, განა თავდაპირველ დაკითხვის დროს იგი გამომჟღავნებდა გიორგი ქურხულს? რა თქმა უნდა არა“.

უკვე ორი კვირა გავიდა, საქმე ისევ გაყინულ წერტილზე იყო გაჩერებული.

„მაშ ვინ არის ნატოს მკვლელი თუ არა გიორგი ქურხული? ხომ იყო შემთხვევა, რომ გიორგი ქურხული მოკვლით ემუქრებოდა, თუკი ნატო მას არ დაუბრუნდებოდა? ამას ადასტურებს კირა ზაბორას ჩვენება.

გიორგი ქურხულმა გააცილა ნატო სულიაშვილი, როდესაც იგი მანქანით გაემგზავრა სანატორიუმიდან ყამირ მიწებზე. მას არც თვით ეჭვმიტანილი უარჰყოფს.

გიორგი მეორე დღეს დაბრუნდა დამტვერიანებულ-გასისხლიანებული, სასტუმროს მორიგემ თავისი თვალთ ნახა, როგორ იბანდა იგი სისხლიან ხელ-პირს.

გიორგი ქურხული, როგორც კი დაბრუნდა სასტუმროში. იმავე დღეს გაეცალა იქაურობას. გზაში ნატოს ბეჭედი მანქანის მძღოლს მიჰყიდა იაფად, ამას თუმცა უარჰყოფს გიორგი ქურხული, მაგრამ სანდრო ყარაშვილთან დაპირისპირებით მუღავნდება.

გიორგი არ აცხადებს ავტომანქანის ნომერს, რომლითაც ის და ნატო გაემგზავრნენ, არც მძღოლსა და იმ მეორე, შემთხვევით შემხვედრ პირზე იძლევა დაწვრილებით ცნობებს. განა საფიქრებელი არ არის, რომ არავითარი ყბაახვეული პიროვნება, რომელმაც ვითომდა მანქანა გააჩერა და შემდეგ კი არყით მოწამლა, სინამდვილეში არ ყოფილა, ხოლო მანქანის მძღოლი ხომ შეიძლება თანამონაწილე იყოს დანაშაულისა? განა არ არის დასაშვები, რომ გიორგი ქურხულმა ნატოს მოკვლის შემდეგ დაავალა მძღოლს ნატოს გვამი სადმე შორს გადაეგდო, ან დაესაფლავებინა, ისე რომ თვითონაც არ იცის სად იმყოფება გვამი?

რითი აიხსნება ის გარემოება, რომ გიორგის პიჯაკზე, ცხვირსახოცზე და ბებუთზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები ნატოს თითის ტიპს ეკუთვნის?

განა ეჭვს არ იწვევს ის, რომ გიორგი ქურხული, რომელიც იტანს სასმელს და მალე არ თვრება, სიმთვრალის დროს არც ჰკარგავს გონებას და მეორე დღეს ყველაფერი კარგად ახსოვს, მხოლოდ ერთი ჭიქა არყით დათვრეს და უგრძნობელ მდგომარეობაში და ვითომც აღარ ახსოვს აღარაფერი?

ვის შეეძლო მოეკლა ნატო? თითქოს ყველა გზები მხოლოდ ინჟინერ გიორგი ქურხულისაკენ მიემართება, მხოლოდ და მხოლოდ მისკენ“.

ასე ფიქრობდა ლომაური, მაგრამ საბოლოო დასკვნის გამოტანა მაინც უძნელდებოდა.

სამმართველოს უფროსს საქმის მსვლელობაზე ლომაურმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა და თავისი პირადი მოსაზრებანიც გაუზიარა. მოხსენებას არჩილ ჩოხელიც ესწრებოდა.

— თქვენი აზრი, არჩილ? — შეეკითხა მას სამმართველოს უფროსი.

არჩილ ჩოხელი უკვე მიეჩვია სამმართველოს უფროსთან საუბარს. იგი აღარ განიცდიდა გაუბედაობას, როგორც თავდაპირველად. კომისარმა თავისი უბრალო მიდგომით მოინადირა არჩილი, იგი ახლა გაბედულად გამოთქვამდა თავის აზრს.

— მე მგონია, ამხანაგო კომისარო, რომ ინჟინერი გიორგი ქურხული თვის ჩვენებაში ძიების დროს გულწრფელია, რომ იგი არ უნდა იყოს მკვლელი, — არჩილი გაჩუმდა და შეხედა კომისარს. უნდოდა ამოეკითხა მის სახეზე, რა აზრისა იყო სამმართველოს უფროსი, და როდესაც მის მომღიმარ მზერას შეხედა უფრო გაბედულად განაგრძო:

— გიორგი რომ მკვლელი ყოფილიყო, განა არ ეცდებოდა თავიდან მოეშორებინა იმისთანა მამხილებელი საბუთი, როგორიც არის სისხლიანი ცხვირსახოცი და ბებუთი? ალბათ მან მართლა არ იცოდა ბებუთის არსებობისა, ხოლო ცხვირსახოცს ყურადღება არ მიაქცია და მეორე... დაუშვათ, რომ ბებუთის მის ნივთებში

არსებობა დაუდევრობის ნაყოფია, რაშიც მე არ ვარ დარწმუნებული, თითი? თითი როგორ აღმოჩნდა უღრან ტყეში? ნუთუ სპეციალურად წაიღეს და გადააგდეს? ეს ხომ ყოვლად დაუჯერებელია? — არჩილი გრძნობდა, რომ კომისარი ეთანხმებოდა მის მოსაზრებას და მეტ გამბედაობას იკრებდა, — ყოველ შემთხვევაში, ზეციდან არ ჩამოვარდებოდა იგი...

— ამაზე მეც ვიფიქრე, — წარმოთქვა ზურაბმა, — საქმეც იმაშია, რომ ძიება ჯერ არ არის დამთავრებული და საჭიროა ბევრი რამის გამორკვევა. თითის გარდა განა გასარკვევი არ არის, როგორ მოხვდა სისხლიანი ბებუთი გიორგი ქურხულის ჩემოდანში?

— როგორ ფიქრობთ? დასაშვებია თუ არა, რომ გიორგი ქურხული მართლა მოწამლეს გზაში, თავიდან მოიშორეს და შემდეგ კი მძღოლმა და ყბაახვეულმა უცნობმა ქალი მოჰკლეს, ხოლო სისხლიანი ცხვირსახოცი და ბებუთი გიორგის ჩაუდეს ჯიბეში? — შეეკითხა კომისარი.

— რა თქმა უნდა დასაშვებია ასეთი ვერსია, მაგრამ მკვლელობას ხომ უნდა ჰქონოდა მიზეზი? რამდენადაც გამოირკვა, ნატო სულიაშვილს გარდა იმ ბეჭდისა ოქროს საათისა, მეტი არაფერი ფასეულობა არ ჰქონია, რომ დახარბებოდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუკი წინასწარ გაამზადეს მოწამლული არაყი, მაშასადამე, წინასწარ განზრახვაც ყოფილა მკვლელობისა და ძარცვის... და თუ ეს ასეა, ობიექტი შესწავლილი ექნებოდათ და ეცოდინებოდათ, რომ ნატო სულიაშვილი არც ისე მდიდარი იყო, რომ ასეთი სერიოზული აქტის მსხვერპლი გამხდარიყო, — უპასუხა ზურაბ ლომაურმა.

— დაუშვათ, რომ გაძარცვა არ იყო მთავარი მიზეზი მკვლელობისა, ხომ შეიძლებოდა სხვა საბაბიც? აი, თუნდაც გაუპატიურების ფაქტი. — ხელახლა დაუსვა საკითხი სამმართველოს უფროსმა.

— არა მგონია, რომ შუახნის ქალზე ასეთი რამ ემოქმედნათ,

რომ ყოფილიყო ახალგაზრდა, მაშინ სულ სხვა საქმე იქნებოდა, — მტკიცედ განაცხადა ზურაბმა.

— ყოველ შემთხვევაში, კირა ზაბორა, სანდრო ყარაშვილი, მანქანის მძღოლი და ის ყბაახვეული უცნობი მიმანია ამ დანაშაულის შემსრულებლად. დაიბარეთ ხელახლა სანდრო ყარაშვილი, იქნებ კირა ზაბორას შესახებ რაიმე ცნობა წამოსცდეს. მართლა, არ დაგავიწყდეთ, სანდრო ყარაშვილი ბეჭდით დაიბარეთ. ეს ბეჭედი მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებაა და ვერ გაპატივბთ, რომ აქამდე არ არის საქმეზე დართული.

სანდრო დაბარებისთანავე გამოცხადდა მილიციის სამმართველოში, ხოლო ბეჭედი დაიკარგა.

— ბეჭედზე ატეხილი ორომტრიალის წყალობით ნაზიკომ არა თუ უკან დამიბრუნა, ცოლად გამოყოლაზეც უარი მითხრა, მეც გაბრაზებულმა გავყიდე ათას ორას მანეთად, ერთ მგზავრს შევაჩეხე, დამსვენებელს, რომელიც სანატორიუმიდან მომყავდა. მგზავრი არ იყო ქართველი, უფრო რუსს წააგავდა. იმ ბეჭედმა საცოლე დამაკარგვინა, საცოლე და მერე როგორი, იმისთანა ქალი დუნიანზე არ დადის. რაღა თავში ვიხლი ბეჭედს, თავიდან მოვიშორე. მე მასში ფული მქონდა გადახდილი და ჩემი ფული სარგებლით ამოვიღე, — უტიფრად განაცხადა დაკითხვის დროს სანდრო ყარაშვილმა.

კირა ზაბორას ცნობაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

— ვინ კირა, რა კირა... სანატორიუმში აუარებელი მოსამსახურეები არიან, ზოგიერთს ვიცნობ, მაგრამ მათში კირა არც ერთს არა ჰქვია.

მეორე დღეს გიორგი ქურხულის მეზობელმა ვალენტინ პანჩენკომ მოითხოვა სასწრაფოდ მიღება.

კაბინეტში შემოსვლისთანავე, აღელვებულმა, თვალეგაბრწყინებულმა პანჩენკომ სხაპასხუპით მიაყარა სიტყვები გაკვირვებულ ზურაბს.

— პატივცემულო უფროსო, იცით თუ არა თქვენ, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი ცოცხალია?

— ცოცხალი? — გაოცებული წამოხტა სკამიდან ზურაბი.

— დიახ, ცოცხალია, ჯანმრთელი. იგი ყამირ მიწებზე მუშაობს

— როგორ, საიდან, ვინ გითხრათ?

— ჯანმრთელობის სამინისტროში აქვთ ცნობა. მას შემდეგ, რაც გიორგი დააპატიმრეთ და ეჭვი გქონდათ, რომ ვითომც მას უნდა მოეკლა თავისი ცოლი, მოსვენება აღარ მქონდა. ერთი ჩემი მეგობარი კაცი — ექიმი, მუშაობს ჯანმრთელობის სამინისტროში. მას გავანდე ჩემი გულისწუხილი. დღეს მან ტელეფონით მაცნობა ეს სასიხარულო ამბავი.

ზურაბმა მაშინვე დაიბარა არჩილი და დაავალა სასწრაფოდ წასულიყო ჯანმრთელობის სამინისტროში და გამოერკვია სინამდვილე.

არჩილი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და დაადასტურა, რომ ჯანმრთელობის სამინისტროში მართლა მიუღიათ ცნობა ექიმი ნატო სულიაშვილის ყამირ მიწებზე ჩასვლის შესახებ.

არჩილს ოფიციალური ცნობაც წამოეღო სამინისტროდან.

სასწრაფოდ მოახსენეს სამმართველოს უფროსს, ხოლო მისი განკარგულებით დეპეშა გაგზავნეს შუა აზიაში.

მეორე დღესვე მოვიდა პასუხი:

„ექიმი ნატო სულიაშვილი ნამდვილად გამოცხადდა და დაინიშნა ერთ-ერთ რაიონში მკურნალ ექიმად“.

ინჟინერი გიორგი ქურხული განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.

მაგრამ ვისია თითი?

ეს საკითხი ხელახლა დაისვა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების დღის წესრიგში.

7

შუალამე გადასული იყო. ზურაბ ლომაური თავის კაბინეტში ჩაფიქრებული იჯდა. მაშინ, როდესაც თითქმის დამთავრებულად მიაჩნდა, თითქმის დადასტურებულად სთვლიდა, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი მოკლულია მისივე ყოფილი ქმრის გიორგი ქურხულის მიერ, საჭირო იყო მხოლოდ მანქანის მძღოლის დადგენა, რომელსაც მისი აზრით მონაწილეობა უნდა ჰქონოდა მიღებული მკვლელობაში და მხოლოდ მას ეცოდინებოდა სად იყო დამარხული გვამი, სწორედ ამ დროს მიღებული იქნა იმის ორი დამდასტურებელი საბუთი, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი ჩასულა ყამირ მიწებზე და ამჟამად იქ მუშაობს.

ამრიგად, საგულისხმებელია, რომ თითი არ არის ექიმ ნატო სულიაშვილისა, არამედ მსხვერპლი სულ სხვა პიროვნებაა. მაგრამ ვინ არის ის სხვა? აი საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას, რაც შეიძლება ჩქარა.

მაინც ეჭვს იწვევდა ის გარემოება, რომ ნატო სულიაშვილი

ისე წავიდა ყამირ მიწებზე, რომ დედას და ძმას არ გამოემშვიდობა. რა ვუყოთ, რომ ემდუროდა.

ნატოს ჰყავდა ახლო მეგობრებიც, არც მათ გამოემშვიდობებია თურმე. ნუთუ ყველას ისე ჩამოშორდა, რომ აღარავის ნახვა არ მოისურვა?!

როგორც გამოირკვა, სადგურის შემნახველ საკანში ნატო სულიაშვილის გვართა და სახელით არავის მიუბარებია რაიმე ნივთები შესანახად. მაშასადამე, დასტურდება, რომ ნატო არ მოშორებია თავის ორ ჩემოდანს, რომელიც მან წამოიღო ლომისიდან.

ზურაბ ლომაურმა ტელეფონით გამოიძახა არჩილ ჩოხელი.

როდესაც არჩილი შემოვიდა უფროსის კაბინეტში, მაშინვე მიხვდა, რომ ლომაური ძარღვებაშლილი იყო.

— მაშ ასე, ამხანაგო არჩილ, ჩვენი ამდენი მუშაობა უშედეგოდ დამთავრდა, არა?

— ასე გამოდის, ამხანაგო უფროსო.

— საქმე იმაშია, რომ თუ ნატო სულიაშვილი არა, ალბათ სხვა ვინმე შეიქნა ბოროტმოქმედების მსხვერპლი.

— რა თქმა უნდა, ეს ეჭვს არ იწვევს. ადვილი შესაძლებელია, მსხვერპლი რომელიმე დამსვენებელი იყოს.

— რას იტყოდი, არჩილ, იმაზე, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი ნამდვილად იყოს მოკლული და გაძარცვულიც, ვინაიდან ძვირფასთვლიანი ბეჭედიც წაღებული?

— ვითომ გიორგი ქურხული ნამდვილი მკვლელი იყოს?

— ამაზე ჯერ არ ვიტყვი არაფერს...

— ჩვენ ამ საქმეში ორი საბუთი გვაქვს, ორი ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი ნამდვილად ჩავიდა ყამირ მიწებზე და იქ მუშაობს ამჟამად. — თქვა არჩილმა.

— ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ ექიმ ნატო სულიაშვილის საბუთებით სხვა პიროვნება ჩასულიყო ყამირ მიწებზე?

— სხვა პიროვნება... მაგალითად, ვინ?

— აი, თუნდაც ფერშალი ქალი კირა ზაბორა.

არჩილ ჩოხელს სახე გაუბრწყინდა. ეს ხომ მართლაც დასაშვებია, ადვილი შესაძლებელია ასეც მომხდარიყო.

— ხომ გამოირკვა, რომ ნატო არ მისულა არც დედასთან, არც ძმასთან, არც ერთი ახლო მეგობართაგანი არ უნახავს, არც სამინისტროში შეუვლია, განა ყველა ეს არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ნატო სულ არ ჩამოსულა თბილისში. განა დასაშვები არ არის ის გარემოება, რომ...

ტელეფონის ზარმა სიტყვა შეაწყვეტინა ზურაბ ლომაურს.

— გისმენთ, დიახ, პოლკოვნიკი ლომაური. ვინ ბრძანდებით?.. ვალენტინ პანჩენკო? მერე, მერე...

ლომაურს ფერი ეცვალა, არჩილი გაკვირვებით მიაჩერდა უფროსს, მის თვალებში პირველად წაიკითხა განცვიფრება და დაბნეულობა.

— დიახ, დიახ... ახლავე... — ლომაურმა სასწრაფოდ დადო ყურმილი, — აბა, ჩქარა არჩილ... ვინ არის აქ? ბიჭები ხომ არ წასულან შინ? ნახე, ხუტა გაწერელია მგონი აქ უნდა იყოს. ჩქარა წავიდეთ!

— ახლავე, ამხანაგო უფროსო, — არჩილმა იგრძნო, რომ შეკითხვა ზედმეტი იყო, სადმე ალბათ რაიმე დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი.

საჩქაროდ გამოვიდნენ კაბინეტიდან.

— ხუტა, ჩქარა დაიხურე ქუდი და წამოდი.

ხუტა გაწერელია სირბილით დაეწია ლომაურს და ჩოხელს. ისინი უკვე ეზოში იყვნენ.

კიდევ ერთი წუთი და მანქანა სწრაფად გავარდა სამმართველოს ეზოდან.

მანქანაში ჩაჯდომის დროს მხოლოდ ეს შესძახა ლომაურმა თავის თანამშრომლებს:

— გიორგი ქურხულმა თავი მოიკლა.

არჩილ ჩოხელითვის ისე მოულოდნელი იყო ამის გაგონება, რომ პირდაღებული შესცქეროდა მძლოლს გვერდით მჯდომ უფროსის ზურგს, ელოდა, კიდევ ხომ არაფერს იტყოდა პოლკოვნიკი, მაგრამ იგი სდუმდა და ვიდრე გიორგი ქურხულის ბინაზე არ მივიდნენ, ხმა აღარ ამოუღია.

ვალენტინ პანჩენკო სადარბაზო შესასვლელთან დახვდა მათ.

გიორგი ქურხულის ბინის კარები ღია იყო. შესვლისთანავე თვალში ეცათ მაგიდასთან მჯდომი გიორგი ქურხული. იგი მარცხენა მკლავით დაყრდნობოდა მაგიდას, თავი მოწყვეტით გადაეხარა, მარჯვენა ხელი მუხლზე ედო, ხოლო იატაკზე დამბახა ეგდო.

ოთახს არეულობა არ ემჩნეოდა.

მაგიდაზე არყის დაცლილი ბოთლი იდგა, იქვე თეფშებზე ელაგა პური, ყველი და ძეხვის ნატრები.

— ხუტა, — მიმართა ლომაურმა გაწერელის, — სასწრაფოდ ჩაჯექი მანქანაში და მოიყვანე ექიმი და ფოტოგრაფი.

ხუტა გაწერელია ოთახიდან გავიდა.

ბურაბის ყურადღება მიიპყრო მაგიდაზე ნახულმა წერილმა.

წერილში ეწერა:

„ვიცი თავს არ დამანებებ და დამიწყებ ძებნას, ამიტომ აქედანაც მივდივარ. მე შემთხვევით შემხვდა მამაკაცი, რომელიც გამიგებს და თანამგზავრობას გამიწევს ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში მყოფ ქალისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ სულიერი სიმშვიდე მოვიპოვო. ეს უკანასკნელი გამოსათხოვარი იყოს, ნუღარ დამიწყებ ძებნას, სულ ერთია ვერ მომაგნებ“.

წერილი ხელმოუწერელი იყო, მაგრამ ეჭვს არ იწვევდა ნატოს მიერ იყო გამოგზავნილი.

გიორგის სიკვდილის წინ არავითარი ბარათი არ დაეტოვებინა.

— გიორგი სალამოს შვილის ნახევარზე მოვიდა შინ, — განაცხადა პანჩენკომ, — მე შევედი მასთან, მოვიკითხე, მიპასუხა: ერთი საათის წინ გამათავისუფლესო. ეტყობოდა უგუნებობა, თავის ტკივილსაც უჩიოდა. პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. სავარძელზე წამოწვა, მე კი ჩემს ბინაში დავბრუნდი. სალამოთი შვილიშვილი წავიყვანე კინოში. სეანსი დამთავრდა და შინ დავბრუნდი. გიორგი აღარ იყო ბინაში, წასულიყო. მეთერთმეტე საათი იქნებოდა, როდესაც სახლში დავბრუნდა და დამიძახა. მაგიდაზე არყის გაუხსნელი ბოთლი იდგა, პური, ყველი და ძეხვი მოეტანა. სუფრაზე მიმიწვია, მელაპარაკა. ამბობდა: ერთი უბედურება გამოვიარე, ნატოს დაკარგვა, ის ვერ ამეტანა და მეორე დამატყდა თავს, დამაპატიმრეს, სირცხვილით სადღა გამოვყო თავიო. მე დავამშვიდე: რა ვუყოთ მერე, ადამიანის თავზე ყველაფერია მოსალოდნელი, ხომ გაგიგია „სიბერემდე — სიქაჩლეო“. კიდევ კარგი, რომ კეთილად დამთავრდა საქმე და ის ჭუჭყი მოგცილდათ, რომელშიც ბრალი გედებოდათ. მან მწარედ გამიღიმა: მართალია ერთი ჭუჭყი მომცილდა, მაგრამ მეორე ჭუჭყს, რომ მე საპატიმროში ვიჯექი და ოდნავ მაინც იფიქრეს, ვითომდა მკვლელი ვიყავი, ამ ჭუჭყს რა ვუყოთ? მე ბევრი ვამშვიდე, ის ძალზე აღგზნებული იყო, ბოლოს თანდათან დამშვიდდა. ის ბოთლი არაყი დავლიეთ. წამოდგა, კარადიდან მეორე ნაკლული ბოთლი გამოიღო, მაგრამ მე დაღევაზე უარი განვაცხადე. კიდევ კარგა ხანს ვისაუბრეთ, იგი პატიმრობაში ყოფნას ძალიან განიცდიდა და რამდენჯერაც არ შევაბრუნე სალაპარაკო საგანი, მაინც ამ საკითხს უბრუნდებოდა. პირველის ნახევარზე დავემშვიდობე, ვატყობდი, ძილი ერეოდა. წავედი ჩემს ბინაში, დავწექი, დავიძინე. საერთოდ ფხიზელი ძილი ვიცი. რამდენმა ხანმა განვლო არ ვიცი, სროლის

ხმამ გამომალვიდა. თავდაპირველად ვერ გავერკვიე, მაგრამ უცბად გამიელვა თავში, რომ გიორგი ძალზე ალგზნებული იყო და შემეშინდა, უბედურმა კაცმა ხომ არაფერი აუტეხა თავის თავს. ავდექი, მივედი მის კართან, ხმა გავეცი, პასუხი ვერ მივიღე, დავაკაკუნე, არც ამაზე მიპასუხა არავინ. მივაწექი, კარი არ იყო დაკეტილი, შევადე, შევედი და ეს სურათი ვიხილე თუ არა, იმავე წუთს დავრეკე თქვენთან. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ მაინც სამმართველოში იქნებოდით.

— ეს წერილი, მაგიდაზე რომ ვნახეთ, თქვენ ხომ არ დაახვედრეთ გიორგის? — შეეკითხა ლომაური.

— არა მგონია. თუ წერილი მოვიდოდა, ალბათ ბინის მისამართზე იქნებოდა და ჩემს მეტს მას არავინ მიიღებდა. გარდა ამისა, წერილი რომ მისთვის სხვას გადაეცა, საუბრის დროს იტყოდა, არ დამიმალავდა. საერთოდ, გიორგი ჩემთან ძალიან გულახდილი იყო, მაგრამ იმ საღამოს ნატოზე ცოტას ლაპარაკობდა, უმთავრესად იმას გაიძახოდა, პატიმრობის სირცხვილს ვერ ავიტანო.

— ხომ ვერ მეტყვით, გიორგი ქურხულს სასროლი იარაღი ჰქონდა თუ არა?

— არ გამიგია. არა მგონია, რომ მას სასროლი იარაღი ჰქონოდა.

ხუტა გაწერელია დაბრუნდა ექიმთან და ფოტოგრაფთან ერთად.

სიკვდილი დადასტურებულ იქნა. გადაიღეს ოთახისა და თვითმკვლელობის ფოტოსურათები.

არჩილ ჩოხელმა და ხუტა გაწერელიამ დაწვრილებით დაათვალიერეს ქურხულის ბინა.

— საინტერესოა, ვინ უვლის ამ ბინას? — შეეკითხა პანჩენკოს ზურაბ ლომაური.

— ჩემი ოჯახის წევრები, ცოლი და ქალიშვილი. ჩვენ გვაქვს მეორე გასაღები, ის თვით გიორგი ქურხულმა გადმოგვცა. როდესაც გიორგის ბინის ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა, თუ გახსოვთ, ამხანაგო ჩოხელო. მაშინ ბინა არეული იყო, ეს იმიტომ, რომ ჩემი ოჯახის წევრები აგარაკზე იყვნენ წასულები. ხომ მოგახსენეთ, ჩემსა და გიორგის ოჯახებს შორის ისეთი კეთილგანწყობილება სუფევდა, რომ ნათესავებშიც კი იშვიათია ასეთი ურთიერთობა.

— როდესაც თქვენ წახვედით დასაძინებლად გიორგი ქურხულისაგან, ფანჯარა ღია იყო?

— დიახ, ღია. ბაფხულია, ცხელი ღამეებია. გარდა ამისა, ჩვენს ეზოში იმისთანა სიწყნარეა, რომ ჯერ არავითარი შემთხვევა არ მომხდარა და ხშირად მთელი ღამითაც კი ღიად ვტოვებთ ხოლმე ფანჯრებს.

კიდევ რამდენიმე ფორმალური შეკითხვის შემდეგ, გვამი პროზექტურაში იქნა გაგზავნილი, ბინა დალუქეს და მილიციის თანამშრომლები სამმართველოში დაბრუნდნენ.

ბურაბ ლომაური შევიდა თავის კაბინეტში, მას არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია შეჰყვნენ.

— როგორც ვხედავ, არც ამ ღამეს მოგვიხდება ძილი, — მიმართა თანამშრომლებს ბურაბ ლომაურმა. დაფიქრდა და განაგრძო, — როგორ გგონიათ, ჩემო მეგობრებო, რამ გამოიწვია გიორგი ქურხულის თვითმკვლელობა?

— ეჭვგარეშეა ნატოს გამოგზავნილმა წერილმა, — უპასუხა ხუტა გაწერელიამ.

— ჩემი აზრით გიორგი ქურხულმა თავი მოიკლა, რადგანაც ძალიან განიცდიდა თავის დაპატიმრების ამბავს, — წარმოსთქვა სინანულით არჩილ ჩოხელმა.

— მე კი მგონია, არცერთი გარემოება იყო მიზეზი და არც მეორე. განა ეჭვს არ იწვევს ის, რომ ნატოს წერილი გიორგის ბინაზე არ მიუღია? დავუშვათ, რომ გზაში გადასცა ვინმე ნაცნობმა,

როგორ გგონიათ, განა ამ წერილზე არაფერს ეტყოდა გიორგი ქურხული ვალენტინ პანჩენკოს?

— მაშ გამოდის, რომ... — სიტყვა ჩაურთო ჩოხელმა.

— დიახ, ჩემი ღრმა რწმენით. — აღარ დაამთავრებინა ზურაბ ლომაურმა და განაგრძო, — დიახ, დიახ, ჩემი ღრმა რწმენით ეს წერილი არც წაუკითხავს გიორგი ქურხულს. არა თუ არ წაუკითხავს, თვალითაც არ უნახავს.

— როგორ, ნუთუ წერილი მაგიდაზე გაჩნდა იმის შემდეგ რაც გიორგი ქურხულმა თავი მოიკლა? — წამოიძახა არჩილ ჩოხელმა.

— დიახ, წერილი მაგიდაზე გაჩნდა მას შემდეგ, რაც გიორგი ქურხული მოჰკლეს, — ზურაბმა შეხედა თავის თანამშრომლებს. ისინი, ამ სიტყვების შემდეგ, განცვიფრებულები ისხდნენ და თავის უფროსს მიშტერებოდნენ.

— ბოდიში ამხანაგო უფროსო, მაგრამ თქვენს ასეთ დასკვნას ვერ გავიზიარებ. როგორ თუ მოჰკლეს?! მე გულდასმით დავათვალიერე ოთახი, იქ არავითარი ნიშნები არ იყო, რაც დაადასტურებდა ოთახში მესამე პირის ყოფნას.

— საქმეც მაგაშია, ჩემო არჩილ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს გამოცდილ და მეტად საშიშ ბოროტმოქმედთან, ის ისე ოსტატურად შეძვრა ღია ფანჯრიდან ოთახში, მოჰკლა გიორგი ქურხული, რომელსაც მაგიდასთან ეძინა მთვრალს, ეს მკვლელობა ისე სწრაფად და ოსტატურად მოაწყო, რომ თვითმკვლელობის სრული შთაბეჭდილება შეიქმნა. იქვე დააგდო დამბაჩა, იმავე გზით გამობრუნდა უკან. არჩილ, მიაქციე ყურადღება ფანჯარას?

— დიახ, მივაქციე, დავათვალიერე, არავითარი ნიშნები.

— არა, იყო ნიშნები, მაგრამ შენ გამოგრაჩა მხედველობიდან.

არჩილმა იწყინა ასეთი შენიშვნა, შეხედა უფროსს, თუმცა არაფერი უპასუხა.

— ნუ გწყინს, გეტყვი შენს შეცდომა.

— თუკი ბოროტმოქმედი ფანჯრიდან გადახობდა, არ შეიძლება ბოდა ფანჯრის გარეთ რაფაზე არ დარჩენილიყო რაიმე ნიშანი. ხომ ვერ შეფრინდებოდა ოთახში? ქუჩის მხარეზე მუდამ არის მტვერი, — შეესიტყვა კვლავ არჩილი.

— საქმეც მაგაშია, ხომ ვთქვი, გამოცდილ და საშიშ ავამაკთან გვაქვს-მეთქი საქმე. მან, ვიდრე ფანჯრიდან გადაძვრებოდა ოთახში, გარეთა რაფა გაწმინდა მტვრისაგან, რომ გადახობვის დროს შიგნითა რაფაზე არ დაეტოვებინა მტვრის კვალი და...

— მოითმინეთ ამხანაგო უფროსო, — შეაწყვეტინა არჩილმა, — მე მივაქციე ყურადღება ქუჩის მხრის დაფასაც. იგი დამტვერიანებული იყო და არა მტვერგადაცლილი, როგორც თქვენ ადასტურებთ.

— კარგია, რომ ჩემი თანამშრომელი ასეთ დეტალებს არ სტოვებენ ყურადღების გარეშე. მაგრამ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჯერ კიდევ გაკლია დაკვირვების უნარი. დიახ, ქუჩის მხრის რაფა მართლაც დამტვერიანებული იყო, მხოლოდ ხელოვნურად და არა ბუნებრივად.

— ხელოვნურად! როგორ თუ ხელოვნურად?

— ჰაერში ავარდნილი მტვერი სწორ საგნებს თანაბარ ფენად ეფენება. იმ ფანჯრის გარეთა რაფაზე კი არ იყო მტვრის თანაბარი ფენა. აქედან დასკვნა, რომ რაფა დამტვერიანებული იყო ხელოვნურად. მკვლელი იმდენად გამოცდილია, რომ ტყვია საფეთქელში კი არა დაახალა, როგორც ამას ხშირ შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე თვითმკვლელები, არამედ გულში. საფეთქელში რომ დაეხალა, ტყვიის მიმართულებით ადვილი შესაძლებელი იქნებოდა სადავო გამხდარიყო თვითმკვლელობის საკითხი. მან კი ისე გააკეთა, რომ ვერც ერთი ექსპერტი ვეღარ შეედავება. საინტერესოა ეს ნაწერი შევადაროთ ნატოს ნამდვილ წერილებს, ვნახოთ ხელი ერთია თუ არა? აბა, არჩილ, მოიტანე ნატო სულიაშვილის მკვლელობის საქმე.

ზურაბმა საქმეში ჩართული ნატოს წერილები მონახა და შეადარა ქურხულის ბინიდან წამოღებულ ბარათს. არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია მივიდნენ ახლოს და დაბეჯითებით დაიწყეს თვალიერება.

— ხელი ერთია, წამოიძახა გაწერელიამ.

— ნატოს ხელია, ნამდვილად ნატოსი, — დაუმატა ჩოხელმა.

— ნუ ჩქარობთ ნაადრევი დასკვნის გამოტანას. ეს საოცრად მიმსგავსებული ხელია და მეტი არაფერი. ვნახოთ რას გვეტყვის გრაფიკული ექსპერტიზა:

არჩილი არ ეთანხმებოდა თავის უფროსს, მაგრამ ვერც სიტყვის შებრუნებას უბედავდა, იცოდა, ზურაბ ლომაური იმისთანა დამაჯერებელ არგუმენტებს მოიყვანდა, რომ იძულებულს გახდიდა გაჩუმებულიყო. მაინც ვერ მოითმინა, შეესიტყვა ლომურს:

— საიდან შეეძლო ბოროტმოქმედს ყალბი წერილის შედგენა? ხელი რომ ასე საოცრად მიახლოვდეს, საჭიროა არა მარტო ხანგრძლივი ვარჯიშობა, არამედ უნდა გქონდეს მასალა, რის მიხედვითაც ივარჯიშო, ამ შემთხვევაში ბოროტმოქმედს რით შეეძლო ვარჯიშობა, სად ექნებოდა ნატოს ნაწერები?

ზურაბმა ღიმილით შეხედა არჩილ ჩოხელს.

— საიდან? გეტყვი საიდანაც. ვთქვათ, რომ ნატო სულიაშვილი მართლა მსხვერპლი შეიქნა უცნაური ბოროტმოქმედებისა, დავუშვათ რომ გიორგი ქურხული თავის ჩვენებაში თავიდან ბოლომდე მართალი და გულწრფელი იყო, რომ იგი, როდესაც ნატოს აცილებდა მანქანაში მოწამლეს და უგრძნობელ მდგომარეობამდე მიიყვანეს. ისიც დავუშვათ რომ ბოროტმოქმედებმა, მანქანის მძღოლისა და ყბაახვეული უცნობის სახით, მოჰკლეს ნატო, სისხლიანი ბეჭუთი გიორგი ქურხულსავე ჩაუდეს ჯიბეში, ეს ყოველი შემთხვევისთვის, ნატოს ხომ ორი ჩემოდანი ჰქონდა

თან ნივთებით სავსე, განა ამ ორ ჩემოდანში ტანსაცმლის, თეთრეულისა და წიგნების გარდა არ ექნებოდა ჩანაწერები, რომლის შესწავლაც მისცემდა ბოროტმოქმედებს საშუალებას ყალბი წერილი შეედგინათ?

— როგორც მე გამოვარკვიე, ნატო იშვიათად ღებულობდა წერილებს და უფრო იშვიათად სწერდა, — ვერ მოითმინა არჩილმა.

— ალბათ დღიური, — ჩაურთო სიტყვა გაწერელიამ.

— ყოჩაღ, ჩემო ხუტა, მეც სწორედ მანდა ვარ. დიახ, დღიური. შეძლება ნატო დღიურს წერდა, აბა ამაზე მეტი და უკეთესი რაღა იქნებოდა წერის თავისებურებების შესასწავლად? ამრიგად, ჩემი ღრმა რწმენით, წერილი ყალბია, ხოლო გიორგი ქურხული კი მოკლული.

— კარგი და, ვის რაში სჭირდებოდა გიორგი ქურხულის მოკვლა? თუ მას მტერი ჰყავდა, არ შეეძლო მანამდე, სხვა პირობებში შეესრულებინა ეს აქტი?

— არა, გიორგის მტერი არ ჰყოლია, ყოველ შემთხვევაში ისეთი მტერი, რომელიც სასიკვდილოდ გაიმეტებდა. გიორგის მოკვლა გადახლართულია ნატოს ამბავთან

— ნატოს ამბავთან?

— სწორედ, ჩემო არჩილ, — ზურაბმა გაიხსენა წელანდელი შეწყვეტილი საუბარი და განაგრძო, — ნატო სულიაშვილმა როდესაც დასტოვა სანატორიუმი და მანქანით გაემგზავრა, იგი არ ჩამოსულა თბილისში, მან, ჩემი დასკვნით, რკინიგზის სადგურამდე ვერ მიაღწია, იგი მართლა მოჰკლეს გზაში.

— ცნობა ყამირი მიწებიდან? — კვლავ თავის აზრს ადგა არჩილი.

— იქ, ყამირ მიწებზე მართლაც ჩავიდა, ხოლო არა ნატო, არამედ სულ სხვა პიროვნება ნატოს სახელითა და საბუთებით.

— მაგალითად ვინ? — ვერ მოითმინა გაწერელიამ.

— აი, თუნდაც კირა ზაბორა. განა მისი უგზოუკვლოდ დაკარგვა ცოტას ლაპარაკობს?

— გამოდის, რომ კირა ზაბორა მკვლელობის თანამონაწილეა.

— რატომ არ შეიძლება რომ ასე იყოს?

— კარგი და, მაინც გაუგებარია, რა კავშირი აქვს ამას გიორგი ქურხულის ტრაგედიასთან?

— დიდი, ძალიან დიდი. გიორგი ქურხული არ მოისვენებდა, წავიდოდა ყამირ მიწებზე, რომ იქიდან ნატოს კვალი აეღო, იქ კი გამომჟღავნებოდა, რომ ნატოს მაგიერ სულ სხვა პიროვნებაა ჩასული. გიორგი ქურხულს ხომ ჰყავდა ნანახი კირა ზაბორა, იგი ხომ მაშინვე იცნობდა მას? აი, ეს არის, ჩემი აზრით, ერთადერთი მიზეზი გიორგი ქურხულის თავიდან მოცილებისა.

არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია ისე უსმენდნენ ზურაბ ლომაურის დასკვნებს, რომ ეშინოდათ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდათ მისი ლაპარაკიდან.

— ახლა კმარა, ახალგაზრდებო, მეექვსე საათია, უკვე თენდება, წადით, შეისვენეთ და სამსახურში დროზე მოდით.

— თქვენ? — შეეკითხა არჩილი.

— ჩემზე ნუ სწუხართ.

არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია კაბინეტიდან გავიდნენ.

ზურაბ ლომაური სავარძელზე წამოწვა, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა. იგი ისევ ფიქრობდა გიორგი ქურხულზე, სწონიდა მასალებს და იმავე დასკვნებს აკეთებდა.

ფიქრთა კორიანტელში რატომღაც არ სცილდებოდა სანდრო ყარაშვილის სახე. მის მონაწილეობაზე ამ დანაშაულში ზურაბს ეჭვი არ ეპარებოდა.

ვინ იყო ის ყბაახვეული უცნობი, რომელმაც ნატოს მანქანა გააჩერა, ხოლო შემდეგ გიორგი ქურხული დაათრო ერთი ჭიქა მოწამლული არაყით, სანდრო ყარაშვილი ხომ არ იქნებოდა? ზუ-

რაბ ლომაური სავარძლიდან წამოხტა და კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო. ეს აზრი სრულიად ახალ შუქს ფენდა საქმეს. იგი დაჟინებით ფიქრობდა, ყოველ აზრსა და გარემოებას, თვითეულ საკითხს ყოველმხრივ უდგებოდა, მაგრამ უმთავრეს საკითხზე მაინც ვერ მოენახა პასუხი. საიდან გაჩნდა თითი ტყეში და რა ნიშანგზე შეიძლებოდა მოეკლათ ნატო?!

ისე შესრულდა ცხრა საათი, რომ ზურაბ ლომაურს არც გაუგია. როდესაც მდივანმა კაბინეტის კარი შეაღო და უფროსს დილა მშვიდობისა უსურვა, ზურაბ ლომაურს გაუკვირდა.

— ასე ადრე რამ მოგიყვანა სამსახურში, დარიკო? — შეეკითხა ლომაური მდივანს.

მდივანს გაუკვირდა, თვალები შეაჭყიტა უფროსს.

— რასა ბრძანებთ, რა ადრეა! ცხრა საათი სრულდება, ორი წუთი აკლია მხოლოდ.

— ცხრა საათი? — გაიღიმა ზურაბმა, — მე კი ადრე მეგონა, რა შეუმჩნევლად გარბის დრო!

მდივანი მიხვდა რომ ზურაბ ლომაური ჯერ არ წასულიყო შინ. ღამეც თეთრად გაეთენებინა და გავიდა კაბინეტიდან.

ზურაბმა ტელეფონით დაურეკა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

— ილიკო ხარ? ზურაბი გელაპარაკები. ველარ მიცანი, კაცო, ზურაბ ლომაური? განა უძილობამ ასე გამომიცვალა ხმა, რომ ველარ მცნობ? ჰო, საქმე იყო და იმან გამათენებინა, რას იზამ, როცა საჭიროა. საჩქარო საქმე მაქვს შენთან... მოვდივარ...

ზურაბ ლომაურმა ნატო სულიაშვილის მკვლელობის საქმე, სადაც ჩაკერებული იყო ნატოს პირადი წერილები, გიორგი ქურხულის ბინიდან წამოღებული ბარათი და დამბაჩა წაიღო სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში.

— ილიკო, თუ ძმა ხარ, ძალიან საჩქაროდ უნდა გამირკვიო ეს ორი რამ. მჭირდება ამ წერილებისა და ბარათის შედარებითი

გრაფიკული ექსპერტიზა და ამ დამბახის შემოწმება ტყვიებისა და მასრების კოლექციაში.

განყოფილების უფროსმა გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ მოეხდინათ ორივე შემოწმება.

ზურაბი დასკვნის მოლოდინში ვერ ისვენებდა.

— დამშვიდდი, ზურაბ, დარბაისელი კაცი ხარ და ასეთი ნერვიულობა?!

— ჩემს დღეში რომ იყო, მაშინ აგრე არ იტყოდი. იცი თუ არა, რომ ამ დასკვნებს, რომელსაც მოველი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთ დიდი ბოროტმოქმედების საქმეში.

ორმოცი წუთი გავიდა და ორივე დასკვნა მიიღო ზურაბ ლომაურმა.

პირველი: გრაფიკული ექსპერტიზა აღნიშნავს, რომ ნაწერი როგორც წერილში, ისე ბარათში იმდენად არის მიმსგავსებული, რომ შესაძლებელია ვიფიქროთ, ხელი ერთია. თუმცა ბარათის წერის ზოგიერთი უმნიშვნელო თავისებურება განასხვავებს, მაგრამ ეს შეიძლება მიეწეროს დამწერის ნერვიულობას წერის დროს.

ამ დასკვნამ ზურაბ ლომაური ვერ დააკმაყოფილა, მაგრამ არაფერი თქვა.

მეორე: წარმოდგენილ ბრაუნინგის სისტემის დამბახით სამი დანაშაულია ჩადენილი: პირველი, საბურთალოზე, სადაც მოჰკლეს ღამის დარაჯი და მალაზია გაძარცვეს; მეორე, მკვლელობა მუხრანის გზაზე მგზავრების ძარცვის დროს; ხოლო მესამე, დაჭრა ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელ პარკში.

ამ დასკვნამ კი აღაფრთოვანა ლომაური. იგი სასწრაფოდ წამოვიდა თავის კაბინეტში.

სრულ ათ საათზე გამოცხადდნენ არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია. ისინი გაშტერებით შეაჩერდნენ ზურაბ ლომაურს, როდესაც მან გადაუშალა წინ თავის თანამშრომლებს სამეცნიერო-

კვლევითი განყოფილების დასკვნები.

— ამხანაგო უფროსო, გამოდის რომ თქვენ არც შინ წასულხართ და არც დაგისვენიათ, — შეეკითხა არჩილი.

— ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, საქმე იმაშია, რომ ამ დამბაჩის კვალს უნდა მივყვეთ ახლა.

— რა სწორე იყო თქვენი ანალიზი! — წარმოთქვა გაწერელიამ, — ცხადია უკვე, რომ დამბაჩა არ ეკუთვნის გიორგი ქურხულს, ის დანაშაულებანი, რომელიც ამ დამბაჩის გამოცენებით ჩაიდინეს, მოხდა მაშინ, როდესაც გიორგი ქურხული დაპატიმრებული იყო.

— თუნდაც არ ყოფილიყო ქურხული დაპატიმრებული, განა შეიძლებოდა, რომ იგი მძარცველი და მკვლელი ყოფილიყო? მე ერთი წუთითაც არ შემიძლია დავეჭვდე.

ზურაბ ლომაურმა დარეკა. შემოვიდა მდივანი.

— სასწრაფოდ გამოუძახეთ ყველა თანამშრომელს თათბირზე, — გასცა განკარგულება ლომაურმა.

მდივანი გაბრუნდა. რამდენიმე წუთში ყველა თანამშრომელმა მოიყარა თავი უფროსის კაბინეტში.

ზურაბმა მოკლე ინფორმაციით მიმართა მათ, აცნობა გიორგი ქურხულის ამბავიც, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს მკვლელობას და არა თვითმკვლელობას. გააცნო დამბაჩის ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგი.

— ამრიგად, ამხანაგებო, ეჭვგარეშეა, რომ ეს ორივე ძარცვა მკვლელობით და დაჭრა ჩადენილია ავაზაკების ერთი ჯგუფის მიერ. ერთ-ერთ მათგანს ეკუთვნის ეს დამბაჩა, რომლითაც მოკლულია გიორგი ქურხული. ვიმეორებ, მე ეჭვი არ მეპარება, რომ აქ მკვლელობასთან გვაქვს საქმე და არა თვითმკვლელობასთან. გაზაფხულზე ოთხი შეიარაღებული ჯგუფი რომ ავიყვანეთ, ორი ქალაქში, ერთი კახეთში და ერთიც ბორჯომის ხეობაში, კარგა ხანს შეწყდა სერიოზული დანაშაულებები, ბოლო ხანებში კი ხელახლა დაიწყო.

ზურაბი ერთი წუთით შეჩერდა, გადახედა თანამშრომლებს.

— მე ბევრს არ გავაგრძელებ, ამხანაგო მაიორო ივანიძე.

პირველი ქვეგანყოფილების უფროსი წამოდგა.

— დაბრძანდით. რა მდგომარეობაში სტუდენტი ქალების მძარცველების საქმე? თქვენ, როგორც მახსოვს, ეჭვი გქონდათ, რომ მათ იცნეს ერთ-ერთი მძარცველთაგანი, მაგრამ ვერ გამოათქმევინეთ ვინ არის!

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — დაიწყო მაიორმა ივანიძემ, — ეჭვი არ მეპარება, რომ მათ ნამდვილად იცნეს ერთი მძარცველი, მაგრამ რა გზითაც არ მივუდექით, ვერ გამოვათქმევინე. ჩემი აზრით, ალბათ მძარცველებში ერიო რომელიმე სტუდენტთაგანი, შეიძლება მათივე ინსტიტუტისა და თავიანთ ინსტიტუტს რომ არ გაუტეხონ სახელი, მაღავენ, არ ამხელენ.

— უნდა გამოათქმევინოთ, ოსტატურად მიუდექით ამ საკითხს, ზეგავლენა მოახდინეთ მათ პატრიოტულ გრძნობებზე, აუხსენით, განუმარტეთ, რომ თუ ეს ზნეობრივად დამპალი და დაქვეითებული ადამიანები დროზე არ იქნენ გამომჟღავნებულნი, მათგან უფრო მეტი ბოროტებაა მოსალოდნელი. ავაზაკების გამოვლინებით და შეპყრობით საზოგადოებას ვიხსნით, ამას საბჭოთა პატიოსანი მშრომელების ინტერესების დაცვა გვავალებს და ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია მხარში ამოგვიდგეს, დავევხმაროს. თუ მათ ამაში დაარწმუნებთ, ეჭვი არ მეპარება, ისინი აღარ იქნებიან იმ ყალბი მოსაზრებისა.

მაიორი ივანიძე უსმენდა უფროსს, გულში ამბობდა, რომ მე ყველა ეს ღონისძიება ჩავატარე, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეო, იცოდა, ეს რომ ეთქვა, ლომაური ეტყოდა: ალბათ საკმარისი მოხერხება ვერ გამოიჩინეო... ამიტომ გაჩუმებული თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად.

— ექიმი კაიშაურის ძარცვის საქმე რა მდგომარეობაშია?

— მე უკვე მოგახსენეთ ამის შესახებ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

— ახალი რაფერია?

— ჯერჯერობით არაფერი.

— ამხანაგო, კაპიტანო ნოდია, — მიმართა ლომაურმა მეორე ქვეგანყოფილების უფროსს, — გამოჰყავით ერთი თანამშრომელი და გააგზავნეთ რაიონში, სადაც ექიმი ნატო სულიაშვილი დაიკარგა, მიეცით დავალება უთვალთვალოს მანქანის მძღოლს, სანდრო ყარაშვილს, მისი ყოველი ნაბიჯი არ უნდა იქნეს ყურადღებიდან გამოტოვებული. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ობიექტია, ეჭვი არა მაქვს სანდრო ყარაშვილი არ არის სუფთა ადამიანი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ის ლეიტენანტ არჩილ ჩოხელის ზონაა.

— სხვა თანამშრომელი გამოჰყავით, არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია პირადად ჩემს დავალებებს ასრულებენ. ახლა ჩვენი საბრძოლო ამოცანაა, ამ დამბახის პატრონის მიგნება.

ზურაბ ლომაური კიდევ ესაუბრა თანამშრომლებს, მთელი რიგი ამოცანები დაუსახა, თათბირი დაამთავრა.

8

ზურაბ ლომაური თავის კაბინეტში იჯდა დაღლილი. ის იყო დაბრუნდა ერთი მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარების შემდეგ.

კაბინეტში პირველი ქვეგანყოფილების უფროსი მაიორი ივანძე შემოვიდა.

— ამხანაგო უფროსო, ახლა ჩემთან იყო გამძარცვული ექიმი კაიშაური, მან მიაგნო ერთ-ერთი მძარცველის კვალს.

— როგორ? — წამოხტა ლომაური.

— თავისი გამძარცველის სურათი რუსთაველის გამზირზე ერთ-ერთ ფოტოვიტრინაში უნახავს.

— ფოტოვიტრინაში?! — გაუკვირდა ლომაურს, — ნუთუ ისე გათავხედდნენ ბოროტმოქმედები, რომ სურათებსაც იღებენ და ძლევენ ფოტოგრაფებს საშუალებას მათ სურათები ვიტრინაშიც გამოჰკიდონ? აბა, ჩქარა, ნახევარ საათში აქ იყოს სურათიც და ცნობებიც ვის ეკუთვნის იგი.

მაიორი ივანძე კაბინეტიდან გავიდა.

ზურაბ ლომაური რაიონებიდან წარმოდგენილ საანგარიშო

მოხსენებების განხილვას შეუდგა, ამავე დროს მოთმინება არ ჰყოფნიდა, საჩქაროდ მოელოდა მაიორ ივანიძის დაბრუნებას. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. თუ ის არის, იმ სტუდენტის სურათი, რომლის გამომჟღავნებასაც ასე ერიდებიან სტუდენტი ქალები, საქმე უკვე გახსნილია.

ერთი საათი გავიდა, ზურაბ ლომაურს ის იყო უნდოდა დაერეკა და გაეგო რატომ აგვიანებს მაიორი ივანიძე, რომ თვითონ მან შემოაღო კარი, შემოვიდა კაბინეტში და ზურაბის წინ სურათი დადო.

ზურაბი დააცქერდა სურათს მაიორმა კი მოახსენა:

— ფოტოგრაფთან გავიგე მისი გვარი და სახელი, პავლე სიმონის ძე ნაპირელი გახლავთ.

— ნაპირელი? ვინ ნაპირელი?

— პროფესორი პავლე სიმონის ძე ნაპირელი.

რას ამბობ? პროფესორი და მძარცველი?!

— ყოველ შემთხვევაში ექიმი კაიშაური დაჟინებით ადასტურებს, რომ ჩემი გამძარცველი ეს არისო.

— აქ არის ექიმი კაიშაური?

— აქ გახლავთ.

— შემოიყვანეთ ჩემთან.

მაიორი ივანიძე გაბრუნდა და კაბინეტში შემოუძღვა ექიმ კაიშაურს.

— გამარჯობა, ამხანაგო უფროსო, — მიესალმა კაიშაური ლომაურს.

— გაგიმარჯოს, ექიმო. ეს მითხარით, თქვენ ნამდვილად ადასტურებთ, რომ ამ სურათზე აღბეჭდილი პიროვნება, მართლა თქვენი გამძარცველია?

— ჩემს მხედველობას და მეხსიერებას ვერ დავემდურები. დაბეჯითებით ვადასტურებ ამას.

— მერედა, იცით ვის ეკუთვნის ეს სურათი?

— ვინც არ უნდა იყოს, ეს სულერთია ჩემთვის.

— არა, მაინც?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ავაზაკია, ჩემი გამძარცველი.

— ამ სურათზე აღბეჭდილია პროფესორ პავლე სიმონის ძე ნაპირელის სახე.

— პროფესორი ნაპირელის? — გახევდა კაიშაური.

— წარმოუდგენელია! — ძლივს წარმოთქვა კაიშაურმა.

— ახლა რაღას იტყვით? — ჩააცვივდა ზურაბ ლომაური.

ექიმი კაიშაური უცებ წელში გასწორდა და წარმოთქვა:

— მე არ ვიცი ეს სურათო პროფესორისაა თუ სხვა ვინმესი, მე მაინც ვადასტურებ, რომ ჩემი მძარცველი ეს არის და სხვა არავინ.

— თქვენ ამას მტკიცედ ადასტურებთ?

— დიახ.

— ამხანაგო მაიორო, გააფორმეთ.

ივანიძე და კაიშაური გავიდნენ კაბინეტიდან.

ზურაბ ლომაური გაშტერებით მიაშტერდა ერთ წერტილს. მისთვის გაუგებარი იყო ყველა ეს ამბავი. „როგორ, ჩვენს ქვეყანაში, განა ეს შესაძლებელია? მეცნიერ-მუშაკი და ავაზაკი! არა, არა!.. უეჭველად რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი“.

კაბინეტში ხელახლა შემოვიდა მაიორი ივანიძე.

— ამხანაგო უფროსო, აქტი გავაფორმე, მაგრამ ძალიან მეფიქრება, დიდ პასუხისმგებლობას ხომ არ იღებს თავის თავზე ექიმი კაიშაური?

— დღესვე დაიბარეთ გამძარცვული სტუდენტი ქალები და წარუდგინეთ ეს სურათი ამოსაცნობად.

— არა მარტო სტუდენტი ქალები. საჭიროდ მიმაჩნია მუხრანელი კოლმეურნეების გამოძახებაც.

— ჩაატარეთ ეს ღონისძიებაც რაც შეიძლება სწრაფად.

დაბარებულ სტუდენტ ქალებს წარუდგინეს სურათები ამოსაცნობად, როდესაც მათ სხვა სურათებს შორის პროფესორ ნაპირელის სურათსაც მოჰკრეს თვალი, გაფითრდნენ და ერთმანეთს გადახედეს. მაიორ ივანიძე მიხვდა, რომ მათ ამოიცნეს იგი, როგორც ერთ-ერთი მძარცველი.

— ეს არის? — შეეკითხა იგი.

— როგორ გითხრათ, ძალიან წააგავს ერთ-ერთ მძარცველს, მაგრამ...

— რა მაგრამ, განაგრძეთ...

ქალები სდუმდნენ.

— ვიცი, რატომ სდუმხართ, ეს თქვენი პროფესორის სურათია და ალბათ იმიტომ მაღავდით აქამდის მის მონაწილეობას ძარცვაში, ხომ ასეა?.. — არ ეშვებოდა ივანიძე.

— რა ვქნათ პატივცემულო, არ გვინდოდა გვეთქვა, გვერიდებოდა... მაგრამ რადგანაც იგი თქვენ უკვე გცნობიათ, როგორც ბოროტმოქმედი, ვადასტურებთ, რომ მთავარი მონაწილე ჩვენი ძარცვისა ნამდვილად ამ სურათზე გამოხატული პიროვნებაა.

მაიორმა ივანიძემ გააფორმა აქტით ქალების ამოცნობა.

ამ ამბავმა ზურაბ ლომაური გაშმაგებამდე მიიყვანა.

„რაშია საქმე? ვთქვათ ექიმი კაიშაური შესცდა, ამ ქალებს რაღა დაემართათ?.. ვნახოთ რას იტყვიან კოლმეურნეები“.

დაბარებულმა კოლმეურნეებმა წარდგენილ მრავალ სურათებს შორის იგივე სურათი შეიცნეს.

— ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება, რომ პროფესორი ნაპირელი მართლა ურევია ამ ძარცვებში, — გულისტკივილით წარმოთქვა ზურაბ ლომაურმა.

— რას მიბრძანებთ, რა ღონისძიება ჩავატარო, ნუთუ დავაპატიმრო? — შეეკითხა ივანიძე.

— მე არ ვიცი, მთლად დამაბნია ამ საქმემ. მოვახსენებ სამმართველოს უფროსს, ვნახოთ რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი.

მგონია მინისტრამდე მისვლა მოგვიხდება.

ზურაბ ლომაურის დავალებით მაიორმა ივანიძემ შეისწავლა პროფესორ ნაპირელის პიროვნება.

პროფესორი პავლე სიმონის ძე ნაპირელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, კარგა მოზრდილი პარტიული სტაჟით. ლინგვისტი, ენათმეცნიერი, შვიდი თუ რვა უცხო ენის საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება გამოდგა.

ზურაბ ლომაურს თავის თავის თვითონვე შერცხვა, რომ ასეთი დიდი მეცნიერი მას დღემდე არ გაუგია. „აი, რას ნიშნავს, ვიწრო ნაჭუჭში რომ ჩაიკეტები ადამიანი“, — ფიქრობდა ლომაური. იუ-რისტი რომ ყოფილიყო ალბათ არ გამორჩებოდა მას, ეცოდინებოდა. რა თქმა უნდა, პროფესორ ნაპირელს არავითარი საერთო არ ექნებოდა ბოროტმოქმედთა ჯგუფთან. ეს გარემოება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ სურათი? ნუთუ შესაძლებელია რომ ყველა შესცდა: ექიმი კაიშაურიც, სტუდენტი ქალებიც, კოლმეურნეებიც? „ო, დიდი სიფრთხილე გმართებს, ლომაურო, დიდი. რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯით არ გააფრთხილო ნამდვილი ბოროტმოქმედი, საჭიროა დროზე იქნეს დადგენილი და იზოლირებული. ყოველ გაცდენილ დღეს, გაცდენილ საათს, შეუძლია გამოიწვიოს ახალი დანაშაულის ჩადენა“. მისი თავისუფლად ყოფნა ძილს უკარგავდა ზურაბ ლომაურს, თვით თანამშრომლებიც გამალებულნი ატარებდნენ სხვადასხვა ღონისძიებას.

ზურაბი ახლა იმაზე ფიქრობდა, რა საშუალებით გადაეწყვიტა ეს საკითხი. გიორგი ქურხულის გარდაცვალებიდან უკვე სამი დღე გავიდა. რაიონიდან ჩამოვიდნენ მისი ძმა და დები.

პანაშვიდებს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ყველა თანამშრომელი ესწრებოდა, ვისაც კი გადაუდებელი საქმე არ ჰქონდა. არჩილ ჩოხელმა და ხუტა გაწერელიამ ხომ არც ერთი პანაშვიდი არ გამოტოვეს. ისინი დატრიალებდნენ ხალხში, ყველას ყურს უგდებდნენ ვინ რა აზრს გამოთქვამდა გიორგი

ქურხულის გარდაცვალების შესახებ. ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია გამოჩენილიყო ხალხში თუ თვით ბოროტმოქმედი არა, ყოველ შემთხვევაში ისეთი პიროვნება მაინც, რომელიც ხელში ჩაუგდებდა ძაფის წვერს, რომ შემდეგ ეს უზარმაზარი გორგალი დაეშალათ და მიჰყოლოდნენ მას ბოლომდე. პანაშვიდებზე ვერ ჩაიგდეს ეს ძაფი, ერთადერთი იმედი დაკრძალვის დღეებდა იყო დამყარებული.

გიორგი ქურხულის დაკრძალვას აუარებელი ხალხი დაესწრო. გარდა მისი ნათესავებისა და მეგობრებისა, ნატოს დედა და ძმაც იყვნენ, რომლებიც სჩანდა, ძალიან განიცდიდნენ სიძის სიკვდილს. არანაკლებ განიცდიდნენ გიორგი ქურხულის სიკვდილს მისი მეზობლები, განსაკუთრებით ვალენტინ პანჩენკო და მისი ოჯახის წევრები. ყვავილებში ჩაფლულ კუბოს გიორგი ქურხულის ახლო მეგობრები და თანამშრომლები ხელიდან არ უშვებდნენ.

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების გადაცმული თანამშრომლები ხალხში იყვნენ გაბნეული და ცდილობდნენ არც ერთი საეჭვო გარემოება უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ.

ბურაბ ლომაური თუმცა არ წავიდა დაკრძალვაზე, მაგრამ თავის კაბინეტს არ მოსცილებია, რადგან თანამშრომლები, პირობისამებრ, თუკი ნიშანს მისცემდნენ ტელეფონის საშუალებით, იმავე წუთში იქ გაჩნდებოდა. დაკრძალვაზე დამსწრე ოპერატიულ ჯგუფს მაიორი ივანიძე ხელმძღვანელობდა.

სამგლოვიარო პროცესიას ორი ავტომანქანა ტაქსი მიჰყვებოდა, რომელთა საჭეებთან სამილიციო ორგანოების მძღოლები ისხდნენ. ისინი წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი ჩაესვათ მანქანებში ის პირები, რომლებზედაც საიდუმლო ნიშანს მიიღებდნენ მაიორ ივანიძისგან ან არჩილ ჩოხელისგან. ყველა დანარჩენებისათვის კი ეს მანქანები „დაკავებული“ იყო.

არჩილ ჩოხელმა ხალხში შეამჩნია სანდრო ყარაშვილი.

„სანდრო ყარაშვილს რა უნდა დაკრძალვაზე? — გაიფიქრა მან, — იგი ხომ ხეირიანად არც კი იცნობდა გიორგი ქურხულს, მას სულ ორჯერ ჰყავდა ნანახი იგი, პირველად, როდესაც ლომისიდან თავისი ავტომანქანით წამოიყვანა, ხოლო მეორედ კი მილიციის სამმართველოში, დაპირისპირების დროს“.

არჩილი აედევნა სანდრო ყარაშვილს, მაგრამ საჭირო იყო ამ საეჭვო შეხვედრის შესახებ ეცნობებინა მაიორ ივანიძისათვის. სანდრო ყურაშვილი ხომ იცნობდა არჩილ ჩოხელს, მისი თვალთვალი აუცილებლად ეჭვს გამოიწვევდა. საჭირო იყო სათვალთვალო ობიექტი სხვა თანამშრომლისათვის გადაეცა. დავალება ხუტა გაწერელიამ აიღო და გულმოდგინედ შეუდგა მის შესრულებას.

სამგლოვიარო პროცესიამ განვლო მელიქიშვილის ქუჩა, გავიდა ილია ჭავჭავაძის გამზირზე და გაჩერდა. იქ ხალხმა დაიწყო ავტომანქანებში ჩაჯდომა. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლები თითო თითოდ სხვადასხვა მანქანებზე მოთავსდნენ. ხუტა გაწერელიამ ძლივს მოასწრო შეხტომოდა იმ მანქანას, რომელზედაც სანდრო ყარაშვილი და მისი ნაცნობი დასხდნენ. სანდრომ ეჭვის თვალით შეხედა ხუტა გაწერელიას და როდესაც დაინახა, რომ იგი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, დაწყებული ლაპარაკი განაგრძო:

— მაშ ასე გაბო, მე უკანვე მომიხდება დაბრუნება, აქამდე დავბრუნდებოდი, მაგრამ ერთმა საქმემ შემაჩერა, — ეუბნებოდა ყარაშვილი თავის მეგობარს, — ორ სამ დღეში ან მე ჩამოვალ, ან შენ ამოხვალ ჩემთან.

— რაღა მე ამოვიდე, ბარემ შენ ჩამოდი, — უთხრა უცნობმა.

— რა ვიცი, ხომ იცი ახლა იმისთანა დროა, რომ... აუარებელი სამუშაოა, შეიძლება ვერ მოვიცალო. შენ არ წახვალ დღეს გიგოსთან?

— გიგოს უეჭველად ვნახავ, პატარა სამაღარიჩო საქმე აქვს

მას, კარგი იქნებოდა დარჩენილიყავი, მაგრამ რახან არ იშლი, შენ იცი.

— სამადარიჩო საქმე? ალბათ შენც თუ დაეხმარე.

— რა თქმა უნდა ჩემი დახმარებით.

ხუტა გაწერელია ყურს უგდებდა მათ. საუბარი თითქოს უმნიშვნელო ხასიათს ატარებდა, ალბათ წმინდა ოჯახური ამბების ირგვლივ ტრიალებდა, მაგრამ „ერთი კარგი საქმის“ ამბავმა დააინტერესა, რომელმაც ფული მოაგებიან ვიღაც გიგოს.

ამ ქარაგმულ საუბართან ხომ არა ჰქონდა საქმე, გაიფიქრა ხუტამ.

— ბარემ დარჩი დღეს, გიგოსთან კარგ დროებას გაატარებთ.

— კარგი, რახან აგრეა, გამოვალ.

მანქანები სასაფლაოს ჭიშკართან გაჩერდნენ, ხალხი ჩამოვიდა. სანდრო ყარაშვილი დაშორდა თავის ნაცნობს და გაწერელიამ შეამჩნია, გამომშვიდობებისას მან რაღაც ბარათი გადასცა.

სანდრო ყარაშვილი სასაფლაოზე შეჰყვა პროცესიას, ხოლო უცნობი შეჩერდა. სანდრო ყარაშვილს ისევ ხუტა გაწერელია აედევნა, ხოლო უცნობს არჩილმა დაუწყო თვალთვალი.

უცნობი მივიდა რამდენიმე ტაქსთან, მაგრამ ყველა დაკავებული აღმოჩნდა. ბოლოს მიადგა იმ მანქანას, რომლის საჭესაც მილიციის მძღოლი უჯდა.

— თავისუფალია მანქანა? — შეეკითხა უცნობი.

— თუ სამი წუთის განმავლობაში არ მოვიდა ის პირი, ვინც მთხოვა წაყვანა, შემოძლია წაგიყვანოთ, დიდი ხანია ველოდები და მეტს ლოდინს აღარ დავუწყებ. შეგიძლიათ შეიცადოთ სამიოდე წუთი? — თავის მხრივ შეეკითხა მძღოლი.

— მეტი რა ღონეა, მოვიცდი.

— დაბრძანდით მანქანაში, — წინადადება მისცა მძღოლმა, როდესაც მიიღო საიდუმლო ნიშანი არჩილ ჩოხელისაგან.

— კი მაგრამ, აკი ელით ვიღაცას? — გაიკვირვა უცნობმა.

— ორივე მოთავსდებით. სად გნებავთ წასვლა?

— ნავთლულში, — უპასუხა უცნობმა.

— წავიდეთ, მეტს აღარ მოვიცდი, — მძლოლმა მანქანა მომართა და დასძრა ადგილიდან. მას მეორე მანქანა აედევნა, რომელშიც არჩილ ჩოხელი იჯდა. როცა მანქანა გმირთა მოედანზე გავიდა, უცნობმა შეცვალა მიმართულება და მძლოლს უთხრა ნავთლულის მაგიერ ღრმაღელეში წაყვანა. უცნობი ჯავის ქუჩის დასაწყისში ჩამოვიდა მანქანიდან. გადაიხადა ფული და მანქანა გაათავისუფლა, ვიდრე ტაქსი თვალს არ მოშორდა იგი ერთ ადგილზე იყო გაჩერებული, შემდეგ კი ჯავის ქუჩის აღმართს შეუდგა.

არჩილმა დაადგინა სადაც მივიდა უცნობი და დაბრუნდა სამართველოში.

ვიდრე გიორგი ქურხულის კუბოს სამარეში ჩაასვენებდნენ, დაიწყეს სამგლოვიარო დეპეშების კითხვა. დეპეშები აუარებელი იყო, მათ შორის წაკითხული იქნა დარუბანდიდან გამოგზავნილი დეპეშა ნატო სულიაშვილის სახელით.

ხუტა გაწერელიამ მონახა ვალენტინ პანჩენკო და ვიდრე დასაფლავების ამბავი მოთავდებოდა, მას უკვე დეპეშა ხელთ ჰქონდა.

ხუტა გაწერელიამ არ დაკარგა სანდრო ყარაშვილის კვალი.

სანდრო ყარაშვილი ვიღაც ნაცნობ ქალს შეხვდა და მასთან ერთად ჩაჯდა ავტობუსში. ხუტა გაწერელიამ ავტომანქანით მისდია ავტობუსს იმ გაანგარიშებით, რომ არ გაესწრო მისთვის. რუსთაველის ძეგლთან სანდრო და მისი ნაცნობი ქალი ჩამოვიდნენ ავტობუსიდან, დაიქირავეს ტაქსი და გაემგზავრნენ ღრმაღელისაკენ. სანდრო ყარაშვილი და მისი ნაცნობი ქალი იმავე ბინაში მივიდნენ ღრმაღელეში, ჯავის ქუჩაზე, სადაც მანამდე უცნობი მივიდა, რომელსაც არჩილ ჩოხელი მიჰყვა.

როდესაც ზურაბ ლომაურს მოახსენეს მთელი დღის მუშაობის

შედეგი, იგი უკმაყოფილო დარჩა. მეტ მასალებს მოელოდა, მაგრამ სახლმა ღრმადელეში, ჯავის ქუჩაზე, დააინტერესა.

ზურაბ ლომაურს ადრევე ჰქონდა ცნობები, რომ ჯავის ქუჩაზე ბოროტმოქმედთა თავშესაფარი არსებობდა და ახლა უკვე ალ-ლოთი გრძნობდა, რომ ის თავშესაფარი, სწორედ ამ დადგენილ ბინაში უნდა ყოფილიყო. სახლი ეკუთვნოდა რკინიგზის ყოფილ მეისრეს გიგო ფანტიაშვილს. ორი ოთახისგან შედგებოდა, ეზო-თი და ბაღ-ბოსტნით.

გიგო ფანტიაშვილი ხეიბარი იყო. რაც მან მატარებლის მარცხის შედეგად ფეხი დაკარგა, პენსიაზე გადავიდა და ოჯახში დაიწყო ტრიალი, მაგრამ ამავე დროს ეწეოდა ბნელ საქმიანობასაც, კავშირი ჰქონდა საეჭვო ელემენტებთან. იმ გარემოებამ, რომ სანდრო ყარაშვილი მივიდა მის ბინაში, ზურაბ ლომაურს უფრო განუმტკიცა ეჭვი.

საჭირო იყო შეუწელებელი თვალყურის დევნება, თუმცა ეს რთულ საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც სახლი განმარტოებულად გილას იყო და თუმცა ახლომახლო პატარ-პატარა შენობები, სათვალთვალოდ მაინც მოუხერხებელი აღმოჩნდა. საჭირო იყო რომელიმე სანდო პატიოსანი მცხოვრების მონახვა და მისი ბინის გამოყენება სათვალთვალო პუნქტად. უბნის რწმუნებულის საშუალებით ასეთი ბინა მალე მოიხაზა. ფანტიაშვილის სახლის მოპირდაპირე მხარეზე ცხოვრობდა მოხუცი კალატოზი ფორე მარხვაიძე, პარტიის ძველი წევრი, სამშობლოს უერთგულესი პატრიოტი, რომელმაც თანხმობა მისცა ზურაბ ლომაურს მისი პატარა სამზარეულო გამოეყენებიათ ოპერატიული მიზნით.

სამზარეულო მოხერხებულად გილას იყო აშენებული, ისი პატარა სარკმლიდან კარგად მოჩანდა ფანტიაშვილის ბინის ფანჯრები ქუჩის მხარეს. იმ მიზნით, რომ ოპერატიულ მუშაკებისათვის ხელი არავის შეეშალა, ფორე მარხვაიძემ თავისი ცოლი და

პატარა შვილიშვილი, რომელსაც იგი ზრდიდა, თელავის რაიონში გაგზავნა თავის ვაჟიშვილთან, რომელიც აგრონომად მუშაობდა საბჭოთა მეურნეობაში.

რამდენიმე დღე გავიდა, სათვალთვალ პუნქტზე ოპერატიული მუშაკები ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგრამ საეჭვო ჯერჯერობით ვერაფერი შენიშნეს გიგო ფანტიაშვილის ბინაში. იქ აღარც სანდრო ყარაშვილი გამოჩნდა და არც ის უცნობი, რომელიც მასთან ერთად ესწრებოდა გიორგი ქურხულის დაკრძალვას. სამაგიეროდ, ქალი, რომელიც სანდროსთან ერთად მივიდა ამ ბინაზე, თითქმის დღეგამოშვებით საღამოს შვიდ თუ რვა საათზე მოდიოდა და ათ, თერთმეტ საათამდე რჩებოდა. ეს სისტემატიური მსვლელობა საეჭვოდ ხდიდა უცნობი ქალის პიროვნებას. ოპერატიულმა მუშაკებმა დაადგინეს, რომ ქალი ერთ-ერთ რესტორანში მუშაობდა მიმტანად.

გავიდა კიდევ ორი დღე, სათვალთვალ პუნქტზე მორიგეობდა ოპერატიული რწმუნებული გუცა დარბაისელი, მან ღამის სამ საათამდე იფხიზლა, ხოლო შემდეგ კი გაუხდელად წამოწვა ტახტზე და თვალი მოხუჭა. ხუთის ნახევარზე გააღვიძა ფორე მახვილაძემ და ანიშნა, რომ ფანტიაშვილის ბინაში შუქი ენთო, ხოლო ბინის წინ ქუჩაზე ავტომანქანა იდგა.

— ათიოდე წუთი იქნებოდა, რაც მანქანის გუგუნმა გამომაღვიძა, ხომ იცი წყნარ ღამეში უმნიშვნელო ხმაურიც კარგად ისმის, მე კი ძალიან ფხიზელი ძილი ვიცი, — დაბალი ხმით უთხრა ფორე მარხვაიძემ გუცა დარბაისელს, — ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე მანქანა როგორ გაჩერდა ფანტიაშვილის სახლის წინ. მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ და შეფუთული რაღაც შეიტანეს სახლში.

გუცა დარბაისელმა აღარ დააყოვნა და მაშინვე წავიდა სამილიციო განყოფილებაში, რომ ეცნობებინა ეს ამბავი ზურაბ ლომაურისათვის.

ერთი საათი არც კი გავიდა, რომ ადგილზე გამოცხადნენ ზურაბ ლომაური, მაიორი ივანიძე, არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია.

მათ მოსვლისას ავტომანქანა უკვე წასულიყო.

გათენდა. ფანტიაშვილის ბინაში სიწყნარე სუფევდა. ოპერატორული მუშაკები ფანტიაშვილის ბინის ირგვლივ განლაგდნენ. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მოეხდინათ ფანტიაშვილის ბინის ჩხრეკა, მაგრამ ზურაბ ლომაური მოხერხებულ მომენტს ელოდა.

შვიდ საათზე სათვალთვალო პუნქტი დასტოვა ზურაბ ლომაურმა და თანამშრომლებით მივიდა გიგო ფანტიაშვილის ბინაზე.

შინ თვით სახლის პატრონი გიგო ფანტიაშვილი და მისი ცოლი დაუხვდათ. ფანტიაშვილს ფერი ეცვალა, როდესაც ზურაბ ლომაურმა მას ჩხრეკის ორდერი წარუდგინა.

— ბატონო, მე ერთი ხეიბარი კაცი ვარ, პენსიონერი, განა რა დავაშავე იმისთანა, რომ ასე უდროოდ გვეწვიეთ გასაჩხრეკად? — მიაშიტი კილოთი მიმართა მან ზურაბ ლომაურს.

— უმიზეზოდ ჩვენ არავის არ ვაწუხებთ, — უპასუხა მას ზურაბ ლომაურმა.

ბინა ორი ოთახის და სამზარეულოსგან შედგებოდა. დეტალური ჩხრეკით ბინაში არაფერი არ აღმოჩნდა. სარდაფში ჩავიდნენ, მაგრამ ვერც იქ ნახეს ვერაფერი, არც სხვენზე აღმოჩნდა რაიმე.

ზურაბ ლომაური განცვიფრდა, შეუძლებელი იყო ეჭვი შეჰპარვოდა ფორე მახვილაძის სიტყვებში, მან თავის თვალთ ნახა, როგორ მოვიდნენ მანქანით ორნი, შეიტანეს ფუთა, მანქანა წავიდა, ხოლო მოსულები კი ბინაში დარჩნენ. თუ ფუთა დაიკარგა, ადამიანებს მაინც რა მოუვიდათ, სად გაქრნენ? ჩხრეკა თითქმის უშედეგოდ უნდა ეცნოთ, როდესაც სარდაფში არჩილმა უფროსის ყურადღება მიაქცია დანოტივებულ განჯინას, რომელსაც მრავალი გამოუსადეგარი ნივთებით იყო გამოტენილი. განჯინის გა-

სუფთავეების შემდეგ, იქ დროთა განმავლობაში გაშავებული კარი აღმოჩნდა. კარს უკან კი გვირაბის მაგვარი ხვრელი, რომელშიც ადამიანი წელში მოხრილი გაეტეოდა.

— ეს რა ხვრელია? — შეეკითხა ზურაბი გიგო ფანტიაშვილს.

— არ ვიცი, ბატონო. ამ ხვრელის არსებობა დღემდე არც ვიცოდი, ეს სახლი ჩემი აშენებული არ არის, ის ამ ხუთი წლის წინ შევიძინე და ვინც მომყიდა, მას არაფერი უთქვამს. სახლის გამკეთებელმა თუ ეს ხვრელიც გააკეთა, მე ამის შესახებ არაფერი გამიგია.

ზურაბი გრძნობდა, რომ გიგო ფანტიაშვილი უტიფრად სტყუოდა, ბევრს ეცადა გამოეტეხა, მაგრამ სახლის პატრონი უარზე იდგა.

ხვრელში შესვლა სახიფათო იყო, ეს კარგად იცოდა ზურაბმა. ხვრელი რომ გადიოდა სადღაც სარდაფში, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ სად? აუცილებელია, ხვრელს იქით იქნებიან მიმალულნი უცნობი პირები, რომლებიც ასე უდროოდ დროს ეწვივნენ ფანტიაშვილს. ისიც არ იწვევდა ეჭვს, რომ ისინი შეიარაღებულები იქნებოდნენ და ამასთან უხერხულ ადგილას, სიბნელეში, შესაძლებელი იყო ადამიანის მსხვერპლი. ამას ერიდებოდა ზურაბი. გადაწყვიტა ხვრელთან ოპერატიული მუშაკები დაეყენებინა. იმ შემთხვევაში, თუ კი გასასვლელი სხვა არა აქვს და თუ იქ იმოფება ვინმე, ალბათ ადრე თუ გვიან გამოვა გარეთ.

ზურაბმა მეორე აზრმაც გაუარა თავში. თუკი ხვრელს იქით იყო მეორე სარდაფიც, იქ ხომ ჰაერი არ იქნებოდა და აბა როგორ გასძლებდნენ ადამიანები უჰაეროდ? ალბათ არის ჰაერის მისაწვდომი რაიმე საშუალება. მაგრამ რა და როგორი? ჭა... უცბად გაურბინა ზურაბს თავში ამ აზრმა, ერთადერთი მხოლოდ ჭის საშუალებით იყო შესაძლებელი ჰაერის მოძრაობა. ზურაბ ლომაურმა დაუყოვნებლივ გაგზავნა არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია დაეთვალიერებინათ ეზო და თუკი სადმე ჭას აღმოაჩენდნენ

დაუყოვნებლივ ეცნობებიანათ მისთვის, თვითონ და ივანიძემ კი ისევ ამოქოლეს ხვრელში შესასვლელი კარი და ბინაში ამოვიდნენ.

ზურაბ ლომაურმა ყურადღება მიაქცია ჭერს, სადაც რამდენიმე ადგილას ნატყვიარი ემჩნეოდა.

— ეს ბატონო, ქალიშვილი რომ გავათხოვე, ქორწილის დროს სტუმრებმა ისროლეს და იქიდან დარჩა, — თავს იმართლებდა ფანტიაშვილი.

— იცით ვინ ისროლა მათი სახელი და გვარი?

— აბა რა ვიცი, სასიძოს მაცრები იყვნენ, სასიძოსა და მეჯვარის გარდა, არც ერთს არ ვიცნობდი.

არჩილ ჩოხელმა ზურაბ ლომაურს მოახსენა, რომ ეზოში მოზრდილი ფიცრულია, ხოლო ფიცრულის შიგნით კი ჭა იქნა აღმოჩენილი.

ზურაბმა ოთახში მაიორი ივანიძე დატოვა, თვითონ კი ჭის დასათვალიერებლად წავიდა. ზურაბის ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ჭა უფრო ფართო იყო, ვიდრე ამას ჩვეულებრივ სთხრიან ხოლმე. გარდა ამისა, რა საჭირო იყო ჭა, როდესაც ეზოში წყალსადენის მილი იყო გამოყვანილი! ცხადია ჭას კავშირი აქვს იმ საიდუმლო სარდაფთან. ზურაბმა დასტოვა არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია, მისცა საჭირო გაფრთხილება და ფანტიაშვილის ბინაში დაბრუნდა.

უკვე ათი საათი სრულდებოდა და ჭიდან კი არავინ ამოდიოდა, ეს ალბათ იმიტომ, რომ კიბე არ იყო ჩადგმული. სარდაფში გამოსასვლელი ჩაქოლილი იყო.

ან საიდუმლო სარდაფს სხვა, მესამე გასასვლელი აქვს, ან გიგო ფანტიაშვილმა მისცა საიდუმლო ნიშანი სარდაფში მყოფთ, ხოლო იქ რომ იქნებოდნენ ის ორნი, რომლებიც მანქანით მოვიდნენ და ფორე მარხვაიძემ დაინახა. ამაში უკვე ზურაბს აღარ ეპარებოდა ეჭვი.

საიდუმლო ნიშანი? ეს შესაძლებელია, მაგრამ როგორ, რა საშუალებით? ზურაბს გაახსენდა ავლაბრის არალეგალური სტამბა. „რალაც იმ სტამბის ყაიდაზეა გაკეთებული ეს სარდაფი. განა არ შეიძლება, რომ ნიშანაც იმისთანავე საშუალებით იყოს?“ ზურაბმა დაიწყო კედლებზე ხელების ფათური და მალე მიაგნო შპალერის ქვეშ შენიღბულ ღილს.

„აღლომ არ მოატყუა“, გაიფიქრა მან და ეწყინა, რომ ის კონსპირაციული მეთოდი, რომელსაც ძველი რევოლუციონერები იყენებდნენ ხალხის საკეთილდღეოდ, აქ ბოროტმოქმედებს ეს საშუალება თავიანთი ბნელი საქმეების გასაკეთებლად გამოეყენებინათ.

— აბა, ჩქარა, მიეცით ნიშანი, რომ საშიშროებამ განვლო, — უბრძანა ლომაურმა, ფანტიაშვილს.

— ვის, ბატონო? — შეეკითხა იგი ლომაურს, მას შემდეგ რაც ლომაურმა აღმოაჩინა საიდუმლო ზარის ღილს, ფანტიაშვილი უკვე ადამიანს აღარ ჰგავდა, დაჰკარგა ყოველგვარი სიმხნევე.

— ვითომც არ იცით ვის, იმათ, რომლებიც სარდაფში გისხედან... — მკაცრად შეუბღვირა ლომაურმა.

— სარდაფი ხომ დაათვალიერეთ, იქ არავინ იყო! — შეეცადა თავის მართლებას გიგო ფანტიაშვილი.

— ლაყბობის გუნებაზე არა ვარ, თუ არ გინდათ უფრო უარეს უსიამოვნებას წააწყდეთ, ვიდრე მოგელით, დაუყოვნებლივ მიეცით ნიშანი.

გიგო ფანტიაშვილმა სამჯერ დარეკა. მაიორმა ივანიძემ კი ნიშანი მისცა გუცა დარბაისელს სამალავიდან გამოსულიყო და ოპერატიულ ჯგუფს შეერთებოდა.

ზურაბ ლომაურის აღლო სწორი გამოდგა, ჭასა და ბინის სარდაფში აღმოჩენილ საიდუმლო ხვრელს შორის მართლა იყო კარგა მოზრდილი ოთახი. როგორც კი ოპერატიულმა ჯგუფმა ფე-

ხი შესდგა ფანტიაშვილის ბინაში, ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ ზარის დარეკვით გააფრთხილა იქ მყოფები საშიშროების შესახებ, მაგრამ ვერ მოასწრო კიბის ჩაშვება, ხოლო როცა ზურაბ ლომაურმა ჭა დაათვალიერა, უბრძანა არჩილსა და ხუტას ჩაემვით კიბე.

არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია მოუთმენლად მოელოდნენ როდის ამოვიდოდნენ ჭიდან სარდაფში მყოფნი. აგერ კიბე შეინძრა. პირველმა ამოყო თავი და რომ საეჭვო ვერაფერი დაინახა ამოხტა ზევით.

— ამოდი გაბო! — ჩასძახა მან მეორეს და გამობრუნდა. ამ დროს, არჩილ ჩოხელმა მოულოდნელად თავზე ტომარა ჩამოაცვა მას და თოკით შეკრა.

როდესაც მეორე ამოძვრა ჭიდან, ფიცრულში მოძრაობა შეამჩნია და გარეთ გავარდა, მას ხუტა გაწერელია მიჰყვა. უცნობმა იგრძნო რომ მას ფეხდაფეხ მისდევდნენ.

— გაჩერდი თორემ გესვრი! — შესძახა ხუტამ, მაგრამ გაქცეულმა სირბილს არ მოუკლო.

სარდაფიდან გამოსულმა გუცა დარბაისელმა რომ დაინახა გაქცეული, რომელსაც ხელში დამბაჩამოღერებული ხუტა გაწერელია მისდევდა, წინ გადაუდგა დამბაჩით ხელში, მაგრამ გაქცეულმა დაასწრო და ტყვია დაახალა მას, დარბაისელმა წაიჩოქა.

ხუტა გაწერელია ოდნავ დაიბნა, აღარ იცოდა გაქცეულს გასდევნებოდა, თუ დაჭრილისთვის მოეწლო.

— რაღას უყურებ, მისდიე! — ძლივს წარმოთქვა გუცა დარბაისელმა და მიწაზე განერთხო გონებადაკარგული.

ხუტა გაწერელია გაქცეულს გამოუდგა, მაგრამ მან შეასწრო ერთ-ერთ სახლში. ღია ფანჯრიდან გადახტა ვიღაც მოქალაქის ბინაში.

ოთახში სამი პატარა ბავშვი იყო. ბავშვებმა რომ დაინახეს უცნობი ხელში იარაღით, კვილი მორთეს.

— არ მოგვკლა ძია, — შებღავლეს მას ბავშვებმა.

— გაკმინდეთ ხმა! — შეუტია უცნობმა, მივარდა კარებს, გავარდა ეზოში, მაგრამ იქ ხუტა გაწერელიამ მიუსწრო და ესროლა. გაქცეულა სროლითვე უპასუხა, უკანვე შევარდა ოთახში, ჩაკეტა კარი და ორ ფანჯრის შუა, რომლებიც ქუჩის მხარეზე იყო, ჩასაფრდა.

ხუტა გაწერელიამ დანახვისთანავე იცნო. ეს უცნობი ის პიროვნება იყო, რომელიც სანდრო ყარაშვილთან ერთად ესწრებოდა გიორგი ქურხულის დაკრძალვას.

სროლის ხმაზე, ზურაბ ლომაური მიხვდა, რომ ამ ოპერაციამ უსისხლოდ არ ჩაიარა, მიაძახა მაიორ ივანიძეს „დარჩი აქ“ და ქუჩაზე დაეშვა. ქუჩაშივე გამოვარდა არჩილ ჩოხელიც.

ზურაბმა რომ დაინახა მიწაზე წაქცეული გუცა დარბაისელი, მაშინვე მივარდა მას, გადაუწია მკერდი, იქიდან სისხლმა ამოხეთქა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მიეღო ზომები. ხუტა გაწერელიას დაავალა ეყარაულა ფანჯრისთვის. ის იყო აპირებდა არჩილ ჩოხელის გაგზავნას სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად, რომ ქუჩაში უბნის რწმუნებული გამოჩნდა, რომელიც სროლის ხმაზე გამოქცეულიყო.

— ჩქარა, სასწრაფო დახმარება, — შეჰყვირა ზურაბმა, არჩილს კი ანიშნა ეზოში ჩასულიყო და კარებისთვის ედარაჯნა. თვითონ სახლის მეორე კუთხეს ამოუდგა.

სროლის ხმაზე სასწრაფოდ გამოცხადდა სამილიციო განყოფილების უფროსი და მისი ოპერატიული რწმუნებული სისხლის სამმართველოს დარგში, რომელმაც მძიმედ დაჭრილი გუცა დარბაისელი წაიყვანეს მახლობელ კლინიკაში და უკანვე გამობრუნდნენ სასწრაფოდ.

ზურაბ ლომაურმა განყოფილების ოპერატიული მუშაკი არჩილ ჩოხელის ადგილას დააყენა კარების სადარაჯოდ, არჩილი კი ფიცრულში გაგზავნა, რომ შეკრული ბოროტმოქმედი არ განთავისუფლებულიყო და არ მიმალულიყო.

ბინა, სადაც ხუტა გაწერელიას შეასწრო გაქცეულმა, რკინიგზის მემანქანეს ეკუთვნოდა, რომელიც სამსახური იყო, ხოლო ბავშვების დედა ბაზარში წასულიყო სანოვავის საყიდლად. შეშინებული ბავშვები კრინტს ვერ ძრავდნენ. გაქცეული ხედავდა, რომ რკალში იმყოფებოდა და თავის გადარჩენის იმედი ნაკლებად ჰქონდა. ერთ-ერთი მისი იმედი ისღა იყო, რომ მილიციელები ვერ ესროდნენ ოთახში მყოფი ბავშვების გამო. თვითონ კი ფანჯრიდან განაგრძობდა სროლას, რათა ამ საშუალებით მილიციის მუშაკებისთვის ფანჯარასთან მიახლოების საშუალება არ მიეცა.

— დააგდე იარაღი, დაგვნებდი! — უყვიროდა ლომაური, — სულერთია ჩვენს ხელთ ხარ!

— მოდით და წამიყვანეთ, რაღას უყურებთ? — გამოსძახა უცნობმა და თან ზედ სამსართულიანი მიაყოლა. ხუტამ თვალი ჩაუკრა სარაიონო განყოფილების უფროსს და ანიშნა, რომ იგი ეზოდან შემოსულიყო და კარის შეტეხვის ცდით ბოროტმოქმედის ყურადღება მიეპყრო.

განყოფილების უფროსმა შემოუარა ეზოს და ჩაკეტილ კარს მიაწვა. მართალია კარის შეტეხვას დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ ხმაურს რომ ყური მოჰკრა, ბოროტმოქმედი ინსტინქტურად შეტრიალდა, ამით ისარგებლა ხუტა გაწერელიამ, შეახტა ფანჯრის რაფას და ერთი წამის განმავლობაში ოთახში გაჩნდა. ვიდრე უცნობი შემოტრიალდებოდა და ესროდა, ხუტამ დაასწრო სროლა, მაჯაში დაჭრა და იარაღი დააგდებინა. უცნობმა დააპირა მარცხენა ხელით აეღო იარაღი, ხუტამ აქაც დაასწრო, ეცა მარცხენა ხელში და ისე გადაუგრიხა, რომ მკლავი სახსრიდან ამოუგდო.

დაპატიმრებულები მანქანით გაგზავნეს მილიციის სამმართველოში, მათ არჩილ ჩოხელი გაჰყვა.

ზურაბ ლომაურს ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. ჯერ კიდევ არ იყო გაჩხრეკილი საიდუმლო სარდაფი, გარდა ამისა მას ძალიან აინტერესებდა ჭერში აღმოჩენილი ნატყვიარის შესწავლა.

ზურაბ ლომაურმა თან წამოიყვანა რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსი და მისი ოპერატიული მუშაკი. როცა ჭაში ჩაეშვნენ, იქ ადვილად მონახეს ხვრელი, რომელმაც მიიყვანა საიდუმლო სარდაფში. სარდაფში, ელექტრონით გაშუქებული კარგა მოზრდილი ოთახი, ნაძარცვი და ნაქურდალი ნივთებით იყო სავსე.

— აქ მთელი უნივერსალია! — თვალები გაუბრწყინდა ზურაბ ლომაურს, — აბა, ლეიტენანტო, სასწრაფოდ გამოიძახეთ სატვირთო მანქანა, ამის წაღებას ბარე სამი სამტონიანიც არ ეყოფა. დარეკეთ სამმართველოში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებიდან ახლავე წამოვიდეს ყველა ოპერატიული მუშაკი, აი, კიდევ რა, გამოცხადდეს არჩილ ჩოხელიც და თან წამოიყვანოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტები.

თითქმის ნახევარი დღე მოუწინდნენ სარდაფიდან ნივთების ამოზიდვას. ზურაბ ლომაურის ხელმძღვანელობით მაიორმა ივანიძემ დაწვრილებითი სია შეადგინა, სათანადო აქტით გააფორმა და მანქანებით გააგზავნა მილიციის სამმართველოში. ვიდრე ლომაური და ივანიძე აქტის გაფორმებაზე მუშაობდნენ, არჩილ ჩოხელი და სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტი ჭერში ნატყვიარების შესწავლას აწარმოებდნენ. სახლის სახურავში ნატყვიარების მიმართულების დადგენის შედეგად აღმოაჩინეს ორი ტყვია, ერთი „ტეტეთი“ იყო ნასროლი, მეორე კი „ბრაუნინგით“.

ზურაბ ლომაურმა დაავალა ექსპერტს დაუყოვნებლივ წასულიყო განყოფილებაში, ეს ტყვიები შეემოწმებინა სამმართველოში მის დაბრუნებამდე და შემოწმების შედეგი დაეხვედრებინა.

გიგო ფანტიაშვილი, მას შემდეგ რაც ბინაში აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედთა ბუნაგი და ოსტატურად შენიღბული სარდაფი, თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, კუთხეში მიმჯდარიყო გალენჩებული და უაზროდ ადევნებდა თვალს მილიციის მუშაკების მოქმედებას. აქტებზეც ხელი ისე მოაწერა, თითქოს თვითონაც არ იცის რას სჩადისო.

ზურაბ ლომაურს, ოთახის გაჩხრეკის დროს თუმც არაფერი მნიშვნელოვანი არ აღმოუჩენია, იგი მაინც დააინტერესა ერთმა ჯგუფურმა სურათმა. ეს სურათი გადაღებული იყო ქეიფის დროს. სანოვაციო სავსე მაგიდას გარშემო უსხდნენ მოქეიფენი. ეს იყო მეშჩანური გემოვნების ჩვეულებრივი მოზრდილი სურათი. ზურაბის ყურადღება სურათის თავისებურებამ კი არ მიიქცია; არც იმას დაუინტერესებია, რომ გადაღებულთ, ალბათ შექეიფიანებულთ, ღვინით სავსე ჭიქები აეღოთ ხელში; არა, ყველა ეს ამბავი ახალი არ იყო ზურაბისთვის, თბილისი მდაბიოთა ზოგიერთ ბინებში უნახავს ამისთანა სურათები. არც იმ გარემოებას დაუინტერესებია ზურაბი, რომ სურათზე გარდა იმ ორი პიროვნებისა, რომელნიც დღეს შეიპყრო ფანტიაშვილის ბინაში, მესამე, სანდრო ყარაშვილის გამოსახულება ამოიცნო. იგი განაცვიფრა იმ გარემოებამ, რომ სურათის ცენტრში მყოფ პირთაგან მას შესცქეროდა პავლე ნაპირელის გამოსახულება.

გიგო ფანტიაშვილის ბინა დალუქეს და მის მეზობლებს ჩააბარეს. უბნის რწმუნებულს მიეცა სპეციალური დავალება ფხიზელი თვალყური ედევნებინა ბინისათვის.

ზურაბ ლომაური, ოპერაციის დამთავრების შემდეგ, პირდაპირ საავადმყოფოში გაემგზავრა. უკვე ბინდდებოდა, მას ჯერ არა

თუ არ ესადილა, საუბმეც კი არ ეჭამა, მაგრამ ვის ახსოვდა საუბმე ან სადილი, მთელი დღე ისეთი ძარღვდაჭიმული იყო, რომ თავი უბრუოდა. წინა ღამით გვიან მივიდა შინ, დღეს სისხამ დილაზე მოუხდა გამოუძინებელს წამოსვლა და ასეთ ნერვიული დღის დაღამება ადვილი როდი იყო.

სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში, სადაც დაჭრილი გუცა დარბაისელი მიიყვანეს, ზურაბ ლომაურმა ინახულა მორიგე ექიმი. ექიმმა შენიშნა ზურაბის აღელვება და დაუწყო დამშვიდება.

— ჭრილობა უეჭველად მძიმეა, ამას ვერ დავმაღავ, ამხანაგო ლომაურო, მაგრამ არის იმედი, რომ გადარჩება. ერთადერთი ის გარემოება გვაფიქრებს, რომ სისხლი აქვ დაკარგული ბევრი.

— ხომ არ შეგიძლევით დაჭრილ დარბაისელის სისხლის ჯგუფი? — შეეკითხა ლომაური.

— რა თქმა უნდა, შევამოწმეთ, მესამე ჯგუფს ეკუთვნის.

— ჩემი ჯგუფი ყოფილა, თუ საჭიროა სისხლის გადასხმა, მე გთხოვთ მიიღოთ ჩემი სისხლი გადასასხმელად.

ზურაბმა ინახულა დაჭრილი გუცა დარბაისელი. იგი გაფითრებული იწვა საწოლზე და თითქოს სძინავსო თვალები დახუჭული ჰქონდა.

ზურაბის მიახლოება თითქოს იგრძნო დაჭრილმა, თვალები გაახილა და და თავისი უფროსი რომ დაინახა, გაუღიმა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო... — ჩურჩულით წარმოსთქვა მან, მაგრამ ზურაბ ლომაურმა არ დააცალა.

— ლაპარაკი არ შეიძლება, დასუსტებული ხარ. ნუ გეფიქრება, მალე მერცხალივით წამოფრინდები. ხომ იცი, ჩვენი ტყავი ისეთი მკვრივია, რომ მის დახევა ადვილი საქმე არ არის. ვიცი შენ რაც გაინტერესებს. ოპერაცია კარგად დაგვირგვინდა, მეორე ბო-

როტმოქმედის შევიპყარით და უამრავი ნაძარცვიც აღმოვაჩინეთ.

გუცა დარბაისელს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა.

ზურაბმა ცოტა ხანს კიდევ დაჰყო დაჭრილთან, შემდეგ გამოვიდა და ტელეფონით დაუკავშირდა საავადმყოფოს მთავარ ექიმს, სთხოვა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ დაჭრილისთვის და მიეღოთ მისი სისხლი გადასასხმელად.

ზურაბმა საავადმყოფოდან შინ შეიარა, არ დაუსვენია, სახელდახელოდ შენაყრდა და ისევ სამმართველოში გაშურა.

მისვლისთანავე არჩილ ჩოხელმა დაახვედრა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების დასკვნა: გიგო ფანტიაშვილის ბინის სხვენზე ნაპოვნი და წამოღებული ერთ-ერთი ტყვია ნასროლია იმ დამბახიდან, რომელიც გიორგი ქურხულის ბინაში იქნა აღმოჩენილი.

ზურაბ ლომაური გახარებული იყო ასეთი შედეგით. გამართლდა მისი ეჭვი, რომ გიორგი ქურხულმა თავი კი არ მოიკლა, არამედ მოჰკლეს. მკვლელსაც თითქმის მიაგნეს. გარდა ამისა, ეჭვი არ იყო, რომ დაპატიმრებული ბოროტმოქმედნი იმ ავაზაკთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, რომლებიც ბოლო ხანებში თავხედურ თავდასხმებს აწყობდა მოქალაქეებზე და სავაჭრო ორგანიზაციებზე.

— არჩილ, შენ ძალიან მასიამოვნე, რომ მოსვლისთანავე ასეთი კარგი დასკვნა დამახვედრე, მაგრამ მეც მინდა ერთი პატარა რამ გაჩვენო, რომელიც შენ გაგაკვირვებს.

ზურაბმა არჩილს წინ გიგო ფანტიაშვილის ბინიდან წამოღებული სურათი დასდო.

— აბა, კარგად დააკვირდი, არავინ გეცნობა?

არჩილმა დახედა სურათს.

— როგორ არა, აი ეს ორნი ისინი არიან დღეს რომ შევიპყარით. ეს მესამე სანდრო ყარაშვილია, ნამდვილად ის არის.

— ეს სწორია, არჩილ, ეს სამი კაცი კი იცანი, მაგრამ მეტს ვერავის სცნობ?

არჩილმა თვალები დააჭყიტა:

— ნუთუ! არა, ეს წარმოუდგენელია. ჰალუცინაცია ხომ არ მემართება? — არჩილი უფრო დააკვირდა სურათს, — მე მეგონა როგორი ხანდახან სტყუის, მხედველობა კი არასოდეს, აქ კი...

— მხედველობა არც ამ შემთხვევაში სტყუის.

— მაშ ეს პროფესორი ნაპირელია? ნუთუ მეცნიერი კაცი, დოქტორი, პარტიის წევრი, ასეთი დიდი ადამიანი ავაზაკთა შორის არის გადაღებული ჭიქით ხელში, ასეთ ვულგარულ ვითარებაში, ასე ტლანქად და უხეშად? — ადგილს ვერ პოულობდა არჩილი.

— ჯერჯერობით მეც არ ვიცი რა ვიფიქრო, რა დასკვნას დავადგე! — მწარედ ამოიხვნეშა ზურაბ ლომაურმა. — ან კი როგორ წარმოვიდგინო? ეს ხომ მეცნიერების შეურაცხყოფა იქება, მაგრამ... — სიტყვა შუაზე გაუწყდა.

არც არჩილი იყო კარგ დღეში, ის გაშტერებით ერთ წერტილს მიშტერებოდა და არ იცოდა რა ეფიქრა. მის აზროვნებაში ფუტკარივით ირეოდნენ ათასი უცნაურობანი და გარკვევით კი ვერაფერს ეუბნებოდნენ მას.

9

გიგო ფანტიაშვილის სარდაფიდან წამოღებულმა ნივთებმა ოცდაათამდე საქმე გახსნა. დადასტურდა ისიც, რომ გიორგი ქურხულის ბინაში აღმოჩენილი დამბაჩა სანდრო ყარაშვილს ეკუთვნოდა, მაგრამ თვით სანდრო ყარაშვილის დაპატიმრება ვერ მოხერხდა, იგი მიიშალა.

როგორც დაკითხულმა ბოროტმოქმედებმა, ისე მათი ხელის შემწყობმა გიგო ფანტიაშვილმა და მისმა ცოლმა კატეგორიული უარი განაცხადეს პროფესორ ნაპირელის ცნობაზე. სანდრო ყარაშვილი მათთან ერთად მოქმედებდა, მხოლოდ არა როგორც ძარცვების უშუალო მონაწილე, არამედ, როგორც მანქანის მძღოლი. ნაცრისფერი ავტომანქანა მისი საკუთრება იყო.

ის კაცი, რომელიც პროფესორად მიაჩნდა ძიებას, ჯგუფის უფროსი ყოფილა. ყველა მკვლელობა პირადად მას ჩაუდენია, ჰქვია გერმან ბაზილი. რა ეროვნებისა არის, არავინ იცის, საფიქრებელია, რომ ქართველი უნდა იყოს, გვარად ბასილაშვილი.

კარგად ლაპარაკობს ქართულად, რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად და წარმოიდგინეთ ოსურადაც კი.

ზურაბ ლომაურის წინაშე ახალი ამოცანა წამოიჭრა გადასაწყვეტად: ვინ არის გერმან ბაზილი? თავისთავად ეს სახელი არაფერს ამბობდა, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლები ბევრ ბოროტმოქმედს იცნობდნენ სახით, უფრო მეტს სახელითა და გვარით, არანაკლებს ზედმეტი სახელებით, გერმან ბაზილი კი პირველი გაგონება იყო მათთვის. ბასილაშვილის გვარითაც გაიხსენეს რამდენიმე დამნაშავე, მაგრამ სურათზე აღბეჭდილ პიროვნებას არც ერთი მათგანი არა ჰგავდა.

მაშ ვინ არის გერმან ბაზილი? საიდან ჩამოვიდა? სად ცხოვრობდა და რა საქმიანობას ეწეოდა?

ნუთუ დასაშვებია, რომ ამ სახელით პროფესორი პავლე ნაპირელი მართლა იყო დაკავშირებული სისხლის სამართლის დამნაშავე პირებთან? შეიძლება ეს ზედმეტი სახელია... ან იქნებ პავლე ნაპირელის ორეულია?

ორეული? საკვირველია! დაკითხულთა აღწერით გერმან ბაზილი არა მარტო სახით საოცრად ჰგავს პავლე ნაპირელს, არამედ თმის ფერითაც, სიმაღლითაც და სისქითაც.

ზურაბ ლომაურმა სტუდენტი ქალების დაკითხვით თითქმის დაწვრილებით შეისწავლა პავლე ნაპირელის თავისებურებანი. იმასაც არ დასჯერდა, რამდენჯერმე საგანგებოდ დახვდა გზაზე. როდეს იგი ინსტიტუტიდან შინ ბრუნდებოდა, აედევნა, არ დასტოვა ყურადღების გარეშე არა მარტო მისი გარეგნობა, არამედ თვით მოძრაობის თავისებურებანიც კი. გერმან ბაზილი ცაცია ყოფილა, მარცხენა ხელს უფრო მარჯვედ ხმარობდა, პავლე ნაპირელისათვის კი არ შეუმჩნევია.

გერმან ბაზილი, როგორც დაკითხულები აღნიშნავდნენ, მჭიდრო მეგობრულ განწყობილებაში იყო სანდრო ყარაშვილთან.

იგი ხშირად იკარგებოდა თვეობით, მაგრამ ხელახლა მოულოდნელად გამოჩნდებოდა ხოლმე და მაშინვე იწყებდა დანაშაულებრივ საქმიანობას, ჩაიდენდა რამდენიმე ბოროტმოქმედებას და ისევ მიიმალებოდა, სად? არავინ იცოდა.

იგი საუკეთესო მსროლელი იყო, კარგი მოკრივე, საერთოდ ფიზიკურად განვითარებული, იცოდა ავტომატქანის მართვა, ცურვის ოსტატიც იყო, არც ცხენოსნობაში ჩამორჩებოდა არავის. ყოველ საზოგადოებაში, რა ჯურის ხალხიც არ უნდა ყოფილიყო, ისე იჭერდა თავს, როგორც ის საზოგადოების თანატოლი. „ავარებთან — ავარა, ლოთებთან — ლოთი, ხულიგნებთან — ხულიგანი, განათლებულ საზოგადოებაში ისე იჭერს თავს, რომ არავის ეჭვი არ აღუძრას. იშვიათ მესხიერების პატრონია, დაკვირვებულის, კაცი ვერაფერს ვერ გამოაპარებს.

დიდი ყომარბაზია, აზარტულ თამაშში რომ ჩაერევა, სულ ერთია ბანქო იქნება თუ კამათლის თამაში, აღარაფერი ახსოვს, მზად არის უკანასკნელი პერანგიც გაიხადოს, თუკი წაგებაზე მიდგება საქმე. წაგებას და მოგებას ერთნაირად განიცდის. რაც უნდა დიდი თანხა წააგოს დიდად არ შეიწყუხებს თავს, არც დიდი მოგება ახვევს თავბრუს, მისთვის ფულს არავითარი ღირებულება არა აქვს, „ქარის მოტანილ ნაგავს“ უწოდებს.

უყვარს ჩაცმა და განსაკუთრებული გემოვნებითაც აცვია. იცის თავის დაჭერა, მაგრამ თუ იფეთქა, ყველა უნდა ჩამოშორდეს, თორემ მისგან დანდობას ნურავინ მოელის. განსაკუთრებით უყვარს ქალები, მათ გულისათვის რამდენიმე კაცი გაუმგზავრებია მოუსავლეთში. უყვარს დროსტარება, სმა, მაგრამ რამდენიც არ უნდა დალიოს, კაცი სიმთვრალეს ვერ შეატყობს. მისთვის კაცის მოკვლა და ქათმის დაკვლა ერთია. პირწავარდნილი სადისტია, ადამიანის ტანჯვა ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებს მას. მთელი საბჭოთა კავშირი აქვს მოვლილი, იცის ამ უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხე-კუჩქული. მისი დიდი ნაკლი ის არის, როდესაც

შექეიფიანებულია (მთვრალი არავის უნახავს, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტად მთვრალი მაინც) უყვარს თავის თავზე ლაპარაკი და თავის თავგადასავლის მრავალრიცხოვან ამბებს ყველას უამბობს, არ მალავს არაფერს. დღეს რო ჯიბე სავსე აქვს ფულით, ხვალ პაპიროსის ფულს დაეძებს. ნაძარცვ ნივთებში ლომურ წილს დაიდებს ხოლმე, მაგრამ არ უყვარს „ჩვრები“, ის უფრო ფულსა და ფასეულობას ეტანება. ჩამოსვლის დროს თბილისში ვისთან ბინადრობს, არავინ იცის და არც არავის უმხელს. ერთადერთი სანდრო ყარაშვილია, რომელიც მისი ყველაფერი იცის. ბრაუნინგი სანდრო ყარაშვილს გერმან ბაზილმა აჩუქა. მას მართო ძარცვები მიაჩნია საქმედ, ამას ვაჟკაცობად თვლის. ქურდობაში იშვიათად გაერევა, ისიც იმ დროს თუ საქმე სარფიანია და კარგ შემოსავალს უქადის. საერთოდ ბოროტმოქმედთა წრეში დიდი გავლენით სარგებლობს და ყველას ეშინია მისი. დიდძალ ფულს შოულობს, მაგრამ ან ყომარში აგებს, ან ქალებს ახარჯავს, ან კიდევ ლოთობ-ღრეობაში ფლანგავს“.

ასეთ სურათი დაუხატეს ძიებას დაკითხულმა ბოროტმოქმედებმა. გიგო ფანტიაშვილმა კი აღნიშნა, რომ მის სახლში მხოლოდ ერთხელ იყო, ამ რამდენიმე კვირის წინ, არც მანამდე და არც მის შემდეგ ფეხი არ მიუდგამს.

ზურაბ ლომაური მოსვენებას ვერ პოულობდა. არ იცოდა რა გზას დასდგომოდა, როგორ წარემართა გერმან ბაზილის ძებნა.

პავლე ნაპირელი, პროფესორი, პარტიის წევრი, მეცნიერი. გერმან ბაზილი ავაზაკი, ნაძირალა, ცხოვრების მუწუკი. ეს ორი ადამიანი მოსვენებას არ აძლევდა, ძილს უკარგავდა. ეს ორი ადამიანი ერთი და იგივე პიროვნებაა, თუ სხვადასხვა არიან? აი საკითხი. რომლის გადაჭრაც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა.

მართალია, გიგო ფანტიაშვილის ბინა-ბუნაგის ლიკვიდაციის შემდეგ შეწყდა სერიოზული დანაშაულებანი, აღარც სანდრო ყა-

რაშვილი ამჟღავნებდა თავის თავს, მაგრამ სანდრო, თუ დაეჯერებოდა დაკითხულთა ჩვენებებს, მეორეხარისხოვან პირად შეიძლებოდა ჩათვლილიყო, იგი პასიურ როლს ასრულებდა დანაშაულთა ჩადენაში, მას მხოლოდ ბოროტმოქმედები გადაჰყავდნენ, გადმოჰყავდა და ნაძარცვ-ნაქურდალი გადაჰქონდ-გადმოჰქონდა. მაგრამ გერმან ბაზილი? იგი ხომ თავისუფალია, არ არის შეპყრობილი, მიჩუმდა, მიწყნარდა, მაგრამ დიდხანს? განა ხელახლა არ შეეცდება შექმნას ავაზაკების ახალი ბანდა?

რა ქნას ზურაბ ლომაურმა? გაგზავნოს თუ არა ყამირ მიწებზე თანამშრომლები, ექიმ ნატო სულიაშვილის სახელით ჩასული პიროვნების გამოსაკვლევად? მართალია ის პიროვნება ზურაბის დასკვნით, ამჟამად აღარ უნდა იმყოფებოდეს ყამირ მიწებზე, მაგრამ ხომ მაინც უნდა იქნეს დადგენილი როგორც პიროვნება? ნატო სულიაშვილის სახელით სამგლოვიარო დეპეშა მოვიდა დარუბანდიდან. სად ყამირი მიწები, სად დარუბანდი? შუაზე უზარმაზარი ზღვაა, კასპიის ზღვა. ვინ აცნობა, საიდან გაიგო დეპეშის გამომგზავნმა გიორგი ქურხულის გარდაცვალების ამბავი?

დარუბანდი, ყამირი მიწევი... დარუბანდი, ყამირი მიწები... არა დღესვე მოახსენებს სამმართველოს უფროსს საქმის ვითარებას, ეტყვის თავის აზრს.

მერი მალდონატო, რესტორანში მიმტანად რომ მუშაობს, სანდრო ყარაშვილის ნაცნობი, გიგო ფანტიაშვილის ოჯახის ხშირი სტუმარი, — არც ის უნდა გამორჩეს მხედველობიდან. მართალია, იმ ქალმა არაფერი იცის, რომ მილიციის თანამშრომლებმა იგი დიდი ხანია ნიშანში ამოიღეს. არც უნდა იცოდეს, თორემ ხელიდან წაუვიათ. მის შესახებ დაკითხულებმა ჯერჯერობით ვერავითარი სერიოზული მასალა ვერ მისცეს ძიებას, გარდა ამისა, რომ იგი დაახასიათეს, როგორც ნაძარცვ-ნაქურდალის რეალიზატორ-

რი, მაგრამ ეს დიდი დანაშაული არ არის? თუმცა, ვინ იცის შეიძლება ბანდის აქტიური წევრიც არის და არ ამხელენ! რაც თქვეს, ისიც მეტი მოუვიდათ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, რადგან ძიებამ უტყუარი საბუთები წარუდგინა მათ, მისი გიგო ფანტიაშვილის ბინაში მოსვლის სურათები, რომლებიც სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა საიდუმლოდ გადაიღეს.

ზურაბ ლომაური არ ჩქარობდა მერი მალდონატოს დაპატიმრებას. იცოდა, ეჭვიანობის გამაბათილებელი დრო იყო. მართალია ბუნაგის ჩავარდნის შემდეგ, ძალიან გაფრთხილდებოდა, მუდამ მზად იქნებოდა გასაქცევად, მაგრამ დროის განმავლობაში იგრძნობდა, რომ სამილიციო ორგანოები არ არიან მისით დაინტერესებულნი, თავს დაიარხეინებდა. ზურაბ ლომაურს კი ეჭვი ეპარებოდა, რომ ადრე თუ გვიან, იგი თუ გერმან ბაზილს არა, სანდრო ყარაშვილს მაინც დაუკავშირდებოდა.

ერთი გარემოება მაინც აკვირვებდა ზურაბ ლომაურს: მერო მალდონატო რესტორნის მიმტანი ქალი, რა მიზეზით ესწრებოდა გიორგი ქურხულის დაკრძალვას? თუ სანდრო ყარაშვილს უნდა შეხვედროდა, პაემანი რაღა მაინცდამაინც სასაფლაოზე დაუნიშნეს ერთმანეთს? არა, ეს ალბათ სრულიად შემთხვევით ამბავია, ფიქრობდა ზურაბ ლომაური. ალბათ მერი ვინმე სხვის, თავისი ნაცნობის გასვენებას გამოჰყვა და აქ შემთხვევით შეხვდა სანდრო ყარაშვილს.

კიდევ ბევრი ფიქრა ამ საკითხზე ზურაბმა, მას აკვირვებდა ამ ქალის სახელის გვარიც. „მერი“ გავრცელებული სახელია, აქ არაფერი გასაკვირი არ არის, მაგრამ გვარი „მალდონატო“ რა ეროვნებას ეკუთვნის? რუსულს არა ჰგავს, არც უკრაინულს, სომხურსა და აზერბაიჯანულს ხომ სიახლოვესაც არ ეკარება. განა არ შეიძლება რომ მოგონილი იყოს? უეჭველად მოგონილია... ჯანდაბას, იყოს მოგონილი, ჯერჯერობით დარჩეს „მალდონატოდ“!

როდესაც მისი დაპატიმრების საკითხი მომწიფდება, მაშინ ალბათ ნამდვილი გვარიც გამოჩნდება. მაგრამ ისე არ მოუვიდეს, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. არავითარ შემთხვევაში ეს ურემი არ უნდა გადააბრუნოს, პირიქით, ურემი უნდა შემოათრიოს მილიციის სამმართველოს ეზოში, ხოლო ცარიელი კი არა, არამედ ზედ უნდა ისხდნენ მისთვის საინტერესო პირები. აი, მაშინ გზაც გამოჩნდება და არც ურემი გადაბრუნდება.

რესტორანი, სადაც მერი მუშაობდა, ნავთლულში, ერთ მიყრუებულ ადგილას იყო. ის ოპერატიულ მუშაკებს მანამდეც ჰქონდათ შესწავლილი, რადგანაც ამ რესტორანში ხშირად საეჭვო პირები დაიარებოდნენ. ძიებით ხომ დადასტურდა, რომ მერი დავაშირებული იყო გიგო ფანტიაშვილის ბუნაგთან, როგორც ნაძარცვ-ნაქურდალის რეალიზატორი. ეჭვი არ არის, მას სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეებთანაც ექნებოდა კავშირი და მისი სამსახური რესტორანში მიმტანად მხოლოდ შირმა იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ ოპერატიული მუშაკები შეუწევლებელ თვალყურს ადევნებდნენ არა მარტო პირადად მერის ყოფაქცევას, არამედ, საერთოდ, რესტორნის საქმიანობასაც. რესტორანი თუმცა ღამის ორ საათამდე იყო ღია, შეუმჩნეველი არ დარჩა რომ ხშირ შემთხვევაში, მოქეიფენი იქ გათენებამდისაც რჩებოდნენ.

რესტორანში, ოპერატიული თვალსაზრისით, მეორე საინტერესო პიროვნებაც მუშაობდა. ეს იყო მებუფეტე ყაზარა, მეტ სახელად „ქოსა“.

რესტორნის მუდმივი მუშტრები ძალიან აფასებდნენ ქოსა ყაზარას.

ქოსა ყაზარა ძველი მიკიტანი იყო, მართალია სამიკიტნო დიდი ხანია დაუკეტეს, მაგრამ უკვე სამოცდახუთ წელს გადაცილებული მოხუცი მაინც თავს არ ანებებდა ძველ ხელობას და რესტორანი სამიკიტნოდ აქცია.

თავი ყარაჩოხელად მოჰქონდა, მაგრამ რომ გეკითხათ ვინ იყვნენ ყარაჩოხელები ვერ გეტყოდათ, მათ კინტოებში აურევდა. თვითონაც ამ გადაშენებულ კინტოებს ბაძავდა, უკბილო, ვულგარული ხუმრობით და ნაკვესებით. რა უშავს, მის მუშტრებს მოსწონდათ და თავისივე ჯურის ხალხი ეტანებოდა კიდევ.

ოპერატიულმა მუშაკებმა დაადგინეს, რომ მერი და ქოსა ყაზარა დაკავშირებულები იყვნენ ერთმანეთთან, ცხადია საერთო მიზნები აკავშირებდათ, ბოროტების გზით გამდიდრებისა.

10

ზურაბ ლომაური ყოველდღე დადიოდა საავადმყოფოში. ოპერაციული მუშაკებიც ხშირად შეივლიდნენ ხოლმე, ყველას აწუხებდა დაჭრილი ამხანაგის ბედი. სამჯერ მოუხდათ ექიმებს სისხლის გადასხმა, სამჯერვე თავისი სისხლი მისცა ზურაბ ლომაურმა. დადგა სიხარულის დღეც, როდესაც ექიმებმა თქვეს, რომ ყოველგვარმა საშიშროებამ განვლო და გუცა დარბაისელს სახიფათო აღარაფერი მოეღოს.

— შენს ძარღვებში ჩემი სისხლია, ახლა ჩვენ ძმები ვართ, — ღიმილით მიმართავდა ხოლმე ზურაბი თავი თანამშრომელს, — აბა ჩქარა გამოჯანმრთელდი და შური ერთად ვიძიოთ.

გუცა დარბაისელი ღიმილით ისმენდა თავის უფროსის ხუმრობებს და უხაროდა, რომ ასეთი ყურადღებით იყვნენ მისდამი ყველანი. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულ ოპერაციის დროს იგი მძიმედ დაიჭრა, მაინც კმაყოფილი იყო ოპერაციის შედეგით. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სანდრო ყარაშვილი და გერმან

ბაზილი ჯერ კიდევ არ იყვნენ შეპყრობილნი. მხოლოდ იმას ნატრობდა, ჩქარა განკურნებულიყო და ხელახლა დაეწყო ბრძოლა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. ექიმებს მოსვენებას არ აძლევდა, რატომღაც ეგონა, რომ განგებ უჭიანურებდნენ მკურნალობას, მობეზრდა ლოგინზე წოლა, შენატროდა იმ დღეს, როცა გაიწერებოდა საავადმყოფოდან. ალბათ ჩხუბსაც დაუწყებდა ექიმებს, მაგრამ ზურაბ ლომაურისა ერიდებოდა, იცოდა, თუ მის ყურამდე მივიდოდა, იგი არავითარ შემთხვევაში არ მოუწონებდა საქციელს.

აკი მიიღო კიდევ ერთხელ ზურაბის შენიშვნა, როდესაც გაუბედა და უთხრა, რომ მობეზრდა უსაქმოდ ყოფნა.

— მეორედ აღარ გამაგონო ასეთი რამ, — მკაცრად შეაწყვეტინა ლომაურმა გუცას, — შენ, ყმაწვილო, თურმე აქ რაღაცა ზედმეტებს ჩადიხარ. რა, ცუდად გმკურნალობენ? იცი თუ არა, რომ სიკვდილს ხელიდან გამოგგლიჯეს? ნუთუ ვერა გრძნობ როგორ ხარ დასუსტებული და რა დიდი ჭრილობაც გადაიტანე? თუ მეორედ გავიგონე ამგვარი რამ, იცოდე წაგეჩხუბები. გვარი რომ დარბაისელი გაქვს, ყოფაქცევითაც დაამტკიცე სიდარბაისლე.

ამის შემდეგ გუცა მოტყდა და თავის ვარამს გულშივე იკლავდა.

ამხანაგებიც ამშვიდებდნენ გუცას.

— რა გგონია, განა ჩვენ არ გვინდა, რომ შენც ჩვენს გვერდით იყო? შენ ჯერ კიდევ არა ხარ გამოჯანმრთელებული და უნდა შეეგუო მდგომარეობას.

გუცა მორჩილი ბავშვივით უსმენდა მათ.

ძიება, გიგო ფანტიაშვილის ბუნაგის ლიკვიდაციის შესახებ, დასასრულს უახლოვდებოდა. საქმიდან გამოყოფილ იქნა სანდრო ყარაშვილის და გერმან ბაზილის ძებნა, აგრეთვე მერი

მალდონატოს ოპერატიული დამუშავება ქოსა ყაზარასთან ერთად.

ძიებამ დაადასტურა ამ ბუნაგის დიდი ხნის არსებობა და ზურაბ ლომაურს ვერ ეპატიებინა თავისი თავისთვის, რომ აქამდე იგი არ იქნა გამომჟღავნებული, დამუშავებული და ლიკვიდირებული. ბანდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწეოდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობდა და ისიც სად? ქალაქის ერთ-ერთ უბანში მილიციის ასე ვთქვათ, ცხვირწინ.

ზურაბს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა ექიმ ნატო სულიაშვილის მკვლელობა. გრძნობდა რომ სანდრო ყარაშვილი მონაწილე იყო ამ მკვლელობისა. მაგრამ მართლ სანდრო ვერ მოახერხებდა იმისთანა კომბინაციებს, როგორც იყო ყამირ მიწებზე სხვა პირის გაგზავნა ნატო სულიაშვილის საბუთებით, ის ვერ მოახერხებდა ვერც ყალბი წერილის შედგენას ისე ოსტატურად, რომ გრაფიკული ექსპერტიზაც კი ჩიხში ჩაეყენებინა. მცირემცოდნე სანდრო ყარაშვილი ამის ავტორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. გიორგი ქურხულის მკვლელობაც უეჭველად დაკავშირებულიაო ნატო სულიაშვილის საქმესთან. ხომ დადასტურდა, რომ დამბაჩა, რომლითაც ვითომდა თავი მოიკლა გიორგი ქურხულმა, სანდრო ყარაშვილს ეკუთვნის, მაგრამ ის დამბაჩა მისთვის ხომ გერმან ბაზილს მიუცია! ვინ არის გერმან ბაზილი? მის შესახებ ცოტა მასალები როდი აქვს ზურაბ ლომაურს, მან იგი საფუძვლიანად შეისწავლა. მაგრამ მაინც, ვინ არის გერმან ბაზილი? ნუთუ პავლე ნაპირელი? არა... არა... ასეთ ვერსიის დაშვება ყოველად დაუშვებელია... მაგრამ მისი სურათ! იგი ხომ ამოიცნეს დაზარალებულებმა? ვთქვათ ექიმი კაიშაური შეცდა, მუხრანელი კოლმეურნეებიც შეცდნენ, სტუდენტი ქალებიც? ისინი ხომ ხშირად ხედავენ თავიანთ პროფესორს, ალბათ მისი სახის ყველა ნაკვთი აქვთ შესწავლილი, ისინი როგორღა შეცდებოდნენ?

ორეული? განსაკუთრებული მსგავსება? მართალია ცხოვრებაში ხანდახან შეხვედრებით ერთიმეორის მსგავს ადამიანებს, მაგრამ ასეთი საოცარი მსგავსება?

კარგი და. რაღა პროფესორის ნილაბი აირჩია ბოროტმოქმედმა? საიდან იცნობს მას, სად უნახავს, რამ დააინტერესა, რომ მისი ნილაბი აერჩია?

ფოტოვიტრინიდან წამოღებული პროფესორ ნაპირელის სურათები და გიგო ფანტიაშვილის ბინაში აღმოჩენილ ჯგუფურ სურათში აღბეჭდილი ხომ ლაპარაკობენ, რომ ისინი ერთსა და იმავე პიროვნებას წარმოადგენენ.

სამმართველოს უფროსმა ვერ გაბედა პროფესორ ნაპირელის დაბარების და დაკითხვის საკითხის გადაწყვეტაც კი. მოახსენეს მინისტრს. მან ირონიულად გაიცინა და მიუგო ზურაბ ლომაურს:

— მე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, უეჭველად ვაფასებ თქვენს ოპერატიულ აღლოს, თქვენს მოხერხებულობას და გამოცდილებას, მაგრამ პროფესორ ნაპირელზე ეჭვის მიტანა ეს მეტისმეტია, ამის უფლებას ვერ მოგცემთ. ეს რომ ზემდგომ ორგანოებში გაიგონ, თავი მოგვეჭრება.

განა შეეძლო მინისტრის ამ სიტყვების შემდეგ ზურაბს რაიმე ემოქმედნა ნაპირელის საწინააღმდეგო?

კვანძი სრულიად მოულოდნელად გაიხსნა, ისე მოულოდნელად, ზურაბ ლომაური ოდნავ რომ ცრუმორწმუნე ყოფილიყო, ალბათ სასწაულს მიაწერდა.

ნაშუადღევს ხუთი საათ იქნებოდა, დაღლილი ზურაბი თავის კაბინეტში სავარძელში იჯდა და ფიქრებში იყო წასული. მოულოდნელად ტელეფონის ზარმა გამოაფხიზლა. მან უხალისოდ აიღო ყურმილი.

— გისმენთ პოდპოლკოვნიკი ლომაური.

— მე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი

მინდა, — მოესმა მას ტელეფონში,

— მე გახლავართ, ვინ ბრძანდებით?

— პროფესორი ნაპირელი გელაპარაკებათ, — ხელახლა მოესმა ზურაბს.

ეს ისე მოულოდნელი იყო ზურაბ ლომაურისთვის, რომ ერთ წუთს იგი დაიბნა და გაკვირვებულმა ჩასძახა ყურმილში:

— პროფესორი ნაპირელი?

— დიახ, მე გახლავართ. თქვენი ნახვა მინდა, როდის შესძლებთ რომ მიმიღოთ?

— როდესაც გნებავთ, დამინიშნეთ დრო, მე მზადა ვარ, როცა კი თქვენ მოისურვებთ, — უპასუხა ლომაურმა.

— საქმე იმაშია, რომ მე უხერხულად მიმაჩნია მილიციის სამმართველოში მოსვლა. აი, თუ თქვენ შეწუხებად არ ჩასთვლით მოხვიდეთ ჩემს ბინაში საღამოს ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე, დიდად დამავალებთ.

— ბატონი ბრძანდებით. საღამოს სრულ ცხრა საათზე თქვენთან ვიქნები.

— ჩემი მისამართ გახლავთ...

— მე ვიცი თქვენი მისამართი.

— კეთილი. მაშ ასე, გელით სრულ ცხრა საათზე. ბოდიში შეწუხებისათვის.

ზურაბმა დაურეკა სამმართველოს უფროსს.

— მე ახლა ველაპარაკე პროფესორ ნაპირელს... დიახ... მან თვითონ დამირეკა და მიმიწვია თავისთან ცხრა საათისთვის... რა სურს პროფესორს, ტელეფონით არაფერი უთქვამს. ალბათ შეიტყო ფოტოვიტრინიდან მისი სურათის წამოღება და ეს საკითხი აინტერესებს. ო, რა თქმა უნდა, ფრთხილად ვიქნები საუბარში... უეჭველად... მან უარი განაცხადა მოსულიყო მილიციის სამმართველოში, უხერხულად სთვლის, მე კი მგონია, ეს იმიტომ გააკეთა, რომ თავისი ვიზიტისათვის არ უნდოდა მიეცა ოფიციალური

ხასიათი. დიახ, დიახ... უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენი საუბარი ოფიციალური დაკითხვის სახეს ვერ მიიღებს. საუბრის შესახებ დაუყოვნებლივ მოგახსენებთ, როგორც კი დავბრუნდები.

ზურაბმა ყურმილი დაკიდა. კედლის საათს შეხედა, ექვსის ნახევარი იყო. გული აღარ უთმენდა, საღამოს ცხრა საათამდე მთელ სამსაათნახევარი უნდა ელოდნა. კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო. უეცრად აზრმა გაუელვა, საჭირო შემოწმება, მართლა პროფესორმა ნაპირელმა დაურეკა თუ მისი მოტყუება სჭირდება ვინმეს? რა ქნას ზურაბმა? დაურეკოს და შეამოწმოს? არა, ეს შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს პროფესორმა, მერედა, რა უთხრას, რა მოიმიზეზოს? დავუშვათ, რომ პროფესორმა კი არ დარეკა, არამედ მისი სახელით რომელიმე ბოროტმოქმედი აპირებს მის შეტყუებას სადარბაზო შესასვლელში. კარგი და, ვინ იცის, რომ ზურაბ ლომაური და საერთოდ მილიციის თანამშრომლები დაინტერესებულნი არიან პროფესორის პიროვნებით, რომ ამ შემთხვევაში ისარგებლოს მისი სახელით? როგორ შეცდა ზურაბი, მას, ამ გამოცდილ კრიმინალისტს, არ ეკადრება ამისთანა შეცდომის დაშვება, საუბრის შემდეგ არ უნდა დაეკიდა ტელეფონის ყურმილი, არამედ მეორე ტელეფონით შეემოწმებინა, რომელი ნომერი იყო ჩართული მის ტელეფონში. ცხადია, თუ ბოროტმოქმედია, ის პროფესორ ნაპირელის ტელეფონით ვერ ისარგებლებდა. თუმცა რა, ზურაბმა ხომ კარგად იცოდა, რომ მეტად უცნაურ გამოცდილ ბოროტმოქმედებთან ჰქონდა საქმე. ეჭვგარეშეა, მას შემდეგ, რაც პროფესორის სურათი ამოსაცნობად წარუდგინეს დაზარალებულებს, ჩუმ-ჩუმად მაინც ექნებოდა ატეხილი მითქმა-მოთქმა და ვინ იცის, შეიძლება ამან მიაღწია დაინტერესებულთა ყურამდე. ისინი არც გიგო ფანტიაშვილის ბუნაგის ჩავარდნას დასტოვებდნენ ისე, რომ შური არ ეძიათ. არა, ჭკვიანურად უთქვამს ხალხს „სიფრთხილეს თავი არ სტკივალ“. შეხვედრა ცხრა საათზე უნდა მოხდეს. მაშასადამე თუკი შეტყუების

ამბავია, საჭიროა დაასწროს, მოუწყოს ჩასაფრება.

ზურაბმა თანამშრომლები გააფრთხილა, მის დაბრუნებამდე არ წასულიყვნენ. თვითონ კი სამმართველოს უფროსს ეახლა და თავისი მოსაზრება მოახსენა. სამმართველოს უფროსი დააფიქრა ამ გარემოებამ. მართლაცდა, რატომ უნდა ჩაეთვალა პროფესორ ნაპირელს უხერხულად მილიციის სამმართველოში მოსვლა და ეთხოვა ზურაბისთვის თავის ბინაში შეხვედროდა? არა, ზურაბ ლომაურის მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული.

სამმართველოს უფროსმა გადაშალა ტელეფონის ნომრების ცნობარი, მონახა პროფესორ ნაპირელის ტელეფონის ნომერი და დარეკა.

— გისმენთ! — მოესმა მას ყურმილში ქალის ხმა.

— საიდან არის? — შეეკითხა სამმართველოს უფროსი.

— პროფესორი ნაპირელის ბინაა. — მოესმა პასუხი.

— არ გახლავთ ქალაქში, დღეს დილით გორში გაემგზავრა. შეიძლება ამაღამ დაბრუნდეს. თქვენ ვინ ბრძანდებით?

სამმართველოს უფროსმა უპასუხოდა დასტოვა ეს შეკითხვა და ყურმილი დაჰკიდა.

— მართალი ხართ ამხანაგო ზურაბ, თქვენი დასკვნა სწორი გამოდგა. პროფესორს არა თუ არ დაურეკია თქვენთვის, ის ქალაქშიც კი არ არის ამჟამად. მოაწყეთ ჩასაფრება, ამისთანა ხელსაყრელ მომენტს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

ზურაბ ლომაური სასწრაფოდ დაბრუნდა თავის კაბინეტში, იქ მას ოპერატიული მუშაკები ელოდნენ.

მან მოკლედ გააცნო თანამშრომლებს საქმის ვითარება,

— ეჭვი არ არის, ბოროტმოქმედნი სადარბაზო შესასვლელის პირველსავე სართულის მოედანზე დაგხვდებიან, ისინი ალბათ კიბის ძირში იქნებიან მიმაღულნი. ამხანაგო ივანიძე, თქვენ არჩილ ჩოხელთან ერთად მესამე სართულის ასასვლელში იქნე-

ბით, ეცადეთ ეჭვი არ ააღებინოთ მცხოვრებლებს. ამხანაგო ნოდია, თქვენ და ხუტა გაწერელიამ ქუჩის გადაღმა მოპირდაპირე სახლის სადარბაზო შესასვლელიდან თვალყური ადევნეთ პროფესორის სახლის სადარბაზოს. სრულ ცხრა საათზე მე შევდივარ სადარბაზოს შესასვლელში. შესვლისთანავე ამხანაგი ჩოხელი ჩამოდის გემოდან და მხვდება კიბეზე, მე ვეკითხები „სად არის პროფესორი ნაპირელის ბინა?“ ჩოხელი მიპასუხებს: „მეორე სართულზე გახლავთ, მარჯვნივ“. მე ავდივარ კიბეზე, ხოლო ამხანაგი არჩილი ჩერდება კარებთან და მითვალთვალებს მე. ეჭვგარეშეა ბოროტმოქმედნი კიბეზე შემხვდებიან. ელოდეთ ჩემს ნიშანს, სროლა ჰაერში. იარაღ უკიდურესი საჭიროების გარეშე არავინ იხმაროს. ვეცადოთ ცოცხლად შევიპყროთ ისინი. დარწმუნებული ვარ, სასროლი იარაღი არ ექნებათ. ასეთ შემთხვევაში დანა უფრო ნაცადია. ახლა შვიდის ნახევარია. სრულ შვიდ საათზე დაიწყეთ ადგილზე მისვლა იმ გაანგარიშებით, რო რვის ნახევარზე ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე იყვნენ. ამხანაგო ნოდია, თქვენ და გაწერელიამ უნდა დაიცვათ ქუჩა იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედნი მოახერხებენ ქუჩაში გამოვარდნას. აბა შევუდგეთ საქმეს. ვიცი მშვირები ხართ, მაგრამ დღეს ალბათ უსადილოდ მოგვიხდება ყოფნა, სამაგიეროდ ვახშამს უფრო მაღიანად შევექცევით. არ დაგავიწყდეთ, ჯიბის ფანრები იქონიეთ, შეიძლება სადარბაზო შესასვლელში ბნელოდეს.

სრულ ცხრა საათზე ფორმაში გამოწყობილი პოდპოლკოვნიკი ლომაური შევიდა სადარბაზო შესასვლელში, ელექტრონათურები მკრთალად ანათებდნენ კიბეს.

ზურაბმა შეამჩნია, კიბესთან ყაბალახით თავშებურული უცნობი, რომელიც ცდილობდა კიბეზე ასვლას. უცნობი ბარბაცებდა, კიბის მოაჯირს ებლაუჭებოდა და ფეხებს ძლივსძლივობით ადგამდა საფეხურებზე. ეტყობოდა ძალზე მთვრალი იყო.

ზურაბი შეჩერდა და ყაბალახიანს შეხედა. ამავე დროს მარჯვენა ხელი ჯიბეში ჰქონდა დამბახაზე მოკიდებული.

— უკაცრავად, პატივცემულო, ასანთი გექნებათ, პაპიროსს მომიკიდეთ, მიმართა ზურაბს ყაბალახიანმა.

— პაპიროსს არ ვეწევი, — უპასუხა ზურაბმა.

ამ დროს კიბეზე ზემოდან დაეშვა არჩილ ჩოხელი.

ყაბალახიანი ის იყო აპირებდა ბებუთის ამოძრობას, მაგრამ არჩილს თვალი რომ მოჰკრა ისევ მოიმთვრაღა თავი და ხელახლა დაებლაუჭა კიბის მოაჯირს.

— ბოდიში, ამხანაგო, ვერ მეტყვით სად არის პროფესორი ნაპირელის ბინა? — შეეკითხა ზურაბი არჩილს.

— მეორე სართულზე, მარჯვნივ, — უპასუხა არჩილმა და გაუარა გვერდით, შესასვლელ კართან გაჩერდა და შემობრუნდა, სწორედ ამ დროს მან თვალი მოჰკრა როგორ გამოძვრა კიბის ქვეშიდან მეორე, ხელში აელვარებული ბებუთით.

ზურაბი უკვე მეორე სართულზე იყო, პროფესორ ნაპირელის ბინის შესასვლელთან. მესამე სართულიდან მაიორი ივანიძე დაეშვა, ყაბალახიანი სწრაფად ავარდა კიბის საფეხურზე და გაშიშვლებული ბებუთი შემართა, რომ ამ დროს სწრაფად შემოტრიალდა დამბახამომარჯვებული ზურაბ ლომაური.

— ადგილიდან არ დაიძრა, — შეჰყვირა ზურაბმა და ჰაერში ისროლა.

ყაბალახიანმა დაინახა ზურაბ ლომაური და ზემოდან ჩამოშვალი მაიორი ივანიძე ხელში დამბახით, მიხვდა რომ დააგვიანა ბებუთის დარტყმა, კიბეზე ნახტომით დაეშვა. მეორე უცნობმაც თვალი მოჰკრა შესასვლელში მდგომ არჩილს, რომელსაც იარაღ მოემარჯვებინა, მიხვდა, რომ თავის დადგმულ მახეში თვითვე გაება, მაგრამ მაინც უკანასკნელ საშუალებას მიმართა, სწრაფად მიუახლოვდა არჩილს.

— სდექ, ადგილიდან არ დაიძრა! — არჩილმა დამბახა აღმართა.

უცნობმა თვალებზე ჩამოფხატული ქუდი ასწია და სახე გამოაჩინა. არჩილი შეკრთა, მის წინ სურათზე ნანახი და პროფესორ ნაპირელად ცნობილი პიროვნება იდგა.

უცნობმა ბებუთი მოიმარჯვა, მაგრამ არჩილის მკვირცხლ თვალს არ გამოეპარა მისი მოძრაობა, გვერდზე გაუხტა და მოქნეული ბებუთი აიცილა, სტაცა მარჯვენაში, გადაუგრიხა, ბებუთი დააგდებინა. უცნობმა მარცხენა ხელით მძლავრად დაარტყა მკერდში. არჩილს ფეხი დაუსხლტა და ძირს დაეცა, ამით ისარგებლა მან, გადაახტა წაქცეულს და ვიდრე არჩილი ფეხზე წამოხტებოდა, ქუჩაზე სწრაფად დაეშვა. მას საფარიდან გამოსული კაპიტანი ნოდია და ხუტა გაწერელია დაედევნენ სროლით.

არჩილიც აპირებდა დასდევნებოდა გაქცეულს, როდესაც შემოესმა ზურაბის ხმა:

— არჩილ დახვდი!

მხოლოდ ახლა შეამჩნია არჩილ ჩოხელმა, როგორ ჩამორბოდა კიბეზე ყაბალახიანი ბებუთის ქნევით.

არჩილმა იცოდა, რომ მისი ცოცხლად შეპყრობა იყო საჭირო, მისათვის იარაღით კარებში ჩაუდგა. მას ვერ ეპატიებინა თავისი თავისათვის, რომ უცნობი ასე გაუძვრა ხელიდან. ახლა აღარ გაიმეორებდა შეცდომას.

ყაბალახიანი მიხვდა, რომ გასაქცევი გზა შეკრული ჰქონდა. გემოდან მას უახლოვდებოდნენ ორნი, შეიარაღებულნი დამბახებით, ხოლო შესასვლელში კი იდგა მესამე იარაღმომარჯვებული. იგი კიბის კუთხეში გაჩერდა.

— დააგდე ბებუთი, სულ ერთია ჩვენს ხელში ხარ! — შეუძახა ლომაურმა.

— ცოცხალი თავით არ დაგნებდებით! — უპასუხა ყაბალახიანმა

და ვიდრე ლომაური და ივანიძე მიუახლოვდებოდნენ, მძლავრად მოქმედი ბებუთი მარცხენა ძუძუს ქვემოთ ჩაირჭო და მოწყვეტით დაეცა ძირს.

ლომაური მივარდა, ამოართვა მკერდიდან ბებუთი, საიდანაც სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა. ყაბალახი მოხსნეს თავიდან, ჯიბის ნათურები მიანათეს, მათ წინ სანდრო ყარაშვილი სისხლში სცურავდა და ხროტინებდა.

— გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება! — გასცა განკარგულება ზურაბმა.

კაპიტანი ნოდია და ხუტა გაწერელია ხელცარიელები დაბრუნდნენ, გაქცეულა გაუსწრო მათ, სტალინის სახელობის ხიდზე გავარდა და როდესაც დაინახა, რომ ელბაქიდის დაღმართზე მილიციის თანამშრომლები მორბოდნენ, ხიდის მოაჯირს გადაეფლო და მდინარეში გადაეშვა.

— სასწრაფოდ შეჰყარით სანაპირო, თუ არ დაიხრჩო, გამოვა სადმე, — გასცა განკარგულება ზურაბმა.

— მე უკვე გავგზავნე მილიციის თანამშრომლები და მოვედი მოსახსენებლად, ახლა კი მარჯვენა ნაპირისაკენ წავალ, ხოლო ამხანაგ გაწერელიას მარცხენა ნაპირზე გავუშვებ, — უპასუხა კაპიტანმა ნოდიამ და გაწერელიასთან ერთად სასწრაფოდ წავიდა.

ზურაბ ლომაურმა ნაღვლიანი თვალებით შეხედა არჩილ ჩოხელს, რა მარჯვე დრო ჰქონდა, რა კარგი შესაძლებლობა, რომ შეეპყრო ბოროტმოქმედი, აქ კი ამისთანა მარცხი: ერთი ხელიდან გაუსხლტა, მეორემ კი თავი მოიკლა!

არჩილი მიხვდა და თავის გასამართლებლად წარმოსთქვა:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მე ვარ დამნაშავე, მან ისარგებლა ჩემი დაბნევით, როდესაც სახეზე შევხედე. ის ხომ პროფესორი ნაპირელი იყო.

— პროფესორი ნაპირელი? — გაკვირვებით შეეკითხა ზურაბი.

ზურაბი მიხვდა ყველაფერს. პროფესორ ნაპირელს მართლა

ჰყოლია ორეული და სწორედ იმან მოუწყო შემოტყუება, ალბათ მოკვლის მიზნით. მიზეზი? რა თქმა უნდა, შურისძიება!

— ამხანაგო მაიორო, გვამი გაგზავნეთ პროზექტურაში, გააფორმეთ აქტით, სურათი გადაუღეთ, ერთი სიტყვით თქვენ თვითონ იცით, რა უნდა გააკეთოთ, — უთხრა ლომაურმა მაიორ ივანიძეს და ქუჩაში გამოვიდა.

სახლის წინ ავტომანქანა გაჩერდა. მანქანის კარი გაიღო და იქიდან პროფესორი ნაპირელი გამოვიდა. ზურაბმა მაშინვე იცნო იგი.

— ბოდიში, თქვენ პროფესორი ნაპირელი უნდა ბრძანდებოდეთ, თუ არ ვცდები, — მიმართა მას ზურაბ ლომაურმა.

— დიახ, მე გახლავართ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

— სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი ლომაური.

— რითი შემიძლია გემსახუროთ?

— არა, მე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ აქ, თქვენს სადარბაზო შესასვლელში არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი. კარს სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მოადგა.

პროფესორი ნაპირელი გაოცდა, მანქანიდან გადმოსული თეთრხალათიანები რომ დაინახა.

— არ მეტყვით რაშია საქმე? — იკითხა მან.

— მობრძანდით და ნახეთ. აქ ერთმა ავაზაკმა თავი მოიკლა, — უპასუხა ზურაბ ლომაურმა.

როდესაც პროფესორი სადარბაზოში შესასვლელში შევიდა და იქ სისხლის გუბეში მოკლული ნახა, გაფითრდა.

— რა მოხდა?

— ამაზე მერე...

— ამობრძანდით ჩემთან, — სთხოვა ნაპირელმა ლომაურს. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კიბეზე ამავეალ ნაპირელს აჰყვა.

ბინაში შესვლისთანავე პროფესორს მისი გაფითრებული მე-
ულლე დახვდა.

— ფატი, რა მოხდა, რას კანკალებ? — შეეკითხა მას შემფოთე-
ბული ნაპირელი.

— ჩვენს სადარბაზო შესასვლელში რაღაც ხმაურობა იყო, შემ-
დეგ სროლის ხმა გავიგე, ქუჩაშიც ატყდა სროლა და შიშისგან
აღარ ვიცი რა ვქნა. ჩვენი მალხაზიც არ არის შინ.

— დამშვიდდი, მალხაზს არაფერი უჭირს, — დაამშვიდა მან მე-
ულლე და თავის კაბინეტისაკენ გაემართა, მას ზურაბი მიჰყვა.

— ახლა მაინც მითხარით, რაში იყო საქმე?

— მე ხომ მოგახსენეთ ვინცა ვარ, — უპასუხა მას ლომაურმა, —
საქმე იმაშია, რომ თქვენი სახელით ჩემი შემოტყუება და მოკვლა
უნდოდათ თქვენს სადარბაზო შესასვლელში.

— ჩემი სახელით? — შემფოთდა ნაპირელი.

— დიახ, თქვენი სახელით. დღეს ნაშუადღევს ხუთ საათზე და-
მირეკეს თქვენი სახელით და მთხოვეს მოვსულიყავი თქვენს ბი-
ნაზე.

— კარგი, მაგრამ რაშ მჭირდებოდათ თქვენ მე? ჩემს ბინაში
ჯერ არაფერი არ მომხდარა, რომ მილიციისთვის მიმემართა და
გინდ დამჭირდებოდა, მე თვითონ მოვიდოდი თქვენთან, თქვენ
რაღაზე შეგაწუხებდით?

— ჩემი თქვენთან მოსვლა უხერხულიაო, მიპასუხეს შეკითხვა-
ზე და საღამოს ცხრა საათისათვის დამინიშნეს პაემანი.

— რა სისულელეა, აქ რა არის უხერხული? მილიცია ისეთივე
დაწესებულებაა, როგორც ყველა სხვა, უფრო მეტიც, მილიცია
საპატიო დაწესებულებაა, იგი ხომ ჩვენი პიროვნებისა და ქონე-
ბის ფხიზელი დარაჯია, განა ასე არ არის?

— დიახ, ასე გახლავთ და მეც ამ პასუხმა დამაეჭვა. შევამოწმე,
თქვენი ოჯახიდან გვიპასუხეს, რომ პროფესორი ნაპირელი დღეს
დილით გორში გაემგზავრაო.

— დიახ, ახლა სწორედ იქიდან ვბრუნდები.

— ძნელი არ იყო იმისი მიხვედრა, რომ აქ სულ სხვა მდგომარეობას ჰქონდა ადგილი და მეც მივიღე საჭირო ზომები. ავაზაკები, რომელთაც ჩემი შემოტყუება უნდოდათ ორნი იყვნენ, მეც ასე გავიაზრე, რომ ორნი, ან უკიდურეს შემთხვევაში სამნი იქნებოდნენ, ერთი ვერ გაბედავდა, ბევრიც არ იქნებოდა მიზანშეწონილი. სამწუხაროდ ერთი წაგვივიდა ხელიდან, მეორე კი ცოცხალი არ დაგვნებდა და თავი მოიკლა.

— გიქვით ოპერატიულ აღლოს, ძალიან კარგი ქენით, რომ შემოწმეთ და ბრმად არ ჩაუვარდით ავაზაკებს ხელში. მაგრამ რაღა მაინცდამაინც მე ამირჩიეს, რომ ჩემი სახელით დააპირეს თქვენი შემოტყუება? ვინ იყო ის თავხედი, რომელიც ეცადა ჩემი სახელისათვის ჩირქი მოეცხო? — გაბრაზდა პროფესორი.

— პატივცემულო პროფესორო, თქვენს უმწიკვლო სახელს უკვე მიაყენეს შეურაცხყოფა.

— ვინ, სად? რატომ მე არ ვიცი არაფერი?

— დიდი ბოდიში, ახლა დრო არა მაქვს, რომ დაწვრილებით გადმოგცეთ საქმის ვითარება, თუ ნებას მომცემთ ხვალ შეგაწუხოთ, თქვენთვის ნათელი იქნება ყველაფერი.

— როცა კი მეტყვით, მე ყოველ წუთს მზადა ვარ, მითხარით და გეახლებით.

— მაშ ასე, შევთანხმდით, ხვალ დაგირეკავთ და გაცნობებთ.

— დიდად დამავალებთ.

ზურაბ ლომაური გამოემშვიდობა პროფესორ ნაპირელს და წავიდა სამმართველოში.

ლომაურის წასვლის შემდეგ პროფესორი ნაპირელი კარგა ხანს იჯდა სავარძელში და ჯერაც ვერ გამორკვეულიყო. მას ახლაც ჩაესმოდა ზურაბ ლომაურის სიტყვები: „პატივცემულო პროფესორო, თქვენს უმწიკვლო სახელს უკვე მიაყენეს შეურაცხყოფა“...

— პავლე, რაში იყო საქმე? ან ვინ არის ის პოდპოლკოვნიკი, შენთან რომ იყო ახლა? — ფიქრიდან გამოიყვანა მისმა მეუღლემ.

— ეგ სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსია, პოდპოლკოვნიკი ლომური, ჩემი სახელით უნდოდათ შემოეტყუებინათ და ჩვენს სადარბაზო შესასვლელში მოეკლათ. მეტი ჯერჯერობით არაფერი ვიცი, — უპასუხა მან.

— უნდა მოეკლათ? — გაფითრდა ქალი, — რას ერჩოდნენ, რისთვის?

— რისთვის? — მწარედ გაიღიმა პროფესორმა, — ჩვენთვის, ჩემო ფატი, ჩვენთვის. ჩვენს ჯანსაღ სხეულზე ხანდახან კიდევ გამოჩნდებიან მუწუკები, რომელნიც ამ სხეულის დაწყლულებას ელტვიან. აქ საჭიროა დასტაქარის ხელი და აი, ამისთანა დასტაქარები არიან მილიციის მუშაკები, ისინი ჰკვეთავენ ამ მუწუკებს და არ აძლევენ საშუალებას მათ დაასნეულონ სხეული. ცხადია, ამ მახინჯ ადამიანებს, ცხოვრების მუწუკებს, არ უყვართ ის პირები, რომელნიც მათ ხელს უშლიან, რომ თავიანთი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგონ. პოდპოლკოვნიკი ლომური ერთ-ერთი მათგანია, რომელსაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ამ უქნარა ადამიანების სახის მატარებელ ნადირებისთვის. ლომურისთანები იცავენ ჩვენს სიცოცხლეს და დოვლათს ავაზაკების ხელყოფისაგან. როდესაც ჩვენ გვძინავს, ისინი ფხიზლობენ, ღამეებს თეთრად ათენებენ ჩვენთვის.

პროფესორი ნაპირელი გაჩუმდა და შეხედა ცოლს, იგი თვალგაბრწყინებული ისმენდა ქმრის სიტყვებს, ეთანხმებოდა მას და გულში იკრებდა ნათქვამს.

— კარგი, მაგრამ შენ სთქვი, ჩემი სახელით უნდოდათ შემოეტყუებინათო, შენ რა შუაში ხარ?

— დიახ, ჩემი სახელით დაურეკეს და სთხოვეს მოსულიყო ჩვენსა, მაგრამ მათ მოტყუება არც ისე ადვილია. პოდპოლკოვ-

ნიკმა ლომაურმა შეამოწმა, გაიგო, რომ მე არა თუ არ დამირეკია, ქალაქშიც არ ვიყავი და მიხვდა ყველაფერს. იგი არა თუ არ შეუშინდა მათ, პირიქით, მიიღო ზომები მათ შესაპყრობად.

— მერე?

— მერე ის, რომ ერთი მაინც გაუსხლტათ ხელიდან, მეორე კი ცოცხალი არ დანებდა და თავი მოიკლა.

— რატომ აპირებდნენ შენი სახელით შემოტყუებას? საიდან გიცნობენ?

— არ ვიცი, ხვალ შევხვდები პოდპოლკოვნიკ ლომაურს და ალბათ ნათელი გახდება ჩემთვის, რატომ მე ამომირჩიეს ავაზაკებმა მისატყუებლად. კარგი, დრო აღარ არის, მე დაღლილი ვარ, ვიდრე ტანსაცმელს გამოვიცვლიდე, ვახშამი გამიმზადე, თუ არ ვივახშმე და ორიოდე საათი არ წამოვწექი, აღარაფრის გამკეთებელი აღარ ვიქნები. მე კი ამაღამ სამუშაო მაქვს.

11

მეორე დღეს პროფესორი ნაპირელი ეწვია ზურაბ ლომაურს.

— გუშინდელმა თქვენმა სიტყვებმა იმისთანა საგონებელში ჩამაგდო, რომ მთელ ღამეს არ მძინებია, — მისალმების შემდეგვე მიმართა მან ზურაბ ლომაურს, — ნუთუ მართლა არსებობს სადმე იმისთანა თავხედი, რომელიც გაბედავს და აუგს იტყვის ჩემზე?!

— წარმოიდგინეთ, პატივცემულო პროფესორო, რომ არსებობს, — უპასუხა ლომაურმა, — ნუ გიკვირთ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ჩემი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე იმდენ სხვადასხვა ჯურის ადამიანებს წავაწყდი, რომ აღარაფერი აღარ მაკვირვებს. მაგრამ შევუდგეთ საქმეს. ვიდრე ისეთ რამეს გაჩვენებთ, რაც არა თუ გაგაკვირვებთ, არამედ აღგაშფოთებთ კიდევ, ნება მიბოძეთ პატარა წინასიტყვაობით შეგაწყინოთ თავი.

— მე მზად ვარ გისმენთ.

— ამ ბოლო ხანებში, სამწუხაროდ, რამდენჯერმე ჰქონდა ად-

გილი სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებათა ჩადენის შემთხვევებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივიღეთ ზომები, შევიპყარით ავაზაკთა რამდენიმე ჯგუფი, მაგრამ იმ პირებს, რომლებიც ყველაზე მეტად გვაინტერესებდნენ, ვერ მივაგენით. ერთ-ერთმა დაზარალებულმა, თუ ვინ არის ის ამას თქვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, მიგვითითა ერთ პიროვნებაზე, რომელიც მას თავს დაესხა და გაძარცვა. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ მძარცველის სურათი.

ზურაბ ლომაურმა უჯრიდან პროფესორ ნაპირელის სურათი ამოიღო და გაუწოდა მას.

ნაპირელმა თვალები დააჭყიტა, გაფითრდა.

— ეს ხომ ჩემი სურათია, საიდან, როგორ?.. — ძლივს ამოიღულულუდა მან.

— დიახ, ეს თქვენი სურათი გახლავთ, ფოტოვიტრინიდან წამოღებული იმ დაზარალებული მოქალაქის მითითებით, რომელზედაც მოგახსენებთ. მან თვითონ მიაგნო ამ სურათს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავუჯერეთ მას. მოვიწვიეთ სხვა დაზარალებულებიც, პირები, რომლებიც თქვენ კარგად გიცნობენ. მათ სხვა სურათებში შერეული ეს სურათიც წარვუდგინეთ, სავალალოდ, მათაც ერთხმად ამოიცნეს.

— ჩემი ნაცნობები?.. მათ ამოიცნეს?.. ვინ არიან ისინი? — პროფესორი ნაპირელი ადგილს ვერ პოულობდა.

— ის პირები თქვენი სტუდენტი ქალები გახლავთ. გვარსა და სახელებს ნუ მკითხავთ, ეს ჯერჯერობით ძიების საიდუმლოებას წარმოადგენს. როდესაც ის ქალები გაძარცვეს, დაკითხვის პროცესში ჩვენ დავადგინეთ, რომ მათ იცნეს ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, მაგრამ არ ამჟღავნებდნენ მას. ჩვენ ვიფიქრეთ, ალბათ ვინმე სტუდენტთაგანი თუ ურევია დამნაშავეთა ჯგუფში და არ ამხელენ, რომ ჩირქი არ მოსცხონ ინსტიტუტის სახელს, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც სურათების წარმოდგე-

ნის დროს იძულებული გახდნენ ერთხმად ელიარებიანთ და მითითებიანთ ამავე სურათზე. ეს კიდევ არაფერი...

— ამაზე უარესიც?! — ამოიკნავლა პროფესორმა ნაპირელმა.

— დიახ, უარესი. ერთ-ერთ რაიონში ავაზაკების ჯგუფმა გაძარცვა კოლმეურნე გლეხები და წინააღმდეგობის გაწევის დროს ერთ-ერთი მათგანი მოჰკლეს. იმ გლეხებმაც ამ სურათში ამოიკნეს არა მარტო მძარცველი, მკვლეელიც.

— დამაპატიმრეთ, რაღას უცდით? მე ხომ ავაზაკი ვყოფილვარ! — ნაპირელი წამოხტა სკამიდან, მაგრამ დაბარბაცდა და ისევ დაეშვა.

— არა, პატივცემულო პროფესორო, ჩვენ ბრმად არა ვმსჯელობთ საქმეზე. ჩვენ ოდნავადაც არ შეგვპარვია ეჭვი თქვენს პატიოსნებაში, ჩვენ თქვენი გამოცხებაც კი ვერ გავბედეთ, რათა ამითი თქვენი სახელისათვის არ მიგვეყენებინა ჩრდილი.

— ო, რა მადლობელი ვარ, რა მადლობელი, — პროფესორი ნაპირელი წამოხტა სკამიდან და ორივე ხელი გაუწოდა ზურაბ ლომაურს. მას თვალებიდან ღაპალუპით სდიოდა ცრემლი.

ზურაბ ლომაურმა გამოწვდილი ხელები ჩამოართვა.

— დამშვიდდით, ვწუხვარ, რომ ასე აგიფორიაქეთ სულის სიმშვიდე, მაპატიეთ, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა. გახსოვთ, გუშინ რომ გითხარით, თქვენ უმწიკვლო სახელს მიაყენეს შეურაცხყოფა? ამ სურათის ჩვენება იმ ჩემმა გუშინდელმა სიტყვებმა გამოიწვიეს თორემ ამ სურათს თქვენ არ წარმოგიდგენდით.

პროფესორი ნაპირელი დაწყნარდა, თვალები მოიწმინდა, წყალი დალია. მცირე ხანს გარინდებული სივრცეს გასცქეროდა, ეტყობოდა მის თავში ჭიანჭველებივით ირეოდნენ სხვადასხვა აზრები.

— კარგი და თუკი დაზარალებულებმა ამოიკნეს ამ სურათში მძარცველი, და უფრო მეტი საშინელება — მკვლეელიც, მეტი რაღა საბუთი გქონდათ, რომ ეჭვი არ შეგვპარვოდათ? განა არ იფიქრეთ

რომ ყველა არ შესცდებოდა?

— საქმე იმაშია, რომ ჩვენს პოლიციაში დოგმა არ არსებობს. ჩვენი მუშაობა შემოქმედებითია. არ დაგიმაღავთ და გულახდილად გეტყვით, თუმცა თავიდანვე ეჭვი ოდნავადაც არ გვეპარებოდა, მაგრამ მაინც შევისწავლეთ თქვენი პიროვნება, ვიდრე რომელიმე ლოგიკურ დასკვნას დავადგებოდით. თქვენ, როგორც მეცნიერი...

პროფესორი ნაპირელი იმდენად დამშვიდდა, რომ კამათის საღერდელიც კი აღეძრა და ამისთვის სიტყვა გააწყვეტინა ზურაბ ლომაურს.

— მართალია, მე სპეციალობით კრიმინალისტი არ გახლავართ, უფრო მეტიც, არასოდეს იმდენად არ დავინტერესებულვარ ამ საკითხით, რომ იგი შესწავლის საგნად გადამექცია, მაგრამ ყრმობის წლებში წამიკითხავს და მახსოვს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩემზე უფრო დიდი მეცნიერი ჩადიოდა სისხლის სამართლის დანაშაულს.

— წინათ და ახლაც კაპიტალისტურ სამყაროში აქვს ადგილი ასეთ უცნაურ მოვლენებს, მაგრამ ჩვენ...

— კაპიტალისტური გადმონაშთები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჩვენს ქვეყანაშიც, ხოლო შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ცალკეულ მოვლენებს შესაძლებელია ჰქონდეს ადგილი?

— სრული სიმართლეა, — უპასუხა ლომაურმა, — მაგრამ აკი მოგახსენებთ, ჩვენ თქვენი პიროვნება შევისწავლეთ-მეთქი. ყოველი თქვენი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი, თქვენი ცხოვრების და ყოფაცქევის ყოველი ცალკეული დეტალი უარყოფდა იმ ვერსიას იმ ვერსიას, რომ თქვენ რაიმე დანაშაულს ჩაიდენდით. თქვენ არა თუ ვერ ჩაიდენდით რაიმე ბოროტმოქმედებას, არამედ უბ-

რაღო სიტყვიერ შეურაცხყოფასაც კი ვერ შესძლებდით. ბოროტ-მოქმედების ბუნება ისეთია, რომ რამდენადაც არ უნდა ეცადოს თავის დაჭერას, არ შეიძლება თავისდაუნებურად რაიმე შტრიხით მაინც არ გამოამჟღავნოს თავისი დანაშაულებრივი მიდრეკილება. ყოველი ბოროტმოქმედი ან ლოთია, ან ყომარბაზი, ან სხვა იმისთანა დამახასიათებელი მიდრეკილება აქვს შესისხლხორცეული, რომელიც მას განასხვავებს ადამიანებისაგან. ეს სხვაობა შეიძლება იმისთანა წვრილმანებში გამოიხატებოდეს, რომ ყურადღების მიქცევის ღირსადაც კი არ გახადოთ, მაგრამ ჩვენთვის, კრიმინალისტებისთვის, ყოველ უმნიშვნელო დეტალსაც აქვს მნიშვნელობა.

— და ეს თქვენი დასკვნები საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთელი რიგი მოწმეებისთვის არ დაგეჟერებინათ?! — გაიკვირვა პროფესორმა ნაპირელმა. რა თქმა უნდა, ზურაბ ლომაურის მოსაზრება საგნის ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგი იყო, იგი მაინც ფიქრობდა, ცოცხალმა ადამიანებმა ამოიცნეს, ერთი შეცდა, მეორეც, მესამეც? როგორ შეიძლებოდა დაეჟერებინათ, რომ ყველა სცდებოდა.

პროფესორი დაფიქრდა. ფიქრებიდან ისევ ზურაბ ლომაურის სიტყვებმა გამოიყვანა.

— საქმე იმაშია, პატივცემულო პროფესორო, რომ ჩვენ მაინც აღმოვაჩინეთ ავაზაკთა ჯგუფი და გარდა იმ ერთი პირისა, რომელიც მეთაურობდა ამ ჯგუფს, შევიპყარი კიდეც.

ზურაბ ლომაურმა გაოგნებულ პროფესორს წინ დაუდო გიგო ფანტიაშვილის ბინიდან წამოღებული ჯგუფური სურათი. იგი დააცქერდა სურათს, ერთი გამოსახულებიდან მეორე გამოსახულებაზე გადაჰქონდა მზერა, უცბად შეკრთა და შიშნარევი თვალები შეანათა ზურაბ ლომაურს.

— ხომ არ შეიცანით ვინმე სურათზე?

— ეს, ეს.. — ხელახლა გაფითრდა ნაპირელი.

— ეს გახლავთ ის ნამდვილი ავაზაკი, ბრბოს მეთაური, რომელიც ჩადიოდა ასეთ თავაშეებულ დანაშაულებებს. ეს გახლავთ ჩვენი ცხოვრების მუწუკი, მორიელი, რომელიც შხამავს ყველადერს, სადაც კი ნესტარი მიუწვდება.

— კარგი და, ეს ხომ მე ვარ! — ამოხდა ნაპირელს.

— არა, ეს თქვენ არა ხართ! — უპასუხა მას ზურაბმა.

— რა თქმა უნდა, — ლულულებდა პროფესორი ნაპირელი, — მე აქ, ამ სურათზე გამოხატულ პიროვნებას არც ერთს არ ვიცნობ, ან უფრო უარესიც, სურათებს ვიღებდი. არ მახსოვს, არა, ეს არ ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო. არასოდეს ასეთ წრესთან არა მქონია საერთო რაიმე, არასოდეს.

— მე ამაში ოდნავაც არ მეპარება ეჭვი.

— მე არა ვარ, ეს სწორეა... მაგრამ ვინ არის, ვინ?

— თქვენი ორეულია. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც დამიპირა გუშინ თქვენს სადარბაზო შესასვლელში შეტყუება და ჩემთან ანგარიშის გასწორება. ეს ის არის, რომელიც, სამწუხაროდ, ხელიდან გამისხლტა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქალაქის მილიცია ფეხზე დავაყენე. მთელი ღამე მის ძეხნაში გავათენე, ვერც მკვდარსა და ვერც ცოცხალს ვეღარ მივაგენი.

პროფესორი ნაპირელი ხელახლა დაამშვიდა ზურაბ ლომაურის ამ სიტყვებმა. იგი სავარძელში ღრმად ჩამჯდარი ფიქრმა გაიტაცა. ზურაბი მოთმინებით ელოდა, ვიდრე პროფესორი დაილაპარაკებდა.

— მაშ გამოდის, რომ თუ არა ისეთი შემთხვევა, ეჭვქვეშ მაინც გეყოლებოდათ?.. — თითქოს თავის თავს აძლევს შეკითხვასო, წარმოთქვა პროფესორმა.

— არავითარ შემთხვევაში, პატივცემულო პროფესორო. ჩვენ ისედაც დავასკვნით, რომ თქვენს ორეულთან გვექონდა საქმე, სურათმა მხოლოდ დააჩქარა ამ მოსაზრების განმტკიცება. სი-

რეგვენე იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროფესორი ნაპირელი ამის-
თანა წრეში გარეულიყო. ეს მართო თქვენი შეურაცხყოფა კი არა,
ეს საბჭოთა მეცნიერების შეურაცხყოფაც იქნებოდა.

ო, გმადლობოთ, დიდად გმადლობოთ! — წამოდგა და ხელახლა
გაუწოდა ხელი ნაპირელმა ზურაბს, მაგრამ უცებ შეჩერდა, სა-
ვარძელში მოწყვეტით ჩაჯდა, თვალებზე ხელი მიიფარა და ქვი-
თინი აუვარდა. დიდხანს ქვითინებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ის-
როდა სიტყვებს.

— როგორ, ნუთუ ის არის? პეტა!.. პეტა!..

ზურაბ ლომაური გაშტერებული მისჩერებოდა პროფესორ ნა-
პირელს. უკვირდა რა მოუვიდა მას, რამ გამოიწვია ასეთი არაჩ-
ვეულებრივი აღელვება. ბოლოს პროფესორმა ნაპირელმა აიხე-
და, ცრემლიანი თვალები შეანათა ზურაბს და წარმოთქვა.

— თქვენ გაინტერესებთ ვინ არის სურათზე გამოსახული ჩემი
ორეული? გეტყვით ვინც არის!

— ვინ არის? — გაკვირვებული თვალებით შეხედა მას ზურაბ
ლომაურმა.

— ვინ არის? ვინ არის და პეტაა!.. ჩემი უბედური, გზიდან გა-
დაცდენილი ძმა პეტრე სიმონის ძე ნაპირელი, აი ვინ არის.

ზურაბი გაკვირვებული მიაჩერდა ნაპირელს. მისი აღსარება
ისე მოულოდნელი იყო, რომ პირველ ხანებში ზურაბმა აღარც კი
იცოდა რა ეთქვა. საკითხის ასე მოულოდნელად გადაწყვეტა გა-
საოცარი რამ იყო.

— დიახ, ჩემი უბედური ძმა პეტაა... — გაიმეორე პროფესორმა,
— რატომ მანამდე არ მომივიდა თავში ეს აზრი. მაგრამ იგი თუ
ცოცხალი იყო აღარ მეგონა.

— ჩვენ მას ვიცნობთ გერმან ბაზილის სახელით, — წარმოს-
თქვა ლომაურმა.

— შეიძლება, აქ გასაკვირი არაფერია. რაც ის ბოროტების
გზას დაადგა, ალბათ ათასნაირად შეიცვალა სახელი და გვარი.

ჩვენ ტყუპები დავიბადეთ პეტრე-პავლობის დღეს და სწორედ ამიტომ მას პეტრე დაარქვეს სახელად, მე კი პავლე. ჩვენ შორის იმისთანა საოცარი მსგავსება იყო, რომ მშობლებსაც კი უჭირდათ ხანდახან ჩვენი გამოცნობა და ერთადერთი ნიშანი ის იყო, რაც მას ჩემგან განასხვავებდა, რომ მას მარცხენა ყურის ძირში მეჭეჭი ჰქონდა.

— გასაოცარი ამბავია, ერთი ძმა მეცნიერი მუშაკი, სახელმოხვეჭილი ადამიანი, მეორე კი ავაზაკი... პირდაპირ განსაცვიფრებელია. ერთი მშობლის შვილები განა ერთ პირობებში არ იზრდებიან? ერთ წრეში არ ტრიალებდით?

— საქმეც მაგაშია, რომ არა, სხვადასხვა წრეში და პირობებში ვიზრდებოდით. მე მშობლებთან, ის კი ბებიაჩემის ხელში. თუ თქვენთვის არ არის ინტერესმოკლებული და დრო გაქვთ მომისმინოთ, მოკლედ მოგიყვებით ჩვენი ცხოვრების ამბავს.

— სიამოვნებით მოგისმენთ.

— შეიძლება ჩემი ნაამბობი არ იყოს მთლად დალაგებული. ყველაფერი ეს იმდენად მოულოდნელია, რომ ძალზე ამაღელვად და ამისათვის წინასწარ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე. დედაჩემი შეძლებული ოჯახის შვილი იყო, ერთადერთი ქალიშვილი მდიდარი მშობლებისა, მამა კი უბრალო ხელოსანი. მამა ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი იყო, კარგად მღეროდა და ცეკვავდა. ალბათ ამით თუ მოინადირა დედაჩემის გული, რომ მიუხედავად მშობლების დიდი წინააღმდეგობისა, მაინც გაჰყვა ცოლად თავის მიერ არჩეულს. ბებიაჩემმა შეიძულა თავის ქალიშვილი, რომელმაც გაბედა და მის ნება-სურვილს წინ აღუდგა. გავიდა წლები, პაპაჩემი ცდილობდა შერიგებოდა თავის ერთადერთ შვილს, მაგრამ ბებიაჩემის წინააღმდეგ ვერ მიდიოდა, იგი მეტად მკაცრი ქალი იყო და თავისი ქმარი ხელი ეჭირა. ამაცა და თავნებას ვერ წარმოედგინა, თუკი ვინმე გაბედავდა, რომ მისი ნება-სურვილის

გარეშე ნაბიჯი გადაედგა. აქ კი მას საკუთარმა ქალიშვილმა უღალატა, სახლიდან გაიპარა და ჩუმად დაიწერა ჯვარი ისეთს ღატაკსა და უგვაროზე, როგორიც მამაჩემი იყო. პაპაჩემი გარდაიცვალა, ბებია მარტო დარჩა, მაგრამ ჯიუტი და კერპი ხასიათი მაინც არ შედრკა. როგორც გითხარით, მამაჩემი ხელოსანი კაცი იყო, დიდი შემოსავალი არ ჰქონდა, მიუხედავად ამისა ჩემმა მშობლებმა შექმნეს წყნარი კერა და ბედს არ ემდუროდნენ. დედაჩემს გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, თავის კვალობაზე შესანიშნავად იყო განვითარებული. დაიწყო რუსული ენის მასწავლებლობა და ოჯახს შესაფერ დახმარებას უწევდა, როდესაც მე და ჩემი ძმა პეტრე დავიბადეთ, ბებიაჩემმა თითქოს შესცვალა განწყობილება, შვილიშვილების დაბადებით გახარებულმა მოაკითხა ჩვენს ოჯახს, მაგრამ მის საქციელში მაინც გამოსჭვიოდა ქედმაღლობა, მამას სრულებით არ ელაპარაკებოდა, ხოლო დედაჩემს იმისთანა მიდგომით ეპყრობოდა, თითქოს უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მისი შვილთან მისვლა სრულებითაც არ ნიშნავდა რომ აპატიო დანაშაული. ბებიაჩემი მორწმუნე ქალი იყო და ჩვენი სახელებიც მან შეარჩია. წლის თავზე ბებიაჩემმა მოისურვა ერთ-ერთი ჩვენთაგანის აღზრდა, ჩემს მშობლებს არ უნდოდათ რომ მიეცათ აღსაზრდელად რომელიმე შვილი, განსაკუთრებით მამაჩემი იყო წინააღმდეგი, მაგრამ განა შეიძლებოდა ბებიას გაცურება? იმისთანა ამბავს ატეხდა, რომ თავბედს აწყევლინებდა ქალსაც და სიძესაც. არჩევანი ჩემს ძმა პეტაზე მიდგა, იგი წაიყვანა ბებიამ. მამაჩემი, თუ შეიძლება ითქვას, სპარტანული წესით მზრდიდა, ყოველგვარი ფუფუნების გარეშე, მაშინ, როდესაც ბებიაჩემი ჩემს ძმას ისე ანებივრებდა, რომ ცივ ნიაფსაც არ აკარებდა. წამოვიზარდენით, სკოლაში დავიწყეთ სიარული. ჩემი ძმა იშვიათი ნიჭისა და მეხსიერებისა პატრონი იყო, მართალია, არც მე ვსწავლობდი ცუდად, მაგრამ მისი უპირატესობა მაინც აშკარა იყო. ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, ჩემს ძმას

ჯიბე მუდამ სავსე ჰქონდა ფულით, ახალ-ახალ ტანსაცმელს იცვლიდა, მე კი ხანდახან რვეულები, ან სახელმძღვანელოს ფულიც კი არ მქონდა. მიუხედავად ჩემი ხელმოკლეობისა, თავმოყვარეობა არ მაძლევდა ნებას ძმისთვის, მიმემართა და მეთხოვა დახმარება. უცნაური ზნის ადამიანი იყო ბებიჩემი. მეც ხომ ისეთივე შვილიშვილი ვიყავი მისთვის, როგორც პეტა, ყურადღებას სრულებით არ მაქცევდა, მაშინ, როდესაც პეტაზე, როგორც იტყვიან, მზე ამოსდიოდა. ისე გაანებივრა ბებიამ პეტა, რომ მალე ამ ნიჭიერმა და ჭკვიანმა ბავშვმა ზარმაცობა დაიწყო, „ბებო ფული მინდა“, წარამარა გაიძახოდა იგი და ბებიაც აძლევდა და არ ეკითხებოდა რისთვის სჭირდებოდა, ან რაში ხარჯავდა ფულს. ჩვენ სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობდით. მამაჩემმა შეიტყო შვილის სიზარმაცე, შეამოწმა სკოლაში და გამოირკვა, რომ პეტას თურმე აუარება გაკვეთილიც ჰქონდა გაცდენილი. თვითონ არ ელაპარაკებოდა ბებიას, დედა აიძულა მისულიყო და მოლაპარაკებოდა.

„თქვენ თქვენსას მოუარეთ, ჩემი პეტა არავის ჩარევას არ საჭიროებს, პროფესორი უნდა გამოვიდეს, ენაცვალოს მას ბებო. თქვენი კი რა გამოვა, იმასაც ვნახავთ“, ასეთი უკმეხი პასუხით გამოისტუმრა ბებიამ დედაჩემი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი ნიჭიერი ძმა ისე ჩამორჩა სწავლაში, რომ ორჯერ ერთსა და იმავე კლასშიც დარჩა, მეშვიდე და მეცხრე კლასებში. ნებიერად გაზრდამ და ბევრმა ფულმა იმისთანა ამხანაგები შესძინა მას, რომელთაც გზას ააცდინეს, საშუალო სკოლაც კი ვერ დაამთავრა, მეათე კლასიდან გამორიცხეს. მე ხშირად ვხვდებოდი, ვარიგებდი, ვასწავლიდი, მაგრამ ჩემი სიტყვები რჩებოდა „ხმად მღალღებლისა უდაბნოსა შინა“. დაიწყო ყომარის თამაში, ლოთობა, ეს კი ხომ შესავალია ბოროტმოქმედების გზაზე დადგომისა. აქედან ბოროტმოქმედების ჩადენამდე აღარ არის დიდი მანძილი. ბებიჩემი უჯერებდა პეტას, იგი

დარწმუნებული იყო, რომ პეტა შესანიშნავად სწავლობდა, მხოლოდ მასწავლებლები გადაეკიდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ.

„ბებო თუ გინდა, რომ სწავლა დავამთავრო და არავის არ ჩამოვრჩე, გამგზავნე რუსეთში, იქ ვისწავლი“. ბებიაც სიხარულით დაებლუჯა ამას, მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, გაგზავნა რუსეთში. აქედან ბლომად უგზავნიდა ფულს, ის კი წერილს წერილზე სწერდა, აცნობებდა თავის წარმატებებს სწავლაში, მაშინ როდესაც სწავლაზე არც უფიქრია. ორი წელიწადი დაჰყო რუსეთში, ამ ორი წელი განმავლობაში რას საქმიანობდა, არავინ იცოდა. ბებიანაჲმ გარდაიცვალა, მაგრამ ეს ოდესღაც ახირებული, ამაყი, გულზვიადი ქალი, სიკვდილის წინ, როდესაც პეტამ წვრილ-წვრილად გამოაცალა ბებიას ხელიდან თუკი რამე გააჩნდა და სიღარიბემდე მიიყვანა, მიხვდა, რომ პეტა მას ყოველნაირად ატყუებდა, მაგრამ წარსულს რაღა ეშველებოდა. სიკვდილის მომლოდინე დაგვიბარა ყველა, ბოდიში მოიხადა სიძის წინაშე, დედაჩემსაც სთხოვა მიეტევებინა მისი უდიერი მოპყრობა. განსაკუთრებით კი ჩემს წინაშე გრძნობდა დანაშაულს.

„მე, შვილებო, ასე არ მინდოდა. ჩემი სიამაყე არ მაძლევდა იმის საშუალებას, რომ შეგრიგებოდით, მე პეტას გაზრდას ველტვოდი ნიჭიერი იყო, იმას ვენაცვალე და რას წარმოვიდგენდი თუ ისე ვერ ვზრდიდი, როგორც საჭირო იყო. მე იმედი მაქვს, ის მაინც არ დაიკარგება ცხოვრებაში. მაინც მონახავს თავის გზას“. უბედურმა ბებომ ჩემი ძმის ნატვრაში დალია სული.

ბებიას სიკვდილის შემდეგ ჩემი ძმა დაიკარგა. მისგან აღარც წერილს ვღებულობდით და არც ვიცოდით სად იყო, ან რა საქმიანობას ეწეოდა. მთელი ჩვენი ოჯახი ამას მტკივნეულად განიცდიდა. მამაჩემი თუმცა ცხადლივ არაფერს ამჟღავნებდა, მაგრამ ეტყობოდა მთელი მისი ფიქრი და აზრები შვილისკენ იყო მიპყრობილი. დედა ხშირად ტიროდა და იმის ნატვრაში იყო, გაეგო მაინც ცოცხალი იყო თუ არა და სად იყო, როგორ ცხოვრობდა. მე

არანაკლებ მიყვარდა ჩემი ძმა, არანაკლებ მაწუხებდა მისი ბედ-
ილბალი, მაგრამ მეცადინეობაში ვიკლავდი გულის წუხილს.

უმაღლესი სასწავლებელი საუკეთესოდ დავამთავრე, პროფე-
სორებს ვუყვარდი და პატივს მცემდნენ. მე ინსტიტუტში დამტო-
ვეს სამუშაოდ. თავს მოქანცულად ვგრძნობდი და გადაწყვიტე
ზღვაზე დამესვენა. ჩემთან ერთად ინსტიტუტი დაამთავრა ჩემმა
საუკეთესო მეგობარმა ისმაილ ზოიძემ და აი, როგორც კი გაიგო
მან, რომ ზღვაზე ვოცნებობდი, მიმიწვია თავისთან.

ისმაილის მამა ნაზიმ ზოიძე ბათუმში ცხოვრობდა, ზღვის პი-
რას ხუთოთახიანი სახლი ედგა. თვით ნაზიმი მასწავლებლად მუ-
შაობდა ადგილობრივ საშუალო სკოლაში. განვითარებული ადა-
მიანი იყო, საკუთარი პატარა წიგნსაცავიც ჰქონდა, ეტანებოდა
ძველი ხელნაწერების შეგროვებას და მის წიგნსაცავში ბევრ უნი-
კალურ ეგზემპლარებს წააწყდებოდა კაცი. მეც მეტი რაღა მინ-
დოდა? დიდის სიამოვნებით მივიღე მისი წინადადება და თბილი-
სის ზაფხულის პაპანაქებას თავი გავარიდე, ბათუმს ვეწვიე.

ზოიძეების ოჯახი არ იყო დიდი, თვით ნაზიმი მისი მეუღლით,
მათი ვაჟიშვილი ისმაილი და ქალიშვილი ფატიმა, რომელმაც იმ
წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ემზადებოდა უმაღლეს
სასწავლებელში შესასვლელად.

მართალია, გადაწყვეტილი მქონდა საფუძვლიანად დამესვენ-
ნა, მაგრამ ზოიძის ბინაში იმდენ ძველ წიგნებს რომ წავაწყდი,
სადღა მეცალა დასასვენებლად, ნაზიმს ძალზე მოსწონდა ჩემი
ასეთი სიყვარული ძველი კულტურის ამ იშვიათი ძეგლებისადმი
და ხშირად გაცხოველებულ კამათში გაგვითენებია.

ისმაილს ჩვენთვის არ ეცალა, ის დადიოდა აუარებელ ნაც-
ნობ-მეგობრებთან ერთად და ასე ატარებდა დროს. სულ სხვა იყო
ფატიმა, არც ერთ წუთს არ შორდებოდა მამის წიგნსაცავს და ჩემსა
და ნაზიმის შორის გამართულ კამათის მუდმივი მონაწილე იყო.

შემიყვარდა ზღვა, მისი უნაპირო სივრცე, მშფოთვარე ტალღე-ბი. ჩემთვის ის ტიტანური ძალა იყო ყოვლის მომრევი, ყოვლის წამლელი. მომწონდა ზღვა განსაკუთრებით მთვარიან ღამეებში, როდესაც მთვარის შუქი ტალღებში ბანაობდა, იგი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მანიჭებდა. ყველა ეს ხომ ახალი იყო ჩემთვის და არც ერთ მოწმენდილ, მთვარიან ღამეს არ გამოვტოვებდი, რომ არ გავსულიყავ ზღვის ნაპირს, ხშირად შუაღამე წამომდგო-მია თავზე ასეთ მზერაში. მასპინძლებმა იცოდნენ ჩემი ასეთი გა-ტაცება ზღვით, მოსწონდათ ეს, განსაკუთრებით ნაზიმსა და ფატ-მას.

ფატმას თავდაპირველად არ ვაქცევდი ყურადღებას, მე, უმაღ-ლეს დამთავრებული, ზემოდან დავცქეროდი აბიტურიენტ გოგო-ნას, მაგრამ, როდესაც რამდენიმე ჩვენს კამათში მან თავისი აზ-რი გამოთქვა, მე ისე გამაოცა მისმა მოსაზრებების თავისებურმა სიღრმემ, რომ პირველად გაკვირვების, ხოლო შემდეგ კი დიდი პატივისცემის გრძნობა აღმიძრა. მხოლოდ მაშინ მივაქციე მას ყურადღება, საშუალო ტანის, შავთვალწარბა, მოხდენილი გო-გონა თითქმის პირველად შევამჩნიე. ვერ გეტყვით, რომ არაჩ-ვეულებრივი სილამაზისა ყოფილიყო, მაგრამ მასში იმდენი სი-ნატიფე და სინაზე იყო, რომ მე თვითონ გამიკვირდა როგორ გა-მომრჩა აქამდე შეუმჩნეველი მისი კდემამოსილება.

გულში ჩამივარდა ფატმა, შემიყვარდა წრფელი, უმწიკვლო სიყვარულით. მაგრამ მე, მათი ოჯახის სტუმარი, აბა როგორ გავ-ბედავდი რითიმე მეგრძნობინებინა ეს. ამის შემდეგ ისე გულ-მოდგინე აღარ ვიყავი წიგნებისადმი, ზღვა უფრო შემიყვარდა, რატომღაც მეგონა, მისი ტალღების შმაგური სრბოლა ჩემი გუ-ლის ბობოქრობის ანარეკლი იყო, რომ ზღვა მე თანამიგრძნო-ბდა. ჩემი გრძნობებიც ხომ ისეთივე ღრმა და უნაპირო იყო.

ფატმას თვალებიც ისე აღარ გამოიყურებოდნენ, როგორც

უწინ, ვატყობდი მის გულშიც გრძნობამ გაიღვიძა, აბობოქრებულ ზღვის ტალღებივით ძლიერმა გრძნობამ. ჩემი მათ ოჯახში გაჩერება უკვე შეუძლებლად მიმაჩნდა. შემეძლო გადავსულიყავ სასტუმროში, მაგრამ ამას ხომ მიზეზი უნდა ჰქონოდა? რას იფიქრებდნენ ჩემი გულწრფელი მასპინძლები? არა, ეს აზრი არ ვარგოდა. წავსულიყავ ბათუმიდან თუნდაც თბილისში. მაგრამ ბათუმი ახალ უფრო ძნელი დასათმობი შეიქნა ჩემთვის. მართალია, გადაწყვეტილი მქონდა შემოდგომამდე დარჩენა, მაგრამ განა შემეძლო დავრჩენილიყავ ამ სტუმართმოყვარე სახლში ამის შემდეგ? და აი, გადაწყვიტე თბილისში დაბრუნება.

მასპინძლებს არ ესიამოვნათ, ჩემი სურვილი რომ შეიტყვეს. განსაკუთრებით ჩემი მეგობარი ისმაილი იყო შეღონებული.

— ჩემი ბრალია, მე სტუმრად მოგიწვიე და კი ვერ მოგაქციე საჭირო ყურადღება. ნათესავებსა და მეგობრებს გადავყევი, — თავს იმართლებდა. მე ვამშვიდებდი, სხვა და სხვა მიზეზები მომყავდა თავის გასამართლებლად, მაგრამ მას გაგონებაც არ უნდოდა.

წამოსვლის წინა საღამოს ზღვის პირად გავედი, მინდოდა უკანასკნელად გამოვმშვიდობებოდი ზღვას, უკანასკნელად განმეცადა მღელვარე ზღვის ტალღების ზვიადი, უტეხი ძალა. მე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული, ერთი განსაკუთრებული ადგილი და აი, ახლაც იქითკენ მივისწრაფოდი, ეს იყო ზღვის პირას განსაკუთრებული ლოდი, რომელზედაც ჩამოვჯდებოდი ხოლმე და ზღვის ტალღების ჭიდილის მზერით ვტკბებოდი.

შორიდანვე დავინახე, რომ ჩემი არჩეული ლოდი უკვე დაკავებული იყო, იქ ვილაც სხვა იჯდა და ზღვას გასცქეროდა. ძალიან მეწყინა, დავაპირე უკანვე გამობრუნება, გული მტკიოდა, ნუთუ უკანასკნელად მაინც არ მქონდა უფლება გამოვთხოვებოდი ჩემს ზღვას, მეოცნება ჩემს სიყვარულზე; მე არ მქონდა საშუალება განცდები გამომეთქვა ცხადლივ. აშკარად, აქ კი მისი საშუალებაც მესპობოდა, რომ ზღვისთვის მაინც გამენდო ჩემი სათუთი

გრძნობები.

ჩემდა უნებურად განვაგრძე გზა, მივუახლოვდი. ლოდზე ქალი იჯდა, თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და ეტყობოდა ტიროდა. გამიკვირდა, გამობრუნება დავაპირე, რომ, ალბათ ჩემი ფეხის ხმაზე გონს მოსულმა თავი ასწია, სახე მოაბრუნა და ერთი შეხედვით ადგილზე მიმაჯაჭვა.

ლოდზე ფატმა იჯდა. ფატმა ჩემი სიყვარულის შთამაგონებელი, ჩემი სულის მეუფე ფატმა. დავინახე, მისი ღაწვები ცრემლებს მოერწყო. შევშფოთდი.

— ფატმა, რა დაგემართა, რა გატირებს? — შევეკითხე მე განცვიფრებულმა.

— პავლე... — წარმოსთქვა მან და წამოდგომა დააპირა, მაგრამ მე უკვე ლოდთან მივედი და გვერდით მივუჯექი, — მაშ მიდიხარ, არა? — შემეკითხა იგი.

— მივდივარ ფატმა, ეს აუცილებელია.

— რამ გამოიწვია ეს აუცილებლობა?

— გარემოებამ, რომელიც არ შემიძლია ვთქვა.

შევატყვე, მას ჩემთან დაშორება უმძიმდა, უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ მასაც ვუყვარდი გულწრფელი სიყვარულით, პირველი სიყვარულით. მეც ხომ მიყვარდა, ის ხომ ჩემი სიყვარული იყო, ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული.

— მიდიხარ? მერე მე? — და პასუხს აღარ მოუცადა, — რა სისულელეს ვბოდავ, რა უფლება მაქვს დაგიშალო წასვლა... ალბათ იქ გულის სატრფო გელის, ალბათ მასზე ფიქრმა აღარ მოგასვენა და მეტი აღარ შეგიძლია უიმისობა.

— ფატმა, არ დაგიშალავ, გეტყვი სიმართლეს. დიახ, მე აქედან მივდივარ, უნდა გავიქცე, მე ამას სიყვარული მაიძულებს.

— რა ბედნიერია ის, ვისთანაც მიხვალ, მაგრამ არა მშურს. ასეც ვგრძნობდი, რომ სიყვარული უნდა ყოფილიყო მიზეზი შენი აქედან ასე უცნაური და მოულოდნელი გამგზავრებისა.

— დიახ, სიყვარულია მიზეზი, ხოლო მისკენ კი არ მივიღტვი, არამედ მას გავუბრუნებ.

ქალიშვილმა თვალები შემომანათა გაკვირვებით. მე კი განვაგრძე:

— გეფიცები ჩემს ახალგაზრდობას, გეფიცები რაც კი მწამს, რომ ეს სიმართლეა, მე აქედან გავუბრუნებ სიყვარულს, შენს სიყვარულს. ერთადერთი და პირველი შენ ხარ, რომელიც წრფელის გულით შემეყვარდა...

ამ სიტყვების შემდეგ აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, რომ ჩვენი ბაგეები შეერთდნენ. მე ბედნიერების მწვერვალზე ვიმყოფებოდი. ხომ მოვნახე ის, ვინც ჩემს გულს დაეუფლა.

კარგა შებინდებული იყო, როდესაც შინ დავბრუნდი. ფატმამ ველარ მოითმინა და დედას გაანდო ყველაფერი. მან კი ქმარს გაუზიარა.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. მე მასპინძლის კაბინეტში ვიჯექი და „ბალავარის სიბრძნის“ მანუსკრიპტს ჩავკირკიტებდი, როდესაც ნაზიმ ზოიძე შემოვიდა და პირდაპირ მომმართა.

— პავლე, შვილსავით მიგიღე შინ და არ გამიმეტო გასაღანძღავად, — იგი მეტად აღელვებული იყო. მე მაშინვე მივხვდი რაზედაც მელაპარაკებოდა იგი.

— გეფიცებით, ჩემი გულიცა და სურვილიც წრფელია. არავითარი ბოროტი ჩემში არ არის, თუ შვილად მიღების ღირსად გამხდით, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება. მე უკვე პატარა ბავშვი არა ვარ. უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე. სამსახური მაქვს, ინსტიტუტშივე დამტოვეს სამუშაოდ. დღემდე ჩემს გულს არავითარი გრძნობა არ მიჰკარებია. მე მიყვარს ფატმა, მასაც ვუყვარვარ და თუ თქვენ არ დაგვრთავთ შეუღლების ნებას, ეს ჩემთვის უდიდესი უბედურება იქნება.

— მე გიცნობ პავლე, ვიცი ჭკვიანი, განათლებული ჭაბუკი ხარ,

მომავალი დიდი გაქვს. შენთან საუბარი და კამათი ჩემთვის მუდამ სასიამოვნო იყო. მე მამა ვარ და მშობლისათვის იმაზე უკეთესი არაფერია, როდესაც თავის შვილებს დაბინავებულებს ნახავს, მაგრამ ჯერ ერთი, ჩემს ქალს არა აქვს უმაღლესი განათლება მიღებული.

— ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, — ჩავურთე სიტყვა.

— აქვს, უეჭველად აქვს, — შემაწყვეტინა მან.

— მე შევუწყობ ხელს, მივადებინებ უმაღლეს განათლებას.

— გარდა ამისა, — აღარ დამამთავრებინა მან სიტყვა, — შენ კი გინდა ჩემი ქალი ცოლად, მასაც უყვარხარ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ როგორ შეხედავენ ამ ამბავს შენი მშობლები? დავეთანხმებიან?

— ეჭვი არ მეპარება, ისინი არ წავლენ ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ, პირიქით, დანათესავება იმისთანა პატიოსან ოჯახთან, როგორიც თქვენია, მათ გაახარებთ კიდევ.

— კი მაგრამ, ჩვენ მუსულმანები ვართ, თქვენ კი ქრისტიანები...

ამას უკვე არ მოველოდი ნაზიმ ზოიძისგან, რელიგიაზე ლაპარაკი, სარწმუნოების მომიზნება, სწორედ გასაოცარი იყო, ისიც ვისგან, განვითარებულ და მწიგნობარ კაცისგან და მხოლოდ ეს-ლა ვუპასუხე:

— ჩვენ ქართველები ვართ... სარწმუნოება ოდესღაც წარმოადგენდა დაბრკოლებას, დღეს კი ამაზე ლაპარაკი სასაცილოა.

— კარგი, შვილო. მე შენი წასვლა არ მინდოდა აქედან ასე მალე, მაგრამ ახლა კი გირჩევ, წადი, ხანი რომ გავა, ამავე აზრზე იქნები და არ შეიცვლი, მაშინ მოვილაპარაკოთ.

მე მივხვდი მისი სიტყვების აზრს და დავეთანხმე. ის მაძლევდა დროსა და საშუალებას გამომეცადა საკუთარი თავი, რამდენად მტკიცე იყო ჩემი გრძნობა, ეს უბრალო გატაცება იყო თუ ნამდვილი გულწრფელი სიყვარული.

ლამის თორმეტ საათზე, ის იყო დაწოლას ვაპირებდი, როდესაც ჩემი მეგობარი ისმაილი დაბრუნდა სახლში. მე და იმას ერთ ოთახში გვეძინა. შევატყვე, ამრებილი იყო. თანჯარასთან მივიდა, გაჩერდა, რამდენჯერმე შემობრუნდა ჩემსკენ, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ მიბედავდა. მე გაკვირვებული თვალყურს ვადევნებდი და არ ვიცოდი რა მეთქვა მისთვის.

ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— პავლე, მე შენ უმწიკვლო და სპეტაკ ადამიანად მიმაჩნდი მუდამ, მაგრამ, რაც შენ განგიზრახავს, ის შეურაცხყოფაა ჩვენი ოჯახისა და არასოდეს არ მოხდება.

მე გაკვირვებული შევხედე მას, თვალი თვალში გაუყარე. მან მზერა მომარიდა.

— სხვა პირობებში, მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი. რა თქმა უნდა ჩემი და უნდა გათხოვდეს. მაგრამ...

— ახლა რაღამ შესცვალა ეს პირობები?

— გუშინ ღამით ათ საათზე სად იყავი? — მოულოდნელად მომმართა მან.

— სად ვიქნებოდი, თუ არა ზღვის პირას, ჩემ საყვარელ ლოდთან, შემდეგ კი სახლში.

— ვინ იყო ის ქალი, სანაპიროზე რომ დაგყავდა მეტად ვულგარულად... შემდეგ კი მასთან ერთად სადღაც მიიმაღლე?

— ვინ გითხრა ასეთ უცნაური ჭორი?

— ჩემი თვალით ნანახს გეუბნები. ქუჩის ქალებთან დადიხარ და ამის შემდეგ ჩემი დის შერთვას აპირებ?

მე გამაოცა მისმა სიტყვებმა.

— ისმაილ, თუ ჩემმა აქ ყოფნამ თავი მოგაბეზრა და ამიტომ სთხზავ იმას რაც არ ყოფილა, რომ ამით თავიდან მომიშორო, პირდაპირ მითხარი, ვაჟვაცურად. არ შეგშვენის ამისთანა ჭორების შეთხზვა.

— ჩემი თვალით დაგინახე, საკუთარი თვალით.

მე აღარაფერი დამრჩა სათქმელი, საწოლის ქვეშიდან გამოვიღე ჩემოდანი და დავიწყე ჩემი ნივთების ჩაწყობა, რომ იმავე დამეს წავსულიყავ. ასეთ შეურაცხყოფის ატანა არ შემეძლო. შეურაცხყოფდა და ვისგან, საუკეთესო მეგობრისგან.

კაკუნი გაისმა, ისმაილმა კარი გააღო, გამოჩნდნენ შეშფოთებული მასპინძელი და მილიციის თანამშრომლები.

ერთ-ერთმა მათგანმა ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი გამომიწოდა. მე გავშრი, ჩემს ცხოვრებაში ამის მსგავსი არ შემხვედრია. გაოგნებული შევცქეროდი მათ და ვერ მომესაზრებინა, რა უნდოდათ ჩემგან, რას თხოულობდნენ. დაბნეული, პასუხებს მაშინალურად ვაძლევდი. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ჩემი პირადი ნივთები გაჩხრიკეს და წამიყვანეს სამილიციო განყოფილებაში.

გამოირკვა: თურმე თავგზიფლადებული ავაზაკი ვყოფილვარ, ჩამიდენია ძარცვები, ერთი მკვლელობაც და უფრო უარესი: ცამეტი წლის მოზარდი გოგონაც გამიუპატიურებია.

როდესაც დაკითხვის შემდეგ საკანში ჩამიყვანეს, მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი. როდის? სად? ვეკითხებოდი ჩემს თავს. მე ხომ ჩემი ცხოვრების მანძილზე ქათამიც არ დამიკლავს. საიდან გამოიგონეს, ვინ შეთხზა ჩემს წინააღმდეგ ყველა ეს ბრალდება? რა დამაძინებდა, საკანში დავბოროილობდი და ადგილი ვერ მომენახა. იმავე საკანში ორი პატიმარი იყო. მე რომ შევედი, ეძინათ. გამოიღვიძეს, ერთ მაგრა შემიკურთხეს და გადაბრუნდნენ მეორე მხარეზე, მაგრამ აღბათ ჩემი ბოლთის ცემა არ აძლევდა მათ ძილის საშუალებას, რომ ერთმა მათგანმა შემომძახა:

— ეჭვი, მეზობელო, შენი თავი ზღვის ნაპირზე ხომ არ გგონია, ძილს ნუ გვიფრთხოვ, დაეგდე, თორემ...

მე მათ ბუზღუნს ყურადღება არ მივაქციე და განვაგრძობდი ბორიალს გალიაში დამწყვდეული დათვივით.

— თარხან, ადექი ერთი შენებურად წაუთაქე და ჭკუა ასწავლე, თორემ ეგ ჩვენ მოსვენებას არ მოგვცემს, — უთხრა ერთმა პატიმარმა მეორეს.

თარხანად წოდებული მაშინვე წამოხტა, მუშტები მოკუმშა და ნახტომი გააკეთა ჩემსკენ. მაგრამ სახეზე შემომხედა თუ არა, ხელები ჩამოუშვა, უკანვე გაბრუნდა და ტახტზე ჩამოჯდა.

— ე, დედალო, რას უყურებ, წაუთაქე-მეთქი! — შესძახა პირველმა.

— რამ გაგასულელა, აბა სცადე წათაქება თუ სიცოცხლე არ მოგებრებია, რომ მოინდომოს ცოცხლად შეგჭამს. ეს ხომ ცაცია მუხრანელია.

— მე და ჩემმა ღმერთმა ცაცია მუხრანელია.

მე მესმოდა მათ ლაპარაკი, ისინი ნაცეში ძაღლებივით მოიკუნტნენ და ვატყობდი ჩუმ-ჩუმად თვალს მადევნებდნენ.

ვის მიმამსგავსეს? ვინ არის ცაცია მუხრანელი, რომ მარტო მისი სახელის ხსენებამ მოათვინიერა და გააყუჩა ეს ორი ავაზაკი?

რამდენჯერმე დააპირეს გამოლაპარაკება, მაგრამ ჩემს მრისხანე მზერას რომ წააწყდნენ, ვერ გაბედეს.

გავიდა ერთი კვირა, ათი დღე. თურმე მე მარტო პავლე ნაპირელი კი არ ვყოფილვარ, არამედ ცაცია მუხრანელი, მინდვრის მგელი, იერემია წარბა და კიდევ ვინ იცის.

ბარემ ათიოდე დაზარალებული დამადგა პირზე, ამომიცნეს, რომ მათი გამძარცველი ვიყავი. დაზარალებულებს ვილა სჩივის, ორი ავაზაკი შეეპყროთ, ისინიც დამადგნენ პირზე, აღიარეს, რომ მე ვიყავი მათი მეთაური. დაპირისპირების შემდეგ სთხოვეს მილიციის უფროსს არავითარ შემთხვევაში არ მოეთავსებინათ ჩემთან საკანში, თორემ მე ხომ „მინდვრის მგელი“ ვიყავი, შევჭამდი მათ, ჩავახრამუნებდი.

უკვე თვე შესრულდა, რაც საპატიმროში ვიყავი. პატიმრებს ახლოს არ ვეკარებოდი, ისინიც გამირბოდნენ, ეშინოდათ ჩემი. რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ იფიქრეს, რომ ამას განგებ ვაკეთებდი, თვალის ასახვევად.

ისმაილმა მამაჩემს მისწერა ყველაფერი. ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ მისვლოდა, დედა ელდისაგან ლოგინად ჩავარდნილიყო და მამაჩემიც თავს ვერ ანებებდა, უნუგეშოდ ვერ სტოვებდა.

საპატიმრო ჩემთვის აუტანელი შეიქმნა. ჩამოვხმდი, გავყვითლდი.

დადგა გასამართლების დღეც. მე ამ დღეს საგულდაგულოდ ველოდი. ვფიქრობდი გადაწყვეტილიყო ჩემი ბედი კარგად ან ავად.

სამ დღეს გრძელდებოდა ჩემი გასამართლების პროცესი. წინასწარ გამოძიებაზე შეკრებილი მასალა მთლიანად დადასტურდა სასამართლოს სხდომებზე. ჩემი სიამართლე ვერ დამტკიცდა. დაზარალებულები პირზე მადგებოდნენ, აღწერდნენ იმ საშინელებებს, რომელიც ვითომც ჩამედინოს. ისინი ამბობდნენ, რომ მე არ ვინდობდი არავის ძარცვის დროს, ქალებს ბეჭდებს და მაჯის საათებს რომ ვხსნიდი, ხელებს ვამტვრევდი, მოკლულის ჭირისუფალნიც გულშემზარავად გაჰკიოდნენ და საშუალება რომ ჰქონოდათ, ალბათ ასო-ასო ამკუწავდნენ, ცამეტი წლის გოგონამაც, სირცხვილით გაოგნებულმა თავბარდამცემი საშინელება უამბო სასამართლოს, დადასტურდა, რომ მასზედ უხეში, ველური ძალა ვიხმარე, რომ ჩემი გული ვერ მოაღბო ვერც მისმა ცრემლებმა და ვერც კვნესამ. იმ ორმა ავაზაკმაც, რომლებსაც ჩემთან ერთად ასამართლებდნენ, ხელახლა აღიარეს, რომ ისინი კარგად მიცნობენ. მე „მინდვრის მგელი“, ცაცია მუხრანელი, ბარის დამცემი ვიყავი არა მარტო მოსახლეობისათვის, რომ ჩემი თვით ბოროტმოქმედებსაც ეშინოდათ.

დარბაზი მუდამ სავსე იყო ხალხით. მათ აღელვება ხანდახან ისეთ მწვერვალს აღწევდა, რომ მცველებს ეშინოდათ თვითგასამართლება არ მოეწყობოთ ჩემზე სასამართლოს დარბაზშივე.

სასამართლოს თავმჯდომარემ რამდენჯერმე მომმართა მე-ღიარებინა ყველა დანაშაული, რომელშიც ბრალს მდებდნენ, მარწმუნებდა, რომ გულწრფელი აღიარება სასჯელს შემიმსუბუქებდა, მაგრამ რა უნდა მეღიარებინა, როდესაც არაფრის ჩამდენი არ ვიყავი!

სასამართლოს შემადგენლობასაც და დამსწრე ხალხსაც ის უფრო აბრაზებდა, რომ მე ყველაფერზე მტკიცედ უარს ვაცხადებდი და არავითარ დანაშაულში არ ვცნობდი თავს დამნაშავედ. ბრალმდებელმა მოითხოვა ჩემი სიკვდილით დასჯა, მე ხომ სოციალურად მავნე ელემენტი აღმოვჩნდი, ცხოვრების მუწუკი, შხამიანი მორიელი, ადამიანის სახის მატარებელი მხეცი. დამსწრეებმა ტაშით დაუდასტურეს მას მოთხოვნა. დამცველმაც წაყენებული ბრალდების გაბათილება კი არ დაიწყო, პირიქით, სცნო დადასტურებულად და მხოლოდ სთხოვა უმაღლეს სასამართლოს, რომელიც მასამართლებდა, მიეღო მხედველობაში ჩემი ახალგაზრდობა, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ჩემი გამოსწორება და არ დავესაჯე სიკვდილით, სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

სიზმარში მეგონა ჩემი თავი. თითქოს საიდანლაც მესმოდა სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვები. მართლა, იგი განაჩენს კითხულობდა... მესმოდა კანტიკუნტად... აგერ კითხულობს თავმჯდომარე: „სასამართლომ დამტკიცებულად სცნო წაყენებული ბრალდებები“... კიდევ რას ამბობს? „პავლე სიმონის ძე ნაპირელს, უმაღლესი განათლებით“... არა, ეს მე არ ვარ, ალბათ კიდევ არის ვინმე პავლე ნაპირელი... ო, რა გულქვაა თავმჯდომარე! „როგორც სოციალურად მავნე ელემენტს, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა, მისი პირადი ქონების კონფის-

კაციით. განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება“... მგონია, რაღაცას მეკითხება თავმჯდომარე, დარბაზში ტაშის გრიალია. ხალხი კმაყოფილებით ხვდება განაჩენს, ყველა ზიზღით შემომცქერის. მესმის ქალის კივილი, მგონია ვიღაცას გული წაუვიდა... ვინ იქნება ნეტავი? დედაჩემი ხომ ლოგინზეა მიჯაჭვული, ის ვერ ჩამოვიდოდა, მაშ ვინ უნდა იყოს?

უცებ გონზე მოვედი, დამენანა ჩემი თავი, ცრემლები წამომცვივდა.

— ახლა ტირი? რატომ მაშინა არ იცრემლებოდი, როდესაც სხვის ოჯახებს ატირებდი? — მომძახის ერთი დარბაზიდან.

— გული არ გაიტეხო, მოვახერხებთ შეწყენარებას, — მიჩურჩულებს დამცველი.

უცბად ხალხი მიწყენარდა. დარბაზში წინ გამოვიდა გურულ ჩაქურად გამოწყობილი თავზე ყაბალახშემოხვეული შავწვერულვაშიანი ახალგაზრდა.

— პატივცემულო თავმჯდომარე, — მიმართა მან სასამართლოს თავმჯდომარეს.

— რა გნებავთ? თუ გაქვთ რაიმე პრეტენზია, უკვე გვიანლაა, განაჩენი გამოტანილია.

— დიახ, მაქვს პრეტენზია, განაჩენი სწორად არის გამოტანილი, მხოლოდ არა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ ბის საბრალმდებლო სკამზე, ის არ არის დამნაშავე. ნამდვილი ავაზაკი მე ვარ, მე მეკუთვნის თქვენი სასჯელი.

გურულ ჩაქურაში გამოწყობილმა სწრაფად მოიხსნა ყაბალახი, მოიგლიჯა მიწებებული წვერ-ულვაში. მთელი დარბაზი შეიძრა, იქ ჩემი ძმა პეტრე ნაპირელი იდგა.

ამდენ სულიერ ღელვას ველარ გავუძელი, გრძნობა დავკარგე.

სასამართლოს დერეფანში მოვედი გონს. არ მახსოვდა ვინ

გამომიყვანა, რა დაემართა პეტას. გამახსენდა, იგი წარუდგა სამართლოს და დამსწრე საზოგადოებასაც, ალბათ ჩვენი ასეთ უცნაური მსგავსებით შემოთქმულნი, უცბად ვერ გამოერკვნენ საქმის ვითარებაში და მხოლოდ შემდეგ მიხვდნენ საბედისწერო შეცდომას, რომელმაც უდანაშაულო ადამიანი კინაღამ იმსხვერპლა. ჩემს ახლოს ორი კაცი იდგა. ერთმა მომმართა და განმიცხადა რომ მე თავისუფალი ვარ. ბარბაციტ გამოვედი. საღამო იყო, საით მივდიოდი არ ვიცოდი. მეც არ ვიცი, როგორ ამოვყავი თავი ზღვის პირას, ჩემ საყვარელ ლოდთან. ჩამოვჯექი, ზღვას მივაპყარი მზერა, საით წავიდე? აქ ხომ აღარ მედგომება? ჩემი ნივთები და ფული ზოიძეების ბინაშია, მაგრამ რა მიმიყვანს ზოიძეებთან! არად, რით წავიდე, როდესაც ჯიბეში მატარებლის ბილეთის კი არა, სადგურამდე მისასვლელი ფულიც კი არა მაქვს. კარგა ხანმა განვლო, გრილოდა, ზღვიდან ქარი ქროდა, ზღვა იქორებოდა, უზარმაზარი ტალღები ერთმანეთს აწყდებოდნენ. გრგვინავდა ზღვა, თითქოს თავისი ხმაურით თანამიგრძნობდა და ცდილობდა თავისი ბობოქარი გულისტკივილის გაყუჩებას. უცბად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. მე ისევ ლოდზე ჯდომას განვაგრძობდი და არ ვგრძნობდი როგორ მასხამდა სახეში წვიმა. ვერ გეტყვით, რას განვიცდიდი მაშინ. მართალია, ჩემი სიმართლე აღსდგა, ჩემი სახელი განიბანა, გასუფთავდა, მაგრამ რა გამოვიდა? დანაშაულებანი, საშინელი ბოროტმოქმედებანი ხომ მაინც იყო ჩადენილი და ვის მიერ? ჩემი ძმის პეტას მიერ, იმ პეტასი, რომლის ნახვაც მენატრებოდა, ველტვოდი მომეძებნა, მენახა და თუ დახმარება დასჭირდებოდა, გამეწოდა მისთვის ძმური ხელი, ფეხზე დამეყენებინა. მექცია საზოგადოების ღირსეულ წევრად. იქ კი რა მოხდა? ყველაფერი დაკარგული იყო, ყველაფერი. განა ძმის ხვედრი საკუთარზე ადვილი ასატანი იყო? მართალია, მან დაიმსახურა, ის ღირსი იყო უსასტიკესი სასჯელისა, მაგრამ ჩემთვის განა თავზარდამცემი არ იყო, რომ ნიჭიერი

ახალგაზრდა, რომელსაც შეეძლო საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის სარგებლობა მოეტანა, ავაზაკად იქცა, დამპალ ლეშად, რომელიც ჰაერსაც კი ხრწნის და ასნეულებს. მე ვერ დავემდურებოდი ჩემს მიმართ ვერც სასამართლოს და ვერც მილიციას. განა მათ ეჭვი შეეპარებოდათ ჩემს უბრალოებაში, როდესაც ყველა ხელს მადებდა, ყველა ავაზაკად მრაცხდა! მე მხოლოდ მიხსნა იმ გარემოებამ, რომ პეტაში სინდისმა გაიღვიძა და თუ ეს ასე იყო, მაშასადამე ის მთლად დაკარგული არ ყოფილა. შეიძლება მისი გამობრუნება, ადამიანად ქცევა. მას ალბათ ხელახლა გაასამართლებენ, შეიძლება არ მიუსაჯონ სასჯელის უმაღლესი ზომა. როგორც მე შეიძლება სასამართლომ მიიღოს მხედველობაში მისი გულწრფელი აღიარება და ხანგრძლივი პატიმრობით დაკმაყოფილდეს. პატიმრობაში განა არ შეიძლება მოინანიოს ადამიანმა ცოდვები, გამოსწორდეს, ხალხის სიკეთისათვის იბრუნოს?! ეს ხომ მისი საწინდარი იქნება, რომ პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება ნამდვილ ადამიანად იქცეს.

ეს და სხვა ათასი ფიქრი მიტრიალებდა ტვინში. თავი მიხურდა, წვიმამ მთლად დამასველა. შემოდგომის სუსხიანი პირქარი ქროდა, მე კი თბილი არაფერი მეცვა.

— პავლე, აქ რას უზიხარ? შენს ძებნაში ქალაქი გადავაბრუნე, სად არ ვიყავი, — შემომესმა ისმაილ ზოიძის ხმა. მოვიხედე, ჩემს წინ წვიმაში გაწუწული ისმაილი დაღლილობისაგან ძლივს იდგა ფეხზე, ალბათ მართლა ბევრი ევლო, ბევრ ადგილას ვეძებნე.

— ადექი, წამოდი სახლში, — ტკბილად მომმართა მან, — რამ გადაგრია, ავად გახდები.

— ვერა, ისმაილ, მე ვერ წამოვალ თქვენსა, დამანებე თავი, დამტოვე ჩემს ფიქრებთან. თუ არ ჩავკვდი, ალბათ ძაღლურად გავათენებ და შემდეგ კი, როგორმე მოვახერხებ გამგზავრებას. თქვენი ოჯახი ჩემით შეურაცხყოფილია და...

— ვიცი, შენ ჩემზედა ხარ ნაწყენი, ბოდიშს ვიხდი ჩემს მაშინდელ სიტყვებზე, შევცდი... კმარა, ადექი, წამოდი.

წამოდგომა დავაპირე, რომ ისმაილს გავრიდებოდი, არ მინდოდა მასთან საუბარი, ადამიანის დანახვაც კი არ მინდოდა. შუბლი მიხურდა. ისევ ლოდზე დავეშვი.

ბევრს ეცადა ისმაილი ჩემს წაყვანას, მაგრამ არაფერი გაუვიდა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიფე, წამოვდექი და სადგურისაკენ გავლასლასდი. ისმაილი მომდევდა, მემუდარებოდა, ბოლოს ძალითაც კი შეეცადა სახლში ჩემს წაყვანას, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. როგორც იყო, მივაღწიე სადგურს. მატარებლის მოლოდინში სადგურის ერთ კუთხეში მოვიკუნტე. ისმაილი წავიდა. მაგრამ ერთ საათში უკანვე დაბრუნდა ჩემი ნივთებით. თბილისამდე გამომყვა და ვიდრე საკუთარ ბინაში არ მიმიყვანა, თავი არ დამანება. გავარვარებული სიცხიანი შევდგი ფეხი ჩემს სახლში, ორივე ფილტვის ანთება დამემართა. თითქმის ათ დღეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიმყოფებოდი. მაგრამ ახალგაზრდა ორგანიზმმა არ დაუთმო, სამი კვირის შემდეგ დასუსტებული, გამხდარი წამოვდექი ლოგინიდან და გარეთ გამოვედი.

პროფესორი ნაპირელი შეჩერდა, წყალი დალია და განაგრძო:

— ბოდიში, ამხანაგო ლომაურო მოკლედ მინდოდა მეთქვა და არ გამომივიდა. თუ არ დაგღალათ ჩემმა ნაამბობმა, ვეცდები რაც შეიძლება მოკლედ მოვათავო ეს მწარე ამბავი. დავიწყე მუშაობა ინსტიტუტში ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე. იმ წელს ინსტიტუტში შემოვიდა ფატმა ზოიძე. თურმე, როდესაც სასამართლოში განაჩენი წამიკითხეს, ფატმას გული წასვლოდა. ქალის კივილი, რომელიც მომესმა, მისი ხმა ყოფილიყო. ისმაილს ძლივს წაეყვანა სახლში. როდესაც ზოიძის ოჯახის წევრებს გაეგოთ, რომ მე უდანაშაულო ვიყავი და ნამდვილი დამნაშავე

გამოინახა, ძალიან გახარებოდათ, დაეწყოთ ჩემი ძებნა და როდესაც ისმაილმა მომაგნო, ხოლო ვერ დამიყოლია მათ ბინაზე მივსულიყავი, საწყენად დარჩენოდათ. განსაკუთრებით სწყენოდა ფატმას, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარდა.

ცხოვრებამ ბოლოს მაინც შეგვახვედრა ერთმანეთს. ჩემი მეუღლე ფატი, ნაზიმ ზოიძის ასული ფატმა გახლდათ.

ჩემი ძმა ნაპირელი ვეღარ გაასამართლეს. ხელახლა დაიწყო ძიება და ვიდრე დამთავრდებოდა, არ ვიცი როგორ და რა საშუალებით, საპატიმროდან გაექცათ.

ის არის და ის, აგერ უკვე ოცდაერთი წელი გავიდა მას შემდეგ და მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცოდი დღემდე, ცოცხალი აღარ მეგონა. ფიქრობდი, ალბათ მართლმსაჯულების ხელს ვერ ასცდა და უსახელოდ გაიფუჭა თავი, ბოლო მოეღო როგორც ავაზაკს, როგორც სოციალურად მაღნე პიროვნებას. ხანდახან მეორე აზრიც გამიელვებდა ხოლმე თავში, იქნებ სამამულო ომში წავიდა თავისი ცოდვების გამოსასყიდლად, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე და ამით, ამ უკანასკნელი საშუალებით მაინც გამოისყიდა თავისი მანკიერი ცხოვრების სიმახინჯენი. ცხოვრობდა, როგორც ავაზაკი და იქნება მოკვდა, როგორც გმირი. მაგრამ, სამწუხაროდ, ავაზაკი ავაზაკად დარჩენილა.

ზურაბ ლომაური ჩაფიქრებული შესცქეროდა პროფესორს და ერთხელაც არ ცდილა შეეწყვეტინებინა მისთვის სიტყვა.

ბინდდებოდა. პროფესორმა ნაპირელმა დაამთავრა თავისი საუბარი და დაასკვნა:

— გახსოვთ რუსული პატარა, მაგრამ შინაარსიანი მოთხრობა „შაურიანმა დაღუპა“, ასე მოუვიდა ჩემს უბედურ ძმასაც. ის არასწორმა აღზრდამ დაღუპა, წრემ გადააცდინა ცხოვრების ჭეშმარიტ გზას, ფუფუნებამ და ფულმა გააფუჭა, ის ბავშვობიდანვე მიეჩვია ფულების ფლანგვას და როდესაც შემოაკლდა, შრომას მიუჩვევლმა იოლი გზა აირჩია, გზა ავაზაკური, გზა ბოროტებისა:

მას რომ სწორი აღზრდა ჰქონოდა ის დღეს საზოგადოების სასარგებლო და შეიძლება საამაყო წევრიც კი ყოფილიყო. ტყუილად კი არ არის ბრძნული ნათქვამი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილიო“. მაგრამ რაღა დროს, საცემი იყო ბებია პეტას ასეთი აღზრდისთვის, მაგრამ ის უკვე მიწაში იწვა.

პროფესორ ნაპირელის წასვლის შემდეგ ზურაბ ლომაური კიდევ კარგა ხანს იჯდა სავარძელში და ფიქრობდა. ფუფუნებაში აღზრდა, ბევრი ფულები, განა იგივე კაპიტალისტური გადმონათობები არ არის? ბავშვის აღზრდის უკუღმართი მეთოდი, რომ თავიდანვე არ აჩვენებ შრომას, არ აინტერესებ სასარგებლო და გამოსადეგ საქმიანობით, კაპიტალისტური, უკუღმართი ჩვევა არ არის? აღზრდის არასწორმა მიმართულებამ ნიჭიერი მოზარდი ავაზაკად აქცია.

ყურმილი დასდო, ქუდს ხელი დასტაცა და კარისაკენ გაეშურა.

— რა უბედურებაა, ცოტა რამ მაინც შეგეჭამა, შიმშილით მოკვდები შე საწყალო, — შეუბღვირა ცოლმა.

— ნუციკო, ძვირფასო, რა ვქნა, გეთაყვა... მალე დავბრუნდები, ნუ გეფიქრება.

საჩქაროდ გამოვიდა სახლიდან, ჩაჯდა მანქანაში და სამმართველოსაკენ გაქანდა.

12

სამმართველოში ზურაბ ლომაურს არჩილ ჩოხელი დახვდა.

— რაშია საქმე, არჩილ? — შესვლისთანავე შეეკითხა ზურაბი.

— ამ ათიოდე წუთის წინ მაიორმა დარეკა, რომ მის ტერიტორიაზე ქალის გვამია აღმოჩენილი, რომელსაც მარცხენა ხელზე უსახელო თითი აქვს მოჭრილი, — მოახსენა ზურაბს არჩილმა.

— მართლა? ნატო სულიაშვილის გვამი ხომ არ არის?

— ალბათ. როგორ მიბრძანებთ? მე წავიდე თუ...

— არა, ჩემი წამოსვლაც იქნება საჭირო. თან შენ და ხუტა გაწერელია გამომყვებით. ახლავე დაიბარე სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილებიდან ექიმი და ფოტოგრაფი, — გასცა განკარგულება ლომაურმა.

— მე უკვე დავიბარე ისინი, — უპასუხა ჩოხელმა.

— გამოიძახეთ მაიორი ივანიძე და კაპიტანი ნოდია.

— მაიორს უკვე ველაპარაკე ტელეფონით, ალბათ ახლავე გაჩნდება აქ, კაპიტანისათვის კი არ შემიტყობინებია.

— აცნობეთ მასაც. მე სამმართველოს უფროსს მოვახსენებ

საქმის ვითარებას. ჩემს დაბრუნებამდე აქ იყვნენ ყველანი.

ვიდრე ზურაბ ლომაურმა მოახსენა სამმართველოს უფროსს და გამგზავრების ნებართვა აიღო, თანამშრომლები უკვე მოგროვდნენ განყოფილებაში.

— ამხანაგო მაიორო, — მიმართა ივანიძეს ზურაბ ლომაურმა, მაიორ ირემადეს უცნობებია, რომ ვიღაც ქალის გვამი აღმოუჩენია თავის რაიონში. გვამს მარცხენა ხელზე უსახელო თითი აკლია. ეჭვი არ არის, რომ ნათო სულიაშვილის გვამი უნდა იყოს. მე მივდივარ და თან მიმყავს არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია. ექიმსა და ფოტოგრაფს ველი. როგორც კი მოვლენ, გავემგზავრები. მე ხვალ ნაშუადღევამდე დავბრუნდები, თუ რაიმე გარემოებამ არ შემიშალა ხელი, ჩემი მოადგილე შვებულებაშია, ჩემს მაგიერ თქვენ დარჩებით. ზურაბი დაფიქრდა, გადახედა თანამშრომლებს და განაგრძო:

— ამხანაგებო, ასე არავის ძებნა არ გაჭიანურებულა, როგორც გერმან ბაზილისა. რა გახდა ეს გერმან ბაზილი, რომ ვერ იქნა და ვერ ჩავიგდეთ ხელში?

ზურაბი გაჩუმდა და ხელახლა გადახედა თანამშრომლებს. ისინი დამნაშავეებივით თავჩაღუნული ისხდნენ და უსმენდნენ უფროსის საყვედურს.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, თანამშრომლებს ძილი და მოსვენება დაეკარგათ, რაც შესაძლებელი იყო, ყოველი ღონისძიება ჩავატარეთ, — უპასუხა ზურაბს მაიორმა ივანიძემ:

— მე შედეგი მინდა, რეალური შედეგი.

— ის ალბათ უკვე გასულია ქალაქიდან. თავს უშველიდა და სულ გაეცლებოდა საქართველოსაც კი.

— მე კი მგონია, რომ აქ არის. მისი ხასიათის ამბავი რომ ვიცი ჯერ კიდევ გაგვიჩენს საქმეს. ყოველ შემთხვევაში, ამაღამ უნდა იქნეს ჩატარებული კიდევ ერთი ღონისძიება. ამის ჩატარება მე

მინდოდა პირადად, მაგრამ ვინაიდან წასვლა მიხდება, თქვენ გავალებთ, ამხანაგო მაიორო, — მიმართა ზურაბმა ივანიძეს, გისმენთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო.

მე უკვე მაქვს ცნობები, რომ ქოსა ყაზარა დღეს სამსახურში არ გამოცხადებულა, მის ბინაში, როგორც უბნის რწმუნებულმა დაადგინა, დღეს რაღაც მისვლა-მოსვლა იყო. უთვალთვალეთ მის ბინას და საჭირო თუ შეიქნა, გაჩხრიკეთ. ის გარემოება, რომ გერმან ბაზილი დაკავშირებული იყო სანდრო ყარაშვილთან, ეს უკანასკნელი მიმტან ქალ მერისტან, ხოლო მერი კი ქოსა ყაზარასთან, ჭკუასთან ახლო იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ თვით გერმან ბაზილი რაიმე კავშირში უნდა იყოს ქოსასთან. რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს, მერის ხელი არ ახლოთ. ის მე სხვა, უფრო დიდი საქმისთვის მჭირდება. როგორც გითხარი, ჩემთან წამოვლენ არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია. თუმცა არა, ხუტა გაწერელია აქ დარჩეს. სად არიან იგორ ვოლკოვი და სურენ კონდახიანი?

— სპეციალურ დავალებას ასრულებენ, — უპასუხა ივანიძემ.

— გიგა ნათენაძე არ დაბრუნდა მივლინებიდან? დღეს ჰქონდა უკანასკნელი ვადა.

— დიახ, დაბრუნდა, — უპასუხა კაპიტანმა ნოდინამ.

— დაიბარეთ ისიც დაღლილი იქნება, ნამგზავრი, მაგრამ შემდეგ დაისვენებს, არა უშავს რა. ეჰ, გუცა დარბაისელი რომ მყოფოდა აქ...

— აქ გახლავართ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, — კაბინეტში, თავი შემოჰყო გუცა დარბაისელმა.

ყველას გაუხარდა მისი დანახვა, ყველაზე მეტად კი ზურაბ ლომაურს. მართლაც ისე მოულოდნელი იყო გუცას გამოცხადება, რომ ამხანაგები გაკვირვებით შესცქეროდნენ. ზურაბ ლომაური წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

— საიდან, ასე მოულოდნელად? — შეეკითხა იგი.

— პირდაპირ საავადმყოფოდან, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ხვალ უნდოდათ ჩემი გამოწერა, დღეს არ მიშვებდნენ, მაგრამ იმისთანა აურზაური ავტეხე, რომ მეტი გზა არ ჰქონდათ, გამო-მიშვეს. როგორც იქნა მეღირსა, თავი დავაღწიე იმ მართლაცდა „საპყრობილეს“. შინ მინდოდა წავსულიყავ, მაგრამ გულმა არ მომითმინა, პირველად სამმართველოსაკენ გამოვწიე.

— ყოჩაღ, კარგად მოქცეულხარ, მაგრამ ნაავადმყოფარი რის მაქნისი ხარ? — ღიმილით შეეკითხა არჩილ ჩოხელი.

— ვინა, მე? გაგიგია ქართული ანდაბა, აქლემი ისე არ დაეცე-მა, რომ ვირის ოდენა არ აიკიდოსო, — შეუბღვირა მას გუცა დარ-ბაისელმა.

ყველას სიცილი აუტყდა.

— ნახე ბიჭი, გიპასუხა თუ არა! — გაიცინა ლომაურმაც.

ხუტა გაწერელიას სიცილისაგან თვალებზე ცრემლები მოად-გა, მაგრამ მაინც სცადა ეჩხვლიტა დარბაისელისათვის არჩილ ჩოხელის მაგივრად.

— ძალიან ნუ გამოიდებ თავს, რაში ვარგისხარ? შენ ახლა, რო-გორც ახალფეხადგმული ბავშვი, ისე ხარ.

— ნუ გეფიქრება, ჩემო ხუტა. არ იცი, რომ ახალფეხადგმული ნუკრი კუს მუდამ უსწრებს? — მასაც უკბინა გუცამ.

— ეგ გინდოდა, არა? — კვლავ გადაიხარხარა ლომაურმა.

მის ხარხარს სხვებიც აჰყვნენ.

— კმარა, ლაყბობის დრო აღარ არის, შეაწყვეტინა ზურაბმა და ივანიძეს მიმართა, — მაშ ასე, ამხანაგო მაიორო, გამოიყე-ნეთ სამილიციო აპარატი. სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ იყო-ლიეთ ქოსა ყაზარას ბინა და მისივე „სამიკიტნო“. ასე ვეძახი სა-სადილოს, სადაც ის მუშაობს. ყურადღებიდან არ გამოტოვოთ მე-რის ბინაც, მაგრამ, როგორც გითხარით, თუ განსაკუთრებულმა გარემოებამ არ გამოიწვია, მერის არა თუ ახლოთ ხელი, არც აგ-რძნობინოთ არაფერი.

კაბინეტში ექიმმა და ფოტოგრაფმა შემოიხედეს.

— თქვენ უკვე მოხვედით? — შეეკითხა მათ ზურაბი.

— ჩვენ კარგა ხანია აქ ვართ. თანამშრომლებს ესაუბრებოდით და ხელი არ შეგიშალეთ, — უპასუხა ექიმმა.

— აბა, ნუღარ ვაყოვნებთ, შევუდგეთ საქმეს. გიმეორებთ, ფრთხილად იყავით, ხომ იცით, შემოდგომის ბუზები მწარედ იკბინებიან, რადგანაც სასიკვდილოდ არიან განწირული. ერთი მარცხი კმარა. ხომ ნახეთ, ჩვენი გუცა დარბაისელი კინაღამ „გაგვისხლტა“ ხელიდან. ეცადეთ კარგი შედეგი დამახვედროთ.

ზურაბ ლომაური, არჩილ ჩოხელი, ექიმი და ფოტოგრაფი გავიდნენ ეზოში და მანქანაში ჩასხდნენ.

ლამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მილიციის სამმართველოდან მანქანა გავიდა, ჩქარა ქალაქი უკან მოიტოვა და უკვე დიღმის ვაკეზე მისრიალებდა.

მთვარის ქათქათა სხივები ვერცხლისფრად ეფინებოდა მთის კალთებს. ამ დაცემულ ველს მთები თითქოს დარაჯად დასდგომოდნენ.

ზურაბ ლომაურის ცხოვრებაში იშვიათი იყო ისეთი მომენტები, როდესაც იგი ავაზაკების წინააღმდეგ საბრძოლო კომბინაციებზე არა ფიქრობდა. იგი მართლაც იშვიათად აქცევდა ყურადღებას ბუნების მშვენებას, მისი ფიქრი და აზრები მუდამ ერთ საკითხს დასტრიალებდა, როგორ დაეწყო საქმე, რომ მისი ყურადღებიდან არ გამოპარულიყო დამნაშავე პირთა არც ერთი მოქმედება. წიგნების კითხვის დროსაც კი რაც არც ისე ხშირად უხდებოდა დროის უქონლობის გამო, მხოლოდ იმ ადგილებს დაეძებდა, რომლებიც მას მუშაობის პროცესში პრაქტიკულად გამოადგებოდა. იცოდა, ცალმხრივი იყო მისი ასეთი საქციელი, გრძნობდა რომ მას უფრო უნდა გაეშალა შეგრძნების არე და არ შემოფარგლულიყო ერთი საკითხით. მისი ასეთი სულისკვეთება თა-

ნამშრომლებსაც გადაედო. მას უკვე ეგონა, რომ გატლანქდა, გაუხეშდა, რომ მასზე ველარავითარი სილამაზე ლა მშვენება ველარი მოქმედებდა. ვინ მოსთვლის რამდენჯერ უმოგზაურია ასეთსავე წყნარ ღამეში, მას საქართველოს თითქმის არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დარჩენია მოუვლელი, მაგრამ არასოდეს ისე არ დამტკბარა ღამის თავისებური მყუდროებით, როგორც ახლა. ის მოჯადოებულობით შეჰყურებდა მთვარის სხივებით განათებულ მიდამოს, მანქანა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მიჰქროდა. აგერ ზაჰესიც. მანქანამ ხიდზე გადაირბინა და მტკვრის მარცხენა მხარეს გავარდა, გვერდზე ჩაუქროლა არსენა ოძელაშვილის ძეგლს და მცხეთაში შეიჭრა, მალე მცხეთაც უკან ჩამორჩა. დაღლილ ზურაბს ჩასთვლიდა.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ზურაბ ლომაურის მანქანა რაიონის ცენტრში მივიდა და სამილიციო განყოფილების წინ გაჩერდა.

სამილიციო განყოფილებაში მხოლოდ მორიგე და ორი მილიციელი დახვდათ.

— განყოფილების უფროსი შინ არის? — შეეკითხა მორიგეს ლომაური.

— ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდები? — იკითხა მორიგემ, მაგრამ არჩილ ჩოხელს თვალი რომ მოჰკრა, იცნო, მაშინვე მიხვდა ვინც იქნებოდა ეს მოულოდნელი სტუმარი და უპასუხა, ამხანაგი მაიორი, სახლში გახლავთ, პირველ საათზე წავიდა. ახლავე დავეურეკავ.

მორიგემ ტელეფონით დარეკა მილიციის უფროსის ბინაზე, მაგრამ ზურაბ ლომაურმა არ დააცადა ლაპარაკი. ყურმილი გამოართვა და ჩასძახა:

— თამაზი ხარ? მე ვარ ზურაბ ლომაური, ჰო, ეს იყო ახლა ამოვედი, კარგი, აბა შენ იცი, გელი.

სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში გამოცხადდა განყოფილებაში მილიციის უფროსი მაიორი ირემადე.

— სიმართლე გითხრა, ზურაბ, ამ შუალამისას არ ველოდი, მგონა დილას მოხვიდოდი, მიმართა თამაზ ირემადემ ზურაბ ლომაურის მისალმების შემდეგ.

— განა არ იცი ჩემი ხასიათი! დილამდე რა მომასვენებდა, რომ არ წამოვსულიყავი, — უპასუხა ღიმილით ზურაბმა და განაგრძო, — აბა, მომიყევი რაშია საქმე? ვისი გვამი აღმოაჩინე? ექიმ ნატო სულიაშვილის გვამი ხომ არ არის?

— გვამი ვისია, ჯერ არ ვიცი. ისეა დაზიანებული, რომ ამოცნობა შეუძლებელია. თუ სახის რესტავრაცია არ მოხდა, ძნელი იქნება ამ საკითხზე პასუხის მოცემა, ერთადერთი გარემოება, რომელიც მაფიქრებს, რომ გვამი ექიმ სულიაშვილისა უნდა იყოს, ის არის, რომ მარცხენა ხელზე უსახელო თითი არა აქვს. ეს კი, მგონი, ბევრს ლაპარაკობს.

— უსათუოდ, ჩემო თამაზ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დეტალია. უფრო მეტიც, ეს მთავარია. როგორ აღმოაჩინეთ?

— უბნის რწმუნებულმა ივაჟკაცა. მას შემდეგ, რაც ამ ყმაწვილმა, არჩილ ჩოხელმა თავისი „ნანადირევი“ თითით ამისთანა სახატაბალო ამბავს გადაგვკიდა, მოსვენება აღარ მქონდა. წარმოგიდგენია, დღე და ღამ არ მეძინა, ვიდრე არ მივაღწიე ისეთ მდგომარეობას, რომ რაიონში სერიოზული დანაშაულის შემთხვევა აღარ მქონდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჯგუფი გავთოკე, შეწყდა ძარცვა-გლეჯა, აგერ, მოულოდნელად, ასეთი სერიოზული დანაშაული გამოვლინდა — ძარცვა მკვლელობით. ჰოდა, ამის შემდეგ რა მომასვენებდა, მთელი ოპერატიული შემადგენლობა ფეხზე მყავდა დაყენებული, უბნის რწმუნებულს კატეგორიულად დავუსვი საკითხი, რაც არ უნდა დაჯდომოდა, რა ზომებიც არ უნდა მიეღო, გვამი ყოველ მიზეზგარეშე აღმოეჩინა. ის

საწყალი, მართლაც თავგადაკლული დარბოდა, დაეძებდა, კითხულობდა, მაგრამ ამაოდ. როდესაც შევითყვე, რომ ნატო სულიაშვილი არავის მოუკლავს და ის ნამდვილად ჩასულა ყამირ მიწებზე სამუშაოდ, დავმშვიდდი, უბრალო საქმე ხომ არ იყო? ასეთი დიდი დანაშაული მეხსნებოდა კისრიდან. მაგრამ თითი? რა ეშმაკმა გააჩინა უღრან ტყეში? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა ის ოხერი? შემდეგ გადავწყვიტე, ალბათ სანატორიუმის რომელიმე დამსვენებელი გახდა ძარცვის მსხვერპლი და ავაზაკებმა ისე დააშინეს, რომ ჩვენთან არაფერი განაცხადა. გული მაინც საგულეს არ მქონდა. ამას წინათ თქვენ რომ თქვით, შესაძლებელია ნატო სულიაშვილი ნამდვილად იყოს მოკლული, ხოლო ყამირ მიწებზე კი მისი სახელით სხვა პიროვნება ჩასულიო, ეს მოსაზრება უეჭველად ჭკუასთან ახლოს იყო და მეც ხელახლა დავიწყე ძებნა. გუშინ დილით გამოცხადდა ჩემთან უბნის რწმუნებული და მაცნობა, რომ საეჭვო ადგილს მიაგნო, იქ ვიღაც უნდა იყოს დამარბულიო. უბნის ჩვეულებრივი შემოვლის დროს იგი წასულა მწყემსებთან, ჩაუვლია წისქვილთან, სოფელ ნატბურიდან სამი კილომეტრით რომ არის დაშორებული, მდინარის პირას. დიდ მუხასთან ცხენიდან ჩამომხტარა და შეუსვენია. სხვა დროსა და გარემოებაში შეიძლება არ მიეცია ყურადღება, ახლა კი, როდესაც მისი ფიქრი და გონება მუდამ ექიმ ნატო სულიაშვილის საფლავის აღმოჩენის საკითხს უტრიალებდა, ყურადღება მიუქცევია პატარა ბექობისათვის. უფიქრია, აქ ხის ქვეშ ხშირად ვისვენებდი, აქ არავითარი ბექობი არ იყო და ახლა საიდან გაჩნდაო. დაუწყია მიწის ჩიჩქნა, ერთი ლოდიც გადაუგორებია და დაუნახავს ფეხსაცმლის ჭვინტი. მაშინვე წაუფარებია ლოდი და გამოქცეულა ჩემთან. მე, რა თქმა უნდა, იმავე წუთს გავემგზავრე თანამშრომლები, ადგილზე, ამოვთხარეთ, გვამი იყო, ვიცოდი თქვენ დაინტერესდებოდით არა მარტო გვამით, არამედ ადგილმდებარეობითაც, ამისათვის გვამი არ გადმოვასვენე, უკანვე წავაყარე მიწა

და დაუყოვნებლივ გაცნობეთ ამის შესახებ: თუ არ მოხვიდოდით, იმ შემთხვევაში ვაპირებდი წამეყვანა რაიონის ექიმი და ფოტოგრაფი და წავსულიყავ გვამის გადმოსასვენებლად.

— ხომ არავის შეუმჩნევია თქვენი მოქმედება? — შეეკითხა, ზურაბი.

არავის, გარდა მოხუცი მეწისქვილისა, რომლის წისქვილიც იქვე ახლოს არის ხევში. იმავე მეწისქვილეს დავავალე თვალყურის დევნება ჩვენს მისვლამდე. დავპირდი, რომ დილით აუცილებლად მივიდოდი.

— მეწისქვილე სანდოა?

თამაზ ირემაძემ გაკვირვებით შეხედა ზურაბ ლომაურს, თითქოს ეკითხებოდეს, რა თავში იხლის ბერიკაცი გახრწნილ გვამსო, მაგრამ მაინც უპასუხა:

— ყოველ შემთხვევაში, დღემდე არაფერი შემიმჩნევია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მისი შვილი დაპატიმრებულია ძარცვამდე. ნუ გეფიქრებათ, ბერიკაცი ვერაფერს გაბედავს.

ზურაბმა საათს დახედა, გათენება მოტანებული იყო.

— კარგი, ორიოდ საათში შევისვენოთ და დავუდგეთ გზას. მზის ამოსვლამდე ადგილზე უნდა ვიყოთ. შორს არის?

— ნახევარი საათი არც კი დაგვჭირდება, — თამაზ ირემაძე დაფიქრდა და განაგრძო, — მე მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ სახე ძალზე დაზიანებულია და შესაძლებელი იქნება თუ არა მისი აღდგენა!

— ფიქრი ნუ გაქვს. ჩონჩხიდან აღგვიდგენია სახე და გადაგვიღია სურათი, მერე იმისთანა სურათი, რომ გეგონებათ ცოცხალი მდგარიყოს ფოტოაპარატის წინ, — დაამშვიდა იგი ზურაბ ლომაურმა.

თამაზ ირემაძემ ზურაბ ლომაური შინ მიიპატიჟა, მაგრამ ლომაურმა უარი უთხრა:

— რას ამბობ. ამდენი ხალხი სად წავალთ? არა გვიშავს რა,

ორიოდე საათს აქაც მოვთავსდებით შენს კაბინეტში და სამორიგეოში. ხომ იცი, ჩვენ როგორც ფრონტზე, ისე ვართ, იქ კი ყურთუკის ბალიშზე არ განისვენებენ. სასტუმროში შეიძლებოდა, მაგრამ არ ღირს, გვიან არის.

არჩილ ჩოხელმა პატარა ჩანთა გახსნა და იქიდან სანოვაგე ამოაღა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკი, მე თითქოს მომშივდა და მგონია არც თქვენ უნდა იყოთ მაძღარი. ნუ დამიწუნებთ და ამ პატარა პურმარილზე მეწვიეთ, — მიმართა მან ზურაბს.

— ხედავთ, თამაზ, რა წინდახედული თანამშრომლები მყავს? — გაიხუმრა ზურაბ ლომაურმა, — ამ ყმაწვილმა სადილობის საშუალებაც კი არ მომცა, ეს ამბავი მაცნობა და სადილი დამავიწყა. ახლა თავისი ყველითა და პურიტ აპირებს გამოისყიდოს დანაშაული.

— ყველი და პური, კეთილი გულიო, ნათქვამია, — შეესიტყვა არჩილს.

— კეთილი გული ძალიან კარგი რამ არის, ჩემო არჩილ, მაგრამ კეთილი გულით მშიერი კუჭი რომ არ ძღება, განა არ იცი?

— ყველი, პური, კეთილი გული, ძეხვი, ცოცხალი თევზი და ეს დალოცვილი პილატეს ცრემლები მგონი არ აწყენს ცარიელ კუჭს.

— კარგია, კარგი, ეს ქართული ჭაჭა ოთხვარსკვლავიანს მირჩევნია.

თამაზ ირემაძე, უყურებდა, იმშუშნებოდა, თავს დარცხვენლად გრძნობდა, რომ ამ უდროო დროს არა ჰქონდა საშუალება გამასპინძლებოდა დაღლილ სტუმრებს.

რიჟრაჟი მოახლოებული იყო, როცა რაიონიდან ორი ავტომანქანა გავიდა, თამაზ იმედაძემ თან წაიყვანა ოპერატიული მუშაკი და უბნის რწმუნებული, რომელმაც აღმოაჩინა დამახინჯებული გვაში; მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, როდესაც მანქანები

მიუახლოვდნენ ბებერ მუხას. მანქანებიდან გადმოვიდნენ და თვალწინ განსაცვიფრებელი სურათი წარმოუდგათ: მუხაზე თოკით მიკრული იყო მოხუცი მეწისქვილე, რომელსაც პირში ჭუჭყიანი ჩვარი ჰქონდა ჩაჩრილი. ბექობი გადათხრილი იყო და გვამი აღარსად სჩანდა.

ყველა გაკვირვებული შესცქეროდა ამ სურათს, უბნის რწმუნებულმა თოკი შეხსნა და მეწისქვილე ცარიელ ტომარასავით გაიშხლართა მიწაზე. იგი გულწასული იყო. ექიმმა მოიყვანა გონზე, პირიდან ჩვარი ამოაცალა, მოხუცი წამოჯდა, გაშტერებული თვალებით მიმოიხედა, თავი ხელებში ჩაჰკიდა და ამოილულულა:

— მტკივა... ძალიან მტკივა...

ექიმა გასინჯა მეწისქვილე, მას თავზე სისხლი ჰქონდა შემხმარი, ეჭვი არ იყო, რაღაც ბლავგი საგანი ჰქონდა დარტყმული, შეიძლება კეტი, შეიძლება ქვაც ყოფილიყო.

ზურაბ ლომაური, თამაზ ირემაძე და არჩილ ჩოხელი შეუდგნენ იქაურობის დათვალიერებას. მიცვალებული ღრმად არ იყო დაფლული, ისე, რომ მისი ამოღება მიწიდან არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს, ამას ადასტურებდა თვით ნათხარის სიღრმე, რომოდან ამოყრილ მიწაზე ფეხის კვალი არ ემჩნეოდა. საფიქრებელი იყო, რომ ბოროტმოქმედმა ყოველგვარი კვალი წაშალა ნათხარ მიწაზე.

თვით მუხასთან ოდნავ შესამჩნევი კვალი იყო შიშველი ფეხისა, საფიქრებელი იყო აგრეთვე ისიც, რომ ერთი კაცი ვერ, იმოქმედებდა, საჭირო იქნებოდა ორი კაცი მაინც. მდინარის პირი რიყიანი იყო, სადაც უკვე ძნელი იყო კვალის დადგენა. მდინარის მეორე ნაპირის დათვალიერებამაც ვერ გამოავლინა ვერაფერი, ერთი რამ გახდა ცხადი: გვამი ტომრით წაუღიათ, რადგანაც სამარის პირას ფქვილი ეყარა.

არჩილ ჩოხელი მდინარეს აჰყვა, დანარჩენები კი დაბრუნდნენ მუხასთან, სადაც ექიმი მეწისქვილეს თავს უხვევდა.

მეწისქვილის დაკითხვა ჯერჯერობით შეუძლებელი იყო. არც ერთი მოსულთაგანი არ მოელოდა ასეთ ამბავს. არა თუ არ მოელოდა ვერ წარმოიდგენდა. წისქვილი სულ სამასიოდე მეტრის მანძილზე, ხევში იყო. გადაწყვიტეს იქ მიეყვანათ ბერიკაცი და როგორც კი გონზე მოვიდოდა და აზროვნებისა და ლაპარაკის უნარი დაუბრუნდებოდა მაშინვე გამოეკითხათ თუ რა მოხდა.

უბნის რწმუნებული და რაიონის სამილიციო განყოფილების ოპერატიული მუშაკი ბერიკაცს მხრებში შეუდგნენ და წაიყვანეს. წინ ზურაბ ლომაური და თამაზ ირემაძე მიდიოდნენ. ორივე თავთავიანთ ფიქრებში იყვნენ ჩაფლული და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ.

— ვინ, როგორ, რატომ?.. ორივეს მხოლოდ ეს აზრი უტრიალებდა თავში. ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობდნენ.

„ვის რაში სჭირდებოდა ნახევრად გახრწნილი გვამი? რას ერჩოდნენ ბერიკაცს, რომ თავში დაარტყეს, პირში ჩვარი ჩასჩარეს და ხეზე მიაკრეს? თითქოს არავის დაუნახია, როდესაც მილიციის მუშაკებმა მიაგნეს და ამოთხარეს გვამი. ერთადერთი მოხუცი მეწისქვილე იყო ამისი მოწმე და მასვე დაევალა ყურადღების მიქცევა. ამ ადგილას გზა არ გადის, ამ დროს, შემოდგომისას, იშვიათად თუ ვინმე გაივლის, გარდა ზოგიერთი მენახირის ან მწყემსისა. მაშ რაშია საქმე? თუ გვამი მოიპარეს, მაშასადამე, ვინმე დაინტერესებულ პირი იზამდა ამას, სანდრო ყარაშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, კაცი კიდევ რაღაცას იფიქრებდა, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ“ არის, რომელიც საკითხს უფრო ართულებს, ბუნდოვნად ხდის. საერთოდ ნატო სულიაშვილის ირგვლივ შექმნილ ამბის ბურუსი ვერ იქნა და ვერ გაიფანტა, ვერ მოეფინა შუქი. ვერ გამოვიდა მზის სინათლეზე. რატომ უნდა მოეკლათ ისეთი ცნობილი ექიმი, როგორიც ნატო სულიაშვილი იყო და რომელმაც, როგორც მთელ რიგ მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა, არა მარტო სანატორიუმის თანამშრომლების, არამედ ახლო-მახლო

სოფლების და საერთოდ მოსახლეობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა? გაძარცვის მიზნით? მაგრამ მას თვლიან ბეჭდისა და მაჯის ოქროს საათის მეტი სხვა ძვირფასეული რომ არაფერი გააჩნდა! ვინ მოჰკლავდა? სანდრო, ყარაშვილი ამას ვერ მოახერხებდა. გერმან ბაზილი? მაგრამ ისეთი ფართო გაქანების ავაზაკი ნუთუ ჩაიდენდა ამას? თუმცა, ვინ იცის, თბილისში ხომ წვრილმან დანაშაულებებს არ თაკილობდა, როდესაც ქუჩებში ძარცვავდა ხალხს! მაგრამ არა, გერმან ბაზილიც რომ ყოფილიყო მკვლელი, ის ასე მალე საიდან შეიტყობდა, რომ გვამი მიგნებული იყო, ან რატომ გაიცხელებდა თავს გვამის მოპარვისათვის? ის ამ ამბავს ყურადღება სრულიად არ მიაქცევდა. ჩანს, დაინტერესებული პირი ადგილობრივია ვიღაც. გვამი მან ამოთხარა და წაიღო გასანადგურებლად. არა, აქ სულ სხვა რაღაც ამბავია. უფრო მნიშვნელოვანი, თუკი გვამითაც არიან დაინტერესებული“... ამ საკითხზე თავს იტეხდა ახლა ზურაბ ლომაური. ხევს მიუახლოვდნენ და გადასახედში წისქვილი შეათვალიერეს. განცვიფრებულები გაჩერდნენ. იქ, სადაც წისქვილი იყო, ახლა გარუჯულ კედლებიდან ძელებიღა ბოლავდა. წისქვილი უკვე დამწვარიყო.

მოხუცმა მეწისქვილემ ამ სურათს თვალი რომ მოჰკრა, გახევდა. რამდენიმე წამს გაოგნებული იდგა ერთ ადგილას, შემდეგ კი დაიბღავლა, ჩემი წისქვილი, ვაიმე, ჩემი წისქვილი და მოსხლტა, თავის ხნოვანებასთან უჩვეულო სისწრაფით გავარდა წინ, მას უბნის რწმუნებული გამოუდგა, დაეწია, ძლივს დააკავა ბერიკაცი.

— გამიშვით, მეც იქ უნდა დავიწვა, ჩემი წისქვილი, ჩემი საყვარელი წისქვილი! — უცბად მოწყვეტით დაეცა ძირს და ღრიალი დაიწყო.

— საჭირო იქნება ხალხს მოვუყაროთ თავი და გვამი დამწვარ წისქვილში ვეძიოთ, — წარმოთქვა თავის მოსაზრება თამაზ ირემაძემ.

— მერედა, რას მიაგნებ? — შეეკითხა ზურაბ ლომაური.

— სხვა არა იყოს რა, დანახშირებულ ძვლებს მაინც აღმოვაჩენთ, ესეც გამოგვადგება, — უპასუხა მან.

— დამნაშავე ისეთი გამოცდილი ვინმე ჩანს, რომ ის გვამს წისქვილთან ერთად არ დასწვავდა, მას თუ ნახევრად გახრწნილი გვამისა შეეშინდა, არც დანახშირებული ძვლები დააძინებდა მშვიდად. არა, გვამი ალბათ ჯერჯერობით მიმალულია საიმედო ადგილას. როდესაც მიწყნარდება ეს ამბავი შემდეგ გაანადგურებს მას, — დარწმუნებით უპასუხა ზურაბმა.

— კარგი და წისქვილის დაწვა რაღა შუაშია?! — გაიკვირვა თამაზ ირემაძემ.

— იმისათვის, რომ გვამი გაენადგურებინათ, სრულებითაც არ იყო საჭირო წისქვილის დაწვა. გვამის განადგურება სხვა გზითაც მოხდებოდა, წისქვილის დაწვა, ჩემი აზრით, პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს გვარის მოპარვასთან და მით უმეტეს განადგურებასთან. ორი რამ: ან მეწისქვილემ თავისი დაუდევრობით დატოვა ცეცხლი, რამაც ხანძარი გამოიწვია, ან ბოროტმოქმედმა შურისძიების ნიადაგზე წაუკიდა ცეცხლი და გადასწვა.

— შურისძიების? რა შურისძიების?

— მეწისქვილის მიმართ შურისძიების. იგი ხომ თქვენ გვამის დარაჯად გამოიყენეთ. ბოროტი ადამიანი ჯიბრზე ყველაფერს გააკეთებს. რამდენადაც ვიცი, ამ მეწისქვილისათვის ეს წისქვილი საყვარელ იყო იმითი, რომ იგი მან ააშენა. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოართვეს, მაინც დარჩა და განაგრძობდა მუშაობას, ეს ერთი; მეორე ის, რომ მეწისქვილისათვის ეს წისქვილი ცხოვრების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. მას უკვე აღარ შეუძლია კოლექტივში მუშაობა, იგი ფრიად ხნიერია ამისათვის. წისქვილში კი მას არ ექნებოდა ბევრი საქმე, ღარებში წყლის მიშვება ან გადაგდება და ბონდის აღება. მისი ხნოვანების პატივისცემით დანარჩენ საქმეს, ალბათ, სოფლელები უკეთებენ. როგორ არის

თქვენი პაციენტი? დამშვიდდა? შეუძლია პასუხის მოცემა? — მიუბრუნდა ექიმს ზურაბ ლომაური.

— ვფიქრობ, რომ შეუძლია, — უპასუხა ექიმმა.

თამაზი და ზურაბი მეწისქვილეს მიუახლოვდნენ.

— ძიაკაცო, კარგი იყო არ მომხდარიყო, მაგრამ აღარაფერი ეშველება, წისქვილი დაიწვა, რა ვუყოთ, მაგისათვის თავი ხომ არ უნდა მოიკლა? — მიმართა ზურაბ ლომაურმა.

— ჩვენ ვართ მოწმე, რომ წისქვილის დაწვაში თქვენ არავითარი ბრალი არ მიგიძღვით, დაურთო თამაზ ირემაცემაც.

— გული მტკივა, სიყვარულით ნაზარდ შვილივით მიყვარდა! — ხვნეშით წარმოსთქვა მეწისქვილემ.

— აბა, ახლა მოგვიყევი, რა მოხდა, ვინ დაგარტყათ თავში და ხეზე ვინ მიგაბათ? — ნელ-ნელა შეეკითხა მას ზურაბი.

მეწისქვილე ერთ ხანს დაფიქრებული იყო, თითქოს რაღაცას იგონებო, შემდეგ დაიწყო,

— ამ ჩვენმა უფროსმა დამავალა თვალყური მედევნებინა იმ მიწისათვის, მუხის ძირას...

— რა იყო იმ მიწაში, იცოდი?

— როგორ არ ვიცოდი, ვილაც ადამიანი ყოფილიყო დამარხული. როდესაც მილიციამ ამოთხარა, მე დავინახე.

— საიდან დაინახე? წისქვილი ხევშია, ის მუხა კი გორაკის გადაღმა. რა გინდოდა გორაკზე?

— საფუძვავი არა მქონდა. იქით ძროხა გავაგდე საძოვრად და მაშინ დავინახე.

— რაღა დროს საძოვრებია, შემოდგომაა, მალე თოვლს ჩამოჰყრის.

— მალე თოვლს ჩამოჰყრის კი არა, უწინ, მახსოვს ამ დროს მუხლამდე ყოფილა თოვლი. წლეულს რატომღაც დაავიანა. მინდორში კიდევ არის ნამჯა, ნაწვერალი, სიმინდის კაჭაჭი, საქონელი თავის გამოსაკვებს ჯერ კიდევ მონახავს, ახლავე რომ

ზამთრის ულუფაზე დავაყენო, რა ვიცი, გაზაფხული როგორი იქნება, ამ საქმეში ყაირათი მუდამ საჭიროა.

— მერე, განაგრძეთ.

— ავი მოგახსენეთ, უფროსმა დამავალა-მეთქი თვალყური მედევნებინა, სოფელში ვეღარ ავედი. საღამოს ჩემი შვილიშვილი ჩამოვიდა წისქვილში, ქალაქში მიდიოდა და გამოემშვიდობა. ალბათ სადმე სამსახურში გამამწესებენ და შეიძლება კაი ხანს ვეღარა განხლო. ის რომ წავიდა, უკვე კარგა შეღამებული იყო, მე გავწიე მუხასთან, რომ დამეთვალე რებიანა მონდობილი ადგილი. მივედი, მუხის ძირას ჩამოვჯექი. რა ვიცი, აქ აფთარიც იცის, ვიფიქრე, იმ ოხერმა სუნი არ აიღოს და არ ამოთხაროს-მეთქი. ამ ფიქრებში ჩამეძინა. რამდენმა ხანმა გაიარა, არ ვიცი, რაღაცა ხმაურობამ გამომადვიდა. ის იყო ფეხზე წამოვდექი, რომ თავში რაღაცა დამეცა და გონება დავკარგე, მერე რა მოხდა, აღარაფერი ვიცი, ეს იყო და ეს, თქვენ მოხვედით და გონზე მომიყვანეთ, თორემ ახლაც ალბათ იქ ვეგდებოდი.

— ხმაურობამ რომ გაგადვიდათ, რა ხმაურობა იყო ადამიანის ლაპარაკი იყო თუ სხვა რამ?

— რა ვიცი, შვილო, ახლაც არა ვარ მოსული გონზე, რაღაც ხმაურობა იყო და რა ხმაურობა, ვერ გეტყვი.

მოხუცმა მეწისქვილემ ამ თავის ჩვენებას ვეღარაფერი დაუმატა. ყოველ შევითხვაზე უარყოფით პასუხს იძლეოდა. ლომაურმა ირემადე ცალკე გაიხმო და დაავალა:

— თამაზ, თქვენ მოუარეთ აქაურობას, დაწვრილებით გამოიკვლიეთ, ხალხში გადით, იქნებ რაიმე შეიტყოთ. მე კი დავბრუნდები თბილისში. თუ რაიმე მნიშვნელოვანი შეიტყოთ, მაშინვე მაცნობეთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე უმიზნოდ ჩაიარა ჩემმა ამოსვლამ, მაგრამ რას იზამ...

— რა თქმა უნდა, რაც კი შესაძლებელია ყველაფერს გავაკე-

თებ და თუ რაიმე მნიშვნელოვანს წავაწყდი, სასწრაფოდ დაგიკავშირდებით. წისქვილს დავშლი, იქნებ იქ იყოს რაიმე მნიშვნელოვანი.

— წისქვილი არაფერს არ მოგცემთ, — ზურაბ ერთ წუთს, დაფიქრდა და განაგრძო, — ერთი ეს მითხარით, თამაზ, ეს მეწისქვილე ხომ არ ეშმაკობს. რა ვიცი, სიმულაციის სუნი არ უდიოდეს მთელ ამ ამბავს.

— ო, არა, ზურაბ, რას ამბობ. თავი გასახეთქად განგებ დაუდოს მოხუცმა კაცმა, ეს არც ისეთი ადვილი საქმეა.

— არა, ისე ვამბობ. მაინც მიკვირს. წელან დამწვარი წისქვილის დანახვაზე კინალამ ჭკუაზე შეიშალა, ახლა კი ასე ხელად დამშვიდდა.

— მოხუცია, რა ქნას, აბა თავს ხომ არ მოიკლავს! — დაამშვიდა თამაზ ირემადემ ზურაბი.

ზურაბ ლომაური გულნატკენი ჩაჯდა მანქანაში.

შუადღე გადასულიყო, როდესაც ზურაბ ლომაური თბილისში დაბრუნდა. ასე იყო დაღლილი, რომ გადაწყვიტა შინ მისულიყო, რამდენიმე საათში დაესვენა და მაიორი ივანიძის მოხსენება სალამოს მოესმინა. მძლოლმა მანქანა ზურაბის სახლის წინ გააჩერა.

ზურაბი შევიდა ბინაში და დაღლილ-დაქანცულმა, როცა ტახტზე წამოწვა, ერთგვარი სიამე იგრძნო.

— სად ბრძანდებოდი ამდენ ხანს, ვაჟბატონო? — წყენით მიმართა მას ნუცამ.

— სად ვიყავი და რაიონში. ძალიან ვარ დაღლილი, ნუციკო და გთხოვ მომეც საშუალება ერთ-ორ საათს დავისვენო.

— ჯერ ისადილე და შემდეგ დაისვენე. დაღლილი თორემ, მშიერი კი არ იქნები...

— მშია, მაგრამ ჭამის თავი აღარა მაქვს. სადილი დასვენების შემდეგ იყოს.

— ყველაფერს გემო აქვს დაკარგული შენი გადამკიდე. კერძი გაცივდება, გავათბობ, კიდევ გაცივდება, კიდევ გავათბობ. შენს ლოდინში და ამ გათბობ-გაციებაში ქვაბები გამიფუჭდა, სხვა არა იყოს რა! — უსაყვედურა ზურაბს ცოლმა.

— ქალო, ნუ გააბი მამაო ჩვენოსავით, დამასვენე-მეთქი, არ მინდა შენი საჭმელი. ნაქეიფარი დავბრუნდი, ახლაც არ მომეშვები? — გაბრაზდა ლომაური.

— მოიკალი თავი, ვნახოთ როდემდის... — ნუცა ბუზღუნით გავიდა.

ზურაბი ისევ გაუხდელი წამოწვა და თვალები დახუჭა.

13

საღამოს ცხრა საათზე ზურაბ ლომაური უკვე თავის კაბინეტში იჯდა და უსმენდა მაიორ ივანიძის მოხსენებას.

— თქვენ რომ წახვედით, მე მაშინვე დავიბარე დანარჩენი თანამშრომლები და განვუმარტე რა ღონისძიებები უნდა ჩაგვეტარებინა, თან მათ თქვენს მიერ მოცემული მითითებებისა, დავუკავშირდი რაიონის განყოფილების უფროსსაც, გავაფრთხილე და ვეწვიე მას. გაუხარდა, როდესაც ჩვენი განზრახვა შეიტყო, დაიბარა ოპერატიული მუშაკები და უბნის რწმუნებულის, რომელიც იმ უბანს ემსახურება, სადაც ქოსა ყაზარა ცხოვრობს. კონდახიანი და ვოლკოვი რესტორანში გავგზავნე, უბნის რწმუნებული და რაიონის ოპერმუშაკი გიგა ნათენაძესთან და გუცა დარბაისელთან ერთად ქოსა ყაზარას ბინას მივუჩინე. ხუტა გაჩერელია და სხვები მარქაფში დავიტოვე. ღამის პირველი საათი იყო, როდესაც ვოლკოვმა მაცნობა, რომ რესტორანიდან ერთ-ერთი საეჭვო პირი გამოვიდა და მას მანქანით ქოსა ყაზარას ბინამდე მიჰყვნენ.

როდესაც რესტორანში შევიდა ვოლკოვი, იქ ხალხი არც ისე ბევრი იყო. იგი მიუჯდა მაგიდას, მოითხოვა ლუდი და ძველი ლოთივით დაიწყო წრუპვა, მისი ყურადღება მიიქცია კუთხეში მჯდომმა ბერიკაცმა. ის რამდენჯერმე გამოელაპარაკა მიმტან ქალს, მერის. წარამარა იბარებდა, ხან სასმელი მოსთხოვა, ხან პაპიროსი. საუბრის დროს მერი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და ამან უფრო დააეჭვა ვოლკოვი, მაგრამ იგი კარგა ხანს იმყოფებოდა რესტორანში და იმის შიშით, რომ ეჭვი არავის აეღო მასზედ, გაასწორა ანგარიში და გამოვიდა, ის სურენ კონდახჩიანმა შესცვალა. რესტორნის დაკეტვამდე უთვალთვალეს. დაახლოებით დამის პირველ საათზე მერი მივიდა მოხუცთან და რაღაც წასჩურჩულა, მოხუცი სწრაფად წამოხტა, ფულის მაგივრად რაღაც ქაღალდი ჩაუდო და გარეთ გამოვიდა. კართან მანქანა იდგა. მოხუცს სიტყვაც არ უთქვამს მძღოლისათვის, გააღო მანქანის კარი და როგორც კი ჩაჯდა, მანქანა ადგილიდან დაიძრა. ჩვენი მანქანა იქვე ახლოს, კუთხეში იდგა, ვოლკოვი და კონდახჩიანი მანქანითვე გამოუდგნენ, შორიახლო მიჰყვნენ ქოსა ყაზარას. როცა წინა მანქანა გაჩერდა, იქიდან მოხუცის მაგივრად გამოვიდა უწვერულვაშო შუახნის კაცი და სასწრაფოდ შევიდა ქოსა ყაზარას ბინაში. ეჭვი არ იყო, ის კაცი გერმან ბაზილი უნდა ყოფილიყო. თუმცა უბანი მკრთალად იყო განათებული, მაინც შეიცნეს იგი. მე, როგორც კი მაცნობეს ეს ამბავი, რაიონის სამილიციო განყოფილების უფროსთან ერთად დაუყოვნებლივ გავემგზავრე ადგილზე. მისვლისთანავე ალყა შემოვარტყი ბინას, გადავწყვიტე გათენებამდე მომეცადნა. რიჟრაჟზე, მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, ყაზარას ბინიდან ახალგაზრდა გოგონა გამოვიდა ქუჩაში, ჩვენ შენიღბულები ვიყავით, გოგონამ გვერდით ჩაგვიარა. მას ქუჩის ბოლოს ვიღაც დახვდა, რაღაც უთხრა, გოგონა უკანვე გამობრუნდა, შევიდა სახლში არ გავიდა ათი წუთი, ბინიდან ჩემოდ-

ნით ხელში ის „მოხუცი“ გამივიდა, რომელიც სურენ კონდახიან-
 მა და იგორ ვოლკოვმა ნახეს რესტორანში. ეჭვგარეშე იყო, საქმე
 გაგრიმულ გერმან ბაზილთან გვქონდა. ჩვენ იგი გავატარეთ. მე
 ვიფიქრე, გოგონა ბინიდან გამოგზავნილი იყო არა მარტო ქუჩის
 დასაზვერავად, არამედ იმის გამოსარკვევადაც, მანქანა იყო თუ
 არა მზად. მე თან მანქანა არ მყავდა, მეშინოდა, ხელიდან არ გაგ-
 ვსხლტომოდა და თანამშრომლები მანქანას დაუუახლოვე. იმის
 შიშით, რომ ქოსა ყაზარას ბინა მხედველობის გარეშე არ დარჩე-
 ნილიყო, ადგილზე დავტოვე ხუტა გაწერელია და იგორ ვოლკო-
 ვი. „მოხუცმა“ მოასწრო მანქანაში ჩაჯდომა და მანქანაც დაიძრა.
 ჩვენ საბურავებს დაუვშინეთ ტყვია, ორი საბურავი დაეშვა და
 მანქანა გაჩერდა, ყველაზე წინ გუცა დარბაისელი მირბოდა. მან-
 ქანიდან „მოხუცი“ გამოვარდა. გუცა უკვე მიახლოებული იყო.
 მოხუცი შემოტრიალდა, მარცხენა ხელში ბებუთი ეჭირა, მარჯვე-
 ნაში კი დამბაჩა, არ ვიცი, რატომღაც დამბაჩიდან სროლის მა-
 გივრად ბებუთი გამოისროლა, გუცას მარჯვენა მხარში მოხვდა
 და ხელიდან დამბაჩა გაუვარდა, „მოხუცმა“ მოასწრო ერთ-ერთ
 ეზოში შევარდნა, იქიდან აგვიტეხა სროლა. ეზოს რკალი შემო-
 ვარტყით, გიგა ნათენაძე გადაუხტა ეზოში და ესროლა, დასჭრა,
 მაგრამ დაჭრილი გაგვექცა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ არ ვიცი, ვი-
 ცოდი დაჭრილი რომ იყო, სისხლის კვალი მისდევდა, ამ კვალმა
 მეორე ეზოში შეგვიყვანა და იქ დაიკარგა. დაუყოვნებლივ დავი-
 ბარე ძაღლი, მანამდე კი იქაურობა გავამაგრე. ძაღლმა კვალი
 აიღო ერთ-ერთი სახლის სახურავზედაც კი ავიდა, შემდეგ კი კვა-
 ლი დაიკარგა. ცხადია, სახლების სახურავების საშუალებით მი-
 იმალა, მძღოლმა დააპირა მანქანის მიტოვება და მიმალვა, მაგ-
 რამ შევიპყარი. მანქანაში ჩემოდანი აღმოჩნდა, რომელშიც
 ორი დამბაჩა იყო, ბლომად ვაზნები, სხვა პირადი ნივთები, თორ-
 მეტი ათას სამასი მანეთი ფულად. წერილების შეკვრა, შპრიცი და
 მორფის ამპულები. ვგრძნობ დანაშაულს, რომ ვერ გამოვიჩინე

საჭირო ოპერატიულობა და ხელახლა გამისხლტა ხელიდან.

— რა ვუყოთ. მეც ხომ გამისხლტა ხელიდან, — დაამშვიდა ზურაბმა, — სამწუხარო ეს კი არაა, ის არის, რომ ის ალბათ დღესვე გავა ქალაქიდან. მან უკვე იცის, რომ მისი კვალი აღებული გვაქვს და ეცდება, დროებით მაინც, თავი გაგვარიდოს. ახლა კი გაგვიძნელებს მისი ძებნა, ის ალბათ გაეცლება საქართველოს.

— როგორც კი გამოვიდა ბინიდან, მაშინვე რომ შემეპყრო, ეს ამბავი არ დამემართებოდა, მაგრამ მე იგი მანქანამდე მივუშვი იმ მოსაზრებით, რომ დამედგინა, რომელ მძღოლთან ჰქონდა კავშირი. მძღოლი კი ჩავიგდე ხელი, მაგრამ...

— არა უშავს რა, იმასაც მოვნახავთ. როგორც გითხარით, კარგი ქენით, რომ მერის არ ახლეთ ხელი. უნდა გავაძლიეროთ თვალთვალი მერის მიმართ, დარწმუნებული ვართ, მერი მალე გამოუდგება, მას ჩვენ უნდა მივყვეთ და იგი თავისი ფეხით მიგვიყვანს გერმან ბაზილთან.

ივანიძე დაფიქრდა, შემდეგ თვალები გაუბრწყინდა და აღტაცებულმა მიუგო:

— თქვენ მართალი სთქვით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ცხადია, მერი თავს არხეინად გრძნობს, ალბათ დარწმუნებულია, რომ ის ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მართლაცდა, ის თავისი ფეხით მიგვიყვანს გერმან ბაზილთან.

— აი რა, ამხანაგო მაიორი, ყოველ წუთს მზად იყოლიეთ არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია, ისინი გაჰყვებიან მერის. ორივე მოხერხებული ბიჭია და პირს არ შეირცხვენენ, მე ამაში ეჭვი არ მეპარება.

ლომაური დაფიქრდა და განაგრძო.

— ის, რომ გერმან ბაზილი ხელიდან გაგვისხლტა, შეიძლება უკეთესიც იყოს. მას თავისი ხალხი ყველგან ეყოლება და მისი საშუალებით შეიძლება ბევრი სხვაც დავადგინოთ. გარდა ამისა, კირა ზაბორაც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

მაიორი ივანიძე დამშვიდდა. იმისი შიში, რომ ამ ოპერაციის ჩაშლისათვის უფროსი გაკიცხავდა, გულიდან გადაუვარდა.

— ერთი სიტყვით, დღეიდან ჩოხელიც და გაწერელიაც მომავალი „ტურისტები“ არიან და რაც კი საჭირო იქნება, ყველაფერი მოუმზადეთ. ფული არ დაიშუროთ. ხედავ, გერმან ბაზილმა საკმარისი თანხაც კი დაგვითვია მათთვის. ახლა მაინტერესებს ჩემოდანში აღმოჩენილი წერილები, მომიტანეთ აქ. ჰო, მანამდე გამომიგზავნეთ გუცა დარბაისელი. ის ყურუმსალი ისა, ვინ მისცა მას ასეთი კარგი გვარი, აბა რა არის მასში დარბაისლური? — ხუმრობდა ზურაბი.

რამდენიმე საათის დასვენებამ და შემდეგ ნუცას ხელით გაკეთებულმა გემრიელმა სადილმა კარგ გუნებაზე დააყენა ზურაბი და ეს იყო ალბათ მიზეზი, რომ იგი დღეს აღარ ნერვიულობდა. მართალია, მას არასოდეს არ აშინებდა მარცხი, სასოწარკვეთილებას თავის დღეში არ ეძლეოდა, მაგრამ ერთგვარი ნერვიულობა აღებეჭდებოდა ხოლმე ხანდახან, დღეს კი კარგ ხასიათზე იყო და გადაწყვიტა თანამშრომლებს უფრო ღმობიერად მოპყრობოდა, რას ერჩის მათ, განა ისინი დღეებსა და ღამეებს არ ასწორებენ? განა უშინდებიან გაჭირვებას? ისინი ხომ თვით ტყვიის წინაშეც კი არ იხევენ. აი, თუნდაც გუცა დარბაისელი, მძიმედ დასჭრეს, სიკვდილს ძლივს გადაურჩა. საავადმყოფოდან გამოეწერა თუ არა, სახლშიც კი არ მივიდა, სამმართველოში გამოცხადდა და ამ დასუსტებულმა ახალგაზრდამ ოპერაციაშიც მიიღო მონაწილეობა, რაღა მართო გუცა დარბაისელი, განა მას სხვები კი ჩამორჩებიან: ყოველი მათგანი ნაცადი ჰყავს ზურაბ ლომაურს, საქმეში ნაცადი, ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლაში ნაცადი, ტყვიასთან ნაცადი. დიახ, ზურაბ ლომაურს შეუძლია იამაყოს თავისი თანამებრძოლებით, თავის მიერ აღზრდილი და გაწვრთნილი ვაჟკაცებით. განა ისინი ნამდვილი მებრძოლები არ არიან? ისინი ყოველ ჟამს იმყოფებიან უჩინარ ფრონტზე, ყოველ

წუთში უხილავ მტერს მოელოან...

— შეიძლება, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? — მოისმა ხმა და კაბინეტში მკლავშეხვეული გუცა დარბაისელი შემოვიდა.

— დოცლაპია! — მიაძახა მას ზურაბ ლომაურმა მისალმების ნაცვლად.

გუცა დარბაისელი მიხვდა, რომ უფროსმა მას თუმცა უხეში სიტყვა უთხრა, მაგრამ ეს სიბოროტით არ მოუვიდა და უპასუხა:

— არა, ამხანაგო უფროსო, მე დოცლაპია არა ვარ. ჩემს ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, შეიძლება უარესი დამართოდა.

— პირველად რომ დაიჭერი, საკუთარი სისხლი დაღვარე, ახლა შენს ძარღვებში ჩემი სისხლიც არის და ვინ მოგცა უფლება ჩემი. სისხლის დაღვრისა. — გაუმეორა ზურაბმა.

— არაფერია, სერიოზული არაფერი. ხელახლა წამიყვანეს საავადმყოფოში, ექიმები გაგიჟდნენ, როდესაც დაჭრილი მნახეს, მაგრამ კიდევ კარგი, რომ იმ „საპატიმროში“ ხელახლა არ დამაწვინეს. აპირებდნენ კი, მაგრამ ვერ მივართვი, იმისთანა აურზაური ავტეხე, რომ საჩქაროდ შემიხვიეს და გამომიშვეს.

— შენ რომ აურზაურის თავი ხარ, დიდი ხანია ვიცი, მაგრამ ერთი ეს მითხარი, როდის უნდა ისწავლო ჭკუა, რომ უფრო ფრთხილად მოიქცე?

— ადვილი სათქმელია, ფრთხილად მოიქცე. მას მარცხენა ხელში ბებუთი ეჭირა, მარჯვენაში კი დამბაჩა, მე მარჯვენისაკენ მქონდა ყურადღება მიპყრობილი, თუკი ასწევდა დამბაჩას, იქვე გავაგორებდი, მაგრამ ჩვენი მიზანი ხომ მოკვლა არ იყო მისი ცოცხლად შეპყრობა იყო მთავარი. მისი მარცხენა ხელისა მე არ მეშინოდა, ის ხომ ჩემგან რამდენიმე ნაბიჯით იყო დაშორებული, მაშასადამე, ბებუთს ვერ დამკრავდა, როგორც კი დამბაჩის აწევა დააპირა, შევძახე: დააგდე იარაღი თორემ გაგათავებ-მეთქი და შევმართე დამბაჩა, რომ ამ დროს მარცხენა ხელით, მესროლა ბებუთი და მარჯვენა მხარში ჩამარჭო. რას წარმოვიდგენდი, თუ

ის პირდალლი მარცხენა ხელსაც ისევე ოსტატურად ხმარობდა, როგორც მარჯვენას!

— რამდენჯერ მითქვამს, რომ გერმან ბაზილი ცაციაა. რით ვერ დაიხსომეთ? — გაკიცხა ლომაურმა.

— პირველი გაგონებაა ჩემთვის!

— თუმცა, მართალი ხარ, როდესაც თანამშრომლებს გერმან ბაზილის ჩვევებს ვუხსნიდი, მაშინ შენ საავადმყოფოში იწექი და არ გეცოდინებოდა ეს ამბავი, — სინანულით დაილაპარაკა ლომაურმა, — კიდევ კარგი, რომ გულში არ მოგხვდა, თორემ მაშინ იქნებოდა სეირი.

— ის ალბათ მართლაც ფიქრობდა ჩემს მოკვლას, — მიამიტად წამოსცდა გუცა დარბაისელს.

— რას მელაპარაკები, ნუთუ მართლა? მე კი მგონია, რომ გეხუმრებოდა! — ირონიით მიახალა ლომაურმა.

გუცა დარბაისელი მიხვდა ზურაბ ლომაურის ირონიას, მაგრამ არ შეიმჩნია და განაგრძო:

— როგორც კი უკან გასწია ხელი, მე ინსტინქტურად გადავიხარე მარცხნივ და ამიტომ მხარში მომხვდა, თორემ ალბათ ახლა აქ არ ვიდგებოდი და არ მოგიყვებოდით ამ ამბავს. შორიდან დანის სროლა ჩვეულებად ჰქონდათ ზოგიერთ ველურ ტომებს. მე ეს წამიკითხავს სათავგადასავლო წიგნებში, ხოლო, თუ ახლაც ვინმე გამოიყენებდა ამ მეთოდს, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, დანის ასეთი გადასროლისას, საჭიროა დანა წვერით გეჭიროს და არა ტარით, მას კი ბებუთი ტარით ეჭირა. არაუშავს რა, ჭკუის სასწავლებელი იქნება ჩემთვის.

— შენ ახლა ისე დაგაშინეს ავაზაკებმა, რომ ალბათ ოპერაციებზე აღარც კი ივლი, — ეშმაკურად ჩაურტყა სიტყვა ზურაბ ლომაურმა და ღიმილით თვალებში შეხედა.

— ვინა, მე? როგორ არა! ახლა უფრო დავუწყებ მათ დევნას და ძვირად დავუსვამ ჩემი სისხლის ყოველ წვეთს.

— ჩემი სისხლისაც. ჩემი სისხლისთვისაც არ დაივიწყო შურის-
ძიება, აბა, კარგი, ლაყბობის დრო აღარ არის. წადი, დაისვენე.

— რა დროს დასვენებაა, ამხანაგი უფროსო, საავადმყოფოში
რომ ერთ თვეს ვისვენებდი, განა არ კმარა?

— კმარა, წადი, ახლა არა მცალია, — უკვე მოფერებით მიმარ-
თა გუცა დარბაისელს ზურაბ ლომაურმა.

გუცა დარბაისელმა გაუღიმა და გავიდა კაბინეტიდან. ზურაბ
ლომაური წავიდა საქართველოს უფროსთან მოსახსენებლად.
სამმართველოს უფროსმა მოუსმინა ზურაბ ლომაურს, დაეთან-
ხმა იმ მოსაზრებაში, რომ გერმან ბაზილს თუ მიაგნებდნენ, მხო-
ლოდ მერის საშუალებით, მერე დაუდასტურა:

— მერი იყოლიეთ მეთვალყურეობის ქვეშ და თუკი იგი დააპი-
რებს წასვლას თბილისიდან, და რომ ამას იზამს, მე ეჭვი არ მეპა-
რება, დაადევნეთ არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია, როგორც
ამაზე ადრევე შევთანხმდით.

როდესაც ლომაურმა დაწვრილებით მოახსენა სამმართვე-
ლოს უფროსს ნატო სულიაშვილის გვამის დაკარგვის ამბავი და
გაანდო თავისი მოსაზრება, რომ ეეჭვებოდა მეწისქვილე ხომ არ
სიმულიანტობს, ინსცენირებას ხომ არ აწყობს, სამმართველოს
უფროსი დაფიქრდა:

— სხვა პირობებში შეიძლება გვეფიქრა, რომ შეიძლება ადგი-
ლი ჰქონდა ასეთ მდგომარეობას, ვთქვათ იმ შემთხვევაში, თუ
მეწისქვილე იქნებოდა დაინტერესებული ნატო სულიაშვილის
ამბისა, მაგრამ ამ შემთხვევაში რა გარემოებით უნდა ეხელ-
მძღვანელა მას, რომ მოეწყო ინსცენირება? ის, ჯერ ერთი, საკმა-
ოდ მოხუცია, რომ გარეუღიყო მისთანა დანაშაულის ჩადენაში,
თუკი რაიმე სერიოზულ გარემოება არ გაუხდებოდა საბაბი. ეს
ჯერჯერობით, ჩვენს ხელში არსებული მასალების მიხედვით, გა-
მორიცხებულია, ყოველ შემთხვევაში, მთელი ძიების პროცესში მე-

წისქვილის ფიგურა არსად არ ჩანს. ამრიგად, სხვა რას უნდა დაინტერესებინა იგი? ერთი რამ შეიძლება ვიფიქროთ: თქვენ ამბობთ, რომ მეწისქვილეს მიეპარნენ, დაარტყეს თავში რაღაც ბლაგვი საგანი და რომ მეწისქვილეს არ დაუნახავს არაფერი, შეიძლება არ იყოს სწორი. ადვილი შესაძლებელია დაინტერესებული პიროვნება მივიდა მეწისქვილესთან, მაგრამ მეწისქვილემ მას არ დაანება გვამი, თუნდაც იმის შიშით, რომ მას მილიციის უფროსი პასუხს მოსთხოვდა, მაშასადამე, იმ უცნობმა ძალა იხმარა მეწისქვილეზე, ეს უკანასკნელი კი არ ამჟღავნებს მის პიროვნებას, შეიძლება შიშით. ყოველ შემთხვევაში მაიორ ირემადქეს საჭირო გაფრთხილება მიეცით, თვალი არ მოაშოროს მეწისქვილეს და მისი ყოველი ნაბიჯი შეისწავლოს.

— მე უკვე დავავალე მაიორ ირემადქეს, ის ნაკლებად როდია დაინტერესებული ყველა ამ ამბით, ისე მტკივნეულად განიცდიდა ამ ოპერაციის ასე მოულოდნელად ჩაფუშვას, რომ თვალს არ მოაშორებს და ყველა საჭირო ღონისძიებებსაც ჩაატარებს, — უპასუხა ლომაურმა.

— კარგი. აი, კიდევ რა, ის თქვენი ქოსა ყაზარა ძალიან საინტერესო ეგზემპლარია. მაგრამ მოჰკიდეთ ხელი. ხომ დააკავეთ? — შეეკითხა სამმართველოს უფროსი.

— დიახ. დაკავებულია. ბინის გაჩხრეკამ კი მხოლოდ ერთი გარემოებაზე მიგვითითა: ქოსა ყაზარას ბინაში, ეჭვი არ არის, აზარტულ მოთამაშეთა ბუნაგი უნდა იყოს. ამას მაფიქრებინებს ჯერ ის, რომ ბარე ათიოდე შეკვრა ბანქო იქნა აღმოჩენილი, და კიდევ ბლომად კამათლები, რამდენიმე ნარდიც.

— ეს მეორეხარისხოვანი ამბავია. მთავარია მისი კავშირი გერმან ბაზილთან. აი, რა უნდა იქნეს დაყენებული ყურადღების ცენტრში, — გააფრთხილა სამმართველოს უფროსმა.

— ეს, რა თქმა უნდა, ასეა. მე ეს გარემოება ყურადღებიდან როდი გამომიშვია. საერთოდ. ვწუხვარ, რომ მაიორმა ივანიძემ

ვერ გამოაჩინა საჭირო ოპერატიულობა ამ საქმეში, მას ყოველ-
მიზეზგარეშე ქოსა ყაზარას ბინაში უნდა შეეპყრო გერმან ბაზი-
ლი, მაგრამ სისხლს მოერიდა, იცოდა, რომ გერმან ბაზილი შეი-
არაღებული იყო და უსისხლოდ არ დანებდებოდა, ამისათვის შე-
იცადა დილამდე, რომ ქუჩაში უსისხლოდ აეყვანა იგი, მაგრამ
აქაც ვერ გააკეთა ეს საქმე და ხელიდან გაუსხლტა.

— სისხლი კი მაინც დაიღვარა და ისიც უმიზნოდ, — უსაყვედუ-
რა სამმართველოს უფროსმა.

— თქვენ მოგეხსენებათ, რომ გუცა დარბაისელი გამბედავი და
მოხერხებულია და თუ ამ საქმეში მარცხი განიცადა, ეს იმის გა-
მო, რომ ჯერ ერთი, ნაავადმყოფარი, დასუსტებული იყო და პირ-
დაპირ ღონით ვერ შეებმებოდა იმისთანა მძლავრს, როგორც
გერმან ბაზილია; მეორე და მთავარი კი ის, რომ ვერ გაითვალის-
წინა გერმან ბაზილის თავისებურება, ის ხომ ცაციაა, მარცხენა
ხელს მარჯვენაზე უკეთ ხმარობს. ეს კი მან არ იცოდა. ის არავინ
არ გააფრთხილა, ამ შემთხვევაში ნაწილობრივი დანაშაული მეც
მიმიძღვის.

კიდევ ერთხანს ისაუბრეს სამმართველოს უფროსმა და ზურაბ
ლომაურმა. სამმართველოს უფროსმა დასახა ლომაურის წინაშე
მთელი რიგი ღონისძიებები და მათი განხორციელების მტკიცე
ვადებიც დაუნიშნა...

ზურაბ ლომაურმა, სამმართველოს უფროსისაგან დაბრუნე-
ბისთანავე, დაიბარა მაიორი ივანიძე და უბრძანა მოეყვანათ მას-
თან ქოსა ყაზარა. მალე ქოსა ყაზარა შემოიყვანეს მერაბ ლომაუ-
რის კაბინეტში.

მოხუცი ქოსა ყაზარა ტიპიური გამოსახულება იყო ძველი თბი-
ლისის მდაბიო კინტოსი, ამ გადაშენებულ ადამიანთა უკანასკნე-
ლი ნაშიერი, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ არ ეცვა განიერი
შარვალი, ახალოხი, არ ეხურა თავზე „შლაპკა“, არ ერტყა ვერ-
ცხლის ქამარი და ლოყაზედაც არ ჰქონდა ხელოვნური ხალი.

შემოსვლისთანავე ქოსა ყაზარამ სცადა თავი შინაურულად დაეჭირა. მოამზადა ლათაიები, რომ ცდილიყო კარგ გუნებაზე დაეყენებინა უფროსი და ამით მოეგო მისი გული.

— გამარჯობათ, უფროსოჯან! — მიმართა ქოსა ყაზარამ და ხელი გაუწოდა.

ბურაბ ღომაურმა აღმაცერად შეხედა მას, გამოწვდილი ხელი არ ჩამოართვა და სკამზე მიუთითა.

— დაჯექით!

ქოსა ყაზარა არ მოელოდა ასეთ დახვედრას. მას თავისი მოხერხებულობის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ პირველსავე სიტყვაზე რომ მარცხი განიცადა, ცოტა დაიბნა, მაინც იხტიბარი არ გაიტეხა და ღიმილით თვალებში შეხედა.

— ვინ ბრძანდებით?

— ვაჰ, ვერ მიცანით, უფროსოჯან, ყაზარ წყალობიჩი ვარ რაღა, ერთი საწყალი ბებერი კაცი. მართლა, ლოთიანად, ვერ მიცანით? როგორ დავიჯერო, რომ ჩემს დუქანში ჯერ პური არ გეჭამოს, ერთი მარიფათიანი დროება არ გაგეტარებინოთ?

— რომელ თქვენს დუქანში? — შეეკითხა ღომაური ქოსა ყაზარას და პირველ ხანებში დააპირა აჰყოლოდა მას, ენახა რა შედეგს გამოიღებდა ეს აყოლა.

— ისე ვთქვი რაღა, ჩემს დუქანში-მეთქი, თორემ მე აბა დუქანი სადა მაქვს. ყველაფერი სახელმწიფოსია, ჩვენი მთავრობისაა. ვენაცვალე ჩვენს მთავრობას, რომ ჩემისთანა ღარიბ და ბებერი ადამიანს არ ივიწყებს და ერთ ლუკმაპურს აჭმევს. მე ხომ ახლა რესტორანჩიკი ვარ, ბუფეტჩიკი რაღა. ერთხელ მიკადრეთ, მოდიით, იცი რა პურს გაჭმევთ ჩემი სიყმის მზემ, იმისთანა პურს გაჭმევთ, რომ აბა რა გითხრათ, ამისთანა პური ჯერ არავის ეჭამოს.

— ყაზარ წყალობიჩ, ერთი ეს მითხარით, ვინ იყო წუხელის ნაშუალამევს თქვენს სახლში რომ მოვიდა მანქანით და დღეს დილით ადრიან გამოვიდა?

— ვაჰ, ჩემი სახლიდან ადრიანად გამოვიდა უცხო კაცი? უცხო კაცს რა უნდოდა ჩემთან?

— მე ხომ არ მითქვამს თქვენთვის, რომ უცხო კაცი მოვიდა ან გამოვიდა-მეთქი. იქნებ უცხოც არ იყო და ძალიან დაახლოებულიც იყო, ეს მე არ ვიცი. ამიტომ გეკითხებით ვინ იყო-მეთქი?

— ჩემი სიყმის მზემ, ჩემს სახლში უცხო არც შემოსულა და არც იქიდან დღეს დილით არავინ გამოსულა.

— როგორ არ გამოსულა! — ჩაერია ლაპარაკში მაიორი ივანიძე, — დღეს დილით, მზე ჯერ არც კი იყო ამოსული, ჭაღარაწვერიანი, ყავისფერი პალტოთი, ხელში ჩემოდნით გამოვიდა თქვენი სახლიდან.

— ვაჰ, აი შარი, ტყუილი უთქვამთ თქვენთვის, ახლა, ესაო და ყაზარ წყალობიჩი კარგად ცხოვრობს, ერთ ლუკმასა სჭამსო, შურთ რაღა ჩემი ალალი ლუკმა და ტყუილი ამბები მოაქვთ, რა არის თქვენს თვალში სახელი გამიტეხონ.

— მაშ ტყუილია? არ არის მართალი?

— უფროსოჯან, ჩემი ხნის კაცს სიზმარიც კი დაეჯერება, ახლა მე იმის კაცი ვარ რომ ტყუილი ვთქვა? ტყუილი ვთქვა და მერე აღარ მინდა თვალეში შემოგხედო? გეუბნები, რაღა, ადამიანურად, შარია-მეთქი, ნამდვილი შარი.

— მაშ თქვენ ჯერ ტყუილი არ გითქვამთ?

— არა, ტყუილი როგორ არ მითქვამს. ვაჭრობის კაცი ახლა, ხან ტყუილს იტყვის, ხან მართალს, ხან ტყუილად დაიფიცებს კიდევ, მაგრამ ეს სავაჭროში, რესტორანში რაღა. აქ თქვენთან განა გავბედავ ტყუილის თქმას? მე ხომ ვიცი, რომ თქვენთან ტყუილის თქმა არ შეიძლება.

— ჰოდა, რომ იცი, მოგვიყევი ყველაფერი გულახდილად. სულერთია, ჩვენ ყველაფერი ვიცით, — შთაგონებით განუმეორა ზურაბ ლომაურმა.

— რაც არ ვიცი, რა ვთქვა! — გაჯიუტდა ქოსა.

— კარგი, ერთი ეს მითხარი, ყაზარ წყალობიჩ, თქვენი სახლიდან ადრიან დილით პატარა გოგონა რომ გამოვიდა, ასე ცამეტ-ოთხმეტი წლისა იქნებოდა, ცისფერი პალტოთი, ფეხებზე შავი ფეხსაცმელები ეცვა, ჩავიდა ქუჩის ბოლომდე, შემდეგ კი უკანვე დაბრუნდა. ამაზედაც უარს იტყვით?

— ჩემი ეზოდან პატარა გოგო? ერთი პატარა შვილიშვილი მყავს, ჩემი მარგო, იმას უდროოდ სახლიდან გამოვუშვებ? რასა ბრძანებთ.

— დაფიქრდი კარგად. კიდევ გიმეორებ, ჩვენ ყველაფერი ვიცით. ვადას გაძლევ ხვალ დილამდე, იფიქრე. თუ ყველაფერს გულახდილად იტყვი, მაგით ბევრს მოიგებ, იცოდე. თუ არა და შენ თავს დააბრალე.

— სიყმის მზემ... — გაიმეორა ქოსამ თავის ფიცი, მაგრამ ლომაურმა აღარ დააცალა.

— გეუბნები დაფიქრდი-მეთქი. მე ახლა არა მცალია სალაც-ბოდ. ხვალ დილით ყველაფერი უნდა სთქვა, იცოდე.

— კარგი და რომელ საათზე მოვიდე ხვალ დილით? შემომიშვებენ?

— როგორ თუ შემოგიშვებენ?! — შესძახა ასეთ უტიფრობით განცვიფრებულმა ლომაურმა, — თქვენ იქნებ შინ აპირებთ წასვლას?

— ვაჰ, აბა სად უნდა წავიდე?

— ჩვენ სტუმრებს ასე ადვილად არ ვუშვებთ. თქვენ ამაღამ ჩვენი სტუმარი ხართ, გაგიშვათ, აბა როგორ შეიძლება, უდროოდ როს, გზაში ვინმემ რაიმე უსიამოვნება არ მოგაყენოთ!.. — დასცინა ლომაურმა.

ქოსა ყაზარა მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდა, გაჩუმდა და მაიორ ივანიძეს გაჰყვა უკან.

როცა ზურაბ ლომაური მარტო დარჩა, მანქანაში აღმოჩენილ ჩემოდანს მიუჯდა. მას წინასწარ იცოდა ჩემოდანში რაც ეწყო,

ამაზე უკვე მოახსენა მაიორმა ივანიძემ, ამჟამად ყველაზე მეტად იქ ნახული წერილების შეკვრა აინტერესებდა.

ზურაბ ლომაურს ერთი გარემოება აფიქრებდა. ისეთი გამოცდილი ავაზაკი, როგორიც გერმან ბაზილი იყო, რატომ ინახავ და წერილებს, განა ყოველი წერილი, თუნდაც უბრალო მოკითხვის, საინტერესო არ იქნება, როგორც ერთგვარი მამხილებელი მასალა მის წინააღმდეგ? განა ამ წერილებით არ შეიძლება დადგინდეს ვისთან რა კავშირი ჰქონდა? მართალია, გერმან ბაზილი წერილებს დაკეტილი ინახავს, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ჩემოდანს ხომ სადმე სტოვებს? ამისთანა კაცი კი თავის საიდუმლოს არავის გაუმხელს, თვით მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირსაც კი, ასეთი კაცი კედლებსაც კი არ ენდობა.

ზურაბმა შეკვრა ამოიღო. იგი არ იყო დიდი. ზედა ფურცლები შემოაცალა და აპირებდა ამ ფურცლების გადათვალიერებას, რომ მისი ყურადღება მიიქცია კანშემოხეულმა, მოზრდილმა რვეულმა. წარწერაზე დახედა თუ არა, მაშინვე იცნო ექიმ ნატო სულიაშვილის ხელი.

„ნატოს დღიური... ჩემი მოსაზრება გამართლდა“... კინაღამ შეჰყვირა ზურაბ ლომაურმა, სასწრაფოდ მიუჯდა საწერ მაგიდას და რვეული გადაშალა:

რვეულს თავფურცელი და ბოლო ფურცელიც აკლდა. შუაშიც, ალაგ-ალაგ, ბლომად იყო ამოხეული ფურცლები. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. მთავარი ის იყო, რომ ამ დღიურში ამოეკითხა მას ის სიტყვები, რომლებითაც შეკოწიწებული იყო ის წერილი, რომელიც გიორგი ქურხულის ბინაში აღმოჩნდა. თუკი ეს დადასტურდებოდა, ეჭვს აღარ დაბადებდა ის გარემოება, რომ გერმან ბაზილი უშუალო მკვლელი იქნებოდა არა მარტო ნატო სულიაშვილისა, არამედ გიორგი ქურხულისაც.

ზურაბ ლომაურს ჩაეცინა, კიდევ ერთი უძილო ღამე... აბა, როგორ მოითმენს, რომ ამაღამვე არ გადაიკითხოს მთელი რვეული

გულდასმით, განა მოუთმენს გული? ვინ იცის, შეიძლება რვეულში სხვა საინტერესო მასალებიც იყოს, თუმცა, რა უნდა ჩაეწერა ნატოს გარდა პირადი სულიერი განცდებისა? ეს, რა თქმა უნდა, როდი იქნება ინტერესმოკლებული, მაგრამ ზურაბს არ უყვარდა დროის დაკარგვა იმისთანა რამეზე, რაც მას პრაქტიკულად არ მისცემდა საშუალებას გამოემჟღავნებინა ბოროტმოქმედი. აქ მას სჭირდებოდა სიტყვები, მხოლოდ სიტყვები, ისიც ყველა სიტყვები კი არა, განსაკუთრებული სიტყვები.

ზურაბმა დაიწყო დღიურის კითხვა და ბოლოს, ისე გაიტაცა, როგორც ლამაზად, პოეტურად დაწერილმა წიგნმა. იგრძნობოდა, რომ დღიური გაგრძელება იყო, ალბათ არსებობდა წინა რვეულებიც. დღიური იწყებოდა მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც ნატო ლომისში მივიდა სამუშაოდ. ზურაბისათვის ესეც საკმარისი იყო, მან ხომ კარგად იცოდა ნატო სულიაშვილისა და გიორგი ქურხულის სასიყვარულო თავგადასავალი, გიორგი ქურხულმა ყველაფერი უამბო. არა დაუმალა რა, ისიც კი არ დაუმალა, თუ რაოდენ უკაცურად მოექცა იგი ნატოს ფაქიზ გრძნობებს, რომელმაც მათი გათიშვა და ოჯახის დარღვევა გამოიწვია. კარგად იცოდა ყველაფერი ეს ზურაბმა.

დღიურში ზოგან მშრალი ჩანაწერები იყო, რომლებიც ყოფაცხოვრების წვრილმანებს ეხებოდა, ზოგან კი ისეთი ნაზი თხრობა იყო სულიერი განცდებისა, რომ სტრიქონებიდან ნამდვილად პოეზია იღვრებოდა, სიტყვებში ფაქიზი სული და ნატიფი გრძნობები იყო გადანასკვული ერთმანეთთან. ყველა ეს უდასტურებდა ზურაბს, რაოდენ დიდი ბუნების ადამიანი ყოფილა მისი ავტორი, როგორ სცოდნია მას სიყვარულიც და სიძულვილიც, ეს ორი უკიდურესობა ადამიანის ბუნებისა, მას რწმენა ჰქონდა შებღალული, რწმენა ადამიანებისადმი, რომელსაც სასოწარკვეთილებამდე მიეყვანა იგი, რვეულის ბევრ ადგილას იგრძნობოდა ყინულით

გათოშილი და დამზრალი სიყვარული, ნატო უეჭველად მტკივნეულად განიცდიდა სპეტაკი სიყვარულის შეურაცხყოფას და ამის დავიწყება მის ძაღლონეს აღემატებოდა. რას იზამ? რამდენადაც დიდბუნებოვანია ადამიანი, იმდენად ღრმადა აქვს გამჭდარი მთელ არსებაში სიყვარულის გრძნობა, იმდენად უფრო ძლიერი განცდებით არის შეპყრობილი.

და აი, ეს პატარა რვეული რომანი იყი, დაკარგული, შეურაცხყოფილი სიყვარულის ამსახველი, ჭუჭყიანი ხელებით შებილწული, ფეხქვეშ გათელილი გრძნობების ამსახველი რომანი.

თუმცა ზურაბმა თავდაპირველად გადაწყვიტა ზერელედ გადაეთვალიერებინა და მხოლოდ საჭირო სიტყვები ეძებნა იქ, მაგრამ ისე გაიტაცა კითხვამ, რომ ფურცელი ფურცელს მისდევდა. ზოგიერთ ადგილებსა და ფურცლებს ხელახლა უბრუნდებოდა და რამდენჯერმე გადაიკითხა.

14

„ენკენისთვის 12: გუშინ ამოვედი სანატორიუმში. ჯერჯერობით სანატორიუმში დავბინავდი. თანამშრომლებმა კარგად მიმიღეს, განსაკუთრებით ხელმძღვანელობამ. დღეს პირველად შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას. ჩემს ამოსვლამდე მთაში, სანატორიუმის მთავარ ექიმს განსაკუთრებით დავუხასიათებოვარ, ალბათ იმიტომ არის, რომ ზოგი თუ გაბრწყინებული თვალით შემომცქერის, ზოგი რაღაც ეჭვით მიმზერს. ცუდ დროს ამოვედი. ზამთარი დგება, თოვლს ჩამოჰყრის და დამსვენებლებიც ცოტანი იქნებიან. მე კი მუშაობა მინდა, მინდა მუშაობაში ჩავიკლა გულის წუხილი... ეჰ, დიახ, გულისწუხილი! ნუთუ ჩემი გული გამთელდება ოდესმე? ნუთუ მოიპოვებს შვებას? ჩემთვის ხომ ყველაფერი მკვდარია. მე ხომ სასტიკ სიცარიელეს განვიცდი. ნუთუ ოდესმე დადგება დრო, როდესაც ჩემი გული აძგერდება, ისევ სიხარულით აივსება? არა, არასოდეს. ჩემი გიორგი წავიდა და თან წაიღო თუკი რამ მეზადა და გამაჩნდა. დამიტოვა მხოლოდ სულის სიმართოვე.

„ძნელი არის მართლობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“

მართალი ხარ საყვარელო პოეტო, მეც ხომ გულის სწორი დაკარგე და ახლა ოხვრალა დამრჩენია შვებად. დიახ, ოხვრა და მეტი არაფერი.

აი, მთებს მივაშურე. იქნება მისმა უტეხმა, ბუმბერაზმა ბუნებამ დამიოკოს ნაღველი, იქნებ თავისი მშვენიერებით შემინელოს „სულის ობლობა“. დღეს სისხამ დილაზე ავდექი, წუთით, მხოლოდ ერთის წუთი დამავიწყა ჩემი გულისტკივილი, სახეზე მომიალერსა, თმები ამიბურძგნა. მე ფანჯარასთან ვიდექი და მოჯადოებულებით გავცქეროდი ამომავალ მზის სხივებით მთის მოოქროვილ მწვერვალებს. „რა კარგია აქ“ — ამომხდა გულიდან. დიდი ხანია ასეთი გრძნობა არ განმიცდია, რა კარგად მოსჩანს აქედან მყინვარწვერი, თავისი მარადიული ჭაღარა თავით. ვინ იცის იქ ახლა ალბათ ქარბუქს თოვლის კორიანტელი აქვს აყენებული, აქ, დაბლა კი მხოლოდ ნაზი ნიავი მესალბუნება სახეზე.

მაგრამ, ეჰ, ეს ტკბილი განცდები მხოლოდ წუთიერი იყო. შემაჯრჟოლა, ოცნებათა ბურუსიდან გამოვერკვიე, მწარე სინამდვილეს დავუბრუნდი და ისევ ლოგინს მივაშურე, მაგრამ ძილი აღარ მიეკარა ჩემს თვალებს, ვეცადე ჩემი სულის სიმართოვეზე აღარ მეფიქრა, თავს ძალა დავატანე და ჩემი აზრები მომავალ მუშაობას დავუკავშირე.

ენკენისთვის 15: დღეს სანატორიუმში გავიცანი ფერშალი ქალი კირა ზაბორა, ძალიან ცოცხალი ქალია. მიუხედავად იმისა, რომ ყრმობის ასაკს გადასულია, მის ყოველ მოქმედებაში, თვით

ყოველ მოძრაობაში კი სიხალისე სჩქევს. დაუზარებელია, ეტყობა თავისი საქმის ცუდი მცოდნე არ უნდა იყოს. მე მას ველაპარაკე, დავაკვირდი, ეს ქალი გამოცანად იქცა ჩემთვის. მოქმედებაში, მოძრაობაში ხალისიანია ცოცხალი, თითქოს არავითარი გულისმომკვლელი დარდი და შავი ვარამი არ მიჰკარებია მის გულს, მაგრამ თვალები? თვალები სულ სხვას ლაპარაკობენ. მის გამოხედვაში იმდენი ნაღველი იგრძნობა, რომ ეტყობა დიდად კმაყოფილი არ უნდა იყოს თავისი ბედისა. ნუთუ მისი სიხალისე მხოლოდ მოჩვენებითია? ან იქნებ მე შევცდი და მისი გამოხედვა ვერ შევიცან?

თვალები რომ ადამიანის სულის სარკეა. ადამიანის გულში ვერ ჩაიხედავ, ვერ გაიგებ რა ახარებს და რა აწუხებს, სიმწარეს განიცდის თუ სიტკბოს, თვალები კი მაშინვე გადმოგცემს რაც ხდება ადამიანის არსებაში, თვალები არასოდეს არა სტყუიან. ვნახოთ, შევამოწმებ ჩემს დასკვნას, შევისწავლი კირა ზაბორას, იქნებ მასაც მაჯლაჯუნასავით დასწოლია დიდი სევდა, შეიძლება მისი მოქმედება მოჩვენებითია. თუ ეს ასეა, მაშინ მართო არ ვყოფილვარ ამ წუთისოფელში.

ენკენისთვის 24 : დღეს ახალ ბინაში გადამიყვანეს სასტუმრო მოსამსახურებმა, გულისტკივილით გამაცილეს, თითქოს ცხრამთას იქით გადაკარგულში ვაპირებდი გამგზავრებას.

ახალი ბინა ორი პატარა ოთახებისგან შედგება. საჭირო ავეჯეულობა სანატორიუმმა გამომიგზავნა. ბევრი არაფერი მჭირდება. ერთ ოთახში საწოლი, პირსაბანი, ორი სკამი და კარადა ტანსაცმლისათვის, მეორე ოთახში სასადილო მაგიდა, ოთხი სკამი, საწერი მაგიდა, პატარა ბუფეტი, ხალიჩაგადაფარებული ტახტი და წიგნების კარადა, მე მეტი აბა რაღა მინდოდა? ეს სავსებით საკმარისია ჩემთვის.

სახლს ვალაგებდი. კარის კაკუნი შემომესმა, გავაღე და დავინახე შუახნის ქალი, უბრალოდ ჩაცმული. სახე ნაადრევად დანოჭებული ჰქონდა, თვალები ნაღვლიანი. მაშინვე გავიფიქრე, ალბათ სამკურნალოდ თუ მოვიდა-მეთქი ჩემთან.

— რა გნებათ? — შევეკითხე მე.

— ქალბატონო ნატო, ჩემი დახმარება ხომ არ დაგჭირდებათ? სახლის დალაგებაში, სარეცხის დარეცხვაში...

— თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი? — გაკვირვებული შევეკითხე.

— შენ კი გენაცვალე. ექიმ ნატოს ვინ არ იცნობს? თქვენ ყველას თვალისჩინი ხართ.

თვალებში შევატყვე წრფელი გულით მელაპარაკებოდა, არ პირფერობდა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე, გენაცვალე, აქაური ვარ, ლომისელი, მელანო წიკლაური. სამი შვილის დედა. ქმარი სამამულო ომში დამეღუპა, უფროსი შვილი რეზო საშუალო სკოლაში სწავლობდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლას თავი მიანება და ცხვარში წავიდა. მეორე — ნათელა, ოჯახის მოვლაში მეხმარება, მესამე კი, შაქრო, სწავლობს, მეცხრე კლასშია. ხელმოკლედ ვცხოვრობ, სამი შვილი უმამოდ გავზარდე, ჯანი გამიტყდა ჯერ ორმოცისა არა ვარ და უკვე დავბერდი. ეჰ, შვილები მყავდეს კარგად და ჯანდაბას ჩემი თავი, მათი ჭირის სანაცვლო ვიყო!

შემეცოდა საბრალო მელანო. სახეგატეხილს ეტყობოდა ახალგაზრდობაში მშვენიერი ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრებას თავისი დაღი დაუსვამს, ნაადრევად დაუბერებია, შეერთანხმდით, ის ჩემს პატარა ბინას მოუვლიდა, დამისუფთავებდა, დამილაგებდა, დამირეცხავდა, საჭმელს მომიმზადებდა.

მელანო შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მისით მე კმაყოფილი დავრჩი, ეტყობა კარგი მეოჯახე ქალი უნდა იყოს.

მოვიდა მისი ნათელაც: მშვენიერი გოგონაა, ცოცხალი, მკვირ-
ცხლი, მხოლოდ ერთი რამ არ მომეწონა მისი: მეტად მორცხვია,
ჩემს შეკითხვებზე წითლდება და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიპასუხებს.
არაფერია, შემეჩვევა, დამიმეგობრდება.

რა უბედური ვარ, რა იქნებოდა ერთი შვილი მეც მყოლოდა!
მაშინ ხომ ასეთი მარტოობას არ ვიგრძნობდი? მაშინ ჩემს ცხოვ-
რებას მიზანი ექნებოდა, ახლა მხოლოდ დანიშნულება აქვს, დი-
ახ, დანიშნულება ხალხის ჯანმრთელობის ზრუნვის დანიშნულე-
ბა... მიზანი კი არა..

ენკენისთვის 27: შემოდგომა დაგვიდგა, ალბათ მალე გამთა-
რიც მოგვიკაკუნებს კარებზე, თოვლს ჩამოჰყრის. მთაში გამთა-
რი ხომ ადრე იცის. ჩემი ცხოვრების გაზაფხულიც დიდი ხანია წა-
ვიდა, წარსულს ჩაბარდა, ჩემს სულშიც გამთარმა დაისადგურა
და მერე როგორმა გამთარმა, სუსხიანმა.

„ირემო მთასა მყვირალო,
რად ჩამოხვედი ბარადა?
მეუღლე ჩემი მომიკლეს,
დავეხეტები ცალადა“...

თუმცა ჩემი მეუღლე არავის მოუკლავს, მაგრამ მე ხომ დავ-
კარგე ის? ჩემთვის უკვე მკვდარია.

ჩემი ერთადერთი მეგობარი ნათელა წიკლაურია. მელანოს
ქალიშვილი უკვე მომეჩვია, აღარ მორცხვობს, პირიქით, სულ ჩი-
ტივით ჭიკჭიკებს, მეც შევეჩვियე. როგორც ღვიძლი შვილი, ისე შე-
მიყვარდა. ამ ნიჭიერ გოგონას სწავლის საშუალება რომ ჰქონო-
და, ალბათ დიდი მომავალი ექნებოდა. საბრალოს ძალიან უყ-
ვარს წიგნები, ფანდურზედაც კარგად უკრავს და ხალხურ სიმღე-

რებს ოსტატურად მღერის. გასაოცარია, ამ თითისტოლა გოგონას საკუთარი სიმღერებიც კი აქვს შეთხზული. ჩემი ლამაზი გოგონა, სულ რაღაც თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ უკვე შეყვარებულია ერთ კოხტა მწყემს ბიჭზე. ბიჭიც კარგია, გავიცანი, მომეწონა, აბედნიეროთ, მათი ცხოვრების გზა მაინც იყოს ვარდყვავილების ფიანდაზით მოფენილი.

მე კი მხოლოდ წარსულია დამრჩა ტკბილ მოსაგონებლად.

ღვინობისთვის ნ. დღეს ბინაში ადრე დავბრუნდი. ჩემი ნივთები ავაქოთე, გიორგის წერილები ხელახლა გადავიკითხე. ეჰ, რა ვქნა, რა? იმ დროს, როდესაც მე სასიყვარულო წერილებს მწერდა მოსკოვიდან, მივლინებაში ყოფნის დროს, იმ დროს, როდესაც მწერდა, რომ უჩემოდ გაძლება არ შეუძლია, რომ მე მის სულს ვაკლივარ, მის გულს, მის არსებას ვაკლივარ, რომ მისი აზრი და გონება მხოლოდ ჩემსკენ მოილტვის, რომ საათებს ითვლის ჩქარა გადმოფრინდეს ჩემთან, აი სწორედ იმ დროს ეხვეოდა ლიზას, რომელიც შემთხვევით გაიცნო მატარებელში. საბრალო ქალს თავბრუ დაახვია, გონება დააკარგვინა და ყველაფერი ეს გააკეთა იმისათვის, რომ წუთიერად ესარგებლა როგორც ქალით... ავხორცი, ხვადი, აი მისი სახელი, ამ მის წერილებს მუდამ თან დავატრევ, რამდენჯერ დავაპირე მათი დახევა, დაწვა, განადგურება, მაგრამ რა ვქნა, ვერ გამიმეტებია. მათი დამწერი მე რომ მიყვარდა მიყვარს დღესაც, მეყვარება მარად. სამარის კარამდე და თვით სამარეშიც, ისევე, როგორც მიყვარდა იქ, ჰოსპიტალში რომ იწვა სამამულო ომის ფრონტზე დაჭრილი გმირი, როგორ მიყვარდა მაშინ, როდესაც პირველად შევუღლდით. დიახ, მიყვარს, მაგრამ რამდენადაც ძლიერია ეს სიყვარული, იმდენადვე ძლიერია შეურაცხყოფის ის გრძნობა, რომელიც მან ამ სიყვარულს მიაყენა. ის არ მასვენებს, დამდეგს, მევედრება შერიგებას... ჰმ, შერიგება ყველა იმის შემდეგ, რაც მან ჩაიდინა! განა

ჩემი გონებიდან ოდესმე აღმოიფხვრება ის სურათი, როდესაც ლიზა პირველად კარზე მომადგა? მე სამსახურიდან საყვარელ ქმარს ველოდი, დიახ, ველოდი ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ბედისწერას, რომ კარის კაკუნი შემომესმა. გაკვირვებულმა გავაღე კარი და ვიღაც ახალგაზრდა ქალს შევეჩიხე.

— ბოდიში, აქ ცხოვრობს ინჟინერი გიორგი ქურხული? — შემეკითხა უცნობი ქალი.

ეს ისეთი მოულოდნელი და უცნაური იყო ჩემთვის, რომ დავიბენი. არასოდეს არ მიეჭვიანია, ეს ხომ იმისთანა ქვენა გრძნობაა, რომელიც ადამიანის პიროვნებას შეურაცხყოფს ისე, როგორც არავითარი სხვა რამ. აზრად როგორ გავიტარებდი, რომ ჩემს გიორგის, რომელიც პატიოსნებისა და სისპეტაკის განსახიერებად მიმაჩნდა, შეეძლო ღალატი. დიახ, ეჭვიანობა ჩემს გულს არ გაჰკარებია მანამდე, აქ კი, ამ უცნობი ქალის დანახვაზე დავიბენი.

— დიახ, აქ ცხოვრობს, — ვუპასუხე მე და შემოვიწვიე ბინაში.

უცნობი მოკრძალებით შემოვიდა, ალბათ არ მოელოდა თუ აქ ქალი დახვდებოდა. მისი თვითეული მოქმედება ამჟღავნებდა, რომ ნანობდა მოსვლას, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. გაბრუნება დააპირა, მაგრამ მე არ გავუშვი.

— რატომ გჭირდებათ ინჟინერი გიორგი ქურხული? თქვენ ვინ ბრძანდებით? — შევეკითხე მე.

ის მიმიხვდა ჩემი შეკითხვის ტონს და კითხვითვე მომმართა:

— ბოდიში, თქვენ მისი მეუღლე ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, — ვუპასუხე.

ამ პასუხზე იგი სავარძელში ჩაეშვა, ხელები სახეზე მიიფარა და ქვითინი დაიწყო.

მე, როგორც შემეძლო, დავამშვიდე, ვალერიანის წვეთები მივაწოდე, მან დალია, მოიბოდიშა, წასვლა დააპირა, მაგრამ მე არ მოვეშვი, მინდოდა გამეგო, რამ გამოიწვია მისი ასეთი უცნაური

საქციელი, მისი ცრემლები, მე უკვე ვგრძნობდი, რომ აქ რაღაც სულ სხვა ამბავი იყო, ამბავი გრძნობათა აღრევისა, რომ მშვილდის ღარი მოჭიმული იყო და შხამიანი ისარი მოულოდნელად დაეძგერებოდა ჩემს გულს, ვგრძნობდი ამას, მაგრამ მაინც მინდოდა გამეგო ყველაფერი.

უცნობმა ქალმა მოკლედ მიაშტო, თუ როგორ გაიცნო მან ჩემი ქმარი მატარებელში ორიოდ თვის წინ, როდესაც იგი მოსკოვს მიემგზავრებოდა, როგორ გაიბა მათ შორის სასიყვარულო ხლართები, როგორ იცხოვრეს მოსკოვში, უკან როგორ გამობრუნდნენ. საბრალო ქალი, როგორც დამნაშავე მკაცრი მსაჯულის წინაშე მდგომი, ისე მიაშტობდა თავის აღსარებას. ჩემს გულში ცეცხლი გუზგუზებდა, ჯოჯოხეთური ცეცხლი, მისი ყოველი სიტყვა ეკალივით მესობოდა ტვინში, გონებას მიფორიაქებდა. გრძნობათა აღრევა იმდენად ძლიერი იყო, რომ კინაღამ დავკარგე წონასწორობა, კინაღამ ჩავიდინე გაუსწორებელი, მიუტევებელი საქციელი — თვითმკვლელობა. ადვილი როდი იყო მომეკრიბა მთელი ჩემი ნებისყოფა, მთელი ძალა, რომ სიმხნევე არ დამეკარგა. იგი: გაჩუმდა, დაასრულა თავისი ტრაგიკული თავგადასავალი. მე გაოგნებული ვიჯექი მის გვერდით და ჯერ კიდევ ვერ მოვდიოდი გონს, იმ საღამოს, იმ ქალის შემოსვლით ჩემს ბინაში დაირღვა ჩემი ბედნიერება, შეიბღალა ჩემი უმწიკვლო სიყვარული.

დამნაშავე იყო საბრალო ლიზა? არა, იგი მიენდო ადამიანს, რომელმაც ბედნიერება გამოსტაცა და სამაგიეროდ მარადიული, დაუვიწყარი მწუხარება შთაუწერა.

მე, შემეცოდა ჩემი თავი, შემეცოდა ლიზაც. მას რომ სცოდნოდა, გიორგი ქურხული ცოლიანი იყო, განა გადასდგამდა ასეთს საბედისწერო ნაბიჯს? არა, არავითარ შემთხვევაში.

უკვე ბინდი იყო. კარი გაიღო, გიორგი შემოვიდა, შუქი აანთო

და შეგვხედა ჩვენ ორივეს. როდესაც ლიზას მოჰკრა თვალი, გაოცდა, დაიბნა, მაგრამ სწრაფად მოვიდა გონს, და საჩქაროდ უკანვე გაბრუნდა. ლიზამ წამოხტომა დააპირა, მე ხელი წავავლე და უკანვე დავსვი.

— თავს ნუ იმცირებთ, არ ღირს. ის ღირსი არ არის იმისა, რომ მასზედ ადამიანმა იფიქროს და ტანჯვა განიცადოს.

ლიზამ გაკვირვებით შემომხედა. ამას ხომ ისეთი ქალი იტყოდა, რომელსაც ქმარი არასოდეს არ ჰყვარებია. ის ალბათ ვერ მიწვდა, რომ შეურაცხყოფილი გრძნობის სიმწვავეს ვერავითარი გენია ვერ შეედრება.

სავარძელთან ახლო, პატარა მაგიდაზე, ირანული პოეზიის სიამაყის ჰაფიზის ტომი, იდო, გამახსენდა რომ ირანელი ქალები თითქმის მკითხაობენ ხოლმე ჰაფიზის ლექსებით, გადაშლიან წიგნს ალაღბედად, რომელიმე სტრიქონზე დაადებენ თითს, ამოიკითხავენ და ის მიაჩნიათ ბედისწერად, მეც მაშინაღუარად გადავშალე და ხმამაღლა წავიკითხე:

„ვინც გამიღიმა და გული რომ მიჩვენა თბილი,
მტერი აღმოჩნდა, სხვაზე უწინ მან გამკრა კბილი.
და ღვთაებრივი, წმინდა სახის მე რომ მეგონა,
იგი ყოფილა — საძაგელი, ჭუჭყით გავსილი“.

საკვირველია, რაღა იმ გვერდზე გადავშალე წიგნი, რომელი ლექსიც ასე საოცრად შეესაბამებოდა ჩვენს სულიერ განწყობილებას. ცრუმორწმუნე არასოდეს არ ვყოფილვარ, მაგრამ იმუამად რაღაც ბედისწერის სიო ვიგრძენი და განსაკუთრებულმა შიშმა შემიპყრო. ბოლოს ისევ ლიზამ დაიწყო ლაპარაკი.

— არ ვიცი რა სასჯელის ღირსი ვარ, მე ხომ იმისთანა საშინელი რამ ჩავიდინე დღეს, რასაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილ-

ზე ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, თუ ჩემი თავქარიანობის შედეგად გული მომიკლეს, მე ეს დავიმსახურე, მაგრამ თქვენ რას გერჩოდით? თქვენ ასეთ მშვენიერ, ფაქიზ, მგრძნობიარე გულს. რას ვერჩოდით, რომ შემოვიჭერი თქვენს მყუდრო ლამაზ გრძნობებში და ავაფორიაქე? ვინ მომცა ამისი უფლება, ვინ?.. მომიტევეთ! მე ხომ დავარღვიე თქვენი სულიერი წონასწორობა, მე იმისთანა რამ ჩავიდინე ამჟამად, რასაც ვერც ერთი ავაზაკი ვერ ჩაიდენდა! — იგი ხელახლა აქვითინდა.

— არა, ლიზა, — მივმართე მე, — თქვენ ძალიან კარგად მოიქეცით, რომ ყველაფერი მითხარიო. ეს საჭირო იყო, უეჭველად უნდა მცოდნოდა, რადგანაც, რა გარანტია მაქვს, რომ პატივცემული ჩემი ყოფილი მეუღლე კვლავ არ გაიმეორებს იმასვე, რაც ერთხელ ჩაიდინა.

— თქვენი ყოველი მეუღლე? — განცვიფრებით შემომაჭყიტა თვალები ლიზამ.

— დიახ, ყოფილი. იგი დღემდე ჩემი ერთადერთი სასიყვარულო ადამიანი იყო, ახლა კი. ამ ამბის შემდეგ, ის ჩემთვის უკვე უცხოა.

— მით უფრო მეტად ვარ დამნაშავე თქვენს წინაშე. მე მართო სულიერი სიმშვიდე კი არ შეგირყიეთ, თურმე თქვენი ოჯახიც დამინგრევია. მე სასტიკად მოვიქეცი, მაგრამ გეფიცებით, ბოროტი განზრახვა არ მქონია გულში.

— არა ოჯახი თქვენ კი არა, გიორგი ქურხულმა თვით დაანგრია. როდესაც იგი მოსკოვიდან დაბრუნდა, მაშინვე რომ ელიარებინა თავისი დანაშაული, არ ვიცი, შეიძლება ასე მწვავედ არ განმეცადა, ახლა კი... არა, არა... ყველაფერი გათავებულია. — ავდექი, მივედი მაგიდასთან, გიორგის სახელზე წერილი დავწერე და მზადებას შევუდექი.

ლიზაც წამოდგა. მან იგრძნო, რომ მე იმ ბინიდან წასვლას ვაპირებდი, ისიც მოემზადა წასასვლელად.

— შეიძლება მეც დავტოვო ბარათი? — შემეკითხა იგი.

— როგორც გენებოთ, — ვუპასუხე დაუდევრად.

მანაც დაწერა ორიოდ სიტყვა და საწერ მაგიდაზე, ჩემი ბარათის გვერდით დადო,

— თუ იცით მატარებელი როსტოვისაკენ რა დროს გადის?

— ვერ გეტყვით.

— თუმცა სულ ერთია, სადგურში გავიგებ. მან დასტაცა თავის პატარა ჩემოდანს ხელი და ისე გავიდა ბინიდან, რომ არც კი გამომემშვიდობა. მე ჩემს საქმეს განვაგრძობდი და ყურადღება არ მიმიქცევია.

იმავე საღამოს წავედი იმ ბინიდან...

თუმცა, რად გამახსენდა ეს ამბავი? ეს ეპიზოდი ხშირად მახსენდება ხოლმე და მუდამ ჩემი თავის ტკივილით მთავრდება. აი, ახლაც, ჩემს დღიურში, მგონი მესამედ ჩავწერე ჩემი შეხვედრა ლიზასთან. რა საჭიროა? თავი ამტკივდა. წამოვწვები, იქნებ გამიაროს“.

ნატოს დღიურს შუაში ფურცლები ბლომად აკლდა, ამოხეული იყო.

ზურაბმა დღიურში ქაღალდის სუფთა ფურცელი ჩადო და დახურა, საათს დახედა. შუალამე გადასული იყო. ტელეფონით დარეკა, მაიორი ივანიძე და კაპიტანი ნოდია ჯერ არ წასულიყვნენ, იმ საღამოს განსაკუთრებული შემთხვევა არაფერი ყოფილა და დასასვენებლად წავიდა შინ.

15

ქალაქში წვრილმან დანაშაულებებსღა ჰქონდა ადგილი. ბრძოლა ქურდბაცაცების წინააღმდეგ ინტენსიურად წარმოებდა. რაიონებშიც შედარებით სიწყნარე იყო, მაგრამ ეს იმას როდინიშნავდა, რომ მილიციის თანამშრომლებს უკვე შეეძლოთ მხართედობე წამოწოლა, საჭირო იყო კიდევ უფრო მეტი სიფხიზლე, რომ ეს წვრილმანი დანაშაულებანიც აღეკვეთათ და არსებული მდგომარეობა განემტკიცებინათ. ზურაბ ლომაურმა მდიდარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ხანდახან კარგ ამინდს ჭექა-ქუხილი და სეტყვა მოსდევდა. ამიტომ იყო, რომ ის მაინც საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა მთელი თავისი განყოფილებით. გერმან ბაზილი ხელიდან გაუსხლტა, ცხადი იყო ის გაეცალა ქალაქს, მაგრამ გავიდა თუ არა საქართველოს ფარგლებიდან? და განა სულერთი არ არის, საქართველოში ჩაიდენდა დანაშაულს თუ სხვა რომელიმე ადგილას? მთავარი იყო მისი დაჭერა. მისი მიგნების და შეპყრობის საშუალებას კი მერის მოქმედებაში დაეძებდა.

მართალია, ცოტა დრო გავიდა გერმან ბაზილის ხელახალი მიმალვიდან, იგი მერის ბინაში არ გამოცხადებულა, მერის ბინა და თვით მერიც განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ აყვანილი, იგი განაგრძობდა რესტორანში მუშაობას მიმტანად. იმ რესტორანში რა მიღეთის კაცს არ ნახავდა ადამიანი! ადვილი შესაძლებელია მერისთან უკვე გააბა კავშირი გერმან ბაზილმა, მაგრამ ვისი საშუალებით ამისი გამორკვევა არ იყო ადვილი საქმე.

რა თქმა უნდა, ადრე იქნებოდა თუ გვიან გამომჟღავნდებოდა ყველაფერი, მაგრამ ზურაბ ლომაურს გული არ უთმენდა, ეჩქარებოდა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა გერმან ბაზილის რთულ, ავაზაკურ პიროვნებას.

ზურაბ ლომაურს მიგნების განსაკუთრებული ალღო ჰქონდა. გარდა ამისა, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის დასკვნებს არ მიეცათ დადებითი შედეგები. ამ შემთხვევაშიც მერი ამ კრიალოსანის ერთ-ერთი მთავარი მძივი იყო და მთელი იმედები ახლა მასზე ჰქონდა დამყარებული. ერთი რამ მაინც გასაოცარი იყო მერის ცხოვრებაში; იგი არც არავისაგან ღებულობდა წერილებს და არც არავის სწერდა.

კაბინეტში ლეიტენანტი გიგა ნათენაძე შემოვიდა.

— ო, გამარჯობა გიგა, რას მეტყვი ახალს, სასიხარულოს? — მართა ზურაბ ლომაურმა.

— ამხანაგო უფროსო, მერი დღეს ავლაბარში. რკინიგზის საქალაქო სადგურში იყო და შეიძინა ბილეთი, სადგურ ხასავიურტამდე.

— სადგურ ხასავიურტამდე? — გაიკვირვა ლომაურმა, — სად არის ასეთი სადგური?

— ცნობათა ბიუროში შევამოწმე. დაღესტანში ყოფილა, მახჩყალას იქით, ვიდრე გუდერმესამდე მივიდოდეთ. ბილეთი მას ბაქომდე მისცეს, იქ ალბათ სხვა მატარებელში გადაჯდება.

— როდისთვის აიღო ბილეთი?

— ხვალისთვის, ბაქოს მატარებელზე №41, რომელიც მოსკოვის დროით 23 საათსა და 55 წუთზე გადის. ზურაბმა ტელეფონით დაიბარა კაპიტანი ნოდია.

— ჩამოიყვანეთ არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია და მოდიოთ ჩემთან, — უბრძანა ზურაბმა.

კაპიტანი ნოდია, არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია სასწრაფოდ გამოცხადდნენ ლომაურის კაბინეტში.

— აბა, ჩემო „ტურისტებო“, მზად ხართ საბრძოლო დავალების შესასრულებლად? — შეეკითხა მათ ღიმილით ზურაბი. პასუხს აღარ მოუცადა და კაპიტან ნოდიას მიმართა, — ამხანაგო კაპიტანო. ახლავე გაამზადე ეს ორი ახალგაზრდა, ხვალ საღამოს 20 საათსა და 55 წუთზე, ბაქოს მატარებლით №41 მიემგზავრება ჩვენი მერი.

— ძლივს! — გაბრწყინებული სახით წამოიძახეს არჩილმა და ხუტამ და ერთმანეთს გადახედეს.

— ძალიან ნუ გაგეხარდებათ, იცოდეთ, ბევრი წვალება მოგელით. გერმან ბაზილთან საქმის დაჭერა რომ არ არის ადვილი, ეს, მგონი, ახალი ამბავი არ უნდა იყოს თქვენთვის. ეჭვს გარეშეა მერი, ადრე თუ გვიან, გერმანს შეხვდება; სად, როგორ და როდის? ეს მე არ ვიცი.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ჩოხელიც და გაწერელიაც კარგა ხანია მზად არიან გასამგზავრებლად, მხოლოდ თქვენს განკარგულებას ელიან.

— მაშ ასე, მერი არც ერთ თქვენთაგანს არ იცნობს. მე თქვენ განგებ არ გაკარებდით ყაზარას რესტორანს, მხოლოდ ერთხელ იყავით რომ მერი გენახათ და მისი სახე დაგემახსოვრებინათ. აბა, ახლა თქვენ იცით, როგორ მოხერხებულადაც შეასრულებთ ამ ფრიად რთულ და პასუხსაგებ დავალებას. გერმან ბაზილის

თავისებურებანი გაითვალისწინეთ. იცოდეთ ის ცაციაა, მარცხენა ხელს უკეთ ხმარობს, ვიდრე მარჯვენას. კარგი მსროლელია, ჩინებული მოკრივე, ავტომანქანის მართვა იცის, სმა უყვარს. გვიან ითვრება, ნასვამს უყვარს ტრაბახი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: გერმან ბაზილი მორფინისტია.

კარგა ხანს ესაუბრა ზურაბი არჩილ ჩოხელს და ხუტა გაწერელიას. მან კარგად იცოდა, რომ არჩილიცა და ხუტაც ყველაფერს გააკეთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩასთვალა გაეფრთხილებინა ისინი.

— ნურაფრისა გეფიქრებათ, ამხანაგო უფროსო, — უპასუხა მას არჩილმა, — მარცხენა ხელით სროლაში და სამიზნის დაზიანებაში მე იმას არ ჩამოვრჩები, თუმცა ცაცია არა ვარ. სამბოს ყველა ილეთებს დაუფლებული ვარ მეცა და ხუტაც და ესეც ბევრ რამეში გამოგვადგება. ავტომანქანის მართვაში ვერც ერთი კვალიფიციური მძღოლი ვერ შემედრება, მუხლი მაგარი მაქვს, როგორც ყოველ მთიელს, ერთი დიდი უპირატესობა გვაქვს მეცა და ხუტასაც: ჩვენ ახალგაზრდები ვართ, მაშინ, როცა ის უკვე ორმოც წელს გადაცილებულია. ამასაც უეჭველად აქვს მნიშვნელობა; დაბოლოს, თუმცა სმა არ მიყვარს, მაგრამ კვებნასა და ტრაბახშიც არ ჩამოუვარდები. განა აქ თქვენთან, აი ახლა, საკმარისად არ ვიტრაბახე?

ყველას გაეცინა არჩილის სიტყვებზე.

— კარგი, ახლა შეუდექით საქმეს. ფული, დოკუმენტები, ყველაფერი ხომ წესრიგშია?

— ყველაფერი, თვით ტურისტული კოსტუმებიც კი.

— ახლა ბილეთებზე იზრუნეთ. ხუტა გაწერელია თბილისის სადგურში ჩაჯდება მატარებელში, არჩილ ჩოხელი კი ნავთლულში. საჭირო შემთხვევაში დაუკავშირდით ადგილობრივი მილიციის ორგანოებს. სისტემატურად გამაგებინეთ ამბავი, რა მდგომარეობა და შედეგიც არ უნდა იყოს. საინფორმაციო მასალები

მილიციის საშუალებით გზავნე. აბა, ახლა თქვენ იცით.

ზურაბ ლომაურმა გაისტუმრა თანამშრომლები და სამმართველოს უფროსთან წავიდა მოსახსენებლად.

საღამოს 9 საათზე ზურაბმა მოისმინა მაიორ ივანიძის მოხსენება ქოსა ყაზარას დაკითხვის მსვლელობის შესახებ, მისცა საჭირო მითითებები და ისევ ნატოს დღიურს მიუჯდა.

მაისის 18. რა კარგია მაისის დღია, განა მაისს რომელიმე თვე შეედრება? მაისი, როდესაც ყველაფერი გაფურჩქნულია, ყველაფერი ჰყვავის. წლის ყველა დროთა ულამაზესი გაზაფხულია, ხოლო გაზაფხულის თვეებში კი ყველაზე შეუდარებელი მაისია, მაგრამ მაისი მთებში ეს ხომ არაჩვეულებრივი რამ არის. ჩემი სახლის წინ, ეზოში, ვარდის ბუჩქია. ყოველ გარიჟრაჟისას ბუღბული გალობს. განაღა შეიძლება ძილი? რომელი უსულგულო ადამიანი იქნება, რომელიც არ დასტკბება ბუღბულის ტკბილი ჰანგებით? მეც ისე მიტაცებს ყოველივე ეს, რომ პერანგისამარა მიუჯდები ხოლმე ღია ფანჯარას და თავდავიწყებამდე მივყევარ. ცხოვრებაში ორი რამ დამრჩა: ამ ბუღბულის გალობა და ჩემი საყვარელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. კიდევ მინდა წერა, მაგრამ მეშინია ეს ნაზი პოეტური განცდები უხეში პოეზიით არ შევსუდრო.

თიბათვის 2. გადავწყვიტე ყამირ მიწებზე გამგზავრება. იქ უფრო საჭირო ვიქნები, იქ მეტ სარგებლობას მოვუტან ადამიანებს. ამ საკითხზე დღეს სერიოზული შეჯახება მომიხდა სანატორიუმის დირექტორთან. ჯერ იქნა და ვერა, ვერ დავიყოლიე, რომ არ წავიდეს ჩემი ყამირ მიწებზე გამგზავრების წინააღმდეგ. რა ფანდებს არ ხმარობს, რომ როგორმე ხელი ამაღლებინოს ამ ჩემს განზრახვაზე. მან ჯერ კიდევ კარგად არ იცის ჩემი ჯიუტი ხასიათის ამბავი. თუ ვთქვი, გათავდა... ვთქვი წავალ-მეთქი ყამირ მიწებზე

და წავალ კიდეც.

დღეს საღამოს კირა ზაბორა მოვიდა ჩემთან. ამ ბოლო დროს ხშირად დაიარება. თითქოს რაღაცის თქმა უნდა. მაგრამ ვერ გაუბეღია. დაიწყებს რაღაცა აბდაუბდას, შუაში გაწყვეტს სიტყვას და დამნაშავესავით ზის თავჩაღუნული, შემდეგ კი წამოხტება და გარბის.

საკვირველია, ალბათ ჩემი წაბაძულობით, წიგნების კითხვას მიეჩვია. მე ხშირად მომმართავს ხოლმე: „რას მირჩევთ, რა წავიკითხო?“ მე ტურგენევი ვურჩიე, უფრო მეტად სწვდება ადამიანის გულს და გასაგებიცაა.

ჰო, იმას ვამბობდი, კირა ზაბორა მოვიდა-მეთქი ჩემთან. მას ყური მოუკრავს, რომ ყამირ მიწებზე ვაპირებ გამგზავრებას და თვალცრემლიანი შემევედრა არ წავსულიყავ არსად აქედან.

— მე ისე მოგეჩვიეთ, ექიმო, როგორც ახლობელს, ნათესავს. თქვენი წასვლით მე ობლად დავრჩები.

გამეცინა, დავიწყე მისი დამშვიდება.

— მერე რა, ჩემო კირა, მე თუ აქედან წავალ, სამაგიეროდ სხვა, ჩემზე უკეთესი მოვა, ამაზე როგორა სწუხარ?

— არა, არა.. თქვენზე უკეთესი ქვეყანაზე არ არსებობს. თქვენ ისეთი იშვიათი გულისხმიერი ადამიანი ხართ, რომ არავისთან შედარებაც კი არ შეიძლება.

— კარგი, კარგი... პირში ქება რა საჭიროა? ხომ გაგიგიათ, კირა, მჯობზე მჯობი არ დაიღუვალ. მე თუ გადაწყვეტიტე წასვლა, მაშასადამე, ეს საჭიროა. მე მუდამ ვიყავი ჩემი სიტყვის პატრონი და არც ამ შემთხვევაში ვუღალატებ ჩემს გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, უკვე გავგზავნე განცხადება ჯანმრთელობის მინისტრის სახელზე და უკან ხომ არ დავიბრუნებ? აბა რა ადამიანობა იქნება ასეთი რამის ჯერ თხოვნა და მერე კი გადათქმა.

— მაშ მეც წამიყვანეთ თან! — მომმართა მან თხოვნით.

— ეგ ჩემზე როდია დამოკიდებული.

კირა ზაბორა აცრემლებული წავიდა ჩემგან. საბრალო, შემეცოდა. არა, ეჭვს გარეშეა რაღაცა აწუხებს, მაგრამ რა?

თავისი ბედით კმაყოფილი ადამიანი იშვიათია ცხოვრებაში, ყველას რაღაცა აწუხებს, ყველა რაღაცას განიცდის. მაგრამ განადიდმა შოთამ არ დაგვიტოვა ანდერძად:

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“.

თიბათვის 9. ლომისის დაშორებით, ათიოდე კილომეტრით გევით, საკოლმეურნეო ფარებია საზაფხულო საძოვრებზე. მწყემსი გამხდარა ავად, ცხენი გამოეგზავნათ და მთხოვეს წავსულიყავ, გამეწია დახმარება, დამხმარე მოხუცი სარქალი თვითონ ჩამოვიდა ჩემს წასაყვანად. უარს როგორ ვეტყოდი, წავედი.

მოხუცი მწყემსი, ფშაველი გეჯურა, სოფელ მაღაროსკარიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში წამოსულა და აქ დასახლებულა. მთელი თავისი დღე და საათი ცხვარში გაუტარებია და ზედმიწევნითაც შეუსწავლია ცხვრის მოვლა-პატრონობის საქმე. გზაში ცხვარზე მელაპარაკებოდა, მაგრამ, როგორც კი შემატყო, რომ საუბრის ეს თემა არ მაინტერესებდა, ვაჟა ფშაველას ლექსებზე გადავიდა, შესანიშნავად სცოდნია ვაჟას შემოქმედება. ზეპირად წამიკითხა ვაჟას რამდენიმე ლექსი. თუ მანამდე ვაჟას პოეზია გაუგებარი იყო ჩემთვის, ახლა ვიგრძენი მისი დიდი პოეზიის სურნელება და შემრცხვა საკუთარი თავისა. ამ მოხუცმა მწყემსმა ჩამახედა ვაჟას მარგალიტების სიღრმეში და რაც მანამდე ჩემთვის შეუცნობელი იყო, შევიცანი. აი, თურმე რა ძალა ჰქონია ლექსის ოსტატურად წაკითხვას. მე, უმაღლესი განათლების მქონეს, კულტურულ ადამიანს, მეცხვარემ მასწავლა ისეთი ახალი რამ, რაც მანამდე ჩემთვის მიუწვდომელი იყო, ის ბერიკაცი იმჟამად მსახიობი იყო; ნამდვილი მსახიობი და არა ლექსის უბრალო წამ-

კითხველი. ისე ავედით მაღალ მთაზე და გავივაკეთ, რომ არც გამიგია. თითქოს ნელა მივდიოდით. ამ აღმართებზე არ გვინდოდა ცხენები დაგვეღალა, მაინც შეუმჩნევლად ავიარეთ აღმართი.

ჩემს თვალწინ ფართე ზეგანი გადაიშალა, რომელიც ცხვრის ფარებით თეთრად იყო გადაპენტილი. ამ ზეგანის ნახვამ თვალი მომტაცა, მოჯადოებულობით შევცქეროდი არემარეს და ვფიქრობდი: „ნუთუ გულქვა სიკვდილს აქამდისაც მოუწვდება ხელი, ეს ხომ უკვდავების ველია, აქ ადამიანი მხოლოდ უნდა სტკებოდეს ბუნების ამ საოცრებით. არა და არა... ეს გამჭვირვალე ჰაერი ყოველი სულდგმულის მაცოცხლებელია, ეს მითიური სამოთხეა... უფრო მეტიც“... ჩემი მეგზური ალბათ მომიხვდა რასაც ვფიქრობდი, რა აზრი მიტაცებდა, რას განვიცდიდი და წაიღულუნა:

— ეჰ, ხანდახან ისეთი ქარიშხალი, ნიაღვარი და ჭექა-ქუხილი იცის ხოლმე აქ ჯოჯოხეთი მასთან რა მოსაგონარია? აგერ, გახედეთ იმ ფერდობებს, იქიდან რომ ნიაღვარი წამოვა ხოლმე დიდი წვიმების დროს, აქაურობას წალეკვით ემუქრება. ახლა გამთრობით არ იტყვით? აქ რომ ქარბუქი იცის, ადამიანს თავსა და ბედს აწყევლინებს, რამდენი. ადამიანი დაუმარხავს ნამქერს, ვინ მოსთვლის!

მის ლაპარაკზე გამახსენდა დიდი ილიას სიტყვები:

„მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გატკბობს და უცებ აფთრდება“.

მიუხედავად ამისა, მე მაინც თვალს ვერ ვაშორებდი იქაურობას. ის სანახაობა ისე ღრმად აღიბეჭდა ჩემს გონებაში, რომ არა მგონია ოდესმე დავივიწყო.

ცხენის ფარებს მიუვახლოვდით. უცებ განსაკუთრებული სიამე ვიგრძენი. სალამურის ხმა შემომესმა. ვიღაცა მწყემსი ისე ჯადოსნურად უკრავდა სალამურს, რომ მისი ტკბილი და წარმტაცი ჰანგი გულში მომხვდა. სალამური ხან მტრედით ღულუნებდა, ხან კი ბულბულივით უსტვენდა. სალამურის ჰანგი ალბათ ძველი იყო, თაობიდან თაობაზე თუ გადასცემენ მწყემსები თავის ამ ჯადოსნურ შემოქმედებას. ალბათ ასეთი დაკვრა სალამურზე მხოლოდ მწყემსებს შეუძლიათ, ამ ბუნების ლალ და უდრეკ შვილებს, იმ პატარა გმირებს, რომლებიც შემოხიზნებიან მთას, თვალისჩინივით უვლიან ფარებს, არ უდრკებიან არც ჭექა-ქუხილს და არც ნიაღვარს, არც ქარბუქსა და არც სიცივეს, არც ნადირისა ეშინიათ და არც ავაზაკის. თავის განუყრელ ნაბადთან და კომბალთან ერთად სალამურიც მუდამ მათი განუყრელი მეგობარია. რომ თავისუფალ დროს ჩაბერონ და ბულბულისებური შორეული სტვენა ან მტრედისებური ღულუნი მიაწვდინონ სადღაც, ბარში მყოფ გულის საყვარელს, რომელსაც წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე ხედავენ. ალბათ ეს შორეული სიყვარულია იმისი შთამაგონებელი, რომ ასე ოსტატურად, ასეთი ჯადოქრული საოცრებით აკეთებენ ლერწმის პატარა ნაჭერს.

სად ისწავლა მან უსულო ლერწმის ასე საოცრად ამღერება? რა თქმა უნდა, მთაში, მისი მასწავლებელი ხომ მთის ეს მომაჯადოებელი ბუნებაა, ეს ცამდე აწვდილი ყინულოვანი გვირგვინით თავდამშვენებული მთებია, სადაც რაფიელ ერისთავისა არ იყოს:

„ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერიც
გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი“...

და განა ამის შემდეგ გასაკვირია, რატომ კვნესის სალამური ისე, რომ ადამიანს სულში და გულში სწვდება?

ო, რა დიდია ხალხის შემოქმედება, რამდენი საოცრებით აღსავსე წრფელი და ნათიფი გრძნობებია იქ ჩაქსოვილი. რაღა გასაკვირია, რომ ხალხური შემოქმედების ყოველი ლექსი სალამურის იგივე გრძნეული ჰანგი, მისი ყოველი სიტყვა მთიდან მონაბერ ნიაფსავით სასიამოვნო და საამური! ამ შემოქმედებაში ყოველი ბალახი, ყოველი მცენარე, ყოველი ფრთოსანი ადამიანის ენით ლაპარაკობს, ლამაზი, მხატვრული ენით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ შთაბერა მას სული.

და ეს მესალამურე მწყემსიც ხომ ამ მთების შვილია, მთამ შობა და ძუძუ აწოვა, მთამ გაზარდა და დაავაჟვაცა, მთამ შთაუნერგა მას გმირული სული და მისცა კეთილი, მოსიყვარულე გული. ის ბუნებით პოეტია, ბუნებით შემოქმედი.

— რა მშვენიერია! ყველა ასე კარგად უკრავს სალამურს? — შევეკითხე გეგურას.

— ბევრი უკეთესიც გვყავს, — მიპასუხა მან, ეს ახალგაზრდა მწყემსია, სულ რაღაც სამი წელიწადია რაც ცხვარში დადის. უწინ ჩვენი ერთადერთი გასართობი სალამური იყო, ახლა კი ნუ გაიკვირვებთ თუ მაღალ მთაში, ჩვენს ბინაში რადიომიმღებსაც ნახავთ. ჩვენ ვისმენთ ყველა ახალ ამბებს. გაზეთებსაც ვღებულობთ, მაგრამ ვიდრე მივიღებდეთ, რადიოს საშუალებით უკვე ვიცით რა ხდება ქვეყანაზე. უწინ ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

გეგურა შეჩერდა თითქოს ძველ წარსულს იგონებსო, დაფიქრდა, შემდეგ თავი ასწია, თვალებში შემომხედა, ნაღვლიანად გაიღიმა და განაგრძო.

— მე სამოც წელს გადაცილებული კაცი ვარ. ხშირად მეუბნებიან შვილები, შვილიშვილები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც და ბევრი სხვებიც, კარგი, დაისვენეო... მაგრამ განალა შემიძლიან შეველიო ჩემს საყვარელ ცხვარს, რომელთანაც თითქმის ნახევარი საუკუნე გამიტარებია? მე ახლა ხალხისათვის ვზრუნავ,

ვზრდი ახალგაზრდა მწყემსებს, ვასწავლი ცხვრის მოვლასა და პატრონობას. მართალია, ცხვარი პირუტყვია, მაგრამ ისეთი ნაზი რამ არის, რომ მას მშობლიური მოფერება უნდა. აი, მეც ყოველი ბატკანი როგორც შვილი, ისე მიყვარს. ძველ დროს, ჩემს ახალგაზრდობაში გეგუთაშვილის ცხვარს დავდევი. განთქმული კაცი იყო, დიდძალი ცხვარი ჰყავდა. ზაფხულობით თრიალეთში მიგვიდიოდა ფარები, ქაჩაღგორის ზეგანზე, ზამთრობით კი შირაქში. უთვალავი ქონების პატრონი იყო, მაგრამ მწყემსებს შიმშილით ხოცავდა. ახლა ჩექმები მაცვია, მაშინ კი ქალამანი სანატრელი იყო ჩემთვის, გუდით დავდევი ცხვარს. გუდაში დახალული ქერის ფქვილი მქონდა, როცა მომშივდებოდა ქუმელას ვიკეთებდი და იმას ვჭამდი. ხანდახან ჩვენი სარქალი დათო ჯამრძეს თუ გაიმეტებდა ჩვენთვის, ეს იყო და ეს. ჩვენს ოფლზე მდიდრდებოდა დავით გეგუთაშვილი, მაგრამ განა ის მარტო ერთი იყო? არა. მისთანა დავითები ბევრნი იყვნენ. ბევრ ჩემი ხნის კაცს ახლაც ახსოვს მაშინდელი გაჭირვება. ახლა? რა შედარებაა, ახლა ჩვენ ადამიანები ვართ, ცოცხალი ადამიანები, მაშინ კი „ბასარა“ ძაღლისაგან არავინ გვარჩევდა.

გეჯურა გაჩუმდა. კარგა მოშორებით ღრანტე ხევი იყო, ხევის პირას კი უზარმაზარი კლდე აღმართულიყო, ჩემი ყურადღება მიიპყრო კლდის ქიმზე შემდგარმა ჯიხვმა. იგი ქანდაკებასავით გაშეშებული იდგა ერთ ადგილას და სივრცეს გასცქეროდა, ბუნების ამ ლალ შვილს, იმავე ბუნების მშვენებას და სიამაყეს კისერი ისე საოცრად მოეღერებინა, თითქოს იქაურობას მბრძანებლობსო. კალმით აუწერელი სანახაობით რომ უფრო დავმტკბარიყავ, ცხენი შევაჩერე და გაშტერებული შევყურებდი ბუნების ამ ჯადოქრობას, მეშინოდა არ გადმოვარდნილიყო და არ დამტვრეულიყო კლდის წვეტიან შვერულებზე. გეჯურამ შემატყო შეშფოთება და დამამშვიდა:

— ექიმო, ნუ გეშინიათ, ჯიხვი კლდიდან არ გადმოვარდება და

არ დაიმტვრევა. ის ხომ ამ ბუნების შვილია და განა დედა თავის შვილს გაიმეტებს სასიკვდილოდ? როგორც დედა, ისე ის კლდე არ გაიმეტებს იმ ჯიხვს დასაღუპავად.

გეჯურას სიტყვებმა დამამშვიდეს, ვნანობდი, რატომ თან არ წამოვიღე ფოტოაპარატი და ბუნების ეს საოცრება არ აღვბეჭდე ფირზე. მე მაინც მოჯადოებულსავით შევცქეროდი ამ დიად სანახაობას, რაღაც მანამდე უჩვეულო გრძნობას განვიცდიდი, მაგრამ, რა მოხდა? რამ დაარღვია ეს მოჩვენება?

თოფის ხმა შემომესმა. ჯიხვმა ნახტომი გააკეთა, ჰაერშივე შეტრიალდა და თავქვე დაეშვა, მე ვიგრძენი საშინელი რამ, კლდემ, უსულგულო ქვამ არ გაიმეტა ჯიხვი სასიკვდილოდ, ადამიანის მარჯვენამ კი ბოლო მოუღო მას. ცრემლები მომადგა, თვალები დავხუჭე.

— მოგტყდეს მარჯვენა! — შევძახე მე, გავახილე თვალები ხელახლა კლდის ქიმს, მაგრამ იქ ჯიხვი აღარ იყო, ალბათ მეგონა სასწაული მოხდებოდა, ხელახლა დავინახავდი ბუნების იმ სიამაყეს, მაგრამ არა...

ჩემს ამ განცდებზე და წარმოთქმულ სიტყვებზე: „მოგტყდეს მარჯვენა“, გეჯურას გაეცინა და თავი გაიქნია.

— ექიმო წავიდეთ, იქ ავადმყოფი მიგველის.

ცხენები დავძარი. დიახ, უნდა ვიჩქაროთ, იქ ავადმყოფი მიგველის, ის არ უნდა დავანებოთ სიკვდილს.

ბინებს რომ მივუახლოვდით, უზარმაზარი ნაგაზები ყეფით შემოგვეგებნენ, მაგრად საკმარისი იყო გეჯურას ერთი შეძახილი, რომ მაშინვე მოუთვინიერდნენ და კუდების ქნევით უკანვე გაბრუნდნენ.

ვინახულე ავადმყოფი. ახალგაზრდა მწყემსი გაციებულიყო და მაღალი სიცხე ჰქონდა. გულდასმით გამოვიკვლიე. ფილტვების ანთების საშიშროება არ იყო ჯერჯერობით. საჭირო წამლები

მივეცი და მწყემსები დავარიგე როგორ უნდა მოევლოთ ავად-
მყოფისთვის. ამავე დროს დავამშვიდე, რომ საშიში არაფერი
იყო.

მწყემსები თვალეებში შემომცქეროდნენ. ჩემს სიტყვებზე დამ-
შვიდდნენ.

— რახან დეიდა ნატო ამბობს, არაფერი საშიში არ არისო, მა-
შასადამე, არც არის, — ლაპარაკობდნენ მწყემსები. მე გამეცინა.

— განა არ შეიძლება, რომ მეც შევცდე? — შევეკითხე მათ.

— ვინა? თქვენ, დეიდა ნატო? არავითარ შემთხვევაში. თქვენ
ხომ ჩვენი მფარველი ანგელოზი ხართ, ანგელოზები კი არასო-
დეს არა სცდებიან.

— არა, ყმაწვილებო, მე ადამიანი ვარ და ადამიანი კი, რაც უნ-
და სრულყოფილი იყოს იგი, ხანდახან მაინც შესცდება, მაგრამ ამ
შემთხვევაში კი დანამდვილებით გეტყვით, რომ არა ვცდები.

რამდენიმე საათს დავყავი ავადმყოფთან. მიცემული წამლე-
ბით სიცხემ საგრძნობლად დაუწია და მეც დავმშვიდდი. ვიცოდი
ამ ბრგე და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდას ასეთი რამ ვერაფერს
დააკლებდა, მაგრამ მაინც რამდენიმე დღით ადგომა და ცხვარში
სიარული ავუკრძალე.

წამოსვლა დავაპირე. მწყემსები წინ აღმიდგნენ.

— როგორ, დეიდა ნატო, უპურმარილოდ როგორ გაგიშვებთ
აქედან ისეთი შიშხინა მწვადები მზადდება, რომ თითებსაც თან
ჩააყოლებთ.

— არა, ყმაწვილებო, დრო არ ითმენს, იქაც მელოდებიან ავად-
მყოფები.

— იქ სხვა ექიმებიც ბევრნი არიან, მოუვლიან როგორმე, — შე-
მომძახა ერთმა.

— ჩვენ კი გაგიშვებთ, დეიდა ნატო, მაგრამ ამ ხბოსტოლა ნა-
გაზებს სად წაუხვალთ? სულერთია ესენი არ გაგიშვებენ.

— განა ასეთი საძაგელი ძაღლები გყავთ?

— საძაგელიო? იცით, რომ ჩვენზე უკეთ ეს ძაღლები უვლიან ფარებს! საკმარისია ფარას ცხვარი ჩამორჩეს, რომ ძაღლი მასთან გაჩნდება და თავს არ დაანებებს, ვიდრე არ მოიყვანს. აგერ იმ „ბასარას“ რომ უყურებთ, ოთხი მგელი ჰყავს დაგლეჯილი.

ლაპარაკით ისე შემიყოლიეს, რომ სადილი უკვე მზად იყო. მიმიწვიეს. მშვენიერი შიშხინა მწვადებით გამიმასპინძლდნენ. მწყემსებში მელანოს ვაჟი, რეზო წიკლაურიც შევამჩნიე. მე ხომ ვიცნობდი მას, დედასთან რომ ჩამოდიოდა ხოლმე ლომისში, რამდენჯერმე მენახა. მას მარჯვენა ხელი კისერზე ჰქონდა ჩამომული.

— რეზო, გამარჯობა. ხელზე რა მოგივიდა? იტკინე? — შევეკითხე მე შემოფოთებულმა.

— ჰო, მოვიტეხე, — მიპასუხა.

— მოიტეხე? რამ გადაგრია, ბიჭო, მარჯვენა ხელი მოიტეხე და ასე არხეინად ლაპარაკობ? ნაღრძობი გექნება, მოდი გაგსინჯო.

— დეიდა ნატო, თქვენ მომტეხეთ მარჯვენა და თქვენვე გინდათ მიმკურნალოთ?

— დღეს დილით ცხენით რომ მოდიოდით და მე მომადახეთ „მოგტყდეს მარჯვენა“, აი მეც მომტყდა, თქვენი სურვილი შემისრულდა.

— რას სულელობ, მე როგორ მოგტეხდი?

მწყემსებმა სიცილი ატეხეს. გეჯურამაც ეშმაკურად გაიღიმა, რეზომ კი მარჯვენა თავისუფლად გაიქნია.

— შე ეშმაკო, შენ მოჰკალი ჯიხვი? არ შეგეცოდა?

— თქვენ რომ შიშხინა მწვადებს მიირთმევთ, იმ ჯიხვის ხორცი გახლავთ. რა მექნა, მონადირე კაცი ვარ. ჩემი ხელობა ეგ არის, ის ჯიხვი რომ არ მომეკლა, მაშინ ცხვრის დაკვლა დაგვჭირდებოდა, აბა ისე, უპურმარილოდ ხომ არ გაგიშვებდით.

გაშტერებული შევცქეროდი რეზო წიკლაურს, მართლა რანი

ვართ ადამიანები იქ, როდესაც დავინახე განგმირული ჯიხვი, თვალებზე ცრემლები მომადგა, აქ კი მის ხორცს სიამოვნებით შევექცეოდი.

რას იზამ, ასეთია ცხოვრება.

თიბათვის 22. რაშია საქმე, რატომ ამიფორიაქდა ხელახლა სული? ვერ იქნა და ვერა, ვერ დავიოკე სიყვარულის წყურვილი. თვალწინ წარმომიდგა ისევ გიორგი. გამახსენდა ჩემი სიყვარულის რიჟრაჟი. რა ბედნიერი ვიყავი. რას წარმოვიდგენდი თუ ჩემი ცხოვრების საჭე სხვა მიმართულებას აიღებდა და ტკბილი განცდები მოგონებადღა დამრჩებოდა. მაშინ სიყვარულისა და ბედნიერების ტალღებში ვცურავდი, განა ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მის მორევში მომიხდებოდა ჩაყურყუმაღავება. ისევ ჩემს საყვარელ ბარათაშვილს მივმართე:

„ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“

სწორედ ჩემზეა გამოჭრილი ეს სიტყვები. ჩემს სულისკვეთებას ისე ეფარდება, თითქოს ჩემზე იყოს დაწერილი. ნეტავი მეც ვყოფილიყავი ზეციური ნიჭით მომადლებული, მაშინ მეც დაწერდი ლექსებს, ჩემი სულის განცდებს სიტყვებში ჩავაქსოვდი და ალბათ ეს ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს მომიპოვებდა.

ვიცი, იქ, სადღაც, გიორგიც განიცდის ასეთსავე წუხილს. ვგრძნობ მის, შმაგ ლტოლვას ჩემდამი, მაგრამ განაღა შემიძლია დავუბრუნდე მას? არასოდეს, არასოდეს. ალბათ ასეთი იყო ჩემი ბედისწერა, რომ მარტოობაში უნდა გამეტარებინა ჩემი დღე და საათი.

იმითი მაინც ვარ ბედნიერი, რომ ექიმი ვარ. როდესაც რომელიმე შეწუხებულ ავადმყოფთან მიმიწვევენ ხოლმე, მის ტკივილებს მეც განვიცდი და საკუთარ გულისტკივილს ვივიწყებ წამიერად. მოსვენებას ვერ ვპოვებ უყურე მას არ დავუყურებ ტკივილებს და ფეხზე არ დავაყენებ, შემდეგ კი საკუთარ ტკივილებს ვუბრუნდები.

საკვირველია, სხვებს ვუყურებ ტკივილებს და საკუთარ ტკივილების დაყურება კი ვერა და ვერა, ვერ მომიხერხებია. რა კარგად ამბობ დიდი შოა:

„საწუთრო კაცსა ყოვლისა ვითა ტაროსი უხვდების:
ზოგჯერ მზე და ოდესმე ცა რისხვით მოიქუხდების“.

ჩემთვის ხომ შეიცვალა ტაროსი. ჩემს სიცოცხლეს ოდესღაც ცხოველმყოფელი მზე აცისკროვნებდა, შემდეგ კი ცა რისხვით მომიქუხდა, ჩემს თავზე იელვა და სეტყვა დამაყარა.

მკათათვის 18. როგორც იქნა პასუხი მომივიდა ჩემს განცხადებაზე სამინისტრომ მიიღო ჩემი თხოვნა და ყამირ მიწებზე გამგზავრების ნება დამართო. ხვალ გავემგზავრები სამინისტროში საბუთების გასაფორმებლად. წავალ ახალ ადგილზე იქნება იქ მაინც მოვუპოვო საკუთარ სულს შელავათი, თორემ ამდენმა განცდებმა იგი დამიავადმყოფეს. რა ვარ ახლა მე? რას წარმოვადგენ?

„ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მსახვრალი“...

ასე დაუწერია ბარათაშვილს ჩემი ბედის დავთარში. ასეთი ვარ, დიახ ასეთი, ჩავალ ქალაქში, ვნახავ ჩემს საყვარელ ადა-

მიანებს: დედიკოს და ძმას. ისინილა დამრჩენ ამ ქვეყანაზე. მართალია ყოველ წერილში საყვედურებით მავსებენ, მირჩევენ შერიგებას, ვერ გაუგიათ ჩემი სულის მდგომარეობა, თავისებურად ესმით მათ, მაგრამ მაინც ისინი არიან ჩემი ერთადერთი გულშემატკივრები. თუ მირჩევენ შერიგებას, ამასაც ჩემი სიკეთე ალაპარაკებთ, ჰგონიათ, რომ მე თუ დავუბრუნდი ცხოვრებას, გატეხილი გული გამიმრთელდება. იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ მე განსაკუთრებული მოდგმის ადამიანი ვარ, რომ მე ეს რაღაც უბრალო, ბრიყვული, შეუგნებელი თავმოყვარეობით კი არ მომდის, არამედ იმით, რომ ჩემი რწმენა შეიბღალა. მე განა ვცხოვრობ? არა, მე მხოლოდ ვცოცხლობ. სიცოცხლისათვის კიდევ და გამოსადეგი, ცხოვრებისათვის მე დიდი ხანია მკვდარი ვარ.

მკათათვის 25. მიუხედავად სანატორიუმის ხელმძღვანელობის კატეგორიული წინააღმდეგობისა, მაინც გავაფორმე ჩემი წასვლა ყამირ მიწებზე. მაგრამ რა დამემართა გზაში? აღარ ვიცი ვის ვენდო, ვის გავუზიარო ის, რისი მოწმეც გავხდი.

ნაშუადღევს რაიონიდან სანატორიუმში ვბრუნდებოდი მანქანით. გზაში ვიღაც მოხუცი გადმოგვიდგა და ავტომანქანა გააჩერა.

— ამხანაგო, — მიმართა მან მანქანის მძღოლს, — ლომისში ხომ არ მიდიხართ?

— დიახ, — უპასუხა მძღოლმა, — რა გინდათ, ძია თედო.

— ვინა ხარ, შვილო, ან რა იცი ჩემი სახელი? — ჰკითხა მას მოხუცმა.

— მე გიცნობთ, თქვენ ხომ მეწისქვილე ხართ, ჩემი ამხანაგის, სანდრო ყარაშვილის ბიძა. მე ვყოფილვარ თქვენთან წისქვილში, თქვენ აღბათ არ გახსოვართ.

— არა, შვილო, რაღაც არ მაგონდება ღმერთმა დასწყევლოს სიბერე. კაცი რომ დაბერდება, მთლად გამოჩერჩეტდება ხოლმე.

ჰოდა, აი, რაშია, საქმე, სასწრაფოდ ექიმი მჭირდება. ერთი ავად-
მყოფი მიწევს იქ, წისქვილში და არ ვიცი რა ვუყო, არაფერი და-
ემართოს, ის ჩემი ცოდვით სავსეს და მერე ხათაბალას არ გადა-
ვეკიდო.

— ვინ არის? — დაინტერესდა მძღოლი.

— ეშმაკი და ქაჯი, რა ვიცი, ვინ არის. დღეს დილით ვიღაცეები,
სამნი მოვიდნენ, ეტყობოდათ ჩვენებურები არ იყვნენ. ტურისტე-
ბი ვართ, ტურამ შეჭამოს მათი თავი. რუსულად კარგად ლაპარა-
კობდნენ, ახლა ცოტაოდენი რუსული მეც მახსოვს, სალდათობა-
ში მაქვს ნასწავლი ნიკალაის დროს. აქ ჩამოსულან, ციხეები უნ-
და დავათვალიეროთო. აი იმ მთაზე, კაჭკაჭის კალოს რომ ეძახი-
ან, იქ რომ კოშკია, ის დაეთვალიერებინათ და ერთი მათგანი, ის
ჩემი ცოდვით სავსე, ავად გამხდარიყო, მაინცდამაინც ჩემთან ჩა-
მოათრიეს ის ღმერთგამწყრალი, ამასო აქ დავტოვებთ, მოუ-
არეო, ფულს გადაგიხდით, წავალთ, მაშინას მოვიყვანოთ და
თავს აღარ შეგაბებრებთო. მეც, შენ ხარ ჩემი ბატონი, აბა რაღა
უნდა მეთქვა? ადამიანები ვართ, ვუთხარი: დასტოვეთ-მეთქი,
მართალია დატოვეს და წავიდნენ. იმ რჯულზე ხელაღებულს აკი
მართლა უარესი და უარესი არ დაემართა? სიცხე აქვს, აბოდეbs.
რა ვიცი, კაცო, აქ ფეხები არ გაფშვიკოს და ამ დროულ კაცს საციმ-
ბიროდ არ გამიხადოს საქმე.

— თედო ძია, რაღა შორს მიდიხარ ექიმისათვის, აგერ აქ არა
მყავს ექიმი?

— მართლა ექიმი ხარ, შვილო? — მომმართა მე მოხუცმა,
თქვენ გიშველათ ღმერთმა. წამოდი, აგრემც ღმერთი შეგეწევა,
გასინჯე ერთი ის უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული, იქნებ უშ-
ველო რამე.

მე რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ვუთხარი მძღოლს წისქვი-
ლისაკენ წასულიყო. გზატკეცილიდან ნახევარი კილომეტრის

მანძილზე, მდინარის პირას, წისქვილი იყო. წისქვილის გვერდით პატარა ოთახი იყო მიშენებული, მეწისქვილემ იმ ოთახში შემიყვანა. თან დუდუნებდა: „ის ურჯულოები ამხანაგს ტოვებენ, თითქოს აქ მე „ბალნიცა“ მქონდეს გამართული. აბა ჩვენიანი ხომ არ იზამდა ამას?“ ლოგინზე ვიღაც უცნობი იწვა. მაღალი სიციხე ჰქონდა, ბოდავდა, მე გავსინჯე, საშიში არაფერი იყო, მაგრამ ერთმა ამბავმა დამაინტერესა. ავადმყოფი ავაზაკურ ჟარგონზე ბოდავდა. აი მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები: „ყვავი თხილის ნაჭუჭში ჩაეთია... აბანოდან ყველაფერი გააქრო... ჩვრები რა საჭიროა... საჭიროა დამღერება... იმის სისხლსაც დავლევ... არ შევარჩენ... ოქროები... ბელურა გააფრინეს... კამეჩი მალე დაიბლავლებს...“ დანარჩენი სიტყვები ველარ გავარკვეე. ცხადია, არავითარი ტურისტი იგი არ არის. ინსტინქტი მიკარნახებს ავაზაკურ ჟარგონზე უნდა ლაპარაკობდეს. ასეთი ლაპარაკი რომ წინათაც მსმენია ავადმყოფ პაციმრებისაგან, როდესაც ომის დამთავრების შემდეგ დროებით ციხის საავადმყოფოში ვმუშაობდი. მახსოვს, როდესაც მათ შევეკითხე, გაიცინეს და ზოგიერთი სიტყვების მნიშვნელობაც კი ამიხსნეს.

— რას ბურტყუნებს, ექიმო, ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი? — შემეკითხა მეწისქვილე.

რა ვქნა, ვუთხრა, გავუზიარო, ამის თქმა არავისთან არ შეიძლება, ამით ჩემს თავს გავცემ მხოლოდ.

— აბა რა ვიცი რას ამბობს, — ვუპასუხე მეწისქვილეს, — თითქოს ქართულია და არც ქართული, სიცხიანისას რას გაიგებს კაცი?

მეწისქვილემ რაღაც ეჭვის თვალით შემომხედა, თითქოს არა სჯერა ჩემი ნათქვამი“...

ზურაბ ლომაური დაფიქრდა. მეწისქვილე თედო, სანდრო ყარაშვილის ბიძა ყოფილა, იმ სანდრო ყარაშვილისა, რომელიც

ავაზაკთა ბრბოს აქტიური წევრი იყო და თავისივე დაგებულ მახეში გაება. რა თქმა უნდა, სანდრო ყარაშვილს თვითმკვლელობის სერიოზული საბაბი ჰქონდა, მას არ უნდოდა ცოცხალი ჩავარდნოდა ხელში ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინაიდან იმდენი ცოდვები ეკიდა ზურგზე, რომ სასიკეთოს არა მოელოდა დაპატიმრებით. აქაც ეს უცნაური შემთხვევა მეწისქვილესთან. ცხადია ის ავადმყოფი გაუსწორებელ ავაზაკთა ბრბოს წევრი იქნებოდა. ამ შემთხვევაში ნატო სულიაშვილის დასკვნები სავსებით სწორია.

„ვნახოთ კიდევ რას გვეტყვის დღიური“, გაიფიქრა ზურაბმა და კითხვა განაგრძო:

...„თან წამლები არ მქონდა. მეწისქვილეს ვუთხარი გამოეყოლებინა ვინმე, ან თვითონ წამომყოლოდა წამლებისათვის.

— ბიჭო, მიხა — გასძახა მეწისქვილემ.

— რა გინდა, პაპა?

— მოდი, შვილო, ექიმს გაჰყევი, წამლებს გამოგატანს.

მოვიდა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი.

— გამარჯობათ, დეიდა ნატო, — მომმართა მან.

— გაგიმარჯოს, საიდან იცით, რომ მე დეიდა ნატო ვარ?

— თქვენ ამ არემარეში ყველა გიცნობთ, გარდა პაპაჩემისა. მთლად გამოყრუვდა სიბერისაგან. სამოცდაათი წლისაა. მე კი სოფელში რამდენჯერმე მყავხართ ნანახი. რაც თქვენ სიკეთე გიქნიათ და ხალხი მოგიჩინიათ!..

— აბა, ახლა ლაპარაკის დრო არ არის. წავიდეთ, გზაში ვილაპარაკოთ, თორემ გვიანია უკვე.

მანქანაში ჩავსხედით და გავემგზავრეთ სანატორიუმისაკენ. მიხა ენაწყლიანი გამოდგა, გზაში მელაპარაკა, რომ საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესში აპირებს შესვლას, რომ მამამისი პატიმრობაში იმყოფება, ძარცვისათვის ოთხი წელი აქვს მისჯილი.

— უმტრეს, ავი ენების გამო ჩავარდა, თორემ მამაჩემი აგეთი კაცი არ იყო. იმა, რა ჰქონდა საერთო ბოროტმოქმედებთან! პატიოსანი, მშრომელი ადამიანი იყო.

თვითონ კი მოხუც პაპას ეხმარება წისქვილში. აი, ახლაც, პაპამ რომ დაუძახა, ის თურმე რუს ასწორებდა.

სანატორიუმში წამლები მივეცი და გამოვისტუმრე. მძლოლმა თვალი გააყოლა მიხას და მე მომიბრუნდა.

— თქვენ, დეიდა ნატო, გჯერათ რამე მაგ ბიჭისა? მაგის მამა ქვეყნის ამომგდები იყო. ყველა ავი საქმე გამოსდიოდა ხელიდან. ჯერ იყო და მსხვილფეხა საქონელს იპარავდა, შემდეგ კი შეიარაღებულ ძარცვასაც მიჰყო ხელი. ეგ მგლის ლეკვიც მამას შვილია, არც ეგ არის კეთილი სული.

— კარგად გცნობებიანთ ეგენი.

— მაგათ ვინ არ იცნობს. მაგისი მამა რომ დაიჭირეს, რაიონმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლად.

მე ახლა ერთი აზრიღა მაწუხებს. ვის გავანდო ეს საიდუმლოება? ვის ვუთხრა, რომ წისქვილში ავაზაკია თავშეფარებული. ასეთებს ალბათ ხელისუფლების ორგანოები დაეძებენ. საჭიროა რაც შეიძლება სასწრაფოდ შევატყობინო ეს ამბავი მილიციას, თორემ ხომ შეიძლება მიიმალოს?..

მკათათვის 27.

...„მე ვერ მოვახერხე წასვლა, ვრცელი წერილი დავწერე მილიციის უფროსის სახელზე. კირა ზაბორა მანქანით რაიონში მიდიოდა, და მას გავატანე. მეტი რა გზა მქონდა, ასეთი საქმე ხომ დაყოვნებას არ ითმენს! კირა დაბრუნდა და მითხრა, წერილი, მილიციის უფროსს პირადად, საკუთარ ხელში ჩავაბარეო. დავმშვიდდი. აი, როდესაც წავალ გავუვლი მილიციის უფროსს და შევეკითხები, რა ზომები მიიღო, ალბათ შესაპყრობად ყველა ზომას მიიღებდა, ეჭვგარეშეა დააპატიმრებდა, მაგრამ“...

აქ დღიური წყდებოდა. თუმცა ბოლო ფურცლები ამოხეული იყო, მაგრამ უკანასკნელი დღის ჩანაწერმა მაინც საკმარისი მასალა მისცა ზურაბს. საათს დახედა, ნაშუადღევის პირველის ნახევარი იყო, იმავე წუთს დაურეკა სამმართველოს უფროსს:

— ამხანაგო კომისარო, მოგახსენებთ პოდპოლკოვნიკი ლომაური. სასწრაფო საქმე მაქვს, გთხოვთ მიმიღოთ.

ნებართვის მიღებისთანავე ნატოს დღიურით სამმართველოს უფროსთან გამოცხადდა.

ზურაბმა დაწვრილებით მოახსენა სამმართველოს უფროსს დღიურის შინაარსი, ხოლო უკანასკნელი დღეების ჩანაწერები კი წაუკითხა.

სამმართველოს უფროსმა გულდასმით მოუსმინა ლომაურს, შემდგომ დღიური გამოართვა, პირადად გადაიკითხა უკანასკნელი დღეების ჩანაწერები, დაფიქრდა, მის გონებაში სრულიად ახალი აზრები იბადებოდა.

— დიახ, ახლა ყველაფერი ცხადია. რა თქმა უნდა, არავითარი ტურისტები არ ჩასულან, იქ მხოლოდ ის ჩავიდა, რომელიც ავად გახდა. მეწისქვილე და შეიძლება მისი შვილიშვილიც, ალბათ ავაზაკთა ბრბოს წევრები არიან. მისი უფროსი ვაჟიც ხომ ავაზაკ იყო. არავითარი წერილი კირა ზაბორას არ გადაუცია მილიციის უფროსისათვის. იგი ალბათ იმავე ჯგუფის წევრია, ის წერილი მეწისქვილეს მიუვიდა, საიდანაც შეიტყვეს, რომ ნატო სულიაშვილს კარგად გაუშიფრია, ნაბოდვარი ზედმიწევნით გაუგია, აქედან დასკვნა: ექიმი ნატო სულიაშვილი ტერორის მსხვერპლი გამხდარა.

— დიახ, საკითხს ლოგიკური განვითარება იძლევა ასეთს დასკვნას,— დაეთანხმა მას ლომაური.

— შემდეგ. მკვლეელი უეჭველად გერმან ბაზილია. ალბათ იგი იყო ავადმყოფი, რომელიც ნატომ გასინჯა და ნაბოდვარიც მოის-

მინა. ხოლო მანქანა კირა ზაბორას საშუალებით შესთავაზეს ნატოს. მათი განზრახვა იყო ექიმი ნატო სულიაშვილი არ ჩასულიყო თვით რაიონის ცენტრამდისაც კი, ვინაიდან იგი უეჭველად ინახულებდა მილიციის უფროსს და ყველაფერს ფარდა აეხდებოდა. კირა ზაბორას საშუალებითვე შეიცნეს მკვლელებმა, რომ ნატო სულიაშვილი მართო არ მიემგზავრებოდა, არამედ მას აცილებდა მისივე ყოფილი ქმარი ინჟინერი გიორგი ქურხული, მძლავრი ვაჟკაცი, რომელთანაც გამკლავება არ იქნებოდა ადვილი საქმე, ამისათვის წინასწარ მოაწყეს ისე, რომ თავიდან მოიშორეს მათთვის ხელის შემშლელი პიროვნება. მათ იცოდნენ, რომ გიორგი ქურხული გალოთებული იყო და ამ შემთხვევაში წინასწარ მოწამლულ ჭიქაში ჩასხმული არაყი გამოიყენეს.

— ყბაახვეული მამაკაცი სანდრო ყარაშვილი იქნებოდა.

— ეს ეჭვგარეშეა. ნატო სულიაშვილის საბუთებით ყამირ მიწებზე გამოცხადდა კირა ზაბორა, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მოეჩვენებინა, ვითომდა ცოცხალია ნატო სულიაშვილი, ხოლო, ვინაიდან კირა ზაბორა მხოლოდ და მხოლოდ ფერშალი ქალი იყო და ექიმის მოვალეობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებდა, ცოტა ხნის შემდეგ იქაურობას გაეცალა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გიორგი ქურხული მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი არ წასულიყო ყამირ მიწებზე და არ გამოემჟღავნებინა, რომ იქ ნატო სულიაშვილი კი არ არის წასული, არამედ სულ სხვა პიროვნება მისი სახელით.

— მე ასეთი დასკვნა ქურხულის მკვლელობაზე ადრევე გამოვიტანე და თავის დროზე მოგახსენეთ, — შეეპასუხა ზურაბ ლომაური.

— მახსოვს, ვიცი. გვამი, რომელიც აღმოჩენილი იქნა წისქვილის ახლო, ეჭვი არ არის ნატო სულიაშვილისა იყო, ის გვამი მეწისქვილის შვილიშვილმა, მიხამ, მოიპარა თავის პაპასთან შე-

თანხმებით, მათზე მოაწყეს თავდასხმის ინსცენირება რათა ამ სა-
შუალებით მეწისქვილე მშრალზე გამოეყვანათ.

— დარჩა გამოსარკვევი სამი საკითხი: საიდან გაჩნდა ნატოს
თითი უღრან ტყეში, რა მიზანი ჰქონდა წისქვილის დაწვას და სად
არის დამარხული ამჟამად ნატო სულიაშვილის გვამი, — დაუმატა
ზურაბ ლომაურმა.

— ამ საკითხებზე პასუხს მეწისქვილისა და მისი შვილიშვილის
დაკითხვა მოგვცემს. ამისათვის ახლავე გაგზავნეთ კაპიტანი ნო-
დია და ორი ოპერატიული თანამშრომელი მეწისქვილისა და მი-
სი შვილიშვილის დასაპატიმრებლად.

16

კაპიტანმა ნოდია სწორედ დროზე მიუსწრო მეწისქვილე თედოს. საოჯახო ნივთებით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა, ის იყო დაძვრას აპირებდა, როდესაც თამაზ ირემადე და კაპიტანი ნოდია ჩავიდნენ სოფელ ნატბეურში და თედოს სახლის ეზოს მიადგნენ. ისინი გაკვირვებით მიაჩერდნენ დატვირთულ მანქანებს და არანაკლებ გაკვირვებულ მეწისქვილეს, რომელიც სრულიად არ მოელოდა მილიციის თანამშრომელთა სტუმრობას.

— საით გაგიწევია, თედო ძია? — მიმართა მას მაიორმა ირემადემ, — ვერაფერი მასპინძელი ყოფილხარ, ჩვენ სტუმრად გეწვიეთ, შენ კი აქედან აყრილხარ, ალბათ გადასახლებას თუ აპირებ! დაბნეულმა თედომ ძლივს ამოილულლულა:

— რა ვქნა, არ ველოდით, თორემ ჩემი სტუმართმოყვარეობა ყველამ იცის მთელს რაიონში.

— მაინც საით აპირებ ასე, ჯალაბობით? — ხელახლა შეეკითხა მას ირემადე.

— აბა, შვილო, აქ რაღა დამრჩენია, ერთი ქავთარი კაცი ვარ,

ცალი ფეხი სამარეში მიდგია. ეს ჩემი ჯალაბიც, დღეს არის თუ ხვალ, თქვენს ჭირს წაიღებს. ერთი შვილიშვილილა დამრჩენია — მიხა, იმას სოფელში ცხოვრება არ უნდა, ქალაქისაკენ მიუწევს გული, ეს ჩემი რძალია და, შენ ხარ ჩემი ბატონი, იძახის, სადაც ჩემი შვილი, მეც იქაო. ჰოდა, აი, მეც გადავწყვიტე ქალაქში გადასახლება. ერთი წისქვილი იყო, შვილივით მიყვარდა, ვიღაცის მურდალმა მარჯვენამ დასწვა, აბა მითხარით, ამის შემდეგ აქ რაღა დამრჩენია?

— კარგი მაგრამ რა საშუალებით აპირებ ცხოვრებას? განა არ იცი რომ ქალაქად უფრო მეტი ხარჯი აქვს მას, ვიდრე სოფლად? რაც არ უნდა იყოს, სოფელში კარ-მიდამო გაქვს, ძროხა გყავს, ფრინველი დაგიდის ეზოში, კოლექტივის წევრი ხარ, იქიდანაც გაქვს შემოსავალი. აბა, ქალაქში შენთვის ხომ არ ჩამოაყალიბებენ კოლექტივს?

— ვიცი არ ჩამოაყალიბებენ, მაგრამ ქვეყანა დიდია, ღმერთი მოწყალეა, ერთ ლუკმაპურს ყველგან ვიშოვით. აი, ჩემი მიხა სამსახურში ჩადგება, ჩვენც ოჯახში დავტრიალდებით, ხელს გავანძრევთ, მშვიერი არ დავრჩებით. მოხუცებული კაცი ვარ, მთავრობა ისე არ დამტოვებს, პენსიას დამინიშნავს და იოლად გავალთ.

— მაინც, საით აპირებ გამგზავრებას?— ხელახლა შეეკითხა მაიორი ირემამძე.

— აკი მოგახსენეთ, ქალაქში-მეთქი. ჯერჯერობითი ჩემი ძმის სახლში დავბინავდები. სახლი მაინც უპატრონოდ არის მიგდებული, სულ არა იყოს რა, მოუვლით მაინც.

— რა განა შენი ძმა თვითონ ვერ მოუვლის თავის სახლს, რაღა შენი მოხმარება სჭირდება?

— აკი მოგახსენეთ, შენი ჭირიმე, სახლი უპატრონოდ არის-მეთქი მიგდებული, ის ჩემი უბედური ძმა და მისი ჯალაბი დაჭერილები არიან. სიბერემდე სიქაჩლეო, რომ იტყვიან, სწორედ ისე

დაემართათ იმ უბედურებს ვიღაცას დაუბეზღებია და ბოროტი ენების გამო დაუჭერიათ ისიცა და ჩემი რძალიც. არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა, სიმაართლე თავის გზას არ დაჰკარგავს.

— ვინ არის თქვენი ძმა? — შეეკითხა კაპიტანი ნოდია.

— ღრმადელეში ცხოვრობდა, — მოგახსენებენ გიგო ფანტიაშვილისა, ერთი ხეიბარი კაცი იყო.

— გიგო ფანტიაშვილი თქვენი ძმა არის? — გაკვირვებით შეეკითხა ხელახლა ნოდია, — კარგი და, თქვენი გვარი ხომ ხაპიაშვილია?

— ჩვენ დედით ვართ ძმები, მამები კი სხვადასხვა გვყავდა. იმისი მამა ჩემი მამინაცვალის იყო.

— მაშ ასე, არ გვღებულობ სტუმრად? რას იზამ, მაშინ ჩვენ უნდა დაგპატიჟოთ, — ჩაუნისკარტა ირემადემ.

— დამპატიჟოთ?! რა ისეთი გამოჩენილი კაცი მე მნახეთ, რომ ჩემს დაპატიჟებასაც კადრულობთ? — ეჭვით ჩაილაპარაკა მეწისქვილემ.

— ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თქვენ დაპატიმრებული ხართ.

— რათა, შვილო, რა დამიშავებია ასეთი, რომ მატუსალებთ ჩემი დღე და საათი შრომაში გამიტარებია, ერთი დღე არ მინახავს ნათელი. თუ იმას იტყვით, რომ ნაკულაკარიანო, რაც ჩვენი მთავრობა დადგა, მე სულ შრომაში ვარ და მამაჩემისათვის პასუხს მე ხომ არ ვაგებ? ის იყო და კოლექტივები რომ დაარსდა მთელი ჩემი ქონება და დოვლათი იქ შევიტანე, წისქვილი რა არის, ისიც კი არ დამიშურებია და ახლა, შვილო, ისევ მე მატუსალებთ, ამ დროულ კაცს? ნეტავი რამე მაინც დამეშავებინოს.

— რაც დაგიშავებია, მაგას იქ გეტყვით. უმიზნოდ ჩვენ ხელს არავის ვკიდებთ.

ქალებმა სცადეს წივილ-კივილის ატეხა, მაგრამ თამაზ ირემადემ წინასწარ გააფრთხილა და ჩაუკმინდა მათ ხმა.

— გამოძახებული იქნა ორი ადგილობრივი მცხოვრები და მათი თანდასწრებით დაიწყო ჩხრეკა. მანქანებიდან გადმოლაგებული იქნა ყველა ნივთი. მათში საეჭვო არაფერი აღმოჩნდა.

ნახევრად დაცარიელებული ოთახების დათვალიერება მაინც ჩაატარეს. კედლების დეტალური შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნა ოსტატურად შენიღბული ჭრილი, სადაც ორი უცხოური წყობის დამბაჩა იყო ვაზნებით, იქვე იყო რკინით შეჭედილი ყუთიც.

— ეს იარაღი, შვილო, ჩემი არ არის... — დაიწყო მეწისქვილემ, მაგრამ კაპიტანმა ნოდამ აღარ დააცადა ლაპარაკი.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ბერიკაცო, შენ ეს მითხარი, რა არის ამ ყუთში?

— მე ეს ყუთი თავის დღეში არ მინახავს. დედაკაცო, საიდან გაჩნდა ეს ყუთი ჩემს სახლში?

მეწისქვილის ცოლი გამშრალი დაჭყურებდა ყუთს და ხმა ველარ ამოიღო.

— შენ გეკითხები, დედაკაცო, ეს რა ყუთია-მეთქი?

— რა ვიცი, ქა, რა ყუთია. იმ ბიჭმა თუ შეინახა, მათემა, — ძლივს ამოიკნავლა მეწისქვილის ცოლმა.

— დედამთილო, საწყალ მათეს თავისი გაჭირვებაც ეყოფა, კაცი ცხრამთას იქით არის გადაკარგული. ახლა იმას გინდათ მოახვიოთ თავზე ყველა ცოდვები? — ველარ მოითმინა რძალმა.

ვინაიდან ყუთის გასაღები არავინ გამოაჩინა, თამაზ ირემადე იძულებული შეიქმნა ყუთი გაეტეხა. ყუთში ბლომად ძვირფასი ნივთები ელაგა. მათში ნატოს ძვირფასთვლიანი ბეჭედი და მისივე წერილი, რომელიც მან გაგზავნა კირა ზაბორას ხელით რაიონის მილიციის უფროსის სახელზე ლომისის სანატორიუმიდან.

კაპიტანმა ნოდამ ნატოს წერილის ამბავი უკვე იცოდა. წამოსვლის წინ ზურაბ ლომაურმა დაწვრილებით გააცნო მას საქ-

მის ვითარება და ახლა ეს წერილი იშვიათი მამხილებელი საბუთი იყო მეწისქვილის წინააღმდეგ.

— მაშ ასე, ოჯახის წევრებმა არ იცით ვისია ეს ყუთი და იქ აღმოჩენილი ნივთები და წერილი? — ჩააცვივდა ნოდია.

— აბა, რა ვიცი. მე დღე და ღამე წისქვილში ვეგდე და სახლში რა ხდებოდა. განაღა მეკითხებოდა? დედაკაცო, შენ გეკითხები, საიდან გაჩნდა-მეთქი ეს ყუთი ჩვენს სახლში? — მაინც ცდილობდა თავის დაძვრენას მეწისქვილე თედო, — იქნებ იმ სულძაღლმა მოიტანა და შეინახა.

— ვინ სულძაღლმა, ჰა, რას ამბობ? — კუშტად შეხედა დიასახლისმა თავის ქმარს.

— ვინა და, შენმა დისწულმა, სანდრომ. უკუღმართ გზაზე დადიოდა და აკი უკუღმართადვე წაუვიდა საქმე.

კაპიტანმა ნოდია და მაიორმა ირემადემ ერთმანეთს გადახედეს. ისინი მაშინვე მიხვდნენ, რომელ სანდროზე იყო ლაპარაკი. რა თქმა უნდა მანქანის მძღოლი სანდრო ყარაშვილი ჰყავდათ მხედველობაში.

— შეიძლება იმანაც შეინახა, აბა რა ვიცი, დუდუნებდა დიასახლისი.

— სანდრო ყარაშვილი შენი დისწული იყო? — შეეკითხა ირემადე.

— ჩემი ცოლის დისწული იყო ის ადრე და მალე ჩასაძაღლებელი ისა! — დიასახლისის მაგივრად უპასუხა მეწისქვილემ, — ცოცხალი იყო, მისგან მოსვენება არ მქონდა, ჩაძაღლდა და მაინც ვერ გადავრჩი მისგან უსიამოვნებას.

ნოდიაც და ირემადეც კარგად ხედავდნენ, რომ ახლა მეწისქვილესა და მისი ცოლის თავის დასაძვრენ ხვრელებს დაეძებდნენ. რა თქმა უნდა, არც ერთს მათგანს არ სჯეროდა ის ამბავი, რომ თუნდაც ის ყუთი სანდრო ყარაშვილისა ყოფილიყო, არ შეიძლება არ სცოდნოდა ოჯახის წევრებს რა იყო შენახული ყუთში.

ნატო სულიაშვილის მკვლელობას უკვე აეხადა ფარდა. უკვე ცხადი იყო, რომ მთელი იმ სოფლების საყვარელი ექიმი, დეიდა ნატო, ამ საზიზღარ ადამიანების მსხვერპლი გამხდარა.

— კარგი, მერე გამოვარკვევთ ვისია ყუთი და ნივთები, რომლებიც ყუთში ალაგია, — ხელახლა მიმართა მეწისქვილეს მაიორმა ირემაცემ, — ახლა საქმეს ნუ გაგვიჭიანურებთ და გულახდილად გვითხარი, სად წაიღეთ ექიმ ნატო სულიაშვილის გვამი?

ექიმ ნატო სულიაშვილის გვამის ხსენებაზე დამსწრე სოფელებმა ყურები ცქციტეს.

— უფროსო, — შეეკითხა ერთი მათგანი მაიორ ირემაცეს, — ჩვენ გავიგეთ, რომ დეიდა ნატო ყამირ მიწებზე წავიდაო...

— დიახ, წავიდა, მხოლოდ იქ, საიდანაც აღარ დაბრუნდებიან, უპასუხა მას ირემაცემ, — თქვენ იცნობდით ექიმ ნატო სულიაშვილს?

— იმას ვინ არ იცნობდა, ციდან მოფრენილი ანგელოზი იყო! განა ამ არემარეში არის სოფელი, რომ დეიდა ნატო არ სცნობებოდა? ყველა დეიდას ეძახდა, დიდიც და პატარაც. ჩემი შვილიც იმან გადაარჩინა სიკვდილს.

მეორე დამსწრე გაშტერებული უსმენდა ამ ლაპარაკს, ბოლოს კი ვერ მოითმინა, მივარდა მეწისქვილეს და ყანყრატოში წაავლო ხელი.

— აქვე დაგახრჩობ, შე სულძაღლო შენა! ახლავე მთელ სოფელს შევყრი და დედაბუდიანად ჩაგაქვავებთ იცოდე!

— დაანებეთ თავი, თქვენ აქ დამსწრედ ხართ გამოძახებული და არა მსაჯულად, — მოაშორა მეწისქვილეს დამსწრე გლეხი კაპიტანმა ნოდამ.

მოირბინეს სოფლის საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა.

არავის არ სცოდნოდა ნატოს სიკვდილი, ძნელი წარმოსადგე-

ნი იყო ისეთი გლეხკაცის გამოჩენა, რომელიც ხელს ასწევდა დე-
იდა ნატოზე, მხოლოდ კოლმეურნეობისა და სოფლის საბჭოს
თავმჯდომარეებმა, რომლებიც ოდესღაც ალმაცერად უყურებ-
დნენ მეწისქვილე თედოს, დაიჯერეს ამ ტრაგედიის საშინელება.

მეწისქვილე თედო ერთ ხანს გარინდული იდგა, შემდეგ
ღრმად ამოიოხრა, ჯიბეზე იტაცა ხელი და ვიდრე უკანვე ამოიღებ-
და კაპიტანი ნოდია გადაუხტა და ორივე ხელი გაუკავა. როდესაც
დამუჭებული მარჯვენა გაუხსნეს, იქ საწამლავი ამპულა აღმოჩ-
ნდა.

— არ გიშველის ესენი, — მიაძახა მას კაპიტანმა ნოდია. — გვი-
ანდაა ახლა. თქვენ ჯერ კიდევ საჭირო ხართ ჩვენთვის.

— კარგი, ასე იყოს, — ჩაიწკმუტუნა მეწისქვილემ ნაცემი ძაღ-
ლივით, — მობრძანდით.

ეზოში პატარა ბაკი იყო, სადაც საქონლის ნაკელის ზვინი იდ-
გა. მეწისქვილემ თითო გაიშვირა და წარმოსთქვა:

— აი აქ...

ნოდია და ირემადემ ორი მოწმის, თავმჯდომარეებისა და მან-
ქანების მძღოლთა დახმარებით გადაანგრირეს ნაკელის ზვინი და
იქიდან ამოთხარეს ხის უბრალო ყუთი, რომელშიც აღმოაჩინეს
ტომარაში ჩადებული გვამი.

იმის შიშით, რომ სოფლელებს თავი არ მოეყარათ, სასწრა-
ფოდ გააფორმეს აქტი. ბინა დალუქეს, სოფლის საბჭოს თავ-
მჯდომარეს ჩააბარეს, გვამი მანქანით გაგზავნეს და დაბრუნდნენ
რაიონში.

კაპიტანმა ნოდია ტელეფონით დაუყოვნებლივ აცნობა ზუ-
რაბ ლომაურს ჩატარებული ოპერაციის შედეგი და მიიღო გან-
კარგულება სასწრაფოდ გადაეყვანა თბილისში პატიმრები და
გადაეტანა გვამი.

თუმცა გვამი ხრწნის პროცესში იყო, განსაკუთრებით სახე,
მაგრამ მაინც შეიქნა შესაძლებელი სახის სრული აღდგენა და

სურათის გადაღება. დადასტურდა, გვამი ნამდვილად ეკუთვნოდა ექიმ ნატო სულიაშვილს.

მეწისქვილე თედოს მეტი რაღა გზა ჰქონდა, რომ სიმართლე არ ელიარებინა. მისთვის ხომ ყველა გასაძვრენი ხვრელი უკვე დახშული იყო! მეწისქვილე თედო ხაპიაშვილი ოდესღაც ნაკულაკარი, საკუთარი წისქვილის მფლობელი, ხოდაბუნების პატრონი, წარმოშობით თუმცა გლეხი იყო, მაგრამ მთელი სოფლის ბატონ-პატრონად იყო მოვლენილი, სოფელ ნატბეურში კი არა, მთელს რაიონში იშვიათია იმისთანა არა თუ გლეხი, არამედ ნათავადარი და ნააზნაურალიც კი, რომ, მისი ფული არა მართებოდა და მასზედ არ ყოფილიყო დამოკიდებული, და აი, მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება და ეს ბობოლა კაცი ძირს განერთხა, ფეხქვეშ დაუვარდა თავის ნამოჯამაგირალებთ.

შეიქმნა ახალი ცხოვრება. თავისუფლად ამოისუნთქეს და ადამიანურ ცხოვრებას შეუდგნენ უწინ ჩაგრულნი და ტვირთმძიმენი. მეტი რაღა ღონე ჰქონდა თედო ხაპიაშვილს, რომ არ აჰყოლოდა ცხოვრების ახალ ზვირთებას. იგი გრძნობდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამოეცალა ხელიდან ის, რაც მას და მის მამა-პაპას მოხვეჭილი ჰქონდათ ძველი ცხოვრების საშუალებით, რომ ის ძველი ცხოვრება წავიდა, დასამარდა და მისი უკან დაბრუნება აღარავითარ ძალ-ღონეს აღარ შეეძლო. იცოდა ეს კარგად თედომ და იმის ცდაშიღა შეგუებოდა ახალ გარემოებას, გამოენახა მასთან საერთო ენა. რა თქმა უნდა, გულს ვერ გაუსწორებდა. და აი, მან ქურქი გამოიცვალა, ყველაფერს დასთმობდა, ოღონდ წისქვილი არ დაეკარგა. აკი ამიტომაც, თავისივე პირადი ნება-სურვილით, ყველაფერი, კოლექტივში შეიტანა, არაფერი არ დაიშურა, წისქვილიც კი. მაგრამ მოახერხა იმავე წისქვილში დაეტოვებინათ მეწისქვილედ. მას მეტი არაფერი უნდოდა, წისქვილის შემოსავლის უდიდესი ნაწილი ისე ოსტატურად

მიდიოდა მის საკუთარ ჯიბეში, რომ ვერავინ ეჭვსაც კი ვერ მიიტანდა.

ეს კიდევ არაფერი, მან წისქვილი ავაზაკებისა და ბოროტმოქმედთა ბუნაგად აქცია. ამ საქმეში მას ხელს უწყობდა მისი ვაჟიშვილი მათე, რომელიც დაკავშირებული იყო უფრო მსხვილ ავაზაკებთან თავისი სიმამრის, ქოსა ყაზარას და ბიძის, გიგო ფანტიაშვილის საშუალებით.

მაგრამ გამართლდა ძველი თქმულება, კოკა მუდამ წყალს არ მოიტანსო. მისი შვილი მათე ხაპიაშვილი ჩავარდა. არავინ გასცა თავისი თანამონაწილეთაგან, ყველა დანაშაულებანი თვითონ იკისრა, ოცი წლით პატიმრობა მიიღო და ამჟამად სასჯელს შორეულ აღმოსავლეთში იხდიდა.

როდესაც სამამულო ომი დაიწყო, თედოს იმედი ჩაესახა გულში, რომ ისევ დაბრუნდებოდა ძველი დრო და ცხოვრება, ისევ გაბატონდებოდა სოფლად. ცხოვრების მწვერვალზე მოექცეოდა.

მაგრამ ნილაბი უცბად როდი ჩამოიხსნა, ჯერ კიდევ ელოდა თავისი დღის გათენებას, მაგრამ ამას არავის არ უმჯლავნებდა, ჯერ კიდევ უბრალო მეწისქვილე იყო, ხალხს უკვე თითქმის დავიწყებოდა მისი ბობოლობა. მან შესძლო ხალხის ნდობის მოპოვება, მასზედ უკვე ეჭვი აღარავის აღარ ჰქონდა, იგი საბჭოთა ადამიანად მიაჩნდათ, ყველას ეგონა, რომ განიწმინდა ძველი ცოდვებისაგან, რომ ამჟამად პატიოსანი მშრომელია, რომელიც არ იშურებს თავის ძალ-ღონეს ხალხის საკეთილდღეოდ. პირიქით, სამამულო ომის პერიოდში იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოვიდა მოწოდებით, რათა ფული შეეგროვებინათ, ამ ფულით თვითმფრინავი შეეძინათ და ფრონტზე გაეგზავნათ. რამდენიმე ათასი მანეთის ობლიგაციებიც შეიტანა თავდაცვის ფონდში. ერთი წლის განმავლობაში რაც კი შრომადღეებზე განაწილებული პური ეკუთვნოდა, ფრონტზე გაგზავნა. ამითი დიდი ავტორიტეტი და ნდობა მოიხვეჭა. ყველა ამის შემდეგ ვინ წარმოიდგენდა, რომ

ეს „უმწიკვლო და პატიოსანი, ერთგული და გულმართალი პატრიოტი“ სამშობლოსა და ხალხის საწინააღმდეგო საქმეს ჩაიდენდა? რა თქმა უნდა, არავინ. და ეს იყო მიზეზი, რომ მან თავისუფლად მოაწყო წისქვილში ავაზაკებისა და ხალხის მტრების ბუნაგი. ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცოდა.

მტერი ჩრდილო კავკასიას მოადგა, მაგრამ მაინც ფრთხილად იყო მეწისქვილე თედო. მაინც ერთგული მამულიშვილის და პატრიოტის როლში გამოდიოდა, თუმცა დღიდან დღეზე, საათიდან საათზე ელოდა საბჭოების დამხობას და ძველი ცხოვრების აღდგენას.

მაგრამ არა, არ გამართლდა მისი იმედი. არცთუ ისე ადვილი შეიქმნა საბჭოთა მშრომელების მონობის უღელში შებმა. არცთუ ისე იოლი გამოდგა შრომითა და ბრძოლით, ოფლითა და სისხლით მოპოვებულის წართმევა.

მეწისქვილე თედოს ადრევე გადაუწყდა იმედი, როდესაც ფაშისტებმა პირი დასავლეთისაკენ იბრუნეს და მოჰკურცხლეს, მაშინვე მიხვდა, რომ ყოველგვარი იმედი დაკარგული იყო, მაგრამ რას იზამდა? ხალხმა ხომ არ იცოდა, რომ მის წისქვილში ავაზაკების ბუნაგი იყო მოწყობილი, რომ მის სარდაფში თავს იყრიდნენ ნაძირალები. ხალხმა ხომ არ იცოდა, რომ მისი გული არა და არა, არ იყო განსწორებული, რომ ის მტერი იყო ახალი ცხოვრებისა და მტრადვე დარჩა, გაუსწორებელ მტრად. არა, ხალხმა ეს არ იცოდა, ხალხმა იცოდა მხოლოდ ის, რომ იგი მგზნებარე პატრიოტის როლში გამოდიოდა, თავდაცვის ფონდში თავისი წვლილი შეიტანა. თვით უკანასკნელი ლუკმაც კი არ დაიშურა და მთელი წლის ნამოღვაწარი, რაც კი მას ეკუთვნოდა კოლმეურნეობიდან, ფრონტს შესწირა, ქვეყნის განთავისუფლებას შესწირა, ეს იცოდა ხალხმა.

გავიდა წლები. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. თედოს ავტორიტეტი გაიზარდა სოფელში. მის სიტყვას ანგარიშს

უწევდნენ, მას ფასი დაედო, ის ხალხის მეგობრად ითვლებოდა, დიდი საბჭოთა ოჯახის პატიოსან წევრად. ერთგულ მამულიშვილად. ვიღას შეეძლო ხმა ამოედო და ეთქვა, რომ ის ნაკულაკარია, რომ ის არ იყო მუდამ ხალხთან ერთად, მან ხომ დიდი სამამულო ომის წლებში ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა პატიოსანი ადამიანის მოვალეობა, მართალია ფრონტზე არ ყოფილა, თოფით ხელში არ გაუნადგურებია მტერი, მაგრამ რა, განა მისი მამულიშვილური დახმარება ფრონტისადმი ხელს არ უწყობდა მტერზე გამარჯვების საქმეს?

როცა მისი შვილი, მათე, დანაშაულზე წაასწრეს და შეიპყრეს, ხალხმა თქვა: „მამა შვილზე პასუხს არ აგებს, ვინც ჩაიდინა დანაშაული, მანვე ზღოსო“. თედო გულში ძალიან განიცდიდა შვილის გადასახლებას, მაგრამ ცხადლივ ამას როგორ გაამხელდა.

— შემარცხვინა, თავი მომჭრა იმ ძაღლმა, მამაძაღლმა! — ხშირად ამბობდა ის ხალხში, — მე განა ასეთი შვილი უნდა მყოლოდა?

მაგრამ ხალხი ამშვიდებდა და ეუბნებოდა.

— შენ რა შუაში ხარ, თედო, თუ ის ბიჭი გზას გადასცდა, შენ რა უნდა ქნა? შენ ხომ არ შეაგულიანე. რას იზამ, არ მომხდარიყო კარგი იყო, მაგრამ, რახან მოხდა, შენი რა ბრალია? ჩვენ გინობთ რა ადამიანიცა ხარ, ნეტავი შენისთანა ბევრი იყოს ამ ჩვენს სოფელში.

მეწისქვილემ ბუნაგის არსებობა, შვილის დაპატიმრების შემდეგ დროებით შეაჩერა. მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინ მისი ძველი მეგობარი, გერმან ბაზილი ხელახლა ეწვია „სააგარაკოდ“, როგორც თვითონ განუცხადა. იგი ივლისის ბოლო რიცხვებში, სრულიად მოულოდნელად მოევლინა თედოს, მოინახულა თავისი ძველი თანაშემწე სანდრო ყარაშვილი, ძალიან შეაწუხა თედოს შვილის დაპატიმრების ამბავმა. მაგრამ დახე ბედს, გაცივდა, ავად გახდა და საჭირო შეიქნა ექიმის მოწვევა. შემთხვევით

ნატო სულიაშვილი მოხვდათ ხელში, ექიმი, რომელმაც კარგად გაიგო და გაშიფრა ავადმყოფის ნაბოდვარი, ყველაფერს მიხვდა. როდესაც გერმანი მეორე დღეს გონზე მოვიდა. სიცხემ დაუკლო და უთხრეს, რომ იგი სიცხიანი ბოდავდა და ბევრი რამ ზედმეტი წამოროშა, რაც ყოველ ადამიანში ეჭვს გამოიწვევდა, მან მაშინვე გადაწყვიტა ნატო სულიაშვილის თავიდან მოცილების საკითხი, რა თქმა უნდა მოკვლის საშუალებით. დაინიშნა მეთვალყურეობა კირა ზაბორასი და სანდრო ყარაშვილის საშუალებით. გერმანი დარწმუნებული იყო, რომ ნატო სულიაშვილი თუკი მიხვდებოდა მის ნაბოდვარს, ლომისში ვერავის ვერ გაანდობდა ამ დიდ საიდუმლოებას, ამავე დროს, კი ეცდებოდა როგორმე ეცნობებინა ხელისუფლების ორგანოებისათვის. ალღომ არ მოატყუა, ორიოდ დღეც არ იყო გასული, რომ ნატო სულიაშვილის წერილი, მილიციის უფროსის სახელზე, კირა ზაბორამ მათ მოუტანა. ცხადი იყო, რომ ნატო სულიაშვილი არ მოისვენებდა, ის ხომ რამდენიმე დღეში ყამირ მიწებზე უნდა წასულიყო და ალბათ, გზად, მილიციის უფროსს ინახულებდა, გამოჰკითხავდა მიიღო თუ არა მისი წერილი და როდესაც შეიტყობდა, რომ მას არავითარი წერილი არ მიუღია, დაუყოვნებლივ ჩაუკენჭავდა ყველაფერს. მაშასადამე ნატო სულიაშვილს რაიონის ცენტრამდეც არ უნდა ჩაეღწია, იგი გზაშივე უნდა მოეკლათ. მოკვლა თვით გერმან ბაზილმა ითავა, ხოლო დამხმარედ ამ საქმეში სანდრო ყარაშვილი აირჩია. გერმანი ამას ადვილად მოახერხებდა, ისეთ გრიმს გაიკეთებდა, რომ ნატო კი არა, საკუთარი მშობელიც კი ვერ იცნობდა მას. ის ხომ ამის დიდი ოსტატი იყო. გერმან ბაზილი ინტიმურ ურთიერთობაში იმყოფებოდა კირა ზაბორასთან და ეს უკანასკნელი პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე მასთან, მაგრამ რადგანაც, გერმან ბაზილი ერიდებოდა აშკარად გამოჩენას, ამიტომ სანდრო ყარაშვილის საშუალებით ხვდებოდა მას.

კირა ზაბორას საშუალებით დაიქირავა ნატო სულიაშვილმა

გერმან ბაზილის პირადი ავტომანქანა, მისივე საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ნატო სულიაშვილს აცილებს გზაში მისი ყოფილი ქმარი გიორგი ქურხული, მძლავრი ვაჟკაცი, რომელთანაც გამკლავება ადვილი საქმე არ იქნებოდა. ამისათვის გადაწყდა, გზაში, ნატო სულიაშვილის მოკვლამდე მოეშორებინათ თავიდან გიორგი ქურხული. მაშ ასე, გერმან ბაზილი, მანქანით მივიდოდა ნატოს ბინაზე, ხოლო სანდრო ყარაშვილი, უკან დაბრუნებისას გზაში ყბაახვეული დახვდებოდა კბილის ტკივილის მიზეზით. სანდრო ყარაშვილს თან ექნებოდა ბოთლი არყით და მოწამლული ჭიქა, რომლითაც გზაში მოწამლავდნენ და დააძინებდნენ გიორგი ქურხულს. თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო გიორგი ქურხულის მოკვლა, მაგრამ იმის შიშით, რომ იგი მხოლოდ გასაცილებლად მიდიოდა და მაშასადამე, თან არ წამოიღებდა თავის ნივთებს, ლომისში რომ აღარ გამოჩნდებოდა, დაიწყებდნენ მის ძებნას, საქმეში ჩაერეოდა მილიცია და შეიძლება ყველაფერი გამომჟღავნებულიყო. ამისათვის გიორგი ქურხულს მხოლოდ დააძინებდნენ. ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც წინასწარ იყო გათვალისწინებული. გერმან ბაზილმა მანქანით წამოიყვანა ექიმი ნატო სულიაშვილი და გიორგი ქურხული, ეს უკანასკნელ გზაში დაათვრეს და მანქანიდან გადმოაგდეს, ხოლო ნატო მოჰკლეს და მისი გვამი წისქვილში ჩამოიტანეს დასამარხავად.

მართლაც, მეწისქვილის მიერ, გვამი ისეთ ადგილას იქნა დაფლული, სადაც არავინ არ დადის, მაშასადამე მისაგნებადაც ძნელი იქნებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა, მილიციამ მაინც მიაგნო ნატო სულაშვილის გვამს და აქ უკვე საფრთხე შეიქმნა მკვლელობის გამომჟღავნებისა. მეწისქვილე მანამდისაც ხშირად ადიოდა ხოლმე გორაკზე და ათვალიერებდა უპატრონო საფლავს, ახლა რომ ავიდა, დაინახა, რომ მილიციის თანამშრომლები უტრიალებ-

დნენ მას. იღბლად მასვე დაავალეს საფლავზე თვალყურის დევნება. ღამით თედომ და მისმა შვილიშვილმა ამოთხარეს გვამი მიწიდან, წყალ-წყალ ატარეს, მიიტანეს თავიანთ ეზოში და დაფლეს ბაგში, ნაკელის ზვინის ქვეშ. შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ. თედოს ბრძანებით, შვილიშვილმა, მიხამ, ქვით თავი გაუტეხა თავის პაპას, პირში ჩვარი ჩასჩარა და ხეზე თოკით მიაკრა, რომ ამ საშუალებით თვალი აეხვიათ მილიციის თანამშრომლებისათვის. მაგრამ, დასწყევლის ღმერთი, ნეტავი საიდან მიაგნეს და გამოარკვიეს, რომ ამ საქმეში მეწისქვილე თედო იყო გარეული?

ზურაბ ლომაური გაკვირვებული უსმენდა მოხუც მეწისქვილეს და ფიქრობდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გასწორდება მგლის გული. რომ იგი ბატკნად ვერ გადაიქცევა. ამავე დროს მას ანცვიფრებდა ის ოსტატური მოხერხება, რომელსაც ათეული წლების მანძილზე სჩადიოდა თედო ხაპიაშვილი.

მაიორი ირემაძე არანაკლებ განცვიფრებული უსმენდა თედოს აღსარებას და თავის თავისათვის ვერ ეპატიებინა, რომ მის სამოქმედო ტერიტორიაზე ასეთი საშინელი ბოროტმოქმედი ბოგინობდა და მან დროზე ვერ აუღო ალღო, ვერ გამოამჟღავნა, ამ შხამიან გველს ვერ გაუსრისა თავი.

— თუ რა საზიზღარ საქმიანობას ეწეოდით საზოგადოების წინააღმდეგ, ამას ჩვენ შემდეგ დავაზუსტებთ დაწვრილებით, მითხარით, რატომ დაგჭირდათ წყალ-წყალ სიარული, როდესაც გვამი გადაიტანეთ სოფელში. თქვენს ეზოში დასამარხავად? — შეეკითხა მეწისქვილეს ზურაბ ლომაური.

— ეჭვი გვქონდა, რომ სამძებრო ძაღლს გამოიყენებდით და იმის შიშით. ყველამ იცის, რომ წყალში ძაღლი კვალს ჰკარგავს. გარდა ამისა ყოველმხრივ ვეცადეთ, კვალი აგვერია.

— ვინ დასწვა წისქვილი? — ხელახლა შეეკითხა ლომაური.

— მიხამ, ჩემი მითითებით.

— რა მიზანი ჰქონდა წისქვილის დაწვას?

— დიდი ხანია ვაპირებდი სოფლიდან აყრას და გადასახლება, ჯერ კავკავში, შემდეგ კი თბილისში გადაწყვიტე. ჩემი ძმის სახლში ვაპირებდი დაბინავებას. ჩემი ძმა ხომ დაპატიმრებულია თქვენთან და სახლი უპატრონოდ არის მიტოვებული. გადასახლების შემდეგ არ მინდოდა სოფლისათვის დამეტოვებინა წისქვილი. ის ხომ მამაჩემის აშენებულია და ჩემი ამაგიც ბევრია ჩაყრილი. ბევრჯერ ვიფიქრე მისი დაწვა, მაგრამ მეშინოდა ჩემზე ეჭვი არავის მოეთანა. აქ კი, როდესაც გვამი მოვიპარეთ და წავიდეთ, შემდეგ კი ისე მოვაწყეთ საქმე, თითქოს თავს დაესხნენ და ძალა იხმარეს ჩემზე, ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა წისქვილის დაწვისა, ისე, რომ ჩემზე ეჭვს ველარავინ მოიტანდა, თვით მილიციის თანამშრომლები იქნებოდნენ მოწმენი: როცა წისქვილი დაიწვა მე მაშინ ხეზე ვიყავი მიკრული, მაშასადამე ვერც ჩავიდენდი დანაშაულს, ამას მილიციის მუშაკებიც დამიდასტურებდნენ. გარდა ამისა, იფიქრებდნენ, რადგანაც მე ყარაულად ვუდექი გვამს, შურისსაძიებლად დასწვავდნენ წისქვილს, რომ ვითომდა ჩემთვის ლუკმაპური მოესპოთ.

— ხომ იცოდით, რომ ექიმი ნატო სულიაშვილი ხალხის საყვარელი ადამიანი იყო, მათი ჯანმრთელობის გუშაგი, რამდენი განწირული ავადმყოფი მოუბრუნებია და სიკვდილის ხელიდან გამოუგლეჯია. როგორ გაიმეტეთ მოსაკლავად? განა არ შეგეძლოთ არ მოგეკლათ, არამედ გერმან ბაზილი გასცლოდა იქაურობას და ამით დაგემთავრებინათ საქმე? — შეეკითხა მაიორი ირემადე.

თედო ხაპიაშვილმა გაკვირვებით შეხედა მას და უპასუხა:

— ჯერ ერთი, ვინ დამიჯერებდა, რომ ჩემთან მართლა ტურისტები ჩამოვიდნენ. როგორც კი ხელისუფლება შეიტყობდა, ვინც იყო ჩემი სტუმარი, თქმა არ უნდა, მაშინვე წამავლებდნენ ხელს და შეუძლებელიდა იქნებოდა თავის დაძვრენა. ესეც იქით იყოს,

თქვენ ამბობთ, რომ ექიმი ნათო სულიაშვილი ხალხის საყვარელი ადამიანი იყო, განა ეს უკვე საკმარისი მიზეზი არ იყო მის მოსაკლავად? მე ხომ უკვე გამოგიტყდით, რომ ხალხის მტერი ვიყავი, ამავე სულისკვეთებით აღვზარდე ჩემი შვილი მათე და ცოლის დისწული სანდრო ყარაშვილი. განა შეიძლება ხალხის მტერს ხალხის მეგობარი უყვარდეს და დაინდოს? უნდა მოგახსენოთ, რომ მე ძველი გიმნაზია მაქვს დამთავრებული, მთლად უცოდინარი არ გეგონოთ, ძველებს აღარ ახსოვთ ეს ამბავი, ახალგაზრდებმა არ იციან, მე კარგად ვლაპარაკობ რუსულს, უკვირთ, მეკითხებიან სად ვისწავლე, მე მათ ვეუბნები, რომ ძველი დროის ნასაღდათარი ვარ და ჯარში ყოფნის დროს შევისწავლეთ ექი. სულელებს სჯერათ. ჯარში სულ არა ვყოფილვარ. ჩემი ჯარიდან განთავისუფლება კაი დიდი ფული დაუჯდა მამაჩემს. მე რუსული გიმნაზია მაქვს დამთავრებული. თუმცა უმაღლესი განათლება არ მიმიღია, მაგრამ საერთო განვითარებით არავის ჩამოვრჩები. და აი, ეს გათვითცნობიერებული ადამიანი კოლექტივის მეწისქვილედ გადავიქეცი. ჩემი ნამოჯამაგირალი, დღეს თავმჯდომარედ არჩეული, ჩემი ბატონი და მბრძანებელი გახდა. ადამიანის ღირსების ამაზე უფრო დამცირება ვერც კი წარმომიდგენია.

— არავითარი შრომა არ არის სათაკილო.

შრომაც არის და შრომაც. მაგრამ ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და არ არის საჭირო.

— თქვენ ძალიან გულახდილი ხართ.

— დავიღალე, მომქანცა ცხოვრებამ. მე კარგად ვიცი, რომ ვერავითარი კუდის ქნევა ველარ მიშველის და ამისათვის აღარაფერს აღარ ვმაღავ. მე ხომ შემეძლო ბოლომდე წარმომედგინა ჩემი თავი უბრალო, ძველ გაუნათლებელ გლეხად უეჭველად შემეძლო და თქვენც დამიჯერებდით, ახლა კი ყველაფერი სულერთია ჩემთვის. რამდენიც არ უნდა ვიქნიო კუდი, დამსახურებულ

სასჯელს ვერ ავცდები. როდესაც სასამართლოს წინაშე წარვდგები, იქაც ყველაფერს გულახდილად ვიტყვი, არაფერს აღარ დავმაღავ. ის არ გეგონოთ, რომ მე ვინანიებდე ჩემს წარსულს, არა, რაც გამიკეთებია, შეგნებულად გამიკეთებია და უკვე გვიანდაა თითბე კბენანი. არც ვაპირებ. მე გულახდილი ვარ იმისათვის, რომ გაგრძნობინოთ თქვენ, ხანდახან როგორ სცდებით ადამიანებში. მე ყველაფერს ვლაპარაკობ ისე, როგორც იყო, თქვენ დასწერეთ, ქაღალდი ყველაფერს იტანს: სასიკვდილო განაჩენიც ქაღალდზე იწერება და სასიყვარულო მოკითხვის ბარათიც, ლანდვაც ქაღალდზე იწერება და მილოცვის წერილიც.

— როგორ ჩაუვარდა ხელში სანდრო ყარაშვილს ნატოს ბეჭედი?

— უცნაური შეკითხვაა. ნატო ცოცხალიც მათ ხელში იყო და მკვდარიც. როდესაც მთვრალი, უფრო კი მოწამლული გიორგი ქურხული მანქანიდან გადმოაგდეს, ნატომ წინააღმდეგობა გაუწია, მაშინ იყო, რომ გერმან ბაზილმა დანა დაჰკრა ნატოს და მოჰკლა. სისხლიანი დანა გიორგი ქურხულს ჩაუდეს პიჯაკის უბის ჯიბეში. სანდრო ყარაშვილმა ურჩია გერმან ბაზილს, ნატოს გვამი იქვე დაეგდოთ, რომ შთაბეჭდილება შეექმნათ ვითომ ნატო მისმა ყოფილმა ქმარმა მოჰკლა. გერმანი არ დასთანხმდა ამაზე და უპასუხა, რომ მილიცია თუკი აღმოაჩენდა გამალებულ ძეხნას დაიწყებდა ცხელ კვალზე და გვამი მკვლელის მიგნებას გაუადვილებდა.

— მაშ, კარგი, რახან ასეა, შენ გვამი ჩაიტანე წისქვილში, მე კი სოფელში გადავალ, საქმე მაქვს, თან ჩემს დანიშნულსაც ვნახავ და დილით მეც ჩამოვალ წისქვილში. — უთხრა სანდრომ.

— ბიჭო დანიშნულთან ხელცარიელი მიდიხარ, შე პირქაღლო? — შეეკითხა მას გერმანი.

— ხელცარიელი, აბა რა ეშმაკი წავუღო, როცა არაფერი მაქვს!
— უპასუხა სანდრომ.

— მოდი აქ, შე დოცლაპია, — დაუძახა გერმანმა. მან ადრევე შეამჩნია ნატოს თითზე ძვირფასი ბეჭედი, იქ ბეჭდის წამოძრობა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, თითი ბეჭდიანად მოაჭრა მოკლულს. სანდროს ჯიბეში ჩაედო და უთხრა:

— აჰა, წაუღე, ამაზე ძვირფასს რას მიუტან? ამისთანა საჩუქრისათვის უეჭველად კოცნით დაგაჯილდოებს.

გერმან ბაზილი მანქანით წავიდა წისქვილისაკენ, სანდრო ყარაშვილი კი ტყით გაემართა, რომ მოკლედ გადასულიყო სოფელში. შუა ტყეს რომ გადიოდა გაჩერდა თურმე, პაპიროსი ამოიღო და თან ბეჭდიანი თითი ამოაყოლა. თითი იქვე გადააგდო, ბეჭედი შეინახა, პაპიროსი გააბოლა და სოფლისაკენ გასწია, — მეწისქვილის ამ ნათქვამმა, იმ დიდ საიდუმლოებას თუ როგორ გაჩნდა თითი ტყეში, საბოლოოდ ახადა ფარდა. ზურაბ ლომაურს თვალები გაუბრწყინდა და კმაყოფილებით შუბლზე გადაისვა ხელი.

— ვინ ჩავიდა ყამირ მიწებზე, ნატოს საბუთებით?

— კირა ზაბორა. — უპასუხა მეწისქვილემ, — ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ნატო სულიაშვილის დაკარგვაზე დიდი განგაში ატყდებოდა. არც იმის იმედი გვქონდა რომ გიორგი ქურხული ნამდვილ დამნაშავედ იქნებოდა აღიარებული. ამისათვის აჭირო იყო ყამირ მიწებზე რამდენიმე ხნით ჩასულიყო სანდო პირი, რომ იქ შეექმნა შთაბეჭდილება, ვითომც ნატო სულიაშვილი ნამდვილად ცოცხალია. ჩვენი არჩევანი კირა ზაბორაზე მიდგა.

— რატომ რამდენიმე ხნით? — ხელახლა შეეკითხა ზურაბ ლომაური.

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ კირა ზაბორა ვერ შესძლებდა ექიმის მოვალეობის შესრულებას, ეს ჩვენთვის ცხადი იყო და ადვილად გამომჟღავნდებოდა სიყალბე, მეორე კი, ვინ იცის იქნებ იმისთანა პირს ენახა, რომელიც ადრევე იცნობდა ნატო სულიაშ-

ვილს და როდესაც მისი სახელით სულ სხვა პიროვნებას ნახავდა, მაინც ატყდებოდა განგაში. ყამირ მიწებზე ხომ აუარებელი ხალხი მიდის დასასახლებლად თუ დროებით სამუშაოდ.

— თუნდაც, მაგალითად, შესაძლებელი იქნებოდა ჩასულიყო იქ ნატოს ყოფილი ქმარი ინჟინერი გიორგი ქურხული... ჩაურთო სიტყვა ზურაბ ლომაურმა.

— არა, ჩვენ ამისი სრულებითაც არ გვეშინოდა. ჩვენ წინასწარ გვქონდა განზრახული გიორგი ქურხულის თვითმკვლელობის ინსცენირება.

— ინჟინერი გიორგი ქურხული თქვენ მოჰკალით?

— დიახ, გერმან ბაზილმა და სანდრო ყარაშვილმა მოაწყეს მკვლელობა. ეს საჭირო იყო. ნატოს წერილი გერმან ბაზილმა შეთხზა.

— სად არის ამჟამად გერმან ბაზილი?

— არ ვიცი და არც მაქვს უფლება ვიცოდე.

— გამოდის, რომ გერმან ბაზილი განსაკუთრებული ტიპის ავაზაკი ყოფილა.

— დიახ, ასეა. ბაზილისთანა ტიპებს იშვიათად შეხვდებით ცხოვრებაში. ეს ის პიროვნებაა, რომელიც ფულის გულისათვის მშობელ მამას გაუყრის გულში დანას. მისი ნიჭი და უნარი ამ საქმეში ფენომენალურია. მისი ხელში ჩაგდება ადვილი როდია. ერთად ერთი რაც მას დაღუპავს ის არის, რომ სმა უყვარს და სმის დროს, როგორც იტყვიან ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. საერთოდ კი გერმან ბაზილისთანები არა მგონია კიდევ იყვნენ, ის ერთად ერთია და განუმეორებელი. როგორც გითხარით, გერმან ბაზილის შეპყრობა ადვილი საქმე არ გეგონოთ. მაგისტანა მოხერხებული კაცი მეორე არ დაბადებულა. მთელ საბჭოთა კავშირში არ არის იმისთანა კუთხეკუნჭული, სადაც მას არ ჩაედინოს დანაშაული, იცნობს მთელ ბოროტმოქმედთა წრეს. მისი სიტყვა კანონია ყველა კვალიფიციური დამნაშავისათვის ის

ჩვენთან გერმან ბაზილის სახელით არის ცნობილი, იქ კი, სადაც ამჟამად იმყოფება, ვინ იცის რა სახელსა და გვარს ატარებს ის ხომ ნამდვილი არტისტია და შეუდარებელიც.

— სად არის ამჟამად თქვენი შვილიშვილი მიხა?

— არ ვიცი, როგორც კი ჩემს დაპატიმრებას გაიგებდა, უეჭველად მიიმალეობდა.

— არ შეიძლება არ იცოდე, სად შესძლებს თავშესაფრის მოპოვებას თქვენი მიხა.

— არა, არ ვიცი. ის ჩემგან დამოუკიდებელია. მან არ იცის ჩემი საქმიანობა. ის მხოლოდ ნატოს საქმეში დავიხმარე მე პირადად, რადგან სხვა დამხმარე არავინ მყავდა. უცხოს ვერ ვენდობოდი, მით უმეტეს სოფლად. მიხა სრულიად შემთხვევითი მონაწილეა და მან არც კი იცის რა მიზნით იქნა ყველაფერი ჩადენილი.

ბურაბ ლომაური ამკარად ხედავდა, რომ თედო მეწისქვილე სტყუოდა, რომ მას უნდოდა თავისი შვილიშვილი მშრალზე გამოეყვანა ამ საქმიდან. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიუხედავად მისი გულახდილობისა, მიხაზე ვერაფერს ათქმევინებდა. ამ საკითხზე საუბარი აღარ გაუბამს.

— იცნობთ თუ არა თქვენ ქოსა ყაზარას? — მოულოდნელად შეეკითხა თედოს ბურაბ ლომაური.

თედო ხაპიაშვილი ალბათ ადრევე მოელოდა ამ შეკითხვას, რომ არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა.

— ყაზარ წყალობიძის როგორ არ ვიცნობ მისი ქალიშვილი ჩემი რძალია, მიხას დედაა.

— რა განწყობილებაში ხართ მასთან?

— მხოლოდ ნათესაურში, მეტი არაფერი.

— სჯობს სიმართლე აღიაროთ, ჩვენ უტყუარი საბუთები გვაქვს, რომ გერმან ბაზილი მის ბინაში აფარებდა თავს. თქვენ კი დაკავშირებული იყავით გერმან ბაზილთან.

— მე არ ვიცი სად აფარებდა თავს გერმან ბაზილი, ადვილი შე-
საძლებელია აგრეც იყოს, მაგრამ ამას ჩემთვის რა მნიშვნელობა
უნდა ჰქონოდა? ყაზარ წყალობიჩს კარგა მოზრდილი ბინა აქვს.
როგორც გამიგია, მასთან ღამის გასათევად დადიოდნენ სხვა-
დასხვა ჩამოსული პირები და ფულსაც იხდიდნენ. ყაზარ წყალო-
ბიჩი, ნამიკიტნარი კაცია, ფულის მოყვარული. ვინ იცის, ფულის
გულისათვის შეიძლება მასაც ღებულობდა და ღამეს ათევეინებ-
და. მე არც იმისთანა სულელი ვიყავი, რომ რაიმე საქმიანი კავ-
შირი გამება ვაჭართან, რომელიც ფულის გულისათვის ყველა-
ფერს ჩაიდენს.

ზურაბ ლომაური მიხვდა, რომ დღეს მაინც ველარაფერს გამო-
ათქმევინებდა თედოს. ხედავდა ბერიკაცი მოიქანცა და ამან ერ-
თგვარი გაბრაზება გამოიწვია მასში, ამიტომ გადაწყვიტა შეეჩე-
რებინა დაკითხვა. პატიმარი საკანში გაგზავნა, თვითონ კი სამ-
მართველოს უფროსთან გამოცხადდა და ვრცელი მოხსენება წა-
რუდგინა.

თედო ხაპიაშვილის დაკითხვით ნათელი მოეფინა ნატო სუ-
ლიაშვილის მკვლელობის ბუნდოვან საქმეს. მთავარი კი ის იყო,
რომ ზურაბ ლომაურის ყველა ადრინდელი დასკვნა გამარ-
თლდა. მეწისქვილე თედომ ბევრი რამ საგულისხმიერო თქვა თავ-
ის ჩვენებაში. მან უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ამას წარმოიდგენ-
და ზურაბ ლომაური. ერთადერთი მხოლოდ ის იყო, რომ თავის
ბნელ საქმიანობაში არ გარია შვილიშვილი მიხა და რძლის მამა,
ყაზარ წყალობიჩი.

მას შემდეგ რაც დადასტურდა, რომ ნატო სულიაშვილიც და
გიორგი ქურხულიც ორივე მოკლულები იყვნენ გერმან ბაზილის
მიერ, უფრო გაუცხოველდა სურვილი, რაც შეიძლება მალე ყო-
ფილიყო შეპყრობილი იგი. მაგრამ აქ მართო გერმან ბაზილის
პიროვნება როდი აინტერესებდა ზურაბ ლომაურს. არანაკლებ

საინტერესო იყო კირა ზაბორაც. განა კირა ზაბორა არ იყო თავიდან ბოლომდე ხელის შემწყობი და თანამონაწილე მთელი ამ საქმისა? განა კირა ზაბორა არ ასრულებდა ხალხის მტრების ავაზაკურ დავალებებს და მანვე არ მოაწყო ნატოს მკვლელობის ორგანიზაცია?

კირა ზაბორას საშუალებით შეიტყვეს, რომ ნატო სულიაშვილი ყამირ მიწებზე უნდა წასულიყო.

კირა ზაბორამ, იმის მაგივრად, რომ მილიციის უფროსისათვის ჩაებარებიან ნატო სულიაშვილის წერილი, მეწისქვილეს გადასცა.

კირა ზაბორამ „დაუქირავა“ ავტომანქანა ნატოს წინასწარი განზრახვით, რომ იმ მანქანის მძღოლი გერმან ბაზილი და სანდრო ყარაშვილი მოჰკლავდნენ მას.

კირა ზაბორამ მისცა სანდრო ყარაშვილს მოწამლული ჭიქა, რითაც უგრძნობელ მდგომარეობამდე მიიყვანეს გიორგი ქურხული, რათა მას ხელი არ შეეშალა მკვლელობისათვის.

კირა ზაბორა წავიდა ყამირ მიწებზე ნატო სულიაშვილის საბუთებით.

განა ყველაფერი ეს არ ლაპარაკობს იმაზე, რომ კირა ზაბორა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელისშემწყობი იყო ამ განსაკუთრებულ ბოროტმოქმედებისა?

ვინ არის იგი? რას წარმოადგენს? არის თუ არა საზოგადოებისათვის უსაშიშრესი პიროვნება? უეჭველად არის! მას აუცილებლად კიდევ ექნება ჩადენილი, თუ უფრო უარესი არა, მსგავსი დანაშაულებანი მაინც.

როდესაც ზურაბ ლომაური წარუდგა მოხსენებით სამმართველოს უფროსს. ყველა ეს თავისი მოსაზრებანი მოახსენა. სამმართველოს უფროსი კმაყოფილი დარჩა საქმის ასეთი წარმატებით. დანაშაული დამტკიცდა, დამნაშავენი ნაწილი თუ შეპყრობილია, ნაწილი უკვე ცნობილია და რაღა თქმა უნდა, ეს უეჭველად დიდი

მიღწევა იყო, მაგრამ მაინც უსაყვედურა ზურაბ ლომაურს, რომ მან ვერ შესძლო ხელში ჩაეგდო თვით გერმან ბაზილი მაშინ, როდესაც იგი აქ იმყოფებოდა, თბილისში და ახლა ძებნა სჭირდებათ სადღაც უცხო ადგილას.

მართალია, მათ შესაპყრობად ორი გამოცდილი ოპერატიული მუშაკი გაიგზავნა, რომელთა პროფესიონალურ თავმოყვარეობა იმდენად დიდია, რომ ისინი, რაც კი შესაძლებელია ყოველგვარ საშუალებას გამოიყენებენ საქმის დასაგვირგვინებლად, მაგრამ მაინც აქამდე არ უნდა მისულიყო საქმე. აქ მთავარი იყო გერმან ბაზილის შეპყრობა, თუმცა კირა ზაბორაც არ იყო მეორეხარისხოვანი, თუკი გერმან ბაზილი ხელში ჩაუვარდებოდათ, ალბათ მოახერხებენ კირა ზაბორას ადგილსამყოფელის დადგენასა და შეპყრობას.

გიორგი ქურხულის დაკრძალვის დღეს ხომ იქნა მიღებული სამძიმრის დეპეშა ნატო სულიაშვილის სახელით.. ეჭვგარეშეა, ეს დეპეშა, დარუბანდიდან გამოგზავნილი, იქნებოდა კირა ზაბორას მიერ. საიდან შეიტყო კირა ზაბორამ გიორგი ქურხულის სიკვდილი, ან რატომ გამოგზავნა დეპეშა? რა თქმა უნდა, ეს გერმან ბაზილის სპეციალური დავალება იყო. მან აცნობა გიორგი ქურხულის სიკვდილი და მანვე დაავალა დეპეშის გამოგზავნა. მაშასადამე გერმან ბაზილს სისტემატური კავშირი ჰქონდა კირა ზაბორასთან. მაგრამ ვისი საშუალებით? ორში ერთი: ან ქოსა ყაზარას საშუალებით, ან მერი მალდონატოსი.

— მიიღეთ რაიმე ცნობა არჩილ ჩოხელიისაგან? — შეეკითხა ზურაბ ლომაურს სამმართველოს უფროსი.

— გარდა იმ ორი დეპეშისა, ერთი კიროვაბადიდან, ხოლო მეორე ბაქოდან, რომლის შესახებ უკვე მოგახსენეთ, ჯერჯერობით მეტი არაფერი, უპასუხა ზურაბმა.

— ის დეპეშები არაფერს იძლევა, შეუთვალეთ ბაქოს მილიცი-

ის საშუალებით, სასწრაფოდ წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება. თუ საჭირო იქნება დასახმარებლად გაუგზავნეთ იგორ ვოლკოვი, მხედველობაში არ გამოტოვოთ მერი მალდონატოც, ისიც მჭიდრო კავშირშია ამ ავანგუდებთან, — შეახსენა ზურაბ ლომაურს სამმართველოს უფროსმა, — თუ აქამდე არ მივიღეთ მის წინააღმდეგ ზომები, იმისათვის, ხომ მისი თავისუფლად ყოფნა ჩვენ გვჭირდებოდა ოპერატიული მოსაზრებით, ხოლო, როგორც კი მისი საშუალებით მივაგნებთ მთავარ დამნაშავე პირებს, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაპატიმრებული. ერთი სიტყვით საქმე დააჩქარეთ. იცოდეთ, რომ გერმან ბაზილს, გარდა ნატო სულიაშვილის და გიორგი ქურხულის მკვლელობისა, სხვა ცოდვებიც ბევრი აძევს კისერზე. გარდა ამისა, ის და კირა ზაბორა, ხოლო შეიძლება მერიც საინტერესო იქნებიან სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის.

ზურაბ ლომაურმა მოისმინა სამმართველოს უფროსის მითითება და აპირებდა თავის კაბინეტში დაბრუნებას, მაგრამ იგი შეაჩერა კომისარმა.

— როგორ მიდის ყაზარას დაკითხვის საქმე? — შეეკითხა იგი.

— მოთვინიერდა, ისე აღარ ჯიუტობს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მთლიანად გულწრფელი, — უპასუხა ლომაურმა,

— ალბათ შვილიშვილმა მარგომ თუ გასტეხა და აღიარების გზაზე დააყენა, არა?

— დიახ, შვილიშვილთან დაპირისპირებამ უეჭველად დიდად იმოქმედა მასზე.

— დაადგინეთ მისი კავშირი მეწისქვილესთან, დაუჯერებელია, რომ მათ შორის არ ყოფილიყოს დანაშაულებრივი კავშირი.

— ამაში არც მე მეპარება ეჭვი, — უპასუხა ლომაურმა.

კედლის საათის ისარი ორს გადასცილდა. სამმართველოს უფროსმა უკვე დაამთავრა საუბარი ზურაბ ლომაურთან, რომ ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ... პოდპოლკოვნიკი ლომაური? აქ არის. ჰო მერე... აბა! — სამმართველოს უფროს თვალები გაუბრწყინდა, ზურაბ, შენმა ბიჭებმა კარგი საქმე გააკეთეს. გივი ნათენაძე მელაპარაკებოდა, ქოსა ყაზარას ბინაში მიხა ხაპიაშვილი დაუპატიმრებიათ, მეწისქვილე თედოს შვილიშვილი, მიხედუ.

ზურაბ ლომაური გაბრწყინებული სახით გამოვიდა სამმართველოს უფროსის კაბინეტიდან.

17

„პატივცემულო ამხანაგო უფროსო!

მომიტევით, რომ დღემდე არ მომეცა საშუალება ვრცლად მომეწერა თქვენთვის, მოგეხსენებათ, სულ ერთთავად მატარებელში გახლდით და ისიც იმისთანა ადგილას, სადაც მეტად უცნაური თანამგზავრები შემხვდნენ, ყველაფერი აინტერესებდათ, ყველაფერს თვალყურს ადევნებდნენ და ისე არ დაწერდი რამეს ან წაკითხავდი, რომ უტიფრად არ დაეკრათ თვალი. ალლახმა უწყის, სად დაგროვდნენ ასეთი ერთმანეთზე მიმსგავსებული ადამიანები!

ამჟამად ბაქოში ვიმყოფები და როგორც იქნა მომეცა საშუალება მომეწერა თქვენთვის. ჩვენმა „ტურისტმა“, ხუტა გაწერელიაზე მოგახსენებთ, შესანიშნავად ჩაატარა თავისი როლი. არათუ დაუახლოვდა მერის, არშიყობაც კი დაუწყო. წარმოიდგინეთ, ჩვენს ახლადგამომცხვარ „მწუხარე სახის რაინდს“ ახლადშეძენილი „ტობოსელი მზეთუნახავი“ გვერდიდან არ შორდება, რამდენს არ ვეცადე სალაპარაკოდ ჩამეგდო ხელში. დღეს ძლივს

მოვახერხე. ჩვენ ხომ ისე ვმოგზაურობთ, როგორც უცნობები. ერთმანეთთან აშკარად შეხვედრას გავურბივართ. დიახ, როგორც მოგახსენეთ, დღეს მოვახერხეთ საუბარი, ეს შეხვედრა მეტად ორიგინალურ ვითარებაში მოხდა. მე წინასწარ გახლდით ქალაქის მილიციის სამმართველოში, სადაც მოველაპარაკე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს. იგი ყოველგვარ განმარტებას შემპირდა, გამომაცოლა თავისი თანამშრომელი, მე შორიდან ვანიშნე მერიზე და ხუტაზე, მან ორივენი დააკავა ვითომდა საბუთების შემოწმების საბაბით და წარადგინა განყოფილებაში, სადაც მე წინასწარ გახლდით. პირველად შეამოწმეს მერის საბუთები და როდესაც იგი გაათავისუფლეს, ხუტა გაწერელია შემოიყვანეს. უფროსმა კაბინეტის კარები ჩაკეტა, რომ უცხო თვალს არ დავენახეთ და მოგვცა საშუალება ერთმანეთთან საუბრისა. ჩვენი „დონჟუანის“ სიტყვით, მან თუმცა მოინადირა მერის გული, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის მასთან მთლიანად გულწრფელი. მიუხედავად ამისა, მაინც გამოსცინცლა ორიოდ სიტყვა. მერი მიემგზავრება ქალაქ დარუბანდში. მის მეგობარ ბოშა ქალთან აზა სუმბართან. ეს ბოშა ქალი, აზა სუმბარი, ბოშათა სიმღერის და ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე ყოფილა, იმ შემთხვევაში თუ დარუბანდში ვერ მოუსწრო, წავა ხასავიურტში, ხოლო თუ იქიდანაც გაასწრო, ქალაქ გუდერმესში. მერი მაღავეს, რომ იგი თბილისში მუშაობდა. ხუტასთვის უთქვამს, ვითომდა ბათუმიდან ჩამოვიდა თბილისში თავის ნათესავთან, ხოლო შემდეგ კი გაემგზავრა ბოშა ქალ აზა სუმბართან. მერის დოკუმენტები გაფორმებული აქვს არა მერი მაღდონატოდ, არამედ მერი კირიაკის ასული მაკროპულოდ, თავის თავს ასაღებს ბერძნის ქალად, რა თქმა უნდა, ის ისეთივე ბერძენია, როგორც ხუტა გაწერელია — აფხაზი, როგორც ხუტა აცხადებს თავის თავს. მე მას დავავალე, უეჭველად დაადგინოს ვინ არის და რას წარმოადგენს ბოშა ქალი აზა სუმბარი, ანსამბლის მოცეკვავე. წარმოიდგინეთ

ჩემი გაკვირვება, როდესაც ხუტამ იმ აზას სურათი ამოიღო დი მაჩვენა, სურათზე პირწავარდნილი კირა ზაბორა იყო გამოსხატული. ხუტას ეს სურათი მერის ჩანთიდან ჩუმად ამოუღია, რომ ჩემთვის ეჩვენებინა, ამრიგად ჩვენმა „მწუხარე სახის რაინდმა“ თავის „დულცინეს“ საშუალებით ერთი დიდი საქმე უკვე გააკეთა, კირა ზაბორას კვალზე დაგვაცენა, ყველაფერი ეს ხუტას ორ ვახშმად დაუჯდა. მაგრამ საქმის დასაწყისი იძლევა იმის უტყუარ ნიშანს, რომ სწორ კვალზე ვდგავართ და დანარჩენი უკვე აღარ მოვცუვდებით. მე, რა თქმა უნდა, ხუტა გავუშვი სასწრაფოდ. რა ვიცი, იმ შეჩვენებულმა მერიმ არ აღმოაჩინოს თავისი მეგობრის სურათის დაკარგვა და ეჭვი არ აიღოს ჩვენზე. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ თბილისში დასაბრუნებელი პირი აღარ მექნება. რა თქმა უნდა, ხუტა სურათს დღესვე შეუმჩნევლად ჩაუდებს მერის ჩანთაში. დასაწყისი არ არის ცუდი და იმედი მაქვს ჩვენი მისია კეთილად დაგვირგვინდება.

აქვე მინდა მოკლედ აღვნიშნო, რომ ბაქოს მილიციის მუშაკებმა ძალიან კარგად მიგვიღეს, მოგვისმინეს, დაინტერესდნენ ჩვენი საქმით და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ყოველგვარ დახმარების აღმოჩენას შეეპირდა.

ბოდიში, რომ დავაგვიანე ინფორმაციის გამოგზავნა. ან კი რა უნდა მომეწერა, როდესაც ბაქომდე გზაში არავითარი მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა. ვეცდები ჩვენი მუშაობის შედეგი დაწვრილებით გაცნობოთ და ისიც, შეძლებისდაგვარად, სწრაფად. დარუბანდს ალბათ დღეს საღამოს გავემგზავრებით, თუ რაიმე მოულოდნელმა გარემოებამ არ შეგვიშალა ხელი.

ქ. ბაქო, ოქტომბრის 20.

არჩილ ჩოხელი“.

ამ პატარა ინფორმაციით ზურაბ ლომაური კმაყოფილი დარჩა. კირა ზაბორას, ამჟამად ბოშათა მომღერალ და მოცეკვავეთა ანსამბლის წევრ ბოშა ქალ აზა სუმბარის კვალის დადგენა პატარა საქმე როდი იყო. ზურაბ ლომაური სწორად მოიქცა, რომ მერი მალდონატოს, ამჟამად კი მერი მაკროპულოს, არა სტაცა ხელი და არ დააპატიმრა, არ მისცა პასუხისგებაში, თუმცა ამისი საშუალება ყოველთვის ჰქონდა, ის ხომ ჯერ კიდევ გიგო ფანტიაშვილის დაპატიმრების დღიდან გახდა ცნობილი, როგორც ნაძარცვ-ნაქურდალის რეალიზატორი. მერი უფრო დიდ საქმისათვის ჰყავდა გამზადებული და აკი არც მოატყუა ალლომ, მან მართლა დააყენა სწორ კვალზე მისი თანამშრომლები, არჩილ ჩოხელი და ხუტა გაწერელია. ეს ორი მარჯვე თანამშრომელი უკვე აღარ მოშორდებიან ამ კვალს, რომელიც მათ გერმან ბაზილამდისაც მიიყვანს და შეიძლება უფრო მეტიც, მათი იქაური მოკავშირეებიც გამომჟღავნოს.

ზურაბ ლომაურმა სამმართველოს უფროსს მოახსენა საქმის მსვლელობა და არჩილ ჩოხელის წერილიც გადასცა.

სამმართველოს უფროსი კმაყოფილი დარჩა საქმის ასეთი დასაწყისით და დაავალა ზურაბ ლომაურს მისწეროს არჩილ ჩოხელს ფრთხილად იყოს, ძალიან არ გაიტაცოს საქმის დასაწყისის ასეთმა წარმატებამ.

— მართალია, არჩილ ჩოხელიც და ხუტა გაწერელიაც ყოჩაღი ბიჭები არიან, მაგრამ არ დაივიწყონ, რომ გერმან ბაზილი განსაკუთრებული მოდგმის ავაზაკია და წინააღმდეგ არ გამოუვიდეთ, თვით ისინი არ ჩაცვივდნენ მის ხელში, თორემ როგორც ჩვენ არ დავინდობთ მას, ისე არც იგი დაინდობს ჩვენებს.

— ამხანაგო კომისარო, ჩოხელმაც და გაწერელიამაც კარგად იციან გერმან ბაზილის ზნე და ხასიათი და არა მგონია იმისთანა დოყლაპიობა გამოიჩინონ, რომ ხახაში ჩაუვარდნენ მგელს, იმის

მაგივრად რომ თვით მოსპონ მგელი, — უპასუხა ზურაბ ლომაურ-მა.

— მაინც გააფრთხილეთ, ზედმეტი გაფრთხილება საქმეს არ ავნებს. განსაკუთრებით ფრთხილად იყოს ხუტა გაწერელია. ის ხომ უკვე უშუალოდ დაუკავშირდა მერის. მაშასადამე, თუკი მან არ გაიმახვილა სიფრთხილე და დაუშვა თუნდაც მცირეოდენი შეცდომა, რაც მას გამოამჟღავნებს, ასე ვთქვათ, წერტილი დაეს-მება მისი ყოფნა-არყოფნის საკითხს. გერმან ბაზილი უკვე ორ-ჯერ გაგვიძვრა ხელიდან, მესამედ ისეთ რკინის მარყუქში უნდა ამოვაცოფინოთ თავი, რომ დაძვრენა ვეღარ მოახერხოს, თო-რემ, ვიმეორებ, თუ გერმან ბაზილმა ესროლა ქამანდი, ისე დაით-რევს, რომ მისი ძვალი და რბილი აღარ დარჩება.

ზურაბ ლომაური დაეთანხმა სამმართველოს უფროსს, მარ-თლაც ზედმეტი სრულებითაც არ იქნებოდა ხელახლა გაეფრთხი-ლებინა თავისი თანამშრომლები, რომ მათი ეს დაკისრებული ვალდებულება კეთილად დაგვირგვინებულიყო, ამდენი გაწეუ-ლი შრომა უშედეგოდ არ დასრულებულიყო და თვით ისინიც არ გახვეულიყვნენ ფათერაკში.

ზურაბმა იმავე ღამეს დაწერა ვრცელი წერილი და მეორე დღესვე გაუგზავნა არჩილ ჩოხელს.

მიხა ხაპიაშვილის დაპატიმრებამ ბევრი გამოამჟღავნა. მარ-თალია თვით მიხა არ იყო უშუალო შემსრულებელი ყველა იმ ბო-როტებისა, რასაც მისი პაპა მეწისქვილე თედო სჩადიოდა, მაგ-რამ ზოგიერთ საქმეში ხელისშემწყობი და დამხმარე მაინც აღ-მოჩნდა.

მთლიანად დადასტურდა მეწისქვილის ბნელი და ბოროტი საქმიანობა. გაბღენძილი ქოსა მიკიტანი ყაზარ წყალობიჩიც მი-ხას საშუალებით გამოტყდა, რომ იგი უშუალო კავშირში იყო თა-ვის ნათესავთან, თედო ხაპიაშვილთან, ყოველმხრივ ხელს უწ-ყობდა მას და დამტკიცდა აგრეთვე ისიც, რომ გერმან ბაზილიცა

და სანდრო ყარაშვილიც რამდენიმე თვის განმავლობაში მის ბინაში უშიშრად გრძნობდნენ თავს.

ბევრს ეცადა ყაზარ წყალობიჩი თავი დაეძვრინა, უმანკო კრავად წარმოედგინა თავისი თავი, მაგრამ, როდესაც მას მისივე შვილიშვილი მოზარდი მარგო და მეორე შვილიშვილი მიხა ხაპიაშვილი დაუპირისპირეს, იძულებული შეიქნა ყველაფერი ელიარებინა. ველარავითარმა ლათაიებმა ველარ უშველეს. თურმე გერმან ბაზილის თავშესაფარი ყაზარ წყალობიჩის ბინა ყოფილა, ხოლო თვით ქოსა ყაზარა არა მარტო მფარველი და შემნახავი, არამედ ხელისშემწყობი და ეგრეთწოდებული „საქმის მიმცემიც“. გერმან ბაზილი არავის არ ენდობოდა, თვით გიგო ფანტიაშვილსაც კი, რომლის, ბინაშიც ხდებოდა დანარჩენი ბოროტმოქმედების თავმოყრა და ნაძარცვ-ნაქურდალის შენახვა, ხოლო შემდეგ მერისა და მისი ნაცნობ-მეგობრების საშუალებით საქონლის რეალიზაცია, იგი ენდობოდა მხოლოდ და მხოლოდ ამ გაბღენძილ ქოსა მიკიტანს და ეს იცოდა მარტო სანდრო ყარაშვილმა.

ავტომანქანა, რომელშიც აღმოჩნდა გერმან ბაზილის ჩემოდანი, გერმან ბაზილისავე საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მძღოლი კი ქოსა ყაზარას შვილი იყო.

ქოსა ყაზარას არა მარტო გერმან ბაზილის ხელის შეწყობა და შენახვა დადასტურდა, არამედ სხვა ბევრი ბოროტმოქმედებაც, მისი სამიკიტნოდ ქცეული სასადილო ხომ მუდმივი თავშესაფარი აღმოჩნდა ათასგვარი ნაძირალებისა, სადაც ნაძარცვ-ნაქურდალის განაწილება ხდებოდა და რომელშიც თვით ქოსა ყაზარასაც უდებდნენ წილს.

გაქსუებული ნამიკიტნარი გონს ვერ მოსულიყო და ვერაფრით ვერ აეხსნა, როგორ მიაგნეს მის ბინა-ბუნაგს, რომელიც განსაკუთრებით ჰქონდა შენიღბული. თუ გასცა ვინმემ... მაგრამ ვინ? ვერავიზედ ვერ მიეტანა ეჭვი, ვინაიდან მისი სამრევლოს

ყოველი წევრი სანდოს მიაჩნდა და ვერ წარმოედგინა, თუ მათში გამცემი გამოერეოდა.

მას გაგონილი ჰქონდა ზურაბ ლომაურის სახელი, მის ზოგიერთ თანამშრომლებსაც იცნობდა და ერიდებოდა, ეშინოდა მათი, განსაკუთრებით კი თვით ზურაბ ლომაურისა, მაგრამ მაინც არ ასცდა მისი ხელი.

ქოსა ყაზარას „სამიკიტნო“ ნამდვილი სკოლა იყო დამნაშავე ელემენტებისა, თვით ნამიკიტნარი და ნაჯიბგირალი ცდილობდა „ახალი კადრები“ მოემზადებია, მართალია ბევრს ვერავის ირჩევდა აქ წუმპეში, მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდის ჩათრევა მაინც მოახერხა. მერედა, ისე ოსტატურად, რომ ამას მხოლოდ კვალიფიციური ბოროტმოქმედი, გამოცდილი დამნაშავე თუ გააკეთებდა. აკი ამიტომაც ქოსა ყაზარა თავის თავს ხან მწვრთნელს და უფრო ხშირად კი „ინსტრუქტორს“ უწოდებდა.

ქოსა ყაზარას დაპატიმრების შემდეგ მასვე ზედ მიაყოლეს ყველა მისი „გაწვრთნილი“ დამქაში.

— ყაზარ წყალობიჩ, ახლა რაღას იტყვით, როდესაც თქვენი „წვრილფეხობა“ ყველა გაბაწრულია და ყველაფერში გამოტყდნენ? — შეეკითხა ერთ-ერთი დაკითხვის დროს ზურაბ ლომაური.

— უჰ, რაღა მეთქმის, უფროსოჯან, კაცს რომ თელეთის ხატი გაუწყრება, ის კაცი უნდა ადგეს და მტკვარში გადავარდეს, ჰაი, სად არის ძველი დრო! რაც მე მაშინ საქმეები გამიკეთებია, ვინ მოთვლის! კიდევაც მიჯიბგირია, კიდევაც მიქურდია, კიდევაც მიძარცვია, კაციც მომიკლავს, მაგრამ მუდამ მშრალი გამოვსულვარ, მაშინ პოლიციაც ჩემისთანა კაცის ხელში იყო და „სუდიაც“. ახლა ახალი ხალხნი ხართ. სულ სხვანაირი, თქვენთან არც პურმარილი სჭრის და არც სხვა რამე. აფსუს, აფსუს, ძველო დროებაჲ! — ამოიოხრა ყაზარამ, თვალებზე ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო, — ახლა ვიღას უნდა ენდოს კაცი, როდესაც საკუთარი

შვილიშვილები პირზე მადგებიან. ის მამაძაღვლები მას არ ფიქრობენ, თუ ვაკეთებდი რამეს მათთვის ვაკეთებდი. ერთი მოხუცებული კაცი ვარ, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, არა, თუ მაქვს რამე, კუბოში ხომ არ ჩამაყოლებენ, განა მათ არ უნდა დარჩეთ? სიბერემდე სიქაჩლო, სწორედ ჩემისთანაზე არის ნათქვამი, არა, შენ ეს მითხარი, უფროსოვან, მე ძალიან ფრთხილი კაცი ვიყავი და შენ ვინ გითხრა ყაზარ წყალობიჩი ასეაო და ისეაო, არა, ეს ძალიან მეინტერესება, ჩემმა მშემ.

— ჩიტმა მოგვითხრობს ამბავი, ყაზარ წყალობიჩი, ჩიტმა. — გაიღიმა ლომაურმა.

— დავიჯერებ, რა გგონია, ჩიტებიც თქვენ მხარეზე არიან და გვრიტებიც.

— ჩვენ მხარეზე კი არა, მშრომელი ხალხის მხარეზე არიან, პათოსანი მშრომელი ხალხის მხარეზე.

რა იცოდა გაბღენძილმა ქოსამ, რომ ის ჩიტი, რომელმაც გააშუღავნა მისი ბნელი საქმიანობა, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებისა და პირადად მათი უფროსის ზურაბ ლომაურის მრავალი უძილო ღამე და მოუსვენარი დღე იყო.

ზურაბ ლომაურმა ახალი ინფორმაცია მიიღო არჩილ ჩოხელისაგან.

„ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

ქალბატონი მერი ძალზე ეჭვიანი გამოდგა. მე ხომ წინა ბარათში წერდეთ რომ ხუტა გაწერელია? მას ჩანთიდან აზა სუმბარის სურათი ამოაცალა და მაჩვენა, რომელშიც მე კირა ზაბორა ამოვიცანი. წარმოიდგინეთ, ვერ მოასწრო ხუტამ იმ სურების თავის ადგილზე მოთავსება, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, მერიმ, სურათის დაკარგვა აღმოაჩინა და როდესაც გაიგო, რომ სურათი ამოღებული ჰქონდა ხუტას, „მშვენიერი ოჯახური სცენა“ მოუწყო.

— რაში გჭირდებოდა, რატომ ამოიღე? — შეეკითხა გაბრაზებული მერი.

ხუტამ დუმილით უპასუხა:

— ისე, მომეწონა და ამოვიღე.

— ასეც ვიცოდი, სურათი ნახე და მოგეწონა ისე, რომ მისი ტარებაც კი მოინდომე, ცოცხალი რომ ნახო და გაიცნო, მაშინ მე ხომ, შენ აღარც კი შემომხედავ! — შეჰყვირა ეჭვიანობით გაჟღენთილმა მერიმ.

— რას სულელობ, მე ეს ისე, ვიხუმრე, ვნახოთ რას იტყოდი, თორემ, რა თავში ვიხლი, აი სურათი, წაიღე და გქონდეს, მე ის სრულებითაც არა მჭირდება, შენ კი თუ ასეთი სცენები დამიწყე, იცოდე მიგატოვებ, მე ასეთები არ მიყვარს.

როგორც იყო შერიგდნენ ნეფე და პატარძალი. არა, თქვენ წარმოიდგინეთ რა „ოჯახური იდილია“, ისე, როგორც წიგნებში სწერენ ხოლმე ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარზე.

მაგრამ ამაზე სხვათა შორის.

ბაქოდან დარუბანდისაკენ გავემგზავრეთ. გზაში მერის ფანტაზიამ მოუარა სადგურ ხაჩმასში ჩამოსულიყო მატარებლიდან და ქალაქ ყუბაში წასულიყო მანქანით. ხუტაც „დაიყოლია“ თან გაჰყოლოდა. ხუტამ ძლივს მოასწრო ორიოდ სიტყვა დაეწერა მერის ჩუმად და სადგურის ბაქანზე ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღების დროს „დავარდნოდა“. წერილს მაშინვე ვტაცე ხელი. მე ვერ გავყევი ყუბაში, იქით ხომ მხოლოდ ავტომანქანები დადიან, ისევ დარუბანდში წავედი და იქ დავუწყე ლოდინი. სამი დღის შემდეგ ველირსე „შეყვარებულების“ ჩამოსვლას. მოგეხსენებათ, დარუბანდი პატარა ქალაქია. იმის შიშით, რომ მერიმ ეჭვი არ შეიტანოს ჩემში, რაც შეიძლება ვცდილობ თვალში არ მოვხვდე. არადა, ხუტასაგან ხომ უნდა მივიღო, ინფორმაცია? ისევ მილიცია დამეხმარა. მილიციის უფროსთან მოლაპარაკების შემდეგ

ადგილობრივი მილიციის ერთ-ერთი გადაცმული თანამშრომელი აედევნა ხუტასა და მერის და რაღაც უხამსი სიტყვა ჰკადრა ქალს. აბა „რაინდის“ გული ამას როგორ მოითმენდა, ხუტამ აუტეხა ჩხუბი, „ხულიგანი“ მილიციაში წაიყვანეს და „დაკითხვა“ ჩემთან მოხდა. ხუტამ მიაშობო:

— მერიმ თავიდანვე როდი მითხრა, თუ ყუბაში აპირებდა გამგზავრებას, ამისთვის წინასწარ ვერ გაგაფრთხილე. სადგურ დივიჩის რომ მიეუახლოვდით, მხოლოდ იქ გამომიცხადა მერიმ, რომ ყუბაში აპირებს წასვლას საჭირო საქმეზე და წინადადება მომცა გამეცილებინა, იქიდან კი დარუბანდისაკენ გავწევთო, მითხრა მან. სადგურ ხაჩმასში ძლივს მოვასწარ ორი სიტყვის დაწერა ქართულად „დარუბანდში მელოდე“ და გამოვედი ბაქანზე, თვალთ განიშნე გამომყოლოდი უკან და ის ბარათი დაგიგდე, რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ შემოვტრიალდი და როდესაც დავინახე, რომ შენ უკვე მატარებელში ადიოდი, მივხვდი ბარათი ხელში ჩაგივარდა და დავმშვიდდი, თორემ ვინ იცის სხვას რომ აელო, თუმცა იქ ქართულს ვინ წაიკითხავდა, ყოველ შემთხვევაში, შენ დაგაბნევდა, ვერ გაიგებდი რატომ ჩამოვრჩით მატარებელს... ყუბაში სასტუმროში გავჩერდით. ვიდრე ქალაქში შევიდოდით, ხაჩმასის გზაზე საკონსერვო ქარხანაა. მეორე დღეს მერი იმ ქარხანაში მივიდა. რა თქმა უნდა, მეც თან ვახლდი. გამოიძახა ვიღაც ქალი, თხუთმეტიოდე წუთს ელაპარაკა ჩემთვის გაუგებარ ენაზე და დავბრუნდით უკანვე ყუბაში. გზაში შევეკითხე, ვინ იყო ის ქალი, ან რაზედ ჰქონდათ საუბარი. მერიმ მარტო ეს მიპასუხა: ის ქალი ჩემი ნათესავია, საკონსერვო ქარხანაში მუშაობს, შინაურ საქმეებზე ველაპარაკეო. ყუბის ჩრდილოეთით ხევია, ხევგალმა კი დასახლებული უბანი. მერი მეორე დღეს იქ წავიდა, მხოლოდ მე არ წამიყვანა თან, ვიდრე ის დაბრუნდებოდა, მე მივიკითხე-მოვიკითხე და მითხრეს, რომ მთელ იმ უბანში ევრეთწოდებული მთის ებრაელები ცხოვრობენო. როდესაც მერი

დაბრუნდა, მე შევეკითხე ვისთან იყო და რატომ თან არ წამიყვანა. მან მიპასუხა, რომ იქ მისი ძმა ცხოვრობს და მის სანახავად წავიდა. მე ხელახლა შევეკითხე, შენ ხომ ბერძენი ქალი ხარ, იქ კი, სადაც შენ იყავი, ებრაელების უბანია-მეთქი. მან მიპასუხა: მართალია ებრაელები ცხოვრობენ, მაგრამ რამდენიმე მოსახლე ბერძენიც არისო. ნაშუადღევს მერი ხელახლა წავიდა ებრაელების უბანში, მე შორიდან ისე ოსტატურად გავედევნე, რომ მას არ შევუმჩნევივარ. უბნის ბოლოს ხე-ტყის ქარხანა ყოფილა. მერი იმ ქარხნიდან გამოიძახა ვიღაცა. გამოვიდა საშუალო ტანის, შუახნის კაცი, შავ-შავი, საკმარისი იყო მენახა ვის ხვდებოდა მერი, მე მეტი არა მინდოდა მაშინვე უკან დავბრუნდი, რომ მათ თვალი არ დაეკრათ ჩემთვის. სასტუმროში წამოვწექი და თვალები მივლულე. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მერიც მოვიდა. მე აღარაფერი ვკითხე მას, ვითომ მძინებოდეს და არც მისი წასვლა გამეგოს და არც დაბრუნება. მეორე დღეს მე და მერი ჩავსხედით მატარებელში და ამოვედით დარუბანდში. დღეს დილით, ჩამოსვლისთანავე, მერი წავიდა გალავნის ზემო ჭიშკართან, იქაც ვიღაცა მამაკაცი გამოიძახა, ახალგაზრდა, შავგვრემანი. შორიდან ვუთვალთვალე. ვიდრე ისინი ლაპარაკს გაათავებდნენ, მე უკვე ქალაქის ბაღში ვიჯექი და მერის ველოდი შეპირებისამებრ. მერი დაღონებული დაბრუნდა და მითხრა რომ დღესვე მიემგზავრებოდა მახაჩყალაში.

— ძალიან მიძნელდება შენთან დაშორება, მაგრამ სხვა გზა არ არის, უნდა წავიდე, აზა აქ აღარ ყოფილა. ამჟამად თურმე მახაჩყალაში იმყოფება,— მითხრა მან.

— შენც ნუ წახვალ, რაში გჭირდება ის ვიღაც აზა? — ვუპასუხე მე.

— არ შეიძლება არ ვნახო, იმისთანა დავალება მაქვს რომ... უცებ შეჩერდა მერი, შემდეგ შემომხედა, ნაძალადევად გამიღიმა

და მითხრა: — არა, პირადი საქმე მაქვს იმისთანა, რომ ნახვა აუცილებელია.

მე უკვე მივხვდი, რომ მართლაც, რაღაც სპეციალური დავალებით წამოსულა მერი აქეთ, ალბათ მან ყუბაშიც იმიტომ შეიარა, მაგრამ, ვითომც არც კი გამეგოს მის მიერ უნებლიეთ წარმოთქმული სიტყვები, ყურადღება არც კი მივაქციე და ვუთხარი, თუ გინდა მეც წამოვალ-მეთქი.

— შენ აკი დარუბანდში მოდიოდი, ამბობდი, რამდენიმე დღეს დავრჩები, კარგად მინდა დავათვალიერო ეს ძველებური ციხე-ქალაქი, სადაც სანახევროდ დანგრეული გალავანი დღესაც სალტესავით შემორტყმია ქალაქსაო.

— მართალია, ასე ვფიქრობდი, მაგრამ აქედან უნდა გავიქცე, წყალი არ არის. აქაური წყალი ზღვის მარილებით არის გაჟღენთილი და სასმელად გამოუსადეგარია, ნეტავი ხალხი როგორ სვამს! — ვუპასუხე მე.

— სამაგიეროდ ღვინო, ბევრია... მთელი დარუბანდის მიდამოები ვენახებით არის სავსე, შენ ხომ გიყვარს ღვინო, — მითხრა მან.

— ღვინო კი მიყვარს, მაგრამ შიგ ხომ არ ჩავიხრჩობი!

— კარგი, თუ ასე გსურს სულითა და გულით, წამოდი, მაგრამ იქ ჩვენ ერთმანეთს ჩუმად თუ შევხვდებით.

— ვითომდა რატომაო?! — განგებ ძალიან გავნაწყენდი.

— ეს დროებით, ჩემო კარგო, მხოლოდ დროებით. მერე გამოიცვლება პირობები და... — მან თავი ჩაღუნა.

— მე აქ გავითამაშე შეყვარებული სულელის როლი, რომ ის ვითომდა ყველაზე ძალიან მიყვარს, ისე, რომ ჯერ არავინ არ მყვარებია, რომ მე მას ცოცხალი თავით არავის დავანებებ და სხვა მრავალი ამგვარი.

— მაშ თავს არასოდეს არ დამანებებ? შემირთავ?

— განა ამაში ეჭვი გეპარება?

— მერედა, იცი მე ვინა ვარ?

— როგორ არ ვიცი, მერი მაკროპულო, ბერძნის ქალი, ბათუ-
მიდან.

მან გაიღიმა და მითხრა:

— იცი თუ არა, რომ მე ორი ქმარი მყავს მოკლული?

— ორი ქმარი? რატომ?

— ეჭვიანობის ნიადაგზე. მე ძალიან ეჭვიანი ქალი ვარ, ეს იცო-
დე კარგად. არც შენ გენდობი.

— რატომ, რით დავიმსახურე უნდობლობა?

— შენ აზას სურათი მომპარე. ის ისე მოგეწონა სურათში, ალ-
ბათ ცოცხალი რომ ნახო, მასთან გაიქცევი.

— ამიტომ არ გინდა წამიყვანო, რომ მე აზა არ ვნახო?

— თუნდაც აგრე იყოს.

— არა, მერი, შენს შემდეგ ინგლისის დედოფალიც რომ იყოს,
იმასაც კი არ შევხედავ ზედ.

მერიმ გაკვირვებით შემომხედა თვალებში და რაღაც უცნაუ-
რად ჩაიხითხითა.

— სადაც არ წაგიყვანო, წამოხვალ? რაც არ დაგავალო გააკე-
თებ? — შემეკითხა იგი.

— შენთვის, ჩემო ძვირფასო, ყველაფერს გავაკეთებ, არაფ-
რით უკან არ დავიხევ.

— მაშ კარგი, კარგად დაიხსომე ეს სიტყვები, იცოდე მე ორი
კაცი მყავს მოკლული, არც შენზე ამიკანკალდება ხელი ოდნავ
ღალატი თუ შეგამჩნიე, — გამაფრთხილა მან და მის თვალებში
რაღაც ისეთმა ნაპერწკალმა გაიელვა, თითქოს ხელში ორლესუ-
ლი სჭეროდეს და ჩემთვის გულში დაემიზნებინოს.

— იცი რას გეტყვით, მერი? — ვუპასუხე მე. — ძალიან ნუ შემა-
შინებ, მე ხელწამოსაკრავი ვინმე არ გეგონო. დრო გავა, საქმით
ნახავ რა კაცთან გაქვს საქმე.

მან თავი მაღლა ასწია, ხელახლა შემომხედა სახეში, მაგრამ

მის თვალეში უკვე ის ნაპერწკლები აღარ ყო. უკვე რაღაც, თუმცა კუშტი გამოხედვა იყო, მაგრამ ეს გამოხედვა წააგავდა იმ ახლადგაჩენილი ცხენის გამოხედვას, რომელმაც პატრონს ვერც ლაგამი წაჰგლიჯა და ვერც ძირს გადმოაგდო, ახლა კი დაღლილი და გაოფლიანებული დგას პატრონის წინაშე და ალბათ ფიქრობს, რა გაეწყობა, რახან დამიმორჩილე, როგორც გინდა, ისე მომექცეციო.

— კარგი, წამოდი, — მოკლედ მომიჭრა მან.

შემდეგ წამოვედი ბაზრისაკენ და აი, ახლა აქ ვარ თქვენთან როგორც „ხულიგნობაზე დაკავებული“.

მე მეტი აღარაფერი მქონდა ხუტასთან სალაპარაკო. მხოლოდ გავაფრთხილე, რომ ძალიან ღრმად შესტოპა და დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ თავი არ წააგოს. ამავე დროს დავპირდი, რომ მას მხედველობიდან არ გამოვტოვებდი და საჭირო შემთხვევაში დაუყოვნებლივ დავეხმარებოდი.

როდესაც ხუტა მილიციის შენობიდან გავიდა, მე ფანჯრის ფარდა ოდნავ გადავწიე და გადავხედე ქუჩას. მერი ქუჩაში იდგა თავდახრილი, ალბათ ეგონა, რომ ხუტას უკვე დააპატიმრებდნენ და პასუხისგებაში მისცემდნენ, რომ იგი „თავის სატრფოს“ თვალთ ველარ ნახავდა. როგორც კი თვალი მოჰკრა, გახარებული მივარდა მას, სტაცა ხელი და გააქანა.

ამ სურათის დამნახველს გამეცინა და გუნებაში გავიფიქრე, მაგრა დაიჭი, არ გაგექცეს-მეთქი.

იმ სულელს რომ სცოდნოდა, როგორი პატიმარი იყო, ან ვინ არის ხუტა გაწერელია, მილიციის შენობასთან მისვლა და ლოდინი კი არა, მგონი ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო ისე, რომ არც კი მოეხედნა უკან, ასეა თუ ისე, მერი ძალიან საჭირო ტიპია ამჟამად, არავითარ შემთხვევაში არ დავანებებთ თავს მანამდე, ვიდრე ჩვენი დაწყებული საქმე კეთილად არ დაგვირგვინდება, ვიდრე არ ჩავიგდებთ ხელში მთავარ ავაზაკს, მასთან ერთად კი

მის დამქაშსა და მარჯვენა ხელს, კირა ზაბორას თუ ბოშა ქალს, აზა სუმბარს. მერე კი, არც ქალბატონ მერის ვაწყენინებთ. მასაც მოვეუსვამთ გვერდით მის განუყრელ მეგობრებს. მაშინ ვნახავთ როგორ გაუელვებს ნაპერწკლები თვალებში.

ბოდიში, ამხანაგო უფროსო, რომ ეს მათი დიალოგი პატარა გამიჭიანურდა, მაგრამ მე იმდენად მნიშვნელოვნად ვცანი, რომ არ შემეძლო მთლიანად არ მომეწერა თქვენთვის. ვიცი, თქვენ მეტყვიით: მეტისმეტად შორს წასულხართო, მაგრამ მეტი გზა არ არის. ეს სულელი დედაკაცი ძლივს ხელში ჩაგვივარდა და საჭიროა, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი მიზნების მისაღწევად.

ხუტა არ იშურებს ფულს, ხარჯავს ბევრს. ეს საჭიროა. მერე მასში ბოროტმოქმედს ხედავს, რომელიც ადვილად და უშრომლად შოულობს ფულს, ეს კი ჩვენთვის ხელსაყრელია. ნუ გეფიქრებათ, ფრთხილად ვიქნებით, მას არ წავაგებთ.

ამრიგად, საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის. შედეგს მომავალი დაგვანახვებს.

ქ. დარუბანდი. ოქტომბრის 26.

არჩილ ჩოხელი“

18

„ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

წერილი შემაგვიანდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ მერი და ხუტა იმავე დღეს ვერ გაემგზავრნენ მახაჩყალაში, მეც იძულებული ვიყავი გადამედო ჩემი გამგზავრება. სამიოდე დღეს კიდევ მომიხდა დარუბანდული ღვინის სმა და კასპიის ზღვის ტალღების მზერა.

როგორც მოგახსენეთ, მერის და ხუტას მოუხდათ რამდენიმე დღეს გაჩერება დარუბანდში. მერის რაღაცა დეპეშა მიეღო, თავდაპირველად ხუტას ვერ გამოერკვია საიდან და ვისგან იყო ის დეპეშა, ხოლო გუშინ საღამოთი დარუბანდში რომ ჩამოვიდა ის პიროვნება, ვისაც მერი ყუბაში ხვდებოდა, ხუტა მიხვდა, რომ მერიმ მის ლოდინში დააყოვნა მგზავრობა. მე არ მოველოდი თუ ჩვენი ხუტა ასეთი მარჯვე იქნებოდა; წარმოიდგინეთ, იგი იმ ახალ ჩამოსულს ისე დაუმეგობრდა, რომ ძველი ნაცნობები ეგონება კაცს. რა თქმა უნდა, ეს მოხდა, ერთის მხრივ მერის რეკომენდაციით, მეორეს მხრივ კი იმიტ, რომ ხუტა ფულს არ ზოგავს და

ხელგაშლით ხარჯავს. ოღონდ საქმემ გაგვიმართლოს და ფულს ვინ ჩივის! ჩემსა და ხუტას შორის მარჯვე შუამავალი გვყავს. ეს გახლავთ ადგილობრივი მილიციის თანამშრომლის ძმა ახმედ ალიევი. ხუტა მისი საშუალებით მიგზავნის ხან წერილობით და ხან სიტყვიერ ინფორმაციას, მე კი მისივე საშუალებით ფულს და დავალებებს გადავცემ ხოლმე. ფიქრი ნუ გაქვთ, სანდო პირია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ საკმარისია ისიც, რომ პარტიის წევრია, ახლახანს დაუმთავრებია სამხედრო სამსახური, ზედმიწევნით პატიოსანი პიროვნება ჩანს. რა თქმა უნდა, იგი არ არის ჩვენი საქმის კურსში, მაგრამ ერთი რამ გასაგებია მისთვის, რომ რაღაც დიდი საიდუმლო მუშაობა მიმდინარეობს და ის, როგორც ჩვენი ქვეყნის უმწიკვლო პატრიოტი, გვეხმარება ამ მუშაობაში. განა ყველა საბჭოთა პატიოსანი მოქალაქე არ არის ვალდებული, რომ გვეხმარებოდეს? თქვენ მუდამ გვასწავლიდით, რომ ბოროტმოქმედებთან ბრძოლის საქმეში ფართოდ ჩავაბათ მოსახლეობა და გამოვიყენოთ მაქსიმალურად.

ბოდიში, მე რომ გწერთ ხუტა გაწერელია ხელგაშლით ხარჯავს-მეთქი ფულს, ეს ისე არ მიიღოთ, ვითომდა იგი ფლანგავდეს, არა, ჩვენ ფული საკმარისად გვაქვს და მხოლოდ იქ არ ვერიდებით ხარჯვას, სადაც ეს აუცილებელია. მაგალითად, პირადად მე ძალიან ვყაირათობ.

ხუტამ მაცნობა, რომ ყუბიდან ჩამოსული ბოშა დანიელ მაღდონატოა, ამ გვარმა ცოტა არ იყოს დამაფიქრა, მერიც ხომ მაღდონატოს გვარს ატარებდა, როდესაც თბილისში მუშაობდა? მერის დაურწმუნებია ხუტა, ვითომც იგი ძმა იყოს მისი, ხუტას შეკითხვაზე: „როგორ არის, რომ ძმა მაღდონატოს გვარით დადის და თვითონ კი მაკროპულოსი“, მერის უპასუხნია, ვითომც მაკროპულო მისი მეორე ქმრის გვარი ყოფილიყოს. ასეა თუ ისე, აქ სადღაც ძაღლის თავია დამარხული.

ამხანაგმა ახმედ ალიევმა დღეს დილით მომიტანა ხუტას წერილი სადაც იგი მწერს, რომ დანიელ მაღდონატო წასვლას აპირებს რამდენიმე დღით, რომ იგი უნდა შეწყდეს ვინმე ვადიმ ურალოვს. ეს ვადიმ ურალოვი მისი სიტყვით, ძველი, გამოცდილი „საქმოსანია“, დიდი რამეების გაკეთება შეუძლია და აკეთებს კიდევ. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში სადაც ყოფილა გადაკარგული და ახლა ისევ გამოჩენილა. „რაბან ვადიმ ურალოვი ჩამოვიდა, ხელახლა გაცოცხლდება ჩვენი საქმე, თორემ უიმისოდ არაფრის გამკეთებლები ჩვენ არ ვიყავით“. — უთქვამს ხუტასათვის დანიელ მაღდონატოს. ხუტა დაინტერესებულა ვადიმ ურალოვის პიროვნებით და დაუწყია გამოკითხვა, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი უთქმევინებია.

— რას მეკითხები? მე ახლა მივდივარ, ცოტა ხნის შემდეგ ორივენი აქ ჩამოვალთ, პირადად გაიცნობ და ნახავ რა ვაჟკაციც არის. მისი სახელი ყველგან არის ცნობილი. შენ თუ ჩვენიანი ხარ, არ შეიძლება არ გაგეგონოს მის შესახებ. აი, შენ გიყვარს ფულის ხარჯვა, ხელგაშლილი ცხოვრება, ახლა მისი იკითხე. იმისთანა ხელგაშლილი და დარდიმანდი მეორე არ მოიძებნება, რასაც ის ყომაარში ერთხელ წააგებს ფულს, იმდენი მე და შენ არც კი დაგვესიზმრება. ყოველ კუთხე-კუნჭულში თავისი ხალხი ჰყავს, არსად არაფერი არ გაუჭირდება. იმასთან კაცი თავს არ დაჰკარგავს ჩვენს ძმა-ბიჭებში მისი მეთაურობა ცნობილია და მისი თვითეული სიტყვა ყველა ჩვენგანისათვის კანონია.

ხუტასათვის უკვე ცნობილი გამხდარა, რომ ეს დანიელ მაღდონატოც დიდად ცნობილი პიროვნებაა ავაზაკთა წრეში და ალბათ ის ვადიმ ურალოვიც, მათი მეთაური და ხელმძღვანელი, არ უნდა იყოს მილიციის მუშაკებისათვის ინტერესმოკლებული პიროვნება.

ეს მნიშვნელოვანი საუბარი და ასეთი განსაკუთრებული გუ-

ლახდილობა, რა თქმა უნდა, არცის საკმაოდ დიდ ღობას გამოუწვევია. თურმე დანიელ მალდონატო ხარივით სვამს სასმელს, მაგრამ ხუტას მაინც მოუხერხებია მისი საკმაოდ დათრობა და ასეთი გულახდილობის გამოწვევა. ყველა ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ხუტა უკვე „სანდო და პატივსაცემი“ პიროვნება შეიქმნა მათ წრეში.

ერთი სიტყვით, სწორ გზას ვადგავართ და ვნახოთ მომავალი რა შედეგს მოგვიტანს.

ქ. დარუბანდი. ოქტომბრის 30.
არჩილ ჩოხელი".

19

„ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

ერთი კვირაა მახაჩყალაში ვართ. ამ ერთი კვირის განმავლობაში იმდენი საინტერესო რამ მოხდა, რომ პირდაპირ თავბრუს მესხმის. მინდოდა დღემდე მომეწერა თქვენთვის დაწვრილებით, მაგრამ სულ ველოდი ახალ-ახალ ამბებს და ვერ იქნა ვერ შევეუდექი წერას.

ჩემი ეჭვები გამართლდა. ბოშა ქალი, აზა სუმბარი, ნამდვილად კირა ზაბორა გახლავთ. როდესაც ჩვენ ჩამოვედით მახაჩყალაში, კირა ზაბორა, თუ აზა სუმბარი, არც კი ვიცოდა რომელი სახელი დავწერო, აქ არ იყო. ის მხოლოდ მეორე დღეს ჩამოვიდა გუდერმესიდან, აქ იგი ბოშათა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ელოდება, რომელშიც თურმე იგი მონაწილეობს. დანიელ მალდონატო დარუბანდის შემდეგ სადღაც გაქრა და ისიც მხოლოდ გუშინ გამოჩნდა, იზა და ვადიმ ურალოვი ერთად მოვიდნენ. ვადიმ ურალოვის ნახვა ვერ მოხერხდა, იგი არავის ეჩვენება, არც ხუტას უნახავს. ამ სამი დღის წინათ ხასავიურტსა და გუდერმესის

შუა ბაქოდან მიმავალი მატარებელი იქნა გაძარცვული, ეს ვადიმ ურალოვის და დანიელ მაღდონატოს საქმე უნდა იყოს. მე ჩემი მოსაზრება გავუზიარე სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს და მასთან ერთად სასწრაფო ღონისძიება დავსახეთ ავაზაკების ხელში ჩასაგდებად.

აბა და მერი რომ ჯერ კიდევ ადგილიდან არ იძვრიან, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მათი მეთაური აქ არის, ადგილზეა, მე ძალიან ვერიდები აბას, იგი ხომ მიცნობს და თვალს მომკრავს თუ არა, ეჭვი არ არის თუ თავის გარიდებას არა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მოკვლას მაინც შეეცდება, ვნახო ვინ ვის.

ხუტა ძალიან ეცადა დაედგინა სად ინახავს თავს ვადიმ ურალოვი, მერიმ ალბათ იცის მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ვერ ათქმევინა.

მერი, რაღაც თითქოს გაცივდა ხუტას მიმართ, საფიქრებელია აბა სუმბარმა ხომ არ გააფრთხილა? ვაითუ იცნო, რომ ხუტა გაწერელია, რომელსაც მერი მიხეილ ჩაჩბას სახელით იცნობს, მილიციის თანამშრომელია? თუმცა საიდან უნდა ეცნო აბას ხუტა გაწერელია? მას ხომ იგი თვალითაც არ უნახავს!..

...ამ წერილის გამოგზავნას ვაპირებდი, რომ საინტერესო ამბები მოხდა და იმან შემაჩერა. აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა ბოშათა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, როგორც ზემოთ აღვნიშნე. აბა სუმბარი ამ ანსამბლის მონაწილეა. ქალაქის ქუჩებს უკვე გუშინდელი დღიდან ამშვენებს მათი აფიშები, სადაც აბა სუმბარის სურათი და მისი სახელი და გვარი დიდი ასოებით არის გამოჭიმული.

საკვირველია ეს ზნედაცემული პიროვნება, ნამდვილი ავაზაკი, მოცეკვავე და მომღერალიც ყოფილა. საიდან, როგორ? პირდაპირ გასაოცარია.

ეს ხომ მართლაც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ ბოროტმოქმედი პიროვნება ხელოვნების დარგშიც მუშაობდეს.

ხელოვნებას ხომ სინაზე და სინატიფე ახასიათებს, ხელოვანს სპეტაკი სული ნაზი გრძნობები უნდა ჰქონდეს, მგრძნობიარე გული და ფაქიზი განცდები, ხელოვანი ხომ თვითონ უნდა განიცდიდეს, რომ შეძლოს ადამიანებსაც განაცდევინოს, და თუ ეს ასეა, ვინ მისცა ბოროტმოქმედს გრძნობისა და განცდების უნარი? საიდან შეიძლება ჰქონდეს მას ლამაზი სული და წრფელი გული? არ ვიცი, მე ალბათ ვცდები, თორემ აბა სუმბარი ავაზაკი და იგივე აბა სუმბარი ხელოვანი, აქ რაღაც ისეთი დიდი შეუსაბამობაა, რომ ეს ჩემს გაგებას აღემატება.

ბოდიში, ცოტა გადავედი ჩემი მოხსენების მთავარ ხაზს.

ხუტამ მაცნობა: მერი და დანიელ მალდონატო ემზადებიან ბუინაკსკში გასამგზავრებლად, ფიქრობს, ალბათ ნაძარცვი ნივთები თუ უნდა წაიღონ. შიგ ბუინაკსკში არ გაჩერდებიან, მის ახლოს მოსახლეობაა სტალინაურად წოდებული, იქ მიდიან, ხოლო ვისთან, ეს მან არ იცის. ხუტა არ მიჰყავთ თან. მას დაჰპირდნენ რაღაც „დავალების“ მიცემას, რა დავალებაა, მან ჯერ არ იცის. ნაძარცვი ნივთები აბა სუმბარის ბინაშია გადამალული. კონცერტის შემდეგ იმ ბინაში მოიყრიან თავს, სადაც აბა სუმბარი ცხოვრობს, ანსამბლის წევრები სასტუმროში ცხოვრობენ, აბა კი კერძო ბინაზეა.

მე დავავალე ხუტას, აზას ბინაში არ გაჩერებულიყო და კონცერტის დროს თეატრში წასულიყო. მე ეს იმ აზრით გავაკეთე, რომ გადაწყვეტილი გვექონდა აზას ბინაში საიდუმლო ჩხრეკის ჩატარება.

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა ხომ წინასწარ იცოდა ჩემი განზრახვა, მასთან რამდენჯერმე მქონდა საუბარი და დაინტერესდა ამ ავაზაკთა ბანდის შეპყრობით, როგორც მოგახსენეთ, გადავწყვეტეთ იმ ღამესვე ჩაგვეტარებინა აზას ბინის ჩხრეკა და თუკი რაიმე მასალებს აღმოვაჩენდით, აბა და დანიელ მალდონატო შეგვეპყრო. ეს უკანასკნელი

არ იმალება, აშკარად დადის. მერის შეპყრობაზე ჯერ კიდევ ვიკავებ თავს, ვიდრე გერმან ბაზილის კვალს არ მივაგნებ და არ ჩავბლუჯავ. მილიციის თანამშრომლები ცხადლივ მე ფარულად, ძალიან მეხმარებიან ყველაფერში, უფრო მეტიც, ერთერთი გადაცემული თანამშრომელი მცველივით დამდევეს უკან და მუდამ მზად არის აუცილებელ შემთხვევაში საჭირო დახმარება გამიწიოს.

აზა საღამოს შვიდ საათზე წავიდა თეატრში. კონცერტი რვა საათზე იწყებოდა, ორი გადაცემული თანამშრომელი თეატრში იქნა გაგზავნილი, რომ იქ თვალყური ედევნებით აზასათვის, მათში ერთი მეხანძრის ტანისამოსში გამოწყობილი კულისებში იქნა შეგზავნილი.

მე აზას ბინამდე მივყვევი მილიციის თანამშრომლებს, ბინაში არ შევსულვარ და ჩხრეკაში მონაწილეობა არ მიმიღია, აზას ბინა ქალაქის ბაღის ბოლოშია, ზღვას გადაჰყურებს, ერთსართულიანი სახლის ეზოში პატარა ბაღია, ხოლო ბაღის ბოლოში საკუჭნაოს მაგვარი, დარკინული ფანჯრებიანი პატარა ქვიტკირის შენობაა, მე ბაღის გარეთ იმ საკუჭნაოსთან გავჩერდი ერთ-ერთ თანამშრომელთან ერთად. როდესაც სახლში ჩხრეკა დაიწყო, ამ საკუჭნაოდან გამოვარდა ვიღაც უცნობი, გადმოეწვლო ღობეს და პირდაპირ ჩემთან მყოფ თანამშრომელს ჩაუვარდა ხელში, ჩემთან მყოფი მარჯვე და ღონიერი აღმოჩნდა, ისე სწრაფად გათოკა ის უცნობი, რომ დაყვირების საშუალებაც კი არ მისცა.

ბინაში ვერაფერი აღმოაჩინეს, გადმოვიდნენ საკუჭნაოში, იქ კი ჩხრეკამ დადებითი შედეგი გამოიღო. აღმოჩენილი იქნა ბლომად ნივთები, მეტწილად ოქროს საათები, ძვირფასი სამკაულები და ბლომად ფული. რა თქმა უნდა, ტანისამოსი და სხვა ნივთებიც იყო, მაგრამ ცოტა, როდესაც სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა ჩხრეკა მოათავა და სახლიდან გამოვიდა, მან ერთი შეპყრობილი პიროვნებაც გამოიყვანა, მე კი მას მე-

ორე შეპყრობილი დავახვედრე. წარმოიდგინეთ, ეს მეორე დანი-
ელ მაღდონატო აღმოჩნდა.

განყოფილების უფროსი სამმართველოში გაემგზავრა. მისი
მოადგილე, მე და ორი თანამშრომელი წავედით თეატრში აზას
შესაპყრობად. როდესაც დარბაზში შევედით მე ერთი თანამშრო-
მელით სცენისაკენ გავწიე. მოადგილე კი მეორე თანამშრომ-
ლით კულისებისაკენ გაემართა. სცენაზე სწორედ აზა სუმბარი
იყო გართული თავისი ხელოვნებით. მე და განყოფილების უფ-
როსის მოადგილემ, წინასწარვე მოვილაპარაკეთ, არავითარი
ოპერაცია არ ჩავგეტარებინა, ვიდრე კონცერტი არ დამთავრდე-
ბოდა და ხალხი არ დაიშლებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აზა
თავისი ნომრის დამთავრების შემდეგ სახლში დააპირებდა წას-
ვლას, გზაში უნდა აგვეყვანა.

აზამ ცეკვა დაამთავრა, მაგრამ მაყურებლებმა არ გაუშვეს
სცენიდან, დარბაზში ტაშის გრიალი იყო, მე კი ეს მანერვიულებ-
და, იმ ჟამად სცენაზე მოცეკვავეს კი არ ვხედავდი, არამედ ბო-
როტმოქმედს, ის იმ ჟამად ჩემთვის ხელოვანი არ იყო, ეს ნადირი
იყო, ხოლო მე კი ჩასაფრებული მონადირე, რომელიც გულის
ფანცქალით მოელის ხელსაყრელ მომენტს, რომ ტყვია ესრო-
ლოს.

ხალხის ტაშის გრიალი არ წყდებოდა, აზა მესამედ თუ მეოთ-
ხედ გამოვიდა მაღლობის გადასახდელად და აი, ახლაც ტაშის
გრიალში აპირებდა თავის დაკვრას, რომ მოულოდნელად დამ-
ბაჩამ იჭექა. აზამ მკერდზე ხელი იტაცა, უცნაურად ჩემს მხარეზე
გადმოიხედა და მოწყვეტით დაეცა სცენაზე.

ხალხი აირია, ხეირიანად ვერავინ ვერ გაიგო რაში იყო საქმე,
ტაშის გრიალში ალბათ ბევრმა ვერც კი გაიგონა გასროლის ხმა,
ხოლო კივილი: „მოჰკლეს, მოჰკლეს...“ ყველას მოედო, ხალხი
აირია და გასასვლელს მიაწყდა. სამწუხაროდ იმ ჟამად მე სცე-

ნასთან ახლოს ვიდექი მარცხენა მხრიდან, გასროლის ხმაზე მივხვდი, რომ სროლა მოხდა მთავარ შესასვლელ კარებიდან. ზედმეტი იყო იმაზე ფიქრიც, რომ ბოროტმოქმედს გამოვკიდებოდი. იმაზე უარესი განა იქნება, ვიდრე პანიკით შეპყრობილი ხალხი? მიუხედავად იმისა, რომ თეატრის ადმინისტრაცია იმ წუთშივე გაჩნდა ადგილზე, მაინც ვერ იქნა და ვერ მოხერხდა ხალხის დაწყნარება, ისინი მაინც აწყდებოდნენ კარებებს და ჰქელავდნენ ერთმანეთს. ვიდრე მე სცენაზე ავვარდებოდი, ანსამბლის მონაწილენი უკვე შემოეხვივნენ აზას. იგი მძიმედ იყო დაჭრილი საიდანლაც ექიმი გაჩნდა. საიდან, როგორ? ეს მე არ ვიცი, ალბათ დარბაზში მაყურებელთა შორის თუ იყო და არ აჰყვა საერთო პანიკას, მკურნალის ინსტინქტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა მასში, რომ ისიც სხვებსავით გასასვლელს კი არ მივარდა, არამედ სცენას მიაშურა.

როდესაც მე სცენაზე ავედი, განყოფილების უფროსის მოადგილემ წამჩურჩულა, დაუყოვნებლივ წავსულიყავ სამმართველოში. მართლაცდა, აბა რის გამკეთებელი ვიყავი იქ? არაფრისა, ჩემი თავი კი შეიძლება გამომემჟღავნებინა, იმავე წუთში ავედი კულისებში და იქიდან კი ქუჩაში. ჩემთან მყოფი თანამშრომელიც თან გამომეყვა, მიუხედავად ჩემი პროტესტისა, რომ მარტო წავიდოდი, მაინც არ მომცილდა. სამმართველოსაკენ წავედი, ის კი შორიახლოს მომდევდა. ქუჩაში ხალხის ჭაჭანება არ იყო.

მივდიოდი და ვფიქრობდი, ვის რაში სჭირდებოდა აზას სიკვდილი, ისიც ასეთ უცნაურ გარემოებაში? აზა ხომ თვით იყო დაკავშირებული ბოროტმოქმედებთან! თუ შურისძიებისმაგვარ გარემოებას ჰქონდა ადგილი, რაღა მაინცდამაინც სცენაზე ესროლეს, განა სხვა პირობებში არ შეიძლებოდა მასთან ანგარიშის გასწორება? ბევრ უცნაურობას წავწყდომივარ, მაგრამ ეს მაინც იმდენად უცნაური იყო ჩემთვის, რომ ვერასგზით ვერ ამეხსნა.

ქუჩის კუთხეს რომ მივუახლოვდი გავჩერდი. პაპიროსი ამოვიღე და ასანთის ანთებას ვაპირებდი, როდესაც დამბაჩამ იჭექა, ტყვიამ ქუდი გამიხვრიტა. მე სასწრაფოდ შემოვტრიალდი და დავინახე ჩემი მხლებელი თანამშრომელი, რომელიც შორიახლო მომდევდა, ვიღაცას ებრძოდა. მე გავიქეცი მისკენ, მივეხმარე, სასწრაფოდ გავთოკეთ უცნობი, ავაყენეთ ფეხზე და წინ გამოვიგდეთ.

— რაში იყო საქმე არ მეტყვიო? — შევეკითხე შეშფოთებულმა და ქუდი მოვიხადე. იგი მარჯვენა ყურის ზემოთ იყო გახვრეტილი. რამდენიმე მილიმეტრით დაბლა და ალბათ გაშოტილი ვეგდებოდა ქუჩაში.

— რაში იყო საქმე და... თქვენ რომ შეჩერდით, ეს ყმაწვილი ერთ-ერთ ეზოდან გამოვარდა, დამბაჩა ამოიღო და გამოგიდგათ. მე მაშინვე მიხვდი, რომ თქვენს მოკვლას ლამობდა, გამოვუდექი და ის იყო შემართა დამბაჩა, რომ ხელი ავუკარი და სწორედ ამ ხელის აკვრამ გადაგარჩინა სიკვდილს. მაშინვე ვტაცე მარჯვენაში ხელი, გადავუგრიხე და იარაღი გავაგდეინე. აბა, მეუბნებოდით მართო წავალ, თქვენ საჭირო არა ხართო, ხედავთ საჭირო ვყოფილვარ თურმე.

მე მას მადლობის თვალთ შევხედე. ზემო ქუჩიდან გუშაგი მილიციელი მორბოდა, სროლა რომ გაეგო გამოქცეულიყო, ჩვენ იგი დავამშვიდეთ. მილიციელმა შეხედა შეკრულ უცნობს და ჩემს მხლებელს მიმართა.

— თქვენ ამ ვაჟბატონს ვერ იცნობთ? ეს ხომ ცნობილი მძარცველი ხასან კულიევია.

— ხასან კულიევი? — გაიკვირვა ჩემმა მხლებელმა, შეხედა და განცვიფრებით წარმოსთქვა, — შენ მართალი ხარ, ძმობილო, ნამდვილად ხასან კულიევია. იქ, შეპყრობის ადგილას ბნელოდა, კარგად ვერ გავარჩიე მისი სახე და იმიტომ უცბად ვერ შევიცანი, თორემ ამის უკან დევნაში რამდენი ღამე მითენებია!

როცა მილიციის სამმართველოში მივედით, იქ ხელმძღვანელ პირთაგან არავინ დაგვხვებოდა. სამმართველოს უფროსი სისხლის სამართლის სამსახერო განყოფილების უფროსთან და ქალაქის პროკურორთან ერთად საავადმყოფოში წასულიყო, სადაც მძიმედ დაჭრილი აბა სუმბარი წაყვანათ. აბა, მე სადღა წავიდოდი, გადავწყვიტე მომეცადა მათთვის, შეპყრობილი ხასან კულიევი საკანში მოვათავსეთ და მე და ჩემთან მყოფი თანამშრომელი უფროსის სამუშაო ოთახში შევედით.

ერთ ხანს ორივენი გაჩუმებული ვიყავით, მე მას უდიდესი მადლობის თვალთ მივჩერებოდი. მე თუ დღემდე მასთან მაერთიანებდა ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის მისწრაფება, ახლა, როდესაც მან სიკვდილს გადამარჩინა, ჩემი სული და გული მთლიანად მას ეკუთვნოდა, იგი ღვიძლ ძმად გადაიქცა ჩემთვის.

რამდენად მართალი იყავით თქვენ, ამხანაგო უფროსო, როდესაც გვასწავლიდით, რომ: „ოპერატიულ მუშაკს კეთაზედაც თვალები უნდა ჰქონდესო. ერთხელ თუ წინ გაიხედავს, ორჯერ უკან უნდა მოიხედოსო“ აი, ახლაც არ მოვიხედე უკან და კინაღამ სიცოცხლედ დამიჯდა ეს გაუფრთხილებლობა.

ჩემი ახალი მეგობარი, შამილი ოცდასამი წლისაა, ისიც ჩემსავით ოპერატიული მუშაკია. მთებიდან არის, ეროვნებით ავარიელია, თვრამეტი წლის ასაკიდან მილიციის რიგებშია და ბევრი ავაზაკისათვის დაუბნელებია მზე. ბევრი მათგანი გაუთოკია და მოუსპია მისთვის ავგზაზე სიარულის ხალისი.

ამხანაგ შამილს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული თავისი თავგადასავალის მბობა, როდესაც სამორიგეოში გამოიძახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა და გადმომცა, რომ მე სისხლის სამართლის სამსახერო განყოფილების უფროსი მიბარებდა თავისთან. ჩვენ ორივენი დაუყოვნებლივ წავედით საავადმყოფოში.

აზა სუმბარმა, როგორც კი გამოეყვანათ საოპერაციოდან, მაშინვე მე მიკითხა თურმე. რა თქმა უნდა, ჩემ ნამდვილი სახელი და გვარი იცოდა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა და ძალიან გაუკვირდა, როდესაც აზასაგანაც გაიგო.

მიუხედავად ექიმების აკრძალვისა, იგი თურმე დაუინებით მოითხოვდა ჩემს ნახვას.

— სულ ერთია მე სასიცოცხლო პირი აღარ მაქვს, სიკვდილის წინ მინდა ჩემი აღსარება ვუთხრა იმ პიროვნებას, ვის წინაშეც ყველაზე მეტ დანაშაულს ვგრძნობ, — ეთქვა მას, — თქვენ ამბობთ, რომ ლაპარაკი ავნებს ჩემს ჯანმრთელობას? რამდენიმე საათით ადრე მოვკვდები თუ გვიან, ამას არა აქვს მნიშვნელობა, სამაგიეროდ სამარეში მაინც აღარ ჩამყვება იმ საშინელი დანაშაულის ვარამი და დარდი, რომელიც რამდენიმე თვეა ძილსა და მოსვენებას არ მაძლევს.

სამმართველოს უფროსმა, პროკურორმა და ექიმმა მოითათბირეს და როდესაც ექიმმა დაადასტურა, რომ აზას სასიცოცხლო პირი აღარ ჰქონდა, გადაწყვიტეს ჩემი დაბარება, რადგანაც იცოდნენ, რომ აზა სუმბარი უჩემოდ მათ არაფერს ეტყოდა.

საავადმყოფოში მისვლისთანავე დაჭრილთან შემიყვანეს. იგი ცალკე ოთახში მოეთავსებინათ. მან, როგორც კი დამინახა, ნაღვლიანი, ჩაცვინული თვალები მომაპყრო და მწარედ გამიღიმა.

— გამარჯობა, არჩილ, მიცანი? — შემეკითხა იგი და პასუხს აღარ მოუცადა, განაგრძო, — მე ხომ კირა ზაბორა ვარ, ლომისის სანატორიუმის ფერშალი.

მე ეს ხომ ადრევე ვიცოდი და ამიტომ არც გამკვირვებია მისი აღსარება, იქ დამსწრეებმა კი, გარდა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსისა, რომელთანაც მე დაწვრილებით მექონდა ნათქვამი ექიმ ნატო სულიაშვილის მკვლელობის

ამბავი და კირა ზაბორას მონაწილეობა ამ დანაშაულის ჩადენაში, გაკვირვებით შემომხედეს, მაგრამ არაფერი მითხრეს. თქვენ ხომ მწერდით, რომ აღმოაჩინეთ ნატოს დღიური, ამ დღიურის საშუალებით მიაგენით მკვლელობის ორგანიზატორს მეწისქვილე თედო ხაპიაშვილს, აღმოაჩინეთ მოკლულის გვამი, და თედო ხაპიაშვილი ყველაფერში გამოტყდა. ისე რომ მე უკვე მომზადებული შევხვდი კირა ზაბორას და გადავწყვიტე, რაც კი შეიძლებოდა მეტი ცნობები და ახალი დადასტურება მიმეღო მისგან.

— გიცანით, როგორ ვერ გიცანით, განა თქვენი სახე დამავიწყდება ოდესმე, — ვუპასუხე მე.

კირა ზაბორამ მწარედ გაიცინა და მიპასუხა.

— მე იმიტომ დაგიბარეთ, რომ მინდა თქვენ იყოთ ჩემი სულის მოძღვარი, თქვენ და მხოლოდ თქვენ გითხრათ აღსარება. თქვენთან შეხვედრამდე მე მილიციის თანამშრომლები ჭირივით მძულდა, მე ისინი უსულგულო ადამიანებად მიმაჩნდა, იმ ადამიანებად, რომელთაც ტვინში მხოლოდ კანონი აქვთ ჩატედილი და კანონის დამრღვევი, რა პირობებში და გარემოებაშიც არ უნდა იყოს, ადამიანებად აღარ მიაჩნიათ, მათ კანონგარეშე აყენებენ. მე მეგონა მანამდე, რომ არიან ქვეყნად ავაზაკები, მაგრამ მათზე უკეთესები არ არიან მილიციის მუშაკები, რომ მათთვის სულ ერთია, უბრალო ეჭვის ნიადაგზეც კი შეუძლიათ მოსპონ ადამიანი ფიზიკურად, გაანადგურონ. მეგონა რომ მათ ადამიანური საუბრის უნარიც კი მოსპობილი აქვთ. ეს და მრავალი ამაზე უარესი დახასიათება მიმიცია თქვენი დარგის მუშაკებისათვის. მე თქვენც ავაზაკებად გთვლიდით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შარავგზის ავაზაკს კანონი სჯის, თქვენ კი კანონი გახალისებთ და ამის შედეგად თვით კანონიც კი ჩემს თვალში უკანონობის სრული განსახიერება იყო, როდესაც დამკითხეთ იქ ლომისში, თქვენი მიდგომა ჩემდამი ისეთი განსაკუთრებული იყო, ისეთი გულწრფელი, რომ მე გაკვირვებული დავრჩი. მე მაშინ

თქვენში ადამიანი დავინახე, ნამდვილი, გულწრფელი ადამიანი, მივხვდი, რომ კანონის დარაჯნი, ეს პატიოსანი მშრომელი ხალხის, მშრომელი ადამიანების დარაჯნი არიან, თქვენ მე თვალები ამიხილეთ და მილიციის მუშაკები სულ სხვა სახით დამანახვეთ. რაც აქ ჩამოვედი, ამ რამდენიმე დღის წინათ, იმავე დღეს დაგინახეთ და გიცანით, სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორმე მენახეთ, მესაუბრა თქვენთან. თქვენმა დანახვამ გამახსენა ადამიანთა შორის საუკეთესო, გულწრფელი და მოსიყვარულე გულის პატრონი ექიმი ნატო სულიაშვილი, ჩემი საყვარელი ნატალია ირაკლიევნა, რომელიც მე ისე სასტიკად, უსულგულოდ, არაადამიანურად მოვატყუე, მაგრამ რა მექნა?! მე თუ იმ საშინელი დანაშაულის ჩადენაში არ მივიღებდი მონაწილეობას, მე თვით მომკლავდნენ. მაგრამ ჩემი თავი წყალსაც წაუღია, იმ ადამიანს მომიკლავდნენ, რომელიც ცხოვრებაში ყველაფერს, საკუთარ სიცოცხლესაც კი მირჩევნია, შვილს მომიკლავდნენ.

მე თავი ვერ შევიკავე ამ სიტყვებზე და ჩემდა უნებურად წამოვიძახე:

— შვილს? განა თქვენ შვილი გყავთ?

— დიახ, მყავს თორმეტი წლის გოგონა, რომელიც ამ ქვეყნად ყველას მირჩევნია, ის ჩემთვის ამომავალი მზე და მანათობელი ვარსკვლავია. ის ჩემი შვილია, ჩემი სისხლისა და ხორცის ნაწილი. მე თუ ქვეყნად ვარსებობდი, მე თუ ვცოცხლობდი და ვსუნთქავდი, მხოლოდ მისთვის, რომ ის მე ადამიანად აღმეზარდა, ნამდვილ ადამიანად, საზოგადოების ღირსეულ წევრად. არ გაიკვირვოთ ჩემი ეს სიტყვები, არ იფიქროთ, რომ მე თუ შემრჩა აზროვნების ნატამალი გავარჩიო ერთმანეთისაგან თეთრი და შავი, ბოროტი და კეთილი, ზნეობა და უზნეობა, მაშ როგორღა ვიყავი დაკავშირებული ცხოვრების ნაძირალებთან, როგორღა გავიხრჩენი, დავეცი ძირს, ჩავყურყუმელავდი სიბინძურის მორევ-

ში? მე თუ ვგრძნობდი ამ სიბინძურის აყროლებულ სუნს, მაშ რატომ არ ვცდილობდი დამეღწია თავი და სიკეთის გზაზე დავმდგარიყავი. მაგრამ ნუ განცვიფრდებით თუ გეტყვით, რომ მე ბევრჯერ ვეცადე ამას, ბევრჯერ დავაპირე, მაგრამ იმ წრემ და ადამიანებმა, რომელნიც გარს მეხვივნენ, გასაქანი არ მომცეს. მე ყოველ ჟამს ტერორის ქვეშ ვიმყოფებოდი, პირადად ჩემი და ჩემი შვილის სვეტლანას სიცოცხლე ხშირად ბეწვზე ეკიდა, საკმარისი იყო თუნდაც ერთი ნაბიჯი გადამედგა არა იქით, საითაც მიმიტოვებდნენ, რომ მათგან დანდობის იმედი არ უნდა მქონოდა, მათ მე ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამიქციეს, მაგრამ ამ ჯოჯოხეთს ვიტანდი.

დაწყევლილი იყოს ის დღე, როდესაც ჩემი ცხოვრების გზაზე ვადიმ ურალოვს შევხვდი. თქვენ ალბათ არ იცით ვინ არის ვადიმ ურალოვი. ეს ის მგელია, ადამიანის ტყავში გახვეული მგელი, რომელსაც ადამიანური ყველაფერი დაკარგული აქვს, რომლისთვისაც სული, გრძნობა, ზნეობა არ არსებობს. ის ნამდვილი მგელია, ველური პირუტყვი, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სახეს ატარებს, ადამიანივით მეტყველებს. ვადიმ ურალოვი ის პიროვნებაა, რომელსაც ძალმომრეობა ფეტიშად გადაუქცევია და მას ეთაყვანება. მისთვის კაცის მოკვლა გასართობ საქმედ არის გადაქცეული. სხვისი წამება მას ნეტარებას ჰგვრის, ის მაშინ არის გახარებული, როდესაც რაიმე უზნეობას სჩადის, განა არსებობს დანაშაული, რომელიც მას არ ჩაედინოს? არა, ისეთი დანაშაული არ არსებობს დედამიწის ზურგზე. აი, ამისთანა ადამიანი, არა, ადამიანის კი არა, ამისთანა მგელკაცის ხელში განალა მქონდა რაიმე დანდობის იმედი? რა თქმა უნდა არა.

მე არ ვიცი წარმოშობით ვინა ვარ, ან რა ეროვნებას ვეკუთვნი, შეიძლება ქალ-ვაჟთა შემთხვევითი ურთიერთობის ნაყოფიც ვიყო, შეიძლება და დედაჩემმა მე ვერ გამიმეტა მოსაკლავად, ქუჩაში მიმაგდო და თავის სიცოცხლეს თვითვე მოუღო ბოლო, რა

იყო და რა არა, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ ჭუჭყიან ჩვრებში
 გახვეული შემოდგომის ერთ პირქუშ დღეს ქუჩაში ვუპოვივარ
 გამვლელებს და საბავშვო სახლში მივუყვანივარ აღსაზრდე-
 ლად. ექვსი წლისა არ ვიქნებოდი, მე ეს სიზმარივით მახსოვს,
 როდესაც საბავშვო სახლიდან მომიპარეს მათხოვრებმა. რამდე-
 ნიმე წელიწადს დამათრევდნენ ისინი სხვადასხვა ქალაქებში სა-
 მათხოვროდ. ბავშვიანი მათხოვარი ხომ მეტ შებრალებას ჰპო-
 ვებს ადამიანებში და მეც ალბათ ამ მიზნით ჩამიგდეს სელში, ათი
 წლისა, როგორ მოვხვდი ბოშათა ბანაკში, არ ვიცი, მახსოვს მხო-
 ლოდ ის, რომ დამე რომელიღაც ეკლესიის ეზოში, ხის ძირას,
 დაღლილ-დაქანცულმა, მშიერმა და ნახევრად შიშველმა დავი-
 ძინე, ხოლო როდესაც გამომეღვიძა, ქალაქზე მოშორებით ბოშა-
 თა ბანაკში ვიმყოფებოდი, თექვსმეტი წლის ასაკამდე ამ ბანაკს
 დავდევი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, შემას-
 წავლეს მკითხაობა, მათხოვრობა ხომ ადრევე მქონდა შესწავ-
 ლილი, სიცრუე, პირფერობა, ბოშური სიმღერები და ცეკვები.
 თექვსმეტი წლისა ვიყავი, როდესაც წანწალისათვის მე და ორმა
 სხვამ ჩვენი ბანაკიდან საპატიმროში ამოვყავით თავი... საპატიმ-
 როდან ერთი წლის შემდეგ გამოვიპარე, ჩემთან ერთად გამოი-
 პარა პატიმარი ქალი, ცნობილი ქურდი, დეიდა ვერონიკა, ჩვენ
 ორივენი დავწანწალებდით, ჩემი ბანაკის ასავალ-დასავალს ვე-
 ლარ მივაგენი, მე და ჩემთან ერთად გამოპარული დეიდა ვერო-
 ნიკა შევუდექით ახალ საქმიანობას ქურდობას. ქურდი ქალი ვე-
 რონიკა განვითარებული პიროვნება იყო. ასე, ორმოცი წლისა
 იქნებოდა, გალოთებული და გარყვნილი, მას შეეძლო სასარგებ-
 ლო პიროვნება დამდგარიყო საზოგადოებისათვის, აკი ვთქვი,
 რომ განვითარებული ქალი იყო-მეთქი. მაგრამ მას ისე სძულდა
 არსებული ხელისუფლება, ისეთი წინააღმდეგი იყო, რომ ის იმ
 თავის პატარა ცოდნასაც კი, რაც მას ჰქონდა, არ იმეტებდა გა-

მოეყენებინა საზოგადოებისათვის და არჩევდა წანწალსა და მანკიერ ცხოვრებას. დიახ, მეც ცხოვრებაში გამოუსვლელი, განუვითარებელი, რომელმაც მკითხაობის, მათხოვრობის, ბოშური სიმღერებისა და ცეკვის მეტი არაფერი ვიცოდი, ჩამიგდო ხელში. სულ იმით მაშინებდა, რომ მე უსაბუთო ვიყავი, უპატრონო, ეული, საპატიმროდან გამოქცეული და რომ მე თუ ჩავუვარდებოდი ხელში მილიციას, სიკეთის მოლოდინი არ უნდა მქონოდა. დიახ, ამ ვერონიკამ მიმაჩვია ქურდობასა და გარყვნილებას. ეცადა გაველოთებინე კიდეც, მაგრამ ეს მას არ გამოუვიდა.

საკვირველი ალლო ჰქონდა ამ ქალს, სადაც არ უნდა წავსულიყავით, ადვილად მონახავდა ხოლმე თავისივე მსგავს ნაძირალას. დიდხან ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა, წანწალებდა და მეც თან დამატრევდა. ერთადერთი რაც ჰქონდა მას დადებითი, უყვარდა წიგნების კითხვა. წიგნების კითხვას მეც მიმაჩვია, წერაც მასწავლა, გარდა ამისა ჩაცმაც უყვარდა, ისე იცმევდა და ქცევაც იმისთანა ჰქონდა, რომ ქუჩაში ვისმეს დაენახა, ვერ წარმოიდგენდა თუ ამ ადამიანის სამოსელში ბოროტმოქმედი, გარყვნილი და ლოთი პიროვნება იყო გახვეული.

წელიწადზე მეტი ვიხეტიალეთ ჩრდილო კავკასიაში. ჩემმა მეგობარმა ვერონიკამ ყირიმში მოისურვა საგასტროლოდ გამგზავრება და ჩვენც, ერთ მშვენიერ დღეს, იალტაში ამოვყავით თავი. აი, სწორედ იქ გავიცანი პირველად ვადიმ ურალოვი. ვერონიკა მაშინვე დაუკავშირდა მის ბანდას. მე და ვერონიკა თვალში ამოვიღებდით ჯიბესქელ დამსვენებლებს, ღამდამობით მათთან ერთად გავისეირნებდით ხოლმე ქალაქგარეთ ზღვის ნაპირას „მთვარესთან სასაუბროდ“, როგორც ამ „გასეირნებას“ უწოდებდა ვერონიკა, აქ თავს დაგვესხმოდა ვადიმ ურალოვის ბანდა და გვძარცვავდა. რა თქმა უნდა, იმ ჩვენს უტვინო კავალრებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ჩვენ ძარცვის მსხვერპლნი ვი არ ვიყავით, არამედ ბოროტმოქმედთა ხელისშემწყობნი.

ვადიმ ურალოვმა დაიწყო ცხოვრება ჩემთან და უფრო მეტად ჩამაბა თავის ბნელ საქმიანობაში. მე ინსტინქტურად ვგრძნობდი, რომ ასეთი ამბავი სიკეთეს არ დამაყრიდა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, მართლმსაჯულებას ჩავუვარდებოდი ხელში და საკადრის საზღაურს მივიღებდი, დაპატიმრებისა ძალზე მეშინოდა, მაგრამ უფრო ძალიან კი ვადიმ ურალოვის მეშინოდა, რადგანაც მე უკვე კარგად შევისწავლე მისი ველური, დაუნდობელი ხასიათი. მე არა ერთი მისი სისხლიანი საქმის მოწმე შევიქენი. არ შემეძლო დამევიწყებინა ის სურათი: ერთხელ ერთ-ერთ ჩემს მიერ გატყუებულს თავს დაესხა. ჩემი „კავალერი“ გაუძალიანდა მას, ურალოვი მოერია, წააქცია და ისე აუღელვებლად გამოსჭრა ყელი დანით, თითქოს ადამიანის მაგივრად ქათამი დაეკლას. შემდეგ ჯიბეები ამოუჩხრიკა, იქვე მთვარის შუქზე დაითვალა ნადავლი და თითქოს იქ არაფერი არ მომხდარიყოს, ისე გასწია და მეც თან გამიყოლა. მე სულ იმის ფიქრში და ცდაში ვიყავი, გავქცეოდი, წავსულიყავ, მაგრამ სად და საით? განა ყველგან არ მომნახავდა? წავსულიყავ მილიციაში და გამეცხადებინა, შემდეგ სიცოცხლე აღარ მინდოდა?!

ჩემდა მოულოდნელად, მალე მომეცა მასთან დაშორების საშუალება. დაიწყო დიდი სამამულო ომი. მიუხედავად ვერონიკას წინააღმდეგობისა, მე მაინც გამოვცხადდი სამხედრო კომისარიატში და გამოვთქვი სურვილი გავეგზავნე მოქმედ არმიაში. ეს ამბავი კრასნოდარში მოხდა. იმჟამად ვადიმ ურალოვი არ იყო იქ, თორემ განა მომეცემოდა მისი შესაძლებლობა? ის ყელს გამომღადრაავდა, ვიდრე სამხედრო კომისარიატამდე მივალწევდი, ჩემი თხოვნა მიღებული იქნა, მე პოლკის სანიტარულ ნაწილში ჩამრიცხეს და ბრძოლის ველზე გამგზავნეს. პოლკში სულ ახალი ხალხი ვნახე, ხალხი ზნეობით აღსავსე, დიდი, პატიოსანი გულით, პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალული გულით, რო-

მელთაც სიცოცხლე არაფრად უღირდათ, ოღონდ სამშობლო გა-
ეთავისუფლებინათ საზიზღარი დამპყრობლებისაგან.

მანამდე გარყვნილების, ლოთობის და ბოროტმოქმედებათა
ჭაობში ჩაფლულს, ახალი დღე გამითენდა, დღე მზის სხივებით
გაცისკროვნებული, ეს ხალხი, რომელიც მე გარს მეხვია და რო-
მელთა წრეშიც ვტრიალებდი არა ჰგავდა არც მაწანწალა მათ-
ხოვრებს, არც უსაქმურ ბოშებს და მით უმეტეს ისეთ გადაგვარე-
ბულ პირებს, როგორებიც იყვნენ ვერონიკა და ვადიმ ურალოვი
თავიანთი დამქაშებით. მე თითქოს ახლად დავიბადე, ახლად
ავახილე თვალი, ამიტომ თავგანწირვით ჩავები სამშობლოსათ-
ვის ბრძოლაში და მალე სახელიც გავითქვი.

ერთ-ერთ ბრძოლაში, ქალაქ გროზნოს მისადგომებთან, რო-
ცა მოწინავე ხაზიდან მძიმედ დაჭრილი მეომარი ზურგში მომყა-
და, დამჭრეს, ტყვიამ მარჯვენა მკერდში გამიარა. გონს რომ მო-
ვედი, სამხედრო ჰოსპიტალში ვიწექი, ჭრილობა არ აღმოჩნდა
საშიში, ორი თვის განმავლობაში ფეხზე დავდექი და ვინაიდან
დასუსტებული ვიყავი, მოწინავე ხაზზე აღარ გამგზავნეს. უსაქ-
მოდ რა გამაჩერებდა, ვეხმარებოდი სამედიცინო პერსონალს,
პატარა გამოცდილება უკვე მქონდა და ამ გამოცდილებას მეც ვი-
ყენებდი. წინადადება მომცეს წავსულიყავი მედიცინის დების
მოკლევადიან კურსებზე. ეს კურსები, დავამთავრე და უკვე სამ-
ხედრო ჰოსპიტალში დამაწყებინეს მუშაობა. ომის პერიოდში ისე
შევისწავლე ეს ახალი ხელობა, რომ ფერშლობასაც ვასრულებ-
დი, ჩვენს ჰოსპიტალში ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი იწვა
დაჭრილი, მე მას ვუვლიდი თავგამოდებით. მაშინ საბჭოთა მი-
წაწყალი უკვე განთავისუფლებული იყო მტრის ურდოებისაგან
და ბრძოლები ჩვენი ქვეყნის გარეთ სწარმოებდა. მე და ის ლე-
იტენანტი ისე შევეთვისეთ ერთმანეთს, რომ ჩვენ შორის სიყვა-
რულის ძაფებიც გაიბა და გადაწყვიტეთ შეუღლება, როგორც კი

ომი დამთავრდებოდა. ჩემი ლეიტენანტი განიკურნა და ხელახლა დაუბრუნდა მოწინავე ხაზს, მე გულისტკივილით და ცრემლით გამოვეთხოვე მას. თითქოს, ეს სასიკვდილე გული გრძნობდა, რომ ჩვენი გამომშვიდობება უკანასკნელი იყო, მართლაც უკანასკნელი გამოდგა, იგი მდინარე ოდერის გადალახვისა დაეცა. ვგრძნობდი, რომ მალე ბავშვი მეყოლებოდა, ბავშვი რომელიც თავის მამას ვერასოდეს ვერ ნახავდა და მის სასიყვარულო ალერსს ვერ განიცდიდა.

დამთავრდა სამამულო ომი, გავიდა ხანი. დაიწყო ჯარების დემობილიზაცია. მე უკვე დედა ვიყავი, ხელში ორი თვის გოგონა მეჭირა, რომელმაც ჩემს სიცოცხლესა და არსებობას მიზანი და დანიშნულება მისცა. გავთავისუფლდი ჯარიდან. მაგრამ სად წავსულიყავი ჩემთან ერთად დემობილიზაციით წამოვიდა ახალგაზრდა ექიმი ქალი, რომელიც ქალაქ გუდერმესიდან იყო. მას ამ ქალაქში მშობლები ჰყავდა. მე ჩემი უბედური მდგომარეობა გავუმხილე, რომ არსად ბინა არ მქონდა, არსად ახლობელი და გულშემატკივარი არ მელოდა. მან წამომიყვანა, ჩამომიყვანა ქალაქ გუდერმესში, ორი კვირა მაცხოვრა თავის სახლში, ქალაქის საავადმყოფოში მომაწყო ფერშლად, შემდეგ კი ბინაც მიშოვნა და ყოველმხრივ შემიწყო ხელი.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. პათიოსანი ცხოვრების კალაპოტში ჩაუდექი. ჩემი პატარა სვეტლანა და მე ბედს არ ვემდუროდით. სამსახურში მაფასებდნენ და პატივს მცემდნენ, როგორც დაუზარელს და ერთგულ მუშაკს. ჩემი პატარა სვეტლანა მოჩიტდა, დარბოდა, ტიკტიკებდა, მის სიგრძე-სიგანეს შევეყურებდი და მენატრებოდა, როდის წამოიზრდებოდა და სკოლაში დაიწყებდა სიარულს. ჩემს სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩემი შავბნელი წარსული დავიწყებას მივეცი, ნუ იმის ცდაში ვიყავი არ გამხსენებოდა და თუ ხანდახან ნაპერწკალივით გამივლევდა გონებაში, იმავე წუთს ჩემს ფიქრს სამსახურზე ან ჩემს

ბავშვზე გადავიტანდი და ამით ვიხშობდი წარსულის მოგონებას. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა ჩემი ასეთი ბედნიერი დღეები.

ერთხელ სახლში მოვდიოდი დაღლილი. რკინიგზის სადგურს რომ მივუახლოვდი, ერთი მოხუცებული მათხოვარი დედაკაცი ამედევნა.

— ქალბატონო, გაიმეტე მოწყალება, უბედური დედაბერისათვის, ნუ დაიშურებთ ორიოდ გროშს.

მე სასწრაფოდ შემოვტრიალდი, ხელში მანეთიანი ჩავუდე და სწრაფი ნაბიჯით განვაგრძე გზა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე დროს ამედევნებოდა ხოლმე ის მოხუცი მათხოვარი და არ მანებებდა მანამდე, ვიდრე ფულს არ გამომცინცლავდა. ისე გამიჭირა საქმე, რომ სხვა გზით დავიწყე შინ სიარული, მაგრამ ის ალბათ მითვალთვალებდა, რომ მანაც შეცვალა გეზი და ახალ გზაზედაც დამიწყო დახვედრა.

ერთ დღეს ის მოხუცი ქალი გზაში აღარ დამხვედრია. მე ცოტა არ იყოს გამაკვირვა ამ ამბავმა. შინ რომ მივედი, სადილის კეთება დავიწყე. ჩემი გოგონაც მოვიდა საბავშვო ბაღიდან. ჩემს მეზობელსაც პატარა ბავშვი ჰყავდა, ორივენი ერთ საბავშვო ბაღში იყვნენ და როდესაც ის მიდიოდა თავისი ბავშვის მოსაყვანად, ჩემი ბავშვიც მასთან ერთად მოჰყავდა ხოლმე.

კარგად დაღამებული იყო, როდესაც კარის კაკუნი შემომესმა, გავადე, კარებში ის მათხოვარი დედაკაცი იდგა, რომელიც გზაში მხვდებოდა ხოლმე. მე გამიკვირდა მისი დანახვა და ძლივს მოვახერხე შევკითხოდი:

— რა გნებავთ, ვინ გინდათ?

— თქვენ მინდისხართ და რაც მნებავს ახლავე გაიგებთ, — მიპასუხა მან. მოურიდებლად შემოვიდა ოთახში და სასადილო მაგიდას მიუჯდა. მე მისი თავხედობით აღშფოთებული, შევცქეროდი და სიტყვის თქმა ვერ მომეხერხებინა.

— ო, რაღაც კარგი კერძის სუნი მომდის. ალბათ ბორშჩს თუ ხარშავთ, მე ძალიან მიყვარს ბორშჩი. რა იცოდით, რომ გესტუმრებოდით, ჩემი საყვარელი საჭმელი რომ მოგიმზადებიათ? — საზარლად ჩაიხითხითა და განაგრძო, — ალბათ არაყი არ გაგიმზადებიათ. თუმცა არა უშავს რა, მე კეთილი გულის პატრონი ვარ, დღეს ასე იყოს, არ დაგსჯით, დღეს ჩემს ხარჯზე იყოს არაყი, მომავალში კი, იცოდეთ, ვერ გადამირჩებით.

ამ სიტყვებთან ერთად მან ჯიბიდან ნახევარლიტრიანი გაუხსნელი ბოთლი ამოიღო და წაიბურტყუნა:

— ამ დაწყევლილ ქვეყანაში ამის მეტი არაფერი არ არის ხერიანი. არაყი რომ არ იყოს, მაშინ მთლად წყალწასაღები იქნებოდა.

— ვინ ბრძანდებით? — კანკალით შევეკითხე მე.

— ო, ვერ მიცანით? — ხელახლა ჩაიხითხითა მან, — განა ასე მალე უნდა ძველი მეგობრების დავიწყება? თუმცა რა, თქვენ ხომ ახლა დიდი ქალი ბრძანდებით, საავადმყოფოში მუშაობთ, ასე ვთქვათ ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ. ამას წინათ დაგინახეთ, დემონსტრაციის დროს ქუჩაში რომ მიაბიჯებდით, მკერდი სავსე გქონდათ ორდენებითა და მედლებით, ვინ მოგცათ? სად იპოვეთ?

მეწყინა მისი ასეთი თავხედური ირონია და გამწარებით ვუპასუხე:

— მე ის ორდენები და მედლები მთავრობამ მომცა. კი არ ვიპოვე, მოვიპოვე.

— დიახ, დიახ... ვიცი... მოიპოვეთ. თქვენ ახლა მთავრობის ქალი ხართ, რა გიშავთ.

მაბრაზებდა მისი ასეთი უტიფარი თავხედობა, ველარ მოვითმინე და გაბრაზებულმა მივაძახე.

— მე თქვენ არ დამიპატიჟებიახართ, წაიღეთ თქვენი არაყი და წაბრძანდით, საიდანაც მოსულხართ.

— ო, ნუ ცხარობთ, ჩემო მშვენიერო, ნუ ცხარობთ და ნუ ჩქარობთ. იყო დრო, რომ დეიდა ვერონიკას სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდით და არც ახლა მოგცემთ ამის უფლებას.

— დეიდა ვერონიკა?! — გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა წამოვიძახე მე, დავბარბაცდი, კინალამ წავიქეცი. ჩემს თავში უცბად გაირბინა შავბნელმა მოგონებამ, საკვირველია, როგორ ვერ ვიცანი დღემდე ის ძველი ქურდი, გარყვნილი და ლოთი ვერონიკა, რომელმაც მეც ჩამითრია წუმპეში და თუ არა ჩემი ფრონტზე გამგზავრება, ბოლოს რა ვიქნებოდი, ვინ იცის?

— ახლა, ახლა რაღას მეტყვით, ჩემო მშვენიერო? იქნებ გგონიათ, რომ თითო მანეთიანებით დაიძვრენთ თავს, რომლებსაც მოწყალების სახით ქუჩაში გადმომიგდებთ ხოლმე! არა, ჩემო ლამაზო არც ისეა საქმე როგორც თქვენ გგონიათ.

კიდევ კარგი საუბრის დროს ჩემი სვეტლანა მეზობლისას იყო და არ ესწრებოდა ამ სცენას. არა, საჭირო იყო ვერონიკას თავიდან მოშორება, ვიდრე ბავშვი შემოვიდოდა.

— აბა, რაღას უყურებთ, დაასხით კერძი, მე მშია. მომეცით საცობის ამოსაღები.

— წაბრძანდით, ახლავე... გაეთრიეთ, გესმით, გაეთრიეთ-მეთქი, ვიდრე ძალით არ გამიგდისხართ! — ძალა მოვიკრიბე და შევეყვირე. იგი შეკრთა, რამდენიმე ხანს მიყურა და შემდეგ წაიდუღუნა:

— წავიდე? ბატონი ბრძანდებით, წავალ, ახლავე წავალ. მხოლოდ, იცით სად მილიციაში და გამოვაცხადებ, საავადმყოფოში მუშაობს ფერშალი ქალი კირა ზაბორა, ყოფილი ქურდი, მეძავი, ძარცვებისა და მკვლევლობების მონაწილე.

მე მას გაშტერებული შევცქეროდი, მან კი თავისი არაყი ჯიბეში შეინახა და წყნარი ნაბიჯით გავიდა სახლიდან.

წამოვხტი, მინდოდა გამოვკიდებოდი, უკან დამებრუნებინა, მაგრამ ამისი ღონე აღარ მქონდა. გამახსენდა ყველა ჩადენილი

დანაშაულებანი, ნუთუ პასუხისგებაში მიმცემენ, დამსჯიან, საპატიმროში გამოამწყვდევენ? მერედა, რა მოელის ჩემ სვეტლანას? მასაც ხომ აერევა ცხოვრების გზა-კვალი?! ქვითინი ამივარდა.

ჩემი სვეტლანა შემოვიდა ოთახში და მტირალი რომ დამინახა, მომეხვია.

— დედიკო, რატომ სტირი, ვინ გაწყენინა? — შემეკითხა, მომეხვია და თვითონაც ატირდა.

როგორც იყო დავმშვიდდი და ბავშვიც დავამშვიდე, კერძი დაუუსხი. მე კი კრიჭა მქონდა შეკრული, აბა რა მაჭმევდა!

— დედიკო, რატომ შენ კი არა სჭამ? — მეკითხებოდა იგი.

— არ მინდა, შვილო, მე უკვე ვისადილე, იქ სამსახურში ვისადილე, მინდოდა ამით დამემშვიდებინა ბავშვი.

— აკი მასწავლი ხოლმე, რომ ტყუილის თქმა ყველაფერზე მეტი საძაგლობა არის, ტყუილი არასოდეს არ უნდა სთქვაო, შენ რატომ სტყუი? მე ხომ ვიცი, რომ არაფერი არ გიჭამია, აბა მე დამიფიცე, თუ ასე არ არის! — შემომტიტინებდა ჩემი ნუგეში.

რა მექნა, იძულებული ვიყავი ჩემთვისაც დამესხა კერძი, ოღონდ ბავშვს ეჭამა.

ბავშვი საწოლში დავაწვინე, ჩაცმული გვერდით მივუწექი და როგორც იყო დავაძინე, მე კი რა დამაძინებდა. თეთრად გავათენე, მაგრამ ვაი ამ გათენებას. ყოველი ფეხის ხმა ქუჩაში გამვლელისა, ყოველი მცირე ფაჩუნიც კი თავბარსა მცემდა. მეგონა ეს არის მოდიან ჩემს დასაპატიმრებლად. თვალწინ წარმომიდგა, რომ მე დამაპატიმრეს, გამასამართლეს, სასჯელი დამადეს, რომ ჩემი სვეტლანა ქუჩაში დარჩა უპატრონოდ, აიყოლიეს ქუჩის ნაძირალებმა და არ ვიცი ათასი უფრო და უფრო ერთიმეორეზე უარესი, ერთიმეორეზე საშინელი სურათები წარმომიდგა, თავი მიხურდა, გაგიჟებამდე მივდიოდი, დავცქეროდი ჩემს პატარას და ცრემლები ჩამომდიოდა, ვტიროდი... მაგრამ ტირილიც არის და

ტირილი, ჩემი მაშინდელი ტირილი სისხლის ცრემლიანი ტირილი იყო. გული მეკუმშებოდა. თავი მისკდებოდა, ტვინი მერეოდა, რა საშინლად გაჭიანურდა ის ღამე, თითქოს ერთი არა, რამდენიმე ღამე გადაბმია ერთმანეთს და დასასრული არ უჩანდა.

მეღირსა, როგორც იქნა გათენდა, ავდექი, ფანჯარა გავაღე. ოთახში ცივი ჰაერი შემოვიდა. გახურებული შუბლი მივუშვირე და ნელ-ნელა გონს მოვედი.

ნუთუ არ მაპატიებენ წარსულს? — ვფიქრობდი მე, — ნუთუ არ მიიღებენ მხედველობაში ჩემს დამსახურებას სამამულო ომის ფრონტზე? მე ხომ იქ დავიჭერი კიდეც, იქ ხომ მოწინავე ხაზზე დავიყავი, სადაც გრიგალისებურ ცეცხლში, ტყვიებისა და ნალმების სეტყვაში თავსა ვწირავდი, რომ საბჭოთა მეზობლობისათვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა, მაგრამ არა, მე ხომ იმისთანა დანაშაულებანი მაქვს ჩადენილი, რომლის მიტევებაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მაშ აუცილებელია ჩემი დასჯა? არა, მე ღირსი არა ვარ შეწყნარებისა.

იმ დღეს სამსახურში ვერ წავედი, შევუთვალე რომ შეუძლოდ ვიყავი. ყველას გაჰკვირვებია. იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც მე საავადმყოფოში ვმუშაობდი. არც ერთი საათი არ გამიცდენია და ჩემი მოულოდნელი ავადმყოფობა ყველას გაჰკვირვებოდა. ექიმი გამოგზავნეს, გამსინჯა, წამლები გამომიწერა, მირჩია წოლა, ჩემი მდგომარეობა გადაღლილობას მიაწერა.

რამდენიმე დღე გავიდა, სამსახურში დავიწყე სიარული, ჩემი ბინიდან სამსახურში გზად მილიციის წინ უნდა გამევილო. ახლა შიშით ვეღარა ვბედავდი იქით სიარულს და რამდენიმე კვარტალით ვიგრძელებდი გზას. რატომღაც მეგონა, თუ მილიციის წინ გავივლიდი მაშინვე მტაცებდნენ ხელს და დამაპატიმრებდნენ.

ცოტად თუ ბევრად გული დავიმშვიდე. ორი კვირა არც კი იყო გასული ვერონიკას სტუმრობის შემდეგ. შუაღამე იქნებოდა, მეძინა, რომ კარის კაკუნმა გამომალვიდა. გული გამისკდა. მოვიდა-

მეთქი ჩემი აღსასრული, მოვიდნენ ჩემს წასაყვანად. კარის კაკუნი განმეორდა. შიშისაგან ძლივს ავდექი ლოგინიდან, ავანთე შუქი. კარებთან მივლასლასდი და მიკნავლებული, ხმით შევეკითხე:

— ვინა ხართ ამ უდროო დროს?

— გააღე კარი და გაიგებ ვინცა ვარ, — მომესმა პასუხი.

ინსტინქტურად გავაღე კარები და შიშისაგან ელდა მეცა, ჩემს წინ ვადიმ ურალოვი იდგა, ვადიმ ურალოვი, ჩემი წარსული ცხოვრების ურჩხული. საიდან, როგორ გაჩნდა იგი აქ?

შემოვიდა ოთახში, პირდაპირ საწოლთან მივიდა, ბავშვს დახედა და ღვარძლიანად მესროლა:

— ეს ვინ არის, შენი ნაბიჭვარია?

მე ვერ მოვითმინე და მიუხედავად შიშისა, წამოვიძახე:

— მაგისმა მამამ სამშობლოს შესწირა თავი, ბრძოლის ველზე დაეცა.

— ო, გმირთა მოდგმისა ყოფილა, — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა, ჩამოჯდა მაგიდასთან და თვალი თვალში გამიყარა.

მე ისევ კარებთან ვიდექი და ციებიანივით ვცახცახებდი. ის ერთ ხანს შემომყურებდა ნამდვილი მგლის შემოხედვით, იმ მშერი მგლის რომელმაც ბატკანი დაინახა და აპირებს მის მოგუდვას, მის ტყეში გატაცებას და შესანსვლას.

— დიდი ხანია არ მინახიხარ და მადლობა უფალს, ბოლოს მაინც მაღირსა შენთან შეხვედრა. მართალია შენ სიკვდილი დაიმსახურე იმიტო, რომ ჩემი ნებართვის გარეშე წახვედი ომში. ამის უფლებას მე შენ არ მოგცემდი, ეს კარგად უნდა გცოდნოდა და არ გადაგედგა ასეთი ნაბიჯი, მაგრამ ამ ერთ თავხედობას გაპატიებ, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ საჭირო ხარ ჩემთვის.

— მერე რა გნებავს? — როგორც იყო მოვიკრიბე ძალღონე და შევეკითხე.

— ოჰო, ლაპარაკიც გისწავლია! რა მნებავს? რაც მნებავს, შემდეგ შეიტყობ. აი რა, მე ახლა ერთი კვირით უნდა წავიდე. ამ ერთი კვირის განმავლობაში შენ სამსახურს თავს დაანებებ და მე დამიწყებ ლოდინს. იცოდე, არ გაბედო რაიმე თვალთმაქცობა, თორემ, ხომ მიცნობ?! მან ისეთი თვალით შემომხედა თითქოს ჩემი განადგურება უნდოდა. შემდეგ განაგრძო:

— ჩვენ წავალთ აქედან.

— სად? — ჩემდა უნებურად წამომცდა.

— მაგას იქ გაიგებ, როდესაც მივალთ. ვიცი ბავშვი დაგაბრკოლებს. ფიქრი ნუ გაქვს. ამ თხუნელას თავიდან მოშორება, ძნელი საქმე არ არის.

შევკვივლე და ბავშვის საწოლს ვეცი, ზედ გადავეფარე, მეგონა ახლავე გამოლადრავდა ყელს ჩემს პატარას ის მგელი.

— ასე, როგორც გითხარი, იცოდე მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფები, ძალიანაც რომ მოინდომო ჩემი საწინააღმდეგო რამის გაკეთება, ვერ მოახერხებ, მაგის საშუალებას არ მოგცემენ. იცოდე ეს კარგად და თუ ჭკუით მოიქცევი, მაგით მოიგებ, — დაფიქრდა ოდნავ და განაგრძო, — რაც შეეხება მაგ ღლაპს, კარგი, არაფერს დავუშავებ, გაიზარდოს. თორმეტ-ცამეტი წლისა რომ გახდება, მაგასაც გამოვიყენებთ.

ამ სიტყვების შემდეგ იგი წამოდგა და ჩემსკენ არც კი მოუხედნია, გავიდა ოთახიდან. მე ქვითინს განვაგრძობდი. მართლმსაჯულების ხელს ველოდი, უარესი მომივიდა, მგელი შემომივარდა შინ და განწირულ კრავსავით აღარ ვიცოდი საით წავსულიყავი, შემომივარდა და ამიფორიაქა გრძნობა და გონება, გული და სული, რა ექნა? ვისთვის შემეჩვილა? ვისთვის მიმემართა? ნუთუ ხელახლა უნდა გადავიდე გზას, პატიოსნებისა და სიკეთის გზას? ძლივს მოვნახე საკუთარი თავი, ძლივს გავერიე ადამიანებში და ნუთუ ხელახლა უნდა ჩავყურყუმელავდე სიბინძურის მორევში?

ვიცი, იმ გათახსირებულმა ვერონიკამ მოაგნო ჩემს ბინას,

იმან აცნობა იმ აფთარს ჩემი საცხოვრებელი ადგილი, რაც იქნება იქნეს, წავალ მილიციაში, პროკურორთან, ყველაფერს ვიტყვი, სიმართლეს გავუმჟღავნებ, მაგრამ შემდეგ რა მოხდება? მეც ხომ დამაპატიმრებენ. მომისჯიან, კანონი კანონია, მე ხომ ზნეობრივი კანონის გზით არ დავდიოდი, მე მაიძულებს უზნეო უკანონობის ბილიკით მევლო, ველურის ბილიკით, მგლის ბილიკით. მაშინ რა მოელის ჩემს პაწიას? ის გულქვა განაღდა დაინდობს ჩემს ნუგეშს? რა თქმა უნდა, არა. მისი შეპყრობა არც ისე ადვილია, მთელი ქვეყანა აწიოკებული ჰყავს, მისი მოსპობა და განადგურება დღემდე ვერავინ მოახერხა. ამ ფიქრში ვიყავი და არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, რა გადამეწყვიტა, რა გზას დავდგომოდი.

ის ღამე თეთრად გავათენე. გავათენე, მაგრამ, ვაი იმ გათენებას, მან ხომ ერთი კვირის ვადა მომცა. მოდი, ამ ერთ კვირაში წერილს მივწერ ხელისუფლების ორგანოებს, არაფერს დავმაღავ. ყველაფერს დაწვრილებით ავწერ, შემდეგ კი თავს მოვიკლავ. ბავშვს ალბათ უპატრონებენ, გამოზრდიან. ვფიქრობდი გზად მიმავალი სამსახურში.

ფიქრი უფრო ადვილი ყოფილა ვიდრე შესრულება, დღიდან დღეზე სულ ვაპირებდი განცხადების წერას, დავჯდებოდი ხოლმე მაგისტან, კალამს მოვიმარჯვებდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ჩემ თავში აზრები ჭიანჭველებივით ირეოდნენ და როგორ დამეწყო წერა, ვერ გადამეწყვიტა. ათას რამეს ვფიქრობდი. ხან იმას წარმოვიდგენდი, იქნებ ვადიმ ურალოვი დააპატიმრეს და ამითი მელირსა მისი ბრტყალებიდან თავის დაღწევა, ხან იმას ვფიქრობდი, იქნებ სადმე წაასწრეს მას და მოჰკლეს. ის თუ ხოცავს ხალხს, განა მისი მოკვლა კი არ შეიძლება? მისი სიკვდილი ხომ ჩემთვის აღდგომა იქნება, აღდგომა მკვდრეთით, სულიერად და ზნეობრივად განახლება.

ამ ფიქრებში გადიოდა დღეები და ერთმა კვირამ ისე გაირბი-

ნა, რომ მე ვერაფრის გაკეთება ვერ მოვახერხე. მათხოვარი ვერონიკა აღარ შემხვედრია. თუმცა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ის, სადღაც, ჩემს ირგვლივ დაძრწის, დაეთრევა და თვალს არ მაშორებს. არც იმაში მეპარებოდა ეჭვი, რომ მარტო მე კი არა, არც ჩემი ბინა და პატარა შვილი იყო თვალთვალს მოკლებული. მე ჩემს სიცოცხლეზე არა ვფიქრობდი, არაფრად მიმაჩნდა ის, იმდენი რამ განვიცადე და გადავიტანე ჩემს წარსულ ცხოვრებაში, რომ სიკვდილი მერჩინა, ვიდრე წარსულისაკენ შემობრუნება, ჩემი ერთადერთი სადარდებელი ჩემი შვილი იყო. მისი სიცოცხლე ჩემთვის ყველაფერზე მაღლა იდგა, მართალია, მას ხშირად ვაფრთხილებდი, რომ ეზოშიც კი არ გამოსულიყო, მე თუ სახლში არ ვიქნებოდი, მაგრამ პატარას განა ესმის რამე? განა შეგიძლია შთააგონო ის საშიშროება, რაც მას მოელის მხეცთაგან, მგელკაცებისაგან?

გავიდა ერთი კვირა. გულისფანცქალით მოველოდი იმ საშინელ ღამეს, რომელიც ვადად მქონდა დადებული. მე არც სამსახურისათვის დამინებებია თავი, არც სხვა რაიმე მომზადება ჩამიტარებია. ვერც ჩემი აზრები განვახორციელე სიკვდილმისჯილსავით საშინელებას განვიცდიდი. ბავშვს ვაჭამე, დავაძინე, მე კი რა დამაძინებდა, განა საძილოდ მქონდა მაშინ თავი?!

შუალამე გადასული იყო, როდესაც კარის კაკუნი შემომესმა. გავინაბე, თითქოს არც კი გამეგოს, ადგილიდან ვერ დავიძარი. კაკუნი განმეორდა, ძლივს მივხიხდი კარებთან, გავადე. იქ ვადიმ ურალოვის მაგივრად ჩემი ხნის ქალი იდგა. გაშტერებით მივაჩერდი მას და ვერც კი მოვახერხე შეკითხვა, ვინ იყო, ან ვის დაეძებდა.

— შეიძლება შემოვიდე? — შემეკითხა იგი, მაგრამ პასუხს აღარ მოუცადა, ოთახში შემოვიდა, კარი შემოიხურა და სკამზე დაჯდა.

— თქვენ ალბათ გეცოდინებათ ვისგანაც ვარ გამოგზავნილი, მაგრამ ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი, მე მერი მქვია სახელად,

თქვენი კი ვიცი კირა ხართ, საავადმყოფოს ფერშალი.

მისი სახელი „მერი“ მე არაფერს არ მეუბნებოდა. მანამდე არც გამიგია თუ ვადიმ ურალოვის ბანდაში ვინმე მერი მოიძებნებოდა, მაგრამ მე იგი ხომ ომის დაწყების შემდეგ აღარ მინახავს, ვინ იცის რამდენი ახალი ადამიანი გადააცდინა პატიოსან გზას იმ მგელმა და თავისი ბილიკით დააწყებინა სიარული!

ახალგაცნობილი დაუპატიჟებელი სტუმარი ერთ ხანს იჯდა და ისეთი თვალთ შემომყურებდა, თითქოს ჩემს შესწავლას ცდილობდა. შემდეგ მომმართა:

— მზად ხართ წამოსასვლელად? მე თქვენს წასაყვანად ვარ გამოგზავნილი.

— სად უნდა წამოვიდე? — წამოვიკნავლე მე.

— ადგილზე რომ მივალთ იქ გაიგებთ, — მკვახედ მიპასუხა მან.

— კარგი, მაგრამ მე რომ მზად არა ვარ გასამგზავრებლად?

— ამისათვის საკმაოდ დრო გქონდათ მოცემული, თუმცა, ვიცი რაც გაბრკოლებთ, ალბათ ბავშვი. კარგი, ასე იყოს, ხვალამდე მოგცემთ ვადას. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებ, ვადიმ ურალოვი ორი დღით წასულია სხვა საქმეზე და ერთ დღეს თუ დავაგვიანებთ, იმედია მე მაპატიებს. აი, აქ ათასი მანეთია. ამ ფულით ბავშვი სადმე მოაწყეთ, სამსახურში კი სულ ნუ გამოცხადდებით, გზიდან შეგიძლიათ განცხადების გამოგზავნა, სამსახურის თავის დანებების შესახებ. მიზეზი? განუცხადე რომ ბავშვის მამა, რომელიც თქვენ ფრონტზე დაღუპული გეგონათ, ცოცხალი ყოფილა, უძებნიხართ და როგორც გაუგია თქვენი მისამართი, სასწრაფოდ დაუბარებიხართ თავისთან.

ამ სიტყვებით იგი გავიდა ოთახიდან. მე მაშინალურად მივედი მაგიდასთან. იქ ფული იყო ათასი მანეთი და წერილი შემდეგი შინაარსისა: „საყვარელო კირა! ვიცი შენ დიდი ხანია დაღუპულად მთვლი, მართო შენ კი არა ყველა ჩემი ნათესავები თურმე მთვლიდნენ დაკარგულად და პანაშვიდიც გადაეხადათ, მაგრამ

მე ცოცხალი ვარ. მდინარე ოდერის გადალახვის დროს მძიმედ დავიჭერი, კარგა ხანს ვიწეეი ჰოსპიტალში. როდესაც გამოვეწერე, ომი დამთავრებული იყო, სამხედრო ნაწილების უმეტესობა დაშლილი და შენ კვალს ვეღარ მივაგენი. სრულიად შემთხვევით მაცნობეს შენი ადგილსამყოფელი. მე ვერ მოვდივარ შენთან, რადგან ერთი ფეხი მოკვეთილი მაქვს. ძალიან გთხოვ მოხვიდე და მნახო, არ გაიძულებ, რომ ჩემთან იცხოვრო, აბა ჩემისთანა ხეიბარს ვინ რა თავში იხლის? მოდი, მხოლოდ ერთხელ მნახე და შემდეგ გადაწყვიტე. გავიგე ბავშვი გყავს, ჩემი შვილი, ძალიან მინდა მისი ნახვა, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებ. მომავალში, რა თქმა უნდა, ვეცდები კარგი მამობა გაუწიო, მე ამჟამად ჩემს ნათესავებში ვიმყოფები კრასნოდარის მხარეში, სტანიცა უსტაბინსკში. მაშ ასე, სასწრაფოდ გელი. გკოცნი, შენი ვლასი“.

მე აშკარად ვიცოდი, რომ ჩემი ბავშვის მამა ბრძოლის ველზე დაიღუპა. წერილი ყალბი იყო. ხელზევე შევიცანი ვადიმ ურალოვის ნაწერი იყო, ის მან დოკუმენტად გამომიგზავნა.

მეორე დღეს დილით წერილი ვაჩვენე ჩემს მეზობელს და ვთხოვე ბავშვისათვის მოევლო. ხელმოკლე მეზობელი მყავდა. დიდის სიამოვნებით იკისრა ჩემი ბავშვის მოვლა, თვეში ოთხას მანეთად მოვურიგდი, ორივე ნახევრის გასამრჯელო წინასწარ დავუტოვე და შევპირდი, თუ ვერ დავბრუნდებოდი რაიმე მიზეზის გამო, ფულს უეჭველად გამოვგზავნიდი. მასვე დავუტოვე განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ქმრის მიზეზით და ვთხოვე ჩაეხარებინა საავადმყოფოში, სადაც ვმუშაობდი. იმ დღეს დასვენება მქონდა და არავინ მომაკითხა.

ნაშუადღევს მერი მოვიდა მანქანით და გავემგზავრეთ. რა საჭიროა იმის თქმა, სად წავედით. ვადიმ ურალოვმა ხელახლა ჩამითრია თავის ავაზაკურ საქმიანობაში, ხელახლა გადამაცდინა ცხოვრების სწორ გზას. საბჭოთა კავშირში თითქმის არ დაგვრჩე-

ნია კუთხე-კუნჭული სადაც ჩვენ არ ჩაგვედინოს ბოროტმოქმედება, საზიზღარი, თავაშევებული, არაადამიანური ბოროტმოქმედება. სადაც კი ვადიმ ურალოვი მივიდოდა, თუკი იმ ქალაქში ვინმე ავაზაკი ბოგინობდა, მაშინვე უკავშირდებოდა, მათზე მბრძანებლობდა, მათ ხელმძღვანელობდა, მე და მერე მისი აქტიური ხელისშემწყობნი და დამქაშები ვიყავით. მე, როგორც დანაშაულებათა უშუალო მონაწილე. მერი კი ნაძარცვის რეალიზატორი. ამ საქმეში მერის დიდი ნიჭი და უნარი ჰქონდა, გამოცდილებაც უწყობდა ხელს. ვინ მოსთვლის რამდენი ოჯახი ავატირეთ. რამდენს უდროოდ გავუთხარეთ საფლავი, რამდენს დოვლათზე და ქონებაზე ავალებინეთ ხელი და შიმშილის მსხვერპლი გავხადეთ. ვადიმ ურალოვი მგელი იყო და მგლის ბილიკზე დადიოდა, ამ ბილიკზე მივდევდით ჩვენც მას.

შარშან შემოდგომაზე, ვადიმ ურალოვს მაინც უმტყუნა ბედმა, შეიპყრეს და წინააღმდეგობის გაწევის დროს მძიმედ დაჭრეს. ბანდა დაიშალა, მე ბავშვთან ვერ წავედი, ისე კი ყოველთვიურად ვუგზავნიდი ფულს, ვიცოდი ჩემი გოგონა გაიზრდებოდა, მენატრებოდა მისი ნახვა, მაგრამ მე იქ გამოჩენისა მეშინოდა. მართალია ჩემი ავაზაკური მოღვაწეობა სხვადასხვა გვარითა და სახელით იყო ცნობილი, მაგრამ მაინც შიშქვეშ ვიყავი. მე და მერიმ გადავწყვიტეთ თბილისში წასვლა. ფული საკმარისი გვქონდა და თავის გატანის იმედიც არ იყო დაკარგული. თბილისი ჩვენთვის სრულიად ახალი ქალაქი იყო, სადაც ჩვენ არავინ გვიცნობდა, მაშასადამე არც შიში გვექნებოდა შეპყრობისა. მე მაინც გული მეთანატრებოდა, მართალია არ მქონდა იმისი შიში რომ იქ ვინმე მომნახავდა და ძველი თამასუქების განაღდებას მომთხოვდა, მაგრამ რატომღაც ვგრძნობდი, ვადიმ ურალოვი მორჩებოდა, თავს დააღწევდა საპყრობილეს, უეჭველად გაიქცეოდა და მე ისევ დამიწყებდა ძებნას. ამისათვის გადავწყვიტე თბილისსაც გავშორებოდი.

ბევრი ხეტიალის შემდეგ ლომისის სანატორიუმს მივაგენი. ჩემმა საბუთებმა სამამულო ომში მონაწილეობის მიღების შესახებ, მთავრობის ჯილდოებმა და დახასიათებებმა, რომელთაც მე მუდამ საგულდაგულოდ ვატარებდი, მომცეს საშუალება მუშაობა დამეწყო ფერშლად. მალე საერთო ნდობა და პატივისცემა დავიმსახურე. მე მართალია ვადიმ ურალოვმა გზას გადამაცდინა, გამხრწნა, აყროლებულ ჭაობში ჩამაგდო, მაგრამ სადღაც კუნჭულში შემრჩა ხელუხლებლად სული, რომელიც ზნეობრივ დაქვეითებას გადაურჩა. მე ჩავდიოდი დანაშაულს მხოლოდ იმიტომ, რომ მაიძულებდნენ ჩამედინა. თუ ვერ ვცხადდებოდი ხელისუფლების წინაშე და გულახდილად არ ვაღიარებდი ყველაფერს, ეს მხოლოდ დაპატიმრების შიშით. მე მაინც დედა ვიყავი. იქ სადღაც, შორს მყავდა შვილი, რომელიც მიყვარდა, მე მისთვის, ვცოცხლობდი და ვცხოვრობდი და არ ყოფილა არც ერთი თვე, რომ მისთვის ფული არ გამეგზავნოს, მისთვის დახმარება არ გამეწიოს. ვიცი ჩემი საქციელი არ იყო სწორი, მაგრამ რა მექნა? განაღა მქონდა სხვა გამოსავალი? მე ველტვოდი ჩემთან მომეყვანა ჩემი პატარა, მაგრამ ამ სურვილის განხორციელებას თვიდან თვეზე გადავდებდი ხოლმე და ამასობაში კი წლები გადიოდა.

შარშან ჩვენთან ექიმი ქალი მოვიდა, ნატო სულიაშვილი. ის განსაკუთრებული ადამიანი იყო, არაჩვეულებრივი სულისა და გრძნობების ადამიანი, უმწიკვლო და სპეტაკი გულის პატრონი. მე ის თავიდანვე შემიყვარდა, მისი უბრალო მოქცევა ყველასადმი. მისი უანგარობა, კალმით აუწერელი იყო. როგორც ექიმი არაჩვეულებრივი იყო, იშვიათი მცოდნე და გამოცდილი. ის რომ ავადმყოფს დიაგნოზს დაუსვამდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი დასკვნა შეურყეველი იყო. პირად ცხოვრებაში დიდი უბედურება ჰქონდა გადატანილი, დიდი გულისტკივილი და ვაება გადახდენოდა, არავის მეგობრობდა, ცოტად თუ ბევრად მე დავუახლოვდი, ყოველ შემთხვევაში, სხვებთან შედარებით მაინც, ჩემთან

უფრო გულახდილი იყო. მალე ისე გაითქვა სახელი, რომ „მფარველი ანგელოზი“ შეარქვეს. სანატორიუმში ზოგი თუ შურით უცქერდა, უმეტესი ნაწილი თაყვანსა სცემდა მას.

რალა ბევრი გავაგრძელო, ადამიანური ადამიანი იყო. მე მისგან ბევრი რამ შევისწავლე. რამდენჯერ დავაპირე გული გადამეშალა მისთვის, ყველაფერი მეამბნა. ვიცოდი ის მე გამიგებდა, არ გამკიცხავდა, სიკეთის გზაზე დამაყენებდა და ყოველმხრივ ხელს შემიწყობდა მიპატრონებდა, მაგრამ ვერ გამებედა. განა ადვილი გასაბედი იყო ჩემი დამპალი სულით გაუღენთილი წარსულის გაზიარება? რამდენჯერ პირი გავაღე საამბობად, მაგრამ ენაზე მომდგარი სიტყვები გულშივე ჩავიკალო და ვერასგზით ვერ გადმოვანთხიე გულის, ნაღველი.

პირველ ხანებში შიშქვეშ ვიყავი. სულ მუდამ იმას ვფიქრობდი აი ეს არის ვადიმ ურალოვი გაუსხლტება ხელიდან დამსჯელ ორგანოებს, მომნახავს და თავზე დამადგება მოულოდნელად, რამდენჯერ სიზმარშიც კი მომლანდებია და როდესაც გამომღვიძებია, ჩემს ჭკუაზე ძლივს მოვსულვარ, ძლივს დამიჯერებია ჩემი თავი, რომ ეს მხოლოდ ზმანება იყო და არა რეალური სინამდვილე, არ ვიცი რა ისეთი გავლენა ჰქონდა იმ მგელ ადამიანს ჩემზე, რომ მასზე ფიქრიც კი საშინელ გავლენას ახდენდა ჩემს ფსიქიკაზე, ამავე დროს არ შემეძლო რაიმე ღონისძიების მიღება თავის დასაღწევად. ის რალაც ჰიპნოზური ზეგავლენით მოქმედებდა არა მარტო ჩემზე, არამედ ყველაზე, ვინც კი მას იცნობდა და ვისთანაც კი მას საქმე ჰქონდა. წარმოიდგინეთ: უზარმაზარი შხამიანი გველი შეჰყურებს ფრინველს, უნდა მისი გადაყლაპვა, ჩიტი გრძნობს ამას, გრძნობს, რომ ის განსაცდელშია, რომ მისი წუთები დათვლილია, საკმარისია ფრთა გაშალოს, რომ ჰაერს მისცემს თავს და ყოველივე საფრთხე უკან დარჩება, მიწიერი ქვეწარმავალი მას ჰაერში ვერ გამოუდგება, მაგრამ გველის თვალთა მზერით საბრალო ჩიტი დამონებულია, მას ყველაფრის უნარი

დაკარგული აქვს და თვითონვე უვარდება მას დაღებულ ხახაში. განა არსებობს დედამიწის ზურგზე რაიმე არსება, რომელსაც არ ჰქონდეს თავდაცვის ინსტინქტი? იმ ჩიტსაც აქვს ეს გრძნობა, მაგრამ, ხომ მოგახსენეთ, ის დამონებულია-მეთქი. აი, ამისთანა ჩიტის მდგომარეობაში ვიმყოფებოდი ხოლმე, როდესაც მას ვხედავდი. ვიდრე ის თვალწინ არა მყავდა, ათასგვარ გეგმებს ვადგენდი, თავდაცვის, თავის გარიდების გეგმებს. მაგრამ საკმარისი იყო მასთან შეხვედრა. მისი ერთი გამოხედვა, რომ არა მარტომე, ყველა ჩვენგანი მისი ნებასურვილის უსიტყვო აღმასრულებლად გადავქცეულიყავით, მაგრამ რომ გავიდა თითქმის ერთი წელიწადი და ის აღარ გამოჩნდა, გული დავიმშვიდე. წარმოვიდგინე, რომ ის ან საავადმყოფოში მოკვდა, ან ისეთ მარწუხებში ჰყავთ ჩაჭერილი, რომ თავის დაღწევის ყოველივე საშუალება აღკვეთილი აქვს.

სანატორიუმში ხშირად მოდიოდა ხოლმე თავისი მანქანით ვინმე სანდრო ყარაშვილი. ვიცოდი, რომ ის რაიონის ცენტრში რომელიღაც დაწესებულებაში მუშაობდა მანქანის მძღოლად. ისიც ვიცოდი, რომ არ იყო ის კეთილი სული; რაც არ უნდა იყოს, ავაზაკთა წრეში ტრიალმა წლების განმავლობაში ჩემში გამოამუშავა ერთგვარი ალღო ადამიანის მოქმედებაში შემეგრძნო პატიოსანია იგი თუ ავგზით მოსიარულე. სანდრო ყარაშვილში მე თავიდანვე შევიცანი, რომ ის იმავე მგლის ბილიკზე მოსიარულეა, როგორც მე ვიყავი წარსულში და მრავალი ჩემგვარი სხვაც. ის სანდრო ყარაშვილი რატომღაც ყოველი საშუალებით ცდილობდა ჩემთან დაახლოებას, მე ამას ვგრძნობდი და გავუბრბოდი, გავუბრბოდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გავუქეცი.

ივლისის პირველი რიცხვები იქნებოდა. მე საჭირო საქმე მქონდა რაიონში, ნებართვა ავიღე ხელმძღვანელებისაგან და მანქანის ძებნა დავიწყე, რომ ეშმაკად საიდანღაც გამოტყვრა სანდრო ყარაშვილი თავის მანქანით.

— რაიონში ხომ არ აპირებთ, კირა? იქით მივდივარ, წაგიყვანთ, ფიქრი ნუ გაქვთ, ფულს არ გადაგახდევინებთ, — მომმართა მან.

მე, ცოტა არ იყოს, შეეშფოთდი, არ მინდოდა მისი მანქანით მესარგებლა და დავაპირე უარის თქმა. მან ალბათ შემატყუო ეს და ხელახლა მითხრა:

— ნუ გეფიქრებათ, ისე წაგიყვანთ და უკანვე დაგაბრუნებთ, რომ ბუზსაც ვერავინ აგიფრენთ.

მცირე ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი, ჩაჯექი მის მანქანაში. წავედით, გავიარეთ კარგა გზა, სანდრო ყარაშვილმა მომმართა.

— აქ ახლო ბიძაჩემი ცხოვრობს, მეწისქვილე, მასთან მინდა შევიარო, სულ ათიოდე წუთს არ დამაგვიანდება.

მე რა მეთქმოდა შუა გზაში მყოფს, მან არ მოუცადა ჩემს თანხმობას, რომ სასოფლო გზისაკენ გადაუხვია, არ გასულა რამდენიმე წუთი, მართლაც წისქვილს მივაღექით, სანდრო გადმოვიდა მანქანიდან და მეც მომცა წინადადება გადმოვსულიყავ.

უცბად გავშეშდი. თავში თითქოს რაღაც ელექტროდენისმაგვარმა დამკრა და ფეხის ფრჩხილებამდე დამიარა. დავინახე, კარგად დავინახე, ზევიდან შუახნის მამაკაცი მოემართებოდა ჩემსკენ ღიმილით, ის მამაკაცი ვადიმ ურალოვი იყო“.

კირა ზაბორა შეჩერდა, მე გაშტერებული თვალებით შევყურებდი, ბოლოს ვერ მოვითმინე და წამოვიძახე:

— თუ გერმან ბაზილი?

— თქვენ უკვე გაგიგიათ გერმან ბაზილის სახელი? ვადიმ ურალოვი და გერმან ბაზილი ეს ერთი და იგივე პიროვნებაა.

გავშრი. რატომ აქამდე არ მომივიდა ეს ამრი თავში? — გავიფიქრე, მაგრამ აქ გრძნობების აყოლის დრო აღარ იყო. ვიცოდი კირა ზაბორა სასიკვდილოდ იყო განწირული და მინდოდა რაც შეიძლება მეტი გამეგონა მისგან. მან განაგრძო:

„მე პირველად მოჩვენება მეგონა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ

მიყრუებულ ქვეყანაში, ამ მივარდნილ მთებში იმ ჩემს სულთამხუთავს წავაწყდებოდი. იგი მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და ღიმილით მომმართა:

— გამარჯობა, კირა! აი, მეც აქა ვარ. შენ იქნებ გეგონა რომ ჩემს ძვლებს უკვე ცივ მიწაში მატლები ღრღნიან, მაგრამ არ მოხდა ეს ამბავი, ჯერ მე კიდევ მაქვს საღრღნელი. ჯერ კიდევ ადრეა, მიწაში წოლას მოვასწრებთ. ნუ დავეჩქარებით, ჩვენი წილი მიწა კიდევ დარჩენილია ამ ქვეყანაზე.

— მე, მე არ მოგელოდი, არ მეგონა თუ... — წამოვიღულულე და ხმა ჩამიწყდა.

— მე ხომ არ გეუბნები საყვედურს, არც თავის გამართლებას მოვითხოვ შენგან. ძალიან კარგი ქენი, რომ თავი გამოარიდე და ამ უკაცურ კუნძულს მოაშურე. იყავი ჯერ სადაც ხარ, მალე დამჭირდები და ყოველ წუთს მზად იყავ, მოგცემ თუ არა ნიშანს, წამოხვალ. მინდა ცოტა ხანს აქეთ გავინავარდო, დიდი ხანია ამ ქვეყანაში აღარ ვყოფილვარ. ახლა კი, აი რა, წადი და სანდროს ხელით მორფის ამპულები გამომიგზავნე, იქ, სანატორიუმში ასეთი სანუკვარი ბევრი მოგეძებნებათ.

წისქვილიდან უკანვე დავბრუნდი სანატორიუმში, რაიონში აღარ წავსულვარ.

ახალი სატანჯველი გამიჩნდა. რა უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული! ჩემი დღე და საათი მოვდივარ და მოვსტირი. ვფიქრობდი, ნუთუ თავი ველარ უნდა დავაღწიო ამ საშინელ ადამიანს? ნუთუ სიკვდილის კარამდე უკან უნდა მდიოს და მოსვენება არ უნდა ვიგრძნო არასოდეს? ოჰ, რა კარგია ახლა სიკვდილი! ცივს სამარეში მაინც მოვისვენებ.

დავალებული მორფის ამპულები გავუგზავნე. იმ თვის განმავლობაში რამდენჯერმე შეეხვდი მას. რაღაც განსაკუთრებულ დავალებას აღარ მაძლევდა. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით იყო. ვგრძნობდი, რომ კარგ დარს ჭექა-ქუხილი უნდა მოჰყოლოდა.

ვიცოდი, ის მოუსვენარი ადამიანი ერთ ადგილზე არ იჯდა, დადიოდა რაიონში და მის გარეთაც. საკუთარი მანქანა ჰქონდა და თვითონვე ატარებდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მან ბევრი მგზავრი ჩაისვა წასაყვანად, მაგრამ არც ერთი არ მიიყვანა ადგილზე.

ჩემი მოსაზრება გამართლდა, სანდრო ყარაშვილიც იმავე ჯურის ადამიანი აღმოჩნდა, როგორც ვადიმ ურალოვი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვადიმ ურალოვი უკვე ბოროტმოქმედთა წრეში სახელმოხვეჭილი ოსტატი იყო. სანდრო ყარაშვილს კი ჯერ შეგირდობის ყავლი არ გაეწვო.

ივლისის ბოლო რიცხვები იყო, როდესაც ერთ-ერთ შეხვედრისას ვადიმ ურალოვი შემეკითხა:

— გამიგე, ხომ არ იცის ინგლისური ენა თქვენმა ექიმმა ნატომ.

— მე მას ვუპასუხე, რომ ინგლისური ენა ნატომ კარგად იცის, — მე არ ვიცოდი, რა იყო საბაბი ასეთი შეკითხვისა, ან რატომ აინტერესებდა მას ექიმი ნატო და როდესაც ამის შესახებ კითხვა დავუსვი, სიცილით მიპასუხა:

— ერთი ბარათი ჩამივარდა ხელში ინგლისურ ენაზე და მინდა ინგლისური ენის მცოდნე მოვძებნო და წავაკითხო, გავიგო რა სწერიაო.

თქმა უნდა, არავითარი ბარათი მას არ ჰქონდა, ეს მხოლოდ მოგონილი ამბავი იყო.

წასვლის წინ დამავალა თვალყური ედევნებინა, წერილს ხომ არ უწერდა ვინმეს და სანდრო ყარაშვილის საშუალებით დავუოვნებლივ მეცნობებინა.

სანდრო ყარაშვილი თითქმის ყოველდღე თავისი მანქანით გამოჩნდებოდა ხოლმე ლომისში, მე იშვიათად მაქცევდა ყურადღებას და თითქოს მერიდებოდა კიდევ, არც მე მქონდა დიდი სურვილი მასთან შეხვედრისა.

ჩემი ვადიმ ურალოვთან შეხვედრის მეორე დღეს ნატომ დამავალა წავსულიყავი რაიონში და წერილი გადამეცა მილიციის უფროსისათვის.

— სანდრო ყარაშვილის მანქანა მიდის რაიონში, გაჰყევი მას, მე უკვე ველაპარაკე, წაგიყვანს და უკანვე დაგაბრუნებს. პატიოსანი კაცი ჩანს, მასთან საშიში არ უნდა იყოს. შენი წასაყვანი ფული უკვე გადავიხადეო, — მითხრა ნატომ.

მე რაღაც ეჭვმა გამკრა გულში, მაგრამ თავი შევიკავე, ველარაფერი ვთქვი, წერილი გამოვართვი და ჩავვექი მანქანაში. სანდრო ყარაშვილმა რაიონის მაგივრად წისქვილში წამიყვანა. იძულებული ვიყავი ეს წერილი ვადიმ ურალოვისათვის გადამეცა. მან და მეწისქვილემ განმარტოვებით წაიკითხეს. არ ვიცოდი არც წერილის შინაარსი და არც ის გარემოება, რატომ იყო დაინტერესებული ვადიმ ურალოვი ნატოს პიროვნებითა და მისი წერილებით, მაგრამ შეკითხვას ვინ გაუბედავდა?

— აი, საქმე რაშია, — მითხრა მან, — ჯერ ერთი, ახვალ თუ არა ლომისში ეტყვი ექიმ ნატოს, რომ მილიციის უფროსი პირადად ინახულე და საკუთარ ხელში გადაეცი წერილი, მეორე: მე გავიგე, რომ ექიმი ნატო აქედან მიემგზავრება. რაღაც არ უნდა დაგიჯდეს ეცადე დაგავალოს მანქანის შოვნა, სანდრო ყარაშვილი აშკარად არ გამოჩნდება ლომისში, ის შენ საიდუმლოდ დაგიკავშირდება და მაშინვე მაცნობებ მე, ნატოს კი ეტყვი, რომ, როცა კი მოისურვებს, მანქანა მზად იქნება.

მე მართლაც მოვახერხე ამ დავალების შესრულება. ნატო მენდობოდა და ოდნავადაც არ შეჰპარვია ეჭვი, თუ აქ იყო მოწყობილი საქმე მის საწინააღმდეგოდ. ნატომ დამინიშნა დრო და საათი როდის უნდა მოსულიყო მანქანა. მე ეს ვაცნობე ვადიმ ურალოვს და ვუთხარი ისიც, რომ ნატო მართლ არ მიემგზავრება, მას მისივე ყოფილი ქმარი გააცილებს.

თქვენ რომ დამკითხეთ ლომისში ნატოს შესახებ, მაშინვე მივხვდი; ნატო მოკლული იყო ვადიმ ურალოვის ხელით, მაგრამ ვერაფერი გითხარით შიშით.

თქვენთან შეხვედრის ერთი კვირის შემდეგ ვადიმ ურალოვმა მომიტანა ყალბი დეპეშა, ვითომ სოხუმიდან გამოგზავნილი „დედის გარდაცვალების“ შესახებ და მიბრძანა სამსახურისათვის თავი დამენებებინა, ასეც მოვიქეცი, მან თბილისში წამიყვანა. თბილისში მერის ბინაზე დავბინავდი. რამდენიმე დღის შემდეგ ვადიმ ურალოვმა გადმომცა ნატოს დოკუმენტები და მიბრძანა გავმგზავრებულიყავი ყამირ მიწებზე მისი სახელით.

— შენ, ვიცი ექიმის მოვალეობას ვერ შეასრულებ. სიყალბე მალე გამოძულავნდება, ამისათვის, დაგნიშნავენ თუ არა ერთი ათიოდე დღე გაიტანე როგორმე თავი, შემდეგ კი გაერიდე იმ არემარეს, წადი დარუბანდში დამელოდე. იქ იცხოვრებ აბა სუმბარის სახელით, მან გადმომცა აბა სუმბარის სახელზე გაკეთებული პასპორტი და მეც გავემგზავრე.

მისი ყველა დავალება ზუსტად შევასრულე. ყამირ მიწებზე დიდი ამბით მომეგებნენ. მათ უკვე იცოდნენ, რომ სახელგანთქმული ექიმი უნდა მისულიყო, მე აბა სად გავწევდი ნატოს მაგივრობას, როდესაც რეცეპტის გამოწერაც კი არ შემეძლო, არა თუ ავადმყოფის გასინჯვა და დიაგნოზის დასმა.

მალე გავაბათილე მათი იმედები და ათი დღის შემდეგ, როდესაც მოვინდომე სხვაგან გამგზავრება იქიდან, არანაირი დაბრკოლება არ შემხვედრია.

დარუბანდში ჩავედი და დავიწყე ცხოვრება. იქ ჩემი ბავშვი დავიბარე. წარმოუდგენელია ის სიხარული, რაც მე და ჩემმა სვეტლანამ განვიცადეთ. ჩემი გოგონა უკვე აღარ იყო პატარა, დაქალებულიყო, მალე ჩემთან ჩამოვიდა დანიელ მაღლონატო, მერის მაზლი, რომელმაც წინადადება მომცა ბავშვი გასაზრდელად

ხელახლა მიმებარებინა სხვის ოჯახში, ბინა თვით დანიელ მაღ-
დონატომ შემირჩია. იმჟამად დარუბანდში ჩამოსული იყო ბოშა-
თა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და იმავე დანიელმა მომაწყო
მოცეკვავედ.

დანიელ მაღდონატო თვითონ ხომ ბოშაა და ამ ანსამბლში
არა მართო ყველას იცნობდა, არამედ ერთგვარი გავლენაც
ჰქონდა მათზე!..“

კირა გაბორამ მეტი ლაპარაკი ვეღარ შეძლო. იგი ძალზე და-
სუსტებული იყო და ექიმმაც გვირჩია მიგვეცა რამდენიმე საათით
შესვენება. ჩვენ ყველანი წამოვედით მილიციის სამმართველო-
ში, წამოსვლის წინ კი დავავალეთ ექიმს, როგორც კი ლაპარაკის
უნარი დაუბრუნდებოდა კირას, დაუყოვნებლივ ეცნობებინა ჩვენ-
თვის. მე ყველაზე მეტად ვიყავი დაინტერესებული, რადგან მრავ-
ალი საკითხი მქონდა კიდევ გასარკვევი.

ჩემზე ნაკლებად არც სამმართველო, უფროსს და სისხლის სა-
მართლის სამძებრო განყოფილების უფროსი იყვნენ დაინტერე-
სებულნი. მან ჯერ კიდევ არ სთქვა, რა დანაშაულებანი ჰქონდა
ჩადენილი დაღესტანში.

— ეჭვი არ არის, კირას ტყვია ვადიმ ურალოვმა ესროლა. მი-
ზეგს ალბათ თვით კირა გვეტყვის, — უთხრა სამმართველოს უფ-
როსმა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს,
— დასაშვებია ისიც, რომ ვადიმ ურალოვი დაბა დაღესტნის ცეც-
ხლში ალბათ კირას ქალიშვილს ეწვევა. საჭიროა დაუყოვნებ-
ლივ გამგზავრება და თუკი გამოჩნდა იქ ვადიმ ურალოვი, მისი
აყვანა.

— მაშინ მე გავემგზავრები პირადად, მაგრამ დაბა დაღესტნის
ცეცხლი ძალზე მოზრდილია, ვისთან არის ბავშვი ხომ უნდა და-
ვადგინოთ? — უპასუხა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფი-
ლების უფროსმა და თვითონვე დაუმატა. — თუმცა, კირამ ხომ
სთქვა ბავშვის მიბარება დანიელ მაღდონატოს საშუალებით

მოხდა. დანიელი კი ჩვენს ხელთ არის, ვათქმევინებ.

ტელეფონმა დარეკა. ვიგრძენი, რომ საავადმყოფოდან უნდა ყოფილიყო, იმის მოლოდინში, რომ კირას დაუბრუნდა ლაპარაკის უნარი, თვალები გაგვიბრწყინდა, სამმართველოს უფროსმა აიღო ყურმილი, მაგრამ სახე მოედუშა და რამდენიმე წუთის შემდეგ ყურმილი ჩანგალზე ჩამოსდო.

— კირა გაბორა გარდაიცვალა, — გვაცნობა მან.

დღეს ამით ვამთავრებ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ორ დღეში კიდევ მოგწერთ, როგორ დატრიალდება საქმე და რა შედეგს მივალწევთ. ვნახოთ ხუტა ახალს რას მაცნობებს. მართალია კირა გაბორა მოკვდა გერმან ბაზილი ჯერ კიდევ ხელთ არა გვყავს, მაგრამ მისი სამი თანამონაწილე მაინც შევიპყარი, და არც ეს უნდა იყოს პატარა საქმე.

ქ. მახაჩყალა

ნოემბრის 12

არჩილ ჩოხელი“.

20

„ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

მივიღე თქვენი წერილი, საყვედურს იწერებით, რომ ვერ გამოვაცოცხლე მუშაობა, ამ სამი დღის წინათ ვრცელი წერილი გამოგიგზავნეო, სადაც შეძლებისდაგვარად, დაწვრილებით აღვწერე ვადიმ ურალოვის ბანდის წევრების შეპყრობა და კირა ზაბორას სიკვდილი, ეს წერილი ჯერ მიღებული არ გექნებათ და იმას უნდა ვუმადლოდე, რომ უკმაყოფილო ხართ ჩვენი — ჩემი და ხუტას მუშაობით, ხოლო ჩემს წერილს რომ მიიღებთ, იმედია დარწმუნდებით, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი არ ვზივართ.

შეიძლება მისაყვედუროთ მხოლოდ იმ საკითხში, რომ კირა ზაბორასაგან მეტი მასალების მიღება ვერ შეუძელი, მაგრამ რა მექნა, ვერ მოვასწარი, გარდაიცვალა. მართალია კირამ თავისი ამბავი ცოტა არ იყოს გააჭიანურა, მაგრამ რა მეთქვა, შეძლებისდაგვარად ვეცადე მთლიანად გადმომეცა თქვენთვის, მე მგონი ეს ამბავი ინტერესს მოკლებული არ არის, ყოველ შემთხვევაში კირა ზაბორა, მიუხედავად იმისა, რომ გერმან ბაზილის დამქაში

და მარჯვენა ხელი იყო, მაინც შემეცოდა. ადამიანს წესიერი გზით უნდოდა ცხოვრება, ცდილობდა საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი გამხდარიყო, მაგრამ მის და უნებურად, მისივე სიტყვით რომ ვთქვა, მგლის ბილიკზე დააწყებინეს სიარული. მის სიტყვებში მე ეჭვი არ მეპარება, არა მგონია, რომ სასიკვდილოდ განწირულმა ადამიანმა ტყუილი თქვას, უბედურება ის არის, რომ მან გერმან ბაზილის ავაზაკურ საქმიანობაზე ბევრი ილაპარაკა, მაგრამ გარდა ექიმი ნატო სულიაშვილის მკვლელობისა, დანარჩენ დანაშაულობებზე კონკრეტული არაფერი უთქვამს, უფრო სწორედ ვერ მოასწრო თქმა. იმედია ამ დანაკლისს სხვების დაკითხვით ავინაზღაურებთ, ვადიმ ურალოვის ბანდის სამი წევრი ხელში გვყავს, ისე რომ მათგან ცოტა მასალას როდი მივიღებთ.

ჰასან კულიევის დაკითხვით უკვე დადასტურდა, რომ ჩემი მოკვლა პირადად გერმან ბაზილს, ესე იგი ვადიმ ურალოვს, დავალებია. თუ რატომ დაავალა, ეს მან არ იცის. მხოლოდ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს; ეჭვგარეშეა მან მნახა, მიცნო და შემდგომშიც ყოველ მხრივ ეცდება ჩემს ფიზიკურად მოსპობას. ეს არაფერი, მე ამის შემდეგ უფრო ფრთხილად ვიქნები, მხოლოდ ხუტასი მეფიქრება, ის ხომ მათთან ტრიალებს. ხუტა იმ საღამოს შემდეგ აღარ მინახავს, არ ვიცი სად არის, ისა და მერი ალბათ წავიდნენ ისე, რომ ვერ მოახერხა ჩემთვის მოეწოდებინა ცნობა. ხუტა, რა თქმა უნდა, გაფრთხილებული მყავს, თვითონაც, როგორც მოგეხსენებათ, ისეთია, რომ მგელს ხახაში არ ჩაუვარდება, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მართოდმართა და ეს მე სერიოზულად მაფიქრებს. არც ჩვენი შუამავალი ახმად ალიევი სჩანს. ის თუ საიდუმლოდ გაჰყვა ხუტას, კიდევ იმედია, რომ გაჭირვებაში დაეხმარება. ყოჩაღია, მე მას ვენდობი, ხუტაც ენდობა.

ჩვენმა ოპერაციამ დაბა დაღესტნის ცეცხლში ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი პირადად გაემგზავრა იქ, მაგრამ შეაგვიანდა.

საქმე იმაშია, რომ ამჟამად დაპატიმრებულმა დანიელ მაღდონათომ ერთგვარი სიჯიუტე გამოიჩინა და ძლივსძლიობით გამოვატქმევინეთ ვისთან იყო შეხიზნული კირა ზაბორას გოგონა სვეტლანა. ვიდრე ჩვენები ჩავიდოდნენ იქ, დაგვასწრეს, ბავშვი გაიტაცეს იქიდან. თვითონ ვადიმ ურალოვი არ ჩასულა, ვიდაც მოხუცი ქალი გამოცხადებულა, ბავშვის დედის, კირა ზაბორას სახელით.

მოხუცი ქალი ალბათ ვერონიკაა. ის გათახსირებული, როგორც ჩანს კიდევ ამოტივტივდა.

მილიციის სამმართველომ ყოველი ღონისძიება მიიღო მის აღმოსაჩენად, აქ მილიციაში იმისთანა ვეფხვებია, რომ მგონია ქვესკნელშიც კი მიაგნებენ.

ბოდიში, წერილის წერის შეწყვეტა მიხდება, სასწრაფოდ მიბარებს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი...

...გუშინწინ ღამით ჩავუჯექი წერილს, მაგრამ არ მომეცა საშუალება დამემთავრებინა,

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის კაბინეტში ახმად ალიევი დამხვდა და მაცნობა, რომ ხუტა და მერი ბუინაკსკში არიან და რომ ხუტა სასწრაფოდ მიბარებს პირადად მე. მიზგზი ვერ მითხრა, თქვა მხოლოდ ის, რომ ხუტამ ვერ მოახერხა წერილის მოწერა. მატარებლით წასვლას ალბათ დიდი დრო დასჭირდება გადაწყვეტეთ მანქანით გამგზავრება. მანქანა განყოფილების უფროსმა შემოგვთავაზა. თან ჩემი განუყრელი მეგობარი ლეიტენანტი შამილ გაფუროვი წამომყვა, იმაზე უკეთესს მაინც ვერ წავიყვანდი ვერავის.

უკვე მზად ვიყავით წასასვლელად, ახმად ალიევმაც მოისურვა წამოსვლა, ამოიოხრა და თქვა:

— რაიმე გაჭირვება, რომ იყოს მეც მოგეხმარებოდით, მაგრამ...

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა

სიტყვის დამთავრება აღარ დააცადა, მიუხედა ახალგაზრდა პატრიოტს გულის წუხილს, მივიდა სეიფთან, გააღო, გამოიღო იქიდან შევერცხლილტარიანი მაუზერი და გადასცა მას. ახმადს თვალები გაუბრწყინდა, სტაცა მაუზერს ხელი, კონდახზე აკოცა და გულში ჩაიხუტა, განყოფილების უფროსს გაეცინა და ჰკითხა:

— სად მუშაობთ ამჟამად?

— ჯერჯერობით არსად, დიდი ხანი არ არის რაც სამხედრო მოვალეობა მოვიხადე და ოჯახს დავუბრუნდი.

— როგორ, ჯარში უკვე იყავით?

— დიახ, გახლდით და სერჟანტის წოდება მაქვს მიღებული.

— კომკავშირელი იქნებით.

— რაღა დროს ჩემი კომკავშირია, პარტიის წევრი გახლავართ. ჩვენი პოლკის პარტიულმა ორგანიზაციამ მიმიღო. აზერბაიჯანელი გახლავართ, საშუალო სკოლა მაქვს დამთავრებული.

მანქანის საყვირი გაისმა. განყოფილების უფროსმა დაგვაჩქარა.

— ლაპარაკის დრო არ არის, სასწრაფოდ გაემგზავრეთ და თქვენ იცით, ამხანაგი გაწერელია ტყუილად არ დაიბარებდა ამხანაგ ჩოხელს, იქნებ როგორმე ხელში ჩაიგდოთ ვადიმ ურალოვი, გზა მშვიდობისა.

ჩვენ მანქანაში ჩავსხედით, ერთი საათის შემდეგ უკვე ბუინასკში ვიყავით. შუალაშე მოტანებული იყო. ქალაქის განაპირას, ერთ განმარტოებულ სახლთან, მიგვიყვანა ახმად ალიევმა. მანქანა სახლის უკან ეზოში გავაჩერეთ და შევედით ოთახში, იქ ალბათ მოგველოდნენ, რომ არ ეძინათ. ჩვენი შესვლისთანავე ახმად ალიევი სადღაც გაქრა. არ გასულა ნახევარი საათი და ხუტა გაწერელია და ის დაბრუნდნენ.

იმდენი ხნის უნახავი მე და ხუტა ერთმანეთს გადავეხვიეთ, — მოსალოცი ვარ, ჩემო არჩილ, მე თვითონ მიკვირს აქ, შენ წინ ცოცხალი რომ ვდგავარ და გიყურებ.

— როგორ? — შეშფოთებულმა წამოვიძახე. — თუ მერი არა, ჩემზე პანაშვიდის გადახდა დაგჭირდებოდა,

მე მისმა სიტყვებმა თავზარი დამცა. მართლაცდა, ძალიან შევეტოპეთ, მაგრამ მეტი გზა რომ არ იყო!

იმ გომბიოს აკი მართლა შევუყვარდი, წარმოიდგინე ბოროტ-მოქმედსაც თურმე შესძლებია სიყვარული, თავისებური, ვულგარული, მაგრამ მაინც სიყვარული. იცი რა მტკიცე და განსაკუთრებული ნებისყოფის ქალია? ქალი კი არა ნამდვილი ალქაჯია. არაფრის წინაშე უკან არ იხევს. მე ის ვადიმ ურალოვის ყურმოჭრილი ყმა მეგონა, ვფიქრობდი მისი ნების ბრმა შემსრულებელი იყო, მაგრამ ასე როდი ყოფილა საქმე. ვადიმ ურალოვი, ეს პირწავარდნილი ტყის ნადირი, არა თუ დიდ ანგარიშს უწევს მერის, ცოტა არ იყოს ეშინიან კიდევ მისი.

— შენ უკვე ნახე ვადიმ ურალოვი? — შევეკითხე მე.

— მქონდა ასეთი ბედნიერება. მერედა, არ იტყვი ვინ არის ვადიმ ურალოვი?

— ვიცი, გერმან ბაზილია.

ხუტამ გაკვირვებით შემომხედა და შემეკითხა:

— საიდან იცი?

— კირა ზაბორამ მითხრა.

— კირა ზაბორამ? განა ის არ მოჰკლეს იქ, სცენაზე?

— კირა ზაბორა სცენაზე სასიკვდილოდ დაჭრეს, იგი უკვე გარდაიცვალა, მაგრამ მოასწრო ჩემთან საუბარი და ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამ მიაშო კიდევ.

ჩვენი საუბრის დროს ოთახში მხოლოდ ერთი ბერიკაცი იჯდა, რომელიც ჩვენს საუბარს ყურადღებას არ აქცევდა და საჭადრაკო ამოცანის ამოხსნაში იყო გართული. ჩვენი საუბარი ქართულ ენაზე იყო და აბა რაში დააინტერესებდა, თუკი არაფერი ესმოდა მას. ჩვენი საუბრისა. ახმად ალიევი და შამილ გაფუროვი ეზოში იყვნენ გასულეები სადარაჯოდ.

— სასწრაფოდ, იმისათვის დაგიბარე, რომ ხვალღამ ვადიმ ურალოვი უნდა შევიპყროთ. უკვე ვიცი სადაც არის იგი, ამაღამ აღარაფერი მოხერხდება, უკვე გვიანია, ახლა დავიწყეთ იქიდან, როგორ წამოვედით ბუინაკსკში. შენ რომ მიჩიხე მე წამეყვანა მერი და წავსულიყავი თეატრში, ასეც მოვიქცევი. მერი წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ როგორც იყო დავიყოლიე. მახაჩყალაში, სულ რაღაც ორჯერ ვნახე კირა ზაბორა. მერი საშუალებას არ მაძლევდა შევხვედროდი მისი თანდასწრებითაც კი, ძალზე ეჭვიანია, სულ ის ელანდებოდა, რომ მე კირა ზაბორა მომწონს და მისი მიზეზით შეიძლება მერისთან ურთიერთობა გამეწყვიტა. მემუქრებოდა, ორი ქმარი მყავს მოკლული და მესამე შენ იქნებიო.

— რა, უკვე ქმრად გთვლის? — გამეცინა მე.

— ასე გამოდის. როდესაც სცენაზე კირა გამოჩნდა, ხალხი აღტაცებითა და ტაშით შეეგება. მეც დავუკარი ტაში, ის იმავე წუთში ხელებში მომვარდა და შემაწყვეტინა,

— მერი, რამ გადაგრია, რას შვრები! — გავიკვირვე.

— არ გაბედო ტაშის დაკვრა, გესმის, არ გაბედო-მეთქი! — მომაძახა. უნდა გითხრა, რომ ის საძაგელი ძალზე ღონიერია, რაღაც ვაჟკაცური ძალა აქვს მკლავებში, მე ეს კარგად ვიგრძენი მანამდისაც, იმ ღამეს კი განსაკუთრებით. როდესაც სასროლმა იჭექა და კირა სცენაზე წაიქცა, მე გავშრი, ასეთ ამბავს სრულიად არ მოველოდი, მერიმ, თითქოს ელოდაო ამისთანა შედეგს, ყურში ჩამჩურჩულა: ალბათ მიაგნეს ჩვენს ბუნაგს, წავიდეთ ჩქარაო. მტაცა ხელი და გასასვლელისაკენ გაემართა. როგორც იყო გამოვალწიეთ, ქუჩაში გამოვედით და ჩქარი ნაბიჯით გავწიეთ ბნისაკენ, სადაც მე და მერი დროებით ვიყავით. ერთ ბნელ ქუჩაში, ვიღაცამ გაგვირბინა და მერის მიაძახა: „შურა, ვერას“. მე ვერაფერს ვერ მივხვდი და მერის შევეკითხე ვინ იყო ის კაცი, ან რას ნიშნავდა ეს სიტყვები?

— ახლა მაგის დრო არ არის, წამოდი ჩქარა. — მიპასუხა და გამიტაცა, ბინაზე აღარ მივსულვართ.

ქალაქს გამოვცდით და რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, გზატკეცილზე გავჩერდით გამვლელი ავტომანქანის მოლოდინში.

— სად მივალთ? — შევეკითხე მე.

— შურაში, ვერ გაიგე?

— აგეთი ქალაქი არ გამიგია?

— შურა, თემირხანშურა, ეს ბუინაკსკის ძველი სახელია. საბარგო მატარებელი მოდიოდა.

— აბა მზად იყავ, — შემომძახა მერიმ, მიწაყრილზე ავარდა და კატასავით ახტა ბაქანზე, მეც ავყევი, ფეხი გამისხლტა, ხელი მოჭიდებული მქონდა, მატარებელი ალბათ გამათრევდა, რომ მერიმ დამტაცა ხელი და ამათრია. მაშინ ვიგრძენი ამ გამხდარი ქალის მკლავებში რა ძალაც იყო. არ ვიცი, ღონით არ დავიკვებებ, მაგრამ არ მეგონა თუ სიცქვიტეში კაცი მაჯობებდა, აქ კი ამ ქალმა გამაკვირვა, არა მართო ღონე, ნამდვილი კატის მოქნილობაც ჰქონდა.

— მზად იყავ, როგორც კი მივეუახლოვდებით ქალაქს, უნდა გადავხტეთ მატარებლიდან.

— ვისთან მივალთ ბუინაკსკში? ჩვენი ნივთებიც მახაჩყალაში დარჩა, — დავიწუწუნე მე, — საკმარისი ფულიც არ გამოგვყოლია თან, ფულიც ნივთებთან ერთად იყო.

სიმართლე გითხრა, ფული აღარ მქონდა ბევრი, ხოლო რაც მქონდა, ჯიბეში მედო.

ფულის ფიქრი ნუ, გაქვს, ადვილი საშოვარია. არც ნივთები — დარჩება იქ. მივიღებთ. აი, მივალთ ვერასთან და ის ყველაფერს მოგვიწყობს.

— ვინ არის ვერა? — შევეკითხე მე.

— დეიდა ვერონიკა, მოხუცებული ქალია. ძველი ქურდი და მე-
ძავი, ახლა კი მხოლოდ ლოთობადაა შერჩა. ჩვენი პენსიონერია.
პენსიას ღებულობს ჩვენგან.

მე გაკვირვებით შევხედე. მისი ლაპარაკიდან ვერაფერი გავი-
გე. მან შემატყო გაკვირვება და მითხრა:

— ნუ გიკვირს. დეიდა ვერონიკა განსაკუთრებული ტიპის სუ-
ლიერია. სისხლის სამართლის კოდექსი ზეპირად იცის. არ არის
იმისთა მუხლი, რომლითაც იგი არ გაესამართლებინოთ, მკვლე-
ლობა, ძარცვა, ქურდობა, ხულიგნობა, თაღლითობა, გარყვნი-
ლება, მათხოვრობა, ბუნაგების მოწყობა და კიდევ ვინ მოს-
თვლის რაც მას ჩაუდენია. მდიდარი ოჯახიდან არის, მამამისი
ძველად მექარხნე ყოფილა. თავის დროზე კარგი განათლებაც
მიუღია, მაგრამ მოვიდნენ ბოლშევიკები და ყველაფერზე ხელი
დააბანინეს. წლიდან წლამდი, დღიდან დღეზე ელოდა საბჭოთა
ხელისუფლების დამხობას, მაგრამ ისე დაბერდა და ისევე ჩავა
მიწაში, რომ თავის ნატვრის განხორციელებას ვერ ეღირსება.
ადრე, ვადიმ ურალოვის მარჯვენა ხელი იყო, მისი დამხმარე, ახ-
ლა მას ვადიმ ურალოვისაგან პენსია აქვს დანიშნული. ვადიმ
ურალოვი და ჩვენ ყველანი საკმაოდ ფულს ვუგზავნით და ცხოვ-
რობს. ხალხში ლაპარაკობს, რომ ვითომდა შვილები ჰყავს, რომ-
ლებიც მუშაობენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ისინი
უგზავნიან. ის ჯერ კიდევ საჭირო ქალია ვადიმ ურალოვისათვის.
აი, ახლაც საჭირო შეიქმნა ჩვენთვის!

მე მაშინვე მივხვდი, რომელ დეიდა ვერონიკაზედაც მელაპა-
რაკებოდა ხუტა გაწერელია.

— ვიცი, ჩემო ხუტა, კარგად ვიცნობ შენს დეიდა ვერონიკას. კი-
რამ სიკვდილის წინ ბევრი რამ მიაშო მასზედ, თავის დროზე ყვე-
ლაფერს გეტყვი.

ხუტამ გაკვირვებით შემომხედა და მცირე პაუზის შემდეგ გა-
ნაგრძო:

— ვიდრე ქალაქს მივუახლოვდებოდით, მატარებლიდან ჩამოვხტით. მერიმ მატარა და ქალაქის განაპირას ერთ განცალკევებულ ბინაში მიმიყვანა. გათენება მოახლოებული იყო. კარის კაკუნზე მოხუცი ქალი გამოვიდა, იცნო მერი და უთხრა:

— ჩქარა, შემოდით ოთახში, არავინ დაგინახოთ.

— უკვე გელოდი, დეიდა ვერა? — შეეკითხა მერი.

— ერთი საათია გელით. ვადიმი იყო აქ, იმან გამაფრთხილა. მე ახლა სასწრაფო დავალებამე მივდივარ. თქვენ აქ იყავით. ხვალ დილამდე დავბრუნდები. ფიქრი ნუ გაქვთ, აქ არავინ მოგაგნებთ, — ამ სიტყვებით ჩვენი მასპინძელი გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც მცირე ხნის შემდეგ პალტო ჩაცმული, ხელში ჩანთით უკანვე დაბრუნდა.

— აბა, არ მოიწყინოთ უჩემოდ. თქვენთან ბოდიში პატივცემულო, — მომმართა მე, — მაგრამ არა უშავს რა, მალე დავბრუნდები.

ვერონიკამ წასვლა დააპირა, მერიმ შეაჩერა.

— ასე მოულოდნელად საით გასწიეთ, დეიდა ვერა, ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინათ?

— არა, მაგას რას ამბობ, აქამდე უნდა წავსულიყავი, მაგრამ თქვენ მოლოდინში შემაგვიანდა, — საეჭვოდ გამომხედა და განაგრძო, — სასწრაფო დავალება მაქვს, არ შეიძლება არ შევასრულო.

ამ სიტყვებით იგი გარეთ გავიდა, მას მერიც გაჰყვა ათიოდე წუთის შემდეგ მერი უკანვე დაბრუნდა გაცეცხლებული, სახეზე ალმური ასდიოდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა, ასეთი გაბრაზებული ის ჯერ არ მინახავს, ნამდვილ ძუ ვეფხვსა ჰგავდა,

— მერი, რა მოგივიდა, რამ გაგაბრაზა? — შევეკითხე მე.

— არა, არაფერი, თავის დროზე ყველაფერს შეიტყობ, — მიპასუხა მან, — დაწექი, დაისვენე, დაღლილი ხარ. იქნებ გშია? ვერას ალბათ ექნება სასუსნავი რამე.

ჩემს პასუხს აღარ მოუცადა, კარადის კარი გამოაღო. — ლო-
თი, გაოხრებული. არყისა და დაობებული პურის მეტი არაფერია.
მაგას ოღონდ არაყი ჰქონდეს და სხვას არას დაგიდევეს! — გაბრა-
ზებულმა კარადის კარი მიაჯახუნა.

— ვის ამკობ აგრე ლაზათიანად?

— ვისა და იმ გათახსირებულ დეიდა ვერას.

მე ტახტზე გაუხდელი წამოვწეჭი და წავიძინე, როდესაც გამო-
მელვიდა უკვე დღე იყო, მერი არ იყო შინ. მაგიდასთან შუახნის
ჩაფსკვნილი მამაკაცი იჯდა და მე შემომცქეროდა, დავაკვირდი,
მეცნაურა, მაშინვე თვალწინ წარმომიდგა გერმან ბაზილის სურა-
თი, როგორც იყო შევხვდი მას. დავაპირე წამოვმხტარიყავ, ვცე-
მოდი და გამეთოკა, მაგრამ ეს აზრი წამსვე უკუვაგდე, ვიცოდი
მარტოს მასთან შებრძოლება გამიჭირდებოდა. ის რაღაც ეჭვნა-
რევი თვალეებით მიყურებდა და თუმცა დამინახა რომ გამომელ-
ვიდა, მაინც ხმას არ იღებდა. მე თავი ისე დავიჭირე, ვითომც არც
კი მეცნოს და ვეცადე ჩემი სახისათვის გაკვირვების იერი მიმეცა,

აი, თურმე როგორი ყოფილა ეს ქვეყნის ამომგდები, ავაზაკი,
ვფიქრობდი მე, არაფერი განსაკუთრებული მასში არ არს, ჩვე-
ულებრივი სახისაა, მხოლოდ თვალები აქვს ბოროტებით აღსავ-
სე, თვალები და მეტი არაფერი.

გერმან ბაზილი, აქ ვადიმ ურალოვად დარქმეული, წამოდგა
სკამიდან, მივიდა კარადასთან, გამოიღო კონიაკის ბოთლი, გახ-
სნა, დაასხა ჩაის ჭიქაში, სულმოუთქმელად გადაჰკრა და დაასხა
ხელახლა.

— ხომ არ მიირთმევთ, ყმაწვილო? — ამ სიტყვებით სავსე ჭიქა
გამომიწოდა.

— მე გამოვართვი და მისი მაგალითისამებრ სულმოუთქმე-
ლად დავლიე. მას თვალები გაუბრწყინდა, თითქოს ესიამოვნაო.

— ეს მომწონს, გეტყობა ვაჟკაცი ყოფილხარ

სამწუხაროდ პირველი დადასტურება ჩემი ვაჟკაცობისა ჩაის

ჭიქა კონიაკის გადაკვრით მოხდა.

კიდევ ხომ არ მიირთმევთ? — მომმართა მან.

— როგორც გენებოთ, — ვუპასუხე.

იგი დაფიქრდა და მითხრა:

— ჯერჯერობით ეს ვიკმართ, ამაღამ კი ერთი კარგი დროება გავატაროთ, თქვენებურად, ქართველურად.

— მე ქართველი არა ვარ, — ვუპასუხე.

— ვიცი აფხაზი ხართ, აფხაზები და მეგრელები ისე არიან ერთმანეთში არეული, რომ ურთიერთშორის ბევრი რამ აქვთ შეთვისებული, მეგრელები კი ქართველები არიან. ისე, რომ მე ძალიან არ შევმცდარვარ ჩემს სიტყვაში.

ამ სიტყვებით მან ბოთლი კარადაში შეინახა, გაბრუნდა და გარეთ ისე გავიდა, რომ არც კი გამომემშვიდობა. მე გამიკვირდა მისი ასეთი საცქიელი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ იქამდე თვალით არ მეჩვენებოდა, მაშინ კი ნუთუ იმისათვის მოვიდა, რომ კონიაკით გამმასპინძლებოდა? ყველა ეს რაღაც გაუგებარი იყო ჩემთვის. გამახსენდა ჩვენი უფროსის პოდპოლკოვნიკ ზურაბ ლომაურის ნათქვამი, რომ გერმან ბაზილი განსაკუთრებული მოდგმის ტიპია, ყველა საზოგადოებაში თავისებურად უჭირავს თავიო. მართლაცდა, თუ არა კარგად დაკვირვებული თვალი, ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ის ავაზაკი იყო და, არა ჩვეულებრივი მოქალაქე.

მე წამოვდექი და ფანჯარასთან მივედი. ფარდა გადავწიე. შუადღე მოტანებული იყო, მზე უხვად აფრქვევდა თავის სხივებს. ფანჯარა ღრანტე ხევს გადაჰყურებდა, ხევის გადაღმა კი დაცემული ველი იყო.

ოთახში მერი შემოვიდა. როცა დამინახა ამდგარი და ფანჯარასთან მყოფი ღიმილით მომმართა:

— გამოიძინე?

— დიახ, საკმარისად მეძინა, მაგრამ შენ? — შევეკითხე.

— შენ ჩემზე ნუ ნაღვლობ, სამი ღამე რომ არ მეძინოს, კაცი უძილობას ვერ შემატყობს. მე უკვე ბაზარი მოვიარე, სანოვაგე ვიყიდე, სადილის კეთებას შევუდექი. ძალიან მოგშივდებოდა, ვიცი. ცოტა შენაყრდი ძეხვითა და პურიით, თუ გინდა სასმელიც დააყოლე, სადილიც მზად იქნება მალე.

— სასმელი უკვე გაიხელი. ჩაის ჭიქა კონიაკი.

— ჩაის ჭიქა კონიაკი? — გაიკვირვა მერიმ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, — ალბათ ვადიმ ურალოვი იყო აქ.

— არ ვიცი, ვიღაც მამაკაცი იყო და ის გამიმასპინძლდა.

— მის მეტი არავინ იქნებოდა, უკვე გაიცანით ერთმანეთი? კეთილი... როგორ მოგეწონა?

— როგორ გითხრა, ეტყობა არ უნდა იყოს არავისზე ნაკლები ვაჟკაცი, თუმცა გულახდილად უნდა გამოგიტყდე, რაც სახელი აქვს, ის შეხედულება არა აქვს.

— არა, ახლა მოტყდა ცოტა, თორემ მაგისტანა ვაჟკაცი მეორე არ დადიოდა დედამიწის ბურგზე. თუმცა ახლაც არ ჩამოუვარდება არავის. აი, დაუახლოვდები და დარწმუნდები, რომ ეს ასეა.

გვიან საღამოს ხელახლა გვეწვია ვადიმ ურალოვი.

— მერი, ამაღამ თქვენი სტუმარი ვარ, — მიმართა მან მერის, — მხოლოდ წავალ ძაღლს გადავაბამ შემოსასვლელთან ახლოს, არ ვიცი, ეშმაკს არ სძინავს, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ხომ იცი, რომ ძაღლი მე შეჩვეული არა მყავს, გარეთ აღარ გავიდე? — შეეკითხა მერი.

— რა გინდა გარეთ? თუმცა შეგიძლია გახვიდე, კარებიდან მოშორებით იქნება დაბმული, სახლიდან გარეთ გასულს არ დაჰყუფს, ისეა დაგეშილი. სულ სხვაა ეზოში თუ ვინ შემოვიდა, არავის შემოუშვებს, ძაღზე ავია, ხომ იცი რა ავეები არიან კავკასიური ნაგაზები.

— შენ დღეს რაღაც კარგ გუნებაზე არ მეჩვენები! — უთხრა მერიმ.

— ძალიანაც არა ვარ კარგ გუნებაზე. მაგრამ რას იზამ სუფრა გაშალე, მშია და კარგა ხანია ჩემებული დროც არ გამიტარებია. ხომ მიცნობ, მე თუ სმას დავიწყებ ან ძალიან მხიარულ გუნებაზე უნდა ვიყო, ან ძალიან ცუდზე.

— ძალიან ცდილა დეიდა ვერა ჩვენს დასახვედრად, საყვედური არ მეთქმის. — თქვა მან და სამი ჩაის ჭიქა შეავსო კონიაკით, — აბა ეს ჩვენი გაცნობისა იყოს, — მომიბრუნდა მე, წაავლო ჭიქას ხელი, მომიჯახუნა და გადაჰკრა. მე შევცოყმანდი, არ მინდოდა დაღევა. დათრობის მეშინოდა. იმ მგელკაცთან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო და მინდოდა შემეკავებინა თავი.

— აბა, აბა... აუწი კუდი, ნუ ინაზები გასათხოვარ გოგოსავით. არ მაფიქრებინო, რომ ვცდებოდი შენს შეფასებაში.

მე გამაკვირვა მისმა „შენობით“ მომართვამ, ალბათ უკვე შინაურად მთვლის, მე ვეცადე მისი ყურადღება არ მიმეპყრო, და იძულებული გავხდი ჩაის ჭიქა კონიაკი გადამეკრა.

— თქვე უკუღმართებო, მე აღარ მიცდით? — წამოიძახა მაგიდასთან მოსულმა მერიმ. წაავლო ხელი მესამე ჭიქას, ერთი კი მოგვაძახა, თქვენი გამარჯვებისა იყოსო და წვეთი არ დასტოვა ჭიქაში.

— აი ეს მომწონს, — აღტაცებით წამოიძახა ვადიმმა. — არ გეზხარ ზოგიერთ ჭიან ბანოვანს, რა ეშმაკმა გაგაჩინა ქალად, რომელი ვაჟკაცი შეგედრება?

— კარგი, კარგი, ძალიან მაღლა ნუ ამაფრენ. მირჩევნია დააყოლო რამე, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ხელად შეთვრები. ამ ბოლო ხანებში რაღაც ვეღარ იტან სასმელს, — უპასუხა მერიმ.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს. ჩემო მერი, ჯერ კიდევ ბევრს გავუძლავდები და ორივე ბეჭზე დავცემ.

ვიცოდი, რომ გერმან ბაზილს სმის დროს ბაქიაობა ახასიათებდა და უკვე რომ დაიწყო კვებნა, მე გამეხარდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სპირტმა თავისი მოქმედება დაიწყო.

— აბა თითოც დავლიოთ. — წამოიძახა მან და ხელახლა შეავსო ჭიქები.

— გადაირიე! — შეუბღვირა მერიმ, ჭამე. სასმელი არსად არ გარბის.

— ეჰ, მერი, რომ იცოდე რა ხასიათზე ვარ, სასმელს კი არა შხამს დავლევ. გული მიკვდება, გული. შენ არ იცი რა ბიჭები დავკარგე. დანიელ ბოშა, ხასან ლეკი და „აფთარი“. ვიღა დამრჩა?

— შენ უმთავრესი დაგავიწყდა, აბა! — ბოროტად შეხედა ვადიმს მერიმ.

— არ მინდოდა მესროლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. როგორ წარმოვიდგენდი, რომ აზას, ბინა ჩავარდებოდა. ის ბინა განსაკუთრებული გულმოდგინებით იყო შენიღბული, მაგრამ ხომ ნახე რაც მოხდა? ვიცოდი იმ ამბის შემდეგ, აზას თეატრშივე გაბაწრავდნენ, ის კი ამ ბოლო ხანს ისე იყო განწყობილი, რომ ყველაფერს დაროშავდა, მაშასადამე ის თეატრის შენობიდან ცოცხალი არ უნდა გამოსულიყო.

— ნუთუ სხვა გზა არ იყო?

— არავითარი, შენ არ იცი აქ თბილისიდანაც არის ჩამოსული თანამშრომელი. ეჭვი არ არის მე დამდევს. როგორ მომაგნო ეს გასაკვირი და გაუგებარია ჩემთვის. მე მას კარგად ვიცნობ, რამდენჯერმე შემხვედრი იქ თბილისში. აქ ადგილობრივებს ეჭვი არ ჰქონდათ ჩემზე, ის თბილისელი ადგილობრივებსაც დააყენებს ჩემს კვალზე. აქედან უნდა ავიბარგოთ მეტი გზა არ არის. ისევ საქართველოს უნდა ვეწვიოთ. აი, ამ ახალი მეგობრის სამშობლოს მივადგეთ, სოხუმში კიდევ მყავს საიმედო მეგობრები, აფხაზეთი კურორტების ქვეყანაა, ფულიანი ხალხი ბევრია.

ვადიმმა მეორე ჭიქა უჩუმრად გადაჰკრა, პაპიროს გააბოლა და თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, განაგრძო.

— დიახ, ცხოვრება ძნელი შეიქნა. ერთ ხანს ჯგუფების ჩამოყალიბებასაც კი ვაპირებდი ამერიკული განგსტერების ყაიდაზე,

მაგრამ არაფერი გამომივიდა. ო, რომ იცოდეთ რა გეგმები მქონდა! — უცხად მომართა მან, — მე მინდოდა დანაშაულებანი დარგობრივად დამეყო. ყოველ დარგს თავთავისი მეთაური ჰყოლოდა და ამა თუ იმ დარგის ხაზით მომუშავე დამნაშავე პირები მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფილიყვნენ, დარგები კი უნდა გამეერთიანებინა ფილიალებში, რომელიც ყველა დიდ ქალაქებში მექნებოდა. საერთო ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, ჩემი იქნებოდა, ზუსტად ამერიკული წესით. მე მეორე ალ-კაპონე ვიქნებოდი. იცი თუ არა, ხომ ამერიკაში ასეთი ხელმძღვანელები სენატორების სკამებზე სხედან? მე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებდი ასე მაღლა აწევას, სისულელეც იქნებოდა ამაზე ფიქრიც კი, აქ ხომ ამერიკა არ არის, რომ ფულით ყველაფერი იყიდო. აქ სხვა ქვეყანაა, სხვა მიღების ხალხია, აკი ამიტომაც არაფერი გამოვიდა, ჩემი ნიჭი და უნარი, ჩემი ორგანიზატორული გაქანება ამერიკის პირობებში ისე გაშლიდა ფრთებს, რომ ცხოვრების სათავეში მოექცეოდი. აქ კი, აბა რაღა ვთქვა, აქ ამ პირობებში უქმია. აქ ჩემისთანა ადამიანებს მგელსავით გვდევენიან,

მერიმ ჭამას თავი დაანება და თვალელებში შესცქეროდა ვადიმს. მე იმისთანა გამომეტყველება მივიღე, თითქოს მისი ველური ფილოსოფია დიდად მაინტერესებდა. ვადიმმა რამდენიმე ნაფაზი ჩაისუნთქა ღრმად, მე და მერის ისე გადმოგვხედა თითქოს უნდოდა ეთქვა, თქვენ ჯერ კიდევ არ მიცნობთ მე, ჩემთან კამათი გამოცდილ იურისტებსაც კი გაუჭირდებათო, მან განაგრძო:

— არის კრიმინალისტიკად წოდებული დარგი იურიდიულ მეცნიერებაში. კრიმინალისტიკის მიზანია დანაშაულებათა გამოძიების მეთოდების შესწავლა. და თუ ყველა ეს მეცნიერების ერთ-ერთი დარგია და უმთავრესი დარგი, მაშ თვით დანაშაული რაღა ყოფილა?

— კანონის სიტყვით, დანაშაული სოციალური ბოროტებაა, — ვუპასუხე.

— რომელი კანონის? უძველეს დროში, მიუხედავად იმისა, რომ მონათმფლობელობა დიდი სოციალური ბოროტება იყო, კანონი მაინც მას იცავდა, მეპატრონეს შეეძლო მოეკლა მონა და მას კანონი არ დასჯიდა. განა ასეთივე კანონი არ ჰქონდა ფეოდალიზმის ხანას? განა ბატონს არ შეეძლო მოეკლა, გაეყიდა, ძაღლზე გაეცვალა თავისი ყმა? ყმა ხომ საკუთრება იყო, კანონით დამკვიდრებული საკუთრება? ბატონი ამის მოკვლისათვის პასუხს არ აგებდა, მაგრამ ყმას ოდნავი უკმაყოფილების გამოთქმისათვის კი კანონი სასტიკად სჯიდა. განა ასეთივე მდგომარეობა არ არის გამეფებული დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში? ვის მხარეზეა კანონი? უმრავლესი მშრომელების თუ უმცირესი მდიდრების? ცხადია, კანონი იყო, არის და იქნება ძალმომრეობის განსახიერება.

მე მაკვირვებდა სისხლის სამართლის დამნაშავეს, გაუსწორებელი ავაზაკის ასეთი მსჯელობა. ველარ მოვითმინე და შევეპასუხე:

— კარგი და ჩვენს ქვეყანაში ხომ არ არის ძალმომრეობა? აქ ხომ კანონი უმრავლესობის, მშრომელი უმრავლესობის დამცველია.

ვადიშმა გადაიხარხარა. შემდეგ თვალები გესლიანად შემომანათა და მომახალა.

— მიაშიტო ბაღლო, აქ არ არის ძალმომრეობა? თუ სახელმწიფოა, მაშასადამე ძალმომრეობაც უნდა იყოს. თუ ხელისუფლებას დამსჯელი ორგანოები აქვს. მაშასადამე ძალმომრეობაც არის.

— მაგრამ, ეს მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებას.

— არა, არ არის სწორი. მე მაიძულებენ ვიმუშაო მაშინ, როდესაც მე არ მსურს, ვიმუშაო იქ, სადაც არ მსურს. იქნებ ჩემი გუნებაგანწყობილება მიკარნახებს კვირაში ერთ დღეს ვიმუშაო იმ

თვეში, მომავალ თვეში კი არც ერთი დღე არ დავისვენო, სულ შრომაში გავატარო. შენ კი დამიკანონე განსაზღვრული საათები სამუშაოდ... რა, განა ეს ძალმომრეობა არ არის?

— ასე რომ იყოს, ყველა რომ თავის ნებაზე მიუშვა, მაშინ ანარქია იქნებოდა.

— ამ სიტყვას უფროთხილდი, ყმაწვილო, სიტყვა „ანარქია“ ძვირფასი ტერმინია. არ დაივიწყო, რომ სწორედ ეს არის ყველაზე სწორი გზა. ანარქიზმის დროს ყველა ადამიანი თავისუფალია. ყველა აკეთებს იმას, რაც მოესურვება, სადაც მოესურვება და როგორც მოესურვება.

მე უკვე მივუხვდი მას. აი, სად გამომჟღავნდა მისი ნამდვილი სახე. რა თქმა უნდა ანარქიზმი, მიუხედავად იმისა რომ უკანონობის, არეუ-დარევის და ქაოსის განსახიერებაა, მაინც არ აკანონებს, სისხლის სამართლის დანაშაულებებს, აქ კი ამას თავისებურად ესმოდა ანარქიზმი.

— განა ანარქიზმის დროს არ იქნება ძალმომრეობა?

— რა თქმა უნდა იქნება, ისევე, როგორც ყოველთვის. ჩემის გაგებით ძლიერი მუდამ უნდა სჯობნიდეს სუსტს. სუსტს არა აქვს უფლება არსებობისა, ალბათ წაკითხული გექნება ჯეკ ლონდონის „ზღვის მგელი“, გაიხსენე მგელი ლარსენი, ის ძლიერების განსახიერებაა.

— ძლიერების თუ ძალის?

— როგორც გინდა ისე გაიგე. თუნდაც ძალი იყოს, მე სიტყვა ძლიერებაში ფიზიკურ ძალას ვგულისხმობ. ვინ დაუპირისპირა ავტორმა ამ ძალოვანს? უხერხემლო იდეალისტი, წიგნის ჭია ვანვიდენი. არ დაივიწყოთ, რომ მგელი ლარსენი მატერიალისტია.

მართალია არა იმ გაგებით, რომელსაც დღეს ჩვენში ჰქადაგებენ, მაგრამ მაინც მატერიალისტი. ცხვარი იმისათვის არის გაჩენილი, რომ მგელმა შეჭამოს. მგელი ამაში არ არის დამნაშავე. მას რომ შეეძლოს ბალახის ძოვა, მაშინ ცხვარს აღარ შეჭამდა,

ბალახს მოძოვდა. ცხვარი? ეს თითქმის ყველაზე უწყინარი არსება, განა იგი კი არ ჩადის ბოროტებას? ის ხომ სძოვს ბალახს. ბალახი კი ცოცხლობს, არსებობს. ცხვარი არ აცდის მას ვიდრე ბალახი გახმება, მოკვდება, თივად გადაიქცევა, არა, იმას ახალი, ნორჩი, ცოცხალი ბალახი უნდა. განა ადამიანები არ სჩადიან ყოველ ნაბიჯზე ბოროტებას? ყველაზე უპატიოსნესი ადამიანთა შორის, რომელიც ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხს, სიამოვნებით მიირთმევს მწვადებს და სრულებითაც არ ფიქრობს იმაზე, რომ ის მწვადი ოდესღაც სულიერი არსება იყო, რომელიც ადამიანს არავითარ ცუდს არ უკეთებდა, ეს კი დაკლეს იმისათვის, რომ ადამიანმა მისი მწვადით ისიამოვნოს. ახლა ეს მითხარი, იმ საბრალო ცხვრისათვის, განა მგელი და ადამიანი ერთი არ არის? მართალია მგელი ცხვარს უმად მიირთმევს, ადამიანი კი ნაირნაირ კერძებს აკეთებს და ასე გეახლებათ, მაგრამ ცხვრისათვის ერთი არ არის, მოხრაკული ან შემწვარი სახით შეჭამენ თუ უმად? საბრალო ცხვარი ადამიანს აძლევს ბატკანს, მატყლს, რომლითაც ის იმოსება, რძეს, ყველს, ადამიანი კი ბოლოს თვითონ მასაც შესანსლავს ხოლმე, ადამიანი ძროხას წველის, მისი რძისაგან აკეთებს კარაქს, ხაჭოს, არაჟანს, ყველს, ხდის ნაღებს და სანსლავს და ერთხელაც არ უფიქრდება, რომ ამ რძეს ის ხბოს ჰპარავს. რატომ არ წველის ადამიანი ვეფხვს ან ლომს? რატომ არა ჭამს მათ ხორცს? იმიტომ, რომ ვეფხვიცა და ლომიც ძლიერნი არიან, ის მათ ვერ მოერევა, მას რომ შესძლებოდა მათი მოშინაურება, მათი ჯოგისა და ნახირის გაშენება, ისევე მოექცეოდა, როგორც სხვა მოშინაურებულ პირუტყვს. ადამიანი თოფითა ჰკლავს მგელს, ტურა, მელას, აფთარს, რატომ? იმიტომ რომ ისინი ერჩიან ცხვარს, ქათამს და ეს მას ბუნების კანონის დარღვევად მიაჩნია, მგელი ბალახს ვერ მოსძოვს, მისი კუჭი ბუნებას ასე მოუწყვია, რომ ბალახს ვერ მოინელებს. თუ ცხვარი არ შეჭამა, შიმშილით მოკვდება. ადამიანს მაინც უკანონოდ მიაჩნია მგლის

საქციელი. თვითონ რაღას სჩადის? თვითონ, რომელიც კარგად გეახლებათ პურეულსაც, ბოსტნეულსაც, ხილეულსაც. ამასაც არ კმარობს, სიცოცხლეს უსპობს სულიერს, ნთქავს მას და ეს კი სრულიად კანონიერად მიაჩნია, რატომ ჭამს ადამიანი კურდღელს, და არა მგელს, იმისათვის, რომ ის საბრალო გულნამცეცა ლაჩარია, ადვილი მოსაკლავი, მგელი კი ძნელი. პირველყოფილი ჩვენი წინაპარი, თვითონაც გულნამცეცა, ცარიელი ხელითაც ერეოდა კურდღელს და კისერს უგრეხდა, მაშინ, როდესაც მგლის მოსაკლავად კეტიტაც კი უძლური იყო. ჰოდა, იმავე გულნამცეცა ადამიანმა დააწესა შეჭამოს ის, რომელიც მასზე სუსტია, ხოლო გაექცეს იმას, რომელიც მასზედ ძლიერია. ყველა ამის შემდეგ მითხარი რა არის ადამიანი? არის, თუ არა იგი ყველა ცხოველთა შორის ყველაზე ცბიერი, ბიწიერი, მანკიერი, ბოროტი, გულქვა, ღრძო, ქვეშექვეშა, ქედმაღალი, მლიქვნელი, გარყვნილი, ავყია, პირფერი, ორგული და სხვა კიდევ მრავალი, რომლის ჩამოთვლასაც დიდი დრო დასჭირდება? ტყის ნადირი როდესაც მაძღარია, არავის არაფერს არ ერჩის, ადამიანი კი ჰკლავს ისეთ სულიერსაც კი, რომელიც მას არაფერს უშავებს და არც საჭმელად გამოადგება, რისთვის? ისე, ერთობა. პირუტყვმა თუ მონახა თავისი ტოლი, სიკვდილამდე მისი ერთგულია, ადამიანის ბუნება კი ღალატით არის აღსავსე; პირუტყვი ერთგულია თავისი ჯიშისა და მოდგმის არსებათა, ადამიანის გული კი აღსავსეა შურისა და ღალატის გრძნობებით. რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? მხოლოდ ერთის: ძალა, აი რა არის უმთავრესი ამ ცხოვრებაში. ვისაც მაგარი მკლავი აქვს, ლელო მუდამ მას გააქვს. ვინც მოქნილია, ის მჯობნიც არის. სუსტმა მუდამ უნდა დაუთმოს გზა ძლიერს. სუსტი უნდა მოკვდეს, რომ ძლიერმა თავისი ადგილი მონახოს ცხოვრებაში.

მე გაკვირვებული ვუსმენდი მის ასეთ მსჯელობას, შევცქერო-

დი თვალებში და ვფიქრობდი: ნუთუ ამ მგელკაცისთვის ადამიანების მხოლოდ უარყოფითი მხარეებია ცნობილი, ნუთუ იგი ვერ ამჩნევს ადამიანების დადებით მხარეებს? ღალატს რომ ხედავს, პატიოსნები ნახვა რაღად გაუჭირდა? რატომ ერევა მას ძლიერება და ძალმომრეობა ერთმანეთში? კიდევ ათასი აზრი მიტრიალებდა თავში, რომ უცბად შემომესმა მისი შეკითხვა:

— რას იტყვით, ვარ თუ არა მართალი? სწორია თუ არა ჩემი მსჯელობა?

რა უნდა მეპასუხა მისთვის, იმ ადამიანისათვის, რომელსაც ყველაფერი უკუღმა ესმის და ძალმომრეობა ფეტიშად გადაუქცევია? ესლა მოვახერხე მეპასუხა:

— გამოდის, რომ ძალმომრეობა თქვენთვის კულტია.

— დიახ, სწორი ხართ. მე მწამს, ვეთაყვანები მას და ვერავინ ვერ შეარყევს ჩემს რწმენას.

მან კონიაკით სავსე ჭიქას დასტაცა ხელი და წამოიძახა: — გაუმარჯოს ძალმომრეობას! — ისე გადაჰკრა, თითქოს ერთი ყლუპი ყოფილიყო ჭიქაში.

მან ახალი პაპიროსი ამოიღო, გააბოლა, ნაფაზი ღრმად დაარტყა და განაგრძო:

— მე შრომა არ მიყვარს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უქნარა ვიყო. დიდი მოძრაობისა და გაქანების კაცი ვარ, ჩემი ერთ ადგილზე გაჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ოჯახს აქ მოვკიდებივარ და არც მწამს იგი, თავისუფლება ყველაფერში და ყველგან, თავისუფლება ცხოვრებაშიც და მოქმედებაშიც, ეს ჩემი დევიზია. მე არ ვმაღავ, ავაზაკი ვარ, სისხლის სამართლის ბოროტმოქმედი. ინგლისელ სახელგანთქმულ მწერალს სტივენსონს თავის რომანში სათაურით „განძთა კუნძული“, ასეთი შესანიშნავი გამოთქმა აქვს: „მკვდრები არ იკბინებიან“.

მის ამ სიტყვაზე ტანი ამეჭინჭრა, კარგად ვიცოდი ვისთანაც

მქონდა საქმე, მაგრამ ამ სიტყვის შემდეგ ნათელი შეიქნა ჩემთვის, რომ მისგან დანდობაზე რაიმე ფიქრიც კი მიაპიტური სირეგვენე იქნებოდა, საკმარისი იყო ერთი სიტყვა წამომცდენოდა, რომელიც მას ეჭვს აღუძრავდა ვინც ვიყავი ნამდვილად, რომ მორჩა, გათავდა, ჩემს არსებობას წერტილი დაესმებოდა, რატომღაც მეგონა, რომ ჩემი სხეულის ყოველი ნაკვთი, ჩემი გამოხედვა, ხელის ან ფეხის განძრევაც კი გამომამჟღავნებდა მის წინაშე და მერე რა მომელოდა გასაგებია. მართალია ჯიბეში დამბახა მედო, მაგრამ ჯიბისაკენ ხელი ვერ წამელო იმისი შიშით, რომ გერმან ბაზილს ეჭვი არ აეღო. ვიჯექი სკამზე განწირული ადამიანის მდგომარეობაში, ვუსმენდი მას, ვიღიმებოდი, ხშირად თავსაც კი ვუქნევდი დასტურის ნიშნად. მეტი რა გზა მქონდა ის კი კონიაკისაგან შეხურებული განაგრძობდა:

— დიახ, სწორია, მკვდრები არ იკბინებიან და თუ გინდა ნაკლები საშიშროება მოგელოდეს ნუ დაინდობ ნურავის, დაასწარი და მოკალი, თორემ თუ მან დაგასწრო, შენი საქმე გათავებულია. ამ შემთხვევაში მე შესაძლებლობისდა მიხედვით ბებუთს ვაძლევ უპირატესობას. ის არ ყვირის, თუმცა, როდესაც სხვა გამოსავალი არ არის, სასროლსაც მივმართავ ხოლმე, ადამიანი შემთხვევითი მოვლენაა ქალ-ვაჟთა ურთიერთობისა. საკმარისია ჩვენი ჩასახვის დროს, ალერსის გუნებაზე არ ყოფილიყვნენ ჩვენი მშობლები, რომ ჩვენ ქვეყანაზე არ გავჩნდებოდით, მაშასადამე თუკი იგი შემთხვევითი მოვლენაა, მისი ყოფნა არ ყოფნით ქვეყანას არაფერი შეეცვლება. მოკვდა ადამიანი, მერე რა რომ მოკვდა? ამითი არარატის მთა არ დაძრულა ადგილიდან და იალბუმს არ დასჯახებია, არც შავ ზღვას გადაულახავს კავკასიონის მთები და ველები და კასპიის ზღვას არ შეერთებია. იესო ქრისტე, როგორც ეს სახარებაში სწერია, თურმე ფეხშიშველი დადიოდა, მარხულობდა, მუშაობდა, ის ხომ ღურგალი იყო, ვირზე ჯდებოდა და ისე მგზავრობდა, ასე იქცეოდა ის, რომელიც ძედ ღვთისად,

ღმერთად შეიცნეს, ახლა მის წარმომადგენელს ამ ქვეყნად, რომის პაპს არ იკითხავ? პაპი განცხრომაში და ფუფუნებაში ცხოვრობს, წინათ ოქროთ, მოვარაყებული ეტლით დადიოდა, ახლა ალბათ საუკეთესო მარკის ავტომანქანით დაბრძანდება. იესო ქრისტეს ძოწეული ემოსა, პაპი კი დიბა-ატლასში, ხავერდში და აბრეშუმში არის გამოხვეული. რაღა მართო რომის პაპი, განა ყველა მღვდელთმთავრები ასე არ სჩადიან? ადამიანები, მორწმუნე ადამიანები სჩადიან დანაშაულს, შემდეგ ლოცულობენ, ღმერთს შესაწირავს უგზავნიან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქრთამს აძლევენ ღმერთს და დანაშაულიც ეტევენათ, ის, ვისაც საიქიო სწამს, სჩადის დანაშაულს, მე, რომელსაც არავითარი საიქიო არა მწამს, რატომ არ შემიძლიან ჩავიდინო იგივე დანაშაული? მე თუ მოვკალი ადამიანი, შეიძლება საზოგადოებისათვის უვარგისი, ცხოვრებისათვის ზედმეტი, მაგრამ მაინც ადამიანი, დამიწყებენ დევნას და იქამდე არ მომეშვებიან, ვიდრე არ შემიპყრობენ და სასტიკად არ დამსჯიან. ახლა წარმოიდგინეთ ამისთანა რამ: როდესაც უცხოელები ჩადიან ეგვიპტეში, ისინი განცვიფრებულნი არიან ძველი ეგვიპტის პირამიდების გრანდიოზულობით, მაგრამ განა რომელიმე ფიქრობს, რომ იმ უზარმაზარი ძეგლების აგება რამდენ ათეულ და ასეულ ათასს ეგვიპტელ მშრომელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა? რაში სჭირდებოდა ეგვიპტის მშრომელ ხალხს პირამიდები? არაფერში, პირიქით, იმ ქვეყნისათვის, რომელიც გარშემო უდაბნოებით არის შემოფარგლული, ნოყიერი მიწის ყოველი მტკაველი სასიცოცხლო რამეს წარმომადგენდა, აქ კი ფარაონები არა მართო გულგრილად უცქეროდნენ როგორ იჟლიტებოდნენ ხალხი მშენებლობაზე, არამედ ათეულ ათას ჰექტარ ნოყიერ მიდამოს ართმევდნენ ხალხს, რათა იმ პირამიდებში სიკვდილის შემდეგ მათი მუმიები დაეცვათ და ეს ფარაონები ისტორიაში შევიდნენ, როგორც უდიდესი ხალხი. ეკატერინე მედიჩიმ თავისი შვილის, საფრანგეთის მეფე კარლოს

მეცხრის დასტურით „ბართლომეს ღამეს“ ჰუგენოტები ამოჟლი-
ტა, მაგრამ არც იგი და არც კარლოსი ჯვარზე არავის გაუკრავს ამ
გაუგონარი დანაშაულისათვის. ჩინგიზ ყაენმა და შაჰ-აბასმა სის-
ხლით მორწყეს მთელი აზია, მაგრამ მათთვის პასუხი არავის მო-
უთხოვია, ალექსანდრე მაკედონელი, ჰანიბალი, იულიუს კეისა-
რი, ნაპოლეონი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა ხოცვა-ჟლე-
ტით, იყვნენ სახელგანთქმულები, მაგრამ მათი სახელი შარავან-
დედით მოსავს სამხედრო ხელოვნებას და ისინი და მრავალი
მათნი მსგავსი თავ-თავის ეპოქის უდიდეს მხედართმთავრად
არიან აღიარებული და არა ავაზაკებად. ავიღოთ იოანე მრისხა-
ნე, რომელმაც სისასტიკით კალიგულასა და ნერონსაც კი გადაა-
ჭარბა, იმან ორი თავისი საკუთარი ცოლი ანასტასია და მარიამი
შხამით გამოასალმა წუთისოფელს. შხამს კი ღებულობდა ჰო-
ლანდიელ ექიმ ბომელიუსისაგან, რომელიც დასწევს მისი დანა-
შაულებრივი საქმიანობისათვის. და ბოლოს იმავე იოანე მრის-
ხანემ, როდესაც სიბრაზე მოერია, საკუთარი შვილიც კი არ დაინ-
დო, კვერთხით თავი გაუპო და მოკლა. ფილიპე ესპანელმა აუ-
არებელი ხალხი გაჟლიტა, კათოლიკურმა ეკლესიამ კი ის არ შე-
აჩვენა, არამედ თითქმის წმინდანადაც აქცია, კიდევ გნებავს მა-
გალითები მგონია საკმარისია, არა? როგორც ხედავთ მეც ბევრი
რამ წამიკითხავს. მე მარტო დიდი გზის ავაზაკი კი არა ვარ, მარ-
ტო ყომარბაზი და ლოთი როდი ვარ, სერიოზული მსჯელობის
უნარიცა მაქვს, ამის შემდეგ, განა ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ
ყველა ქვეყანაში და ეპოქაში ძალმომრეობა იყო, არის და იქნე-
ბა? თუ გვირგვინოსანი აუარებელ ხალხს ჟლეთს ის გმირია, ხო-
ლო მე თუ კაცი მოვკალი — ავაზაკი ვარ. შეგიძლია მიპასუხო,
რომ ისინი მტრებისაგან იცავდნენ თავსაო, იმიტომ ომობდნენ და
ხალხიც იჟლიტებოდაო... მაგრამ ეს აბსურდია. ნაპოლეონი ეგ-
ვიპტის მამლუკებს რომ ანადგურებდა, საფრანგეთიდან ათეულ
ათასობით კილომეტრობით იყო დაშორებული, მაშასადამე იქ

არაფერ შუაში იყო საფრანგეთის ინტერესები. მამლუკთა მხედრობას უძლეველის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და მათი დამარცხებით ნაპოლეონი მხოლოდ თავისი საკუთარი პიროვნების საქმეს აკეთებდა. ლუი პასტერის და ჯეიმს უატის, ჯენერისა და მეჩნიკოვის სახელები ბევრმა არ იცის, ალექსანდრე მაკედონელი კი ყველას პირზე აკერია.

მის სიტყვებზე თავს ვიკავებდი, მაგრამ ველარ მოვითმინე და წამოვიძახე:

— საბჭოთა ქვეყანაში ეს ამბები არ ხდება. საბჭოთა ადამიანები სულ სხვაგვარი ხალხია. აქ კაცობრიობის ბედნიერებაზე მზრუნველებს, ძეგლებს უგებენ.

— მართალი ხარ, მაგრამ მაკედონელსა და ნაპოლეონს მაინც სთვლიან დიდ ადამიანებად. იქნებ გგონიათ რომ საბჭოთა ქვეყანაში არ არის ძალმომრეობა? თუ ეს ასეა, მაშ არც სახელმწიფო ყოფილა. საბჭოთა ქვეყანაშიც ხომ არის დამსჯელი ორგანოები, სასამართლო, პროკურატურა, მაშასადამე ყოფილა ძალმომრეობაც. მე თუ ვმსახურობ სადმე, შენ მაიძულებ მაინცდამაინც დილის ცხრა საათზე გამოვცხადდე სამსახურში, ნაშუადღევის პირველიდან ორამდე შევისვენო, ხოლო მინდა თუ არ მინდა, საღამოს ექვსამდე ვიმუშაო. განა ეს ძალმომრეობის ერთ-ერთი გამოხატულება არ არის?

მე ვერ მოვითმინე და შევძახე:

— ისევ ანარქია...

მან სიტყვა შემაწყვეტინა, აღარ მომცა ლაპარაკის საშუალება.

— დიახ, ანარქია, წელან უკვე ვილაპარაკე ამაზე, ანარქიაზე სწორ წყობილებას, სახელმწიფოსათვის ადამიანი ვერც წარმოიდგენს. იქ ადამიანის პიროვნება თავისუფალია, იქ არ არის ისეთი სულელური რამ, რომელსაც ზნეობრივ ნორმებს უწოდებენ.

მე იქნება მინდა შარვალი თავზე წამოვიცვა, ხოლო ხალათი ლა-
ჯებში ამოვიჩარო და ისე ვიარო? დღევანდელ დღეს მე რომ ეს გა-
ვაკეთო საგიჟეთში მიკრავენ თავს, ანარქიული წესწყობილების
პირობებში კი შეიძლება ეს მოდად მიიღონ და მიმბაძველებიც კი
გამომიჩნდნენ.

მერიმ, რომელიც აქამდე უსიტყვოდ შეჰყურებდა და გატაცე-
ბით უსმენდა ვადიმ ურალოვს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნათ-
ქვამიდან ბევრი არაფერი გაეგებოდა, ისე გადაიხარხარა რომ
ჩვენ ორივენი გაკვირვებით შევაცქერდით მას.

— მაშ, გამოდის, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავდაყირა
იარონ? — სიცილით ძლივსძლივობით წარმოსთქვა მან.

— ეს ადამიანის ნებასურვილზე არის დამოკიდებული. ვისაც
როგორც სურს, ისე მოიქცევა. იქ პიროვნება არ იქნება არაფრით
შეზღუდული, — სერიოზულად მიუგო მას ვადიმ ურალოვმა. შემ-
დეგ დასტაცა ხელი ჭიქას.

— გაუმარჯოს კაპიტან ლარსენს! — წამოიძახა და გადაჰკრა.

კარგად ვგრძნობდი, რომ სანახევროდ შეშლილ ადამიანთან
მქონდა საქმე. არც საკვირველია. ჩემს თვალწინ ერთი ბოთლი
კონიაკი საკუთრივ გამოცალა ჩაის ჭიქებით. ვიცოდი, რომ მორ-
ფინისტიც იყო მთელი თავისი სიცოცხლე ლოთობაში, გარყვნი-
ლებაში და ავაზაკობაში გაეტარებია. კიდევაც საკვირველია
აქამდე მთლად დასაბმელი რომ არ გახდა. ვხედავდი რომ სო-
ფისტური მსჯელობა ემარჯვებოდა. მისი მოყვანილი მაგალითები
ისტორიულ პიროვნებათა შესახებ თავისებურად იყო განმარტე-
ბული ეპოქის, კაცობრიობის იმდროინდელი განვითარების დო-
ნის, შემეცნების და ისტორიული პირობების გათვალისწინების
გარეშე. მისი მგლისა და ცხვრის ფილოსოფია აშკარად ამჟღავ-
ნებდა ამ ადამიანში, რომ მას შეიძლება ბევრი რამ ჰქონდა წა-
კითხული, მაგრამ დასკვნები თავისებური გაგებით ჰქონდა გამო-
ტანილი, არც ანარქიზმის ბუნება ჰქონდა სწორად გაგებული,

როდესაც ძალმომრეობას კულტად აქცევდა. უნდა გამოვტყდე, რომ მას ჩემზე მეტი, გაცილებით მეტი ჰქონია წაკითხული და მასთან კამათი გამიჭირდებოდა. მაგალითად ჯეკ ლონდონის ზოგიერთი ნაწარმოები კი მქონდა წაკითხული, მაგრამ ზღვის მგელი, კაპიტანი ლარსენი პირველი გაგება იყო ჩემთვის.

მან მოკლედ მიაბო, როგორ იზრდებოდა ფუფუნებაში ბავშვობიდანვე. შრომა, განსაკუთრებით ფიზიკური, მას თავისი პიროვნების დამცირებად მიაჩნდა. ბევრი ფულების წყალობით შესჩვევია ღოთობას, ყომარბაზობას. ფულს მის თვალში ყოველგვარი ფასი და ღირსება დაუკარგავს, ვინაიდან იგი მუდამ უშრომელად უვარდებოდა ხელში. ბუნებას იგი დაუჯილდოვებია ფენომენალური მეხსიერებით, განსაკუთრებული ფიზიკური ღონითა და ჯანმრთელობით, არასწორი აღზრდის პირობებს მასში ავიზნე შთაუწერგავს. ფული რომ შემოჰკლებია შემოსავლის, იოლი გზა მოუნახავს, მისივე სიტყვით რომ ვთქვა, მგლად გადაქცეულა და მგლის ბილიკით დაუწყია სიარული. ერთი სიტყვით, რუსულ ანდაზისა არ იყოს: „რამდენადაც ღრმად შეიჭრები ტყეში, იმდენად მეტ შემას წააწყდები“. ის სრულიად წყნარად, აუღელვებელივ ლაპარაკობდა, სად ვინ გაძარცვა და სხვა მრავალი ამგვარი. ამ ველურ ადამიანში სინდისის ნატამალიც კი არ მოიძებნებოდა, ზნეობა მისთვის ფუჭი სიტყვა იყო, ძალმომრეობა, აი რას ეთაყვანებოდა, რას აყენებდა ყველაზე მაღლა.

— იქ, კავკასიონის ქედს გადაღმა, განსაკუთრებული მოდგმის ხალხია, შენ მე ასე ადვილად ვერ გამიგებ, მაგრამ შემდგომში შეიტყობ, რამდენად მართალი ვარ მე ყველაფერში, — მედიდურად წარმოთქვა მან, როდესაც თავისი ქარაგმულად ნათქვამი ცხოვრება ამიწერა. მას ამ ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ ეროვნებით ქართველი იყო, რომ მისი ბებია, რომელმაც ის ასე უკუღმართად გაზარდა, თბილისის მკვიდრი იყო.

— თქვენ არ იცით, როგორი ხალხი ცხოვრობს კავკასიონის

ქედს გადაღმა და ვერც იმსჯელებთ მათზე! — მივაძახე მე.

მან ირონიულად გამიღიმა და მიპასუხა.

— ვინ, მე არ ვიცი იქ რა ხალხი ცხოვრობს? საბჭოთა ქვეყნის არც ერთი კუთხე არის, რომ მე არ ვიცნობდე და განსაკუთრებით კი თქვენი ქვეყანა.

— თქვენ, რუსმა, აბა საიდან უნდა იცოდეთ?

— მე ისეთივე რუსი ვარ, როგორც შენ აფხაზი.

— როგორ? — წამოვვარდი მე ადგილიდან, განა ეჭვი გეპარებათ?

— არა თუ ეჭვი მეპარება, სრული დარწმუნებული ვარ, ჩემი სახელი ვადიმ ურალოვი ისეთივე მოგონილია, როგორც თქვენი — მიხეილ ჩაჩბა. თქვენ ერთი სიტყვაც არ იცით აფხაზური, თქვენ მიერ რბილად გამოთქვა სიტყვებისა ადასტურებს, რომ მეგრელთა ტომს უნდა ეკუთვნოდეთ.

— ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს. ამით ვერ დაამტკიცებთ...

მან სიტყვა ჩამომართვა, აღარ დამაცადა მეთქვა:

— ამითი ხომ დავამტკიცებ? — მან ჯიბიდან ჩემი სურათი ამოიღო და თან რაღაც წერილი ამოაყოლა, — ნუ გაგიკვირდება, აქ არავითარ ჯადოქრობას არა აქვს ადგილი. ეს სურათი მე გადაგიღე საიდუმლოდ, ისე, რომ ამაზე წარმოდგენაც კი არ გქონდა. ეს მე სანდო კაცს გავუგზავნე სოხუმში და მან აი რა მომწერა: „არავითარ ჩაჩბას არ ეკუთვნის ეს სურათი“. აქ კიდევ სწერია ბევრი რამ, მაგრამ ამას ამჟამად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

მე თავში გამიელვა, რომ უკვე გამომჟღავნებული ვიყავი, რომ ჩემი წუთები უკვე დათვლილი იყო, ფეხზე წამოვვარდი და ჯიბეზე ვიტაცე ხელი, ისიც წამოდგა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ. მე სასწრაფოდ ვიძრე დამბახა. მაგრამ ვაი საშინელებავ, დამბახის მაგივრად ხელში რკინის მოღუნული ნაჭერი მეჭირა. ის მომიახლოვდა, ირონიულად გაიღიმა და მითხრა:

— ნუ გეფიქრებათ, ყმაწვილო, თქვენი დამბაჩა საიმედო ადგილას არის შენახული. დაბრძანდით, დაიღლებით ფეხზე დგომით.

მე გაშეშებული ფეხზე განვაგრძობდი დგომას. როგორ, დამბაჩა ამოუცლიათ, განვუიარაღებივარ. ალბათ უკვე წინასწარვე ჰქონდა მოკვლის განზრახვა. მერი წყნარად იჯდა, მაგიდასთან, შემოგვეყურებდა ორივეს სერიოზული სახით და გაჩუმებული არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ამ ამბავში. ნუთუ მერიმაც მიღალატა? მაგრამ აქ რა არის გასაკვირველი? განა მერე ისეთივე ავბაზაკი არ არის, როგორც ვადიმ ურალოვად მონათლული ავი სული, რომელიც ჩემს წინ სულთამხუთავივით აშოლტილა?

— დაჯდებით თუ არა? — მკაცრად შემომძიქა ვადიმ ურალოვმა და მოულოდნელად მარცხენა ისე მაგრად შემომკრა სახეში, რომ მე წონასწორობა დავკარგე და კინაღამ წავიქეცი. სხვა გზა არ მქონდა, ვეცი მარცხენა ხელში და გადავუგრიხე, მას თუმცა ემწვა, მაგრამ მისმა მკვრივმა კუნთებმა იხსნეს იგი ღრძობისაგან. ჩვენს შორის შეიქნა ხელჩართული ბრძოლა, მართალია მე სამბოს ყველა შესაძლებელი ილეთი გამოვიყენე, ჩემი სიმკვირცხლის იმედიც მქონდა, მაგრამ ის ვეშაპი, არ ვიცი, ფოლადისაგან თუ იყო ჩამოსხმული, კამეჩისებური ღონე ჰქონდა. აშკარად ვხედავდი, რომ მჯაბნიდა. მცირე ბრძოლის შემდეგ ვიგრძენი, რომ ყელში მწვდა და ხელი მომიჭირა. სუნთქვა შემეკრა, თვალები გადმოვკარკლე, ღონე თანდათან მელეოდა, ქათამივით ვფართხალებდი.

— კმარა, კმარა! მართლა არ მოგუდო ეს საცოდავი! — შემომესმა ბუნდოვნად. ვადიმმა თავი დამანება. მერიმ წყლის პკურებით მომიყვანა გოს.

— მხეცი ხარ, მხეცი აბა ამ ბავშვს სად შეუძლია შენთან მოვიდეს, ღონეში? — გაბრაზებით ეუბნებოდა მერი ვადიმს.

— მე რა, ისე ცოტას წავიხუმრე, — ვითომდა იოხუნჯა მან მერის პასუხად.

მე კი სკამზე ვიჯექი და ვფიქრობდი, კარგი ხუმრობა იყო, შენ-
მა მშემ, ერთი ხუთიოდე წუთიც და გაგუდული ვეგდებოდი იატაკ-
ზე. მერი მომიახლოვდა, დამბაჩა გამომიწოდა და მითხრა:

— აჰა, დაიჭი შენი იარაღი, დოყლაპია. იარაღის მართო ტარე-
ბა არ კმარა, მოვლაც უნდა. ეს იარაღი ვადიმმა ამოგაცალა ძი-
ლის დროს და მის მაგივრად რკინის ნაჭერი ჩავიდო, შემდგომი-
სათვის ფრთხილად იყავი. ახლა კი არაფერი გაბედო, შეინახე ჯი-
ბეში.

ვადიმმა თავი გაიქნია და საყვედურით მიმართა მერის.

— რატომ დაუბრუნე იარაღი? ჯერ ადრე იყო.

— შენი საქმე არ არის. ჩემი საქმისა მე ვიცი, — მკვახედ მიახა-
ლა მას მერიმ.

ჭიშკართან ავტომანქანის საყვირის ხმა გაისმა. მერი იმავე
წუთს გარეთ გავიდა. ვადიმმა დაცინვით შემომხედა და მომმარ-
თა:

— შევრიგდეთ, ყმაწვილო. ვაჟკაცი ყოფილხარ. სხვა ჩემი ერ-
თი დაკვრით მიწაზე იშხლართება ხოლმე, თქვენ კი კარგად გა-
უძელით.

მე შევცქეროდი და ხმას არ ვიღებდი.

— მაშ არ გინდა შერიგება? მაგითი წააგებთ, იცოდეთ. თუმცა
თქვენ იცით, სულ ერთია ჩემს ხელთ ხართ, არსაით გასაქანი აღა-
რა გაქვთ და მიუხედავად, რომ შეიარაღებული ხართ, მართლაც-
და, საიდან გაქვთ, იარაღი, იყიდეთ თუ მოიპარეთ? მართლა, სად
შეისწავლეთ სამბოს ილეთები, რომ ისე კარგად იყენებთ? თქვენ
რომ წინასწარ მომზადებული ყოფილიყავით ჩემი თავდასხმის
თავიდან ასაცილებლად, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირ-
დებოდა თქვენთან გამკლავება, მაგრამ ჩემი უპირატესობა იმაში
გამოიხატებოდა, რომ მოულოდნელად დაგესხით თავს და თქვენ
დაიბენით, ღონით თქვენისთანა სამი არ მეყოფა, სიმკვირცხლით
კი უეჭველად მაჯობებთ.

მე ვუსმენდი და ვფიქრობდი, რამდენი ლაპარაკი უყვარს ამ ნადირს, ნეტავი მხოლოდ ნასვამი არის ასე, თუ ფხიზელიც ასეთივე ყბედია. მე საშუალება მექონდა უცხად მეძრო იარაღი და იქვე გამეგორებინა, მაგრამ თავი შევიკავე. ჯერ ერთი რომ ის ცოცხალი იყო, ჩვენთვის საინტერესო და არა მკვდარი და მეორეც, მოვასწრებდი თუ არა, ვინ იცის, ის ჩემს ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა და მზად იქნებოდა იარაღზე იარაღით ეპასუხნა. უპირატესობა მხოლოდ იმის მხარეზე იქნებოდა, ვინც დაასწრებდა.

ოთახში ვერონიკა შემოვიდა ვადიმმა, იმავე წამს მიმართა:

— რა გააკეთე? მოიყვანე? სად არის?

— მოვიყვანე, აბა რას ვიზამდი, მერის ჩავაბარე.

— როგორ იმგზავრე? ხომ არაფერი შეგემთხვა გზაში?

— არაფერი. ბავშვის მოცემა არ უნდოდათ, მაგრამ როდესაც ვუთხარი, რომ დედა სიკვდილის პირას არის და ნატრულობს შვილი, ნახვას-მეთქი, მაშინ გაბედეს გამოყოლება.

ვერონიკა მივიდა კარადასთან, გამოიღო არაყი, ორი ჭიქა ზედზედ გადაჰკრა, პურის ნაჭერს დასუნა, უკანვე დასდო და პაპიროსი გააბოლა.

მერი შემოვიდა, ვადიმი მაშინვე წამოდგა ფეხზე.

— სად არის სვეტლანა? რატომ არ შემოიყვანე? — შეეკითხა ვადიმი.

— იქ არის, სადაც საჭიროა, შენ კი მას თვალით ვერ იხილავ, გაიგე? — შეუბღვირა მერიმ

— რას მიჰქარავ?

— შენ თვითონ მიჰქარავ.

— მერი!

— ვადიმი!

— ჭკუით იყავ, თორემ!

— თორემ რა, ვინც შეგიშინებია, ისევ ის შეაშინე, მე კირა ხომ

არ გგონივარ, რომ შენს ჭკუაზე მატარო. მგონია არ უნდა გქონდეს დავიწყებული ჩემი ამბავი. თუ გადაგავიწყდა, ძნელი არ არის შეხსენება, ხომ იცი, ქალი ვარ, მაგრამ ღონით არ ჩამოგვივარდები, გარდა ამისა ყოველი ქინძისთავი, რომელიც კი კაბაში მაქვს გაბნეული, მოწამლულია, სიკვდილი მოგენატრა?

— მე მაგისათვის წამოვიყვანე სვეტლანა. დედა მოკვდა, დედის ადგილი შვილმა უნდა დაიჭიროს, — ჩაერია ლაპარაკში ვერონიკა.

— გაკმინდე ხმა, შე გათახსირებულო, თორემ ენას ამოგაგლეჯ მაგ საზიზღარი პირიდან! — ამ სიტყვით მივიდა მერი ვერონიკასთან და ისეთი სიმძლავრით დაჰკრა, რომ ბებერი დედაკაცი მოწყვეტით გაიშხლართა იატაკზე.

ვადიმი სკამიდან წამოვარდა და ნახტომი გააკეთა მერისაკენ, მაგრამ, როგორ და როდის მოასწრო მერიმ ქინძისთავის ამოღება, ვერ დავინახე, ისე მწვავედ უჩხვლიტა ვადიმს, რომ იგი შეჩერდა, მარჯვენა მკლავზე ხელი იტაცა და ნაცემი ძალღვივით ხმა-ამოუღებელივ სკამზე დაეშვა.

— ერთ კვირას გეყოფა, რომ მკლავი ვერაფერში გამოიყენო, მიფრთხილდი, მეორედ თუ კიდევ გაგიბეღია ჩემი წინააღმდეგობის გაწევა, წინასწარ ეზიარე, რომ შენი სული ჯოჯოხეთში კარგად ჯიჯგნონ ეშმაკებმა. იცოდე, მაგ ბავშვს თექვსმეტ წლამდე თვალით ვერ იხილავ. დედა მოუკალი და თორმეტი წლის ბავშვის გაუპატიურებას აპირებ შე მყრალო ლეშო, თექვსმეტ წლამდე, ხომ გაიგე?! მანამდის კი ღმერთმა ქნას, რომ რომელიმე ბოროტმა ტყვიამ შეგინგრიოს გათახსირებული შუბლი, ან გაგიხვრიტოს ეგ მურდალი გული. ახლა კი გასწი აქედან, გაეთრიე!

მეგონა ვადიმი ვერ მოითმენდა ამისთანა შეურაცხყოფას, დაეძგერებოდა მერის და ფეხქვეშ გაპენტავდა, მაგრამ ასე არ მოხდა. იგი წამოდგა, კუშტად გადახედა მერის და ოთახიდან გავიდა.

სწორედ რომ გასაოცარი ამბავი მოხდა. მე ვერ წარმომედგინა ადამიანი, რომლის წინაშეც თავს შეიკავებდა ვადიმ ურალოვი. მე ის წარმოდგენილი მყავდა არა მარტო ბოროტების, არამედ შეუპოვრობის განსახიერებადაც, აქ კი რა ვნახე, დაუჯერებელი რამ, უბრალო დიაცმა მოათვინიერა პირსისხლიანი მგელი, არა, მოათვინიერა კი არა, შეაშინა, შეაძრწუნა, ზედ ფეხით შესდგა და გაქელა. რა ყოფილა ეს ქალი, განა რაშია მისი ძალა? ვფიქრობდი მე და საკუთარ შეკითხვაზე პასუხი ვერ გამეცა.

უცბად მივიხედე და დავინახე, რომ ვერონიკა ისევ ძირს ეგდო. წამოვდექი და მივედი ასაყენებლად, მაგრამ ახლა მე შემომიტია მერიმ.

— თავი დაანებე, არა მოუვა რა მაგ აყროლებულ ლეშს.

— არ მოკვდეს კი, — შევეპასუხე მე.

— ძალლი კოჭლობით არ მოკვდება! — მკვახედ მიპასუხა მან, შემდეგ მივიდა, წიხლი წაჰკრა ვერონიკას, — ადე, აეთრიე შე ძაღლის ნასხლეთო, თუ არ გინდა რომ პირდაპირი მიმართულებით ჯოჯოხეთის ტარტაროზთან გაგამგზავრო.

ვერონიკა ძლივს წამოდგა ფეხზე და დააპირა მაგიდასთან დაჯდომა.

— ნუ აბინძურებ ჰაერს შენი აქ ყოფნით. ამ ჰაერს ჩვენ ვსუნთქავთ. გადაჰკარი არაყი და წადი ძალლი გადააბი, ის ძალლი მე არა მჭირდება, შენც მეყოფი ძალლად.

ვერონიკა გარეთ გავიდა. მე ჩემს ჯკუაზე არ ვიყავი, ისეთი რამ მოხდა, რასაც არა თუ ვერ ვიფიქრებდი, ვერც წარმოვიდგენდი.

— მერი, გამაგებინე რა მოხდა, მითხარი რა ქალი ხარ შენ? გამოცანა ყოფილხარ, ნამდვილი გამოცანა.

— არავითარი გამოცანა მე არა ვარ, — მიპასუხა მან, — მე ჩვეულებრივი ქალი ვარ და მეტი არაფერი. ცხოვრებამ იმდენი მჯიჯგნა, რომ ჩემში ყველაფერი გააუხეშა, გაატლანქა. მეც ამ მგელთა ბუნაგში გაბრდილი ლეკვი ვარ. მართალია დამსახურებულად

აღქაჯს მეძახიან, მაგრამ ადამიანობის ნატამალი ოდნავ მაინც შერჩენილი მაქვს. მე იმისთანა მჭერმეტყველებით ვერ დავიკვებხები, როგორც ვადიმ ურალოვი. არც იმისთანა ნაკითხი ვარ, როგორც ვერონიკა, ყოველ შემთხვევაში, რაც გინდ ძირს დაცემული არ უნდა ვიყო, ამ დამპალ ლეშზე მაღლა მაინც ვდგავარ. იყო დრო, როდესაც ვადიმ ურალოვის წინაშე შიშითა ვთრთოდი, დეიდა ვერონიკას ყურმოჭრილი მონა ვიყავი, მაგრამ ახლა არაფერს წარმოადგენენ. არა მარტო ვადიმი და ვერონიკა, დანიელ მაღდონატოც — ის ჯოჯოხეთიდან გამოსული ვამპირი, ხასან კულიევიც — ის არაადამიანურობის ტიპიური განსახიერება და მრავალი სხვებიც თვალს ვერ მისწორებენ, იციან კარგად, რომ მათზე მეტი ავი ვარ და დაუნდობელი. ვიცი ყოველი მათგანის სუსტი მხარეები, ვიცი სად უნდა დავაჭირო თითი, რომ ვატკინო, ვიცი და ეშინიათ კიდევაც ჩემი. ამას თუ როგორ მივაღწიე, საინტერესო არ არის შენთვის, გეტყვი მხოლოდ, რომ მე, თუმცა ბევრი რამ შეიძლება არ გამეგებოდეს, ყოველ შემთხვევაში ვადიმ ურალოვის უგუნური აზრები არა მწამს. წელან გააბა აქ საუბარი მაკედონელზე და ნაპოლეონზე, მე არ ვიცი ვინ იყვნენ ისინი, არც მაინტერესებს, შენც მოისმინე მისი აბდაუბდა მგელზე და ცხვარზე, ეს სიციხიანი ადამიანის ნაბოდვარი, მაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, მე არა მწამს მისი არც ერთი სიტყვა. მე მიყვარს, მიყვარს ცხოვრება, თუმცა სიკვდილისა არ მეშინია, მაგრამ სიცოცხლე მაინც მინდა. არც შრომის წინააღმდეგი ვარ. პირიქით, შრომა მე მიმაჩნია ადამიანის ცხოვრების ყველაზე ლამაზ და სანუკვარ საქმედ. დიახ, არასოდეს არ ვყოფილვარ შრომის წინააღმდეგი. ის არ იფიქრო, თითქოს შრომა უკუღმართად მესმოდეს. ეს აყროლებული სულის მატარებელნი, თავიანთ ბოროტმოქმედურ საქმიანობას შრომას უწოდებენ, მე ასეთი „შრომა“ არა მაქვს მხედველობაში. მე გელაპარაკები ნამდვილ, პატიოსან ადამიანურ

შრომაზე. მე საზოგადოებისათვის გამოსადეგი ადამიანიც ვიქნებოდი, რომ ამ საზიზღარ ვერონიკას აქ გადავყროდი ჩემი ცხოვრების გზაზე. პატიოსანი ოჯახის შვილი ვარ, შრომაში აღზრდილი. ომიანობის დროს, როდესაც ფაშისტებმა მამაჩემის ოჯახი გაანადგურეს, ღამე ძლივს დავაღწიე თავი, სამშვიდობოს გამოვედი, დავიწყე წანწალი ადგილიდან ადგილზე, მაშინ აბა ჩემთვის ვის ეცალა? და აი, ტარტაროზს ვერონიკას გადავაწყდი. მან დამაყენა ბოროტების გზაზე, მე არ მეყო მაშინ სიმტკიცე წინ აღვდგომოდი ამ ხალხს, ჩემთვის უჩვეულო ცხოვრების გზას, შევყავი ფეხი ამ წუმპეში და რამდენადაც წინ წავდგი, იმდენად მეტად ჩავეფალი. პირადად არ ჩავდიოდი ბოროტმოქმედებას, არ ვიყავი უშუალო შემსრულებელი ავაზაკური საქმიანობისა, მის ნაყოფს კი სიამოვნებით შევექცეოდი. არ გეგონოს ნასუფრალს, არა პირიქით, მუდამ ვცდილობდი გემრიელი ნაჭრები ჩამომეთალა. მე ორი ქმარი მოვკალი, პირველი მალდონატო, დანიელ მალდონატოს ძმა, მეორე კი მაკროპულო, ორივე ეჭვიანობის ნიშანზე. ორივენი ავაზაკები იყვნენ, მე ისინი არ მიყვარდნენ, შეიძლება ითქვას, მძულდნენ კიდევ, მიუხედავად ამისა, მაინც ვეჭვიანობდი. ძალიან მიყვარდა აზა, უბედური ქალი იყო. ის უკვე მკვდარია, მოკლულია ვადიმ ურალოვის ხელით, ამ მკვლელობაში ვადიმ ურალოვს არ ვამტყუნებ. მას მეტი გზა არ ჰქონდა. კირა რომ დაეპატიმრებინათ, ბევრ რამეს იტყოდა, ბევრს იმისთანას, რაც ვადიმსაც ავნებდა და მეც. ვადიმი თუმცა არასოდეს მყვარებია, მაგრამ ახლა განსაკუთრებით შემძულდა. აზას სახელზე მე მის ბავშვს გავზრდი, დედობას მე გავუწიე დღეიდან. ვადიმი იმას თავის დღეში ვერ იხილავს. ვადიმი ჩემთან ვერაფერს გახდება, შენ უკვე საკუთარი თვალთ დაარწმუნდი, რომ ამ მგლის მოთვინიერებაც ყოფილა შესაძლებელი. მე კარგად ვიცი მისი სუსტი მხარეები, მისი მტკივნეული ადგილები. თუ გაბედა რამე, ზედ წიხლით შევდგები. რატომ ვარ შენთან ასე გულახდილი?

იმიტომ, რომ შენ მტკიცე და ნებისყოფიან კაცად გიცანი. მე შეგამოწმე და დავრწმუნდი შენში. შენ არ ხარ ავაზაკური სულის მატარებელი და არც გირჩევ გადაიქცე იმად. თუ გაგიჭირდეს, ყველგან და ყოველთვის ჩემი იმედი იქონიე, მე შენ მიყვარხარ, ისე, როგორც შეუძლიან ქალს სიყვარული, ნუ გაგიკვირდება ეს ჩემი სიტყვები. მე სხეულით გამხრწნეს, მაგრამ მთლიანად ვერ შეძლეს ჩემი გათახსირება, სული მაინც ხელუხლებელი შემრჩა. მე ჯერ არავინ არ მყვარებია მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ნამდვილი სიყვარულით. პირველი შენა ხარ და დარწმუნებული ვარ უკანასკნელიც. ვიცი მე შენ ვერ შეგინარჩუნებ, ჩვენ ერთმანეთს დავცილდებით. არა, საიდან სადაო, მე ორმოც წელს მიღწეული ქალი, უკვე ნაჯიჯნი ცხოვრებისა და ადამიანების მიერ, შენი კი ახალგაზრდა, ოცდასამიოდე წლის, ნორჩი, უბიწო, ჯერ კიდევ ცხოვრების უნახავი. ცხადია ვერ შეგინარჩუნებ, მაგრამ შენთან გატარებული ტკბილი დღეები ნათელ მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. მე წავალ, გავეცლები ამათ, წავიყვან აბას სვეტლანას და დავიწყებ მას აღზრდას. ჯერ არ ვიცი საით წავალ, ძალიან მიყვარს ზღვა და ალბათ სადმე შავი ზღვის პირას დავბინავდები. მე საკმაოდ მაქვს მოგროვილი ფული, გარდა ამისა არც შრომისა მეშინიან, წავალ, წავიყვან სვეტლანას და დედობას გაუწევ მას. თქვენ, რა თქმა უნდა არ იცით ვისი შვილია სვეტლანა. მისმა მამამ ქვეყნის განთავისუფლებას შესწირა თავი. გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ის ღირსია, რომ მისი შვილი ღირსეული ადამიანი დადგეს. სადაც არ უნდა ვიყო, მუდამ მოგაწვდი ცნობას, კავშირს არ გავწყვეტ შენთან და როდესაც გაგიჭირდეს, მუდამ მიგულე დამხმარედ. იცოდე კარგად, რომ ამ ქვეყნად არსებობს ცოდვილი ადამიანი, რომელსაც გულწრფელად უყვარხარ და მზად არის თავი არ დაზოგოს შენთვის.

— საკვირველია, მერი, თუკი მართლა არა გაქვს სული შებღა-

ლული, რატომ აქამდე არ ეცადე დაგეღწია თავი ამ შმორიანი ჭაობისათვის, გეშინოდა ვადიმისა და მისი ბანდის წევრებისა? მაგრამ შენ ხომ არავისი არ გეშინიან. მაშ რაღაში არის საქმე? პირდაპირ გაუგებარია ჩემთვის; — გაკვირვებით შევეკითხე მე.

— შენთან შეხვედრამდე, სიმართლე გითხრა, ნაკლებად მიფიქრია დამოუკიდებლად ცხოვრება დამეწყოს, თუ სადმე კუნჭულში სული მქონდა, მქონდა გრძნობები, არ მეგონა, მას შემდეგ, რაც ვერონიკამ ამიყოლია სულ ღოთების, გარყვნილების, ავაბაკების წრეში მიხდებოდა ტრიალი და იქ კი სულზე და გრძნობებზე არავინ ფიქრობს. შენთან ყოფნამ, ამ მცირედ გატარებულმა დრომ, ამიხილა თვალი. სიმართლე გითხრა, პირველად შენც ავაბაკი მეგონე, დიდი გზის, შარაგზის ავაბაკი, მგლის ბილიკით მოსიარულე, მაგრამ მე მაქვს დაკვირვების უნარი, მალე დავრწმუნდი, რომ შენი სული ჯერ ხელუხლებელია ყოველგვარი ბოროტებისაგან. მე დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ არავითარი აფხაზი შენ არ ხარ, არც აჩბა არის შენი გვარი. მე მიცხოვრია აფხაზეთში, შენი ლაპარაკის კილო სრულებით არ წააგავს მათი ლაპარაკის კილოს. მე მაკვირვებდა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ფულებს ხელგაშლილი ხარჯავდი, მაგრამ ვიფიქრე და მგონი არც შევმცდარვარ, რომ ალბათ ერთადერთი სანუკვარი ადამიანი ხარ მდიდარი მშობლებისა და ნათესავებისა, რომ ამ საშუალებით გაქვს შესაძლებლობა შენს თავს არაფერზე უარი არ უთხრა. დიახ, იმას ვამბობდი, შენმა სიყვარულმა მიბიძგა: სწორ გზაზე დადგომა, მე, ხომ წამხდარი ქალი ვარ, გარყვნილი, შენ კი სუფთა, სპეტაკი. მე ხომ არა ვარ შენი ღირსი, დარწმუნებული ვარ, შენი ჩემით გატაცება შემთხვევითი მოვლენაა, ალბათ ცხოვრებაში დაეძებდი რაღაც არაჩვეულებრივს, უცნაურს, რაც შემდგომ მოსაგონებლად დაგრჩებოდა. მე არ მინდა, რომ მომავალში აუცილებლად იფიქრო ჩემზე. მე მინდა განვიჩმინდო, რომ შენს არსებაში არ დავტოვო შმორის სუნი, ჭუჭყის ნალექი.

წავიყვან ჩემს პატარა სვეტლანას, ვიცხოვრებ და გავზრდი, ძალიან მიყვარს ზღვა, განსაკუთრებით შავი ზღვა, წავალ ან ყირიმში, შეიძლება საქართველოშიც. ფული იმდენი მაქვს, რომ კარგა ხანს გვეყოფა მე და სვეტლანას, შემდეგ კი, ხომ გითხარი, შრომისა არ მეშინია და არც გავექცევი-მეთქი.

— მერედა, იქნებ გგონია ვადიმ ურალოვი თავს დაგანებებს? სადაც არ უნდა იყო მოგნახავს, ხელახლა ჩაგითრევს.

— არა, მე მისი სრულებითაც არ მეშინია. მე კატის მოქნილობა და კურდღლის სიფხიზლე მახასიათებს. მხედველობა არწივისა მაქვს და ბრჭყალები ვეფხვისა, ეს კარგად იციან, ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ ვერ წავლენ. ესეც იქით იყოს, ვადიმ ურალოვი გაუსწორებელი მორფინისტია და ეს მას, ადრე თუ გვიან, ბოლოს მოუღებს.

— არა სჯობდა თავიდან მოგვეცილებია ერთხელ და სამუდამოდ?

— როგორ? მოვკლა?

— რატომ, მაინცდამაინც სიკვდილზე და სისხლის დანთხევაზე ხომ არ უნდა ვიფიქროთ? სხვა საშუალებაც არის, უფრო მარტივი და სწორი.

მერიმ შემომხედა, თვალებში შევატყვე არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი, შუბლი უსიამოვნოდ შეიჭმუხნა, მაგრამ შემდეგ მაინც გაიღიმა და მიპასუხა:

— ვიცი რასაც გულისხმობ. გავცე და ხელისუფლების ხელში ჩავუგდო? არავითარ შემთხვევაში არ ვიზამ ამას. იმ პირებს, რომლებთანაც ვიყავი დაკავშირებული, ვერ გავცემ. ან კი რატომ უნდა ჩავდიხო მე ეს? თუ ყოჩაღი ბიჭები არიან. თვითონ შეიპყრონ, რაღა ჩემი დახმარებაა საჭირო?

— კარგი და ის ხომ მგელია?

— ცხვრებმა იდარდონ მისი მგლობა, მე სადარდებელი არაფე-

რი მაქვს. თუ ფარას მარჯვე მწყემსები უვლიან და კბილბასრი ნაგაზები იცავენ. არავითარი მგელი საშიში არ არის.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები სილასავით მომხვდა. ვიგრძენი, რომ მან თავისდაუნებურად სრული სიმართლე თქვა, თავისებურად, ტლანქად, მაგრამ მაინც სიმართლე.

— ახლა წავალ, მე სვეტლანას მივხედავ, ის იქით, მეორე ოთახში დავაწვინე როგორც კი მოიყვანა ვერონიკამ. ვადიმი ამაღამ კარს აღარ მოგვადგება. ის ახლა ჯავრისაგან კონიაკის ყლურწვას განაგრძობს ჩაის ჭიქებით, ხომ ცხვირწინ ავაცალე სვეტლანა. მას სტალინაურში ჰყავს მეგობარი და მასთან წავიდოდა, ხვალ საღამოს გვეახლება კიდევ. მაგრამ ნურას უკაცრავად, რამდენიც არ უნდა ეცადოს პირში ჩალაგამოვლებული დარჩება. შენც დაწეი, დაისვენე, უკვე მალე გათენდება. — ამ სიტყვებით მერი გავიდა მეორე ოთახში.

სიმართლე გითხრა, ჩემო არჩილ, მე ახლაც არა ვარ ჩემს ჭკუაზე თუ მერი არა, ჩემი წუთები დათვლილი იყო, ეს წუნკალი არ დამინდობდა. მე ვადიმის მეშინოდა. თურმე მერი უფრო საშიში ტიპი ყოფილა. ნამდვილი ალქაჯი. მეორე დღესვე შევხვდი ახმად ალიევს და გამოგიგზავნე, კარგი ქენი რომ დაუყოვნებლივ წამოხვედი, სასწრაფოდ დაუკავშირდი ადგილობრივ მილიციას და რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვადიმ ურალოვი ხელში უნდა ჩავიდოთ. ამისთანა მარჯვე დროს ველარ ვიხილავთ, სტალინაური არ არის დიდი. შეგვიძლია ისე შევკრათ, რომ ბუზიც ვერ გამოფრინდეს იქიდან, თუ როგორმე დავტყუე მერის, სახელდობრ ვისთან აქვს თავშესაფარი ვადიმს, ხომ კარგი, თუ არა და არც ეს არის დიდი უბედურება, ის მოუსვენარი მგელი ვერ მოიცდის, ბუნაგიდან გამოძვრება და ჩვენც იქ დავხვდებით.

— ყმაწვილებო, თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მეც მოგეხმარებით, — მოულოდნელად სუფთა ქართულით მოგვმართა ბერიკაცმა, რომელიც ჩვენი საუბრის დროს მაგიდასთან იჯდა

და თავს ატეხდა საჭადრაკო ეტიუდის გარჩევა-ამოცნობას. მე და ხუტა გაშტერებულნი შევაჩერდით მოხუცს.

— თქვენ, ძია...

— მე ძია მაკარს მეძახიან, ასევე დამიძახეთ თქვენც.

— ძია მაკარ, საიდან იცით ქართული? განა რუსი არა ხართ?

— დიახ, რუსი გახლავართ, ნამდვილი მოსკოველი აქ ჩემი შვილი მსახურობს და მასთან ვარ ჩამოსული სტუმრად. საიდან ვიცი ქართული? თორმეტი წელი საქართველოში გავატარე, იქ ვიყავი სამუშაოდ გაგზავნილი და სირცხვილიც იქნებოდა, რომ ადგილობრივი ენა არ შემესწავლა.

მას, რა თქმა უნდა, გამოთქმაზე ეტყობოდა, რომ რუსი იყო და არა ქართველი, მაგრამ ისე კარგად დაუფლებოდა ჩვენს ენას, რომ მართლაც გასაოცარი იყო,

— მე მომწონს ქართული ენა, ქართველებიც მიყვარს, მინდა ვეწვიო მზიურ საქართველოს. შეიძლება აქედან საქართველოშიც წავიდე. თბილისში ბევრი მეგობრები მყავს, ვიცი მათ გაუხარდება ჩემი ნახვა.

გარედან რაღაც ხმაურობა მოისმა. ძია მაკარი წამოდგა.

— ყმაწვილებო, თქვენ აქ იყავით, მე ახლავე გავიგებ რაშია საქმე, — ამ სიტყვებით იგი გარეთ გავიდა.

— არჩილ, მე ახლავე წავალ მერისთან, ეჭვი არ აიღოს, ხომ იცი რა არაჩვეულებრივი ტიპიც არის. შენ, მაშასადამე, დაუკავშირდები ადგილობრივ მილიციას, ხვალ ღამისათვის მოვაწყობ ჩასაფრება, როგორც შევთანხმდით...

სიტყვა არ დაემთავრებინა ხუტას, რომ ძია მაკარი უკანვე დაბრუნდა.

— ყმაწვილო კაცო, — მომმართა მე, — იქ ერთი ვიღაც გაბაწრეს თქვენებმა, ნახეთ ვინ არის.

— შენ აქ იყავი. ხუტა, მე ახლავე მოვალ, — ვუთხარი ხუტას და გარეთ გავედი. ფანჯარასთან, ეზოში, მთვარის შუქზე დავინახე

შეკრული პიროვნება, თავზე შამილი და ახმადი ადგნენ. მივედი და გავოცდი. ის ვადიმ ურალოვად წოდებული გერმან ბაზილი იყო.

— ო, ეს ხომ ის არის, ის!.. — წამოვიძახე მე და სახლში შევევარდი, — ხუტა, ვადიმ ურალოვი თავისით ფეხით გვეახლა და ჩვენმა ბიჭებმა სათანადო პატივი სცეს. ნაგაზები ბასრკბილებიანი აღმოჩნდნენ, მგელი ფარეხამდე არ მიუშვეს, შეიპყრეს იგი. შენ საჩქაროდ წადი, ის არ გაგვექცეს, მერი, ვადიმს თვალთ ნუ დაენახვები, მერის ჯერჯერობით ხელი არ ახლო, ჩემს ნიშანს ელოდე.

ხუტა წავიდა. ის ძია მაკარი მეორე ოთახიდან და სამზარეულოდან ისე გაიყვანა, რომ პატიმარს თვალში არ მოხვედრია. მე მაშინვე გავიქეცი მილიციაში, იქ მხოლოდ მორიგე იყო. მისი საშუალებით და დავუკავშირდი მილიციის უფროსს და მოვახსენე საქმის ვითარება. დავუკავშირდი აგრეთვე მახაჩყალას და სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსსაც ვაცნობე.

დავბრუნდი უკანვე, მილიციის უფროსი გამომყვა და შამილ გაფუროვი რომ დაინახა მაშინვე იცნო.

ჩვენ აღარ დავაყოვნეთ, ჩავსხედით მანქანაში, ჩავისვით პატიმარი და მახაჩყალისაკენ გავწიეთ. სულ ერთი კილომეტრი არ გვექონდა გავლილი, რომ მანქანა გაგვიჩერდა. რა ეშმაკი გაუწყრა არ ვიცი, ბნელაში ძნელი გამოსარკვევი იყო, ეს კი იყო, რომ ვერ იქნა და ვერა, ველარ ავამუშავეთ, გზაზედ თავისუფალ სატვირთო ავტომანქანა, მოდიოდა, გავაჩერეთ. მძღოლმა გვითხრა, რომ მახაჩყალაში მიდიოდა. პატიმარს ხელები გავუხსენით, აბა სამ კაცს სად წაგვივიდოდა, მით უმეტეს, რომ წინასწარ გავჩხრიკეთ და პაპიროსისა და ასანთის მეტი არაფერი დავუტოვებთ ჯიბეში, დავსვით მანქანაზე. აქეთ იქით მე და შამილი შემოვუსხედით, მძღოლთან კი ახმედ ალიევი დაჯდა. პატიმარი ყოველ ჩვენს განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა. მანქანა დაიძრა.

საკმაოდ ციოდა, მეც და შამილიც პალტოებში ვიფუთნებოდით. მახაჩყალას მიტანებული ვიყავით, პაპიროსის წევა მომინდა, ამოვიღე ჯიბიდან კოლოფი, შამილსაც გავუწოდე, ორივემ გავაბოლეთ. უკვე კარგა გათენდა, ქალაქში შესულები ვიყავით, ქუჩებში ხალხი კანტიკუნტად მოძრაობდა. ძილი მომერიო, ვერ იქნა და ვერა, ვერ დავიოკე ძილის სურვილი, თურმე შამილიც ჩემს დღეში იყო. ორივეს ჩაგვძინებოდა. როდესაც გამოგვადვიძეს მანქანა მილიციის სამმართველოს ეზოში იდგა, პატიმარი კი აღარსად ჩანდა. კინალამ ჭკუაზე შევიშალე, მე და შამილი ერთმანეთს შევცქეროდით და გონს ვერ მოვდიოდით, როგორ მოხდა ეს, რამდენიმე ღამე არ მძინებია და გამიძლია, აქ კი რა დამემართა? რა ღმერთი გამიწყრა?

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი სამმართველოს ეზოში დაგვხვდა. ის საყვედურით შემოგვყურებდა მე და შამილს, სიტყვას არ გვეუბნებოდა, მაგრამ ორივენი კარგად ვგრძნობდით, რომ დანაშაული ჩავიდინეთ, მიუტევებელი დანაშაული, ამისთანა საშინელი ავაზაკი ხელიდან გავუშვით. ჩემზე ნაკლებ არც შამილი განიცდიდა. საბრალომ კინალამ თავი მოიკლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ჩვენთვის, ორივესათვის, პროფესიონალური თავმოყვარეობის შელახვა იყო.

— ხომ არაფერი დაგილევიათ? — შემეკითხა განყოფილების უფროსი, როდესაც მის კაბინეტში შევედი.

— რასა ბრძანებთ, წყალიც კი არ დაგვილევია. განა დასალევად გვეცალა?

უცებ რაღაცამ გამკრა თავში, ჯიბეზე ხელი ვიტაკე და პაპიროსის კოლოფი ამოვიღე. სულ სხვა მარკის კოლოფი იყო, არა ის, რომელსაც ვეწევი ხოლმე საერთოდ. დავაცქერდი კოლოფს და გავშტერდი, ყველაფერი ცხადი შეიქნა ჩემთვის. პატიმარმა შეუმ-

ჩნევლად შეგვიცვალა პაპიროსები მანქანაში. როდესაც ამოვიღე და მოვწიე, რატომ არ მივაქციე ყურადღება? ცხადია, პაპიროსები მოწამლული იყო.

განყოფილების უფროსმა უხმოდ გამომართვა კოლოფი, დასუნა და წარმოთქვა:

— ასეც ვიცოდი, პაპიროსებია მოწამლული. ბედი თქვენი, რომ ეს ამბავი უკვე ქალაქში შემოსვლისას მოხდა და ისიც იმ დროს, როდესაც გათენებული იყო და ხალხი გამოჩნდა ქუჩაში. ეს რომ გზაზე მომხდარიყო, პატიმარი თქვენც დაგხოცავდა თქვენივე იარაღით და თავს ისე უშველიდა. ქალაქში მან ეს, რა თქმა უნდა, ვერ გაბედა.

— კარგი და რატომ უნდა ჰქონოდა მოწამლული პაპიროსები ჯიბეში?

— ყოველ შემთხვევისათვის, თადარიგიანი ყოფილა. აკი გამოადგა კიდეც, — მიპასუხა განყოფილების უფროსმა.

მას უკვე გაეგზავნა თანამშრომლები გზების გასაჩხრეკად, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოგვიტანა სასიხარულო ამბავი.

მხოლოდ ერთ თანამშრომელს გამოეძებნა ვიღაც დიასახლისი, რომელსაც დაენახა, როგორ გადმოხტა გაქანებული მანქანიდან კაცი და ჩქარა გაქრა თვალიდან.

— დაუყოვნებლივ დაუკავშირდებით ბუინაკსკს და ვაცნობოთ ეს შემთხვევა, — ვთქვი მე. განყოფილების უფროსმა გამიღიმა და მიპასუხა:

— ფიქრი ნუ გაქვთ, ის უკვე აღარ გამოჩნდება ბუინაკსკში.

— იმას იქ თავისიანები ჰყავს.

— ვიცი, რომ ჰყავს, მაგრამ ის თავისიანებს სხვა საშუალებით უკავშირდება და თავისთან გაიწვევს. რა თქმა უნდა ბუინაკსკს მაინც უნდა შევატყობინოთ, თუმცა იქ ვადიმ ურალოვის მოძებნის იმედი ნულარ გაქვთ. გარდა ამისა საჭიროა თქვენი მეგობარი გაწერელიც გავაფრთხილოთ.

შემდეგ შამილ გაფუროვს მიმართა.

— შამილ, რა პირობებში შეიპყარით ვადიმ ურალოვი?

შამილი, რომელიც სირცხვილისაგან თვალს ველარ უსწორებდა, გამოცოცხლდა, თითქოს იგრძნო, რომ განყოფილების უფროსი თუმცა ნაწყენი იყო, მაგრამ არ უჯავრდებოდა, სული მოითქვა, თავი ასწი, თვალელებში შეხედა უფროსს და მოახსენა:

ამხანაგო უფროსო, ვიდრე ამხანაგი ჩოხელი და მისი მეგობარი ოთახში ისხდნენ და საუბრობდნენ, მე და ახმად ალიევი გარეთ ვდარაჯობდით, რომ მოულოდნელად ვინმე უცხო პირი არ შესულიყო სახლში. ეზოში პატარა ბაღი იყო და ჩვენც ხეების ჩრდილებში ვიყავით ამოფარებულები ისე, რომ კატის თვალელებიც კი ვერ შეგვამჩნევდა. ქუჩის მხრივ ფანჯარა ყრუდ იყო დახურული, ეზოს მხრივ კი ნახევრად ღია და თვალყურის დევნება ამ ფანჯარას უფრო სჭირდებოდა, რომ შიგ არავის შეეხედა. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანმა განვლო და არავითარი საეჭვო რამ არ მოხდა, მაინც ფრთხილად ვიყავით, თუმცა ქუჩა მკრთალად იყო გაშუქებული, მაინც შევამჩნიე, რომ ვიღაც უცნობმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა ქუჩას, შემდეგ შესდგა ჭიშკართან, მიიხედ-მოიხედა, ძალიან ფრთხილად შემოაღო და იქაურობას თვალიერება დაუწყო. ადვილი მისახვედრი იყო, რომ სასურველ სტუმართან არ გვექონდა საქმე. თუმცა მე და ახმადი ხეებში ვიყავით შეფარებული, მაინც მეშინოდა არ შევემჩნიეთ მას. მე მის ყოველ მოძრაობას კარგად ვხედავდი. ის ხეებს ამოფარებული ნელ-ნელა დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა ფანჯარას, მაგრამ ვერ შესწვდა. შორიახლო მორი ეგდო, მან ეს შეამჩნია, წავიდა, ის მორი ასწია და ფანჯარასთან მიათრია. ყველაფერი ეს ფრთხილად გააკეთა, რომ ერთ ფოთოლსაც არ გაუშრილა. ის იყო აპირებდა მორზე შედგომას, რომ ახმადი გამოვიდა საფარიდან და მიუახლოვდა, უცნობი მიხვდა, შემობრუნდა, დააპირა გაქცე-

ვა, მაგრამ მე იქ დავუხვდი. ის ხელდახელ შემეხება, ახმადიც მომეშველა და ორივემ დავიმორჩილეთ. ამ დროს იყო. რომ ოთახიდან ჯერ მოხუცი, ხოლო შემდეგ ამხანაგი ჩოხელი გამოვიდნენ და იცნეს ვინც იყო.

— მას ხომ არ დაუნახია, ოთახში მჯდომი, ამხანაგი ჩოხელი და მასთან მოსაუბრე? — შეეკითხა განყოფილების უფროსი.

— არა მგონია. მას რომ მორი მოათრია, ვეღარ მოასწრო ზედ შემდგარიყო, რომ შევიპყარიო, — უპასუხა შამილმა.

განყოფილების უფროსი დაფიქრდა და შემდეგ წარმოთქვა:

— აი რა, ამხანაგო არჩილ დარწმუნებული ვარ, მან უკვე დაადგინა თქვენი კავშირი ამხანაგ გაწერელიასთან. ამაში მას ის ალქაჯი ვერონიკა დაეხმარებოდა. უეჭველია ვერონიკამ უთვალთვალა გაწერელიას, როდესაც იგი თქვენთან შესახვედრად წამოვიდა და ვადიმ ურალოვს აცნობა. ვადიმ ურალოვი მაშინვე მიხვდებოდა და ეჭვს აიღებდა, ამხანაგი გაწერელია, უცხო კაცი სად უნდა წასულიყო, როდესაც იმ ქალაქში მას არავინ ჰყავდა ნაცნობი. ალბათ ვადიმ ურალოვი კარგა ხანს მოშორებით, სადმე მიმალული უცდიდა გაწერელიას გამოსვლას და მან რომ დაიგვიანა, გულმა აღარ მოეთმინა, შესამოწმებლად წამოვიდა. ვინ იცის, თუ შამილ გაფუროვის და ახმად ალიევის ჩასაფრება არა, შეიძლება ფანჯრიდან დაეშინა კიდეც თქვენთვის ტყვია და მიმალულიყო.

— გამოდის, რომ ამხანაგმა შამილმა მეორედ გადამარჩინა სიკვდილს, — შევეკითხე მე და მადლობის თვალით ხელახლა შევხედე ჩემს მხსნელს.

— დიახ, ასე გამოდის, მიპასუხა განყოფილების უფროსმა, შემდეგ მიუბრუნდა შამილს და უთხრა, — პატიმარი რომ ხელიდან არ წაგვვლოდათ, ჯილდოზე წარგადგენდით, მაგრამ ამ შემთხვევაში კი...

მე აღარ დავაცადე სიტყვის დამთავრება.

— ყველაფერი ეს ჩემი ბრალია, ამხანაგო უფროსო. შამილ იოტისოდენა ბრალიც არ მიუძღვის. მან გააკეთა რაც კი შესაძლებელი იყო და მის წინაშე ჩემი სიცოცხლით ვარ ვალდებული. პატიმარი მას კი არა მე გამეყცა, რადგანაც პაპიროსი მე რომ არ მიმეწოდებინა მისთვის, ის არც კი იფიქრებდა მოწევას. სასჯელის ღირსი ვარ და სრული უფლებაც გაქვთ დამსაჯოთ.

— რაც მოხდა, მოხდა, თქვენ ეს შეგნებულად არ გაგიკეთებიათ. უეჭველია დიდი შეცდომა იყო, რომ, როდესაც პაპიროსის კოლოფი ამოიღეთ ყურადღება არ მიაქციეთ თქვენი იყო თუ არა, და ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. მაგრამ რა ვუყოთ, ჭკუის სასწავლებლად მაინც იქნება მომავლისათვის. ამისათვის თქვენ და ამხანაგ შამილს კატეგორიულად გავალებთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ დაადგინოთ და შეიტყოთ ვადიმ ურალოვი.

— ეს დავალება მე უკვე მივიღე ჩემი უფროსებისაგან და ხელცარიელი ვერც დავბრუნდები.

— მით უმეტეს. ახლა კი დაუყოვნებლივ უნდა ვაცნობო ამხანაგ გაწერელიას ვადიმ ურალოვის გაქცევის ამბავი, თორემ შეიძლება დიდ განსაცდელში ჩავარდეს. აბა, ამხანაგო შამილ, დაუყოვნებლივ ჩაჯექით ჩემს მანქანაში და გაფრინდით უკანვე ბუინაკსკში. იქ თქვენ იცით როგორც მოიქცევით.

— მეც წავალ. — ვთხოვე უფროსს.

— თქვენი წასვლა ჯერჯერობით ზედმეტია.

შამილი მაშინვე გავიდა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მანქანის გრიალმა გვაცნობა მისი გამგზავრება. განყოფილების უფროსი ტელეფონით მაინც დაუკავშირდა და ბუინაკსკის მილიციის უფროს და განკარგულება მისცა ხუტა გაწერელიას დაცვის საკითხში. ამავე დროს გააფრთხილა მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა ვერონიკა და მერი, ვინაიდან ახალ კვალზე ისინი თუ დაგვაყენებდნენ, თორემ ის წყეული მგელკაცა ახლა უფრო დაგვიბნევდა კვალს.

მე წამოვედი სასტუმროში, მაგრამ განა დასვენების გუნებ-
განწყობილებებზე ვარ? აი, ვწერ ამ სტრიქონებს და არ ვიცი, ვერ
მიპატიებია ჩემი თავისათვის ასეთი მარცხი.

ვიცი, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, კმაყოფილი არ იქნებით
ასეთი მდგომარეობით, მაგრამ გაძლევთ პირობას, სიცოცხლის
ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც შევიპყრობ მას და ხელცარიელი
არ დავბრუნდები.

ქ.მახაჩყალა, ნოემბერი 23.

არჩილ ჩოხელი“.

21

„ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

წინა წერილი დავწერე და მილიციის სამმართველოში ჩავაბარე გამოსაგზავნად. განყოფილების უფროსმა მიმიხმო და გამომიცხადა, რომ ხუტა გაწერელის დაერეკნა და სასწრაფოდ მიბარებდა თავისთან. მე, ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი, ვაითუ ის საზიზღარი მგელკაცა დაბრუნდა უკანვე და აედევნა ხუტას მოსაკლავად. ათასი რამ გავიფიქრე, განსაკუთრებით, ის მდგომარეობა მაწუხებდა, რომ ხუტამ არ იცოდა ვადიმ ურალოვის გაპარვის ამბავი. მაშასადამე მოულოდნელი თავდასხმისაგან არ იყო უზრუნველყოფილი, მართალია შამილ გაფუროვი გაბრუნდა, მაგრამ მან მოახერხა თუ არა ხუტას ნახვა და გაფრთხილება, არ ვიცი.

განყოფილების უფროსმა შემატყო შეშფოთება, რა თქმა უნდა, შეშფოთების მიზეზსაც მიხვდა და ღიმილით დამამშვიდა.

ის მანქანა, რომლითაც პირველად წავედით და უკან დაბრუნებისას გზაში გაგვიჩერდა, უკვე სამმართველოში ჩამოსულიყო.

გამოირკვა, რომ ვიღაცას, ალბათ, ვადიმ ურალოვს, ვიდრე მანქანა ეზოში იდგა ბენზინის ავზში ფხვიერი ქვიშა ჩაეყარა და ამ მიზეზით ვეღარ ავამუშავეთ იგი გზაში, ჩვენი წამოსვლის შემდეგ მძღოლს ავზი გაეწმინდა, სუფთა ბენზინით გაევსო, და დაბრუნებულიყო, მძღოლმა, უფროსისაგან სასტიკი გაკიცხვა მიიღო, რომ მან უპატრონოდ მიატოვა მანანა და ასეთი დივერსიის საშუალება მისცა ბოროტმოქმედს. განყოფილების უფროსმა წინადადება, მომცა იმავე მანქანით წავსულიყავი, ხოლო მისვლისთანავე უკანვე გამომებრუნებინა და თუ მანქანა დამჭირდებოდა, მესარგებლა იმ მანქანით, რომლითაც შამილ გაფუროვი გაემგზავრა.

როდესაც ბუინაკსკში დავბრუნდი, მეც ისევ ძია მაკარის ბინას მივაშურე. იქ ხუტა გაწერელია დამხვდა. მან ნაღვლიანად შემომხედა და მითხრა:

— არჩილ ჩემი მისია დამთავრდა, უკვე გამომჟღავნებული ვარ, ამიერიდან შემიძლია მხოლოდ ოფიციალურად ვიმოქმედო.

— გამოდის, რომ შენი რომანიც დასრულდა. როგორ შეხვდა ამას მერი? — შევეკითხე მე.

— მას რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა. როდესაც მე შენთან შესახვედრად წამოვედი, თურმე ვერონიკა გამომყოლია ჩუმად და ვადიმ ურალოვისათვის ეცნობებინა. მასვე დაენახა მისი შეპყრობა და წაყვანა როდესაც უკანვე დავბრუნდი, არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, დავწექი დავიძინე. გამომეღვიძა, ოთახში არავინ იყო. პირის დასაბანად გავეჩე სამზარეულოსაკენ, რომ იქ ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა მერისა და ვერონიკასი.

— „გეუბნები შენი საქმე არ არის-მეთქი. ეგდე შენს ქერქში, თორემ ხომ მიცნობ“. — სტუქსავდა მერი ვერონიკას.

— „ქალო, ნუთუ ვერ გაიგე, რომ ეგ შენი სატრფო შემოჩენილი სჩანს, გადაცმული თანამშრომელია, ნუთუ ვერ მიხვდი? გინდა რომ ჩვენც ჩავცვივდეთ? — განაგრძობდა ვერონიკა.

კარგა ხანს ილაპარაკეს. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ უკვე მიცნეს და მოვემზადე დასახვედრად. ისევ წამოვწექი და თავი მოვიმძინარე. ვერონიკა სადღაც წავიდა, მერი კი ოთახში დაბორიანობდა, მე ვითომდა ნამძინარევი, წამოვდექი, დაველაპარაკე მას, ხმა არ გამცა.

— მერი, გაჯავრებული ხომ არ ხარ, ჩემზე? — შევეკითხე. მან შემომხედა და ჩემოდნებში ნივთების ჩალაგება დაიწყო.

— მერი, რატომ არა მცემ ხმას? რა მზადებაში ხარ, მივდივართ სადმე? — ხელახლა შევეკითხე.

— დიახ, მივდივარ, — უკმეხად მიპასუხა მან.

მერი გავიდა სამზარეულოში, ხელახლა შემომესმა საუბარი. მესმოდა ვერონიკა დაბრუნებულიყო და მას ესაუბრებოდა, ხოლო რაზე საუბრობდნენ, ვერ გავარკვეე.

მერი დაბრუნდა, მომიახლოვდა, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა.

— უკვე ვიცი ვინცა ხარ. ჩემს ცხოვრებაში არ მომსვლია ამისთანა მარცხი, მაგრამ მოვტყუვდი და თუ რაიმე დამემართება საკუთარ თავს უნდა დავაბრალო. მე შემეძლო შენი მოკვლა, მაგრამ ვერ გაგიმეტე სასიკვდილოდ, წადი, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით არასოდეს, იცოდე ვადიმ ურალოვი თქვენებს გზიდან გაჰქცევიათ და უფრთხილდი მას. კარგად იცი რა დაუნდობელიც არის და არ გირჩევ მასთან შეხვედრას. მეც მივდივარ. დღეიდან ახალ ცხოვრებას შევუდგები. ვეცდები წარსული დავიწყებას მიეცე. ორი ადამიანია, რომლებმაც საბოლოოდ გადამაწყვეტინეს ცხოვრების ახალ ნამდვილ გზაზე დადგომა: ერთი შენ და მეორე პატარა სვეტლანა. იმითი მაინც გამოვისყიდი ჩემს ცოდვებს, რომ სვეტლანას ნამდვილ ადამიანად გავზრდი. მე ვიცი საბჭოთა ქვეყანა დიდია, ამ ქვეყანაში პატიოსანი შრომა ღირსეულად ფასდება. არა მგონია, რომ ჩემი ადგილი ვერ მოვნახო ცხოვრებაში.

იგი გაჩუმდა, შემომხედა, თვალებზე ცრემლები მოადგა. მე გავოცდი, მას ალბათ უნდოდა ეთქვა ბევრი რამ უკანასკნელად, მაგრამ ეს უკვე ზედმეტი იყო, მისი თვალები ყველაფერს ლაპარაკობდნენ. მომიახლოვდა, მომეხვია, მაკოცა და მითხრა:

— წადი, ძვირფასო, მე არასოდეს არ დაგივიწყებ და ნურც შენ მომიგონებ აუგად, ცხოვრებაში უფროთხილდი ორ ადამიანს, ვადიმ ურალოვს და დეიდა ვერას — ვერონიკას. ეს წარსულის ნასხლეტი ნამდვილი გველია და მგელზე უფრო მეტად საშიში.

— მერი, ვხედავ შენში ადამიანმა გაიღვიძა. მე ეს მიხარია, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, მაგრამ გარწმუნებ, რომ ბოროტად არასოდეს არ მოგიგონებ.

მერიმ მწარედ გაიღიმა. გამომაცილა, როდესაც ჭიშკარი გავალე და ეზოდან გამოვდიოდი, მოვიხედე, მერი ისევ დერეფანში იდგა, ბოძს მიყუდებოდა და მე შემომცქეროდა. მე მას ხელი დავუქნიე, მან მწარედ გაიღიმა და საპასუხოდ დამიქნია ხელი.

ყველა ამ ამბით გაბრუებული ვიყავი, იმისათვის რომ ფიქრები დამელაგებინა, ბაღში შევედი. რამდენ ხანს ვიჯექი იქ, არ ვიცი. მგონია კარგა ხანს თვალწინ გამირბინა მთელმა ჩემმა, თუ შეიძლება ითქვას რომანტიულმა თავგადასავალმა თბილისიდან ვიდრე აქამდე. წარმოიდგინე არჩილ, შემეცოდა ის უბედური.

„ადამიანები ავაზაკებად არ იზადებიან, მათ წრე და გარემოება აყენებს ბოროტმოქმედების გზაზე“. ხშირად გამიგია და მართალიც არის, ვინ იცის ვადიმ ურალოვისთანა, ან ვერონიკასთანა აღქაჯებმა რამდენი ადამიანი მოწამლეს, გადააცდინეს სწორ გზას და მგლის ბილიკით დააწყებინეს სიარული. მე ვიცი კარგად, ჩემი წამოსვლის შემდეგ მერი წაიყვანდა სვეტლანას და წავიდოდა ამ ქალაქიდან. აქედან ის მატარებლით არ წავიდოდა, აქ ხომ ერთი შტოა რკინიგზისა მახაჩყალასაკენ, იქით წასვლას ვერ გაბედავდა. არა, ის ავტომანქანით წავიდოდა, რა თქმა უნდა, შემეძ-

ლო მეთვალთვალა მისთვის, მანქანის ნომერი ჩამეწერა და შემდეგ მძღოლის საშუალებით დამედგინა, საით წავიდა მერი ან მივსულიყავ მილიციაში და დამეპატიმრებინა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. გონებამ არ მომცა ამის უფლება. თუნდაც იმიტომ, რომ პატარა სვეტლანა უპატრონოდ არ დარჩენილიყო. არა მგონია, რომ ამაში ვინმემ გამამტყუნოს. არ ვიცი, შეიძლება მე დანაშაული ჩავიდინე ამით, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს მისატყვევებელი დანაშაულია.

ჩვენს საუბარს ძია მაკარი ესწრებოდა. მან მოისმინა ხუტას ნათქვამი და სთქვა:

— ახალგაზრდებო, მე უკვე მალე მეშვიდე ათეულ წელს შევასრულებ. როგორც ხედავთ, საკმაოდ ხნირი ვარ. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე სულ იარაღში ვიყავი ჩამჯდარი. ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლა მუდამ იყო და არის ჩემი სიცოცხლის მიზანი. ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოში ერთადერთია, სადაც დამნაშავეებს კი არ სპობენ, არამედ სწორ გზაზე აყენებენ, ასწორებენ მას. სპობენ მხოლოდ იმას, რომლის გასწორებაც შეუძლებელია და სოციალურად მავნე პიროვნებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. მახსოვს ერთ მუშას ასამართლებდნენ მეორე დანაშაულისათვის. ძველ დროს ცხადია მას კატორღა ასცდებოდა. ჩვენმა სასამართლომ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ დამნაშავე არ წარმოადგენდა სოციალურად საშიშ პიროვნებას და მისი საზოგადოებისაგან იზოლაცია არ იყო აუცილებელი. სასჯელი შეუცვალა პირობით. განა ეს გარემოება არ ლაპარაკობს ჩვენი მართლმსაჯულების სისწორეზე? ამ შემთხვევაში ამხანაგი სწორად მოიქცა, არ დააპატიმრა მერი მაკროპულო. მერიმ იგრძნო თავის დანაშაული, შეიგნო მისი ცხოვრების გზის სიმრუდე და გამოსწორების გზას დაადგა, არ უნდა ვცდებო-

დე თუ ვიტყვი, რომ ის მტკიცე ნებისყოფის ქალია და თუკი იტყვის, შეასრულებს კიდევ. შეიძლება ამას უნდა ვუმაღლოდეთ პატარა სვეტლანას, ყოველ შემთხვევაში ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. ასე, რომ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო ხუტა ნუ ინანებთ ამ თქვენს საქციელს. მართალია მილიციის თანამშრომელი ხართ, მილიცია კი პროკურატურასთან ერთად კანონის ბურჯია, მაგრამ უპირველესად ყოველი ადამიანი ხართ, მერე როგორი ადამიანი, საბჭოთა ადამიანი, ეს კი ძალიან ბევრ რამეს ლაპარაკობს. ასე ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არიან, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ადამიანებს, ვიმეორებ, კი არ სჯიან, არამედ ასწორებენ, აქცევენ მათ საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად. წელან ერთი მოსამართლის მაგალითი მოგიყვანეთ, განა არ შეეძლო იმ მოსამართლეს უსასტიკესი სასჯელი დაედო დამნაშავისათვის და პირდაპირ კოლონიაში გაეგზავნა? რა თქმა უნდა, შეეძლო, მან კი რა გააკეთა: პირობით შეუცვალა, ო, ეს დიდი რამ არის.

ძია მაკარის ნათქვამი ისე დამაჯერებელი იყო, რომ მე პირში მომდგარი სასაყვედურო სიტყვა აღარ წარმოვთქვი. ხუტას თვალები გაუბრწყინდა და მადლიერებით სავსე მზერა გაუშტერა ბერიკაცს. ძია მაკარმა განაგრძო:

— ახლა, უმთავრესი ის არის, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ვადიმ ურალოვის გზა მოვნახოთ. ამჟამად ერთადერთი მხოლოდ ვერონიკა დაგვრჩენია, მას უნდა ვუთვალთვალოთ. ის დაგვაყენებს მის კვალზე თუ ამ ავაზაკს კიდევ ვინმე შერჩა არ მოისვენებს და მალე საკუთარი ხელით დაწერილ მოკითხვის ბარათს გამოგვიგზავნის.

მე გამაკვირვა ბერიკაცის ასე უბრალოდ და გასაგებად წარმოთქმულმა მოსაზრებამ. გამაკვირვა იმიტომ, რომ ასეთი მოსაზრება მხოლოდ გამოცდილ კრიმინალისტს შეეძლო წარმოეთქვა, ის კი, ვინ არის ეს უცნაური მოხუცი? დინჯი, დარბაისელი,

დაბეჯითებით მოლაპარაკე? მე ჯერ კიდევ არ ვიცნობდი მას და იმისათვის მიკვირდა მისი სიტყვები. მან რომ თქვა „მოკითხვის ბარათს გამოგვიგზავნისო“ ცხადია იმას გულისხმობდა, რომ ხელახლა ჩაიდენს იმისთანა დანაშაულს, რაც მაშინვე მიგვახვედრებს ვინ იყო მისი გამკეთებელი.

მე ღიმილით თავი დავუქნიე დასტურის ნიშნად. მან განაგრძო:

— მაგრამ, ესეც იცოდე, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, მას ან აღარ აქვს არც ფული და არც იარაღი. იგი დაპატიმრების დროს ხომ იქნა გაჩხრეკილი, იარაღი ამოერთვა, ფული კი არ ჰქონდა თან. გაქცევის დროს, ვერ მოასწრო. ან რაღაცა გარემოებამ შეუშალა ხელი თქვენთვის აეყარა იარაღი. მაინც, სხვა თუ არაფერი, ის დაუყოვნებლივ შეუდგება თავისი თანამოაზრეების მოძებნას. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით შორს ვერსად წავა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ხაზინადარი ამჟამად ვერონიკა უნდა იყოს, მას ყოველ მიზემგარეშე დაუკავშირდება. ასეა თუ ისე, მე მგონია, რომ საქართველოსაკენ ვერ წავა, ისევ რუსეთისკენ გასწევს. ის ხომ განსაკუთრებული მოდგმის ტიპია, ალღოს აღების უნარს არ არის მოკლებული. იცის რუსეთი ფართო და ვრცელია და დიდ ქვეყანაში უფრო ადვილია თავის შენახვა...

სიტყვა არ დაემთავრებინა ძია მაკარს, რომ ოთახში შამილ გაფუროვი შემოვიდა.

— ახალი ამბავი, — მოგვმართა მან, — ვერონიკა რაღაც მზადებაშია, წასვლას თუ აპირებს. ამ ნახევარი საათის წინ მასთან ვილაც უცნობი მივიდა, ათიოდე წუთის შემდეგ კი უკანვე გაბრუნდა, მე მას აჰმად ალიევი მივუჩინე მეთვალყურედ, მილიციის უფროსსაც ვაცნობე. ურიგო არ იქნება, იმ შემთხვევაში თუ ვერონიკა გაემგზავრა საითმე გზაში დავაკავოთ.

— ვერონიკა ჯერჯერობით არსად არ წავა, დაბეჯითებით წარ-

მოსთქვა ძია მაკარმა, — ვიდრე ვადიმ ურალოვი სადმე არ დაბინავდება, ვერონიკა აქედან ფეხს ვერ მოიცვლის. ის მოსული კი მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული, ალბათ ვადიმ ურალოვის გამოგზავნილია, ძია მაკარმა ტელეფონით დაურეკა მილიციის უფროსს. მასთან საუბრის შემდეგ კი თვითონ წავიდა მილიციაში.

— ახმად ალიევი მალე დაბრუნდა და შეგვატყობინა, რომ უცნობი სტალინაურის მკვიდრი მცხოვრები ყოფილა, სახელად ჯემალი. ახმადს ვიღაც ნაცნობი მოუნახავს, ვისი საშუალებითაც დაუდგენია ზოგიერთი რამ ამ ჯემალის შესახებ.

მე წინადადება შევიტანე დამეპატიმრებინა ვერონიკა და ჯემალიც, მილიციის უფროსმაც დამიჭირა მხარი, მაგრამ ძია მაკარმა გვირჩია ორიოდ დღეს კიდევ შეგვეცადნა. მან თქვა, რომ ჯემალი თუკი მართლა მოგზავნილი იყო ვადიმ ურალოვის მიერ, ყოველ მიზეზგარეშე წავიდოდა ამბის წასაღებად და ჩვენც უკან გავყვებოდით.

ტყუილად ვუტრიალე ჯემალს ორ დღეს, იგი სოფლიდან გარეთ არ გასულა და არც არავინ მისულა მასთან უცხო პიროვნება.

მესამე დღეს ქალაქის ბაზარში ჯემალი აყვანილ იქნა, ისე რომ არავის ეჭვი არ აეღო და განგაში არ ატეხილიყო. ჯემალის ბინაზე ახმად ალიევი მივაგზავნეთ, რათა მისი ცოლისათვის ეცნობებინა, რომ თითქოს იგი მოულოდნელად გაემგზავრა, ისე რომ სახლში მოსვლის, საშუალებაც არ მიეცა.

ალიევმა შეასრულა ჩვენი დავალება, მისმა სიტყვებმა ჯემალის ცოლი დააღონა. ქალი აყვირდა:

— რა გინდათ ჩემი ქმრისგან, თავს აღარ დაანებებთ? კაცი კლდეზე ხომ არ უნდა გადაჩეხოთ? ის თუ არ გებრალებათ, ეს ბავშვები მაინც შეიბრალებთ.

ახმად ალიევმა გაკვირვებით შეხედა ქალს და უპასუხა:

— მე რას მიწყრებით, დობილო. მე მხოლოდ ჯემალის მეგობარი ვარ და იმას გადმოგცემთ, რაც მან დამავალა, დანარჩენი თქვენ იცით.

— ვიცი, კარგად ვიცი როგორი მეგობრებიც ხართ. ის უკუღმართი ვადიმი აქ არის და სული კბილით მიჭირავს, არ ვიცი როდის დაგვაცხრება თავს მილიცია, წავა და არც იქიდან გვაქვს მოსვენება.

ამ საუბრის დროს შუახნის კაცი შევიდა ჯემალის ბინაში, ქალი მაშინვე მივარდა მას და მიაძახა:

— ჩემო მაზლო, გონზე მოიყვანეთ თქვენი ძმა, უდროოდ ბავშვებს ნუ დამიობლებს.

— რა იყო, რაშია საქმე? — შეეკითხა შემოსული.

— რა იყო და ჯემალი ხელახლა ხასავიურტში წასულა. შემოსულმა ეჭვის თვალით შეხედა ახმად ალიევს და ისღა სთქვა;

— რა გაფიქრებს, ჩემო რძალო, საქმე რამ გაუჩნდებოდა, მაღლე დაბრუნდება.

ახმად ალიევმა შეატყო, რომ ჯემალის ძმამ ბევრი რომ იცოდა, მაგრამ არ იტყოდა, ამისათვის ბოდიში მოიხადა. ვარ გამოემშვიდობა და წამოვიდა,

აშკარა გახდა ჩვენთვის, რომ ვადიმ ურალოვი აქ ყოფნის დროს მათ ბინაში იფარავს თავს. ისიც ცხადი შეიქმნა, ჯემალის ცოლს არ

მოსწონდა მისი ქმრის კავშირი ვადიმ ურალოვთან. ქალმა, შეიძლება თავისდა უნებურად ხასავიურტიც ახსენა, ალბათ იქ არის, ამჟამად ვადიმ ურალოვი.

დაკითხვის დროს ჯემალმა არავითარი ჩვენება არ მოგვცა, მან კატეგორიული უარი განაცხადა რაიმე ნაცნობობაზე, როგორც ვადიმ ურალოვთან, ისე ვერონიკასთან. დავაპატიმრეთ ვერონიკა. იგი დავუპირისპირეთ ჯემალს, ორივემ უტიფრად განაც-

ხადეს უარი ნაცნობობაზე. მაგრამ ხუტა გაწერელის საქმეში ჩარევამ მაინც მიაყენა მზის შუქი ვერონიკას საქმიანობას.

ვერონიკა გამოტყდა, რომ იგი დაკავშირებული იყო ვადიმ ურალოვთან, აღიარა თავისი ცოდვებიც, მაგრამ ვერ იქნა ვერ ვათქმევინეთ სად იმყოფებოდა ამჟამად ვადიმ ურალოვი.

რა თქმა უნდა, შეგვეძლო დაგვეკავებინა ჯემალის ცოლიც და ძმაც, დაგვეპირისპირებინა მასთან, მაგრამ მოვერიდეთ იმას, რომ

მაშინ ჯემალის შეპყრობის ხმა გავარდებოდა და მიაღწევდა ვადიმ ურალოვამდე. ეს გარემოება, რომ ჯემალი, ვერონიკასთან შეხვედრის შემდეგ, მაშინვე არ გაბრუნდა ვადიმ ურალოვთან, ლაპარაკობდა იმაზე, რომ ალბათ ახალი გამოგზავნილის მოლოდინში იყვნენ ჯემალიც და ვერონიკაც.

ჩხრეკამაც ვერ მოგვცა დადებითი შედეგი ცხადია ვერონიკას ჯინაზე არის სერიოზული მამხილებელი მასალები და საბუთები, მაგრამ სად რა აქვს შენახული, ეს ჯერ კიდევ ვერ დავადგინეთ.

მე და შამილი მეორე დილით, სადგურ ხასავიურტისკენ გავემგზავრეთ. ჩასვლისთანავე მთელი ადგილობრივი მილიცია ფეხზე დავაყენეთ. შამილმა პირადი მეგობრები, ბევრი მონახა და დაიწყო გამოკითხვა, მაგრამ ვადიმ ურალოვის კვალს მაინც ვერ მივაგენით, საფიქრებელი შეიქმნა, რომ ვადიმ ურალოვი ხასავიურტში აღარ უნდა ყოფილიყო, ის მიხვდებოდა, რომ დაღესტნის მთელი მილიცია ფეხზე იქნებოდა დამდგარი მის საძებნად და თავს გაარიდებდა. მაგრამ საით გვეძებნა, რა მიმართულებით წავსულიყავით? ეს გადაიქცა თავსატეხად. გადაწყვეტიტე გუდერმესისაკენ წასვლა, ვგრძნობდი, რომ ვადიმ ურალოვი ჯერჯერობით შორს არსად წავიდოდა, გუდერმესი კი ხელსაყრელი იქნებოდა, ვინაიდან ის ქალაქი დაღესტნის გარეთ იმყოფებოდა და იქ ჯერ კიდევ მიეცემოდა შესაძლებლობა თავის შენახვისა.

ხუტასთვის გადასაცემი ბარათი დავტოვე მილიციის უფროს-თან, სადაც ვწერდი, რომ გუდერმესში დაველოდებოდი და და-უყოვნებლივ წამოსულიყო. ის იყო მე და შამილი ვაპირებდით გამგზავრებას, რომ მოულოდნელად ხასავიურტში ძია მაკარი ამოვიდა და თან ახმადი და ხუტა მოიყვანა. ძია მაკარის მოსვლა გამეხარდა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მოუსვენ-ნარი მოხუცი ახალი ამბის მახარობელი იქნებოდა და არც მოვ-ტყუვდი. თურმე, ჩვენ რომ წამოვედით, იმ ღამეს ჩასაფრება მო-ეწყოთ ვერონიკას ბინაში. ნაშუადღევს მოსულიყო ვადიმ ურა-ლოვის გამოგზავნილი კაცი, მას ძია მაკარი დახვედროდა.

როგორც კი ძია მაკარს დაენახა უცნობი, რა თქმა უნდა, მიმ-ხვდარიყო ვინც იქნებოდა, სახლში შეეყვანა და ისე მოხერხებუ-ლად გამოეკითხა, რომ ის უბედური მინდობოდა და ყველაფერი დაეფქვა.

ძია მაკარმა არ დაუმალა უცნობს ვერონიკას დაპატიმრების ამბავი, თავისი თავი კი მის შორეულ ნათესავად გაასაღა. გამოგ-ზავნილის სიტყვით ვადიმ ურალოვი სასწრაფოდ თხოულობდა იარაღს და ათი ათას მანეთს, იტყობინებოდა, რომ ჯერჯერობით ვერავის დაუკავშირდა ისეთს, ვისთანაც შეიძლება „საქმის“ გაკე-თება, რომ „ნამდვილი მამაკაცები“, რომელთაც უნარი შესწევ-დათ დიდი საქმის გაკეთებისა, თანდათან გადაშენდნენ, რომ მა-საც დაუწყეს დევნა, თუ დროებით სადმე მყუდრო ადგილას არ შე-აფარა თავი, შეიძლება ამჯერად, უმტყუნოს ბედმა და გაეხას მა-ხეში. უცნობს სხვაც ბევრი რამ ეთქვა საყურადღებო. იგი მაშინვე დაეპატიმრებინათ. ასეთი გულახდილობის საბაბი ხუტა გაწერე-ლია ყოფილა. თურმე ეს უცნობი ადრეც მისულა ვერონიკას ბინა-ზე, როცა იქ ხუტა და მერი იყვნენ, მას ხუტა თავისიანად მიუჩნე-ვია, ახლა კი, როდესაც მან ხუტა ხელახლა ნახა იმავე ბინაზე ძია მაკარისთან ერთად, მიენდო. დაპატიმრებული უცნობი დაუპირ-ისპირეს ვერონიკას და ეს უკანასკნელი იძულებული გამხდარა

ყველაფერში გამოტეხილიყო. ვერონიკამ ველარ დამალა და აჩვენა სად ჰქონდა, შენახული იარაღი, ბლომად ნაძარცვი ნივთები და ფულის კარგა მოზრდილი თანხა. უცნობის თქმით ვადიმ ურალოვი გუდერმესში უნდა ყოფილიყო, ხოლო იქიდან წასვლას აპირებდა სტანიცა შელკოვსკაიაში.

ძია მაკარმა თავისი მოსაზრება გამოთქვა, რომ სტანიცა შელკოვსკაია არ იქნებოდა მტკიცე ბაზა ვადიმ ურალოვისთვის, იგი ალბათ ყიზლარისაკენ გასწევდა, ვინაიდან ის პატარა სტანიცაში დიდხანს ვერ შეინახავდა თავს.

მეორე დილით გუდერმესისაკენ წავედით. გუდერმესში მისვლისთანავე ადგილობრივ მილიციას დავუკავშირდი. ძია მაკარს ნაცნობები ჰყავდა გუდერმესში. მან ხუტა გაწერელია წაიყვანა და წავიდა იმ მიზნით, შეიძლება რაიმე კვანძისათვის მიეგნო გარეგნული აღწერილობით მაინც. შამილ გაფუროვი წავიდა, რომ თავის უფროსს დაკავშირებოდა ტელეფონით და ეცნობებინა თავისი ადგილსამყოფელი, მე ახმად ალიევი და მანქანის მძღოლი, ქუჩაში ვიმყოფებოდით ძია მაკარის მოლოდინში. წინ ავტომანქანამ ჩაგვიქროლა ახმად ალიევმა იმავე წუთში წამკრა ხელი და მომადახა: „აგერ, მანქანით რომ გაგვირბინა ის არის“... ჩემთვის გასაგები შეიქნა, რომ ვადიმ ურალოვს წავაწყდით, ახმად ალიევი ადგილზე დავტოვე, რომ ეცნობებინა ჩემი ამხანაგებისათვის, ჩაჯექი მანქანაში, გამოვედევნე წინ წასულ მანქანას.

წინა მანქანამ უეჭველად იგრძნო, რომ მას მეორე მანქანა დაედევნა და ქუჩებში უჩვეულო ხვეულების კეთება დაიწყო. ჩემი მძღოლი ყოჩაღი და სწრაფი ვაჟკაცი აღმოჩნდა, მისი კვალი არ დაკარგა. მე თვითონაც არ ვიცი ორივე მანქანები როგორ მოხვდნენ ქალაქგარეთ, ის გზები და მიდამოები, ისევე, როგორც თვით ქალაქიც უცნობი იყი ჩემთვის. წინა მანქანა გაშმაგებული მიჰქროდა, მაგრამ ერთი რამ კი იყო ცხადი, ჩემი მანქანა თანდათან ამოკლებდა მანძილს, კიდევ ცოტა და წამოვეწეოდი. გზა

მთებისაკენ მიდიოდა. ისეთი ფრიალოები გავირბინეთ, რომ მე-
გონა ხევში გადავცვივდებოდით.

უცებ წინა მანქანა გაჩერდა, იქიდან გამოხტა ვადიმ ურალოვი
და ტყვია დაგვიშინა, ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ერთ
ხანს დამაბნია. ტყვიამ გახვრიტა მინა და ჩემი მძლოლი მკერდში
დაიჭრა, ძლივს მოვასწარი საჭის ხელიდან გამოგლეჯა და მანქა-
ნის გაჩერება, თორემ ხევში გადავიჩეხებოდით. ვადიმ ურალოვი
სასწრაფოდ ჩაჯდა თავის მანქანაში და გამექცა, მე რას ვიზამდი?
მანქანიდან გადმოვიყვანე მძლოლი. დავინახე, უკან მანქანა მომ-
ყვებოდა, როცა მომიახლოვდა, შევნიშნე, შიგ ახმად ალიევი და
შამილ გაფუროვი ისხდნენ. მე მათ ვანიშნე დაჭრილისათვის მო-
ევლოთ. პირადად მივუჭექე საჭეს და მანქანა გავაქანე. მართა-
ლია, თითქოს არა ვარ უხეირო მძლოლი, მაგრამ ამ მიხვეულ-
მოხვეულ გზებში, ისიც უცნობ ადგილას, მე თვითონ მიკვირს,
როგორ არ გადავიჩეხე და არ დავიმტვერი, მაგრამ მაშინ განა
ამასლა ვფიქრობდი? მე მაშინ საკუთარი თავი დამავიწყდა და
მხოლოდ ერთადერთი ის მასულდგმულებდა, ჩქარა წამოვწეო-
დი და შემეპყრო ნადირი. მართლაც მას ხელახლა წამოვეწიე.
მარცხენა კარის ფანჯარა ღია მქონდა, მარჯვენა ხელით საჭეს
ვმართავდი, მარცხენათი კი ტყვია დავუშინე. მე, რა თქმა უნდა,
იმისი იმედი სრულებით არა მქონდა, რომ თვით ვადიმ ურალოვს
რაიმე ზიანს მივაყენებდი, არ მინდოდა მისი მოკვლა, მე ის ცოც-
ხალი უნდა ჩამეგდო ხელში, მისი აყროლებული ლეში რაში გა-
მომადგებოდა? მე მხოლოდ მინდოდა მისი მანქანა დამეზიანებო-
ნა და ამითი ამეძულებინა გაჩერება, მერე კი ვნახავდით ვინ უფ-
რო მარჯვე მსროლელი და ხელღონიერი აღმოჩნდებოდა. მანქა-
ნები ახალ აღმართზე შეცვივდნენ. სროლას თავი დავანებე. ჯერ
ერთი, მანძილი დიდი იყო და შემთხვევით თუ მივაყენებდი მანქა-
ნას ზიანს, ვაზნები კი უნდა დამეზოგა; მეორე, ერთი ხელით მარ-
თვა ხევში გადავარდნის საფრთხის წინ მაყენებდა.

გზა ფრიალოზე მიდიოდა. მარჯვნივ ხევი იყო, მარცხნივ კი მთა. აღმართი საკმაოდ დაცერებული იყო. მე მაინც მოვუმატე სიჩქარეს. ორმოცდაათიოდე მეტრით ჩემს წინ ეტყობოდა შემოსახვევი უნდა ყოფილიყო. მაშინაღურად მუხრუჭს ფეხი დავაჭირე და მანქანა შევაჩერე. წარმოუდგენელი რამ მოხდა, წინა მანქანა როგორც კი ავარდა შემოსახვევთან, ხევში გადაეშვა კოტრიალით. ჯავრისაგან აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ნუთუ დაიმტვრა ვადიმ ურალოვი? მე ხომ მის ცოცხლად ხელში ჩაგდებას ვლამობდი, ის კი ხევში გადაიჩეხა. განა ადამიანი ცოცხალი გადარჩებოდა? ვადიმ ურალოვიც ხომ ჩვეულებრივი ხორცისა და ძვლებისაგან იყო შექმნილი. მის საზიზღარ ტყავში ხომ სულდგმული შიგნეულობა იყო ამოკემსილი. ხელახლა გავაქანე მანქანა წინ, ავვარდი შემოსახვევთან, გავაჩერე და ხევისაკენ გავიქეცი. ჩავედი მანქანის ნამსხვრევებთან, მაგრამ რამდენიც არ ვეძებე, იქ გვამი ვერ აღმოვაჩინე. ავიხედე ზევით, გზისაკენ, იქ ჩემი მანქანა აღარ იყო ადგილზე. ახლა კი მივხვდი მთელს იმ საშინელებას, რომელიც თავს დამატყდა. გამწარებულმა კინაღამ ხელები დავიჭამე. იქამდე მივედი, რომ მზად ვიყავი ტყვია მეკრა შუბლში. ისევ ამოვვარდი ზევით. გავიხედე, შორს, ძალიან შორს, გზაზე მტვრის კორიანტელი მიქროლაჲდა, ჩემი მანქანით აყენებული კორიანტელი. დიახ, ის ჩემი მანქანა იყო, რომელიც ვადიმ ურალოვმა ასე ოსტატურად, მომტაცა. რამ დამაბრმაჲვა, როგორ ვერ დავინახე ვადიმ ურალოვი რომ გადმოხტა თავის მანქანიდან. მანქანა ხევში გადაეშვა, თვითონ კი მიიმალა ბუჩქებში. ის რომ რაღაც არაჩვეულებრივი ტიპია, ეს მე დიდი ხანია ვიცოდი და ვიცი, მაგრამ თუ ამისთანა ჯამბაზი იქნებოდა ამას, სწორე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი საქმის გაკეთება, თვით გაბედვაც კი, რომ ფრიალოს ქიმზე გადმოხტეს გაქანებული მანქანიდან, არ დაიმტვრეს, არაფერი ევნოს და შეუმჩნევლად მიიმა-

ლოს, ისე რომ მდევარმაც ვერ შეამჩნიოს, მართლაც რომ გასა-
გიჟებელი ამბავია. ამისთანა მოწინააღმდეგესთან სწორედ რომ
ღირს ბრძოლა.

აი, ახლა ამ სტრიქონებს ვწერ და ჩემი თავი ბურუსში მგონია,
ეს მერამდენედ წამივიდა ხელიდან, მერამდენედ მომატყუა. მერე
ისე ოსტატურად, რომ პირდაპირ გასაოცარია.

ვიჯექი ქვაზე, დავყურებდი მტერის კორიანტელს და ისეთ უმ-
წეო მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, როგორც ახალშობილი.
მთავარი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად ვიმყოფებოდი, არც ის ვი-
ცოდი რამდენი კილომეტრით დავშორდი ქალაქს, საით მიდიოდა
გზა. ვერ გადამეწყვიტა ვერაფერი, მთები დაფარული იყო თოვ-
ლით, სიცივის სუსხი საგრძნობი იყო, გზაზე არაფერი არ მოძრა-
ობდა. სად და რით უნდა წავსულიყავი!

ამასთან ერთად ის ფიქრი მაწუხებდა, მივაგნებ კიდევ მას თუ
არა. ვაითუ სამუდამოდ დავკარგე. აქამდის, ჯერ მერი, ხოლო
შემდეგ ვერონიკა მყავდნენ გზის მაჩვენებლებად, ახლა ვიღა
მოვნახო?

მიჯაჭვულივით ვიჯექი ქვაზე, წამოდგომას ვერ ვახერხებდი,
ფიქრში ისე ვიყავი წასული, რომ ვერ შევნიშნე, როგორ გაჩერდა
ჩემს ახლოს ავტომანქანა, მანქანიდან ძია მაკარი და ხუტა გაწე-
რელია გადმოვიდნენ. ძია მაკარი დამაშტერდა, თვალი თვალში
გამიყარა, შემდეგ მზერა ხევისაკენ გადაიტანა, სადაც დამტვრეუ-
ლი მანქანა ეგდო და თუმცა გატაცებული ჩემი მანქანით აყენებუ-
ლი მტერის კორიანტელი აღარ ჩანდა, მანქანაც მიიმალა, მაგ-
რამ მაშინვე მიხვდა ყველაფერს, ირონიულად ჩაიღიმა და მომ-
მართა:

— გულს ნუ გაიტეხთ, ყმაწვილო, ამისთანა შემთხვევებიც ხდე-
ბა ხოლმე ხანდახან ცხოვრებაში. თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა
ხართ და არც არის გასაკვირი, რომ მოტყუვდეთ. ასეთ შემთხვე-
ვაში თქვენ კი არა მეც კი მოვტყუვდებოდი.

— დამეკარგა, სამუდამოდ დამეკარგა, სადღა ვეძებო რომ აღარ ვიცი? — გამწარებით წამოვიძახე მე.

— ცაში ვერ აფრინდება და ქვესკნელში ვერ ჩაძვრება, მიწაზე ივლის, მიწაზე კი მოუნახავი არ დარჩება.

არ ვიცი როგორ მიმეღო ძია მაკარის სიტყვები, ის ამ სიტყვებს, ამბობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მე დავემშვიდებინე, თუ მართლა იყო დარწმუნებული, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან ხელში ჩავიგდებდით იმ არამზადას.

— დროს, ნულარ ვკარგავთ, ჩაჯექით მანქანაში.

მანქანაში ჩავსხედით. ძია მაკარმა დაღმართი ჩაიარა, მანქანა შემოაბრუნა და ქალაქისაკენ გაემართა.

— ის გზა, სადაც ვადიმ ურალოვი წავიდა, მთებში მიდის. იგი არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა მთებში, სადმე შემოუხვევდა და გემს აუცილებლად ყიზლარისაკენ მიმართავდა. მან ხომ არ იცის არც ჯემალის დაპატიმრება და არც ვერონიკასი, გაგზავნილ კაცს დათქმულ ადგილზე დაუწყებს ლოდინს. ის არც გროზნოსაკენ წავიდოდა, გროზნო საოლქო ცენტრია და მოერიდება, მანქანასაც გამოიცვლის, გატაცებულ მანქანას სადმე მიაგდებს. ის მანქანა ხომ მილიციისაა. მართალია გარეგანი განმასხვავებელი ნიშანი არა აქვს, მაგრამ ასეთი ფრთხილი და გამოცდილი ავაზაკი ყველაფერს გაითვალისწინებს. თუმცა, არა უშავს რა, ჩვენც გვასხია უღვაშები! — წარმოთქვა ძია მაკარმა და თავის დიდრონ უღვაშებში ჩაიციხა.

მე კრიჭაშეკრული ვიჯექი მანქანაში და ხმა ვერ ამომეღო. ვუსმენდი ძია მაკარს და იმედის ნაპერწკალი ხელახლა ღვივდებოდა ჩემს გულში. მისი შთამაგონებელი სიტყვები მარწმუნებდა, რომ ხელახლა მივაგნებდი მას და უკვე ეს ჩვენი შეჯახება უკანასკნელი იქნებოდა. ან ის ან მე... მაგრამ ამას რად ფიქრობ, რა თქმა უნდა, მე და არა ის! კოკა ხომ მუდამ არ მოიტანს წყალს და ამჟამად იმ ავაზაკის კოკა უნდა დაიმსხვრეს, რადაც არ უნდა დაჯდეს.

უცებ გამახსენდა დაჭრილი მძღოლი.

— ნეტავი რა დაემართა? კი არ მოკვდეს და... — ჩემდაუნებურად წამოვიძახე.

— ვინ? მძღოლი? — მაშინვე მიმიხვდა ძია მაკარი, — ის, შამილმა წაიყვანა ქალაქის საავადმყოფოში. მე იმისათვის შემავიანდა, რომ შამილის მანქანა გავაჩერე, დაჭრილი გავსინჯე და საკუთარი პერანგის ნახევრებით კარგა დავაარტახე. ჩემის აზრით ჭრილობა სასიკვდილო არ უნდა იყოს. ცოტა საფიქრებელია ის, რომ სისხლი ბევრი აქვს დაკარგული. არა უშავს რა, დაღესტნელები გამძღენი არიან. ეს ჭრილობა მას საამაყოდაც ექნება, ისევე, როგორც ბრძოლის ველზე მიღებული.

მანქანას, რომელიც მისი შვილის საკუთრება იყო, თვით ძია მაკარი მართავდა. საკვირველია, ეს ბერიკაცი ყველაფრის ოსტატი როგორ არის. ისე მოხერხებულად მართავდა მანქანას, რომ გამოცდილ მძღოლსაც კი გააკვირვებდა. ეტყობა თვალის გამჭრიახობა სიბერეშიც არ დაუკარგავს.

გუდერმესში აღარ შევიარეთ, ყიზლარისაკენ გავეჩეთ.

ყიზლარში ჩასვლისთანავე ადგილობრივი მილიცია ფეხზე დავაყენეთ. მილიციის უფროსმა ყოველივე ღონისძიება მიიღო და არა მარტო ოპერატიული მუშაკები, უბნის რწმუნებულებიც სასტიკად გააფრთხილა.

მეორე დღით სასტუმროდან მილიციაში მივდიოდი, რომ ვიღაც ახალგაზრდას შევეჩეხე, ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ მწყემსი უნდა ყოფილიყო.

მან გამაჩერა და ქართულად შემეკითხა:

— ბოდიში, თქვენ არჩილ ჩოხელი არა ბრძანდებით?

— მე კი არჩილ ჩოხელი ვარ, მაგრამ თქვენ თვითონ ვინა ხართ, ან საიდან იცით ჩემი სახელი? — გაკვირვებით ვუპასუხე.

— მე რეზო წიკლაური ვარ, მწყემსი. ამ რაიონში საზამთრო საძოვრებზე ცხვარი გვიყენია და ხანდახან, მოვდივართ ხოლმე

ყიზლარში საქმეებზე.

სახელი რეზო წიკლაური არაფერს მეუბნებოდა, ეს შემატყო მან და განაგრძო:

— ლომისიდან ვარ, მელანო წიკლაურის ვაჟი. დედაჩემი დე-
იდა ნატოს ემსახურებოდა. გახსოვთ დეიდა ნატო. ექიმი ნატო სუ-
ლიაშვილი? როდესაც დედაჩემი დაჰკითხეს, მაშინ გნახეთ და
დამამახსოვრდით.

მართალია რეზო წიკლაურს მე არ ვიცნობდი, მაგრამ მელანო
წიკლაური კი გამახსენდა, ის მართლა ორჯერ დავკითხე ექიმ ნა-
ტო სულიაშვილის საქმეზე. ძალიან გამეხარდა მისი ნახვა. თავში
გამიელვა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ ახალგაზრდის გამო-
ყენება. ხომ დასაშვები იქნებოდა, რომ ვადიმ ურალოვი მწყემ-
სებში გამოჩენილიყო? მე მას მეგობრულად გავუბი საუბარი, მაგ-
რამ საქმეზე კი ჯერჯერობით არაფერი ვუთხარი. მინდოდა ამ სა-
კითხის შესახებ წინასწარ მილიციის უფროსთან და ძია მაკართან
მომელაპარაკა.

— როგორ მოხდა, რომ ასე შორს წამოსულხართ? მე აქ ცხვარ-
მა მომიყვანა, თორემ აბა ამ ქვეყანას ვინ მაჩვენებდა? დიდი ხა-
ნია აქა ვართ. კარგა მოვეწყვეთ. ხანდახან ყიზლარსაც ვეწვევი
ხოლმე. აქ უნდა ვიზამთროთ და მოგეხსენებათ, ბევრი რამ
გვჭირდება.

მე მას ვუთხარი, რომ შვებულებაში ვიმყოფები და ამ კუთხის
დასათვალიერებლად წამოვედი. გავაფრთხილე, რომ ჩვენი შეხ-
ვედრის შესახებ არავისთან არაფერი ეთქვა. მან გაკვირვებით
შემომხედა და მითხრა:

— ამხანაგო არჩილ, მე თქვენი მიპატიჟება მინდოდა ჩვენს ბი-
ნაზე, დაგეთვალიერებინათ, გენახათ როგორ ვცხოვრობთ
მწყემსები, თქვენ კი მიკრძალავთ არავის გავუმხილო ჩვენი შეხ-
ვედრა!

— არა, ჩემო რეზო, ეს დროებით. ჯერჯერობით ასეა საჭირო,

საქმე მოითხოვს ამას. ძალიან კარგს იზამთ თუ ხვალ დილით მი-
ნახულებთ, სასტუმროში ვარ.

რეზო წიკლაური დაფიქრდა და მიპასუხა:

— ხვალ დილისათვის პირობას ვერ მოგცემთ, აქ მე და ჩვენი
სარქალი გეჯურა ვართ მოსულები, დღეს საღამოს უკანვე უნდა
გავბრუნდეთ.

— ნაშუადღევს ხომ შეგიძლიათ მნახოთ?

— თუ თქვენ აუცილებლად გინდათ, ბატონი ბრძანდებით.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ნაშუადღევს მნახავდა იგი სასტუმ-
როში. რეზო წავიდა, მე კი მაშინვე მოვნახე ძია მაკარი და ორი-
ვენი მილიციის უფროსთან წავედით მოსალაპარაკებლად.

მათ მოისმინეს, ჭკუაში დაუჯდათ ჩემი წინადადება, ხოლო გა-
მაფრთხილეს არაფერი მეთქვა იმის შესახებ, თუ ვადიმ ურალო-
ვი უშუალო მკვლელი იყო ნატო სულიაშვილისა.

— მე კარგა ხანს ვმუშაობდი საქართველოში და ვიცნობ მაგ
ხალხს, — წარმოთქვა ძია მაკარმა, უწინ ქართველ მთიელ ტომებ-
ში სისხლის აღება ადათით იყო დაკანონებული. მართალია საბ-
ჭოთა წყობილებამ ეს ველური ადათა ადამიანთა შეგნებიდან, თუ
შეიძლება ითქვას, აღმოფხვრა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ამხა-
ნაგ ჩოხელის ნაამბობიდან, ექიმი ნატო სულიაშვილი მთელს
რაიონს ისე ჰყვარებია, რომ თურმე „მფარველ ანგელოზს“ უწო-
დებდნენ. მწყემსებმა რომ გაიგონ ის პიროვნება, ვისაც ჩვენ ასე
გამალებული დავუძებთ, ნატო სულიაშვილის მკვლელია, არ გაძ-
ლევთ იმის გარანტიას, რომ თვითონვე არ გაუსწორდებიან მას,
თუკი ის მათ შორის გამოჩნდება. ჩვენ კი ის ცოცხალი გვჭირდება
და არა მისი ლეში.

ძია მაკარი, უეჭველია, სწორედ მსჯელობდა, მაგრამ სხვა
გზით განაღა დამეთანხმება რეზო? მათ ადამიანის გაცემა არ უყ-
ვარდა, მით უმეტეს სტუმარს ხომ არავითარ შემთხვევაში არ გას-
ცემენ. ამ მოსაზრებაზე ძია მაკარმა მიპასუხა:

— ჩემო არჩილ, თქვენ ქართველი ხართ და მე რუსი. მაგრამ ქართველი ხალხის ამბავი ნაკლებად როდი მაქვს შესწავლილი. მართალია, მათ უყვართ სტუმარი. საქართველოში გამიგია ძველი თქმა „სტუმარი ღვთისააო“, მაგრამ თუკი რებომ და მისმა ამხანაგებმა შეიტყვეს, რომ ვადიმ ურალოვი ავაზაკია, გარწმუნებ, გასცემენ. მწყემსებს არ უყვართ ავი გზით მოსიარულე ადამიანები. თვითონ არ გაუსწორდებიან, მაგრამ ჩვენ კი მოგვცემენ მისი შეპყრობის საშუალებას. არ დაივიწყოთ, რომ რებო წიკლაური და მისი ამხანაგები ახალი ხალხია, ჩვენი ეპოქის მიერ აღზრდილი ხალხი. მე ეჭვი არ მეპარება, რომ რებო კომკავშირელი იქნება, ეს კი უკვე ყველაფერს ლაპარაკობს. კომკავშირელი ხელისუფლების წარმომადგენლის დავალების შესრულებას გვერდს ვერ აუვლის.

ჩვენ ძია მაკარის სიტყვები ჭკუაში დაგვიჯდა და ისეც გადავწყვიტეთ, როგორც მან გვირჩია.

ნაშუადღევს მართლა მოვიდა ჩემთან რებო წიკლაური. მე მას სასტუმროს შესასვლელთან დავხვდი. ამ შეხვედრას ძალიან ფორთხილობდი, რადგანაც თუ ვადიმ ურალოვი აქ იყო და საიდანმე თვალს მოჰკრავდა, ცხადია ყველაფერი ჩაიფუშებოდა. მე კი, რატომღაც ინტუიციით ვგრძნობდი, რომ შესაძლო იყო ვადიმ ურალოვის ამ ქალაქში გამოჩენა.

რებოს სალმის მოცემა არც კი დავაცალე, მაშინვე ვტაცე ხელი და ჩემი ბინისაკენ გავაქანე. რებო გაკვირვებული მომდევდა, რა თქმა უნდა, მან არ იცოდა ჩემი განზრახვა, ალბათ ამიტომ იყო, როცა ოთახში შევიყვანე, სკამზე დავსვი და კარები ჩავკეტე, ის გაოცებული თვალებით შემომამტერდა.

— შენ კარგად იცი, ჩემო რებო, მე სადაც ვმუშაობ, — მივმართე მას.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ამხანაგო უფროსო, — მიპასუხა მან.

— მე შენი უფროსი არა ვარ, დამიძახე უბრალოდ არჩილი, საქმე იმაშია, რომ აქ მე მეტად სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული და შენი დახმარება მჭირდება.

— ჩემი დახმარება? — გაიკვირვა რებო წიკლაურმა, — მე მწყემსი ვარ, განა რა დახმარების გაწევა შემიძლია?

— შეგიძლია და ამიტომ მოგმართავ, — დავაპირე მისთვის ამეხსნა და განმემართა ჩემი მუშაობის დიდი მნიშვნელობა, შორიდან მომევლო, მაგრამ ვატყობდი არ გამომდიოდა, ამისათვის პირდაპირ შევუდექი მასთან საუბარს. — არსად არავისთან წამოგცდეს, ჩემო რებო, მე აქ სპეციალური დავალებით ვარ მოსული, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევიპყრო ერთი მეტად საშიში პიროვნება. ის პიროვნება მძარცველი და მკვლელია, ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. მე იმას თბილისიდან მოვსდევ და ის ამჟამად აქ უნდა იფარავდეს თავს.

— მერედა. მე რა შემიძლია გავაკეთო? ეს მეორე ზამთარია აქ ამ მიდამოებში ვიმყოფები, პირველად შარშან ზამთარში ჩამოვეყვი აქ ცხვარს, წლეულს კი მეორედ, აქ ხეირიანად არავის არ ვიცნობ. შარშან არც კი ვყოფილვარ ამ ქალაქში, ერთთავად საძოვრებზე ვიყავი,

— შენ ბევრი რამის გაკეთება შეგიძლია, ბევრ რამეში დამეხმარები, თუკი მოინდომებ.

— ამხანაგო არჩილ, მე შეიძლება წლოვანებით არ ვიყო მაინცდამაინც დიდი, მაგრამ არც ერთ ჩემზე ხნირს არ ჩამოუვარდები. თუკი რაიმე შესაძლებელი იქნება, თქვენ უარს როგორ გეტყვით, განა არ ვიცი, რომ თქვენ ისევე სდარაჯობთ ხალხს, როგორც მე ცხვარს. მე თუ მგლებს ვებრძვი, თქვენი მგლებიც ავაზაკები არიან და იმათ ებრძვით. და განა მაქვს უფლება ამისთანა ბრძოლაში დახმარებაზე უარი გითხრათ?

მომეწონა მისი პასუხი. უბრალო მწყემსი ბიჭისაგან სრულე-

ბით არ მოველოდი, ასეთს დალაგებულ სიტყვას, ამან უფრო გამათამამა.

— შენ, მართალია, შეიძლება ქალაქში არავის იცნობდე, მაგრამ ის, ვისზედაც მე გეუბნები, საფიქრებელია მწყემსებშიც გამოჩნდეს. იქ, რა თქმა უნდა, თავს არ მოგაჩვენებთ, რომ ის ავაზაკია და მშრომელი ხალხის მტერი. ალბათ ეცდება დაიმსახუროს თქვენი ნდობა, აბა თქვენ ხომ არ გაგიმუდვენებთ ვინც არის ნამდვილად, თუკი გამოჩნდება, მაშინვე უნდა მაცნობო, — ვუთხარი მე და თან დაწვრილებით აღვწერე ვადიმ ურალოვის გარეგნობა და თავისებურებანი.

რეზო ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იგონებდა, შემდეგ კი მომმართა:

— მაშ ცაციაა, არა?

— სწორედ, ცაციაა.

— შოფრობაც იცის?

— ძალიან კარგად.

— მარჯვენა ყურის ძირში მოზრდილი მეჭეჭი აქვს?

— სწორეა, აქვს.

— ლაპარაკის დროს მარცხენა თვალს ჭუტავს ხოლმე?

— აგრეა.

— მკლავებზე და გულზე დახატულებიც აქვს?

მე გამეცინა მის მიამიტ შეკითხვაზე და ვუპასუხე:

— სწორეა, სწორედ აგრეა. კარგი მაგრამ, შენ ასე დაწვრილებით რა იცი? მე ხომ არ მითქვამს შენთვის, რომ ლაპარაკის დროს მარცხენა თვალს ჭუტავს ხოლმე, ან ის, რომ ტატუირებაც აქვს, — მაგრამ მივხვდი, სიტყვა ტატუირებას ვერ გაიგებდა და მისივე ენით ავუხსენი, — ესე იგი დახატულებიც აქვს-მეთქი.

— როგორ არ ვიცი, ვიცი, ეგ ხომ ფიქლო ძიაა.

— ფიქლო ძია მწყემსია?

— არა, მწყემსი არ არის, ისე კი ვიცი, რომ ფიქლო ძიაა. გვარი

კი სწორე გითხრათ, არ ვიცი რა გვარია. წუხელის იმან და ძია მათემ ღამე ჩვენს ბინაში გაათიეს. ფიქრობდა, ავტომობილით მოვიდნენ, დღეს დილით საითკენღაც გასწიეს და ცალთვალა ლევანაც თან წაიყვანეს.

რეზოს მიერ ჩამოთვლილი ყველა ნიშნები ემთხვეოდა ვადიმ ურალოვის ნიშნებს, გარდა სიკოჭლისა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, როდესაც თავისი მანქანა ხევში გადაუშვა და გადმოხტა გაქანებულ მანქანიდან, მაშინ სტკენოდა ფეხი.

— შენ ასე დაწვრილებით მაინც საიდან იცი, რეზო, მისი ნიშნები ასე დალაგებით რომ ჩამოთვალე?

— როგორ არ ვიცი, ამ ზაფხულს ცხვარი რომ ლომისის მთაზე გვეყენა, ბარე ორჯერ ამოვიდნენ ისა და შოფერი სანდრო.

— ვინ შოფერი სანდრო? — უცბად სანდრო ყარაშვილი წარმომიდგა თვალწინ.

— აი ის, შოფერი, სანდრო ყარაშვილი, ცალთვალა ლევანა იმ სანდროს ძმა არის, ჩვენთან მწყემსად მუშაობს. გამიგია, შოფერი სანდრო ქალაქში მოჰკლესო, მილიციამ მოჰკლაო.

— რაზედ მოჰკლავდა მილიცია? მილიცია ხალხს არა ჰხოცავს.

— ალბათ, მამაძაღლობაზე წაასწრეს და მოჰკლეს. კაიკაცურ საქმეზე მეც ვიცი, რომ არავინ ხელსაც არ ახლებდა. ნადირი უნა მოკვდეს. აბა რა. მე რომ მგელი დავინახო, თოფს არ ვესვრი? ვესვრი!

— ძია მათე ვილა არის?

— მათე ძია? ჩვენებურია, სოფელ ნატბეურიდან, მეწისქვილეს შვილია. მისი დედ-მამა ამას წინათ აიყარნენ და ქალაქში გადასახლდნენ, არ ვიცი, ზოგი იმასაც ამბობს, დაატუსაღესო, რას გაიგებს კაცი.

მე მაშინვე გამახსენდა, თქვენ რომ მწერდით მეწისქვილის ოჯახის წევრების დაპატიმრების შესახებ, აღნიშნავდით მეწის-

ქვილეს გადასახლებულ შვილზე მათე ხაპიაშვილზედაც. ვიცოდი, რომ ის მძიმე დანაშაულისათვის შორეულ აღმოსავლეთში იყო გადასახლებული, აქ კი ასე მოულოდნელად გამოჩნდა. ადვილი გასაგები გახდა რაშიც იყო საქმე. ეჭვგარეშეა მათე ხაპიაშვილი გამოქცეული იქნებოდა პატიმრობიდან, საქართველოში ალბათ ჯერჯერობით ვერ გაბედა ჩასვლა, მოვიდა მწყემსებთან, რომ გაეგო თავისი ოჯახის მდგომარეობა და იქ შეხვდა ვადიმ ურალოვს, მწყემსებში ფიდო ძიად წოდებულს, ერთი სიტყვით, ხროვას ერთი მგელი კიდევ შეემატა. მაგრამ, რატომ ერთი? ცალთვალა ლევან ყარაშვილი განა იგივე მგელი არ შეიძლება იყოს? რებომ თქვა, სამნი საითკენდაც წავიდნენ, ადვილი მისახვედრია საით, ან რა საქმეზედაც წავიდოდნენ. მთავარია, რებომ პირზე დიდი ბოქლომი დაიდოს ჯერჯერობით. ის მგელკაცები მწყემსებში შედარებით უშიშრად იგრძნობენ თავს და სწორედ აქ მოეღება ბოლო მათ საზიზღარ საქმიანობასაც.

— იცი რას გეტყვი, ჩემო რებო, შენ ხომ საბჭოთა პატიოსანი მოქალაქე ხარ?

ეს ალღოიანი ახალგაზრდა სწრაფად მიმიხვდა რის თქმაც მინდოდა და სიტყვის გაგრძელება აღარ დამაცადა:

— მამაჩემმა ჩვენი დიდი სამშობლოს განთავისუფლებას შესწირა თავი, ის გმირული სიკვდილით დაეცა დიდი სამამულო ომის ფრონტზე ფაშისტური ტყვიით გულგანგმირული. მე მისი შვილი ვარ და არასოდეს არ შევარცხვენ მამის უმწიკვლო სახელს.

მომეწონა მისი ასეთი პატრიოტული გატაცება. მართლაც და აი, როგორი ახალგაზრდობა გვეზრდება, სამშობლოს ერთგული და მისთვის თავდადებული ახალგაზრდობა.

— ჩემო რებო, მე ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი არც შენს პატიოსნებაში და არც მამულიშვილობაში. გავიგე, ღირსეული მამის

შვილი ყოფილხარ და ვიცი ამ ღირსებას სიკვდილამდე პატიოსნად ატარებ, მაგრამ ამაში კი არ არის საქმე, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ...

რებომ ხელახლა გამაწყვეტინა სიტყვა.

— მერე რა, ყოველ შემთხვევაში ბავშვობის ასაკი დიდი ხანია ჩამოვითოვე. არა მგონია, ამხანაგო არჩილ, დიდი ხნით იყოთ ჩემზე უფროსი, ვთქვათ ოთხი-ხუთი წლით, მეტით ხომ არა?

— არა, დამაცა, მაგაში კი არ არის საქმე, როგორც გამიგია მე-წისქვილის შვილი, მათე ხაპიაშვილი, ავაზაკობაზე იყო გადასახლებული. მას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია სასჯელის ვადა, როგორ გგონია, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის გამოქცეული იქნება პატიმრობიდან?

რებო წიკლაური შეკრთა და მიაშიტად წარმოთქვა:

— მე კი მეგონა, რომ გაანთავისუფლეს პატიმრობიდან.

— ასე, ჩემო მეგობარო, როგორც კი გამოჩნდებიან, სასწრაფოდ უნდა მაცნობო.

რებო ჩაფიქრდა, ეტყობოდა უჭირდა პირობის მოცემა.

— რა გაბრკოლებს. რებო? — შევეკითხე.

— მანძილი, ჩვენი ფარები აქედან კარგა დიდ მანძილზე დგანან და არ ვიცი მომეცემა თუ არა ამის შესაძლებლობა? — ჩაფიქრდა და განაგრძო, — არა, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ფეხითაც რომ მომიხდეს გამოქცევა, მაინც გაცნობებთ.

— მაშ ასე, ჩემო რებო, შენი იმედი მექნება, იცოდე შენს მოლოდინში ვიქნები ერთთავად.

რებო წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

— წავიდეთ, თორემ გეჯურა პაპა, ვინ იცის, ქუდმოგლეჯილი დამეძებს.

რებო კარებამდე მივააცილე და გამომშვიდობებისას საჭიროდ ვცანი ხელახლა გამეფრთხილებინა:

— მხოლოდ, იცოდე, რებო, არავისთან არაფერი წამოგცდეს.

ვინც არ უნდა იყოს. ხომ მაძლევ პირობას? — ამ გაფრთხილებაზე თვალებში შემომხედა და ამაყად მითხრა:

— მე კომკავშირელი ვარ! — ამ სიტყვების შემდეგ გავიდა,

ეს სიამაყით წარმოთქმული სიტყვები: მე კომკავშირელი ვარ, ყველაფერს ლაპარაკობდა, აღარავითარი კომენტარები მას აღარა სჭირდებოდა, ეს სიტყვები ყოველ ფიცზე და პირობაზე უფრო მტკიცე იყო. დიახ, მხოლოდ ნამდვილ კომკავშირელს შეეძლო ისე ლამაზად და სრული სიამაყის გრძნობით, დავალების სრული და ღრმა შეგნებით ეთქვა ეს სამი სიტყვა: „მე კომკავშირელი ვარ“.

ოთახში ხუტა გაწერელია შემოვიდა. მან შემომხედა და მაშინვე მიმიხვდა, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა, მაინც შემეკითხა.

— როგორ არის საქმე, არჩილ?

— ძალიან კარგად, იცი თუ არა, რომ ფიდო ძია მწყემსებთან ყოფილა?

— ვინ ფიდო ძია, რას მელაპარაკები? — გაიკვირვა მან.

მე დაწვრილებით მოვუყევი ჩემი და რეზო წიკლაურის საუბარი, ხუტამ გაბრწყინებული თვალებით შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— თუ ახლაც გაგვისხლტა ხელიდან, თავები დასახოცი გვექნება. სირცხვილით სადღა გამოვყოფთ თავს?

მე და ხუტა გაწერელია მაშინვე გავემართეთ მილიციისაკენ. სამსახურის საათები დიდი ხანია დამთავრებული იყო და მილიციის უფროსი შინ წასულიყო დასასვენებლად. ძია მაკარიც არ დაგვხვდა სასტუმროში. მილიციის უფროსს ბინაზე დავურეკეთ. მან თავისთან მიგვიწვია. როდესაც მე და ხუტა მივედით მილიციის უფროსის ბინაში, მასპინძელი და ძია მაკარი დერეფანში ისხდნენ და ჭადრაკის თამაშში იყვნენ გართული. მე ძია მაკარის დანახვა უფრო გამეხარდა.

— ყმაწვილებო, როგორ არის საქმე? — მაშინვე მოგვმართა

ძია მაკარმა.

მე მოვახსენე, ისინი ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ საქმის ასეთი შებრუნებით. განსაკუთრებით გახარებული იყო ძია მაკარი. მართლაცდა, განა გასახარელი არ იყო? ჩვენ ერთ მგელს ვდევდით, აქ კი ხროვა აღმოჩნდა.

ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! აი, გწერთ ამ ვრცელ წერილს და თან სირცხვილის გრძნობა მიჰყრობს, რამდენჯერმე მომატყუა იმ არამზადამ. მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ ახლა მაინც ვეღარ წამივა ხელიდან.

ერთი შეტევაღა დარჩა და ეს უკანასკნელი შეტევა იქნება.

ქ. ყიზლარი. ნოემბრის 26.
არჩილ ჩოხელი.“

22

სამი დღე გავიდა ლოდინში. რეზო წიკლაურისაგან არ იყო არავითარი ცნობა. არჩილ ჩოხელი საგონებელში ჩავარდა. „ნუ-თუ ერთხელ მივიდა მწყემსებთან ვადიმ ურალოვი მათე ხაპიაშვილთან ერთად და შემდეგ კი ორივენი გადაიკარგნენ!“ ფიქრობდა იგი. კარგი და მათ ხომ ცალთვალა ლევანიც გაჰყვა, სანდრო ყარაშვილის ძმა. ეს ხო მწყემსი იყო, ის მაინც დაბრუნდებოდა, ცხვარს თავს ვერ დაანებებდა. იქნებ რეზოს საშუალება არ მიეცა ჩამოსულიყო ყიზლარში და ეცნობებინა? ან, ვინ იცის, ვაითუ იმ მგელკაცამ საიდანმე თვალი მოჰკრა, როგორ შეხვდა რეზო წიკლაური არჩილ ჩოხელს, ეჭვი აიღო, თავისებურად, მგლურად გაუსწორდა რეზოს და შემდეგ ხელახლა გადაიკარგა? ამისთანა და სხვა ათასგვარი აზრები უტრიალებდნენ არჩილს და თუ ძია მაკარი არა, რომელიც აკავებდა მას, ურჩევდა მოთმინებას და ცდას, ვინ იცის რას ჩაიდენდა, რამდენჯერმე დააპირა საძოვრებზე წასვლა უნდოდა გაეგო, შეეტყო ყველაფერი, გული დაემშვიდებინა, მაგრამ ძია მაკარი წასვლასაც უშლიდა, არ ურჩევდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ყმაწვილო, რეზო წიკლაურს არაფერი დაუშავდება, თავის დროზე ყველაფერი გამოირკვევა. სულსწრაფობით საქმე არ გაკეთებულა, მართალია ხშირად სისწრაფე და მოქნილობაა საჭირო საქმეში. მაგრამ ხანდახან მოლოდინიც მოიტანს ხოლმე სასურველ შედეგებს, — არიგებდა მას ძია მაკარი.

ძია მაკარის სიტყვებს ერთგვარი მაგიური გავლენა ჰქონდა არჩილ ჩოხელზე და ისიც ითმენდა და ელოდა რეზო წიკლაურისაგან ამბავს, თუ არა ძია მაკარი, ვერაფერი ვერ დააკავებდა არჩილს, მას უმოქმედობა, გაურკვევლობა აბრაზებდა, მაგრამ მაინც ითმენდა. ან კი მეტი რა გზა ჰქონდა რომ არ მოეთმინა!

მეოთხე დღეც შეღამდა, არჩილი ფანჯარასთან იჯდა და მიუხედავად იმისა, რომ ფანჯრის რაფაზე გადაშლილი წიგნი ედო, კითხვას გულს ვერ უდებდა. რამდენიმე სტრიქონს მექანიკურად ამოიკითხავდა ხოლმე, მაგრამ მისი აზრი და ფიქრი ისევ ვადიმურალოვის ბრბოს შეპყრობის საკითხს უბრუნდებოდა.

ხუტა გაწერელია დარბოდა ქალაქში. ამ სამიოდე დღის განმავლობაში მან ბლომად ნაცნობებიც გაიჩინა. მოხდენილი, ტანადი და ლამაზი ახალგაზრდა განსაკუთრებით ქალებს მოსწონდათ და ცდილობდნენ მის გაცნობა. რა თქმა უნდა, ხუტა ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა რაიმე რომანტიულ სათავეგადასავლო ამბებზე, მისი მიზანი იყო ყოველივე ახალი ნაცნობობა გამოეყენებინა საქმისათვის. არჩილ ჩოხელი აფრთხილებდა მას, რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა, მაგრამ ხუტა გაწერელია ამშვიდებდა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო არჩილ, მე შერჩეული ნაცნობობა მყავს აქ, ესენი არიან: დალაქები, რესტორანის მიმტანი ქალები, მანიკურის გამკეთებლები. თუ იმისთანა ავაზაკმა, როგორიც მერი იყო, დაინდო მიხეილ ჩაჩბა, განა ეს ახალი „მეგობრები“ გამოყიდიან, კოკი ჟვანიას? არავითარ შემთხვევაში.

— კარგი სახელი კი შეირჩიე ხუტა. კოკი ჟვანია, ეს ხომ იგივე

დონ-ჟუანია, შენ მართლაც დონ-ჟუანის ტიპი ხარ.

— თუკი ეს საქმისათვის გამომადგება, რატომაც არა, გარდა ამისა, მე თავმდაბალი კაცი გახლავარ ჩემო არჩილ. მაღალ საზოგადოებას არ ვეპოტინები. უბრალო ხალხთან მაქვს საქმე, ეს იმიტომ, რომ თუკი გინდა ახალი ამბავი გაიგო, ამას ან დალაქებში შეიტყო, ან მიმტან ქალებთან. სადალაქოში ორი კაცი რომ არის, ერთი პირს იპარსავს, მეორე კი რიგში დგას, ხშირად ისეთ საიდუმლო ამბებს უზიარებენ ხოლმე ერთმანეთს, რომელიც მესამე პირის ყურებმა არ უნდა გაიგონ, მაგრამ თუ დალაქსაც ასხია ყურები და ყველაფერი კარგად ესმის, ამას აღარ ფიქრობენ. ასევე სასადილო-რესტორანები ბევრს იმისთანას დაფქვავენ, რაც სხვამ არ უნდა იცოდეს, მაგრამ თუ მიმტანს ყველაფერი ეყურება, ამაზედ ისინი ნაკლებად ფიქრობენ, ჩემი უბედურება ის არის, რომ ის საძაგლები ძაღზე ეჭვიანები არიან და ჩხუბი მოსდით ხოლმე.

არჩილს გაეღიმა ამ სიტყვებზე, მან წარმოიდგინა ქალების ჩხუბი „კოკი ჟვანიას გაყოფაზე“, ვინ იცის რამდენი მეგობარი ქალი როგორ გადაჰკიდა ერთმანეთს მისმა მოხდენილმა ტანმა და სილამაზემ. ხუტამ, მანამდე თუ უღვაშებსაც იპარსავდა, ახლა წვერიც გაუშვა და ძალიან მოუხდა კიდევ, უფრო მეტი ვაჟკაცური იერი მიეცა. გარდა ამისა თავისი სწრაფი და მოხდენილი ქართული ცეკვით ხომ ჭკუაზე შეშალა ქალები.

— ხვალ საღამოს მიწვეული ვარ ერთ ვახშამზე. ჩემს ტანიას ერთი ახლობელი მეგობარი ქალი ჰყავს, ლიდია გავრილოვნა, ის ელის თავის ახლო მეგობარს და იმის შესახვედრად ემზადება, მე და ტანიაც მიწვეულნი ვართ ამ ვახშამზე.

— ფრთხილად იყავი, იქ, სტუმრებში ვადიმ ურალოვს არ წააწყდეთ.— გააფრთხილა არჩილმა.

— მერე რა, მეც ეგ მინდა სწორედ, — უპასუხა ხუტამ.

— ვიცი, რომ მასთან შეხვედრა გენატრება, მაგრამ არა ისეთ

პირობებში, როგორშიც შენ იქნები, იქ ხომ მართო იქნები და შენი ტანია ვერაფერ დახმარებას ვერ გაგიწევს.

— ფიქრი ნუ გაქვს, — უპასუხა ხუტამ.

— შენ ეს მითხარი, სად ცხოვრობს ლიდია გავრილოვნა? იცი მისი ბინა, წინასწარ გაქვს დაზვერილი? — შეეკითხა არჩილი.

— არ ვიცი, მგონი სადღაც ქალაქის გარეუბანში უნდა იყოს.

— ეცადე წინასწარ შეიტყო და მაცნობო. გარდა ამისა, რომ მიდიოდე მითხარი. უჩემოდ არავითარ შემთხვევაში არ წახვიდე.

— რა, შენც აპირებ ვახშამზე დასწრებას?

— ფიქრი ნუ გაქვს. არც ვახშამზე და არც შენს სატრფოებში არავინ შეგეცდილება, მით უმეტეს მე. შენი გარეუბანში ყოფნა კი უდროოდ დროს არ იქნება მოკლებული საშიშროებას. სადა მყავს ახლა შამილ გაფუროვი და ახმად ალიევი! — ინატრა არჩილ ჩოხელმა.

— შენ, ჩემო ძმაო, ენამ არ გიყივლოს და მართლა ვადიმ ურალოვს არ წავაწყდე. რაღაც ისე დაბეჯითებით მელაპარაკები, თითქოს წინასწარ იცოდე ვინ იქნებიან სტუმრად ლიდია გავრილოვნას სახლში. — თავისდა უნებურად წამოიძახა ხუტამ

— არა, მე ეს არ ვიცი. მე მხოლოდ აზრით ვლაპარაკობ. საქმე იმაშია, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყოველ მოულოდნელობას უნდა ელოდეს და მზად იყოს ამისათვის. ყოველ შემთხვევაში გატენილი დამბაჩა მზად იქონიე, — ურჩია არჩილმა.

— კარგი, თუ ძმა ხარ, ძალიანაც ნუ აზვიადებ. ისე არა წვიმს, როგორც ქუხს, ნათქვამია. შენ ყველგან ვადიმ ურალოვი გელანდება და დღე და ღამე იმის ფიქრში ხარ.

— განა შენ კი არა ხარ ასეთ ფიქრში? გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა, შენი საქციელი პოდპოლკოვნიკმა ზურაბ ლომაურმა რომ შეიტყოს, არა მგონია მოგიწონოს. შენს გამო შეიძლება მეც მივიღო შენიშვნა, მაგრამ მე თუ არ გიშლი მხოლოდ იმიტომ,

რომ იმედი მაქვს შენი ახალგაცნობილ მიმტანი ქალების საშუალებით იქნებ წავაწყდეთ ვადიმ ურალოვის კვალს. ის რომ აქ არის, ამაში უკვე დარწმუნებული ვარ. რებო წიკლაური არ შესცდებოდა, მან კი ფილო ძიას სახელით ისეთი პიროვნება აღწერა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ვადიმ ურალოვი შეიძლება იყოს. თუ ამ ღამითაც არ მოვიდა რებო წიკლაური, ხვალ მე და შენ საძოვრებზე მოგვიხდება გასეირნება. ყოველ შემთხვევაში გავიგებთ მაინც ცალთვალა ლევანის ამბავს და მისი საშუალებით ვეცდებით მივაგნოთ ვადიმ ურალოვს. ხუტა გაწერელია დაფიქრებული უსმენდა არჩილ ჩოხელს.

— იცი რა გითხრა. შეიძლება მე მართლაცდა სწორედ არ ვიქცეოდე, შეიძლება არ იყოს ჩემი საქციელი არაფრით გამართლებული, გეფიცები, მე ყველა ამას იმისათვის ვაკეთებ, რომ მინდა კვალს დავადგე. როგორ გგონია? ვადიმ ურალოვი თუკი მართლა საძოვრებზე გამოჩნდა, განა დასაშვები არ არის, რომ მას ქალაქშიც ექნება ბინა? ვისთან დაიჭერს კავშირს, თუ არა იმისთანა ხალხთან, რომელთა წრეშიც მე გავერიე? აბა, მილიციის უფროსს არ გაეკარება და აღმასკომის თავმჯდომარეს არ გაეცნობა, ცხადია ეს. თუ შენ გინდა არ წავალ ხვალ საღამოს ლილია გავრილოვნას სახლში, ჭირსაც წაუღია.

— არა, მე არ გიშლი, — სიტყვა ჩამოართვა არჩილმა, — მით უმეტეს, რომ ვიცი ძია მაკარიც არ იქნება წინააღმდეგი. მე კი ამ ბერიკაცისა ისე მჯერა, ვითომც ამხანაგი ზურაბ ლომაური ყოფილიყოს აქ მის ადგილზე. წადი მაგრამ ფრთხილად იყავი. წინასწარ გაიგე სად არის ბინა.

— მაგას დღესვე შევითყო.

— აბა შენ იცი.

ხუტა გაწერელია ახალი წასული იყო, როდესაც არჩილ ჩოხელთან ებოში წიკლაური მოვიდა.

— სადა ხარ, რეზო, ამდენ ხანს, სად დამეკარგე? შენს ლოდინში თვალები გამომიღამდა, — საყვედურით მიმართა მას არჩილმა.

— ამხანაგო არჩილ, ჯერ ერთი, რომ ადვილი არ იყო თავის დაღწევა და წამოსვლა, მეორეც, ისეთი მნიშვნელოვანი, არაფერი მოხდა დღემდე, რომ აუცილებელ საჭიროდ ჩამეთვალა წამოსვლა. — უპასუხა რეზომ.

— ახლა რა მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი, ფიდო ძიამ მოკითხვის წერილი ხომ არ გამოგატანა? — ღიმილით შეეკითხა არჩილი,

— დიახ, ფიდო ძიამ მოგიკითხათ ნახვის ნატვრით, — მოჭუტა ცალი თვალი და ღიმილითვე უპასუხა რეზომ, — ხომ გითხარით ფიდო ძიას მოსვლის შესახებ საძოვრებზე, ისა, მათე და ცალთვალა ლევანა რომ წავიდნენ სადღაც. ცალთვალა ლევანა მეორე დღესვე დაბრუნდა ფიდო და მათე კი მხოლოდ წუხელის მოვიდნენ ცხენებით, ლევანას ბინაში გაათიეს ღამე. დღეს დილით კი ცხენები დასტოვეს და წავიდნენ, მე მოვახერხე ქალაქისაკენ წამოსვლა, ვითომ ვაპირებდი თქვენთან იდუმალად მოსვლას ისე, რომ არავის დავენახე, მაგრამ ეშმაკად აქ წავაწყდი მათ!

— ვისა? ფიდოსა და მათეს? — შეეკითხა არჩილი.

— აბა სხვა ვისა? ამაზე იტყვიან: „ვერიდებოდი ღოღოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო“.

— მერე, გითხრეს რამე?

— გამაჩერეს, მელაპარაკნენ. „ბიჭო, შენ რა ხშირ-ხშირად დარბიხარ ქალაქად? აქ ცხვრების სამწყემსავად ხარ გამოგზავნილი თუ სასაიეროდ?“ — შემეკითხა მათე. მე გავშრი, არ ვიცოდი რა მეპასუხა, უცბად ვერ მოვისაზრე, მაგრამ ფიდომ გამომიყვანა უხერხული მდგომარეობიდან. „თავი დაანებე, რა გინდა მაგ ბიჭისაგან. — შეეპასუხა იგი მათეს, — ახლა ველარ მიხვდი რა არბენინებს საძოვრებიდან ქალაქად? ალბათ რომელიმე კოხტა გოგო

ჩაუვარდა თვალში და გული არ უდგება საძოვრებზე. მე რომ მაგის ხნისა ვიყავი, ერთ გოგოს არ გაუშვებდი მოუხილავს. ასე არ არის? ... შენი სახელი კი დამავიწყდა“ ... — მომმართა მე. გამეხარდა. ძალიან კარგ ამრზე მიმაგლო, სიმართლე გითხრა. „მე რეზო მქვიან სახელად, რეზო წიკლაური, ის კი თქვენ საიდან იცით, რომ მე აქ საცოლე მყავს?“ — შევეკითხე მე.

„ხომ გითხარი, — მიუბრუნდა ფილო მათეს, — ახალგაზრდაა, გული ღია აქვს. იცი რას გეტყვი, ჩემო რეზო, ვიდრე ნამდვილ ცოლს შეირთავ, ჯერ კიდევ ბევრ საცოლეებს გამოიცვლი!“ მე ვიწყინე, რა თქმა უნდა, განგებ, ავიმრიზე და მკვახედ ვუპასუხე: მე ქალი მიყვარს და არავის მივცემ ნებას, რომ ჩემს საქმეში ჩაერიოს. თქვენ მე ჭკუას უნდა მასწავლიდეთ და იმის მაგივრად კი დამცინით-მეთქი. შემოვბრუნდი და წასვლა დავაპირე, რომ ფილომ ხელახლა გამაჩერა. „ნუ გეწყინება, რეზო, გეხუმრე. ახლა კი არა, შენ ალბათ უკანვე გაბრუნდები ბინებში“. გავბრუნდები აბა რას ვიზამ, — ვუპასუხე მე. ლევანა ნახე და უთხარი, ხვალ ღამით ცხენები ჩამორეკოს ქალაქში“. სად? — ჩემდა უნებურად შევეკითხე. მან ეჭვის თვალთ გადმომხედა, მაგრამ შემდეგ გამიღიმა და მითხრა: „თვითონ იცის სადაც“. დავპირდი, რომ შევუსრულებდი თხოვნას და გამოვემშვიდობე. ესა რომ გამოვიარე უკან მივიხედე. ისინი საწინააღმდეგო მხარისაკენ მიდიოდნენ. ორივენი ნაბდებში იყვნენ გახვეულნი და თავზე ფაფახები ეხურათ, მე დამანტერესა, დავბრუნდი და დიდი სიფრთხილით მივყევი შორიახლო. ქალაქის გარეუბანში გავიდნენ. გზის მოშორებით ერთ-ერთ ბაღში შევიდნენ. ბაღში შუშაბანდიანი სახლია, იმ სახლში მივიდნენ. იქ ვიღაც ქალი გამოეგება და შინ შეიყვანა, მე კი წავედი. სულ ველოდი შეღამებულიყო, რომ თქვენთან მოვსულიყავი, შემეტყობინებინა.

ეს მართლაც, ძალიან კარგი და დროული ცნობა იყო. ჩოხელ-

მა დაწვრილებით გამოჰკითხა რეზოს სად იყო ის სახლი და თუმცა ქალაქს კარგად არ იცნობდა, მაგრამ ისეთი დამახასიათებელი ნიშნები მიიღო, რომ ბინის პოვნა არ გაუჭირდებოდა.

არჩილმა მადლობა გადაუხადა რეზოს და გამოემშვიდობა, რადგანაც იცოდა, რომ რეზო იმავე ღამით უნდა დაბრუნებულიყო საძოვრებზე.

რეზოს წასვლისთანავე არჩილმა ინახულა ძია მაკარი და დაწვრილებითი ინფორმაცია გაუკეთა მას.

— რა იქნება, რომ ამაღამვე ჩავატაროთ ეს ოპერაცია? — შეეკითხა არჩილი ძია მაკარს.

— მოითმინეთ არჩილ, წინდაუხედავად გადადგმულ ნაბიჯს შეუძლია საბოლოოდ წაახდინოს საქმე. ახლა თუ აქედანაც გაგვისხლტა ხელიდან, შემდეგ იმედი ნულარაფრისა გექნება, მორჩა, გაფრენილ ფრინველს ვეღარ მიეწევი. კარგი, ვიცით, რომ ორივენი მივიდნენ გარეუბნის ერთ-ერთ სახლში. სახლის დადგენაც არ გაგვიჭირდება, მაგრამ, დარწმუნებული ხარ იმაში, რომ ღამეს იქ გაათენებენ? იქნებ უკვე წასულებიც არიან იქიდან? ნუ ჩავიდენტ იმისთანა წინდაუხედაობას, რომელიც მათ გააფრთხილებს. ხვალ კარგად უნდა დაზვეროთ ბინა. შენ ამ საქმეში არ გამოდგები, თუ თვალი მოგკრეს — გიცნობენ. ხუტა გაწერელიამ, მართალია, ნაწილობრივ შეიცვალა სახე და ტანსაცმელიც, მაგრამ არც იმისი გამოჩენა ივარგებს. ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებიც არ გამოგვადგებიან ამ შემთხვევაში.

— აბა საშველი არ ყოფილა და ის არის, — უიმედოდ წამოიძახა არჩილმა.

ძია მაკარიმ გაიღიმა თავისი ჩვეულებრივი მომაჯადოებელი ღიმილით და მიუგო:

— საშველი როგორ არ არის, მე როგორ მიყურებთ, განა სხვებზე ნაკლებად დაზვერავ იმ არემარეს? ფიქრი ნუ გაქვთ. აქ

მე არავინ მცნობს, გარდა მილიციის უფროსისა და მისი ზოგიერთი თანამშრომელისა. მე ბერიკაცს არავინ მომაქცევს ყურადღებას. ჩვენი მიზანია ახლა ის სახლი გადავაქციოთ ჩვენი თვალყურის დევნების ობიექტად.

— რა ვიცით, იქნებ დღეს იმ ბინაზე არიან და შემდეგ აღარ გაეკარონ სიახლოვეს, — წარმოსთქვა არჩილმა.

— თუ მათ ხვალ ღამისათვის ცხენები დაიბარეს, მაშასადამე ისინი ჯერ კიდევ არ აპირებენ არსად წასვლას, ეჭვი არ მეპარება, რომ ცალთვალა ლევანისთან ვადიმ ურალოვს ის ბინა ექნება დათქმული, სადაც რეზო წიკლაურმა მიაგნო, ჰო, მართლა, გამაცანი რეზო წიკლაური, ეტყობა რაღაც არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა, ხედავ როგორი წინდახედულია, რა ოსტატურად მისდია და დაადგინა სად მივიდნენ ის ავაზაკები, სჩანს ამ ქალაქში ძალიან უშიშრად გრძნობენ თავს, რომ ასე აშკარად დადიან და არაფრის არ ეშინიათ.

— სიამოვნებით გაგაცნობთ რეზო წიკლაურს. ახალგაზრდა მწყემსია. უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად ცოცხალი და ხელმარჯვე ჩანს.

— მაშ ასე, შევთანხმდით, ხვალ დილით მე მივდივარ ქალაქგარეთ სასეირნოდ. ნაშუადღევს მილიციის უფროსის კაბინეტში შევიმუშავებთ ოპერატიულ გეგმას, ხოლო ღამით კი წყნარად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ავიყვანთ სამივეს: ვადიმ ურალოვს, მათე ხაპიაშვილს და ცალთვალა ლევან ყარაშვილს. კიდევ აი რა, თუ ხუტა გაწერელია, ამჟამად კოკი ჟვანიად ცნობილი, მართლა იმ ბინაში არის მიწვეული, სადაც ეს ავაზაკები იქნებიან, ნუ წავა, მოიმბიზგოს ავადმყოფობა, ან რაიმე სხვა და თავი აარიდოს. მისი იქ ყოფნა არა თუ სარგებლობას არ მოგვცემს, პირიქით ხელსაც კი შეგვიშლის ოპერაციის ჩატარებაში.

— კარგი, აღარ გავუშვებ, უპასუხა არჩილ ჩოხელმა და პატარა

დაფიქრების შემდეგ შეეკითხა ძია მაკარს, — მე მაინც გაურკვევლად მიმაჩნია ერთი რამ. რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ავტომანქანა ცხენებით შესცვალეს?

— ეს არ არის ძნელი გამოსაცნობი. აქ იმისთანა ადგილებია, სადაც ცხენი უფრო ადვილად გაივლის, ვიდრე ავტომანქანა. ავტომანქანას გზა უნდა, ბილიკებზე ვერ ივლის, ცხენი კი ყველგან თავისუფლად დადის.

შუალამე მოტანებული იყო, როდესაც ხუტა გაწერელია დაბრუნდა. არჩილ ჩოხელს ჯერ კიდევ არ ეძინა, წამოწოლილი წიგნს კითხულობდა, ხუტამ კარი შემოაღო.

— დავადგინე მისამართი, შენ რომ ასე ძალიან გაინტერესებდა, — მიმართა მან არჩილს.

— სახლი ალბათ გარეუბანში იქნება? — შეეკითხა არჩილი.

— სწორედ გარეუბანშია! — გაკვირვებით უპასუხა ხუტამ.

ერთსართულიანია, გზატკეცილის მოშორებით. ირგვლივ ხე-ხილი აქვს გარშემორტყმული, ესე იგი ბაღშია სახლი.

ხუტას გაკვირვება განცვიფრებაში გადავიდა.

— რა იცი?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — გაიცინა არჩილმა.

— კაცო, ნუ შემშლი ჭკუაზე. რომელ ჩიტზე ლაპარაკობ, შენ მგონია გარეთ არც კი გაგიდგამს ფეხი და საიდან იცი ასე დაწვრილებით?

— აი რას გეტყვი, ჩემო ხუტა. წელან რომ გეუბნებოდი, იმ ბინაში სადაც გეპატიჟებიან, ვადიმ ურალოვს არ წააწყდე მეთქი, შენ მიპასუხე „ენამ არ გიყივლოსო“, თურმე მართლა მიყივლა ენამ, იმ ბინაში ვადიმ ურალოვი, მათე ხაპიაშვილი და ალბათ მათი მეგობრებიც იქნებიან, შენი წასვლის შემდეგ აქ რეზო წიკლაური იყო და მან ყველაფერი დაწვრილებით მიაშბო. ხვალ დილით იმ სახლის დასაზვერად ძია მაკარი წავა, ნაშუადღევს კი მილიციის

უფროსთან ერთად შევიმუშავებთ ოპერატიულ გეგმას. საფიქრებელია, რომ ვადიმისა და მათეს გარდა შეიძლება იქ მათი სხვა თანამოაზრეებიც იყვნენ. ამრიგად, ძალიან ფრთხილად და მოხერხებულად უნდა ჩავატაროთ ეს ოპერაცია. იცოდე ეს უკანასკნელი ღონისძიება იქნება, თუ ახლაც წაგვივიდა ხელიდან, მორჩა, გათავდა, ჩვენ ამ ავაზაკის კვალს სამუდამოდ დავკარგავთ.

— მაშ, ჩემი იქ გამოჩენა ძალიან საშიშია, — წამოიძახა ხუტამ.

— შენ ვახშამზე არ წახვალ, ხვალ საღამოს საძოვრებიდან ვადიმსა და მათეს ცხენებს ჩამოუყვანს ცალთვალა ლევანა. თუ სად და როგორ ავიყვანთ მათ, ეს ოპერატიულ თათბირზე გადაწყდება.

— მათ თუ ცხენებს ჩამოუყვანენ, მაშასადამე, ისინი იქ ღამეს არ გაათევენ, — წარმოსთქვა ხუტამ.

— რა თქმა უნდა, არ გაათევენ ღამეს, — დაუდასტურა არჩილმა. — შეიძლება გათენებამდე იყვნენ. შემდეგ კი წავიდნენ. კარგი, ახლა დაჩქე, დაიძინე, ხვალ ბევრი სამუშაო მოგველის. კარი ჩაკეტი.

ხუტა დაჩქა დასაძინებლად, მაგრამ შეეძლო კი დაძინება? მას ახლა თავში ათასი აზრი უტრიალებდა. არც არჩილს ეძინა. ისიც ფიქრობდა და სხვადასხვა გეგმებს ჰქმნიდა ხვალინდელი ოპერაციის ჩასატარებლად. ამ ფიქრში შემოათენდათ ორივეს.

რა თქმა უნდა, არც ვადიმ ურალღოსა და არც მათე ხაპიაშვილს აზრადაც არ მოსდიოდა ის გარემოება, რომ აქაც მიაგნეს მათ თვალყურს ადევნებდნენ. მათე ხაპიაშვილი პატიმრობიდან გამოქცეული იყო და როდესაც თავისი ნათესავის, ცალთვალა ლევანისაგან შეიტყო მისი დედ-მამის, ცოლისა და შვილი მიხას დაპატიმრების ამბავი, გადაწყვიტა აღარ დაბრუნებულიყო თავის სოფელში, რადგან კარგად იცოდა, მაშინვე შეიტყობდა მის ჩამოსვლას მილიცია, დაუწყებდა დევნას და ადრე იქნებოდა თუ

გვიან, მაინც შეიპყრობდნენ. ამისათვის მტკიცედ გადაწყვიტა თავი აღარ დაენებებინა ცაცია მუხრანელისათვის, რომელი სახელითაც ის იცნობდა გერმან ბაზილს.

გერმან ბაზილმა ჯერ კიდევ არ იცოდა ჯემალის, ვერონიკასი და მისი მეორე გაგზავნილის დაპატიმრების ამბავი და ელოდა ვერონიკას ჩამოსვლას. როდესაც თავისი ხალხი თანდათანობით დაჰკარგა, აღარ იცოდა რა ექნა და აი, შემთხვევით, პატიმრობიდან გამოქცეულ მათე ხაპიაშვილს რომ წააწყდა, ძალიან გაუხარდა. კიდევ მიეცა იმედი, რომ შექმნიდა ახალ ბრბოს და დაიწყებდა ძველებურად თარეშს.

მათე ხაპიაშვილი, პატიმრობიდან გამოქცევის შემდეგ აპირებდა მწყემსებთან გამოზამთრებას, მაგრამ, როდესაც თავის ძველ მეგობარს შეხვდა, იმედი მიეცა, რომ შესძლებდა მასთან ერთად ემოქმედნა. იგი კარგად იცნობდა ცაცია მუხრანელს, იცოდა მისი მოხერხებულობა და ამისათვის დიდი იმედიც ჰქონდა მისი. როდესაც გერმან ბაზილს ნაცნობმა ქალებმა უამბეს ვინმე კოკი ჟვანიას შესახებ, მან უცბად ვერ მოიაზრა, თუ ეს ის პიროვნება იქნებოდა, რომელიც მერის აედევნა და რომლის საშუალებითაც კინალამ ორივე ფეხები გაჰყო მახეში, მაინც დაინტერესდა მისი პიროვნებით. მან რატომღაც წარმოიდგინა, რომ ალბათ კოკი ჟვანია რაიმე დიდ დანაშაულში არის გარეული და აქ, ამ მივარდნილ მხარეში არიდებს თავს პასუხისმგებლობას, ამისათვის მასთან გაცნობა გადაწყვიტა. რა თქმა უნდა, ის ამბავი, რომ ვითომდა იმ ბინაში, სადაც უნდა შეხვედროდა გერმან ბაზილი ხუტა გაწერელიას, საგვიმო ვახშამი იყო მოწყობილი, ეს მეტად გაზვიადებული იყო. არავითარი ზეიმის მოწყობა აზრადაც არ მოსვლია არავის. გერმან ბაზილი ასეთ ვახშამზე, რომ იგი მართლა ყოფილიყო, ვერც გაბედავდა გამოჩენას. ის რომ მას ფეხდაფეხ სდევდნენ, ჯერ კიდევ არ იყო ამოშლილი მისი გონებიდან. მართალია იგი დარწმუნებული იყო, რომ მან მდევრებს

უკვე აუბნია გზა-კვალი, ეგონა, რომ მას დაეძებენ ქალაქ გროზნოს მიდამოებში, ან სადმე ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო, სიფრთხილე მაინც იყო საჭირო და ისიც ფრთხილობდა რაც შეეძლო.

ვერონიკასაგან უმთავრესად იარაღის ჩამოტანას ელოდა, მას შემდეგ, რაც იგი მანქანიდან გაექცათ, ძლივს მოახერხა ერთი დამბახის ხელში ჩაგდება რამდენიმე ვაზნით და თავისი განუყრელი ბებუთის შოვნა. იარაღი მას ვერონიკას ბინაში ჰქონდა გადამალული ქალაქ ბუინაკსკში და რას წარმოიდგენდა თუ „მისი საწყობი“ უკვე აღმოაჩინა მილიციამ.

როდესაც მეორე დღეს ხუტა გაწერელიამ თავის ტანიას აცნობა, რომ შეუძლოდ არის და ვახშამზე ვერ მივა, ხოლო ეს ამბავი უთხრეს გერმან ბაზილს, უკანასკნელი დაუფიქრდა და გუნებაში გაჰკრა, ხომ არაფერია აქ მოწყობილი საქმეო, თვითონაც გადაწყვიტა აღარ წასულიყო დაპირებულ ბინაზე, მაგრამ მათემ დაამშვიდა და დაიყოლია მისვლაზე. მილიციის ოპერატიული ჯგუფი ჩასაფრდა ბინის ირგვლივ, მაგრამ ძია მაკარის წინადადებით არჩილ ჩოხელი, ხუტა გაწერელია და ორი ოპერატიული თანამშრომელი ქალაქგარეთ გზისპირად ჩასაფრდნენ, საიდანაც ცალთვალა ლევანას უნდა მოეყვანა ცხენები. ძია მაკარი თავის ამ წინადადებას იმ მოსაზრებით აყენებდა, რომ იგი ფიქრობდა, შეიძლება ის განზრახული ვახშამი სხვა ბინაზე ყოფილიყო მოწყობილი და არა აქ, სადაც მათ შეათვალეს. მათ უნდა მოეცადათ ვიდრე ცალთვალა ლევან ყარაშვილი ცხენებს გაატარებდა გზაზე, ხოლო შემდეგ მის კვალს მიჰყოლოდნენ, სად მიიყვანდა იგი ცხენებს. ეს ოპერატიული ძალების დაქსაქსვას იწვევდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ეს აუცილებლად უნდა განეხორციელებინათ.

შუალამე გადასული იყო, როცა მწყემსის ტყაპუჯში გახვეული მხედარი გამოჩნდა გზაზე, ერთ ცხენზე თვითონ იჯდა, ორი კი უნაგირის ტახტაზე აღვირებით გამობმული მოჰყავდა. მხედარი წინ

გამოუშვეს და ოპერატიული მუშაკები დიდი სიფრთხილის დაცვით შორიახლო გამოჰყვნენ უკან. დიდი სიფრთხილე მაინცდამაინც არ იყო საჭირო, რადგანაც მხედარი, ეტყობოდა არც ძალიან ფრთხილობდა, ის პირში ჩიბუხჩაჩრილი თავისთვის მოდილინებდა და ნელა მოერეკებოდა ცხენებს. ეტყობოდა რომ არ ეშურებოდა. არჩილი და მასთან მყოფი გაკვირდნენ, როდესაც მხედარმა სულ სხვა მიმართულება აიღო და იმ მხარეს კი არ წავიდა, სადაც მათი აზრით უნდა მისულიყო, არამედ სხვა გზას დაადგა. მხედარი გავიდა ქალაქის განაპირას და ერთი განმარტოებული ეზოს წინ გაჩერდა, ჩამოხტა ცხენიდან, მიაბა ბოძზე, შემდეგ გააღო ჭიშკარი და ეზოში შერევა ცხენები. ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე შუქი ენთო, საიდანაც მიყრუებული სიცილი და კანტი-კუნტი ხმაურობა ისმოდა. არჩილი მაშინვე მიხვდა, რომ არ დახვედროდნენ მხედარს, თავის დღეში ვერ მიაგნებდნენ ამ ბინას. მაშინვე აფრინა კაცი მილიციის უფროსთან და ძია მაკართან.

გათენება მოტანებული იყი, არჩილს იმის შიშიღა ჰქონდა, მოასწრებდნენ თუ არა მოსვლას მილიციის უფროსი და ძია მაკარი. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გერმანი და მათე მზის ამოსვლას არ დაუცდიდნენ, ისე შესხდებოდნენ ცხენებზე და წავიდოდნენ. აქ კი მხოლოდ სამნიღა იყვნენ, არჩილ, ხუტა და ერთი თანამშრომელი. რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა ბანდიტების შეპყრობა, მით უმეტეს, რომ ბინაში ალბათ სხვა საინტერესო პირებიც იქნებოდნენ მილიციისათვის,

არჩილი უთვალთვალებდა ბინას. იგი ხედავდა, რომ სტუმრები უკვე იშლებოდნენ. აგერ სამი უკვე გამოვიდნენ ბინიდან ჩამოვიდნენ დაბლა ეზოში, ორნი შესხდნენ ცხენებზე, მესამემ კი ჭიშკარი გააღო. არჩილმა გადაწყვიტა, ეხმარა იარაღი და ამ საშუალებით შეეფერხებინა მათე წასვლა, უკიდურეს შემთხვევაში ცხენებისათვის ესროლა. უკვე თენდებოდა. მანქანის გუგუნი გაისმა,

ცხენოსნებსა ალბათ იგრძნეს საშიშროება, რომ ცხენები მოს-
ხლიტეს ადგილიდან. არჩილმა აღარ მოუცადა მანქანას, ეზოდან
გამოსული მესამე მხედარი ჩამოაგდო ცხენიდან, შეჯდა თვითონ,
ხუტას მიაძახა მანქანით გამოსდგომოდა და გააჭენა. დაწინაურე-
ბულმა მხედრებმა უკან რომ მოიხედეს და მანქანა ვერ შენიშნეს,
ხოლო მარტო ცხენოსანს დაჰკრეს თვალი, ალბათ თავისიანად
მიიღეს და ჭენება შეანელეს. წყვდიადი თანდათან იფანტებოდა,
წინმავალი მხედრების სილუეტები უფრო და უფრო მკვეთრ გა-
მოხატულებას ღებულობდნენ. არჩილი მალიმალ უკან იყურებო-
და, მაგრამ რატომღაც მანქანა არ ჩანდა. ნუთუ მარტო შერჩა ორ
ავაზაკს ხელში? მარტომ რა უნდა გააკეთოს, როგორ შეიპყროს?
დახოცოს? ეს ადვილი საქმეა, ორი მარჯვე გასროლა და წინა
მხედრები მიწაზე განირთხებიან, მაგრამ მას ხომ მათი ცოცხლად
ხელში ჩაგდება აინტერესებს. განსაკუთრებით კი გერმან ბაზი-
ლის, იმისი, რომელსაც თბილისიდან მოსდევს. რამდენი უძილო
ღამე, რამდენი წვალება და მოუსვენრობა განიცადა, რამდენჯერ
გაუსხლტა, ახლა კი, როდესაც თითქმის ჩაბღუჯული ჰყავს, ნუთუ
უნდა გაუშვას ხელიდან?

არჩილმა ცხენდაცხენ გამომიზნა და ჩახმახს გამოჰკრა თითი.
ერთი მხედარი გადმოეკიდა ცხენზე, ერთ ხანს ათრია ცხენმა,
შემდეგ კი მიწაზე გაიშხლართა, მეორემ კი ცხენს მათრახი გა-
დაუჭირა. როცა არჩილმა მიწაზე გაშხლართულს მოჰკრა თვა-
ლი, მიხვდა რომ ის გერმან ბაზილი არ იყო. ალბათ მათე ხაპიაშ-
ვილი იქნებოდა და ცხენი დააოთხა. გზიდან მარცხნივ ტყე მოს-
ჩანდა, ნეტავი ტყეში არ შეასწროს, ახლა მხოლოდ ამის ფიქრში-
ღა იყო არჩილი. წინა მხედარმა ცხენი ტყისაკენ მიმართა, არ-
ჩილმაც გადაუხვია გზას. ამ რამდენიმე ნაბიჯიც და დაიძალემა,
დაჰკარგავს. ჯანდაბას, ამ საშუალებას მაინც არ გაუშვებს ხელი-
დან, რაც მოხდება მოხდეს, ისევ სიკვდილი, სიკვდილი ათასების

სიკვდილისათვის, სიკვდილი ათასების ცრემლისათვის, არჩილ-მა ხელახლა გამომიზნა. დამბაჩა გავარდა, წინა ცხენმა წაიფორხილა, მუხლებზე წაიჩოქა და შემდეგ გვერდზე გადაწვა. მხედარმა მოასწრო გადმოხტომა. არჩილი ისევ გამოუდგა გაქცეულმა ტყეში გაუსწრო, გზაზე ავტომანქანის სიგნალი გაისმა, ალბათ აცნობა არჩილს რომ ნუ გეშინია, აქა ვართ, ახლავე მოგეხმარებითო, მაგრამ ახლა იმისთვისდა სცალია არჩილს, რომ საყვირს უგდოს ყური? წინ მგელი მირბის, მგელი კი არა მგელზე უარესი — მგელკაცი. არჩილი გაქანებული ცხენიდან გადმოხტა. წაიფორხილა, წაიჩოქა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და გამოუდგა, ცხენი მისთვის უკვე ზედმეტი იყო. მაგრამ აქ მართებს არჩილს სიფრთხილე. არ შეიძლება იმ მგელკაცას არ ჰქონდეს იარაღი. ვინ იცის რომელ ხის ძირში ჩასაფრდება და ესვრის. არჩილს სიცოცხლე არად უღირს, მაგრამ დავალების შესრულება? თუ ახლაც ვერ შეიპყრო, სირცხვილით სადღა გამოყოს თავი? მტერი არ ჩერდება, მირბის, ჩინჩხვარს მის ფეხქვეშ ლაწალუწი გაუდის. ალბათ მანაც შეამჩნია ავტომანქანა, იგრძნო, რომ მას ერთი როდი მისდევს, ბევრნი მოსდევენ, ბევრი და სულ იმის ცდაშია, თავი დააღწიოს. მაგრამ არა, არჩილ ჩოხელი მას თავს არ დაანებებს, სამარეშიც ჩაჰყვება თუ საჭირო იქნა.

კარგა განათდა, მზე უკვე ამოიწვერა, მაგრამ ტყეში მაინც შედარებით წყვდიადია. არჩილი მხოლოდ ფიჩხნარის ლაწალუწზე მისდევს გაქცეულს. ტყეში კანტი-კუნტი სროლა ისმის. ორივენი თერგის ნაპირზე გავიდნენ. გერმანი აპრიალებული ბებუთით ხელში აელვარებული თვალებით შესცქერის არჩილს, გაჩერებულია, ალბათ ელის მიახლოებას. მას ხელში დამბაჩა აღარ უჭირავს. რატომ? აკი ისროდა, ალბათ ვაზნები თუ გაუთავდა. არჩილს კიდევ აქვს დამბაჩაში ერთი ვაზნა. გერმანმა ნახტომი გააკეთა არჩილისაკენ, სულ რამდენიმე ნაბიჯიღა არის მათ შორის. ერთსა და იმავე დროს გავარდა არჩილის დამბაჩა და გაიწეულია

ჰაერში გერმანის ბებუთმა. არჩილს მკერდში დაეძგერა ნასროლი ბებუთი, გერმანს კი ტყვიამ მარჯვენა ფეხი გაუხვრიტა მუხლში, არჩილს არ უნდოდა მისი მოკვლა, გულში არ ესროლა. სადაც დაუმიზნა იქ მოხვდა. გერმანი კი დარწმუნებულია, რომ არჩილი უკვე გაამგზავრა საიქიოს. რაღა დარჩა გერმანს? მიცოცავს მდინარისაკენ. ცოტა კიდევ და წყალში ამოყოფს თავს. ცურვა კარგად იცის. გასცურავს თავს გადაირჩენს, მუხლი დამტვრეული აქვს, უნდა გაუძლოს...

გერმანმა ჩოჩვით მიაღწია მდინარემდე, შევიდა შიგ და მკლაური მოუსვა. თერგის წყალი წითლად შეიღება.

ტყიდან ხუტა გაწერელია გამოვარდა, მან მაშინვე დაინახა გერმან ბაზილი წყალში შესული, მაგრამ იქვე მდინარესთან მისი საუკეთესო მეგობარი და თანამებრძოლი მკერდში ბებუთგაყრილი პირაღმა გამოტილიყო. მივარდა ხუტა არჩილს, რომ ამ დროს ტყიდან ძია მაკარი გამოვიდა.

— ამას მე მოვუვლი, შენ მას მისდიე! — შესძახა ძია მაკარმა.

ხუტამ დაინახა, რომ გერმან ბაზილი მძიმედ მიაპობდა მდინარის ტალღებს. ის გადაეშვა მდინარეში. წყალი ყინულივით იყო, მაგრამ ვინ დაგიდევს ამას, როდესაც აგერ მტერი მიცურავს. მკლავის რამდენიმეჯერ მაგარი მოსმა და ხუტა უკვე გერმანის გვერდით აღმოჩნდა. გერმანმა სტაცა ხელი ხუტას და ჩააყურყუმელავა, მაგრამ ამ დროს ხუტას ტანი მოხვდა გერმანის დაჭრილ მუხლს, მან შეჰკივლა და გული წაუვიდა. ხუტა ამოძვრა მდინარის ზედაპირზე, სტაცა გერმანს საკინძეში ხელი და უკან გამობრუნება დაიწყო. ძლივს მოაღწია ნაპირს და თან გერმან ბაზილიც გამოათრია. გათოშილი ხუტა კანკალებდა, კბილს კბილზე ვერ ადგამდა, მაგრამ მას თავისი თავის დარდი არ ჰქონდა, მაშინვე მიირბინა ძია მაკართან.

— ძია მაკარ, როგორ არის არჩილი? მითხარით ჩქარა.

— რა თქმა უნდა, სახარბიელო მდგომარეობაში არ არის, მაგრამ მე ვხედავ შენ უფრო უარეს მდგომარეობაში ხარ, თერგდალეულო, ჩაიცვი ჩქარა, — ამ სიტყვებით ძია მაკარმა გაიხადა თავისი პალტო და ხუტას შემოახვია.

— ფიქრი ნუ გაქვს, არჩილს არაფერი დაუშავდება. ყოველ შემთხვევაში სასიკვდილო არაფერი სჭირს, — დაამშვიდა მან ხუტა გაწერელია.

ამ დროს მილიციის უფროსი და ოპერატიული თანამშრომლები გამოჩნდნენ.

— როგორ არის საქმე? — იკითხა მილიციის უფროსმა.

— არც ძალიან კარგად, — უპასუხა ძია მაკარმა, — აი, ეს ბიჭი დაგვიჭრეს.

— საშიში ხომ არაფერია?

— არაფერი. მე უფრო იმ ახალგაზრდისა მეფიქრება, — ძია მაკარმა ხუტა გაწერელიაზე მიუთითა, რომელსაც ჩინჩხვარი დაეგროვებინა, აენტო ცეცხლი და მიფიცხებოდა, — ცოტა არ იყოს თერგის წყალი ყლაპა და ფილტვების ანთება არ დაემართოს.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ძია მაკარ, — ვერ მოითმინა ხუტამ, — ჩემი ფილტვები სიცივეს მიჩვეულია. აი, ის არ მოგიკვდეთ, მას უნდა მივხედოთ.

ამ სიტყვებით ხუტა გაწერელიამ მდინარის პირას გამოტანილ გერმან ბაზილზე მიუთითა, რომელსაც თვალები ფართოდ დაეჭყიტა, შუბლს იჭმუხნიდა, კბილებს აკრაჭუნებდა. ცდილობდა ადგილიდან დაძვრას, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ძია მაკარს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ გერმან ბაზილი დაჭრილი იყო, მივიდა მასთან, გაუჭრა შარვალი და გაუსინჯა ჭრილობა. არჩილ ჩოხელის ტყვიას მისთვის მარჯვენა მუხლის თავი დაემტვრია.

— არჩილ ჩოხელმა თვალი გაახილა. პირველად ეუცხოვა ადგილმდებარეობა, შეინძრა და მკერდში რომ ტკივილი იგრძნო,

მაშინვე თვალწინ წარმოუდგა მთელი ამბავი თავიდან ბოლომდე, შეშფოთდა და იკითხა:

— კიდევ ხომ არ წაგვივიდა ხელიდან?

— ფიქრი ნუ გაქვს, ყმაწვილო, ის უკვე ვედარსად წავა, ძალიანაც რომ ეცადოს, — ღიმილით უპასუხა ძია მაკარმა.

დაჭრილები სახელდახელოდ გაკეთებული საკაცეებით გზად გაიყვანეს და იქიდან კი ავტომანქანით ქალაქისაკენ გაამგზავრეს.

მოკლული მათე ხაპიაშვილის გვამი უკვე ჩაეტანათ ქალაქის საავადმყოფოს პროზექტურაში.

ხუტა გაწერელიამ დაუყოვნებლივ აცნობა თბილისში ზურაბ ლომაურს დეპეშით.

ზურაბ ლომაური მეორე დღესვე გადმოფრინდა.

23

ერთი თვის შემდეგ არჩილ ჩოხელი საავადმყოფოდან გამოეწერა განკურნებული.

სავადმყოფოში წოლის დროს მასთან ხშირად დადიოდნენ მისი თანამებრძოლი ამხანაგები. ხუტა გაწერელია ხომ დღეს არ აცდენდა, ის მთელი საათობით იჯდა არჩილთან და უყვებოდა ახალ-ახალ ამბებს.

გუცა დარბაისელმა პირველად რომ ინახულა არჩილ ჩოხელი ღიმილით მიმართა.

— აბა რა გეგონა, ძამიკო, გერმან ბაზილის ბასრი ბებუთი მართო ჩემზე მოქმედებდა? ხომ დახია შენი ტყავი? თუმცა შენი დაჭრა პოეტურ ვითარებაში მოხდა, მე ორჯერ დამჭრეს, ორჯერვე მტვრიან ქუჩებში წავიქეცი და მტვერში ამოვიგანგლე, ტანისამოსი გასაწმენდი გამიხდა. შენ კი სულ სხვა ბედი გეწვია, ტყეში, ნამიან ბალახზე, ალბათ ზემოდან იმ დროს ჩიტები დაგჭიკჭიკებდნენ, ფოთლები დაგშრიანებდნენ, თერგის ნიავი გიბერავდა. მესამედაც რომ დამჭრან, თუკი ამისთანა პირობებში მოხდება,

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

არჩილი ღიმილით უსმენდა გუცა დარბაისელის ხუმრობას. ის, იმითი იყო კმაყოფილი, რომ, როგორც იქნა, დიდი წვალეების შემდეგ, მაინც შეიპყრო საშიში ავაზაკი.

გერმან ბაზილის დაპატიმრებამ ერთგვარი სენსაცია გამოიწვია სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში.

პატიმარმა თავდაპირველად ერთგვარი სიჯიუტე გამოიჩინა, არ უნდოდა თავისი საქმიანობა გამოემჟღავნებინა, მაგრამ ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, დაწვრილებით მოუყვა ზურაბ ლომაურს სად და რა დანაშაული ჩაედინა, არც გიორგი ქურხულის მკვლელობა უარჰყო, არც მეწისქვილესთან კავშირი.

— თითი, თითი, ყველაფერში ის ოხერი თითია დამნაშავე. იმ დოცლაპია სანდრო ყარაშვილმა, რაღა მაინცდამაინც იმ ტყეში დააგდო? თუმცა რა, მე ბედი მწამს, ალბათ ასეთი იყო ჩემი ბედისწერა. ყველაფერი ისევ ჩემი ბრალია. ექიმს რომ თითი მოვაჭერი, რა მიხდოდა, მხოლოდ ბეჭედი მიმეცა სანდროსათვის. ნათქვამია, კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს... აკი არ მოიტანა, საბოლოოდ, მაინც გატყდა.

გერმან ბაზილის ჩვენებაში ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ უტიფრად და თავხედურად აცხადებდა: „მე სრულებითაც არ ვნანობ ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, ცხოვრება ყველას თავისებურად ესმის. მეც ისე ვცხოვრობდი და საქმიანობდი, როგორ მესმოდა, სისულელე იქნებოდა მგლისათვის გეკითხათ, რატომ შეჭამა ბატკანიო, შიოდა და შეჭამა, ვიცი სიკვდილით დამსჯიან, სხვა სასჯელი არც არსებობს, ყველა იმისათვის, რაც მე გამიკეთებია. უფრო მეტიც, ათასი სიკვდილი რომ იყოს შესაძლებელი, ისიც კი ცოტა იქნებოდა, მაგრამ რა, განა ყველანი არ უნდა დავიხოცნეთ? განა ყველას ერთი ბოლო არა აქვს, სიკვდილი? ათასი წელიც რომ იცოცხლოს ადამიანმა, ბოლო მაინც სიკვდილია. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვკვდები ან მომიგონებენ

თუ არა სიკვდილის შემდეგ, ეს ჩემთვის სულერთია. მიწაში დაფლული ლეში, მართლისაც და მტყუანისაც, ერთნაირად იხრწნება, ის ვედარაფერს გრძნობს“.

ზურამ ლომაურს არ უკვირდა გერმან ბაზილის ასეთი თავისებური გულახდილი მსჯელობა. მან უკვე იცოდა მისი შეხედულება ცხოვრებაზე, საკმაოდ სწერდა არჩილ ჩოხელი თავის წერილებში ამის შესახებ. იცოდა: ის ცხოვრობდა იმისათვის, რომ მომკვდარიყო.

არჩილ ჩოხელი ზურაბ ლომაურის კაბინეტში იჯდა და დაწვრილებით უამბობდა უკანასკნელად ჩატარებული ოპერაციის მსვლელობაში. მან თავის მოხსენებაში დიდი გულთბილობით და სიყვარულით მოიგონა შამილ გაფუროვი და ახმად ალიევი, ეს ორი ახალგაზრდა პატრიოტი.

— იცით, ამხანაგო უფროსო, როგორ ვარ დავალებული შამილ გაფუროვისაგან? მან ორჯერ მიხსნა სიკვდილისაგან. ლეკი შამილ გაფუროვი, რაც არ უნდა იყოს, მილიციის თანამშრომელია, მაგრად აზერბაიჯანელი ახმად ალიევი? ის ხომ სრულიად უცხო იყო ჩვენი მუშაობისათვის, ის რატომღა გვეხმარებოდა ასე თავგამოდებით? ცხადია ერთი რამ, მას მშრომელი ხალხის სიყვარული და ბედნიერება ამოქმედებდა. ეჭვი არ არის, თუკი ყოველი პატიოსანი მოქალაქე რამდენადმე მაინც დაგვეხმარება ჩვენს მუშაობაში, შეიგრძნობს თავის დიდ მოვალეობას, საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას, მაშინ ჩვენს ქვეყანაში ავაზაკები ვეღარ იბოგინებენ.

ზურაბ ლომაური ღიმილით უსმენდა არჩილ ჩოხელს და ერთხელაც არ გააწყვეტინა სიტყვა. მას უხაროდა, რომ მისმა აღზრდილმა თანამშრომლებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს მიზანს. განა არჩილ ჩოხელი არ იყო რომ ყოველი შიში მოდრიკა? განა ხუტა გაწერელია არ იყო, რომ მგელს გაღებულ ხახაში კინაღამ ჩაუძვრა? ვინ იცის, რამდენჯერ ეკიდა ბეწვზე მათი სიცოცხლე. ეს

მათაც კარგად იცოდნენ კარგად გრძნობდნენ საშიშროებას. მაგრამ ერთხელაც არ დაიხიეს უკან და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც.

— იცით ამხანაგო უფრო, მე საავადმყოფოდან წერილი მივწერე შამილს, მასთან არასოდეს არ გავწყვეტ კავშირს. ის, როგორც ძმა, ისე მიყვარს. დიახ, მივწერე წერილი და პასუხიც მივიღე. მწერს: „ავიღებ შვებულებას და გეწვევი, უეჭველად გინახულებო“. მეც ხომ მეკუთვნის შვებულება, მთლიანად არ მისარგებლია, ჩამოვა თუ არა, გთხოვთ გაშვებას, წავიყვან მას ჩემთან სოფელში და კარგ დროს გავატარებთ, იმედია უარს არ მეტყვით.

— არა, მაგაზე როგორ გეტყვი უარს, პირიქით ხელსაც შეგიწყობ შენს მეგობართან შეხვედრაში, — გაუღიმა ზურაბმა.

— ყველაზე მეტად ძია მაკარის ამბავი მაინტერესებს. ვინ იყო ის ბერიკაცი, რომ ასე თავგამოდებით მეხმარებოდა? ის ჩემთვის ნამდვილი გამოცანა იყო. მგონი, ყოფილი სამხედრო პირი უნდა ყოფილიყო, მთელი მისი მოქმედება ამას ადასტურებდა. მაგრამ მისი სწორი დასკვნები, მისი ცოდნა დამნაშავეთა ჩვევებისა და ბუნებისა, სწორე მოგახსენოთ, მუდამ მაკვირვებდა.

— ძალიან გაინტერესებს ვინ არის ძია მაკარი? მაგას ჩქარა შეიტყობ. ის ამჟამად აქ არის.

— აქ, თბილისში? — გაიკვირვა არჩილმა.

— უფრო ახლოს, სამმართველოში. ის ჩვენი კომისრის ძველი მეგობარია და ახლა მის კაბინეტში ზის.

ზურაბმა ყურმილი აიღო და სამმართველოს უფროსს დაურეკა:

— მოგახსენებთ პოდპოლკოვნიკი ლომაური. აქ ჩემთან ამჟამად არჩილ ჩოხელია, ნება მომეცით მოვიდეთ, დიახ... მესმის.

ზურაბმა ყურმილი დაჰკიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ზურაბის კაბინეტში შემოვიდნენ სამმართველოს უფროსი და... მილიციის პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი ძია მაკარი.

არჩილ ჩოხელი წამოხტა ფეხზე და გაკვირვებით შეხედა მათ.

— გამარჯობა, არჩილ, — კომისარმა ხელი ჩამოართვა.

— ნება მიბოძეთ, მილიციის პოლკოვნიკი მაკარ მაკარის ძე მაკაროვი, ესე იგი სამგზის მაკარი, საოლქო მილიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად სამსახურიდან გადამდგარი. — მან არჩილს ხელი მოხვია და ადგილზევე დასვა.

არჩილისათვის უკვე ცხადი შეიქმნა ყველაფერი.

ნაშუადამევს დაიშალნენ, ზურაბი მარტო დარჩა კაბინეტში. ფიქრებში წავიდა. გაახსენდა უსახელო თითის ამბავი, პირველად როგორ მოუტანა არჩილ ჩოხელმა იგი აგვისტოს პირველ რიცხვებში, მას შემდეგ არცთუ ისე დიდ დროს გაუვლია, მაგრამ რამდენი რამ მოხდა, რამდენჯერ ბეწვზე ეკიდა მისი და თანამშრომლების სიცოცხლე, რამდენი ბრძოლა იქნა გადატანილი ბოროტმოქმედთა ბრბოებთან, რამდენი უძილო ღამე იქნა თეთრად გატეხილი, რომ პატიოსან მშრომელთა წყნარი ძილი არავის დაეფრთხო...

„თუ ფარას მარჯვე მწყემსები უვლიან და კბილბასრი ნაგაზები იცავენ, არავითარი მგელი საშიში არ არის“. — გაახსენდა ზურაბს ტლანქად, მაგრამ სწორად გამოთქმული სიტყვები არჩილ ჩოხელის წერილიდან.

იგი წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან, გამოაღო და შუბლი მთაწმინდიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა.

გათენება მოახლოებული იყო. ქალაქს ეძინა. ქუჩებში სიწყნარეს დაესადგურებინა.

არ ეძინა მხოლოდ გუშაგ მილიციელს, ის ფხიზლად დასტრიალებდა თავის საგუშაგოს და დაბალი ხმით ღიღინებდა.